

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

ნანა მჭედლიძე

სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე



თბილისი, 2019

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის
„პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერა“ ფარგლებში.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და
არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication has been produced under the European Union technical assistance project
"Support to the Penitentiary and Probation Systems".

Its contents are the sole responsibility of the author and do not necessarily
reflect the views of the European Union.

რედაქტორი: თინათინ უფლისაშვილი
კორექტორი: კონა მიქაძე

ISBN 978-9941-8-0952-1

შესავალი

პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო მომზადდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერა" ფარგლებში.

სახელმძღვანელო საქართველოს პენიტენციური და პრობაციის სისტემებში ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების ლოგიკური გაგრძელებაა. ადმინისტრაციის სურვილმა, რომ მისი საქმიანობა სრულ თანხვედრაში იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან, ბუნებრივად წარმოშვა რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე კომპილაციის საჭიროება.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო აერთიანებს უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების – გაერთიანებული ერების, ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებს. ეს სტანდარტები მოცემულია ამ ორგანიზაციათა ფარგლებში შემუშავებულ საერთაშორისო აქტებსა და სახელმძღვანელო განმარტებებში, მონიტორინგის ორგანოთა ანგარიშებსა და სასამართლო პრაქტიკაში.

კერძოდ, სახელმძღვანელოში მოცემულია ამონარიდები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული კონვენციებიდან (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია); რეზოლუციებიდან (მაგალითად, ნელსონ მანდელას წესები, ბანგკოკის წესები); სხვადასხვა ორგანიზაციის სახელმძღვანელო განმარტებებიდან (მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო განმარტებები პენიტენციურ ჯანდაცვაზე); სახელმძღვანელოებიდან (მაგალითად, გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ციხეში სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების გზამკვლევი) და სპეციალური მომხსენებლის ანგარიშებიდან (მაგალითად, გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის ანგარიში წამების და სხვა სასტიკ, არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას თუ დასჯაზე).

რაც შეეხება ევროპის რეგიონს, სახელმძღვანელოში მოცემულია ამონარიდები ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებიდან (მაგალითად, რეკომენდაციები ევროპული ციხის წესების შესახებ, ციხეში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ); წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებიდან (ზოგადი ანაგრიშები და ქვეყანაში ვიზიტების შედეგად შედგენილი ანგარიშები); ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციიდან და ადამი-

ანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებებიდან და გადაწყვეტილებებიდან. აგრეთვე, სახელმძღვანელოში მოცემულია ამონარიდები ევროპის კავშირის აქტებიდან (მაგალითად, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია).

ცხადია, მონიტორინგის ორგანოების მიერ სხვადასხვა ქვეყნის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სხვდასხვა ქვეყნის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები, პირველ შემთხვევაში, პოლიტიკურად და მეორე შემთხვევაში, სამართლებრივად სავალდებულოა საქართველოსთვისაც იმ თვალსაზრისით, რომ ეს სტანდარტები ერთნაირად მოქმედებს გაერთიანებული ერებისა და ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში. მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს უტოვებს მიხედულების გარკვეულ ფარგლებს, თუ როგორ უზრუნველყონ ესა თუ ის უფლება, მაგრამ სახელმძღვანელო ცალსახად მიუთითებს, რომ საქართველოს მიერ მიხედულების ფარგლების დაცვა ევროპული სასამართლოს მიერ შემოწმებას ექვემდებარება.

საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული სხვაობა სახელმძღვანელოში თვალსაჩინოდ არის გამოკვეთილი. სხვაობა არის, მათ შორის, ერთი ორგანიზაციის – ევროპის საბჭოს სხვდასხვა ინსტიტუტის ფარგლებში დადგენილ სტანდარტებს შორის. იგულისხმება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპულ ციხის წესებზე; წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს, ვიდრე ევროპული ციხის წესები; დაბოლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, განმარტებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

აღსანიშნავია სტანდარტების განსხვავებული ძალაც. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, სახელმძღვანელოში ციტირებული საქართველოს მიერ რატიფიცირებული სხვა საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებების მსგავსად და პოლიტიკურად სავალდებულო რეკომენდაციებისგან და რეზოლუციებისგან, აგრეთვე წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტებისგან[1] განსხვავებით, სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესრულებას ევროპული სასამართლო ამოწმებს და ეს უკანასკნელი სამართლებრივ დაკმაყოფილებას ანიჭებს უფლებადარღვეულ მხარეს.

1 იხ. წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის შესახებ 1987 წლის 26 ნოემბრის ევროპული კონვენციის მუხლი 10.1.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან მოყვანილი საქმეები იძლევა ინფორმაციას იმ თანხებზე, რისი გადახდაც ევროპულმა სასამართლომ შეიძლება სახელმწიფოს დააკისროს უფლებადარღვეული განმცხადებლების სასარგებლოდ. ცხადია, სახელმწიფო ორგანოებს, უწინარეს ყოვლისა, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ კონვენციით ნაკისრი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები, რომლებსაც სახელმწიფო შესატყვისი ორგანოების მეშვეობით განახორციელებს და ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელობა დემოკრატიულ და სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ საზოგადოებაში. თუმცა, ფინანსური მხარეც არის ანგარიშგასაწევი. მაგალითად, საქმეზე *Ghedir v. France*, 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით, სამართალდამცველთა მხრიდან პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო, საფრანგეთს დაეკისრა განმცხადებლის სასარგებლოდ 6 მილიონ-ნახევარი ევროს გადახდა მორალური და მატერიალური ზიანის ნაწილში და 39 000 ევროს გადახდა – სამართალწარმოების ხარჯების ნაწილში.

სახელმძღვანელოს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სამინისტროს მიერ დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებაში – თავისი საქმიანობის ყველა ასპექტი წარმართოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. სახელმძღვანელოში გაერთიანებული სტანდარტები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სისტემის ყველა რგოლისთვის და რელევანტურია ყველა სფეროში, იქნება ეს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის რეფორმებზე ორიენტირებული კანონშემოქმედებითი საქმიანობა, თუ ბენეფიციარების ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზება დინამიკური უსაფრთხოების პრინციპისა და ადამიანის უფლებათა დაცვით.

სახელმძღვანელოში შეკრებილი საერთაშორისო სტანდარტები პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრს სასწავლო პროგრამების წარმატებით დაგეგმვასა და განხორციელებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. შეკრებილი სტანდარტები, ხშირად, პირდაპირ მიუთითებს იმ თემატიკაზე, რომელიც აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს სისტემაში დასაქმებულ პირთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში. მაშინაც, როცა სახელმღვანელოში მოცემული საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტი ასეთ პირდაპირ მითითებას არ ითვალისწინებს, სტანდარტის შინაარსიდან გამომდინარე, ცენტრს ღირებული ინფორმაცია ექნება, თუ რა საკითხებზე გაამახვილოს ყურადღება სასწავლო პროგრამების შემუშავებისას. ცხადია, რომ თავად სახელმძღვანელო იქნება ის მნიშვნელოვანი წყარო, რომლითაც ცენტრის მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ. სახელმძღვანელოში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური საქმეები ხელს შეუწყობს პრაქტიკული და ინტერაქტიული სწავლების წარმატებით განხორციელებას.

სახელმძღვანელოს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბენეფიციარების და ზოგადად, ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში იმ თვალსაზრისით, რომ სახელმძღვანელოში გაერთიანებული მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები განმარტავს, თუ რა შინაარსი და მოცულობა აქვს პატიმართა უფლებებს და რა პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს; განმარტებულია ბენეფიციარის ესა თუ ის უფლება, რა ქმედების განხორციელების მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა ეს უფლება და რა დოზით ევალება სახელმწიფოს, ეს მოთხოვნა შეასრულოს. სახელმძღვანელო იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, ბენეფიციართა რომელი უფლება არის აბსოლუტური ხასიათის და მეორე მხრივ, რომელ უფლებებში შეუძლია ადმინისტრაციას, რომ ჩაერიოს და რა პირობებში იქნება ეს ჩარევა გამართლებული საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

ამასთან, სახელმძღვანელოს შეუძლია მიაწოდოს ბენეფიციარებს და ზოგადად, ფართო საზოგადოებას ღირებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას მის კონტროლს ქვეშ მყოფი ბენეფიციარები, არ არის აბსოლუტური ხასიათის და მასაც აქვს ფარგლები. საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოს, მათ შორის იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, არ ეკისრება გადამეტებული და არარეალისტური ვალდებულებები. ადმინისტრაციას ევალება, მიიღოს ყველა ზომა, რომელიც გონივრულად შეიძლება მოეთხოვებოდეს ბენეფიციარის ხელშეუხებლობას დამუქრებული იმ რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესახებაც ადმინისტრაციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა. ამის გაცნობიერება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში და მათ შორის, ბენეფიციარებში სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ ნდობის ამაღლებასა და განმტკიცებას და საშუალებას მისცემს სამინისტროს, არსებული საერთაშორისო სტანდარტების დაცვით გააგრძელოს საქმიანობა უსაფრთხოების გადამეტებული ღონისძიებებისა და შესაბამისად, ბენეფიციართა უფლებებში ინვაზიური ხასიათის ჩარევის გარეშე.

ვინაიდან საუკეთესო პრაქტიკა პენიტენციურ სფეროში მუდმივად ვითარდება, საერთაშორისო სტანდარტებიც იცვლება. შესაბამისად, სახელმძღვანელოში შესული სტანდარტები შეიძლება რეგულარულ განახლებას დაექვემდებაროს და ცვლილებები სახელმძღვანელოს პერიოდულად რედაქტირებულ გამოცემებში აისახოს.

სარჩევი

ქმედითი უსაფრთხოება	8
მოწყვლადი პატიმრების დაცვა	36
სპეციალური საშუალებები	60
შემოწმება	97
იზოლაცია	115
დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა	146
ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვა	153
ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა	190
თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი პატიმრების სიცოცხლის უფლების დაცვა მათთვის ადეკვატური სამედიცინო სამსახურის გაწევა	210
ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა, ანტენატალური და პოსტნატალური ზრუნვა ქალ პატიმრებზე	225
წამალდამოკიდებული პატიმრების მხარდაჭერა	233
გადამდები დაავადებების სავალდებულო სკრინინგი	246
იძულებით კვება	255
პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება	279
აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება	305
გამოხატვის თავისუფლება	327
განათლების უფლება	349
დისკრიმინაციის აკრძალვა	358
ქმედითი გამოძიება	383
მსჯავრდებულების საზოგადოებაში რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია	430

ქმედითი უსაფრთხოება

ზოგადი პრინციპები და დეფინიციები 9
გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო 9
ფიზიკური უსაფრთხოება 9
პროცედურული უსაფრთხოება 9
დინამიკური უსაფრთხოება 9
დინამიკური უსაფრთხოება 11
ევროპული ციხის წესები 11
ევროპული ციხის წესების კომენტარი 12
უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვაზე რეკომენდაცია 13
უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვაზე რეკომენდაციის კომენტარი 14
ნამების პრევენციის კომიტეტი 15
განსაკუთრებული რისკის დაწესებულებები 15
უვადო და გრძელვადიანი პატიმრები 17
დინამიკური უსაფრთხოების კომპონენტების იმპლემენტაცია 18
პროფესიონალური და კონსტრუქციული ურთიერთობა პატიმრებთან 18
გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო 18
ნამების პრევენციის კომიტეტი 19
ინტერპერსონალური უნარები 21
გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო 21
ნამების პრევენციის კომიტეტი 22
პერსონალის შერჩევა და წვრთნა 22
ნელსონ მანდელას წესები 23
სამართალდამცავ პირთა ქცევის კოდექსი 24
ნამების პრევენციის კომიტეტი 24
ქვედანაყოფის მართვა და უშუალო ზედამხედველობა 25
პერსონალის მოსყიდვისა და მანიპულაციის პრევენცია 27
კონსტრუქციული აქტივობები პატიმრებისთვის 28
ევროპული ციხის წესები 30
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი 34
ინფორმაციის შეგროვება 34
დამუშავებული ინფორმაცია: ციკლი, პროცესი და კომპონენტები 34

ზოგადი პრინციპები და დეფინიციები

გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, UNODC[1]

პენიტენციური სისტემის კონტექსტში, ქმედითი უსაფრთხების ცნება მოიცავს სამ კატეგორიას:
ფიზიკური უსაფრთხოება, პროცედურული უსაფრთხოება და დინამიკური უსაფრთხოება.

პენიტენციური დაწესებულების ფიზიკური უსაფრთხოება პენიტენციური სისტემის ქმედითი უსაფრთხოების ფუძემდებლური ასპექტია. თავად ფიზიკური უსაფრთხოება გულისხმობს პენიტენციური დაწესებულების შენობების არქიტექტურას, შენობების კედლების სიმტკიცეს, გისოსებს, საცხოვრებელი ფლიგელების კარებსა და კედლებს, პერიმეტრის კედლის, მავთულხლართებისა და კოშკურების მახასიათებლებს და სხვ. ფიზიკური უსაფრთხოება ასევე მოიცავს კლიტეებს, ვიდეო კამერებს, განგაშის სისტემებს (შიდა და გარეთა), სკანერებს, მეტალის დეტექტორებს, რაციებს, ხელბორკილებს და მისთ. მართალია, ფიზიკურ უსაფრთხოებას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მაღალი რისკის პატიმრები არ გაიქცნენ, თუმცა არსებობს ტენდენცია, რომ უსაფრთხოების ფიზიკურ ელემენტებზე საჭიროზე მეტი ყურადღების დათმობამ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვაზე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

რაც შეეხება პროცედურულ უსაფრთხოებას, პენიტენციური სისტემის უსაფრთხოება საჭიროებს ქვეყნის მასშტაბითა და ადგილზე კოორდინირებულ უსაფრთხოების პროცედურებს და პროცედურული უსაფრთხოება ამ პროცედურების ერთობლიობას გულისხმობს. პროცედურები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პატიმრების გაქცევის პრევენციაში. თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროცედურების სისტემა, რომლითაც დეტალურად განერილია, თუ როგორ და როდის ასრულებს დაწესებულების პერსონალი გარკვეულ ფუნქციებს. ეს პროცედურები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტექნოლოგიის წინსვლის პარალელურად, მაგალითად, დეტალური წესები, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ვიდეო მონიტორინგი, პერიმეტრის უსაფრთხოების სისტემები, ელექტრონული საკეტები და მისთ.

---

1 ქვეთავი მომზადდა შემდეგი სახელმძღვანელოების საფუძველზე: გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო დინამიკურ უსაფრთხოებასა და ციხის დაზვერვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2015 და გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო მაღალი რისკის პატიმრების მართვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2016.

უსაფრთხოების პროცედურები მოიცავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მრავალ სამუშაოს. პროცედურულად განერილი უნდა იყოს, მათ შორის: შემოწმების სტრატეგია და მისი განხორციელების დეტალები; პატიმრების მონიტორინგი და აღრიცხვა; რისკის შემცველი ნივთების აღრიცხვა; გარე სამყაროსთან კონტაქტის მონიტორინგი; პატიმრების შეფასება და კლასიფიკაცია; კომუნიკაცია და მეთვალყურეობა; ინფორმაციის შეგროვება და უშიშროების სისტემები.

მართალია, ფიზიკური და პროცედურული უსაფრთხოება ციხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, ისინი საკმარისი არ არის. პენიტენციური სისტემის უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დინამიკურ უსაფრთხოებაზე. აღნიშნული გულისხმობს ყურადღებით მყოფ პერსონალს, რომელსაც, ურთიერთობა აქვს პატიმრებთან, იცის, თუ რა ხდება ციხეში და უზრუნველყოფს პატიმრების აქტიურ დატვირთვას, ამ ფრაზის დადებითი მნიშვნელობით და შეუძლია რისკების პრევენცია. დინამიკური უსაფრთხოება უფრო ხარისხობრივია, ვიდრე სტატიკური უსაფრთხოების ღონისძიებები. როდესაც რეგულარული კონტაქტი არსებობს პატიმრებთან, ყურადღებით მყოფი პერსონალი რეაგირებს სიტუაციებზე, რომლებიც ჩვეულებრივისგან განსხვავებულია და შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს. ამ გზით, პატიმრებთან კავშირში მყოფ პერსონალს შეუძლია თავიდან აიცილოს გაქცევა და ინციდენტები. დინამიკური უსაფრთხოება ქმედითად არის უზრუნველყოფილი, როცა პერსონალი ახორციელებს გარემოსა და იქ მყოფი პატიმრების მონიტორინგს და ანალიზს. დინამიკური უსაფრთხოების ძლიერი მხარე არის ის, რომ გულისხმობს აქტიურ ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება საფრთხის ადრეულ სტადიაზევე გამოვლენა. საამისოდ საჭიროა პროფესიონალი და კარგად მომზადებული პერსონალი. დინამიკური უსაფრთხოების აუცილებელი კომპონენტია პატიმრებთან დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება. დინამიკური უსაფრთხოება ემყარება კონცეფციას, რომ პატიმრებთან ურთიერთობა, მათი გაცნობა პერსონალს შესაძლებლობას აძლევს, წინასწარ გააცნობიეროს მოსალოდნელი საფრთხეები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

დინამიკური უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეშვეობით პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია იღებს არსებით ინფორმაციას დაწესებულებაში არსებული ვითარების შესახებ. დანესებულების პერსონალი ურთიერთობს პატიმრებთან, აკვირდება და ისმენს, თუ რა ხდება და მოიპოვებს ინფორმაციას პატიმრებისგან. ამის შემდეგ, პერსონალი აწვდის აღნიშნულ ინფორმაციას შესაბამის სამსახურს და შემუშავდება დაზვერვის მონაცემთა[2] ღირებული ბაზა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება რისკების პრევენცია.

2 იხ. ქვემოთ, ქვეთავი „ინფორმაციის შეგროვება“.

როდესაც დინამიკური უსაფრთხოება ქმედითად არის დაცული, პატიმრებს ექმნებათ განცდა, რომ შეუძლიათ დაწესებულების პერსონალისთვის დახმარებისთვის მიმართვა პრობლემის გამწვავებამდე. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პერსონალმა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა პატიმრებთან კონტაქტში შესასვლელად.

როდესაც პენიტენციურ სისტემას ფიზიკური უსაფრთხოების ღონისძიებებზე დასახარჯი შეზღუდული რესურსი აქვს, დინამიკური უსაფრთხოება ამ ნაკლოვანებებს ანაზღაურებს, რადგანაც შეზღუდული ადამიანური და მატერიალური რესურსების დროსაც ეფექტურია.

დინამიკური უსაფრთხოების პრინციპები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში. პერსონალი გამუდმებით თან ახლავს ასეთ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს, როდესაც ისინი საცხოვრებელ ფლიგელს ტოვებენ, ან გადიან დაწესებულების გარეთ. ასეთი პატიმრების ზედამხედველობა მარტო თანხლება არ არის. პერსონალს უნდა შეეძლოს მათთან პოზიტიური ურთიერთობა. დინამიკური უსაფრთხოება ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ქალი პატიმრების შემთხვევაშიც, გამომდინარე იმ განსაკუთრებული ზიანის მომტანი შედეგებიდან, რაც უსაფრთხოების ღონისძიებებმა შეიძლება იქონიოს ქალ პატიმრებზე. პოზიტიური გარემოს შექმნა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება მხოლოდ მკაცრი აუცილებლობის შემთხვევაში ასევე უნდა მოიცავდეს პენიტენციური დაწესებულების მართვაში გენდერულად სენსიტიურ მიდგომას. ინდივიდუალური მიდგომა, ურთიერთობა და აქტიურობა, – ერთად აღებული აყალიბებს დინამიკურ უსაფრთხოებას.

დინამიკური უსაფრთხოება

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[3]

უსაფრთხოება

51.1 ცალკეული პატიმრების მიმართ გამოყენებული უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო თავისუფლების აღკვეთისთვის.

51.2 ფიზიკური ბარიერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილი უსაფრთხოება განმტკიცებული უნდა იყოს დინამიკური უსაფრთხოების მეშვეობით, რომელსაც უზრუნველყოფს ფხიზლად მყოფი პერსონალი, ვინც კარგად იცნობს მათ კონტროლს ქვეშ მყოფ პატიმრებს.

51.3 მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე უნდა მოხდეს პატიმართა შეფასება, რათა განისაზღვროს:

3 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

ა. რისკი, რომელსაც ისინი შეიძლება საზოგადოებისათვის შეადგენდნენ გაქცევის შემთხვევაში;
ბ. რისკი, იმისა, რომ ისინი შეეცდებიან გაქცევას დამოუკიდებლად ან გარედან დახმარებით.
51.4 თითოეული პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმდაგვარი უსაფრთხოების პირობებში, რომელიც მისი რისკის დონეს შეესაბამება.
51.5 უსაფრთხოების დონე უნდა გადაისინჯოს პირის თავისუფლების აღკვეთის ვადის განმავლობაში, რეგულარულ ინტერვალებში.

ზემოაღნიშნული დებულებების განმარტება[4]

სამი მთავარი მიზეზი განაპირობებს იმას, რომ უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლებსაც პატიმრები არიან დაქვემდებარებულები, იყოს მინიმალური, რაც არის აუცილებელი მათი უსაფრთხო თავისუფლების აღკვეთისთვის:

1) პერსონალს უფრო უადვილდება იმ პატიმრების იდენტიფიცირება, რომელთა მიმართაც საჭიროა მაღალი დონის უსაფრთოხების ღონისძიებების გატარება, როდესაც პერსონალის რაოდენობა შეზღუდულია;
2) რაც უფრო დაბალია უსაფრთხოების დონე, მით უფრო ჰუმანურია მოპყრობა;
3) რაც უფრო მაღალია უსაფრთხოება, უფრო იზრდება ხარჯი.

სტატიკური უსაფრთხოება და პროცედურული უსაფრთხოება ციხის ცხოვრებისთვის აუცილებელი ელემენტებია, მაგრამ მხოლოდ მათი მეშვეობით ნესრიგი ვერ დამყარდება. უსაფრთხოება ასევე დამოკიდებულია ყურადღებით მყოფ პერსონალზე, რომელიც ურთიერთობას ამყარებს პატიმრებთან და რომელსაც აქვს ინფორმაცია, თუ რა ხდება ციხეში და შეუძლია, უზრუნველყოს, რომ პატიმრები პოზიტიურად აქტიურები არიან.
წესი 51.3 ადგენს უსაფრთხოების რისკების შეფასების მიზნებს. ასეთი შეფასების კრიტერიუმები მრავალ ქვეყანაშია განვითარებული: ჩადენილი დანაშაულის ბუნება, რომლისთვისაც პირი მსჯავრდებულია; გაქცევის მცდელობა და გარედან დახმარებაზე ხელმისაწვდომობა; სხვა პატიმრებისთვის ზიანის მიყენების პოტენციალი; ხომ არ ჰქონდა ადგილი მოწმეებზე ზემოქმედებას სასამართლო პროცესის დროს.

ციხეში რისკების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე პოლიციის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაცია. ბევრ პენიტენციურ სისტემაში არსებობს ვარაუდი, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრები უფრო მაღალი უსაფრთხოების

4 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის კომენტარები მინისტრთა კომიტეტის მიერ ნევრი სახელმწიფოების მიმართ მიღებული 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაციაზე Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ.

რეჟიმს უნდა ექვემდებარებოდნენ. ეს ყოველთვის არ არის აუცილებელი. პირიქით შესაძლებელი უნდა იყოს უსაფრთხოების რისკების შეფასების მორგება ამ კატეგორიის პატიმრებზეც.

ზოგიერთ ქვეყანაში, მოსამართლე, რომელიც ადგენს განაჩენს, აკონკრეტებს უსაფრთხოების რეჟიმს, რომელსაც პატიმარი უნდა დაექვემდებაროს; სხვა ქვეყნებში, უვადო თავისუფლებააღკვეთილები ანდა ამა თუ იმ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები ავტომატურად ექვემდებარებიან ყველაზე მაღალი უსაფრთხოების რეჟიმს, მიუხედავად რისკების პიროვნული შეფასებისა. წესი 51.5 მოითხოვს, რომ უსაფრთხოების დონეები გადასინჯული იყოს რეგულარულ ინტერვალებში სასჯელის მოხდის პერიოდში. ხშირად ხდება ისე, რომ პირი ნაკლებ რისკს წარმოადგენს უსაფრთხოების თვალსაზრისით, სასჯელის მოხდის პროგრესირების პარალელურად. სასჯელის მოხდის პერიოდში უფრო დაბალი უსაფრთოხების რეჟიმში გადაყვანის შესაძლებლობა ასევე შეიძლება იყოს კარგი ქცევის წამახალისებელი.

Rec (2003)23 რეკომენდაცია უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ[5]

უსაფრთხოება

18. ა. ციხეში კონტროლის შენარჩუნება უნდა ემყარებოდეს დინამიკურ უსაფრთხოებას, რაშიც იგულისხმება პერსონალის მიერ პატიმრებთან სიმტკიცესა და სამართლიანობაზე დამყარებული პოზიტიური ურთიერთობების განვითარება, ცალკეული პატიმრის პირად მდგომარეობაში გარკვევა და მათგან მომდინარე ყველა რისკის გაცნობიერება.

ბ. ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა განგაშის სისტემა და ვიდეო კამერები, ყოველთვის უნდა გამოიყენებოდეს, როგორც დინამიკური უსაფრთხოების მეთოდების დამხმარე საშუალებები.

გ. უსაფრთხოებისთვის აუცილებელ ფარგლებში, იმ პირთა მიერ იარაღის რუტინული ტარება, ცეცხლსასროლი იარაღის და ხელკეტების ჩათვლით, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან პატიმრებთან, უნდა იკრძალებოდეს ციხის პერიმეტრზე.

19. ა. ციხის რეჟიმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ უსაფრთხოების ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად მოქნილი რეაგირების საშუალებას იძლეოდეს.

---

5 სასჯელაღსრულების დანესებულების ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ ნევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის Rec(2003)23 რეკომენდაცია.

ბ. ციხის ცალკეულ ფლიგელში პატიმრების განთავსება უნდა ემყარებოდეს რისკების და საჭიროებების ყოველმხრივ შეფასებასა და ფუნდამენტურ მოთხოვნას, რომ პატიმრები უნდა განთავსდნენ ისეთ გარემოში, რომელიც ითვალისწინებს მათ საჭიროებებს და რომელსაც შეუძლია არსებული რისკების შემცირება.

გ. გარკვეული რისკები და საგამონაკლისო გარემოებები, თავად პატიმრების მოთხოვნების ჩათვლით, შეიძლება საჭიროებდეს ცალკეული პატიმრების იზოლაციის სახეების გამოყენებას. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული პატიმრების განცალკევების თავიდან ასაცილებლად და აუცილებლობის შემთხვევაში, მისი გამოყენების ხანგრძლივობის შესამცირებლად.

20. ა. მაქსიმალური უსაფრთხოების ფლიგელები უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი საშუალება და ასეთ ფლიგელებში განთავსების გადაწყვეტილებები რეგულარულად უნდა გადაისინჯოს.

ბ. მაქსიმალური უსაფრთხოების ფლიგელებში, რეჟიმი უნდა განასხვავებდეს ერთის მხრივ, განსაკუთრებული რისკის პატიმრების მიმართ მოპყრობას, რომლებიც გაქცევის მომეტებულ საფრთხეს შეადგენენ, ან განსაკუთრებულ საფრთხეს – გაქცევის შემთხვევაში და მეორეს მხრივ, იმ პატიმრების მიმართ მოპყრობას, რომლებიც საფრთხეს შეადგენენ სხვა პატიმრების მიმართ, ანდა მომუშავე პერსონალის/მნახველების მიმართ.

გ. პატიმართა ქცევის და უსაფრთხოების მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით, მაქსიმალური უსაფრთხოების ფლიგელებში არსებული რეჟიმი მიზნად უნდა ისახავდეს განტვირთული ატმოსფეროს შექმნას, პატიმართა შორის ურთიერთობას, ფლიგელის ფარგლებში თავისუფალ გადაადგილებას და სხვადასხვა აქტივობების შეთავაზებას.

ზემოაღნიშნული დებულებების განმარტება[6]

ადმინისტრაციის მთავარი ამოცანაა, უზრუნველყოს დაწესებულებაში კონტროლის ადეკვატური დონე, როგორც უსაფრთხოებისა და წესრიგის გარანტია. მართალია, კონტროლის ხასიათი და ხარისხი განსხვავებული იქნება ციხის კატეგორიისა და მასში განთავსებული პატიმრების მიხედვით, იგი ყოველთვის უნდა ემყარებოდეს დინამიკური უსაფრთხოების კონცეფციას. დინამიკური უსაფრთხოება ნიშნავს პენიტენციური დაწესე-

6 სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის Rec(2003)23 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათი.

ბულების პერსონალის დაბალი რგოლის მომზადებას და მხარდაჭერას, რომ კარგი ურთიერთობა ჩამოაყალიბოს პატიმრებთან, იცნობდეს და უგებდეს მათ, როგორც ინდივიდებს, დაეხმაროს მათ პირადი პრობლემების მოგვარებაში და ჰქონდეს მათთან აზრიანი დიალოგი.[7]

პატიმრებს ყველაზე ხშირი და განგრძობადი ურთიერთობა დაბალი რგოლის პერსონალთან აქვთ. პატიმრების ყოველდღიური კონტაქტი აღნიშნული დონის პერსონალთან ძალზე დიდ გავლენას ახდენს მათ ქცევასა და დამოკიდებულებაზე. პოზიტიურ ურთიერთობას დესტრუქციული ქცევის და დამოკიდებულების შემცირების ტენდენცია აქვს და ხელს უწყობს პატიმრებთან კონსტრუქციულ მუშაობას. ამასთან, დინამიკური უსაფრთხოება საშუალებას აძლევს პერსონალს, უფრო ადვილად შეიტყონ რისკის შემცველი ქცევის შესახებ, როგორიცაა გაქცევის მცდელობები, პატიმრებს შორის ძალადობა, ან ძალადობა პერსონალის წინააღმდეგ, აკრძალული ნივთების ციხეში შეტანა და მისთ. ზოგიერთი დაწესებულების ადმინისტრაცია გარკვეულ თანამშრომლებს ცალკეული პატიმრების საკონტაქტო პირებად განამწესებს.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებები[8]

ყველა ქვეყანაში არის პატიმართა გარკვეული რიცხვი, რომლებიც მაღალი რისკის პატიმრებად ითვლებიან. ასეთი პირების შეფასება განსაკუთრებით საშიშ პატიმრებად შესაძლოა გამომდინარეობდეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან, პენიტენციურ დაწესებულებაში დაძაბულ სიტუაციებზე მათი რეაგირების მანერიდან, ან მათი ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მდგომარეობიდან. პატიმართა ეს ჯგუფი შეადგენს (ან უნდა შეადგენდეს, თუ კლასიფიკაციის სისტემა დამაკმაყოფილებლად მუშაობს) პენიტენციური დაწესებულების მთელი პოპულაციის ძალიან მცირე ნაწილს. თუმცა, პატიმართა ეს ჯგუფი ექცევა წამების პრევენციის კომიტეტის განსაკუთრებული ინტერესის ქვეშ, რადგან მათ მიმართ განსაკუთრებული ზომების მიღების საჭიროების გამო, ისინი იმყოფებიან არაადამიანური მოპყრობის დიდი რისკის ქვეშ.

განსაკუთრებით საშიში პატიმრები, თავისუფლების აღკვეთის მკაცრ რეჟიმში ყოფნის გამო, კომპენსაციის სახით, უნდა სარგებლობდნენ შედარებით მსუბუქი დღის რეჟიმით, თავიანთი თავისუფლების აღკვეთის დაწე-

7 განმარტებითი ბარათის პუნქტი 73.

8 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2001)16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 32 *et seq.*

სებულების ფარგლებში, კერძოდ, მათ უნდა მიეცეთ საშუალება, შეხვდნენ დაწესებულების სხვა პატიმრებსაც და მიეცეთ სხვადასხვა საქმიანობით დაკავების დიდი არჩევანი. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო მაღალი რისკის უსაფრთხოების განყოფილებებში ნორმალური შიდა ატმოსფეროს შესაქმნელად. მიზნად უნდა იქნეს დასახული პერსონალსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება. ეს უნდა შედიოდეს ადმინისტრაციის ინტერესში არა მხოლოდ აღნიშნულ განყოფილებებში მყოფ პატიმართა მიმართ ადამიანური მოპყრობის კუთხით, არამედ დაწესებულებაში ეფექტიანი კონტროლისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.

პატიმრებისთვის სხვადასხვა საქმიანობის გეგმის შემუშავება, შესაძლოა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყოს განსაკუთრებული რისკის განყოფილებებში, ვიდრე ჩვეულებრივ საკნებში. ამ საქმიანობებით დაკავებამ შესაძლოა შეამსუბუქოს პატიმრის პიროვნებაზე დამღუპველი ზეგავლენა, რომელსაც იწვევს ვაკუუმისებრი სივრცე, სადაც ის მოთავსებულია. საქმიანობები რაც შეიძლება მრავალფეროვანი უნდა იყოს (განათლება, სპორტი, დასაქმება, პროფესიული სწავლება და ა.შ.). რაც შეეხება დასაქმებას, ცხადია, უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე, ბევრი ტიპის სამუშაო აკრძალული იქნება ამგვარ განყოფილებებში. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პატიმრებს უნდა სთავაზობდნენ მხოლოდ მოსაწყენ და უინტერესო სამუშაოს.

ცხადია, აქსიომაა, რომ პატიმრები უსაფრთხოების განსაკუთრებულ რეჟიმში არ უნდა იმყოფებოდნენ იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს აუცილებელია უშიშროების მიზნებიდან გამომდინარე. ეს პრინციპი მოითხოვს გადაწყვეტილების რეგულარულ გადასინჯვას. ამგვარი გადაწყვეტილებები ყოველთვის უნდა დაეფუძნოს პატიმრის ინდივიდუალურ გრძელვადიან შეფასებას სპეციალურად მომზადებული თანამშრომლების მიერ. მეტიც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პატიმრებს სრულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია უსაფრთხოების განსაკუთრებულ რეჟიმში მათი მოთავსების მიზეზების შესახებ. ეს კი, სხვა დადებით მხარეებთან ერთად, მისცემს მათ საშუალებას, ეფექტიანად გამოიყენონ ყველა არსებული საშუალება, რითაც შეიძლება თავიდან აიცილონ ზემოაღნიშნული ღონისძიებები.

უვადო და გრძელვადიანი პატიმრები[9]

ბევრ ევროპულ ქვეყანაში გაიზარდა უვადო და გრძელვადიან პატიმართა რაოდენობა. რამდენიმე ვიზიტის დროს, წამების კრევენციის კომიტეტმა შენიშნა, რომ მათი მდგომარეობა მატერიალური პირობების, დღის რეჟიმისა და ადამიანებთან კონტაქტების თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი. მეტიც, ბევრ ასეთ პატიმარს დაწესებული ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც კიდევ უფრო ამძაფრებენ გრძელვადიანი პატიმრობის მავნე ეფექტს. ამგვარი შეზღუდვების მაგალითებია: დანარჩენი პატიმრებისგან მუდმივი განცალკევება, საკნიდან გამოყვანისას ხელბორკილების დადება, სხვა თავისუფლებააღკვეთილ პირებთან კომუნიკაციის აკრძალვა და მნახველთა ვიზიტების შეზღუდვა. წამების პრევენციის კომიტეტი თვლის, რომ არანაირი გამართლება არ აქვს მსგავსი შეზღუდვების დაწესებას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული ყველა პირისათვის განურჩევლად, ინდივიდუალურად მათთან დაკავშირებული საფრთხეების გულდასმით შესწავლის გარეშე, მიუხედავად იმისა, შეადგენენ თუ არა ეს პირები საფრთხეს.

გრძელვადიანმა პატიმრობამ შესაძლოა პატიმრებში გამოიწვიოს ასოციალურობა. გარდა იმისა, რომ გრძელვადიანი თავისუფლებააღკვეთილი პირები იმყოფებიან დაწესებულებაში, მათ შესაძლოა ჰქონდეთ რიგი ფსიქოლოგიური პრობლემები (თვითშეფასების დაკარგვისა და საზოგადოებრივი უნარ-ჩვევების დაქვეითების ჩათვლით) და გამოირჩეოდნენ გარიყულობის ტენდენციით საზოგადოებისგან, რომელსაც თითქმის ყველა დაუბრუნდება ადრე თუ გვიან. წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ გრძელვადიანი პატიმრებისთვის უნდა შეირჩეს ისეთი რეჟიმი, რომელიც მოახდენს ზემოაღნიშნული მავნე შედეგების კომპენსირებას დადებითი და მიზანმიმართული საშუალებებით.

აღნიშნულ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა სახის შინაარსობრივ აქტივობასა თუ პროგრამებზე (დასაქმება, სასურველია პროფესიული კუთხით, განათლების მიღება, სპორტი, დასვენება/ურთიერთობები). მეტიც, მათ უნდა შეეძლოთ გარკვეულწილად საკუთარი დროის გადანაწილება თავიანთი სურვილისამებრ, რაც გაზრდის მათი დამოუკიდებლობისა და პირადი პასუხისმგებლობის შეგრძნებას. დამატებითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ მათი პატიმრობის პერიოდს გარკვეული აზრი მიეცეს; კერძოდ, პატიმრობის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და სათანადო ფსიქო-სოციალური დახმარება მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომლებიც ხელს შეუწყობენ აღნიშნულ პატიმრებს, შეეგუონ თან-

9 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2001)16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 33 *et seq.*

ვისუფლების აღკვეთის პერიოდს და საჭირო დროს მოემზადონ გათავისუფლებისთვის. მეტიც, გრძელვადიანი პატიმრებისთვის დაწესებულებაში ყოფნის ნეგატიური ეფექტი ნაკლებად გამოხატული იქნება და ისინი უკეთ მოემზადებიან განთავისუფლებისათვის, თუ მათ მიეცემათ საშუალება, შეინარჩუნონ კავშირი გარე სამყაროსთან.

დინამიკური უსაფრთხოების კომპონენტების იმპლემენტაცია

პროფესიონალური და კონსტრუქციული ურთიერთობა პატიმრებთან

გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, UNODC[10]

პერსონალის მიერ პატიმრებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე აქცენტი დინამიკური უსაფრთხოების იმპლემენტაციის ცენტრალური ასპექტია. დინამიკური უსაფრთხოების მთელი კონცეფცია იმას ემყარება, რომ პერსონალი კონტაქტს ამყარებს პატიმრებთან, იცნობს მათ და შესაბამისად, შეუძლია გათვალოს და უკეთ მოემზადოს ყველა იმ ინციდენტზე ქმედითი რეაგირებისთვის, რომელიც შეიძლება დაწესებულების, პერსონალისა და პატიმრების უსაფრთხოებას დაემუქროს. პატიმრებთან პროფესიონალურ და კონსტრუქციულ ურთიერთობაში იგულისხმება, თუ როგორ მიმართავს პერსონალი პატიმრებს; როგორ ატარებს შემოწმებას და რა სიხშირით; რამდენად უზრუნველყოფს პატიმრების უფლებას პირადი ცხოვრების დაცულობაზე, როდესაც პატიმრებს ტანისამოსის გახდა უწევთ; შეზღუდვები რუტინულია, თუ აუცილებელი; ხომ არ ლახავს ადამიანის ღირსებას არსებული შეზღუდვები; არის თუ არა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება გარანტირებული საპირფარეშოებსა და საშხაპეებში; ხომ არ უნევთ პატიმრებს განმასხვავებელი უნიფორმის ტარება და მისთ. შეურაცხმყოფელი მიმართვა, დამამცირებელი პროცედურების გამოყენება, ან შეზღუდვების რუტინულად და უსაფრთხოების თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გამოყენება, არამარტო არღვევს პატიმრის ფუძემდებლურ უფლებას ადამიანურ და ღირსების შესაბამის მოპყრობაზე, არამედ ხელს უშლის პატიმარს და პერსონალს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რაც დინამიკური უსაფრთხოების აუცილებელი ელემენტია.

---

10 ქვეთავი მომზადდა შემდეგი სახელმძღვანელოების საფუძველზე: გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო დინამიკურ უსაფრთხოებასა და ციხის დაზვერვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2015 და გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო მაღალი რისკის პატიმრების მართვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2016.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)[11]

სათანადოდ შერჩეული და გაწრთვნილი პერსონალი, რომელიც გამოირჩევა პატიმართა მიმართ სწორი დამოკიდებულებითა და თავისი საქმისადმი პროფესიული მიდგომით, ყოველთვის იქნება ჰუმანური სასჯელაღსრულების სისტემის ქვაკუთხედი. პატიმრებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარება უნდა ჩაითვალოს ამ პროფესიული მიდგომის მთავარ მახასიათებლად.

წამების პრევენციის კომიტეტი ყურადღებით შეისწავლის დაწესებულების შიგნით არსებულ გარემოს. პატიმრებსა და პერსონალს შორის კონფრონტაციულის ნაცვლად, კონსტრუქციული ურთიერთობის პირობების შექმნა ხელს შეუწყობს თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი დანესებულებისთვის დამახასიათებელი დაძაბულობის შემცირებას და, ამასთან, მნიშვნელოვნად შეამცირებს ძალადობრივი ინცინდენტებისა და თანმდევი არასათანადო მოპყრობის ალბათობას. ასე რომ, წამების პრევენციის კომიტეტი ისურვებდა, დაენახა, რომ კონტროლისა და შეზღუდვის ზომები ხორციელდება კომუნიკაციისა და ზრუნვის ატმოსფეროში. ასეთი მიდგომა არათუ არ არღვევს დაწესებულებაში უსაფრთხოების სისტემას, არამედ პირიქით, სავსებით შესაძლოა, ხელი შეუწყოს მის გაძლიერებას.[12]

სამწუხაროდ, წამების პრევენციის კომიტეტის დაკვირვებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებების პერსონალს და პატიმარებს შორის ურთიერთობა ხშირად ფორმალური და დისტანციურია; თანამშრომლების დამოკიდებულება პატიმრებისადმი მკაცრ ჩარჩოშია მოქცეული და პატიმრებთან ვერბალური კომუნიკაცია, სამუშაოს ყველაზე უმნიშვნელო ასპექტად განიხილება. წამების პრევენციის კომიტეტი ხშირად გამხდარა პრაქტიკაში მსგავსი დამოკიდებულების მოწმე: პატიმრებს აიძულებენ, დადგნენ კედლისკენ სახით მიბრუნებულნი მანამ, სანამ ელოდებიან ციხის თანამშრომლის მიმართვას, ან ატარებენ მნახველებს; პატიმრებს აიძულებენ, რომ დაწესებულებაში გადაადგილდნენ თავდახრილნი, ზურგს უკან დაწყობილი ხელებით; თანამშრომლები ხელკეტებს ატარებენ თვალსაჩინოდ და ზოგჯერ გამომწვევადაც კი. ამგვარი პრაქტიკა აზრს მოკლებულია უსაფრთხოების თვალსაზრისით და ვერაფრით შეუწყობს ხელს თანამშრომლებსა და

11 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2001)16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 26 *et seq.*

12 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-2 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(92)3, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1992, პუნქტი 45.

პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ნამდვილი პროფესიონალიზმი მოითხოვს სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალისგან, რომ მათ შეეძლოთ პატიმრებთან სამართლიანად და ჰუმანურად მოპყრობა და, ამავე დროს, უსაფრთხოების საკითხებსა და სათანადო წესრიგზე ყურადღების გამახვილება. პერსონალსა და პატიმრებს შორის კონსტრუქციული და პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება არა მხოლოდ შეამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკს, არამედ გააუმჯობესებს კონტროლისა და უსაფრთხოების დონეს. თავის მხრივ, ეს სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის მუშაობას უფრო მეტად ნაყოფიერს გახდის.

პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფა დიდად არის დამოკიდებული ასევე თანამშრომელთა საკმარის რაოდენობაზე დროის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც თავისუფლების აღკვეთის ტერიტორიაზე, ასევე სხვადასხვა საქმიანობისათვის გამოყოფილ ადგილებში. წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციებს შეუნიშნავთ, რომ ხშირად საქმე სხვაგვარად არის. ზოგადად, თანამშრომელთა რაოდენობის სიმცირე და/ან პერსონალის გარკვეული განრიგი ამცირებს პატიმრებთან პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობას, რაც, რასაკვირველია, შეაფერხებს პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, უფრო ზოგადად კი – ხელს შეუწყობს საფრთხის შემცველი გარემოს ჩამოყალიბებას როგორც პერსონალისათვის, ასევე პატიმართათვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობის დროს, ჩნდება დიდი ოდენობით ზეგანაკვეთური შრომის აუცილებლობა, დაწესებულებაში უსაფრთხოების მინიმალური დონისა და რეჟიმის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

ამგვარმა ვითარებამ, შესაძლოა, მარტივად გამოიწვიოს თანამშრომელთა შორის სტრესის გაზრდა და მათი გადაწვა, რაც, საბოლოოდ, გააღრმავებს სასჯელაღსრულების დაწესებულებისათვის ისედაც დამახასიათებელ დაძაბულობას.

ინტერპერსონალური უნარები

გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, UNODC[13]

პატიმართან მომუშავე პერსონალს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მაღალ დონეზე განვითარებული ინტერპერსონალური უნარები. მათი სამსახური ძალიან მომთხოვნი და მძიმეა. პერსონალს ყოველთვის უნდა შეეძლოს პროფესიონალიზმისა და სამართლიანობის შენარჩუნება. თუ პერსონალი მტკიცე და თავდაჯერებულია პატიმრებთან ურთიერთობისას, კონფლიქტური სიტუაციები მცირდება და მათ შეეძლებათ სიტუაციასთან გამკლავება და შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილება.

პერსონალი უნდა იცნობდეს და ესმოდეს სხვადასხვა ჯგუფის (რელიგიური, ეთნიკური, კულტურული უმცირესობების ჩათვლით) თავისებურებები. ისინი ყურადღებით უნდა მოეკიდონ მათ გარშემომყოფთა საჭიროებებს ისე, რომ რისკის ქვეშ არ დააყენონ დაწესებულების უსაფრთხოება. პერსონალს უნდა ესმოდეს, თუ რა გავლენას ახდენს მისი ქცევა, კომუნიკაცია და უნარები პატიმარზე. ისინი უნდა აცნობიერებდნენ იმ ბარიერებს, რომლებიც ეღობებათ პატიმრებთან ურთიერთობაში და აგრეთვე იმას, თუ როგორ განიმარტება თითოეული მათი არავერბალური მოქმედება პატიმრების მიერ. როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური ქცევა ორმხრივი პროცესია. პერსონალის ქცევას შეუძლია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს ცალკეული პატიმრებისა და პატიმრების ჯგუფების მოლოდინებზე. ისეთმა დეტალმა, როგორიც ხელის გადაჭარბებული მოძრაობაა, ან პატიმრის პირად სივრცეში შეჭრამ, შეიძლება სიტუაცია უცაბედად დაამძიმოს. როდესაც პერსონალს ყოველთვის არ შეუძლია კომუნიკაციაში არსებული დაბრკოლებების გადალახვა, მათ შეუძლიათ სცადონ ბარიერების შესუსტება. პერსონალს უნდა შეეძლოს პატიმართან მიახლოება, მასში ნდობის აღძვრა, წესრიგისა და უსაფრთხოების, დაცულობის ატმოსფეროს შექმნა. პერსონალი განვრთნილი უნდა იყოს იმდაგვარად, რომ დაძაბულ ვითარებაში შეძლოს გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნება და ისე გამოჩნდეს, რომ აკონტროლებს სიტუაციას.

---

13 ქვეთავი მომზადდა შემდეგი სახელმძღვანელოების საფუძველზე: გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო დინამიკურ უსაფრთხოებასა და ციხის დაზვერვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2015 და გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო მაღალი რისკის პატიმრების მართვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2016.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)[14]

წამების პრევენციის კომიტეტს მიაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოების მოხელეთა შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები და სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს კომუნიკაციის თვისებების განვითარებაზე, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ადამიანის ღირსების პატივისცემა. აღნიშნული თვისებების მქონე პოლიციის თუ სასჯელაღსრულების სისტემის მოხელეები მეტწილად შეძლებენ, განმუხტონ ვითარება, რომელიც შესაძლოა, გადაიზარდოს ძალადობის აქტში, ზოგადად, ხელი შეუწყონ პოლიციის და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაძაბულობის შემცირებას ცხოვრების დონის ამაღლებას ყველა მხარის სასიკეთოდ.

პერსონალის შერჩევა და წვრთნა[15]

წვრთნის პროგრამები უნდა აძლევდეს პერსონალს იმის უნარს, რომ ესმოდეს სხვადასხვა ტიპის პატიმრის. მათ უნდა ისწავლონ უსაფრთხოების კომპონენტები და უნდა შეეძლოთ უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება პროცედურული და დინამიკური უსაფრთხოების პრინციპების დაცვით. წვრთნის პროგრამა შესაძლებლობას უნდა აძლევდეს პერსონალს, შეინარჩუნოს წონასწორობა უსაფრთხოების მოთხოვნებსა და პატიმრის ღირსების დაცვას შორის და დაამყარონ პოზიტიური და კონსტრუქციული რეჟიმი. პერსონალს უნდა შეეძლოს პატიმრების მხრიდან მანიპულაციის და პირობების წამოყენებასთან, აგრეთვე უსაფრთხოების მოთხოვნების გვერდის ავლის მცდელობებთან გამკლავება. მათ აგრეთვე უნდა შეეძლოთ ადეკვატური და პროფესიონალური რეაგირება ძალადობასა და დესტრუქციულ ქცევაზე, ძალის მინიმალური გამოყენებით.

პატიმრების დიდი რაოდენობა შეიძლება ქმნიდეს კომპლექსურ გამოწვევებს რისკების და საჭიროებების თვალსაზრისით, რაც შეიძლება მოიცავდეს ანტისოციალურ პიროვნულ აშლილობას, ფსიქოპათიას, წამალდამოკიდებულებას. პერსონალი სათანადოდ უნდა იყოს გაწვრთნილი ასეთ

14 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-2 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(92)3, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1992, პუნქტი 60.

15 ქვეთავი მომზადდა შემდეგი სახელმძღვანელოების საფუძველზე: გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო დინამიკურ უსაფრთხოებასა და ციხის დაზვერვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2015 და გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო მაღალი რისკის პატიმრების მართვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2016.

პატიმრებთან სამუშაოდ, მათ რისკებსა და საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირებისთვის.

ნელსონ მანდელას წესები[16]

წესი 74

1. ციხის ადმინისტრაციამ ყურადღებით უნდა შეარჩიოს ყველა რანგის პერსონალი, რადგანაც სწორედ მათ პატიოსნებაზე, ადამიანურობაზე, პროფესიონალურ შესაძლებლობებსა და სამუშაოსთვის ვარგისიანობაზე არის დამოკიდებული პენიტენციური დაწესებულების სათანადო ფუნქციონირება.

წესი 75

2. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დაწყებამდე, პენიტენციური დაწესებულების პერსონალის თითოეულმა წევრმა უნდა გაიაროს წვრთნა, რომელიც მორგებულია მათ ზოგად და სპეციფიკურ ფუნქციებზე და რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სასჯელაღსრულების მეცნიერებასა და საუკეთესო პრაქტიკას. მხოლოდ ის კანდიდატები უნდა დაიშვებოდნენ სასჯელაღსრულების სამსახურში, რომლებიც ასეთი წვრთნის ბოლოს წარმატებით ჩააბარებენ თეორიულ და პრაქტიკულ ტესტებს.

3. პერსონალის მიერ მოვალეობების შესრულების დაწყების შემდეგ და მსახურების პერიოდში, ციხის ადმინისტრაციამ მუდმივად უნდა უზრუნველყოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რათა პერსონალმა ცოდნა და პროფესიონალური შესაძლებლობები შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს.

წესი 76

1. 75-ე წესის მე-2 პუნქტში მითითებული წვრთნა უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, მზადებას:

ა) შესატყვის ეროვნულ კანონმდებლობაზე, რეგულაციებზე, პოლიტიკაზე, აგრეთვე საერთაშორისო და რეგიონულ აქტებზე, რომელთა დებულებებიც არეგულირებს პერსონალის პატიმრებთან მუშაობასა და ურთიერთობას;

ბ) პერსონალის უფლება-მოვალეობები მათი ფუნქციების შესრულებისას, ყველა პატიმრის ღირსების პატივისცემის ვალდებულებისა და გარკვეული ქმედებების, კერძოდ, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური, თუ დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის აკრძალვის ჩათვლით.

გ) უსაფრთხოება, დინამიკური უსაფრთხოების კონცეფციის ჩათვლით, ძალისა და შეკავების სპეციალური საშუალებების გამო-

16 გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები"), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 70/175, მიღებულია 2015 წლის 17 დეკემბერს.

ყენება, ძალადობრივი დამნაშავეების მართვა, პრევენციული და განმუხტავი მეთოდების ჩათვლით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია;

დ) პირველადი დახმარება, პატიმრების ფსიქოსოციალური საჭიროებები და შესაბამისი დინამიკა ციხის კონტექსტში, ასევე სოციალური მხარდაჭერა და დახმარება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ადრეულ სტადიაზე იდენტიფიცირების ჩათვლით.

2. ციხის პერსონალმა, რომელსაც გარკვეული კატეგორიის პატიმრებთან უწევს მუშაობა, ან სხვა სპეციალიზებული ფუნქციების შესრულება, უნდა გაიაროს წვრთნა, რომელიც შესაბამის საკითხზეა კონცენტრირებული.

სამართალდამცავ პირთა ქცევის კოდექსი[17]

18. სახელმწიფოებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა სამართალდამცავი პირი შერჩეულია შესაბამისი შემოწმების პროცედურის შედეგად, აქვს შესაბამისი ზნეობრივი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მახასიათებლები მისი ფუნქციების ქმედითად შესასრულებლად და გადის განგრძობად და ყოველმხრივ პროფესიონალურ წვრთნას. ის, რომ სამართალდამცავი პირები კვლავაც გამოდგებიან თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად, უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ გადასინჯვას. როდესაც პერსონალი სათანადოდ არ არის გაწვრთნილი, ის შეიძლება უფრო დაექვემდებაროს პატიმრის მხრიდან მანიპულაციას. დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მხრიდან წამოსულ გზავნილებს პერსონალის შეფასებაში, შერჩევასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. კომუნიკაციის და ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს პერსონალის მომზადებისას, განსაკუთრებით საწყის სტადიაზე.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)[18]

წამების პრევენციის კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას სამართალდამცავი ორგანოების მოხელეების ტრენინგების უდიდეს მნიშვნელობას (რომელიც

17 სამართალდამცავ პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ ძირითადი პრინციპები, მიღებულია გაერთიანებული ერების მე-8 კონგრესის მიერ 1990 წლის 27 აგვისტოს, ჰავანაში.

18 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-2 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(92)3, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1992, პუნქტი 59.

უნდა მოიცავდეს განათლებას ადამიანის უფლებათა საკითხებზე – იხ. აგრეთვე წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-10-ე მუხლი). უდავოა, პოლიციისა თუ სასჯელაღსრულების მოხელეთა სათანადოდ მომზადება და წრთვნა თავისუფლებააღკვეთილ პირთა არასათანადო მოპყრობისგან დაცვის საუკეთესო გარანტიაა. შედეგად, კვალიფიციური მოხელეები შეძლებენ თავიანთი მოვალეობის წარმატებით შესრულებას არასათანადო მოპყრობის გამოყენების გარეშე და დაკავებულ და თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვის ფუნდამენტური გარანტიების გათვალისწინებით.

ქვედანაყოფის მართვა და უშუალო ზედამხედველობა[19]

ერთ-ერთი მაგალითი, თუ როგორ უნდა გამყარდეს დინამიკური უსაფრთხოება პენიტენციური სისტემის სამოქმედო პოლიტიკაში, არის ქვედანაყოფის მართვა, რომელიც უშუალო ზედამხედველობას ემყარება.

პენიტენციური სისტემები ისტორიულად დამოკიდებული იყო დაწესებულებისა და პერიმეტრის დაცვაზე პასუხისმგებელ პერსონალზე, რომელიც იშვიათად შედიოდა პატიმრებთან უშუალო კონტაქტში და ცალკე პერსონალზე, რომელსაც უშუალოდ უწევდა პატიმრებთან ურთიერთობა. გაერთიანებული ერების ნარკოტიკებსა და დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის მოსაზრებით, ამ მიდგომას სერიოზული ხარვეზები ახასიათებს ორ ჯგუფს შორის არსებული მკვეთრი კონტრასტისა და იმის გამო, რომ დაცვის პერსონალი ნაკლებ ინფორმაციას იღებდა პატიმრებისგან.

ქვედანაყოფის მართვის კონცეფცია ამჯერად მოქმედებს მთელ რიგ პენიტენციურ სისტემაში და გულისხმობს პატიმრებზე ზედამხედველ პერსონალზე როგორც დაცვითი, ასევე პატიმრებთან ურთიერთობის ფუნქციების დაკისრებას. ფაქტობრივად, ქვევედანაყოფის მართვა გულისხმობს დეპერსონალიზებული და ცენტრალიზებული მიდგომიდან პერსონალიზებულ და დეცენტრალიზებულ მიდგომაზე გადასვლას. ქვედანაყოფის მართვის სისტემაში, პენიტენციური დაწესებულება დაყოფილია განსაზღვრულ ქვედანაყოფებად; თითოეული მათგანი შეიცავს პატიმართა რამდენიმე საცხოვრებელ სექციას და თანამშრომელთა სტატიკურ სამუშაო პოსტებს. მულტიდისციპლინური ჯგუფი ასრულებს სერვისებს თითოეულ განსაზღვრულ

19 ქვეთავი მომზადდა შემდეგი სახელმძღვანელოების საფუძველზე:გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო დინამიკურ უსაფრთხოებასა და ციხის დაზვერვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2015 და გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო მაღალი რისკის პატიმრების მართვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2016.

ქვედანაყოფში. ეს ჯგუფები შედგება დისციპლინური თანამდებობის პირებისგან, საგანმანათლებლო სპეციალისტებისგან, სოციალური მუშაკებისგან, ფსიქოლოგებისგან, რელიგიური მხარდაჭერის მუშაკებისგან და ექთნებისგან. ჯგუფის ინდივიდუალური წევრები პასუხისმგებლები არიან როგორც უსაფრთხოებაზე, ისე პატიმრების განვითარების შედეგებზე და ივარაუდება, რომ მათ პატიმრებთან კონსტრუქციული ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ.

ქვედანაყოფის მართვის კონცეფციის შესაბამისად, პატიმრები განსახლებულები არიან პატარა, დეცენტრალიზებულ საცხოვრებელ ერთეულებში, სადაც პერსონალი მათთან უშუალო კონტაქტშია იმის მაგივრად, რომ განთავსებული იყოს კონტროლის ოთახებსა თუ საგუშაგო კოშკურებში. გაეროს მიერ ჩატარებული შედარებითი კვლევის თანახმად, შენობასა და პერსონალზე დიდი თანხების დახარჯვის გარეშეც, ასეთი მოწყობა ამცირებს აგრესიულ ქცევას და სხვა გადაცდომებს, აგრეთვე უზრუნველყოფს ნაკლებად დაძაბულ გარემოს, რომელშიც უფრო ხელმისაწვდომია კონსულტაცია და სარეაბილიტაციო პროგრამები. ყოველდღიური უსაფრთხოების პროცედურები, როგორიცაა დათვლა და სიის ამოკითხვა, შემოწმება და პატიმრების გადაადგილების მართვა, პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, კონტაქტი იქონიოს პატიმრებთან. ადამიანური გზით პატიმრებთან ურთიერთობა აძლიერებს უსაფრთხოებასა და წესრიგს.

ქვედანაყოფის მართვის პერსონალი მნიშვნელოვან და ორმაგ როლს ასრულებს უსაფრთხოების დაცვას და პროგრამების განხორციელებაში. შემოვლისას ისინი ესაუბრებიან პატიმრებს, ეცნობიან პიროვნებებს, ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას. ისინი ყურადღებით აკვირდებიან პატიმრებს, აქტიურად ერთვებიან ინციდენტების თავიდან. ქვედანაყოფის მართვის პერსონალი თითოეულ ქვედანაყოფს ჯგუფური იდენტობის შეგრძნებას უძლიერებს და განამტკიცებს პერსონალის კონტაქტს პატიმრებთან ისე, რომ მცირე პრობლემებზე რეაგირება მათ ესკალაციამდე ხდება. უშუალო ზედამხედველობა და ქვედანაყოფის მართვა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია. ქვედანაყოფის ქმედითი მართვა ვერ განხორციელდება უშუალო ზედამხედველობის გარეშე, რაც ზრდის პერსონალისა და პატიმრების კონტაქტს და ხელს უწყობს ხელმისაწვდომობას, კომუნიკაციას, დაზვერვასა და ინფორმაციის შეგროვებას, პერსონალის მიერ რეაგირების შესაძლებლობას. პერსონალი განთავსებულია პატიმრების საცხოვრებელ ფლიგელში და არა მის მოშორებით. კომუნიკაცია გულისხმობს მოლოდინების ურთიერთგაცვლას და არა კონტექსტის გარეშე და გაუაზრებლად ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაცემას.

ქვედანაყოფის მართვა და უშუალო ზედამხედველობა, ერთად აღებული, უზრუნველყოფს დაწესებულების ოპერაციულ სიძლიერეს, ქმნის უსაფრთხო გარემოს და აადვილებს ადმინისტრირებას.

პერსონალის მოსყიდვისა და მანიპულაციის პრევენცია[20]

განსაკუთრებული საფრთხე მომდინარეობს იმ პატიმრებისგან, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულისთვის ან ტერორიზმისთვის არიან მსჯავრდებულნი. იმისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული პატიმრების მხრიდან პერსონალის მანიპულაცია, საჭიროა შესაბამისი წვრთნის პროგრამები. აგრეთვე საჭიროა პერსონალის შესაბამისი ინტენსივობის მობილურობა და როტაცია. უნდა არსებობდეს პერსონალის მოსყიდვის შემთხვევების დეტერენციისა და იდენტიფიცირების მკაფიო პროცედურები, მაგალითად, პერსონალის რუტინული, შემთხვევითი, მიზნობრივი შემოწმება და დისციპლინური სანქციების ქმედითი სისტემა. არ უნდა იქნეს დაშვებული სახიფათო დისბალანსი პატიმრების მიმართ მოპყრობის სხვადასხვა მეთოდებში; როგორც ნესი, ეს არის ერთი მხრივ, თანაგრძნობაზე და მეორე მხრივ, სიმტკიცესა და კონტროლზე ორიენტირებული მიდგომები. პერსონალის სხვადახვა კატეგორიას შორის უნდა იმართებოდეს რეგულარული შეხვედრები და დისკუსიები, რათა მიღწეული იქნეს და შენარჩუნდეს სათანადო წონასწორობა ამ ორ მიდგომას შორის, რათა აშკარა კონფლიქტები იქნეს თავიდან არიდებული. კიდევ ერთი გარანტია პერსონალის გადაბირების საწინააღმდეგოდ, არის შრომის დამაკმაყოფილებელი ანაზღაურება და სათანადო პირობები.

სისტემის თანამშრომელმა, რომელსაც აქვს საფუძველი, ივარაუდოს, რომ ეთიკური ნორმების დარღვევას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ყოველთვის უნდა აცნობოს ამის თაობაზე ზემდგომ, ან სხვა უფლებამოსილ უწყებებს. ამან შეიძლება თანამშრომელი მოწყვლად მდგომარეობაში ჩააყენოს და სხვა თანამშრომლებისა თუ ხელმძღვანელობისგან დაიჩაგროს. იმისთვის, რათა ნახალისებული იქნეს არაეთიკური საქციელის დარეპორტება, შესაბამისი დამცავი ღონისძიებები უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ეს გულისხმობს კონფიდენციალობის და სისტემის მაღალჩინოსნების მხრიდან მხარდაჭერის გარანტიებს. მსგავსი მოხსენებები საიდუმლო სამართალწარმოების ნაწილი უნდა იყოს და მათდამი წვდომა – შეზღუდული.

---

20 ქვეთავი მომზადდა შემდეგი სახელმძღვანელოების საფუძველზე: გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო დინამიკურ უსაფრთხოებასა და ციხის დაზვერვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2015 და გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო მაღალი რისკის პატიმრების მართვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2016.

კონსტრუქციული აქტივობები პატიმრებისთვის[21]

დინამიკური უსაფრთხოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პატიმრების კონსტრუქციული აქტივობებით დატვირთვა.[22] ამით მათ ნაკლები დრო დარჩებათ დესტრუქციული ქმედებებისა და გაქცევის დასაგეგმად. ამასთან, პერსონალს ეს აქტივობები საშუალებას აძლევს, პატიმრებთან უფრო მეტად იურთიერთობოს და მეტი ინფორმაცია შეაგროვოს მათგან.

აქტივობა უნდა იყოს იმდაგვარი, რომ პატიმრებს მიეცეთ პიროვნული განვითარების შესაძლებლობა, პროფესიული უნარებისა და განათლების თვალსაზრისით. მათ აგრეთვე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ იმსჯელონ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე, რომლებმაც ხელი შეუწყო მათ მიერ დანაშაულის ჩადენას.

შესაბამისად, დინამიკური უსაფრთხოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პატიმრებისთვის შეთავაზებული იყოს კონსტრუქციული აქტივობები და პროგრამები, როგორც მათი სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის არსებითი ნაწილი. ეს გულისხმობს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა შრომა, პროფესიული მომზადება, განათლება, რეკრეაცია, რელიგიური და კულტურული აქტივობა, სპორტი, პროგრამები, რომლებიც შეესაბამება ცალკეული პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებს და კრიმინოგენულ ასპექტებს, აგრეთვე კურსები, ჯგუფური მუშაობა და ინდივიდუალური კონსულტაცია.

შეთავაზებული ღონისძიებები უნდა იყოს საინტერესო და მოითხოვდეს ძალისხმევას. მდორე, მოსაწყენი, რუტინული ღონისძიებები უფრო გაზრდის და არა შეამცირებს დროის შეგრძნებას. საჭიროა მიზანმიმართული ღონისძიებები, რომლებსაც შეუძლია პატიმრების გონებრივი და ემოციური სტიმულაცია და ფიზიკური დაღლა.

ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული და კონსტრუქციული ღონისძიებების შეთავაზება შეიძლება ადვილი არ იყოს მწირი რესურსების მქონე სისტემაში. თუმცა პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა იმუშაოს კონტრუქციული რეჟიმების განხორციელებაზე რესურსების შემოქმედებითად გამოყენების გზით. ღონისძიებების უზრუნველსაყოფად,

21 ქვეთავი მომზადდა შემდეგი სახელმძღვანელოების საფუძველზე: გაერთიანებული ერების ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო დინამიკურ უსაფრთხოებას და ციხის დაზვერვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2015 და გაერთიანებული ერების ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო მაღალი რისკის პატიმრების მართვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2016.

22 იხ. დაწვრილებით, თავი „მსჯავრდებულების საზოგადოებაში რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია“.

მათ შეიძლება დაამყარონ პარტნიორული ურთიერთობები სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციებთან და აკადემიურ დაწესებულებებთნ.

პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობის ორგანიზება და მეთოდები შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს გარეთ არსებულ დაწესებულებებში გაწეული მუშაობის ორგანიზებას და მეთოდებს. დაცული უნდა იყოს პატიმრების ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც უკავშირდება შრომას, სამუშაო პირობებს, უნდა ამზადებდეს პატიმრებს ნორმალური, პროფესიული ცხოვრების პირობებისთვის. ეს აგრეთვე ნიშნავს იმას, რომ სამუშაო არ უნდა იყოს მავნე ხასიათის; ყოვლად დაუშვებელია, პატიმარმა სამუშაო შეასრულოს პერსონალის პირადი სარგებლობისთვის. გაწეული შრომისთვის პატიმრებმა უნდა მიიღონ ანაზღაურება, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში შესრულებული იგივე ტიპის სამუშაოსთვის მიღებულ ანაზღაურებას.

განათლება შეიძლება იყოს საშუალება პატიმრებისთვის, გადალახონ საბაზისო და თვითგადარჩენასთან დაკავშირებული საჭიროებები, რასაც შეიძლებოდა დანაშაულის ჩადენის ნიადაგიც მოემზადებინა. აგრეთვე განათლების მიღებამ ადამიანს შეიძლება საკუთარი ღირსების შეგრძნება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნების იმედი ჩაუსახოს. განათლება სოციალური რეინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიიჩნევა და მრავალი კვლევის თანახმად, ის ერთ-ერთ ძირითად როლს ასრულებს განთავისუფლების შემდეგ ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციაში. საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ ყველა პატიმარს შეეთავაზოს განათლების დონის ამაღლება. ეს არის სოციალურ რეინტეგრაციაზე მიმართული სტრატეგიის ფუძემდებლური კომპონენტი. შეთავაზებული განათლება, პატიმრის საჭიროებებისდა მიხედვით, შეიძლება იყოს საბაზისო წერა-კითხვის შემსწავლელი კურსებით დაწყებული და უმაღლესი განათლებით დამთავრებული.

საერთაშორისო ნორმების თანახმად, ყველა პატიმარს დღეში ერთი საათი მაინც უნდა ჰქონდეს ღია ცის ქვეშ სავარჯიშოდ. მათთვის გამოყოფილი უნდა იყოს საკმარისი ფართობის სივრცე, სადაც ფიზიკურად დაღლას შეძლებენ. სპორტი და ფიზიკური ვარჯიში ძალზე მნიშვნელოვანია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით იმ პატიმრებისთვის, რომლებიც შეზღუდულ რეჟიმს ექვემდებარებიან. სავარჯიშო სივრცე უსაფრთხო უნდა იყოს და პერსონალისთვის ადვილად გასაკონტროლებელი, აგრეთვე უნდა იყოს საკმარისად დიდი და ღია ცის ქვეშ. აქ უნდა იყოს მოსასვენებელი ადგილი და ცუდი ამინდისგან თავშესაფარი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტუალეტითა და სასმელი წყლით.

პატიმრებს უნდა შეეძლოთ იმავე ქვედანაყოფის პატიმრებთან ერთად ვარჯიში. შეიძლება სხვების ჩართვაც, რისკის შეფასების საფუძველზე. მათ უნდა ჰქონდეთ სპორტული აღჭურვილობა, შესაბამისი რესურსების არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე სპორტული დარბაზი და სხვადასხვა სპორტული აქტივობის განსახორციელებლად საჭირო შესაძლებლობები.

უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, პატიმრები უნდა შემოწმდნენ, ზედამხედველობა უნდა გაეწიოთ, ხოლო ყოველი სესიის შემდეგ სპორტული აღჭურვილობა შემოწმდეს, რომ ადგილზეა.

სპორტული და რეკრეაციული აღჭურვილობა ზედმეტ დატვირთვას არ უნდა ახდენდეს პატიმრებზე. შეიძლება ბურთიც საკმარისი იყოს პატიმრების ჯგუფის ფიზიკური დატვირთვისთვის. მსგავსი ღონისძიებები სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, დაძაბულობის განსატვირთად და კარგი ურთიერთობებისთვის, განსაკუთრებით, თუ პერსონალიც შეუერთდება თამაშს. ზოგიერთ ციხეში შეიძლება იყოს რამდენიმე თანამშრომელი, რომელიც სერტიფიცირებული ტრენერია და შეუძლია პატიმრებთან შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზება.

ამ დროს შეიძლება საჭირო იყოს უსაფრთხოების ღონისძიებების მიღება, რაც გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთი პატიმარი შეიძლება არ იყოს დაშვებული გარკვეული ტიპის აქტივობებში, მათი ინდივიდუალური რისკის შეფასებიდან გამომდინარე. თუმცა, თითოეულ პატიმარს შეიძლება შეეთავაზოს გარკვეული ღონისძიება, რომელიც განხორციელებადია უსაფრთხო გარემოში. რისკი შეიძლება შემცირდეს პატიმრების მეტალის დეტექტორების მეშვეობით შემოწმებით, იარაღების შემოწმებით, ადგილზე თუ არის, აგრეთვე ვიდეო კამერებითა და პერსონალის მიერ მეთვალყურეობით. შესაძლებელია მცირე ჯგუფების დატვირთვა უსაფრთხო ქვედანაყოფებში, რისკისდა მიხედვით. ამოსავალი პრინციპია ის, რომ სათანადო წონასწორობა უნდა დამყარდეს ღონისძიებებში მონაწილეობის სასურველ ინტენსივობასა და უსაფრთხოებას შორის.

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[23]

ციხის რეჟიმი

25.1 ყველა პატიმრის რეჟიმი უნდა შეიცავდეს ღონისძიებების ბალანსირებულ პროგრამას.

25.2 ეს რეჟიმი საშუალებას უნდა აძლევდეს ყველა პატიმარს ყოველდღიურად თავიანთი საკნების გარეთ გაატარონ შეძლების-

23 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

დაგვარად იმდენი დრო, რაც საჭიროა ადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადეკვატური დონისთვის.
25.3 რეჟიმი ასევე უნდა პასუხობდეს პატიმრის სოციალურ საჭიროებებს.
25.4 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პატიმრების საჭიროებებს, რომლებიც წარსულში ფიზიკურ, ფსიქიკურ ან სექსუალურ ძალადობას დაექვემდებარნენ.

შრომა
26.1 ციხეში მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელად გამოყენებული.
26.2 ციხის ადმინისტრაცია უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.
26.3 პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს განთავისუფლების შემდგომ პატიმრის მიერ თავის რჩენის უნარს.
26.4 მე-13 წესის შესაბამისად, უზრუნველყოფილი სამუშაოს ტიპთან მიმართებაში გენდერულ საფუძველზე არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაცია.
26.5 სამუშაო, რომელიც მოიცავს პროფესიულ სწავლებას, უნდა მიეცეს პატიმრებს, რომლებსაც შეუძლიათ მისით სარგებლობა და განსაკუთრებით, ახალგაზრდა პატიმრებს.
26.6 პატიმრებს უნდა შეეძლოთ იმ საქმიანობის ტიპის შერჩევა, რომელშიც მათ მონაწილეობის სურვილი აქვთ – არსებული სამუშაოს ლიმიტის ფარგლებში, აგრეთვე სათანადო პროფესიული შერჩევის, წესრიგისა და დისციპლინის მოთხოვნების შესაბამისად.
26.7 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შრომის ორგანიზება და მეთოდები, შეძლებისდაგვარად, მიახლოებული უნდა იყოს საზოგადოებაში არსებულ სამუშაო სტანდარტებთან, რათა პატიმრები ჩვეულებრივი პროფესიული ცხოვრებისთვის მომზადნენ.
26.8 მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამრეწველო კომპანიების მიერ ფინანსური მოგების მიღების მიზანი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სტანდარტების გაუმჯობესების და წვრთნის ხარისხისა და აქტუალობის ამაღლებისათვის, პატიმართა ინტერესები ამ მიზანს არ უნდა დაექვემდებაროს.
26.9 პატიმრებისთვის სამუშაოს უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია საკუთარი ძალისხმევით ან კერძო კონტრაქტორებთან თანამშრომლობით როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ისე მის გარეთ.
26.10 პატიმართა სამუშაო ყოველთვის სამართლიანად უნდა ანაზღაურდეს.

26.11 პატიმრებს უნდა შეეძლოთ მათ მიერ გამომუშავებული ანაზღაურების ნაწილის მაინც დახარჯვა ნებადართული საგნების შესაძენად საკუთარი მოხმარებისთვის, ასევე ანაზღაურების ნაწილით თავიანთი ოჯახის უზრუნველყოფა.
26.12 შეიძლება პატიმრების წახალისება, რომ მათ გამომუშავებული ანაზღაურების ნაწილი დაზოგონ, მიიღონ დანაზოგი განთავისუფლებისას ან გამოიყენონ სხვა ნებადართული მიზნებისათვის.
26.13 ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები ადეკვატურად უნდა იცავდეს პატიმრებს და არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად მკაცრი, ვიდრე ციხის გარეთ მომუშავეთათვის.
26.14 უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმრებისთვის საწარმოო ტრავმის, მათ შორის, პროფესიული დაავადების ანაზღაურება, რომლის პირობებიც არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, რაც შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული გარეთ მომუშავეთათვის.
26.15 პატიმართა მაქსიმალური დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათები უნდა იყოს დაფიქსირებული თავისუფალ პირთა დასაქმების მარეგულირებელი ადგილობრივი წესების თუ პრაქტიკის მიხედვით.
26.16 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ერთი დასვენების დღე კვირაში და საკმარისი დრო განათლებისა და სხვა საქმიანობისათვის.
26.17 მომუშავე პატიმრები შეძლებისდაგვარად უნდა ჩართონ ეროვნული სოციალური დაცვის სისტემებში.

ვარჯიში და დასვენება
27.1 ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი ამის საშუალებას იძლევა.
27.2 ავდრის პირობებში პატიმრებს ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სავარჯიშოდ.
27.3 სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა იყოს რეჟიმის განუყოფელი ნაწილი.
27.4 სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაცია ხელს უნდა უწყობდეს მსგავს ღონისძიებებს შესაბამისი დანადგარებითა თუ აღჭურვილობით უზრუნველყოფით.
27.5 დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მოაგვაროს სპეციალური ღონისძიებების ორგანიზების საკითხები იმ პატიმართათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ.

27.6 დასვენების საშუალებები, მათ შორის, სპორტი, თამაშები, კულტურული ღონისძიებები, ჰობი და თავისუფალი დროის გატარების სხვა საშუალებები – უზრუნველყოფილი უნდა იქნეს და პატიმრებს შეძლებისდაგვარად უნდა მიეცეთ მათი ორგანიზების შესაძლებლობა.
27.7 პატიმრებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ ვარჯიშის დროს და სარეკრეაციო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

განათლება
28.1 თითოეული სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ ყველა პატიმარი უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.
28.2 პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლის საჭიროების მქონე პატიმრებს და რომელთაც აკლიათ საბაზისო თუ პროფესიული განათლება.
28.3 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების განათლებას.
28.4 განათლებას არ უნდა მიენიჭოს ნაკლები სტატუსი, ვიდრე მუშაობას ციხის რეჟიმში და პატიმრები არ უნდა ჩააყენონ ფინანსურად ან სხვაგვარად არახელსაყრელ პირობებში საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღების გამო.
28.5 ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა ყველა პატიმრის მიერ სარგებლობისთვის, რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი როგორც რეკრეაციული, ასევე საგანმანათლებლო რესურსებით, წიგნებით და სხვა საშუალებებით.
28.6 ციხის ბიბლიოთეკა შეძლებისდაგვარად უნდა მოეწყოს საზოგადოებრივ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობით.
28.7 პატიმართა განათლება, შეძლებისდაგვარად, უნდა:
ა. იყოს ინტეგრირებული ქვეყნის საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემაში, იმგვარად, რომ პატიმართა განთავისუფლების შემდგომ მათ ადვილად შეძლონ სწავლის თუ პროფესიული განათლების გაგრძელება და
ბ. მიმდინარეობდეს გარე საგანმანათლებლო დაწესებულებების ეგიდით.

მუხლი 10

1. ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას.

2. ა) ბრალდებული პირები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, განცალკევებულნი უნდა იყვნენ მსჯავრდებული პირებისაგან და ექვემდებარებოდნენ ცალკე რეჟიმს, რომელიც შეესაბამება განსასჯელ პირთა სტატუსს;

ბ) არასრულწლოვანი ბრალდებულები მოთავსებულნი უნდა იყვნენ სრულწლოვანებისგან განცალკევებით და უმოკლეს ვადაში უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილების მისაღებად.

3. პენიტენციურ სისტემაში პატიმართა მიმართ განხორციელებული მოპყრობის მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური რეაბილიტაცია. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები განცალკევებულნი უნდა იყვნენ სრულწლოვანებისაგან და უნდა იმყოფებოდნენ პირობებში, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკს და სამართლებრივ სტატუსს.

ინფორმაციის შეგროვება

დინამიკური უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტი არის ის, რომ ის ინფორმაციით ამარაგებს პენიტენციური სისტემის უსაფრთხოებას. პერსონალი, რომელიც პატიმრებთან ურთიერთობს, აკვირდება და უსმენს, თუ რა ხდება დაწესებულებაში და პატიმრებისგან იღებს ინფორმაციას. პერსონალი აწვდის ამ ინფორმაციას უსაფრთხოების სისტემას და შედეგად, ფასეული მონაცემები შემუშავდება.

დამუშავებული ინფორმაცია: ციკლი, პროცესი და კომპონენტები[25]

დამუშავებული ინფორმაცია (*intelligence*) არის შესაბამის პროცესში გადამუშავებული ინფორმაცია. ეს პროცესი ამცირებს შემთხვევითობის ელემენტს. თუმცა დამუშავებული ინფორმაცია არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც მომავლის გაგების „ჯადოსნური" შესაძლებლობა; მას მხოლოდ საკონსულტაციო დანიშნულება აქვს.

---

24 საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

25 მომზადებულია შემდეგი სახელმძღვანელოს საფუძველზე:
გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სახელმძღვანელო დინამიკურ უსაფრთხოებასა და ციხის დაზვერვაზე, ვენა, გაერთიანებული ერები, 2015 წ. (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე).

დამუშავების პროცესის შედეგად, ინფორმაცია იძენს გარკვეულ მნიშვნელობასა და დატვირთვას. პენიტენციური სისტემის კონტექსტში, დაზვერვის მონაცემები განიმარტება, როგორც ინფორმაცია, რომელიც გადამუშავებულია – ანუ მოპოვებულია, ექსპლუატირებულია და დაცულია – რათა მასზე დაყრდნობით და მისი დახმარებით განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი თუ დისციპლინურსამართლებრივი გამოძიება, ან პერსონალის ჩარევა პენიტენციურ დაწესებულებაში წესრიგსა და უსაფრთხოებას დამუქრებული რისკების პრევენცია-გამორიცხვის მიზნით.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დამუშავების პროცესში გაანალიზებული ინფორმაციის მტკიცებითი ძალა განსხვავდება მტკიცების სტანდარტისგან, რომელიც მოითხოვება სისხლის სამართლის პროცესში. ყველას, ვინც იყენებს დამუშავებულ ინფორმაციას, უნდა ახსოვდეს, რომ, თუ და სანამ სხვა ფაქტებით არ იქნება დადასტურებული, ინფორმაციის გადამუშავების პროცესში გაკეთებული დასკვნები მხოლოდ ვარაუდია ავტორის მხრიდან.

გადამუშავების პროცესი გულისხმობს ღონისძიებების სერიას, რომლებიც ერთობლიობაში ნედლ ინფორმაციას უფრო ფართო მნიშვნელობასა და დატვირთვას აძლევს. ეს ღონისძიებებია: დავალების მიცემა, შეგროვება, შეფასება, შედარება-შეჯერება, ანალიზი, გავრცელება და ხელახლა შეფასება. ამ ღონისძიებების თანმიმდევრულ პროცესს ასევე უწოდებენ ციკლს, რის შედეგადაც ნედლი ინფორმაცია გარდაიქმნება დამუშავებულ ინფორმაციად, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ევროპის საბჭო 36
ნამების პრევენციის კომიტეტი 37
ზოგადი პრინციპები 37
არასრულწლოვანი პატიმრები 38
ქალი პატიმრები 48
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 54
მუხლი 1 – ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება 54
მუხლი 3 – ნამების აკრძალვა 54
მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება 54
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 55
ზოგადი პრინციპები 55
რელევანტური საქმეები 57
i. გონებრივი განვითარების პრობლემის მქონე პატიმრის სხვა პატიმრებისგან დაცვის ვალდებულება: დარღვევა 57
ii. ადმინისტრაციამ არ აღკვეთა სისტემატური არასათანადო მოპყრობა სხვა პირების მხრიდან გამომწვევი ქცევის მქონე აგრესიული დაკავებულის მიმართ: დარღვევა 58

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ზოგადი პრინციპები

ზრუნვის ვალდებულება, რომელიც აკისრია პენიტენციური დაწესებულების პერსონალს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირების მიმართ, მოიცავს მათ დაცვასაც სხვა პატიმრებისგან, რომელთაც მათთვის ზიანის მიყენება აქვთ განზრახული. ზოგადად, პატიმართა შორის ძალადობის შემთხვევები ხშირია სასჯელაღსრულების ყველა სისტემაში, სადაც გვხვდება ძალადობის სახეების ფართო სპექტრი, დაწყებული ზეწოლის ფარული ფორმებიდან, დამთავრებული პირდაპირი დაშინებითა და სერიოზული, ფიზიკური თავდასხმით. პენიტენციური დაწესებულებში პატიმართა შორის ძალადობის ფენომენის დასაძლევად საჭიროა, რომ პერსონალი მზად იყოს (რიცხოვნობის ჩათვლით) ძალაუფლებისა და საზედამხედველო მოვალეობების სათანადო დონეზე განხორციელებისათვის. ციხის პერსონალი მყისიერ ყურადღებას უნდა აქცევდეს საფრთხის ნიშნებს, იღებდეს გადაწყვეტილებას და იყოს სათანადოდ მომზადებული საჭიროების შემთხვევაში სიტუაციაში ჩარევისათვის. აღნიშნულ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის არსებობას, დაფუძნებულს უსაფრთხო პატიმრობისა და მზრუნველობის ცნებებზე. ეს კი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარგად ფლობს პერსონალი პიროვნებათა შორის ურთიერთობის უნარ-ჩვევებს. გარდა ამისა, დაწესებულების ხელმძღვანელობა სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული, რათა ხელი შეუწყოს თანამშრომლებს მათი უფლება-მოვალეობების განხორციელებაში. შესაძლოა, საჭირო გახდეს კონკრეტულ სიტუაციაზე მორგებული უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების გამოყენება (შემოწმების ეფექტიანი პროცედურების ჩათვლით); თუმცა, ამგვარი ზომები მხოლოდ ზემოხსენებული ძირითადი მოთხოვნების დანამატი უნდა იყოს. ამასთანავე, სასჯელაღსრულების სისტემა საჭიროებს პატიმართა სათანადო კლასიფიკაციისა და გადანაწილების საკითხის გადაწყვეტას.[1]

სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული ან მსჯავრდებული პატიმრები სხვა პატიმრების მხრიდან ძალადობის განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ არიან. ამგვარი ფაქტების პრევენცია ყოველთვის ურთულესი გამოწვევა იქნება. გამოსავალი, რომელსაც ასეთ შემთხვევებში ხშირად მიმართავენ,

1 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2001)16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 27.

არის ამგვარი პატიმრების განცალკევება დანარჩენ პატიმართაგან. თუმცა, მსგავსი შედარებითი უსაფრთხოება პატიმრებს, შესაძლოა, ძვირი დაუჯდეთ, რადგან ისინი მეტად შეზღუდულნი იქნებიან სხვადასხვა აქტივობაში, რომელთაც ითვალისწინებს დაწესებულების ჩვეულებრივი რეჟიმი. მეორე მიდგომა ითვალისწინებს სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული ან მსჯავრდებული პატიმრების გაფანტვას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. აღნიშნული მიდგომის წარმატებისათვის აუცილებელია ამგვარ პატიმართა ჩვეულებრივ საკნებში სათანადო ინტეგრაციისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა; კერძოდ, დაწესებულების პერსონალი მტკიცედ უნდა უმკლავდებოდეს დაპირისპირებისა და დევნის ნებისმიერ გამოვლინებას. მესამე მიდგომა კი ითვალისწინებს, ამგვარ პატიმართა გადაყვანას სხვა დაწესებულებაში და, პარალელურად, მათი დანაშაულის ხასიათის დაფარვისათვის ზომების მიღებას. ზემოხსენებულ თითოეულ მიდგომას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და წამების პრევენციის კომიტეტი არ ისწრაფვის რომელიმე მიდგომის მხარდაჭერისკენ მეორის საწინააღმდეგოდ. რასაკვირველია, გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომის გამოყენებაა უპრიანი, დამოკიდებულია თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებაზე.[2]

არასრულწლოვანი პატიმრები

შესავალი შენიშვნები[3]

წამების პრევენციის კომიტეტმა განსაზღვრა კრიტერიუმები, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის დროს თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა დაწესებულებაში, მათ შორის პოლიციის განყოფილებებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, არალეგალური ემიგრანტების დაკავების ცენტრებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

წამების პრევენციის კომიტეტი იყენებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, შესაბამისობის ფარგლებში, იმ არასრულწლოვნების მიმართაც (ე. ი. 18 წლის ასაკამდე პირების მიმართ), რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება. თუმცა, მიუხედავად თავისუფლების აღკვეთის საფუძვლისა, არასრულწლოვნები, თავიანთი ბუნებით, უფრო დაუცველნი არიან, ვიდრე ზრდასრულები. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ იქნეს დაცული მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას იმ მნიშვნელობას, რომელსაც იგი ანიჭებს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნე-

2 *Idem.*

3 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-9 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(99)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1999, პუნქტები 20-21.

ბის მიმათ არასათანადო მოპყრობის აღკვეთას, წამების პრევენციის კომიტეტმა გადაწყვიტა მე-9 ზოგადი ანგარიშის ქვემდებარე თავი დაუთმოს ამ სფეროში თავისი საქმიანობის ზოგიერთი კონკრეტული საკითხის აღწერას.

შემდგომ პარაგრაფებში, მანამდე, სანამ ყურადღებას გაამახვილებს იმ პირობებზე, რომელთა შექმნაც აუცილებელია სპეციალურად არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ თავისუფლების აღკვეთის ცენტრებში, წამების პრევენციის კომიტეტი ხაზს უსვამს არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის რიგ გარანტიებს, რომლებიც, მისი აზრით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყველა თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანისათვის. წამების პრევენციის კომიტეტი იმედოვნებს, რომ ამ გზით, ეროვნულ სახელმწიფო უწყებებს ნათლად წარუდგენს თავის ხედვას ზემოაღნიშნული პირების მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით.

წამების პრევენციის კომიტეტს სურს დასაწყისშივე აღნიშნოს, რომ ამ სფეროში მის მიერ შემუშავებული ნებისმიერი სტანდარტი განხილულ უნდა იქნეს, როგორც იმ პრინციპთა ერთობლიობის დანამატი, რომელიც მოცემულია სხვა საერთაშორისო აქტებში, მათ შორის: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ; 1985 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვნების მართლმსაჯულების განხორციელებისათვის („პეკინის წესები"); 1990 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის და 1990 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენციისათვის („რიადის პრინციპები").

წამების პრევენციის კომიტეტს აგრეთვე სურს, გამოხატოს თავისი მხარდაჭერა ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში განმტკიცებული ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის მიმართ, რომლის მიხედვით, არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და დროის რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში (იხ. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 37-ე (ბ) მუხლი და ასევე პეკინის წესების მე-13 და მე-19 წესები).

დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ[4]

მისი მანდატიდან გამომდინარე, იმ დაწესებულებების მონახულების დროს, რომელშიც არასრულწლოვანები იმყოფებიან, წამების პრევენციის კომიტეტის მთავარი პრიორიტეტი არის იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა არასრულწლოვანთა მიმართ განზრახ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ადგილი. დღეისათვის, წამების პრევენციის კომიტეტის ხელში არსებული მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ მის მიერ მონახულებული დაწესებულებების უმრავლესობაში შედარებით იშვიათად გვხვდება ამგვარი ფაქტები.

თუმცა, ისევე, როგორც სრულწლოვანთა შემთხვევაში, აქაც ჩანს, რომ არასრულწლოვნების მიმართ განზრახ არასათანადო მოპყრობის უფრო დიდი საფრთხეა პოლიციის განყოფილებებში, ვიდრე თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებაში. რეალურად, წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციებმა არაერთ შემთხვევაში შეაგროვეს იმის უტყუარი მტკიცებულებები, რომ იმ პირთა შორის, რომელთა მიმართაც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა წამებას ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობას, არასრულწლოვანებიც იმყოფებოდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დაკავების სწორედ საწყის ეტაპზეა წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის მაქსიმალური რისკი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაკავებულ პირს, (არასრულწლოვნების ჩათვლით), იმ მომენტიდანვე, როდესაც ის იძულებულია, დარჩეს პოლიციის განყოფილებაში, ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი დაკავების ფაქტის შესახებ ნათესავებისთვის ან სხვა მესამე პირისთვის შეტყობინების უფლება, ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება და ექიმის ხელმისაწვდომობის უფლება.

გარდა ზემოთ ნახსენები დაცვის გარანტიებისა, ზოგიერთი სახელმწიფოს იურისდიქცია აღიარებს, რომ არასრულწლოვანთათვის დამახასიათებელი დაუცველობის ფაქტორიდან გამომდინარე, მიღებულ უნდა იქნეს სიფრთხილის სხვა დამატებითი ზომები. ეს მოიცავს პოლიციის თანამშრომლებზე ფორმალური მოვალეობის დაკისრებას, თავად უზრუნველყონ შესაბამისი პირის გაფრთხილება არასრულწლოვანის დაკავების ფაქტის თაობაზე (იმისდა მიუხედავად, მოითხოვს თუ არა არასრულწლოვანი ამის გაკეთებას). აგრეთვე, შეიძლება იყოს შემთხვევები, როცა პო-

4 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-9 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(99)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1999, პუნქტები 22-27.

ლიციის თანამშრომელი არ არის უფლებამოსილი, აწარმოოს არასრულწლოვანის დაკითხვა, თუ ამ პროცესს არ ესწრება აღნიშნული შესაბამისი პირი ანდა არასრულწლოვანის ადვოკატი. წამების პრევენციის კომიტეტი მიესალმება ასეთ მიდგომას.

წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციების მიერ მონახულებულ რიგ სხვა დაწესებულებაში, დელეგაციის წევრებს ატყობინებდნენ, რომ თანამშრომლების მხრიდან „აღმზრდელობითი სილის გაწნა" იმ არასრულწლოვნებისათვის, რომელნიც ცუდად იქცეოდნენ, ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო. წამების პრევენციის კომიტეტი თვლის, რომ არასათანადო მოპყრობის აღკვეთის მიზნით, ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა ოფიციალურად უნდა აიკრძალოს და არ იქნეს გამოყენებული პრაქტიკაში. პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ, წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ დისციპლინური ზომები.

წამების პრევენციის კომიტეტის მუშაობის გამოცდილება ასევე აჩვენებს, რომ იმ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს არასრულწლოვანების მიმართ არასათანადო მოპყრობას, უმეტესწილად ეს განპირობებულია მოცემულ პირთა მიმართ ძალის ბოროტად გამოყენებისაგან სათანადო დაცვის მარცხით, ვიდრე ტკივილის მიყენების წინასწარგანზრახული სურვილით. ძალის ბოროტად გამოყენების მსგავსი შემთხვევების აღმოსაფხვრელად, დაკავებული არასრულწლოვნები მოთავსებულნი უნდა იყვნენ სრულწლოვნებისგან განცალკევებით.

წამების პრევენციის კომიტეტმა გამოავლინა ზემოაღნიშნული პრინციპის გაუთვალისწინებლობის შემდეგი მაგალითები: ზრდასრული მამაკაცი პატიმრები მოთავსებულნი იყვნენ საკნებში არასრულწლოვნებთან ერთად, ხშირად, საკნებში წესრიგი დაცვის მიზნით; არასრულწლოვანი გოგონები მოთავსებულნი იყვნენ ზრდასრულ ქალ პატიმრებთან ერთად; არასრულწლოვანი ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტები მოთავსებულნი იყვნენ ქრონიკულ, სრულწლოვან პაციენტებთან ერთად.

წამების პრევენციის კომიტეტი აღიარებს, რომ შესაძლებელია, არსებობდეს გამონაკლისი სიტუაციები (მაგალითად, ბავშვები და მათი მშობლები, რომლებიც დაკავებულნი არიან, როგორც არალეგალური იმიგრანტები), რომელთა შემთხვევაშიც არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებშია, რომ არ მოხდეს მათი განცალკევება კონკრეტული სრულწლოვანი პირებისგან. თუმცა, არასრულწლოვანთა განთავსება იმ ზრდასრულ პირებთან ერთად, რომლებიც მათთან დაკავშირებულნი არ არიან ნათესაური კავშირით, აუცილებლად გამოიწვევს დომინირებისა და ექსპლუატაციის საფრთხეს.
დაკავების ადგილებში არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კიდევ ერ-

თი გარანტიაა შერეული სქესის პერსონალის არსებობა, განსაკუთრებით, არასრულწლოვანი პატიმრების შემთხვევაში. როგორც მამაკაცი, ასევე ქალი თანამშრომლების ყოლას დადებითი ეფექტი ექნება პატიმრობის ხასიათიდან გამომდინარე და ხელს შეუწყობს დაკავების ადგილებში ნორმალური გარემოს ჩამოყალიბებას.

სქესის მიხედვით შერეული პერსონალის არსებობა, აგრეთვე იძლევა თანამშრომელთა მოვალეობების სათანადოდ გადანაწილების საშუალებას გენდერული კუთხით დელიკატური საკითხების დროს, მაგალითად, როგორიცაა შემოწმება. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტს სურს აღნიშნოს, რომ მიუხედავად ასაკისა, თავისუფლებააღკვეთილი პირების შემოწმება დაშვებულია მხოლოდ იმავე სქესის თანამშრომელთა მიერ და ნებისმიერი სახის შემოწმება, რომელიც პირისაგან მოითხოვს ტანსაცმლის გახდას, არ უნდა წარმოებდეს საწინააღმდეგო სქესის თანამშრომელთა თანდასწრებით; ეს პრინციპები *a fortiori* უნდა გამოიყენებოდეს არასრულწლოვანების მიმართაც.

დაბოლოს, მთელ რიგ მონახულებულ დაწესებულებებში წამების პრევენციის კომიტეტმა შენიშნა, რომ პერსონალი, რომელიც არასრულწლოვანებთან უშუალო კონტაქტში იმყოფება, სრულიად დაუფარავად ატარებდა ხელკეტებს. მსგავსმა პრაქტიკამ შეუძლებელია, ხელი შეუწყოს პერსონალსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. უმჯობესია, თუ დაწესებულების პერსონალი ხელკეტების გარეშე ივლის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ხელკეტების ტარება, წამების პრევენციის კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ ისინი არ ხვდებოდეს თვალთახედვის არეში.

არასრულწლოვანთა პატიმრობის დაწესებულებები[5]

1. შესავალი

ნამების პრევენციის კომიტეტის აზრით, არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირები – სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულები თუ მსჯავრდებულები – უნდა იმყოფებოდნენ სპეციალურად მათი ასაკის პირთათვის განკუთვნილ დაწესებულებაში, რომელიც უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე მორგებულ დღის წესრიგს და რომლის პერსონალიც დაკომპლექტებული იქნება არასრულწლოვნებთან მუშაობისათვის მომზადებული თანამშრომლებით.

---

5 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-9 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(99)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1999, პუნქტები 28-41.

უფრო მეტიც, პატიმრობის პირობებში არასრულწლოვნებზე ზრუნვა განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს ხანგრძლივი სოციალური გარიყულობის შედეგად წარმოშობილი უარყოფითი გავლენის შემცირებისთვის. ეს მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია რიგი სპეციალისტების (მათ შორის მასწავლებლების, ინსტრუქტორების, ფსიქოლოგების) გამოცდილების გამოყენებაზე, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინებისათვის საიმედო აღმზრდელობითი და სოციალურ-თერაპიული გარემოს ჩამოყალიბებას.

2. პატიმრობის მატერიალური პირობები

არასრულწლოვანთა პატიმრობისთვის განკუთვნილი კარგად მოწყობილი ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვანთათვის, ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, პატიმრობის სათანადო პირობებს. გარდა იმისა, რომ არასრულწლოვანთა საძინებელი და საცხოვრებელი ფართი უნდა იყოს სათანადო ზომის, კარგი განათებით და ვენტილაციით უზრუნველყოფილი, ის აგრეთვე უნდა იყოს ნორმალური დიზაინის და სათანადო ავეჯით გაწყობილი, რათა ინევდეს დადებით ვიზუალურ ემოციას. არასრულწლოვან პატიმრებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული რაოდენობის პირადი ნივთების შენახვის უფლება, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ ეწინააღმდეგება უსაფრთხოების მიზნებს.

წამების პრევენციის კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში შეიმჩნეოდა ქალებისა და მათ შორის არასრულწლოვანი გოგონების პირადი ჰიგიენის საკითხების არასათანადოდ შეფასების ტენდენცია. ამ კატეგორიის პატიმართათვის საპირფარეშოსა და სააბაზანე მოწყობილობების დროულ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ჰიგიენის საშუალებებით, მაგალითად, ჰიგიენური პაკეტებით, მათ უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვითარება, როდესაც პატიმრები არ არიან უზრუნველყოფილნი ამგვარი პირველადი საჭიროების საშუალებებით, თავისთავად შეიძლება გაუტოლდეს დამამცირებელ მოპყრობას.

3. რეჟიმით გათვალისწინებული საქმიანობა

მიზანმიმართული საქმიანობის არარსებობა სავალალოა ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის, თუმცა, ეს მეტად საზიანოა არასრულწლოვანებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულად საჭიროებენ ფიზიკურ აქტიურობასა და ინტელექტუალურ განვითარებას. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ საგანმანათლებლო,სპორტული, სასწავლო, პროფესიული, გასართობი და სხვა სახის სასარგებლო ღონისძიებების სრული პროგრამით. ამ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ფიზიკურ მომზადებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებააღკვეთილ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალბატონებს არასრულწლოვანი მამაკაცების მსგავსად, თანაბრად მიუნვდებოდეთ ხელი ზემოაღნიშნულ აქტივობებზე. წამების პრევენციის კომიტეტის დაკვირვებით, მდედრობითი სქესის არასრულწლოვნებისთვის ხშირად გათვალისწინებულია სტერეოტიპის თანახმად, მათთვის „შესაფერისი“ აქტივობები (როგორიცაა მაგალითად, კერვა და სხვა ხელსაქმე) მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი მამაკაცებისთვის – პროფესიული საქმიანობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტს სურს აღნიშნოს, რომ იზიარებს პეკინის წესების 26.4-ე წესში ჩამოყალიბებულ პრინციპს, რომ ყველა ღონე და ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მდედრობითი სქესის თავისუფლებააღკვეთილმა არასრულწლოვნებმა „არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ მამრობითი სქესის ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან შედარებით ნაკლები მზრუნველობა, დაცვა, დახმარება, მოპყრობა და წვრთნა. გარანტირებული უნდა იყოს მათდამი სამართლიანი მოპყრობა.“

წამების პრევენციის კომიტეტის მიერ მონახულებულ რამდენიმე არასრულწლოვანთა დაკავების დაწესებულებაში არსებული რეჟიმი მოიცავდა ისეთ მასტიმულირებელი ხასიათის პროგრამებს, რომელნიც საშუალებას აძლევდნენ არასრულწლოვნებს, მიეღოთ დამატებითი პრივილეგიები სანიმუშო ქცევის სანაცვლოდ.

წამების პრევენციის კომიტეტის კომპეტენციაში არ შედის მსგავსი პროგრამების სოციალური და აღმზრდელობითი ღირებულების შესახებ მოსაზრებების გამოხატვა. თუმცა, წამების პრევენციის კომიტეტის განსაკუთრებული შესწავლის საგანია ამგვარ პროგრამებში მონაწილე არასრულწლოვანთა რეჟიმი – მოიცავს თუ არა ეს პროგრამები პერსონალის თვითნებობისაგან სათანადო დაცვის გარანტიებს არასრულწლოვანთა შეფასების დროს.

4. საკადრო საკითხები

პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვნებზე ზედამხედველობა და მზრუნველობა საკმაოდ პრობლემატური ამოცანაა. აღნიშნული ამოცანისათვის პერსონალი საგულდაგულოდ უნდა შეირჩეს, სიმწიფის და მოცემულ ასაკობრივ ჯგუფთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისა და მათი კეთილდღეობის დაცვის უნარის გათვალისწინებით. უფრო კონკრეტულად, დაწესებულების თანამშრომლები ერთგულნი უნდა იყვნენ თავისი საქმიანობის, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდა ადამიანებთან და უნდა შეეძლოთ მათდამი დაქვემდებარებული არასრულწლოვანი პატიმრების ხელმძღვანელობა და მოტივირება. აღნიშნულმა პერსონალმა, მათ შო-

რის, საზედამხედველო ფუნქციების შემსრულებლებმაც, რეგულარულად უნდა გაიარონ ტრენინგები პროფესიული მომზადების თვის როგორც თანამდებობის დაკავების მომენტისთვის, ისე მის შემდგომაც. ამასთან, მოვალეობების შესრულების დროს, თანამშრომლები გარედანაც უნდა იღებდნენ მხარდაჭერას და ექვემდებარებოდნენ ზედამხედველობას.

გარდა ამისა, ასეთი დაწესებულებების ხელმძღვანელობა უნდა დაევალოს ისეთ პირებს, რომელთაც აქვთ კარგად განვითარებული ლიდერული თვისებები, შეუძლიათ ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ რთულ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნებზე, რომლებიც მათ წაეყენებათ როგორც არასრულწლოვანთა, ისე პერსონალის მხრიდან.

5. კავშირი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული თავისუფლებაააღვეთილი პირისათვის გარე სამყაროსთან კავშირის შენარჩუნების შესაძლებლობას. აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ასეთი კონტაქტების აქტიური ხელშეწყობა განსაკუთრებით სასარგებლოა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთათვის, რომელთაგან ბევრს შესაძლოა, ჰქონდეს ემოციურ დეპრივაციასთან, ან სოციალური უნარჩვევების ნაკლებობასთან დაკავშირებული ქცევის პრობლემები.

წამების პრევენციის კომიტეტს სურს აგრეთვე ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ დაუშვებელია თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა დისციპლინური ზომის გამოყენების სახით.

6. დისციპლინა

ადგილებში, სადაც არასრულწლოვან პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, ყოველთვის გათვალისწინებულია დისციპლინური სანქციების გამოყენება იმ პატიმართა წინააღმდეგ, რომლებიც ცუდი ქცევით გამოირჩევიან.

ამ კუთხით, წამების პრევენციის კომიტეტის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვნების მოთავსება სამარტოო საკნის მსგავს პირობებში, რაც შეადგენს ზომას, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ

ფიზიკურ ანდა ფსიქიკურ ჯანმრთელობას. წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ზომებს უნდა მიმართავდნენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. არასრულწლოვნის სხვებისგან განცალკევება რაც შეიძლება მცირე დროით უნდა იყოს შესაძლებელი და, ყველა შემთხვევაში, მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კონტაქტი ადამიანებთან, საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობა და ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიშები სუფთა ჰაერზე, სულ მცირე, ერთი საათით მაინც.

არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების თითოეული შემთხვევა სათანადოდ უნდა იქნეს აღრიცხული და მას თან უნდა ახლდეს დაცვის ოფიციალური გარანტიები. კერძოდ კი, არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ ახსნა-განმარტების მიცემის უფლება იმ დარღვევასთან დაკავშირებით, რომლის ჩადენაშიც ედებათ ბრალი და მათ მიმართ დაკისრებული ნებისმიერი სახდელის ზემდგომ უწყებაში გასაჩივრების უფლება; აღნიშნული სახდელების დაკისრების შესახებ სრული და დეტალური ჩანაწერები უნდა ინახებოდეს სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც უნდა იწარმოებოდეს ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვნებს აქვთ აღკვეთილი თავისუფლება.

7. ინსპექტირებისა და გასაჩივრების წესი

გასაჩივრების და ინსპექტირების ქმედითი პროცედურები არის ძირითადი გარანტია, არასრულწლოვანთა დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ.

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს უნდა მიეცეთ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა, როგორც თვით დაწესებულების ადმინისტრაციულ სისტემაში, ისე მის ფარგლებს გარეთ და ამასთან, უნდა ჰქონდეთ უფლება, მიმართონ სათანადო უწყებებს კონფიდენციალური წესით.

წამების პრევენციის კომიტეტი აგრეთვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებებში რეგულარულ ვიზიტებს იმ დამოუკიდებელი ორგანოს მიერ (მაგალითად, საინსპექციო კომიტეტი ან მოსამართლე), რომელიც აღჭურვილია უფლებამოსილებით, განიხილოს არასრულწლოვანთა საჩივრები და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს სათანადო ზომები; ასევე, შეამოწმოს არასრულწლოვანთა განთავსების პირობები და ინფრასტრუქტურა.

8. სამედიცინო საკითხები

ციხეებში ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების განხილვისას, თავის მე-3 ზოგად ანგარიშში (იხ. CPT/INF (93) 12, 30 – 77-ე პუნქტები), წამების პრევენციის კომიტეტმა ჩამოაყალიბა რიგი საერთო კრიტერიუმებისა, რომლი-

თაც იგი ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის დროს (ექიმის ხელმისაწვდომობა; თანასწორი სამედიცინო მომსახურება; პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა; პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურება; პროფესიული დამოუკიდებლობა და პროფესიული კომპეტენტურობა). აღნიშნული კრიტერიუმები თანაბრად ვრცელდება ასევე არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებებზეც.

ცხადია, წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისუფლებაააღკვეთილ არასრულწლოვანთა სპეციფიკურ სამედიცინო საჭიროებებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურება წარმოადგენდეს მულტიდისციპლინარულ (სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური) ინტეგრირებულ პროგრამას. ეს გულისხმობს ერთი მხრივ სამედიცინო გუნდის წევრებს შორის (ექიმები, ექთნები, ფსიქოლოგები და ა. შ.) და მეორე მხრივ – პატიმრებთან რეგულარულ კავშირში მყოფ სხვა პროფესიულ ჯგუფებთან (მათ შორის, სოციალურ მუშაკებთან და მასწავლებლებთან) კოორდინირებულ და მჭიდრო თანამშრომლობას. მთავარი მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება შეადგენდეს ღონისძიებათა ერთიანი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, რომელიც თავის თავში გააერთიანებს თერაპიასა და მხარდაჭერას.

აგრეთვე, სასურველია, არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა შედგენილ იქნეს წერილობითი ფორმით და ხელმისაწვდომი იყოს პერსონალის ყველა იმ წევრისათვის, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

ყველა თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი პირი უნდა გამოიკითხოს და შემოწმდეს ექიმის მიერ დაწესებულებაში მიღების მომენტიდან უმოკლეს ვადებში; მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, გასაუბრება და შემოწმება შეიძლება ჩატარდეს დაწესებულებაში მიღების დღის განმავლობაში. თუმცა, ახლადმიღებული არასრულწლოვანის დაწესებულების სამედიცინო პერსონალთან პირველი შეხვედრა შეიძლება ჩაატაროს კვალიფიცირებულმა ექთანმა, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე. პატიმრის მიღებისთანავე ამგვარი სამედიცინო შემოწმების სათანადოდ ჩატარებამ დაწესებულების სამედიცინო სამსახურს უნდა მისცეს ახალგაზრდა პირის ჯანმრთელობის პოტენციური პრობლემების (მაგ. წამალდამოკიდებულება, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება და ა.შ.) დადგენის შესაძლებლობა. ამგვარი პრობლემების საწყის ეტაპზე გამოვლენა ხელს შეუწყობს ქმედითი პრევენციული ზომების მიღებას დაწესებულების

სამედიცინო-ფსიქო-სოციალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში.

გარდა ამისა, ცხადია, ყველა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანს, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად (დისციპლინური დასჯის ჩათვლით), უნდა ჰქონდეს ნებისმიერ დროს ექიმზე კონფიდენციალური წვდომა. ასევე გარანტირებული უნდა იყოს სათანადო ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებზე, სტომატოლოგის ჩათვლით.

თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ დაწესებულებაში ჯანდაცვის სამსახურის მოვალეობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პაციენტების მკურნალობით. ის ასევე უნდა იყოს პასუხისმგებელი სოციალურ და პრევენციულ მედიცინაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან მიმართებით ორ მნიშვნელოვან ასპექტს, კერძოდ, პატიმართა კვებას და სამედიცინო განათლებას.

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პატიმართათვის განკუთვნილი საკვების ხარისხის კონტროლის განხორციელებაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ არასრულწლოვანი პირებისათვის, რომელთაც ჯერ არ შეუწყვეტიათ ზრდის პროცესი. ასეთ შემთხვევებში, არასათანადო კვებით გამოწვეული შედეგები შესაძლოა, გამოიკვეთოს გაცილებით სწრაფად და იყოს უფრო მძიმე, ვიდრე იმ პირთათვის, რომლებმაც უკვე დაასრულეს ფიზიკური ზრდის პროცესი.

აგრეთვე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვან პირებს აქვთ მიდრეკილება თავზეხელაღებული ქცევებისადმი, განსაკუთრებით ნარკოტიკულ საშუალებებთან (მათ შორის ალკოჰოლთან) და სქესობრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის პროფილაქტიკური პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ახალგაზრდების განათლების უზრუნველყოფა. კერძოდ, ამგვარი პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების საშიშროებისა და გადამდები დაავადებების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფას.

ქალი პატიმრები

შესავალი შენიშვნები[6]

თავის ადრინდელ ანაგარიშებში, წამების პრევენციის კომიტეტმა გან-

6 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-10 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2000)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2000, პუნქტები 21-22.

საზღვრა კრიტერიუმები, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის დროს თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა დაწესებულებაში, მათ შორის პოლიციის განყოფილებებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დაკავებული იმიგრანტების მოთავსების ცენტრებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და არასრულწლოვანთა დაკავების დაწესებულებებში.

ბუნებრივია, წამების პრევენციის კომიტეტი იყენებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს როგორც მამრობითი, ისე მდერობითი სქესის თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ. თუმცა, ევროპის საბჭოს წევრ ყველა ქვეყანაში პატიმარ ქალთა რაოდენობა შედარებით მცირეა. სახელმწიფოსათვის შესაძლოა ძალიან ძვირადღირებული იყოს ქალ პატიმართათვის პირობების ცალკე უზრუნველყოფა, ამიტომ ისინი ხშირად განთავსებულნი არიან შეზღუდული რაოდენობის დაწესებულებებში (ზოგჯერ, ასეთი დაწესებულებები საკმაოდ დაშორებულია მათი საცხოვრებელი სახლიდან და ასევე მათზე დამოკიდებული ბავშვებისაგან), რომლებიც თავდაპირველად გამიზნული იყო (და, შესაძლოა, ნაწილობრივ იყოფდნენ კიდეც შენობას მათთან ერთად) მამრობითი სქესის პატიმართათვის. ასეთ გარემოებებში, განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რათა პატიმარი ქალები უზრუნველყოფილნი იყვნენ უსაფრთხო და სათანადო პირობებით.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ თავში ჩამოყალიბებული წამების პრევენციის კომიტეტის მოსაზრებები ეხება ნებისმიერი ტიპის პატიმრობის დაწესებულებას. თუმცა, წამების პრევენციის კომიტეტის გამოცდილების თანახმად, თავისუფლებააღკვეთილი ქალების ფიზიკური, ანდა ფსიქოლოგიური მდგომარეობა შესაძლოა გაცილებით დიდი რისკის ქვეშ დადგეს დაკავების საწყის ეტაპზე. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას სწორედ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

წამების პრევენციის კომიტეტს სურს აღნიშნულ სფეროში მის მიერ შემუშავებული ნებისმიერი სტანდარტი განხილულ იქნეს, როგორც იმ პრინციპთა დანამატი, რაც გათვალისწინებულია სხვა საერთაშორისო აქტებით, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაცის პირინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვისათვის.

შერეული პერსონალი[7]

როგორც წამების პრევენციის კომიტეტმა თავის მე-9 ზოგად ანგარიშში აღნიშნა, ორივე სქესის თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებული შერეული პერსონალი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. მამრობითი და მდედრობითი სქესის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული პერსონალის არსებობას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ეფექტი როგორც პატიმრობის ფსიქოლოგიური, ასევე დაწესებულებებში ნორმალური გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

სქესის მიხედვით შერეული პერსონალის არსებობა, აგრეთვე იძლევა თანამშრომელთა მოვალეობების სათანადოდ გადანაწილების საშუალებას გენდერული კუთხით დელიკატური საკითხების დროს, მაგალითად, როგორიცაა შემოწმება. ამასთან დაკავშირებით წამების პრევენციის კომიტეტს სურს აღნიშნოს, რომ მიუხედავად ასაკისა, თავისუფლებააღკვეთილი პირების შემოწმება დაშვებულია მხოლოდ იმავე სქესის თანამშრომელთა მიერ.

თავისუფლებააღკვეთილი ქალების განცალკევებით მოთავსება[8]

24. მზრუნველობის მოვალეობა, რომელიც სახელმწიფოს ეკისრება თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ, მოიცავს ამ პირთა დაცვის მოვალეობას სხვა პირებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ მათთვის ზიანის მიყენება. წამების პრევენციის კომიტეტს ხშირად მოუსმენია ქალთა განცხადებები, რომ მათ მიმართ სხვა ქალი პატიმრები ძალადობას ახორციელებდნენ. თუმცა, გაცილებით ხშირია პატიმრობაში მყოფ ქალთა მიმართ მამაკაცთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ბრალდებები (უფრო კონკრეტულად, სქესობრივი ძალადობის შესახებ, მათ შორის, სქესობრივი ქვეტექსტებით სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო ვერ ახერხებს პატიმარი ქალების განცალკევებით მოთავსებისა და მათი საზედამხედველო პერსონალის უპირატესად მდედრობოთი სქესის თანამშრომლებით დაკომპლექტების უზრუნველყოფას.

როგორც წესი, თავისუფლებააღკვეთილი ქალები მოთავსებულნი უნდა იყვნენ ისეთ შენობაში, რომელიც ტერიტორიულად არის განცალკევებული იმ შენობისგან, რომელშიც იმყოფებიან იმავე დაწესებულებაში მყოფი თავისუფლებააღკვეთილი მამაკაცები. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ დაიწყო ღონისძიებების გატარება თავისუფლების აღკვეთის

7 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-10 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2000)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2000, პუნქტი 23.
8 Ibid., პუნქტი 24.

დაწესებულებებში წყვილთა (როცა ორივე მათგანს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება) ერთად მოსათავსებლად, ანდა გარკვეულ დონეზე სხვადასხვა სქესის პატიმრებს შორის ურთიერთობისათვის პირობების შესაქმნელად. წამების პრევენციის კომიტეტი მიესალმება ასეთ პროგრესულ ღონისძიებებს იმ პირობით, თუ პატიმრები თანახმა იქნებიან მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში, საგულდაგულოდ მოხდება მათი შერჩევა და უზრუნველყოფილი იქნება მათზე სათანადო ზედამხედველობა.

თანაბარი ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე[9]

თავისუფლებააღკვეთილი ქალები ისევე უნდა სარგებლობდნენ სხვადასხვა შინაარსობრივ საქმიანობაზე (დასაქმება, ტრენინგი, განათლება, სპორტი) ხელმისაწვდომობის უფლებით, როგორც მამრობითი სქესის თავისუფლებააღკვეთილი პირები. როგორც წამების პრევენციის კომიტეტმა თავის ბოლო ანგარიშში აღნიშნა, წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციები ხშირად შეხვედრიან შემთხვევებს, როდესაც თავისუფლებააღკვეთილი ქალებისათვის გათვალისწინებული იყო მათთვის "შესაფერისი" საქმიანობით დაკავება (მაგალითად, როგორიცაა კერვა ან სხვა ხელსაქმე), მაშინ როდესაც თავისუფლებააღკვეთილი მამაკაცებისთვის გათვალისწინებული იყო მეტად პროფესიული ხასიათის მომზადება და საქმიანობები.

წამების პრევენციის კომიტეტის აზრით, ამგვარი დისკრიმინაციული მიდგომა შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ ქალთა სოციალური როლის შესახებ მოძველებული სტერეოტიპების გაძლიერებას. უფრო მეტიც, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ქალებისათვის უარის თქმა რეჟიმით გათვალისწინებული საქმიანობების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც დამამცირებელი მოპყრობა.

მშობიარობამდელი და მშობიარობის შემდგომი მოვლა[10]

ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს ორსულ პატიმარ ქალთა სპეციფიკური დიეტის მოთხოვნები და მიეწოდოთ პროტეინის მაღალი შემცველობის საკვები, ახალი ხილი და ბოსტნეული.

აქსიომატურია, რომ ბავშვები არ უნდა იბადებოდნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა პრაქტიკა ითვალისწინებს შესაფერის დროს ორსულ პატიმარ ქალთა გადაყვანას სამოქალაქო საავადმყოფოში.

9 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-10 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2000)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2000, პუნქტი 25.
10 *Ibid.*, პუნქტები 26-29.

მიუხედავად ამისა, დროდადრო, წამების პრევენციის კომიტეტი აწყდება შემთხვევებს, როდესაც ორსულ ქალებს ხელბორკილებით ან სხვაგვარი საშუალებით აბამენ საწოლზე ან სხვა ავეჯზე გინეკოლოგიური შემოწმებისა ანდა მშობიარობის დროს. ასეთი მიდგომა ყოვლად მიუღებელია და კვალიფიცირდება, როგორც არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. უსაფრთხოების ზომების მისაღებად შესაძლებელია და აუცილებელია, გამოძებნილ იქნეს სხვა საშუალებები.

პატიმრობაში მყოფი ბევრი ქალის მეურვეობის ქვეშ იმყოფებიან ბავშვები ან სხვა პირები, რომელთა კეთილდღეობაზე შესაძლოა უარყოფითად აისახოს ამ ქალთა პატიმრობა.

ამ თვალსაზრისით, თავს იჩენს ერთი განსაკუთრებულად პრობლემატური საკითხი – შეიძლება თუ არა და თუ შეიძლება, რა დროით არის შესაძლებელი ახალშობილი და მცირეწლოვანი ბავშვის დატოვება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დედასთან ერთად. ეს რთული კითხვაა საპასუხოდ, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები აშკარად ვერ უზრუნველყოფენ სათანადო პირობებს ახალშობილი და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ძალიან არასასურველია ბავშვებისა და დედების ერთმანეთისაგან იძულებით დაშორება.

წამების პრევენციის კომიტეტის აზრით, თითოეულ შემთხვევაში ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს ბავშვის კეთილდღეობა. კერძოდ კი, ეს ნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გაწეული ნებისმიერი მშობიარობამდელი და მშობიარობის შემდგომი მზრუნველობა თანასწორი უნდა იყოს დაწესებულების გარეთ, სამოქალქო ჯანდაცვაში არსებულისა. როდესაც ახალდაბადებული ან მცირეწლოვანი ბავშვები იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პირობებში, მათდამი მოპყრობას ზედამხედველობას უნდა უწევდნენ სოციალურ საქმეთა და ბავშვის აღზრდის საკითხთა სპეციალისტები. მიზნად უნდა იყოს დასახული ბავშვის ინტერესებზე კონცენტრირებული გარემოს შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისათვის დამახასიათებელი ნიშნებისგან, მაგალითად, როგორიცაა უნიფორმა და გასაღებების ჩხრიალი.

აგრეთვე, მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა ციხის პირობებში ნორმალურად მიმდინარეობდეს ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარება. კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ თამაშისა და ვარჯიშის სათანადო საშუალებები და შეძლებისდაგვარად, დაწესებულების დატოვებისა და მის კედლებს გარეთ ჩვეულებრივი ცხოვრების საშუალება.

ბავშვის გონებრივი განვითარების ხელშეწყობა დაწესებულების ფარგლებს გარეთ მყოფი ოჯახის წევრების მიერ, ასევე შეიძლება დაეხმაროს ბავშვის აღზრდის ტვირთის განაწილების უზრუნველყოფას (მაგალითად, ბავშვის მამის მიერ). როცა ეს არ არის შესაძლებელი, მიღებული უნდა იქნეს ზომები ბაგა-ბაღის ტიპის დაწესებულებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ასეთი ღონისძიებები შესაძლებლობას მისცემს პატიმარ ქალებს, მეტწილად ჩაერთონ დაწესებულების შიგნით დასაქმების და სხვა აქტივობების პროცესში, ვიდრე ეს სხვა ვითარებაში იქნებოდა შესაძლებელი.

ჰიგიენა და ჯანმრთელობის საკითხები

წამების პრევენციის კომიტეტს სურს აგრეთვე ყურადრება გაამახვილოს ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, რომლებთან დაკავშირებითაც ქალ პატიმართა მოთხოვნილებები მნიშვნელოვანწილად განსხვავდება მამაკაცების მოთხოვნილებებისაგან.

ქალთა ჰიგიენის სპეციფიკური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს სათანადო წესით. საპირფარეშოსა და შხაპის მუდმივ ხელმისაწვდომობას, სისხლით გაუღენთილი ნივთების გადაყრის შესაძლებლობას, ისევე, როგორც, ჰიგიენური საშუალებებით – საფენებითა და ტამპონებით უზრუნველყოფას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამგვარ პირველად საჭიროებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა უტოლდება დამამცირებელ მოპყრობას.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება იყოს იმ სტანდარტების შესაბამისი, რომლითაც სარგებლობენ პაციენტები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებს გარეთ საზოგადოებაში.

რამდენადაც ეს შეეხება თავისუფლებააღკვეთილ ქალებს, თანასწორუფლებიანი ჯანმრთელობის დაცვის მოცემული პრინციპის უზრუნველყოფა მოითხოვს, რომ დაწესებულებების პრაქტიკოს ექიმებსა და ექთნებს გავლილი უნდა ჰქონდეთ სპეციალური მომზადება ქალთა ჯანმრთელობის საკითხებში, მათ შორის, გინეკოლოგიაში.

გარდა ამისა, ქალთა ჯანმრთელობის დაცვის ის პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ჩვეულებრივ საზოგადოებაში, როგორიცაა მკერდისა და საშვილოსნოს ყელის სიმსივნის შემოწმება და კონტროლი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმარი ქალებისთვისაც.

ჯანმრთელობის დაცვის თანასწორობა აგრეთვე მოითხოვს, რომ თა-

ვისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ქალთა უფლება ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე ისევე იქნეს დაცული, როგორც მის ფარგლებს გარეთ საზოგადოებაში. პატიმარ ქალებს ისევე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი აბებსა, ან ორსულობის შეწყვეტის სხვა ფორმებზე, ორსულობის უფრო გვიანდელ საფეხურზე, როგორც თავისუფლებაში მყოფ ქალებს.

პრინციპული საკითხია, რომ პირებს, რომელთაც დაიწყეს მკურნალობის კურსი თავისუფლების აღკვეთამდე, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გააგრძელონ ეს კურსი თავისუფლების აღკვეთის შემდეგაც. ამ კუთხით, ყველა ღონე უნდა იქნას მიღებული, რათა თავისუფლებააღკვეთილი ქალები უზრუნველყოფილნი იყვნენ მათთვის საჭირო სათანადო წამლებით და მკურნალობით.

რაც შეეხება კონტრაცეპტივებს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს წამალი შეიძლება გამოწერილ იქნეს სამედიცინო მიზნისათვის და არა, როგორც პროფილაქტიკური საშუალება (მაგალითად: რათა შემსუბუქებულ იქნეს ტკივილები მენსტრუაციის დროს). ის ფაქტი, რომ ქალთა თავისუფლების აღკვეთა შეიძლება, თავისთავად, დიდად ამცირებდეს ჩასახვის ალბათობას, არ არის აღნიშნულ პრეპარატებზე უარის თქმის საკმარისი მიზეზი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 1 – ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება
მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარლგებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 3 – წამების აკრძალვა
ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება
1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-3 და 1-ლი მუხლებით, ხელისუფლებას ევალება, დაიცვას პატიმრები სხვა პატიმრების მხრიდან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან.[11]

აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა, რომელიც გონივრულად შეიძლება მოითხოვებოდეს პატიმრის ფიზიკურ ხელშეუხებლობას დამუქრებული იმ რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა. ამ ვალდებულების ზუსტი ფარგლები დამოკიდებულია თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებებზე და ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ შეუძლებელი ან არათანაბარზომიერი სიმძიმე არ დააკისროს ხელისუფლებას.[12] ამ ვალდებულების განხორციელებისას, ხელისუფლებამ მხედველობაში უნდა მიიღოს სავარაუდო თავდამსხმელის უფლებების დაცვის საჭიროებაც. ეს ზოგჯერ, შეიძლება, ზღუდავდეს მათი მოქმედების თავისუფლებას.[13]

ვინაიდან ინციდენტის ადგილი ციხეა, იმის შეფასებისას, იმოქმედა თუ არა ხელისუფლებამ გონივრულად პატიმრის ფიზიკური ხელშეუხებლობას დამუქრებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ თავდამსხმელიც და დაზარალებულიც ხელისუფლების კონტროლს ქვეშ არიან, განსხვავებით იმ საქმეებისგან, როცა ორივე მათგანი თავისუფალია.[14]
მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ თავისი ვალდებულება, დაეცვა პატიმრები, არის პატიმრის განსაკუთრებული მოწყვლადობა. პატიმარი შეიძლება განსაკუთრებულად მოწყვლადი იყოს ფსიქიკური პრობ-

11 სტასი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Stasi v. France)*, განაცხადი no. 25001/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტები 77-78.
12 მ.ც. პოლონეთის წინააღმდეგ *(M.C. v. Poland)*, განაცხადი no. 23692/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 3 მარტის გადაწყვეტილების პუნქტები 87-88.
13 დიმჩო დიმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (no. 2) *(Dimcho Dimov v. Bulgaria)*, განაცხადი no. 77248/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 59.
14 იხ. *mutatis mutandis*, ვან კოლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Van Colle v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 7678/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 91 და დიმჩო დიმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (no. 2) *(Dimcho Dimov v. Bulgaria)*, განაცხადი no. 77248/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 60.

ლემების გამო;[15] იმის გამო, რომ ახალგაზრდაა;[16] მიეკუთვნება ძალადობის მომეტებული რისკის კატეგორიას, მაგალითად, თავისი ეთნიკური წარმომავლობის გამო;[17] სექსუალური ორიენტაციის გამო;[18] გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო;[19] რეუიმის ოფიცერთან ნათესაური კავშირის გამო;[20] ვინაიდან მუშაობდა პოლიციელად,[21] დაცვის თანამშრომლად,[22] სასამართლოს თანამშრომლად;[23] ჩადენილი აქვს სექსუალური ხასიათის დანაშაული,[24] გარყვნილი ქმედება მცირეწლოვნის მიმართ;[25] მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, ხომ არ არიან სხვა პატიმრები განსაკუთრებით მიდრეკილი ძალადობისკენ.[26]

---

15 პანტეა რუმინეთის წინააღმდეგ *(Pantea v. Romania)*, განაცხადი no. 33343/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტები 189-92.

16 პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ *(Premininy v. Russia)*, განაცხადი no. 44973/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 86.

17 როდიჩი და სხვები ბოსნია და ჰერცეგოვინას წინააღმდეგ *(Rodić and Others v. Bosnia and Herzegovina)*, განაცხადი no. 22893/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 ნლის 27 მაისის გადაწყვეტილების პუნქტები 69-70.

18 სტასი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Stasi v. France)*, განაცხადი no. 25001/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 91.

19 ჯ.ლ. ლატვიის წინააღმდეგ *(J.L. v. Latvia)*, განაცხადი no. 23893/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 68.

20 ალექსეიევა ლატვიის წინააღმდეგ *(Aleksejeva v. Latvia)*, განაცხადი no. 21780/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 34.

21 ტოტოლიჩი რუმინეთის წინააღმდეგ *(Totolici v. Romania)*, განაცხადი no. 26576/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 14 იანვრის პუნქტები 48-49.

22 სტაროვოიტოვსი ლატვიის წინააღმდეგ (*Starovoitovs v. Latvia)*, განაცხადი no. 27343/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინების პუნქტები 35-38.

23 სიზარევი უკრაინის წინააღმდეგ *(Sizarev v. Ukraine)*, განაცხადი no. 17116/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 114.

24 დ.ფ. ლატვიის წინააღმდეგ *(D.F. v. Latvia)*, განაცხადი no. 11160/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტები 83-84.

25 მ.ც. პოლონეთის წინააღმდეგ *(M.C. v. Poland)*, განაცხადი no. 23692/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 3 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 90.

26 ოშურკო უკრაინის წინააღმდეგ *(Oshurko v. Ukraine)*, განაცხადი no. 33108/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 72.

გონებრივი განვითარების პრობლემის მქონე პატიმრის სხვა პატიმრებისგან დაცვის ვალდებულება: დარღვევა

ფაქტები:[27] პატიმარი დაბადებით სომენადაქვეითებულია და მეტყველების შეფერხება, სწავლის შეზღუდული უნარი აქვს, არ იცის უესტების ოფიციალური ენა, წერა-კითხვის უცოდინარია, არ შეუძლია დათვლა, მისი IQ 39-ს შეადგენს. მხოლოდ დედასთან შეუძლია კომუნიკაცია უესტების ენით. ის ბრალდებულია ძარცვაში და შეფარდებული აქვს პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით, რომელიც დაიწყო 2011 წლის 10 აპრილს და დაახლოებით 3 თვე გაგრძელდა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი პრეტენზიების თანახმად, პატიმარი დაექვემდებარა სქესობრივ ძალადობას სხვა პატიმრების მხრიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: იმის გათვალისწინებით, რომ პატიმარი განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნებოდა, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას წინასწარ უნდა მიეღო ზომები, რათა იგი დაეცვა ისეთი სიტუაციებისგან, რომლებსაც შეეძლო, გამოეწვია პატიმრის დაქვემდებარება არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობისთვის.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაპყრო მოპასუხე სახელმწიფოს განცხადებას, რომლის თანახმადაც, პატიმართან დაკავშირებით, მიღებული იქნა შესაბამისი ზომები 2011 წლის 23 მაისს, თუმცა ევროპული სასამართლოსთვის უცნობი დარჩა, რამდენად გავრცელდა ეს სპეციალური ზომები 23 მაისამდე პერიოდზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ დარწმუნდა, რომ თუნდაც ერთობლიობაში აღებული ღონისძიებები, რომლებიც პენიტენციური დაწესებულების მიერ პატიმრის მიმართ განხორციელდა – იგი საკანში განთავსდა ნათესავთან ერთად, რეჟიმის უფროსის კაბინეტთან ახლოს მდებარე საკანში, რეჟიმის უფროსი გამუდმებით იმყოფებოდა პატიმრის დედასთან სატელეფონო კონტაქტზე, რათა გაერკვია პატიმრის ნიშნების მნიშვნელობა, სხვა პატიმრები იყვნენ ჩართულები წერილების შედგენაში დასახმარებლად და მისთ. – საკმარისი იყო პატიმრის დასაცავად მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებებისგან.

პატიმრის მოწყვლადი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დაამტკიცოს, რომ პენიტენციურმა დაწესებულებამ მიიღო შესაბამისი ზომები.

27 ზ.ვ. უნგრეთის წინააღმდეგ *(Z.H. v. Hungary)*, განაცხადი no. 28973/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება.

მტკიცების ტვირთის მსგავსი განაწილება ემსგავსება იმ შემთხვევებს, როცა თავისუფლების აღკვეთის ადგილში მოთავსებამდე პირი ჯანმრთელია, მაგრამ შემდგომ აღმოაჩნდება დაზიანებები. ამ დროს სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, თუ როგორ იქნა ეს დაზიანებები მიყენებული. თუ სახელმწიფო ამას ვერ შეძლებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფომ ვერ განახორციელა მტკიცების ტვირთი დამაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით, პატიმრობის თავდაპირველ პერიოდთან დაკავშირებით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ იზოლაციისა და უსასოობის გარდაუვალ შეგრძნებას, რომელიც პატიმრის შეზღუდული შესაძლებლობის შედეგი იყო, იმასთან ერთობლიობაში, რომ პატიმარი, სავარაუდოდ, ვერ აღიქვამდა საკუთარ მდგომარეობასა და ციხის რეჟიმს, უნდა გამოეწვია პატიმარში არასრულფასოვნების გრძნობა და მიეყენებინა ტკივილი, რამაც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ზღვარს მიაღწია, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ პატიმარი ჩამოშორდა ერთადერთ ადამიანს – დედამისს, რომელთანაც მას ქმედითი კომუნიკაცია შეეძლო. უფრო მეტიც, მართალია, პატიმრის მტკიცება, რომ მასზე სხვა პატიმრებისგან სქესობრივ ძალადობას ჰქონდა ადგილი, არ დადასტურდა მტკიცებულებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმარს განსაკუთრებით გაუჭირდებოდა ასეთი ინციდენტების რეჟიმის უფროსის ყურადღებამდე მიტანა, რისი შედეგიც უნდა ყოფილიყო შიში და ძალადობისგან დაუცველობის შეგრძნება

სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად ხელისუფლების პოზიტიური, მაგრამ დაგვიანებული ძალისხმევისა, პატიმრის დაპატიმრებამ წინასწარი აუცილებელი ღონისძიებების გონივრულ ვადაში მიუღებლად, გამოიწვია არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, მისი მრავალრიცხოვანი შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 16 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ადმინისტრაციამ არ აღკვეთა სისტემატური არასათანადო მოპყრობა სხვა პირების მხრიდან გამომწვევი ქცევის მქონე აგრესიული დაკავებულის მიმართ: დარღვევა

ფაქტები:[28] განმცხადებელმა განაცხადა ადამიანის უფლებათა ევროპულ

28 პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ *(Premininy v. Russia)*, განაცხადი no. 44973/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადა-

სასამართლოში, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნისას, სხვა დაკავებული პირების მხრიდან სისტემატურ დამცირებასა და არასათანადო მოპყრობას ექვემდებარებოდა. მას მუდმივად სცემდნენ სხვა დაკავებულები, რის შედეგადაც მიიღო თავის ტვინის შერყევა და განუვითარდა ფსიქიკური პრობლემები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულ სასამართლოს უნდა დაედგინა, იცოდა თუ არა დაწესებულების ადმინისტრაციამ, ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ განმცხადებელი ექვემდებარებოდა სხვა დაკავებულების მხრიდან არასათანადო მოპყრობას, ან თუ ემუქრებოდა ასეთი მოპყრობის რისკი.

სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია განმცხადებლის ასაკს (21 წელი) და აღნიშნა, რომ დანესებულების ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო განმცხადებლის გამომწვევი ქცევის შესახებ და უნდა სცოდნოდა, რომ მისი ასეთი ქცევა უფრო მოწყვლადს ხდიდა სხვებთან შედარებით. ადმინისტრაციას უნდა შეემოწმებინა განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. იმის გათვალისწინებით, რომ იგი შედარებით ახალგაზრდა იყო, სისხლის სამართლის სისტემასთან მანამდე შემხებლობა არ ჰქონდა, ადმინისტრაციას უნდა სცოდნოდა, რომ იზოლატორში მოთავსება მას კიდევ უფრო გაანერვიულებდა, უფრო აგრესიულს გახდიდა, რაც თავის მხრივ სხვა დაკავებულების მხრიდან შემხვედრ აგრესიას გამოიწვევდა. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ მისი განსხვავებული ქცევიდან გამომდინარე, ადმინისტრაციას უნდა სცოდნოდა, რომ იგი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იყო, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას და ცემის აშკარა ნიშნები ეტყობოდა, ამის შემდეგაც არ მიიღო დანესებულების ადმინისტრაციამ შესაბამისი ზომები. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თუნდაც დაეშვა, რომ ადმინისტრაციამ თავიდან ვერ გათვალა, რომ არსებობდა არასათანადო მოპყრობის საფრთხე, ადმინისტრაცია პირველი ცემის შემდეგაც არ მიიღო არანაირი ზომები ძალადობის აღსაკვეთად. შემდეგაც, არანაირი ადეკვატური ზომა არ მიღებულა განმცხადებლის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადმინისტრაციას არ შეუსრულებია სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება დაკავებული პირის ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 40 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

წყვეტილების პუნქტი 86.

სპეციალური საშუალებები

გაერთიანებული ერები 62
ნელსონ მანდელას წესები 62
ბანგკოკის წესები 63
ჰავანას წესები 63
სამედიცინო ეთიკის პრინციპები 64
ევროპის საბჭო 64
მინისტრთა კომიტეტი 64
ევროპული ციხის წესები 64
ნამების პრევენციის კომიტეტი 65
ზოგადი სტანდარტები 65
ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები 66
• საქართველო 66
ესტონეთი 69
უკრაინა 69
უნგრეთი 69
ჩეხეთი 69
შვედეთი 70
ზრდასრულ პირთა შეკავების საშუალებები ფსიქიატრიულ დანესებულებებში 70
• შესავალი 70
ზოგადი პრინციპები 71
ნებართვა 72
შეკავების საშუალების გამოყენება 72
ხანგრძლივობა 73
შეკავების საშუალებ(ებ)ის შერჩევა 74
შეკავების რამდენიმე საშუალების ერთდროულად გამოყენება 74
ზედამხედველობა 74
ახსნა-განმარტება 75
თავად პაციენტის მოთხოვნით შეკავების საშუალების გამოყენება 75
ნებაყოფლობითი პაციენტების მიმართ შეკავების საშუალების გამოყენება 75
შეკავების საშუალების დოკუმენტირება და ანგარიშგება 75
საჩივრების სამართალწარმოება 76
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 76
მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება 76
მუხლი 3 – ნამების აკრძალვა 76
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 77
ზოგადი პრინციპები 77
რელევანტური საქმეები 81
i. ციხეში ამბოხების ჩასახშობად გამოყენებულია სასიკვდილო ძალა: არდარღვევა 81
ii. ციხეში ამბოხების ჩასახშობად გამოყენებულია სასიკვდილო ძალა: დარღვევა 82
iii. ხელბორკილის გამოყენება უშუალოდ მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ: დარღვევა 88

iv. ხელბორკილის გამოყენება საავადმყოფოში გადაყვანისას და ოპერაციამდე: დარღვევა 89
v. ხელბორკილების გამოყენება განსაკუთრებით საშიში უსინათლო მსჯავრდებულის მიმართ: დარღვევა 90
vi. მსჯავრდებულის დამაწყნარებელ სანოლზე 9 საათის განმავლობაში დაბმა: დარღვევა 91
vii. მსჯავრდებულის მიმართ წიწაკის გაზის, ფიზიკური ძალის, ტელესკოპური ხელკეტისა და დამაწყნარებელი საწოლის გამოყენება: დარღვევა 93
viii. პატიმრის რეზინის ხელკეტებით ცემა: დარღვევა 95

ნელსონ მანდელას წესები[1]

შეკავების საშუალებები

წესი 47

1. ჯაჭვების, ხუნდების ან შეკავების სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც ორგანულად დამამცირებელია ან იწვევს ტკივილს, აკრძალულია.

2. შეკავების სხვა საშუალებების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნებადართულია კანონით და შემდეგი გარემოებების არსებობისას:

(ა) პატიმრის გადაყვანისას, გაქცევის აღსაკვეთად, იმ პირობით, რომ ეს საშუალება უნდა მოიხსნას, როდესაც პატიმარი წარსდგება სასამართლო ან ადმინისტრაციული უწყების წინაშე;

(ბ) თუ კონტროლის სხვა მეთოდები უშედეგოა, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, რათა დაცული იყოს პატიმარი თვითდაზიანებისგან, სხვები – დაზიანებისგან, ან თავიდან იქნეს აცილებული ქონების დაზიანება, იმ პირობით, რომ დირექტორი ასეთ შემთხვევებში დაუყოვნებლივ შეატყობინებს ექიმს ან სხვა სამედიცინო მუშაკს და ანგარიშს წარუდგენს ზემდგომ ადმინისტრაციულ უწყებას.

წესი 48

1. როდესაც შეკავების საშუალებების დაკისრება ნებადართულია 47-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი პრინციპები უნდა იქნეს დაცული:

(ა) შეკავების საშუალებები მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც კონტროლის უფრო მსუბუქი ფორმა არაეფექტური იქნებოდა შეუზღუდავი მოძრაობით გამოწვეული რისკის გასანეიტრალებლად;

(ბ) შეკავების მეთოდი უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად ინვაზიური, რომელიც აუცილებელია და გონივრულად ხელმისაწვდომია პატიმრის მოძრაობის გასაკონტროლებლად, არსებული რისკის ხარისხისა და ბუნებიდან გამომდინარე;

(გ) შეკავების საშუალებები გამოიყენება იმ ხანგრძლივობით, რაც აუცილებელია და უნდა მოიხსნას შეძლებისდაგვარად მალე, მას შემდეგ, რაც შეუზღუდავი მოძრაობა გამოწვეული საფრთხე აღარ არ იარსებებს.

---

1 გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები"), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 70/175, მიღებულია 2015 წლის 17 დეკემბერს.

2. შეკავების საშუალება არასოდეს გამოიყენება ქალის მიმართ ორსულობის პერიოდში, მშობიარობის დროს და დაუყოვნებლივ ბავშვის დაბადების შემდეგ.

წესი 49

ციხის ადმინისტრაციამ უნდა მოითხოვოს გადამზადების კურსების ხელმისაწვდომობა და უზრუნველყოს ისინი კონტროლის ტექნიკის გამოყენებაზე, რომელიც აღკვეთს შეკავების საშუალებების გამოყენების აუცილებლობას, ან შეამცირებს მათ ინვაზიურობას.

ბანგკოკის წესები[2]

წესი 24

შეკავების საშუალება არასოდეს გამოიყენება ქალის მიმართ ორსულობის პერიოდში, მშობიარობის დროს და დაუყოვნებლივ ბავშვის დაბადების შემდეგ.

ჰავანას წესები[3]

63. შეკავების საშუალებებისა და ძალის ნებისმიერი მიზნისთვის გამოყენება იკრძალება, 64-ე წესში გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.

64. შეკავების საშუალებები და ძალა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც კონტროლის სხვა დანარჩენი მეთოდები ამოწურული და არაქმედითია და მხოლოდ პირდაპირ ნებადართული კანონითა და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული წესით. ამ საშუალებებმა არ უნდა გამოიწვიოს დამცირება და ღირსების შელახვა და უნდა გამოიყენებოდეს შეზღუდულად და მხოლოდ შეძლებისდაგვარად დროის ხანმოკლე პერიოდში. ადმინისტრაციის დირექტორის განკარგულებით, ასეთი საშუალება შეიძლება გამოყენებული იყოს, რათა თავიდან აცილებული იქნეს არასრულწლოვანის მიერ თვითდაზიანება, სხვების დაზიანება ან ქონების სერიოზული დაზიანება. ასეთ შემთხვევებში, დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს რჩევა სამედიცინო და სხვა შესაბამისი პერსონალისგან და ანგარიში წარუდგინოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

---

2 გაერთიანებული ერების წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 65/229, მიღებულია 2010 წლის 6 ოქტომბერს.

3 გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცავად, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 45/113, მიღებულია 1990 წლის 14 დეკემბერს.

65. პერსონალის მიერ იარაღის ტარება და გამოყენება აკრძალულია ყველა იმ ადგილას, სადაც არასრულწლოვანები არიან დაპატიმრებულნი.

სამედიცინო ეთიკის პრინციპები[4]

პრინციპი 5

სამედიცინო ეთიკის პრინციპები, მე-5 პრინციპში ხაზს უსვამს ექიმების ვალდებულებას, არ მიიღონ მონაწილეობა პატიმრების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს სამედიცინო თვალსაზრისით არის აუცილებელი და არ უქმნის საფრთხეს პატიმრის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია Rec (2006) 2 ევროპული ციხის წესების შესახებ[5]

შეკავების საშუალებები

68.1 ჯაჭვებისა და ხუნდების გამოყენება იკრძალება.

68.2 ხელბორკილების, დამაწყნარებელი პერანგისა და სხეულის სხვა შემზღუდველი საშუალებების გამოყენება დაუშვებელია, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) როდესაც აუცილებელია, შეკავების საშუალების გამოყენება პატიმრის გადაყვანისას, გაქცევის აღსაკვეთად, იმ პირობით, რომ ეს საშუალება უნდა მოიხსნას, როდესაც პატიმარი წარსდგება სასამართლო ან ადმინისტრაციული უწყების წინაშე, თუ ეს ორგანო სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ან

ბ) დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, თუ კონტროლის სხვა მეთოდები უშედეგოა, რათა დაცული იყოს პატიმარი თვითდაზიანებისგან, სხვები – დაზიანებისგან, ან თავიდან იქნეს აცილებული ქონების სერიოზული დაზიანება, იმ პირობით, რომ დირექტორი ასეთ შემთხვევებში დაუყოვნებლივ აცნობებს სამედიცინო მუშაკს

4 სამედიცინო ეთიკის პრინციპები სამედიცინო პერსონალის, განსაკუთრებით, ექიმების როლის შესახებ მსჯავრდებულებისა და პატიმრების დაცვაში ნამებისგან, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯისგან, მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 37/194, მიღებულია 1982 წლის 18 დეკემბერს.

5 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

და ანგარიშს წარუდგენს ზემდგომ უწყებას.
68.3 შეკავების საშუალებები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს მკაცრად აუცილებელია.
68.4 შეკავების საშუალებების გამოყენების წესი განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ზოგადი სტანდარტები[6]

53. ძალადობრივ პატიმრებზე კონტროლის დასამყარებლად ციხის პერსონალს ზოგჯერ მოუწევს, გამოიყენოს ძალა და ზოგჯერ შეკავების საშუალებებიც კი. ეს, ცხადია, მომეტებული საფრთხის შემცველი შემთხვევებია პატიმართა მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისით და როგორც ასეთი, საჭიროებს გარანტიებს.

პატიმარს, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებული იქნა ნებისმიერი ძალისმიერი საშუალება, აქვს უფლება, რომ დაუყოვნებლივ იქნეს გამოკვლეული და საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობა ჩაუტარდეს ექიმის მიერ. ეს გამოკვლევა უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პერსონალის სმენადობის და სასურველია, ხილვადობის მიღმა. გამოკვლევის შედეგები (პატიმრის შესაბამისი განცხადებებისა და ექიმის დასკვნების ჩათვლით) უნდა ოფიციალურად დოკუმენტირდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრისთვის. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენება, საჭიროა, პატიმარი იმყოფებოდეს მუდმივი და სათანადო ზედამხედველობის ქვეშ. შეკავების საშუალებები უნდა მოიხსნას შეძლებისდაგვარად მალე; ისინი არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული, მათი გამოყენება არ უნდა გახანგრძლივდეს, სასჯელის სახით. დაბოლოს, პატიმრების წინააღმდეგ ძალის გამოყენების ყველა შემთხვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს.

6 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-2 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(92)3, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1992, პუნქტი 53.

ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები

საქართველო[7]

კომიტეტმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა მრავალ სპეციალურ საშუალებასთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებულია პატიმრობის კოდექსის 57[1] მუხლით. დამაწყნარებელ პერანგთან დაკავშირებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ისინი არასოდეს უნდა გამოიყენებოდეს პენიტენციური დაწესებულების გარემოში, სხვა მიზეზებს შორის, დამამცირებელი და სტიგმატიზირებელი ზემოქმედების გამო. კომიტეტის რეკომენდაციით, დამაწყნარებელი პერანგი ამოღებული უნდა იქნეს სპეციალური საშუალებების ნუსხიდან.

კომიტეტის რეკომენდაციით, პატიმრებთან უშუალო კონტაქტში მყოფი პერსონალის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ტარება არასასურველი და სახიფათო პრაქტიკაა, რომელსაც შეუძლია შექმნას მომეტებული რისკის შემცველი სიტუაციები როგორც პატიმრებისთვის, ისე პერსონალისთვის. ცეცხლსასროლი იარაღიდან თითეული გასროლა უნდა აღირიცხოს და უნდა შედგეს სრულყოფილი ანგარიში, საჭიროების შემთხვევაში კი უნდა ჩატარდეს სრულყოფილი და დამოუკიდებელი გამოძიება.

ცრემლსადენი გაზი და წიწაკის გაზი პოტენციურად საშიში საშუალებებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული დახურულ სივრცეში. ამას გარდა, თუ საგამონაკლისო შემთხვევაში ისინი უნდა იქნეს გამოყენებული ღია სივრცეში, უნდა არსებობდეს ცხადად გაწერილი შესაბამისი გარანტიები. მაგალითად, ის პატიმრები, რომლებიც დაექვემდებარებიან ამ ნივთიერებების მოქმედებას, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ექიმის ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფილნი და დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოთ საშუალებები, რომლებიც ნივთიერებათა მოქმედებას ეფექტურად და სწრაფად გააუვნებელყოფს. ცრემლსადენი გაზი და წიწაკის გაზი არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული პატიმრის მიმართ, რომელიც უკვე კონტროლს არის დაქვემდებარებული. ისინი არ უნდა შეადგენდეს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის სტანდარტულ აღჭურვილობას.

თეიზერების გამოყენება შეიძლება გამართლდეს მხოლოდ, როგორც ბოლო ღონისძიება ძალზე უკიდურეს შემთხვევაში, როცა სიცოცხლეს აშკარა და გადაუდებელი საფრთხე ემუქრება. უფრო მეტიც, მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ და შერჩეულ პერსონალს უნდა შეეძლოს თეიეზერის გამოყენება და ამ დროს ყველა საჭირო უსაფრთხოების ზომა უნდა იქნეს მიღებული. თეიზერები არ უნდა იყოს პატიმრებთან უშუალო კონტაქტში

7 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში საქართველოს მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის საქართველოში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2015)42, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, გვ. 59 *et seq.*

მყოფი პერსონალის სტანდარტული აღჭურვილობის ნაწილი.
CPT-ის რეკომენდაციაა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის, ცრემლსადენი გაზის, წიწაკის გაზის და თეიზერების პენიტენციური დაწესებულების კონტექსტში გამოყენების მარეგულირებელ ნორმებში შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილება-დამატებები.

ფიზიკური შებოჭვის სხვა სპეციალურ საშუალებებს რაც შეეხება, როგორებიცაა დამაწყნარებელი სკამები და საწოლები, მათი გამოყენებისას შემდეგი პრინციპები და მინიმალური სტანდარტები უნდა იქნეს დაცული:

შებოჭვა უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ბოლო საშუალება, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირის მიერ თავისთვის ან სხვებისთვის ზიანის მიყენება, როცა სხვა დანარჩენი გონივრული შესაძლებლობა ვერ შეძლებდა ასეთი საფრთხის გაუვნებელყოფას. მსგავსი ღონისძიება არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სასჯელი ანდა პერსონალის ნაკლებობის დასაკომპენსირებლად; არ უნდა იქნეს გამოყენებული არასამედიცინო ვითარებაში, როდესაც ჰოსპიტალიზაცია უფრო ჯეროვანი ჩარევა იქნებოდა.

შებოჭვის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ყოველთვის უნდა ეცნობოს ექიმს, რათა შეფასებული იქნეს ამ ღონისძიების აუცილებლობა და არა იმისთვის, რომ მან დაადასტუროს, შეუძლია თუ არა პირს აღნიშნული ღონისძიების გადატანა.

შებოჭვისას გამოყენებული აღჭურვილობა სათანადოდ უნდა იყოს დამზადებული, რათა შეამციროს ზიანის მიყენება, დისკომფორტი და ტკივილი. პერსონალი სათანადოდ უნდა მომზადდეს ამ აღჭურვილობის გამოყენებაში.

შებოჭვა უნდა გრძელდებოდეს შეძლებისდაგვარად მოკლე ხნის განმავლობაში (როგორც წესი, წუთები და არა საათები). შებოჭვის გახანგრძლივებას უნდა ჰქონდეს საგამონაკლისი ხასიათი და საჭიროებს ექიმის მიერ დამატებით შემოწმებას. დღეების განმავლობაში ადამიანის შებოჭვას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება და ყველა ვითარებაში შეადგენს არასათანადო მოპყრობას.

რაც შეეხება ზედამხედველობას, ყველა იმ შემთხვევაში, როცა პატიმარი შებოჭილია, სათანადოდ მომზადებული თანამშრომელი გამუდმებით იქვე უნდა იყოს დახმარების აღმოსაჩენად. ასეთი დახმარება შეიძლება მოიცავდეს საპირფარეშოში გაყვანას და საკვების/სასმლის მიღებაში დახმარებას.

პატიმრები, რომლებიც დაექვემდებარნენ შებოჭვას, უნდა იღებდნენ სრულ ინფორმაციას ჩარევის მიზეზებზე.

ყველა იმ დანესებულების ხელმძღვანელობა, სადაც დაშვებულია პატიმრის შებოჭვა, უნდა გასცემდეს წერილობით ინსტრუქციას, რომელშიც ზემოთ მოცემული პრინციპები იქნება გათვალისწინებული. ეს ინსტრუქცია უნდა გადაეცეს პერსონალის ყველა იმ წევრს, რომელიც შებოჭვაში შეიძლება იღებდეს მონაწილეობას.

სპეციალური ჩანაწერები უნდა წარმოებდეს იმისთვის, რათა დაფიქსირდეს ყველა შემთხვევა, როდესაც პატიმრის შებოჭვა გახდა აუცილებელი. უნდა დაფიქსირდეს დრო, როდესაც ღონისძიება შეეფარდა პატიმარს და როდესაც მოიხსნა; საქმის გარემოებები; ღონისძიების გამოყენების მიზეზები; იმ პირის მონაცემები, ვინც ბრძანება გასცა ან დაამტკიცა ღონისძიება და ნებისმიერი ის დაზიანება, რომელიც მიიღო ან პატიმარმა ან პერსონალმა.

ამას გარდა, პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ იმსჯელოს ინციდენტთან დაკავშირებით ღონისძიების გამოყენების განმავლობაში, ან ნებისმიერ შემთხვევაში, შებოჭვის ღონისძიების დამთავრების შემდეგ, შეძლებისდაგვარად, მალე. ამ საუბარში უნდა მონაწილეობდეს სამედიცინო პერსონალის უფროსი თანამშრომელი, ან პერსონალის მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც შესაბამისი ტრენინგი აქვს გავლილი.

კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ ცვლილება შევიდეს დამაწყნარებელი საშუალებისა და საწოლის გამოყენების მარეგულირებელ ნორმებში, რათა აისახოს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები და სტანდარტები. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამაწყნარებელი საშუალებები და საწოლები არასამედიცინო ვითარებაში არ უნდა იქნეს გამოყენებული.

რაც შეეხება აკუსტიკურ საშუალებებს, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერით მონყობილობებსა და წყალსატყორცნებს, – ეს არის ის საშუალებები, რომლებიც ტიპიურად გამოიყენება ბრბოს მაკონტროლებელ სიტუაციებში და არ უნდა გამოიყენებოდეს დახურულ სივრცეში, განსაკუთრებით, საკნებში და პენიტენციური დანესებულების საცხოვრებელ კორპუსებში. მათი შეზღუდული გამოყენების დაშვება მხოლოდ ღია ცისქვეშ შეიძლება, მასობრივი ამბოხების შემთხვევაში. *ყველა შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სათანადოდ მომზადებული პერსონალი, უნდა მოხდეს ამ საშუალებების გამოყენების სათანადო დოკუმენტირება (სისტემატური ვიდეო გადაღების ჩათვლით) და გაწერილი უნდა იყოს ანგარიშგების პროცედურები.*

დაბოლოს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის ახსნა-განმარტების თანახმად, ძაღლები პენიტენციურ დანესებულებაში გამოიყენება მხოლოდ საკნების შესამოწმებლად და ნარკოტიკული საშუალებების აღმოსაჩენად.

ესტონეთი

CPT-ის რეკომენდაციაა, რომ პერსონალსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობების წასახალისებლად, პენიტენციური დაწესებულების პერსონალმა თავისუფლების აღკვეთის ადგილას ღიად და რუტინულად არ უნდა ატაროს ტელესკოპური ხელკეტები, ცრემლსადენი გაზის კანისტრები და ხელბორკილები. აუცილებლობის შემთხვევაში, პერსონალმა ფარულად უნდა ატაროს ეს აღჭურვილობა.[8]

უკრაინა

CPT-ის რეკომენდაციაა, რომ დაუშვებელია ცრემლსადენი გაზით აღჭურვილი რაზმის სისტემატური გამოყენება პენიტენციურ დაწესებულებაში ძაღლის თანხლებით, როცა საკნები ღიაა.[9]

უნგრეთი

CPT-ის რეკომენდაციაა, რომ ცრემლსადენი გაზის პოტენციურად საშიში შედეგების გამო, ეს ნივთიერება დახურულ სივრცეში არ უნდა გამოიყენებოდეს.[10]

ჩეხეთი

თუ გამონაკლის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ გამოყენებული იქნეს ცრემლსადენი გაზი, უნდა არსებობდეს და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მკაფიოდ განსაზღვრული გარანტიები. მაგალითად, ის პატიმრები, რომლებიც დაექვემდებარებიან ამ ნივთიერებების მოქმედებას, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ექიმის ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფილნი და დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოთ საშუალებები, რომლებიც ნივთიერებათა მოქმედებას ეფექტურად და სწრაფად გააუვნებელყოფს.[11]

---

8 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ესტონეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ესტონეთში 2012 წლის ვიზიტის შესახებ, CPT / Inf (2014) 1, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2014, პუნქტი 92.

9 წამების და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში უკრაინის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის უკრაინაში 2002 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2004)34, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2004, პუნქტი 140.

10 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში უნგრეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის უნგრეთში 2013 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2014)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2014, პუნქტი 16.

11 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ჩეხეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ჩეხეთში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2015)18, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, პუნქტი 38.

შვედეთი

CPT-ის რეკომენდაციაა, რომ წიწაკის გაზის პოტენციურად საშიში შედეგების გამო, ეს ნივთიერება დახურულ სივრცეში არ უნდა გამოიყენებოდეს. თუ გამონაკლის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ გამოყენებული იქნეს წინაკის გაზი, უნდა არსებობდეს და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მკაფიოდ განსაზღვრული გარანტიები. მაგალითად, ის პატიმრები, რომლებიც დაექვემდებარებიან ამ ნივთიერებების მოქმედებას, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ექიმის ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფილნი და დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოთ საშუალებები, რომლებიც ნივთიერებათა მოქმედებას ეფექტურად და სწრაფად გააუვნებელყოფს. დაუშვებელია წიწაკის გაზის გამოყენება იმ პატიმრების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე პერსონალის კონტროლს ქვეშ არიან.[12]

ზრდასრულ პირთა შეკავების საშუალებები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

აღნიშნულ თემაზე არსებული პუბლიკაციების[13] და ბოლო წლებში სხვადასხვა ევროპული ქვეყნის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მრავალრიცხოვანი ვიზიტის შედეგების საფუძველზე, წამების პრევენციის კომიტეტმა გადაწყვიტა, გადაესინჯა შეკავების საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული თავისი სტანდარტები და გააერთიანა წინამდებარე დოკუმენტში.[14]

შესავალი

წამების პრევენციის კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა შეკავების საშუალებების გამოყენებას ფსიქიატრიული პაციენტების მიმართ, გამომდინარე ამ საშუალებების ჩამრევი ხასიათიდან და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და არასათანადო მოპყრობის შესაძლებლობებიდან.

CPT დასაწყისშივე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბოლოო მიზანი ყოველთვის უნდა იყოს შეკავების საშუალების გამოყენების აღკვეთა მათი სიხშირისა და ხანგრძლივობის შეძლებისდაგვარად შემცირების გზით. ამ მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ჯანდაცვის შესაბამისი ორგა-

12 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში შვედეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის შვედეთში 2015 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2016)1, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2016, პუნქტი 94.

13 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-8 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(98)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1998, პუნქტები 47-50 და მე-16 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2006)35, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2006, პუნქტები 36-54; იხ. აგრეთვე დოკუმენტი CPT(2012)28 „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შეკავების საშუალებების გამოყენებაზე".

14 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), CPT/Inf(2017)6, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2017.

ნოები და ფსიქიატრიული დაწესებულებების ხელმძღვანელობა შეიმუშავებდეს სტრატეგიას და განახორციელებდეს ფართომასშტაბიან პროაქტიურ ღონისძიებებს, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს უსაფრთხო ფიზიკურ პირობებს (მათ შორის, ღია ცის ქვეშ), ჯანდაცვის პერსონალის საკმარისი რაოდენობით დასაქმებას, პაციენტების შეკავებაზე პასუხისმგებელი პერსონალის შესაბამის საწყის და განგრძობით მომზადებას, ალტერნატიული ღონისძიებების (დეესკალაციის მეთოდების ჩათვლით) განვითარების ხელშეწყობას.

CPT-ის მიერ მონახულებული ქვეყნების უმეტესობაში გამოიყენება ერთი ან მეტი შემდეგი საშუალება:

ა) ფიზიკური შეკავება (პაციენტის მოძრაობის შესაზღუდად პერსონალი იყენებს ფიზიკურ ძალას);

მექანიკური შეკავება (პაციენტს მოძრაობის შესაზღუდად გამოიყენება შეკავების საშუალებები, მაგალითად, ღვედები);

გ) ქიმიური შეკავება (პაციენტის ქცევის კონტროლს დაქვემდებარების მიზნით იძულების წესით გამოიყენება მედიკამენტი);

დ) განცალკევება (პაციენტის იძულებით განმარტოება ხდება ჩაკეტილ ოთახში).

1. ზოგადი პრინციპები

1.1. ძალადობრივი ფსიქიატრიული პაციენტების შეკავება, რომლებიც თავისთვის ან სხვა პირისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, შეიძლება აუცილებელი იყოს გამონაკლის შემთხვევებში.[15]

1.2. შეზღუდვის საშუალებები ყოველთვის უნდა იქნეს გამოყენებული კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების შესაბამისად.

1.3. ყველა სახის შეკავება და მათი გამოყენების კრიტერიუმები უნდა რეგულირდებოდეს კანონით.

1.4. პაციენტების მიმართ შეკავების საშუალებების გამოყენება უნდა იყოს ბოლო ზომა (*ultima ratio*), რათა თავიდან იქნეს აცილებული პაციენტის მიერ თავისთვის ან სხვებისთვის ზიანის მიყენება და შეკავების

15 იხ. აგრეთვე წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის Rec(2004)10 რეკომენდაციის მუხლი 27; აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: ბურეში ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ *(Bureš v. the Czech Republic)*, განაცხადი no. 37679/08 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 86 და მ.ს. ხორვატიის წინააღმდეგ *(M.S. v. Croatia)*, განაცხადი no. 75450/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 97.

საშუალებები ყოველთვის უნდა გამოიყენებოდეს უმოკლესი ვადით. როდესაც საგანგებო სიტუაცია, რომელმაც გამოიწვია შეკავების საშუალების გამოყენება, აღარ არსებობს, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

1.5. შეკავების საშუალება უსაფრთხოების ღონისძიებაა და თერაპიული საფუძველი არ აქვს.

1.6. დაუშვებელია შეკავების საშუალების გამოყენება სასჯელის სახით, პერსონალისთვის კომფორტის შექმნის მიზნით ან პერსონალის ნაკლებობის გამო, ან სათანადო მზრუნველობისა თუ მკურნალობის საშუალების ჩანაცვლების სახით.

1.7. ყველა დაწესებულებას, სადაც ფსიქიატრიული პაციენტები იმყოფებიან, უნდა ჰქონდეს სრულყოფილად ჩამოყალიბებული პოლიტიკა შეკავების საშუალებების გამოყენებაზე. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესში პერსონალიც და მენეჯმენტიც იყოს ჩართული. ეს პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს შეკავების საშუალებების შეძლებისდაგვარ პრევენციას და ცალსახად უნდა ადგენდეს, თუ რომელი საშუალების გამოყენებაა ნებადართული, რა პირობებში და რა პრაქტიკული მეთოდებით, აგრეთვე ზედამხედველობა და ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს შეკავების საშუალების მოხსნის შემდეგ. პოლიტიკა ასევე უნდა შედგებოდეს თავებისგან, შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე: პერსონალის მომზადება; დოკუმენტირება; შიდა და გარე ანგარიშგების მექანიზმები; ახსნა-განმარტებისა და საჩივრების პროცედურები. გარდა ამისა, პაციენტებს უნდა მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია დაწესებულების პოლიტიკის შესახებ შეკავების საშუალებების გამოყენებაზე.

1. ნებართვა

შეკავების საშუალების გამოყენების ყველა შემთხვევაზე ნებართვა ცალსახად უნდა გაიცეს ექიმის მიერ ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ან ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ექიმს, ამ უკანასკნელის თანხმობის მისაღებად. ამ მიზნით, ექიმმა პაციენტი უნდა გამოიკვლიოს შეძლებისდაგვარად მალე. ბლანკეტური ნებართვა დაუშვებელია.

2. შეკავების საშუალების გამოყენება

1.1. შეკავების საშუალება ყოველთვის უნდა იქნეს გამოყენებული კვალიფიციურად და სიფრთხილით, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი პაციენტისთვის ზიანისა თუ ტკივილის მიყენება და მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული მისი ღირსება. შეკავების პრაქტიკული საშუალების გამოყენებამდე პერსონალი სათანადოდ უნდა იქნეს მომზადებული.

1.2. პერსონალს სპეციალური ტექნიკური მომზადება უნდა ჰქონდეს გავლილი პაციენტის ფიზიკური შეკავებისთვის, რათა მინიმუმამდე იყოს

დაყვანილი ტრავმები. ყელში მკლავის მოჭერა და სხვა ტექნიკა, რომელიც პაციენტის სასუნთქ სისტემას ბლოკავს ან ტკივილს აყენებს, უნდა აიკრძალოს.

1.3. მექანიკური შეკავებისას გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ აღჭურვილობა, რომელიც მიზნად ისახავს მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას (სასურველია, ღვედი, რომელსაც რბილი სარჩული აქვს). ყოვლად დაუშვებელია ხელბორკილების თუ ჯაჭვების გამოყენება პაციენტის მექანიკური შეკავებისას. შებოჭილი პაციენტები უნდა იყვნენ პირაღმა მდგომარეობაში და ხელები დაწეული უნდა ჰქონდეთ. ღვედები არ უნდა იყოს მოჭერილი ძალზე მჭიდროდ და უნდა იძლეოდეს კიდურების მაქსიმალურად უსაფრთხო მოძრაობის საშუალებას. პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციები, როგორიცაა სუნთქვა, აგრეთვე კომუნიკაციის უნარი, არ უნდა შეფერხდეს. გაკავებული პაციენტები უნდა იყვნენ სათანადოდ ჩაცმულნი და შეძლებისდაგვარად უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად ჭამა-სმა და საპირფარეშოში ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

1.4. ბადის (თუ გალიის) საწოლების გამოყენება ყველა ვითარებაში აკრძალულია.

1.5. პაციენტები არ უნდა დაექვემდებარონ მექანიკურ შეკავებას სხვა პაციენტების თანდასწრებით (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პაციენტი პირდაპირ გამოთქვამს სურვილს, იყოს ამა თუ იმ პაციენტთან ერთად). სხვა პაციენტებს შეუძლიათ მოძრაობაშეზღუდული პირი მხოლოდ ამ უკანასკნელის ცალსახა თანხმობით მოინახულონ.

1.6. პერსონალმა არ უნდა ისარგებლოს სხვა პაციენტების დახმარებით, პაციენტის მიმართ შეკავების საშუალების გამოყენებისას.

1.7. ქიმიური შეკავებისას, მხოლოდ რეგისტრირებული, აპრობირებული და ხანმოკლე მოქმედების მედიკამენტი უნდა იქნეს გამოყენებული. ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გვერდითი მოვლენები, რომლებიც წამალმა შეიძლება იქონიოს კონკრეტულ პაციენტზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მედიკამენტები გამოიყენება მექანიკური შეკავების საშუალების ან განცალკევების ღონისძიებასთან ერთობლიობაში.

1.8. რაც შეეხება განცალკევებას, ოთახში, სადაც პაციენტები განთავსდებიან, სპეციალურად უნდა იყოს ამ კონკრეტული მიზნისთვის მოწყობილი. კერძოდ, მან უნდა უზრუნველყოს პაციენტის უსაფრთხოება და დამამშვიდებელი გარემო.

3. ხანგრძლივობა

1.1. მექანიკური შეკავების და განცალკევების ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე (როგორც წესი, უნდა გრძელდებოდეს, წუთების და არა საათების განმავლობაში) და უნდა შეწყდეს, მათი გამოყენების საფუძვლის შეწყვეტისთანავე.

მექანიკური შეკავების გამოყენება რამდენიმე დღის განმავლობაში გაუმართლებელია და CPT -ის აზრით, არასათანადო მოპყრობას შეადგენს.

1.2. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ეს მოითხოვება მდგომარეობიდან გამომდინარე, რომ პირი მექანიკურად იყოს შეკავებული ან განცალკევებული უფრო მეტხანს, ვიდრე რამდენიმე საათია, ღონისძიება უნდა გადასინჯული იყოს ექიმის მიერ დროის მოკლე ინტერვალებში. ასეთ შემთხვევებში, აგრეთვე, როდესაც შეკავების საშუალება განმეორებით გამოიყენება, მეორე ექიმის ჩართვა და პაციენტის სპეციალიზირებულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა უნდა იქნეს განხილული.

4. შეკავების საშუალებ(ებ)ის შერჩევა

შეკავების საშუალების გამოყენებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყველაზე ნაკლებად შემზღუდველ და ნაკლებად სახიფათო საშუალებას. ამ დროს უნდა იყოს გათვალისწინებული იყოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა პაციენტის მოსაზრება (იმის ჩათვლით, თუ რომელ საშუალებასთან დაკავშირებით აქვს წინასწარ არჩევანი დაფიქსირებული) და ადრინდელი გამოცდილება.

5. შეკავების რამდენიმე საშუალების ერთდროულად გამოყენება

ზოგჯერ განცალკევება, ფიზიკური თუ მექანიკური შეკავება შეიძლება გამოიყენებოდეს ქიმიურ შეკავებასთან ერთად. ასეთი პრაქტიკა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუ იგი სავარაუდოდ შეამცირებს შეკავების ღონისძიების ხანგძლივობას, ანდა მიიჩნევა აუცილებლად, რათა პაციენტისთვის თუ სხვებისთვის მძიმე ზიანის მიყენება იქნეს თავიდან აცილებული.

6. ზედამხედველობა

თითოეული პაციენტი, რომელიც დაქვემდებარებულია მოძრაობის შეზღუდვის ან განცალკევების ღონისძიებას, უნდა ექვემდებარებოდეს მუდმივ ზედამხედველობას. მექანიკური შეკავების შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი მუდმივად უნდა იყოს ოთახში, რათა თერაპიული და სხვა სახის დახმარება აღმოუჩინოს პაციენტს. თუ პაციენტები განცალკევებულები არიან, თანამშრომელი უნდა იყოს პაციენტის ოთახს გარეთ (ან მეზობელ ოთახში, მაკავშირებელი ფანჯრით), იმ პირობით, რომ პაციენტს შეუძლია სრულად ხედავდეს თანამშრომელს და ამ უკანასკნელს შეუძლია, გამუდმებით აკვირდებოდეს და ესმოდეს პაციენტის. ცხადია, ვიდეო მეთვალყურეობამ არ შეიძლება შეცვალოს თანამშრომლის მუდმივად იქ ყოფნა.

7. ახსნა-განმარტება

შეკავების საშუალებების მოხსნის შემდეგ, აუცილებელია პაციენტთან გასაუბრება, რათა მას განუმარტონ შეკავების მიზეზები, შეუმცირდეს ფსიქოლოგიური ტრავმა, რაც ამ ღონისძიების გამოყენების შედეგად მიიღო და აღდგეს ექიმ-პაციენტს შორის ურთიერთობა. ეს აგრეთვე შესაძლებლობას აძლევს პაციენტს, რომ პერსონალთან ერთად გამოძებნოს ალტერნატიული საშუალება საკუთარ თავზე კონტროლის შესანარჩუნებლად, ამ გზით მომავალში შეძლებისდაგვარად თავიდან რომ იქნეს აცილებული ძალადობა და შემდგომი შეკავება.

8. თავად პაციენტის მოთხოვნით შეკავების საშუალების გამოყენება

ზოგჯერ შეიძლება, პაციენტები ითხოვდნენ მათ მიმართ შეკავების საშუალების გამოყენებას. უმეტეს შემთხვევაში „მზრუნველობის“ გაწევის თაობაზე ასეთი მოთხოვნები გულისხმობს, რომ პაციენტის საჭიროებები არ არის დაკმაყოფილებული და სხვა თერაპიული ღონისძიებების გამოყენება უნდა იქნეს განხილული. თუ პაციენტი მაინც დაექვემდებარება მისი მოთხოვნით შეკავების რაიმე ფორმას, ეს საშუალება უნდა მოიხსნას, როგორც კი პაციენტი განთავისუფლებას მოითხოვს.

9. ნებაყოფლობითი პაციენტების მიმართ შეკავების საშუალების გამოყენება

როდესაც აუცილებლად მიიჩნევა ნებაყოფლობითი პაციენტის მიმართ შეკავების საშუალების გამოყენება და პაციენტი ამაზე თანახმა არაა, პაციენტის სამართლებრივი სტატუსი უნდა გადაისინჯოს.

10. შეკავების საშუალების დოკუმენტირება და ანგარიშგება

1.1. გამოცდილება აჩვენებს, რომ შეკავების საშუალების გამოყენების თაობაზე დეტალური და ზუსტი ჩანაწერები საავადმყოფოს ხელმძღვანელობას აძლევს შესაძლებლობას, რომ გააკონტროლოს მათი გამოყენების სიხშირე და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ზომები მათ შესამცირებლად. ამ მიზნით, უნდა შედგეს სპეციალური ჟურნალი, რომელშიც უნდა აღინეროს ყველა შემთხვევა, როცა შეკავების საშუალების გამოყენება გახდა აუცილებელი (ქიმიური შეკავების ჩათვლით). აღნიშნული უნდა ავსებდეს პაციენტის პირად სამედიცინო ბარათში არსებულ ჩანაწერებს. ამ ჩანაწერებში უნდა აღინიშნოს შეკავების საშუალების გამოყენების და დასასრულის დრო, ინციდენტის გარემოებები, მიზეზები, თუ რატომ იქნა საშუალება გამოყენებული, ექიმის სახელი, ვინც ბრძანება გასცა შეკავების საშუალების გამოყენებაზე, ან დაადასტურა იგი და ის დაზიანებები, რომლებიც მიიღო პაციენტმა ან პერსონალმა. პაციენტებს უნდა შეეძლოთ, დაურთონ თავიანთი შენიშვნები ჩანაწერებს და უნდა ეცნობოთ ამ შესაძლებლობის შესახებ. მოთხოვნისას, მათ შეუძლიათ მიიღონ სრული ჩანაწერის ასლი.

1.2. შეკავების საშუალების გამოყენების სიხშირე და ხანგრძლივობა რეგულარულად უნდა ეცნობოს ზემდგომ ინსტანციას ანდა შესაბამის გარე მონიტორინგის ორგანოს (მაგალითად, ჯანდაცვის ინსპექტორატს). ეს ხელს შეუწყობს არსებული შეკავების პრაქტიკის ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე შეჯერებას, შეკავების საშუალების გამოყენების სიხშირისა და ხანგრძლივობის შემცირების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის.

11. საჩივრების სამართალწარმოება

საჩივრების ქმედითი სამართალწარმოება არასათანადო მოპყრობის საწინააღმდეგო ფუძემდებლური გარანტიაა ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ფსიქიატრიულ პაციენტებს (აგრეთვე მათ ოჯახის წევრებს და კანონიერ წარმომადგენლებს) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დაწესებულების ადმინისტრაციის შიგნით საჩივრების წარსადგენად და უნდა შეეძლოთ – კონფიდენციალურ საფუძველზე – დამოუკიდებელი გარე უწყებისთვის მიმართვა. საჩივრების პროცედურა უნდა იყოს მარტივი, ქმედითი და მომხმარებლისთვის ადვილი, განსაკუთრებით, ენობრივი თვალსაზრისით. პაციენტებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ მიიღონ საჩივრებთან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაცია და მიიღონ უფასო იურიდიული დახმარება, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 2– სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული...

2. სიცოცხლის ხელყოფა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომლიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან;

ბ) მართლზომიერი დაკავებისთვის, ანდა მართლზომიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) მართლზომიერ ღონისძიებათა განხორციელებისთვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

მუხლი 3 – წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

სიცოცხლის უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი უშვებს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენებას გარკვეულ ვითარებაში.[16] შესაბამისად, პენიტენციურ სისტემაში სასიკვდილო ძალის გამოყენებაც ასევე შეიძლება გამართლდეს გარკვეულ ვითარებაში. თუმცა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სრულ თავისუფლებასაც არ აძლევს შესაბამის სამსახურებს. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მოუწესრიგებელი და თვითნებური ქმედება ადამიანის უფლებათა ქმედით დაცვასთან შეუთავსებელია. ეს ნიშნავს, რომ *inter alia,* თვითნებობისა და ძალის გამოყენების წინააღმდეგ სათანადო და ქმედითი გარანტიების სისტემის შექმნით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მის წარმომადგენლებს სათანადოდ ესმით თავიანთი უფლებამოსილების ფარგლები და რომ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ არა მარტო შესატყვისი პროფესიული რეგულაციებით, არამედ აგრეთვე სათანადოდ ითვალისწინებენ ადამიანის უფლების, როგორც ფუძემდებლური ღირებულების დაცვის მნიშვნელობას.[17]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გამონაკლისები ვრცელდება, მაგრამ არა საგამონაკლისოდ, ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ პირის განზრახ მოკვდინებაზე. მე-2 მუხლი, მთლიანობაში წაკითხული, გულისხმობს, რომ მისი მე-2 პუნქტი უპირატესად იმ შემთხვევებს კი არ განსაზღვრავს, რომლებშიც ნებადართულია პირის განზრახ მკვლელობა, არამედ აღწერს იმ შემთხვევებს, რომლებშიც ნებადართულია „ძალის გამოყენება", რომელსაც განუზრახველ შედეგად შეიძლება მოჰყვეს პირის გარდაცვალება.[18] ძალის გამოყენება „აბსოლუტურად აუცილებელი" უნდა იყოს, რაც გულისხმობს იმას, რომ ძალა უნდა იყოს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ა)-გ) ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მიზნებთან მკაცრად თანაბარზომიერი.[19]

---

16 კავაკლიოღლუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ *(Kavaklıoğlu and Others v. Turkey)*, განაცხადი no. 15397/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 161.

17 ნინა კუცენკო უკრაინის წინააღმდეგ *(Nina Kutsenko v. Ukraine)*, განაცხადი no. 25114/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 168.

18 ტაგაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ *(Tagayeva and Others v. Russia)*, განაცხადები nos. 26562/07 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 601.

19 გიული თურქეთის წინააღმდეგ *(Gül v. Turkey)*, განაცხადი no. 22676/93, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 77 და 78.

როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აფასებს, იყო თუ არა განზრახ სასიკვდილო ძალის გამოყენება აბსოლუტურად აუცილებელი, ევროპული სასამართლო ითვალისწინებს საქმის მთლიან ვითარებას, სახელმწიფოს წარმომადგენლების ქცევას, რომლებიც იყენებენ სასიკვდილო ძალას და იმას, თუ რამდენად სათანადოდ იყო შესაბამისი ოპერაცია დაგეგმილი, ექვემდებარებოდა თუ არა კონტროლს, რათა შესაძლო მინიმუმამდე დაეყვანა სასიკვდილო ძალის გამოყენება თუ სიცოცხლის შემთხვევით ხელყოფის ინციდენტები და როგორ იყო კოორდინირებული და განხორციელებული. მიღებული იქნა თუ არა უსაფრთხოების ყველა შესაძლო ღონისძიება ძალის გამოყენების ოპერაციის საშუალებებისა და მეთოდების შერჩევისას.[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აგრეთვე ამოწმებს შესაბამისი უწყების თანამშრომლების მომზადების დონეს, ძალის გამოყენების ინსტრუქციების ხარისხს.[21]

სასამართლო ყურადღებით განიხილავს, რამდენად სათანადოდ იყო დაგეგმილი, კოორდინირებული და აღსრულებული ძალის გამოყენების ოპერაცია და რამდენად ექვემდებარებოდა სათანადო კონტროლს, რათა შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი სასიკვდილო ძალის გამოყენება და სიცოცხლის ხელყოფა; მიღებული იქნა თუ არა უსაფრთხოების ყველა შესაძლო ღონისძიება ძალის გამოყენების ოპერაციის საშუალებებისა და მეთოდების შერჩევისას.

i. კანონიერი საფუძველი

სახელმწიფოს სამართალდამცავ პირთა საქმიანობა უნდა ემყარებოდეს კანონიერ საფუძველს და არ უნდა იყოს თვითნებური. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობა არა მარტო უნდა არეგულირებდეს ძალის გამოყენებას, არამედ მნიშვნელობა ენიჭება თავად ამ რეგულირების ხარისხსაც. კერძოდ, რამდენად დეტალურია რეგლამენტაცია, რამდენად არის გათვალისწინებული შესატყვისი ქმედითი გარანტიები თვითნებობისა და ძალის ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე თავიდან აცილებადი უბედური შემთხვევების არდასაშვებად. შესაბამისი სამართალდამცველი პირები თავიანთი ფუნქციების შესრულებისას არ უნდა მოქმედებდნენ ვაკუუმში, იქნება ეს წინასწარ დაგეგმილი ოპერაცია, თუ სახიფათოდ მიჩნეული პირის სპონტანური დევნა, – უნდა არსებობდეს მკაფიოდ გაწერილი სამართლებრივი ბაზა, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს იმ საგამონაკლი-

20 აივაზიანი სომხეთის წინააღმდეგ *(Ayvazyan v. Armenia)*, განაცხადი no. 56717/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 75.

21 მაკარაცისი საბერძნეთის წინააღმდეგ *(Makaratzis v. Greece)*, განაცხადი no. 50385/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2004 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 70.

სო შემთხვევებს, როდესაც დაშვებულია ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. ეს საკანონმდებლო ბაზა უნდა ემყარებოდეს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს.[22]

ii. წვრთნა

ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე უფლებამოსილ სამართალდამცავ პირებს უნდა ჰქონდეთ გავლილი შესაბამისი წვრთნა, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას, შეაფასონ, არსებობს თუ არა ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა. წვრთნის პროგრამა სათანადო ყურადღებას უნდა აქცევდეს სიცოცხლის უფლების, როგორც ფუძემდებლური ფასეულობის დაცვის წამყვან მნიშვნელობას.[23]

iii. ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები

სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება ნიშნავს, არ დაარღვიოს უფლება, ხოლო პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, გადადგას ქმედითი ნაბიჯები უფლების უზრუნველსაყოფად. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალდამცავი პირის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას ხშირად რთულია სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების გამიჯვნა. შესაბამისად, ამ დროს სასამართლო არა მარტო აფასებს სასიკვდილო ძალის გამომყენებელი პირის ქცევას, მოქმედებს თუ არა იგი ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში და იყენებს თუ არა მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელ ძალას, არამედ მხედველობაში იღებს იმასაც, თუ რამდენად იქნა შესრულებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნით, პერსონალის წვრთნით, ოპერაციის დაგეგმვის, კოორდინირებისა და კონტროლის გზით.[24]

ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით არ არის განუსაზღვრელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა საფრთხე, რაც კი დაემუქრება ადამიანის სიცოცხლეს, არ ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებას, მიიღოს კონკრეტული ზომები ამ რისკის თავიდან ასაცილებ-

22 კავაკლიოღლუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ *(Kavaklıoğlu and Others v. Turkey)*, განაცხადი no. 15397/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 162.

23 მაკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(McCann and Others v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 18984/91, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 212.

24 კავაკლიოღლუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ *(Kavaklıoğlu and Others v. Turkey)*, განაცხადი no. 15397/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 164.

ლად. კონკრეტული ზომების მიღების ვალდებულება წამოიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემულ დროს, ხელისუფლებამ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა სიცოცხლეს დამუქრებული რეალური და გარდაუვალი საფრთხის არსებობის შესახებ და ჰქონდა თუ არა ხელისუფლებას სიტუაციაზე კონტროლის გარკვეული ხარისხი. ხელისუფლების ვალდებულებაა, მიიღოს ზომები, რომლებიც რეალისტურია მოცემულ ვითარებაში. პოზიტიური ვალდებულება ისე უნდა განიმარტოს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას სიცოცხლის უფლების უზრუნველსაყოფად შეუძლებელი და არათანაბარზომიერი ტვირთი არ დაეკისროს; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამედროვე საზოგადოებაში წესრიგის დამყარებასთან დაკავშირებული სირთულეები, ადამიანის ქცევის წინასწარგანუჭვრეტელობა და ოპერაციული არჩევანი, რომლის გაკეთებაც სამართალდამცავ ორგანოს უწევს მისი პრიორიტეტებისა და ხელთ არსებული რესურსების შესაბამისად.[25]

ამ კონტექსტში აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ შეიძლება გამართლდეს სამართალდამცავი პირების მიერ ძალის გამოყენება, როცა ისინი მიისწრაფვიან, დაიცვან ერთი ან რამდენიმე მიზანი, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტშია გათვალისწინებული ისე, რომ ძალის გამოყენება ამ პირის მიერ კეთილსინდისიერად და შესაბამისი მიზეზების გამო მიიჩნევა აუცილებლად მოცემულ მომენტში, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდება, რომ ეს შეფასება მცდარი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლებას და მის სამართალდამცავ პერსონალს დაეკისრება არარეალისტური ტვირთი თავისი ფუნქციების შესრულებისას და ასევე შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს მათი თუ სხვების სიცოცხლე.[26]

წამების აკრძალვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელბორკილის და სხვა სპეციალური საშუალებების გამოყენება, როგორც წესი, კონვენციის მე-3 მუხლის თვალსაზრისით პრობლემას არ იწვევს, იმ პირობით, თუ იგი გამოყენებულია მართლზომიერი პატიმრობის დროს და პირი არ დაქვემდებარებულა იმაზე მეტ ძალასა თუ საზოგადოების მხრიდან ყურადღებას, ვიდრე ეს გონივრულად აუცილებელი იყო. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, მაგალითად, არსებობს თუ არა პირის მიერ მიმალვის, ან ზიანისა თუ ზარალის მიყენების საფრთხე. ევროპულ სასამართლოს ასევე მრავალჯერ აღუნიშნავს, რომ ხელბორკილით ან ბორკილით ავადმყოფი ან სხვაგვარად დასუსტებული პირის დაბმა უს-

25 ოზმანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Osman and Others v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 23452/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 116.

26 მაკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(McCann and Others v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 18984/91, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 200.

აფრთხოების მოთხოვნებთან მიმართებით არათანაბარზომიერია და შეადგენს დამცირებას, მიუხედავად იმისა, განზრახული იყო თუ არა პირის დამცირება ამ ღონისძიების გამოყენებით.[27]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს პენიტენციურ დაწესებულებაში ძალადობის და პატიმრების დაუმორჩილებლობის სწრაფი ესკალაციის და ამბოხში გადაზრდის შესაძლებლობას. ევროპული სასამართლო ეთანხმება, რომ ძალის გამოყენება შეიძლება ზოგჯერ აუცილებელი იყოს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ციხეში უსაფრთხოება და შენარჩუნებული იქნეს წესრიგი, ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ამის მიუხედავად, ასეთი ძალა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ მისი გამოყენება გარდაუვალია და არ არის გადამეტებული. ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც მკაცრად აუცილებელი არ ყოფილა თავად პატიმრის ქმედებით, ამცირებს ადამიანის ღირსებას და, როგორც წესი, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას შეადგენს.[28]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცნობიერებს იმ სირთულეებს, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლებას ხვდება პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და დისციპლინის დამყარებისას. ეს განსაკუთრებით ეხება საშიში პატიმრების უნესრიგო ქცევას. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია, რომ დამყარდეს წონასწორობა სხვადასხვა პატიმრების უფლებებსა და უსაფრთხოების მიზნებს შორის.

რელევანტური საქმეები

ციხეში ამბოხების ჩასახშობად გამოყენებულია სასიკვდილო ძალა: არდარღვევა

ფაქტები:[29] 1996 წელს, თურქეთის ციხეში მოხდა დაპირისპირება პატიმრებსა და დაწესებულების უსაფრთხოების პერსონალს შორის. დაიღუპა ოთხი პატიმარი და მძიმედ დაშავდნენ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. გარდაცვლილი პატიმრების ნათესავებმა იჩივლეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების თაობაზე.

---

27 კორნეიკოვა და კორნეიკოვი უკრაინის წინააღმდეგ *(Korneykova and Korneykov v. Ukraine)*, განაცხადი no. 56660/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 111.

28 ვლადიმირ რომანოვი რუსეთის წინააღმდეგ *(Romanov v. Russia)*, განაცხადი no. 41461/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 63.

29 გიომი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ *(Gömi and Others v. Turkey)*, განაცხადი no. 35962/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არ განსაზღვრავს შემთხვევებს, რომლებშიც ნებადართულია პირის განზრახ მკვლელობა. ამის ნაცვლად, ნებადართულია ძალის გამოყენება, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს პირის გარდაცვალება. ძალის გამოყენება უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი, რაც გულისხმობს იმას, რომ ძალა უნდა იყოს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ მიზნებთან მკაცრად თანაბარზომიერი. ამ დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იხილავს საქმის ვითარებას, სახელმწიფოს წარმომადგენლების ქცევას, რომლებიც იყენებენ სასიკვდილო ძალას და იმას, თუ რამდენად სათანადოდ იყო შესაბამისი ოპერაცია განხორციელებული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს, რომლებმაც ამბოხების ჩახშობაში მიიღეს მონაწილეობა, სპეციალური წვრთნა ჰქონდათ გავლილი. მათ არ გამოუყენებიათ ცეცხლსასროლი იარაღი, არამედ შესაბამისი ინსტრუქციების თანახმად, გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები, აგრეთვე წყლის ჭავლი.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ვერ უგულებელყოფდა ციხეში ძალადობის ამბოხებად ესკალირების შესაძლებლობას და აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სამსახურმა გამოიყენა შესაბამისი საშუალებები, როგორებიცაა ცრემლსადენი გაზის ჭურვები, წყლის ჭავლი და ხელკეტები ამბოხების ჩასახშობად. თუმცა რეგულაციები ნებას რთავდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას, უსაფრთხოების სამსახურს ის არ გამოუყენებია. დაბოლოს, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის ზიანი, რომელიც მიადგა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებსაც მრავლობითი ჭრილობის სახით. ამით ცხადი იყო სიტუაციის სიმძიმე და ძალის გამოყენების აუცილებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დაადგინა, რომ გამოყენებული ძალა არათანაბარზომიერი იყო.

ციხეში ამბოხების ჩასახშობად გამოყენებულია სასიკვდილო ძალა: დარღვევა

ფაქტები:[30] საქმე ეხება ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციას, რომელიც 1999 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა თურქეთში, ულუჯანლარის ციხეში. ოპერაცია ციხის პერსონალსა და პატიმრებს შორის არსებული ხანგრძლივი

30 კავაკლიოღლუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ *(Kavaklıoğlu and Others v. Turkey)*, განაცხადი no. 15397/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

კონფლიქტის კულმინაცია იყო. ეს კონფლიქტი 1996 წელს დაიწყო. აქედან მოყოლებული, ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო კონფლიქტის გამომწვევი მთელი რიგი პრობლემები. პრობლემები დაკავშირებული იყო ციხის გადატვირთულობასთან და ციხის კომპლექსის სიძველესთან. აგრეთვე, ციხის შენობა გათვლილი იყო პატიმრობაში მყოფ პირებზე და არა მსჯავრდებულებზე. პატიმრების მოთხოვნები ძირითადად ეხებოდა საცხოვრებელ კორპუსებში სივრცის ნაკლებობას.

1996 და 1999 წლების განმავლობაში, პრობლემური პატიმრების 3 საერთო საცხოვრებელში, რომლებიც პატიმრების კონტროლს ქვეშ იყო, ჩხრეკა საერთოდ არ ჩატარებულა. სხვა კორპუსებში ჩატარებული შემოწმების შედეგად აღმოჩენილი იქნა დიდი ოდენობით იარაღი და თავდაცვითი სტრუქტურები. არსებული მდგომარეობა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს შორის ინტენსიური კომუნიკაციების საგანი იყო, მაგრამ არავითარი კონრეტული ზომა არ მიღებულა, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებმა თანდათანობით მე-4 საერთო საცხოვრებელზეც მოიპოვეს კონტროლი. როცა ხელისუფლებამ მოინდომა ჩხრეკის ჩატარება, პატიმრებმა მათ ამის შესაძლებლობა არ მისცეს. საბოლოდ, 1999 წელს, ხელისუფლებამ დაასკვნა, რომ ციხეში არსებული სიტუაცია ერთი განყენებული პრობლემა არ იყო, სხვადასხვა ციხის დაჯგუფებების მეთაურები ერთმანეთს თავისუფლად უკავშირდებოდნენ მობილური ტელეფონების მეშვეობით და ერთდროულ ამბოხებებსა და გაქცევებს გეგმავდნენ. ხელისუფლების კომუნიკაცია-რეპორტებში პატიმრები მოიხსენიებოდნენ, როგორც „ტერორისტები“.

1999 წლის 26 სექტემბერს, ჩხრეკა ჩატარდა პატიმრების კონტროლ ქვეშ არსებულ სამ საერთო საცხოვრებელში. დამხმარე ძალებთან ერთად, ჩხრეკის ოპერაციაში ჩართული იყო 250-მდე ახალწვეული და დაახლოებით 70 ოფიცერი, რომლებსაც ამბოხსაწინააღმდეგო სრული აღჭურვილობა და სამსახურებრივი იარაღი ჰქონდათ: ჯამში 29 პისტოლეტი, 31 SMG ტყვიამფრქვევი და 124 ავტომატური შაშხანა. უანდარმები დაახლოებით დილის 4 საათზე შევიდნენ შენობებში. მას შემდეგ, რაც პატიმრები ერთერთ სერჟანტს დაესხნენ თავს, სიტუაცია უცბად გამწვავდა, მიიღო ძალადობრივი ხასიათი და უცბად გადაიზარდა ამბოხში. შეტაკებები, რომლის დროსაც გამოყენებული იყო ჭურვები, ცრემლსადენი გაზები, ცეცხლსასროლი იარაღი და ხელნაკეთი ალის მტყორცნები, გაგრძელდა დილის 11.30 საათამდე. პატიმრებიდან მოკლული იქნა 10 და დაშავდა 70-მდე, ამათგან 4-მა სასიკვდილო დაზიანებები მიიღო. დაშავდა 15 ოფიცერი, მათ შორის 1 – მძიმედ. აღნიშნული მოქმედებები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 74-მა განმცხადებელმა გაასაჩივრა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება:

i. ძალის გამოყენების მიზანი

ძალის გამოყენება „ჩხრეკის ჩატარების მიზნით“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში არ ფიგურირებს. ამის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლი ისე განმარტა, რომ მასში მოეაზრებინა პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობის მიერ დასახული საბოლოო მიზანი, „დაეცვა ციხის პერსონალი“ აღნიშნული ჩხრეკის შედეგად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საწყის ეტაპზე მაინც, ხელისუფლების მიზანი მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს შეესაბამებოდა. მოგვიანებით, პატიმრების ქმედებები თანდათანობით ამბოხების მცდელობაში გადაიზარდა. ამის შემდეგ, მიზანი იყო არა ციხის პერსონალის დაცვა, არამედ ამბოხების ჩახშობა მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ძალის გამოყენების მიზანი კონვენციასთან შესაბამისობაში იყო, დაღუპული პატიმრების რიცხვიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, შეეფასებინა, ხომ არ გადააჭარბა გამოყენებულმა ძალამ იმ ინტენსივობას, რაც აბსოლუტურად აუცილებელი იყო მოცემულ შემთხვევაში. ამისთვის, სასამართლომ განაცხადა, რომ უწინარეს ყოვლისა, უნდა შეემოწმებინა ოპერაციის მომზადებისა და მასზე ზედამხედველობის დეტალები.

ii. იყო თუ არა საფრთხე წინასწარგანჭვრეტადი

სამინისტროს, ციხის, სასამართლო, სამხედრო უწყებები და პრეფექტურა, – ყველა საქმის კურსში იყო, მინიმუმ, 1996 წლის იანვრიდან მოყოლებული. იმას, რომ ხელისუფლება აღიარებდა პრობლემებს და იმ ფაქტს, რომ ციხე ფაქტობრივად ხელისუფლების კონტროლს 1996 წლიდან აღარ ექვემდებარებოდა, მნიშვნელობა არ აქვს კონვენციის მე-2 მუხლის თვალსაზრისით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სასამართლოს არ წარედგინა არანაირი ინფორმაცია რაიმე კონკრეტული ღონისძიების შესახებ, რომელთა გამოყენება განხილულა, არამცთუ მიღებულა, რათა სიტუაციის მსგავსი ესკალაცია არ დაშვებულიყო წლების განმავლობაში, არამედ იმიტომაც, რომ ეს მაინც არ ათავისუფლებდა სახელმწიფოს ოპერაციის სათანადოდ დაგეგმვისა და განხორციელების ვალდებულებისგან. ციხეზე ხელისუფლების კონტროლის დაკარგვა იყო უწყების მენეჯმენტსა და ნორმალურ ფუნქციონირებაში ხარვეზების შედეგი, რაზეც მხოლოდ სახელმწიფო იქნებოდა პასუხისმგებელი.

iii. ხელისუფლების უარი ჩარევაზე

გარკვეული გეგმები დაისახა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა 26 სექტემბრის ოპერაციამდე იმის მიუხედავად, რომ ციხის სხვა კორპუსებში ჩატარებული ჩხრეკების შედეგად ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო დამალული იმ საცხოვრებელ კორპუსებში, რომელიც არ გაჩხრეკილა.

iv. სპონტანურობის ელემენტი და ხელისუფლების მიერ მანევრირების შესაძლებლობა

ხელისუფლებას ჰქონდა ვრცელი ინფორმაცია, რომელიც არაერთგზის დადასტურდა და ჰქონდა 23 დღე საბოლოო შეფასება-გათვლებისთვის და საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მისაღებად იმ გეგმის საფუძველზე, რომელიც მსგავს კრიზისებზე რეაგირებისთვის იყო შემუშავებული. შესაბამისად, სადავო ოპერაციის არც ერთი ფაზა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო სპონტანურად. ამასთან, ვერც ის ითქმოდა, რომ რომელიმე სამართალდამცველს თუ ახალწვეულს თავის თუ სხვათა სიცოცხლეს დამუქრებულ საფრთხეზე „აღელვების მომენტში" მოუწია რეაგირება. იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე პატიმარი იღუპება, თუ იღებს დაზიანებას, როცა უსაფრთხოების ოპერაციის ფარგლებში ხელისუფლების კონტროლს ქვეშ იმყოფება, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება და თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს დამაჯერებელი და დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტების მოყვანას, კეთდება სახელმწიფოს საწინააღმდეგო დასკვნები.

v. სამოქმედო გეგმა და გამოყენებული პერსონალი

სასამართლოს არ ჰქონდა ის სპეციალური ცოდნა, რათა სათანადოდ შეეფასებინა, იყო თუ არა აუცილებელი მოცემული ინტენსივობის ძალის გამოყენება. თუმცა სასამართლოსთვის ნათელი იყო, რომ 1996 წლის იანვარში, სანამ სიტუაცია დამძიმდებოდა, დაახლოებით 20 ჯარისკაცის ჩარევა ჩხრეკის ჩასატარებლად საკმარისი იქნებოდა.

vi. პერსონალის შესაძლებლობები

შეიძლება ითქვას, რომ ჟანდარმერიისა და პოლიციის დამხმარე ჯგუფები სათანადოდ იყვნენ აღჭურვილნი და მომზადებულნი ამ ტიპის ღონისძიებისთვის. თუმცა სასამართლომ ეჭვი გამოთქვა ახალწვეულებთან დაკავშირებით, რომელთა რიცხვი 250-ს აღწევდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ახალწვეულ ჯარისკაცებს ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია და მომზადება მსგავს ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

vii. სამართლებრივი საფუძველი

მართალია, ოპერაცია კანონიერ საფუძველს ემყარებოდა, საქმის მასალებიდან დამაჯერებლად არ ჩანდა, რომ კანონი საკმარის ადეკვატურ და ქმედით გარანტიებს ითვალისწინებდა თვითნებობის, ძალის ბოროტად გამოყენებისა და თავიდან აცილებად უბედურ შემთხვევებთან მიმართებით. ამის მიუხედავად, მაინც შეიძლებოდა ამ პრობლემის პრაქტიკაში გადალახვა ოპერაციამდე და ოპერაციის განმავლობაში კონკრეტული ინსტრუქციების გაცემის გზით.

viii. ინსტრუქციები და ბრიფინგი
ხელისუფლება არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ოპერაციის განხორციელებაზე რუდიმენტული და ბუნდოვანი ზედამხედველობით, რამაც ფაქტობრივად გარდაუვალი გახადა სასიკვდილო ძალის გამოყენება.

იმისთვის, რათა ხელისუფლების ვალდებულება, დაეცვა სიცოცხლის უფლება, შესრულებულად ჩათვლილიყო, შესაბამის ორგანოებს უფრო ყურადღებით უნდა შეეფასებინათ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, ვიდრე მისცემდნენ ინსტრუქციას შენაერთებს, რომლებიც, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, გაწვრთნილი იყვნენ მოსაკლავად და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას არ დაახანებდნენ, თუკი იფიქრებდნენ, რომ ანტიტერორისტული ოპერაციის კონტექსტში ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდათ საქმე.

ix. ალტერნატიული სტრატეგიები
ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმრები, რაც არ უნდა აუტანელი ყოფილიყო მათი ქცევა, დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ ისე, რომ სერიოზული საფრთხის ქვეშ დაეყენებინათ სხვა პატიმრებისა თუ პერსონალის სიცოცხლე. კერძოდ, მათგან მომდინარე საფრთხე არ შეიძლებოდა გათანაბრებოდა ჩამოყალიბებული ტერორისტებისგან მომდინარე საფრთხეს. მართალია, ხელისუფლების განზრახვა იყო, რომ კონტროლი აღედგინა ციხეში, მათ მაინც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ შეიძლებოდა სასიკვდილო ძალის გამოყენება საჭირო არ ყოფილიყო რიგ შემთხვევებში, როცა საპირისპირო მხარეს აღმოჩნდებოდა პატიმარი, რომელსაც არც ძალადობრივი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და არც სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. საქმის მასალებიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობასა თუ ძალოვან სტრუქტურებს არსებული რისკები სათანადოდ ჰქონდათ შეფასებული და სიტუაციის მიხედვით სასიკვდილო და არასასიკვდილო მეთოდების გამოყენება იყო დაგეგმილი. მათ არც მშვიდობიანი დანებების მიზნით მოლაპარაკების ალტერნატივა განუხილავთ.

x არასასიკვდილო მეთოდების გამოყენება
მას შემდეგ, რაც პატიმრები ციხის იმ ნაწილში მოაქციეს, რომელიც სამართალდამცავ პირთა კონტროლს ექვემდებარებოდა, სამართალდამცავებმა გააგრძელეს ცრემლსადენი გაზის, ასევე წყლისა და ქაფის ჭავლის კონტროლირებადი გამოყენება, თან ელოდებოდნენ სიტუაციის ჩაცხრობას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს ცალსახად საუკეთესო საშუალება იყო, რომლის თავიდანვე გამოყენებაც უნდა აწონილ-დაწონილიყო, ვიდრე სიცოცხლის ხელყოფას ექნებოდა ადგილი. თუმცა, იმან, თუ როგორი რეაგირება ჰქონდათ უანდარმებს, როგორც კი პერსონალის ოფ-

იცერზე მოხდა თავდასხმა, აჩვენა, რომ სამართალდამცავები საერთოდ არ იყვნენ მზად არასასიკვდილო ძალის გამოყენების სტრატეგიისთვის. ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც, ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მიეცათ „ტერორისტებისთვის“, აჩვენებს ოპერაციის მომზადების და განხორციელების სულისკვეთებას, რაც, ფაქტობრივად, იყო საომარი ტაქტიკის გამოყენება უპირობო დანებების უზრუნველსაყოფად.

xi. მოლაპარაკებების შესაძლებლობა

ხელისუფლებას არც კი ჰქონია მცდელობა, რომ დაეწყო მოლაპარაკებები ოპერაციამდე, თუ მის განმავლობაში. უანდარმებს, ცხადია, მოლაპარაკების კომპლექსური და სენსიტიური ოპერაციის ჩასატარებლად შესაბამისი წვრთნა არ ჰქონდათ გავლილი; ამასთან, მათ წინასწარ მიღებული ჰქონდათ ბრძანება, რომ პატიმრები მტკიცე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექციათ, არ დალაპარაკებოდნენ მათ და არ მიეცათ მათთვის ზეგავლენის მოხდენის რაიმე საშუალება. აქედან გამომდინარე, უანდარმები მოლაპარაკებას ვერანაირად ვერ განახორციელებდნენ. ყველა შემთხვევაში, სერიოზული შეცდომა იყო გათვლებში, რადგანაც მოლოტოვის პირველი კოქტეილის გასროლისთანავე შეტაკება გარდაუვალი გახდა.

xii. წინასწარი დასკვნა

ოპერაციაზე პასუხისმგებელმა პირებმა, რომელთა განზრახვაც იყო უკვე დიდი ხნის განმავლობაში ფეხქვეშ გათელილი ავტორიტეტის აღდგენა, არ გამოიჩინეს აუცილებელი ძალისხმევა, რათა უზრუნველეყოთ სიცოცხლეს დამუქრებული რისკის მინიმუმამდე დაყვანა; მათ დაუდევრობა გამოიჩინეს მოქმედების არჩევანში როგორც ოპერაციამდე, ისე ოპერაციის განმავლობაში. იმის შედეგად, რომ არასაკმარისი ყურადღება მიექცა ციხეში საგანგაშო ვითარებაზე წლების განმავლობაში ხელმისაწვდომ ინფორმაციას, არ იქნა შესწავლილი თუ განხილული ალტერნატიული სტრატეგია, ფაქტობრივად, მომაკვდინებელი ძალის გამოყენება გარდაუვალი შეიქმნა. შესაბამისად, გამოყენებული ძალა არ იყო აუცილებელი კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის.

xiii. არგუმენტი, რომ ზოგიერთი პატიმარი სხვა პატიმრებმა მოკლეს

ეს არგუმენტი მხოლოდ ვარაუდებს ემყარებოდა. და მაინც, სასამართლომ პასუხი გასცა ამ მოსაზრებას, რადგანაც 4 პატიმარი, სავარაუდოდ, დაიღუპა ოპერაციის განმავლობაში ხელისუფლების კონტროლს გარეთ არსებული ბარიკადების მიღმა, სადაც უანდარმები მოვლენათა განვითარებას ვერ აკონტროლებდნენ. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი თავისი მკაცრი პროტოკოლის ქვეშ მოქმედ ციხეზე უსაფრთხოების ოპერაციის განმავლობაში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობისგან არ ანთავისუფლებდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა გარდაცვლილი პატიმრების სიცოცხლის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი იმ პატიმრებთან მიმართებაში, რომლებიც არ გარდაცვლილან, მაგრამ რომლებიც იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თუ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი სიცოცხლისათვის საშიშ ვითარებაში.

აგრეთვე დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი იმ თვალსაზრისით, რომ გადარჩენილი პატიმრები დაექვემდებარნენ ფიზიკურ ძალადობას და შეიქმნენ სხვა პატიმრების ძალადობრივი სიკვდილის მოწმენნი, რამაც შეადგინა არაადამიანური მოპყრობა.

ხელბორკილის გამოყენება უშუალოდ მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ: დარღვევა

ფაქტები:[31] ორსულ ქალს ბრალი ედება ყაჩაღობაში და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. მშობიარობამდე ის გინეკოლოგიურ სავარძელზე ბორკილით იყო დაბმული და დაუყოვნებლივ მშობიარობის შემდეგ, ასევე ბორკილით საწოლზე მიბმული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პატიმრის მხრიდან გაქცევისა თუ ძალადობრივად მოქცევის ყოველგვარი მცდელობა რთულად წარმოსადგენი იყო მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. ადმინისტრაციას არც არასოდეს მიუთითებია მისი მხრიდან პოლიციის თუ საავადმყოფოს პერსონალის მიმართ აგრესიულად მოქცევის, გაქცევისა თუ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების მცდელობის ფაქტზე. გარდა იმისა, რომ პატიმარი მშობიარობამდე იყო დაბმული, მშობიარობის შემდეგაც ხელბორკილით დააბეს, როცა იგი განსაკუთრებით მოწყვლადი იქნებოდა. სასამართლომ ასევე მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ პატიმარს გამუდმებით იცავდა სამი თანამშრომელი. ეს ღონისძიება საკმარისად მკაცრი იყო საიმისოდ, რომ ნებისმიერ პოტენციურ რისკზე სათანადო რეაგირება მოეხდინა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაასკვნა, რომ მსგავს პირობებში ბორკილის გამოყენებამ მშობიარობის ტკივილებს ქვეშ მყოფი ქალის მიმართ და დაუყოვნებლივ მშობიარობის შემდეგ, შეადგინა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.
ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს

31 კორნეიკოვა და კორნეიკოვი უკრაინის წინააღმდეგ *(Korneykova and Korneykov v. Ukraine)*, განაცხადი no. 56660/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 12,000 ევრო მორალური ზიანისთვის და 3,000 ევრო სამართალწარმეობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

ხელბორკილის გამოყენება საავადმყოფოში გადაყვანისას და ოპერაციამდე: დარღვევა

ფაქტები:[32] პატიმარი სასჯელს იხდიდა ყაჩაღობისთვის. სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მოკლე ვადით გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ის უკან არ დაბრუნებულა და იგი ხელახლა იქნა დაპატიმრებული. მსჯავრდებულს, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე (გლანდების ანთება), სჭირდებოდა ოპერაცია, რის გამოც იგი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ციხის უფროსის მიერ გაიცა განკარგულება, რომ მსჯავრდებულის პალატაში ყოფილიყო ბადრაგი და რომ მას ხელბორკილები ჰკეთებოდა. ოპერაციის წინა ღამეს, მსჯავრდებული ბორკილით იყო საწოლზე მიჯაჭვული. ამ არაადამიანური პირობების გამო, პატიმარმა უარი თქვა ოპერაციაზე და დაბრუნდა ციხეში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მსჯავრდებული წარსულშიც ნასამართლევი იყო, მაგრამ ძალადობის რაიმე ინციდენტს სასჯელის მოხდის პერიოდში ადგილი არ ჰქონია. ის ოთხჯერ იქნა ხანმოკლე ვადით პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებული და ოთხჯერვე უკან დაბრუნდა. მეხუთეჯერ ის პენიტენციურ დაწესებულებაში არ დაბრუნებულა, რაც ფსიქიატრებმა დროებითი „ფსიქოლოგიური აშლილობით“ ახსნეს. ამ ერთი ინციდენტის გარდა მსჯავრდებულს ციხის რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებლობა არ გამოუჩენია. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა ინციდენტი ანგარიშგასაწევი იყო, ეს იყო ერთი ცალკეული შემთხვევა, რომელსაც ძალადობრივი ხასიათი არ ჰქონია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრთხე, რომელსაც მსჯავრდებული წარმოადგენდა, ვერ ამართლებდა მის დაბმას საავადმყოფოს საწოლზე ოპერაციის წინა ღამეს, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციის ორი თანამშრომელი მისი პალატის გარეთ დარაჯობდა.

სასამართლომ განასხვავა ეს საქმე ჰერცეგფალვი ავსტრიის წინააღმდეგ საქმისგან, რომელშიც პაციენტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იყო დაბმული. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მსგავსი ღონისძიება სამედიცინო საფუძველზე იყო გამართლებული. მაგრამ მოცემულ შემ-

32 ჰენაფი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Henaf v. France)*, განაცხადი no. 65436/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თხვევაში, კონტექსტი განსხვავებული იყო, საავადმყოფო ფსიქიატრიული არ იყო, პოლიციის ორი თანამშრომელი დარაჯობდა მსჯავრდებულს და მსჯავრდებულის შებოჭვის სამედიცინო საფუძველი არ არსებობდა.

მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის ასაკის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნარსულში ძალადობრივი ქცევის არარსებობის გამო, რაც იძლეოდა საფუძველს მისი მხრიდან საფრთხის არსებობაზე, ევროპულმა სასამართლმ მიიჩნია, რომ შეკავების ღონისძიების გამოყენება უსაფრთხოების მიზნებთან მიმართებით არათანაბარზომიერი იყო, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ორი პოლიციელი უკვე ჰყავდა მსჯავრდებულს მიჩენილი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე გაითვალისწინა წამების პრევენციის კომიტეტის რეკომენდაცია უსაფრთხოების მიზნებისთვის პატიმრების საავადმყოფოში საწოლზე მიბმის პრაქტიკის აკრძალვის თაობაზე.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი და დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

ხელბორკილების გამოყენება განსაკუთრებით საშიში უსინათლო მსჯავრდებულის მიმართ: დარღვევა

ფაქტები:[33] უკრაინის სასამართლომ შვიდი ადამიანის (მათ შორის, სამი პოლიციელის) დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვის, ბანდიტიზმისა და ყაჩაღობისთვის პირს მიუსაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ იგი საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიშ დამნაშავედ ცნო და მოახდინა მისი ქონების სრული კონფისკაცია. მსჯავრდებულმა იჩივლა იმის გამო, რომ კოლონიაში ყოფნისას, საკნიდან გამოსვლისას, მუდმივად ხელბორკილები ედო, მიუხედავად იმისა, რომ პრატიკულად უსინათლო იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ პატიმარი ადგილობრივმა სასამართლოებმა საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიშად ცნეს. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის სისხლის სამართლებრივი წარსულის გამო მისი მოთავსება მაღალი უსაფრთხოების პირობებში გამართლებული იყო.

33 კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ *(Kaverzin v. Ukraine)*, განაცხადი no. 23893/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება.

თუმცა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი განსახილველი იყო საკითხი, თუ რამდენად შეიძლებოდა გამართლებულიყო მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული კონკრეტული ღონისძიებები – კერძოდ, ხელბორკილების დადება – მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. მსჯავრდებულს ხელბორკილი ედო ყოველთვის, როცა კი საკნის დატოვება უხდებოდა. იქნებოდა ეს ყოველდღიური გასეირნება, თუ ოჯახთან შეხვედრები.

დნეპროპეტროვსკის კოლონიაში მოთავსებისას მსჯავრდებული სრულად იყო დაბრმავებული და სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, დახმარება სჭირდებოდა ყოველდღიურ საჭიროებებთან გასამკლავებლად. სასამართლოს არ აქვს ინფორმაცია, რომ პატიმარმა გაქცევა სცადა ან აგრესიულად იქცეოდა სასჯელის მოხდის პერიოდში.

განმცხადებლის პირადი მდგომარეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულს მუდმივად თან ახლდა ციხის სამი თანამშრომელი, ძაღლთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კოლონიაში ხელბორკილების გამოყენება უსაფრთხოების მიზეზებით არ იყო გამართლებული.

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მსჯავრდებულისთვის ხელბორკილის დადება პრინციპულად და ასევე იმის გათვალისწინებით, თუ როგორ უკეთდებოდა ხელბორკილები (ზურგს უკან), იწვევდა მსჯავრდებულის იმაზე მეტ ტანჯვასა და დამცირებას, ვიდრე ორგანულადაა მართლზომიერი სასჯელისთვის დამახასიათებელი. აღნიშნულმა მსჯავრდებულის არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა შეადგინა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა მსჯავრდებულისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 40,000 ევრო მორალური ზიანისთვის.

მსჯავრდებულის დამაწყნარებელ საწოლზე 9 საათის განმავლობაში დაბმა: დარღვევა

ფაქტები:[34] მსჯავრდებული დამაწყნარებელ საწოლზე 9 საათის განმავლობაში იყო დაბმული დაწესებულების პერსონალთან აგრესიული დაპირისპირების შემდეგ, რომელიც მისთვის სადამსჯელო საკანში თამბაქოს შეტანის აკრძალვას მოჰყვა. აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით შემდგარი ოქმის მიხედვით, ის იმუქრებოდა, იგინებოდა, კარზე აბრახუნებდა, ციხის თანამშრომელს ხელზე დაარტყა და არ დაემორჩილა კანონიერ

34 იულინი ესტონეთის წინააღმდეგ *(Julin v. Estonia)*, განაცხადები nos. 16563/08, 40841/08, 8192/10 და 18656/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

მოთხოვნებს, რის შემდეგაც მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა შეკავების საშუალება. მის მდგომარეობას ყოველ საათში აკვირდებოდნენ და შეკავების საშუალების გამოყენების საჭიროება მოწმდებოდა მისი ქცევის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დამაწყნარებელ საწოლზე პირის დაბმა თავისთავად არ იწვევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. თუმცა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს იმ პატიმართა არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკს, რომლებიც მსგავსი ინტენსივობის შეკავების საშუალებას არიან დაქვემდებარებულნი. მსგავსი ღონისძიების გამოყენება საჭიროებს მისი მართლზომიერებისა და აღსრულების მკაცრ შემოწმებას.

რაც შეეხება მართლზომიერებას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია იმ კანონის ხარისხი, რომელიც მსგავსი ინტესივობის შეკავების საშუალებას არეგულირებს. მომეტებული ინტენსივობის შეკავების საშუალების გამოყენების საფუძველი, პირობები და პროცედურა ეროვნულ კანონმდებლობაში განსაზღვრული უნდა იყოს უკიდურესი სიზუსტით. შესაბამისი რეგულირება მოცემულ შემთხვევაში საკმაოდ ზედაპირული და ზოგადი იყო. შეკავების საშუალების და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენებას ერთი და იგივე საფუძველი ჰქონდა – ციხის ნესების ჩვეულებრივი დარღვევა და ეს ღონისძიებები ერთად შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. კანონმდებლობით არანაირი დეტალები არ იყო განერილი დამაწყნარებელი საწოლის გამოყენების შემდეგ დასაცავ პროცედურებთან დაკავშირებით. ერთადერთი შეზღუდვა იყო 12 საათი, რაც იყო დამაწყნარებელი საწოლის გამოყენების მაქსიმალური ნებადართული პერიოდი. არ არსებობდა არანაირი რეგულაცია, თუ როგორ და რა სიხშირით უნდა შემოწმებულიყო პატიმარი პერსონალის ან ექიმის მიერ. კანონმდებლობით არ იყო მოთხოვნილი შეკავების საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით ოქმის წარმოება.
თუმცა, სასამართლომ შენიშნა, რომ პერსონალმა იმაზე მეტი გარანტია უზრუნველყო, ვიდრე კანონმდებლობით პირდაპირ მოითხოვებოდა. პატიმრის მდგომარეობა საათში ერთხელ მოწმდებოდა და იგი ორჯერ მოინახულა სამედიცინო პერსონალმა. მათი შენიშვნები ჩაიწერა დამაწყნარებელი საწოლის გამოყენების შესაბამის ოქმში.

ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოთქვა შეშფოთება იმის თაობაზე, თუ როგორი ზედაპირული ხასიათი ჰქონდა პატიმრის დამაწყნარებელ საწოლზე დაბმის საჭიროების დასაბუთებას, კიდევ უფრო ლაკონიური იყო ამ ღონისძიების გამოყენების გახანგრძლივების დასაბუთება, რომელიც ოქმში ჩაიწერა, განსაკუთრებით, ამ

ღონისძიების ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სამედიცინო შემოწმება ჩატარდა მხოლოდ დასაწყისში და ბოლოში, ისე, რომ შუალედში, რომელიც 8 საათზე მეტხანს გრძელდებოდა, პატიმარი სამედიცინო პერსონლს არ მოუნახულებია.

ევროპულმა სასამართლომ კვლავაც გაიმეორა, რომ შეკავების საშუალების დასჯის მიზნით გამოყენება დაუშვებელია. სასამართლო დაეთანხმა, რომ პატიმრის ქცევა აგრესიული იყო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ იგი ერთადგილიან საკანში იყო ჩაკეტილი, სასამართლომ ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ დროს იგი ისეთ საფრთხეს წარმოადგენდა თავისთვის ან სხვებისთვის, რომელიც ასეთ მკაცრ ღონისძიებას გაამართლებდა. თუნდაც პატიმრის მიერ კარზე ბრახუნს მნიშვნელოვნად დაერღვია სიმშვიდე და ციხის განაწესი, სასამართლომ ეჭვი გამოთქვა, რომ დამაწყნარებელ საწოლზე დაბმა ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიება იყო, რომელიც ასეთ ვითარებაში ხელმისწავდომი იყო ადმინისტრაციისთვის. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ პატიმრის დამაწყნარებელ საწოლში დაბმამდე ან ამ ღონისძიების გამოყენების განმავლობაში, ალტერნატივები, მაგალითად, უსაფრთხოების საკანში მოთავსება ყოფილიყო განხილული. უფრო მეტიც, თუნდაც თავდაპირველი შეკავება აუცილებელი ყოფილიყო, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ სიტუაცია საშიში იყო თითქმის 9 საათის განმავლობაში.

დაბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ დამაწყნარებელ საწოლზე პირის დაბმა სამედიცინო მიზეზების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში ნარვენები არ ყოფილა, იშვიათად შეიძლება იყოს საჭირო რამდენიმე საათზე მეტხანს. ოქმის თანახმად, პირის შეკავება საჭირო იყო 6 საათის შემდეგაც, ვინაიდან მისი ქცევა „არანორმალური“ იყო, თუმცა იგი „ჩუმად“ იყო. შეკავების ღონისძიება ძალაში დარჩა იგივე საფუძველზე ერთი საათის შემდეგაც, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს საფუძვლები სრულიად არასაკმარისი იყო ასეთი ხანგრძლივი დროით ღონისძიების გასაგრძელებლად. ხანგრძლივი დროის განმავლობაში პატიმრის შებოჭვით გამოწვეული ტკივილისა და ფიზიკური დისკომფორტის გამო ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ტკივილი და დამცირება არ იყო კონვენციის მე-3 მუხლის სტანდარტთან შესაბამისობაში.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, მსჯავრდებულისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 10,000 ევრო მორალური ზიანისთვის.

მსჯავრდებულის მიმართ წიწაკის გაზის, ფიზიკური ძალის, ტელესკოპური ხელკეტისა და დამაწყნარებელი საწოლის გამოყენება: დარღვევა

ფაქტები:[35] სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული არ დაემორჩილა ციხის პერსონალის მოთხოვნებს. მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ნიწაკის გაზი, ფიზიკური ძალა და ტელესკოპური ხელკეტი, რათა დაეძლიათ მისი წინააღმდეგობა; შემდეგ გაუკეთეს ხელბორკილები და დააბეს დამანყნარებელ საწოლზე სამი საათითა და 40 წუთით. აღნიშნულის შედეგად, მსჯავრდებულმა მიიღო რიგი დაზიანებები, ჰემატომების და შარდში სისხლის ჩათვლით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ პირი მსჯავრდებული იყო მკვლელობისთვის, წარსულში თავს დაესხა ციხის პერსონალს და სხვა პატიმრებს, დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელები; ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა პატიმრის საქმეში არსებული დახასიათება და დაეთანხმა, რომ პატიმრის პიროვნებამ და წარსულში ქცევამ საფუძველი მისცა ციხის პერსონალს, ფრთხილად ყოფილიყვნენ და დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები, როცა მსჯავრდებულმა გამოავლინა დაუმორჩილებლობა, აგრესია და დაემუქრა მათ.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ციხის პერსონლმა გამოიყენა რამდენიმე ტექნიკა და სპეციალური აღჭურვილობა მსჯავრდებულის მოძრაობის შესაზღუდად. ფიზიკური ძალისა და ხელბორკილების გარდა, მათ ასევე გამოიყენეს წიწაკის გაზი და ტელესკოპური ხელკეტი. არსებული დაზიანებები, როგორებიც არის ჰემატომები სხეულზე და სისხლი შარდში მიუთითებდა, რომ საკმაოდ დიდი ფიზიკური ძალა იქნა გამოყენებული. რაც შეეხება ტელესკოპური ხელკეტის გამოყენებას, ვერც ეროვნულ დონეზე და ვერც ევროპულ სასამართლოში ვერ დადგინდა, ხელკეტი გამოყენებული იყო ხელბორკილების გაკეთებამდე თუ გაკეთების შემდეგ. შესაბამისად, ამ საკითხზე ევროპულმა სასამართლომ აზრი ვერ გამოთქვა.

რაც შეეხება ნიწაკის გაზის გამოყენებას, ევროპული სასამართლო დაეყრდნო CPT-ის სტანდარტებს. CPT-ის თანახმად, ნიწაკის გაზი პოტენციურად საშიში ნივთიერებაა და არ უნდა იქნეს გამოყენებული დახურულ სივრცეში. თუ გამონაკლის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ გამოყენებული იქნეს ნიწაკის გაზი, უნდა არსებობდეს და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მკაფიოდ განსაზღვრული გარანტიები. დაუშვებელია ნიწაკის გაზის გამოყენება იმ პატიმრების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე პერსონალის კონტროლს ქვეშ არიან. მართალია, ნიწაკის გაზი არ ითვლება ქიმიურ იარაღად და მისი გამოყენება სამართალდამცავი ორგანოებისთვის ნებადართულია, მას შეუძლია გამოიწვიოს რესპირატორული პრობლემები, თავბრუსხვევა, გულისრევა, სასუნთქი გზების გაღიზიანება, საცრემლე სადინარებისა და თვალების გაღიზიანება, სპაზმები, ტკივილი მკერდის არ-

35 ტალი ესტონეთის წინააღმდეგ *(Tali v. Estonia)*, განაცხადი no. 66393/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება.

ეში, დერმატიტი, ალერგიები. დიდ დოზებში, მას შეუძლია გამოიწვიოს სასუნთქ გზებში ან საჭმლის მომნელებელ არხში ქსოვილის კვდომა, ფილტვებში სითხის დაგროვება ან შინაგანი სისხლდენა. ერთი მხრივ, წიწაკის გაზის დახურულ სივრცეში გამოყენების ამ პოტენციურად მძიმე შედეგების გათვალისწინებით და მეორეს მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ ციხის ადმინისტრაციას ჰქონდა ალტერნატიული აღჭურვილობა ჯავშანჟილეტების, ჩაფხუტების და ფარების სახით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ ვითარებაში წიწაკის გაზის გამოყენება გამართლებული არ იყო.

რაც შეეხება აგრესიული მსჯავრდებულის დამაწყნარებელ საწოლზე პატიმრის დაბმას 3 საათის და 40 წუთის განმავლობაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრის ქცევა აღწერილი როგორც, აგრესიული პერსონალთან ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ. ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ შეკავების საშუალებების გამოყენება დაუშვებელია სასჯელის სახით. შეკავების საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული თვითდაზიანების ან სხვა მსჯავრდებულების თუ პერსონალისთვის მძიმე დაზიანების მიყენების თავიდან ასაცილებლად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მას შემდეგ, რაც პერსონალთან ფიზიკური კონფრონტაცია აღმოიფხვრა და მსჯავრდებული ერთადგილიან საკანში იქნა მოთავსებული, დამაჯერებელი არ ჩანდა არგუმენტი, რომ მსჯავრდებული თავისთვის ან სხვებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და ამიტომ გამართლებული იქნებოდა მსგავსი ღონისძიების გამოყენება. უფრო მეტიც, ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული დამაწყნარებელ საწოლზე იყო დაბმული, ანგარიშგასაწევი იყო და მოძრაობის ხანგრძლივ შეზღუდვას მისთვის ტკივილი და ფიზიკური დისკომფორტი უნდა მიეყენებინა.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შეკავების საშუალებების გამოყენებამ მსჯავრდებულის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა შეადგინა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 5,000 ევრო მორალური ზიანისთვის.

პატიმრის რეზინის ხელკეტებით ცემა: დარღვევა

ფაქტები:[36] სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები შევიდნენ პატიმრის საკანში და რეზინის ხელკეტების ცემით აიძულეს, გარეთ გამოსულიყო. ისინი განაგრძობდნენ პატიმრის ცემას მას შემდეგაც, რაც მან საკანი დატოვა და დერეფანში იატაკზე დაეცა. პატიმარი დაუყოვნებლივ

36 ვლადიმირ რომანოვი რუსეთის წინააღმდეგ *(Vladimir Romanov v. Russia)*, განაცხადი no. 41461/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება.

შეამოწმა ციხის დერმატოლოგმა, რომელმაც დააფიქსირა სიგრძივი სისხლჩაქცევები ფეხებსა და ზურგზე. პატიმარი მოგვიანებით გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც ექიმებმა დაადგინეს, რომ პატიმარს მკერდის არეში მიღებული ჰქონდა დაზიანება, რომელიც გამოწვეული იყო ბლაგვი იარაღით. მას ასევე მოუწია ოპერაციის გაკეთება გახეთქილი ელენთას გამო. პენიტენციურ დაწესებულებაში შემდგარი ანგარიშის თანახმად, პერსონალს მოუწია ძალის გამოყენება, რათა ჩაეხშოთ უწესრიგობა პატიმრის საკანში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რეზინის ხელკეტების გამოყენებას სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა ეროვნულ კანონმდებლობაში. ევროპულმა სასამართლომ კვლავაც გაიმეორა, რომ ძალის გამოყენება ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი იყოს პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების დასაცავად, წესრიგის შესანარჩუნებლად, ან დანაშაულის აღსაკვეთად. თუმცა ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, თუ რატომ იყო აუცილებელი რეზინის ხელკეტების გამოყენება პატიმრის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში ციხის პერსონალის მოქმედება აშკარად გადამეტებული იყო იმასთან შედარებით, რაც პატიმარს ბრალდებოდა – დაუმორჩილებლობა. პერსონალს შეეძლო ფიზიკური ძალის გამოყენება, რათა ძალით გამოეყვანა პატიმრები საკნიდან, მაგრამ ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ რეზინის ხელკეტებით პატიმრების ცემა ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თავად წინააღმდეგობის გაწევის ფაქტი სათანადოდ დადგენილი არ ყოფილა. პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტებში პატიმარი არ ირიცხებოდა, როგორც მოცემული ინციდენტის გამომწვევი და აქტიური მონაწილე. იმის გათვალისწინებით, რომ ციხის თანამშრომლები მის ცემას განაგრძობდნენ საკნის დატოვების და იატაკზე დავარდნის შემდეგაც, ცემა შურისძიების ფორმა უფრო იყო. სადამსჯელო ძალის გამოყენების მიზანი იყო პატიმარში შიშის, დამცირების აღძვრა და მისი ფიზიკური და მორალური მედეგობის გატეხვა. პატიმარმა განიცადა მძიმე ფიზიკური ტკივილი და ინტენსიური მორალური ტანჯვა; მან ჯანმრთელობის ხანგრძლივვადიანი დაზიანება მიიღო. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, პატიმარი დაექვემდებარა წამებას.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 20,000 ევრო მორალური ზიანისთვის.

შემოწმება

გაერთიანებული ერები 98
გენერალური ასამბლეა 98
ნელსონ მანდელას წესები 98
ბანგკოკის წესები 99
სამედიცინო ეთიკის პრინციპები 100
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 100
ევროპის საბჭო 101
მინისტრთა კომიტეტი 101
ევროპული ციხის ნესები 101
წამების პრევენციის კომიტეტი 102
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 103
მუხლი 3 – წამების აკრძალვა 103
მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება 104
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 104
ზოგადი პრინციპები 104
რელევანტური საქმეები 105
i. პატიმრის შემოწმება: არდარღვევა 105
პატიმრის შემოწმება: დარღვევა 107
iii. მნახველების შემონმება: არდარღვევა, დარღვევა 108
საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები 111
ციხის საერთაშორისო რეფორმა/წამების პრევენციის ასოციაცია 111
მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია 112
LGBTI პირების შემოწმების პრაქტიკა 113

გენერალური ასამბლეა

ნელსონ მანდელას წესები[1]

პატიმრების და საკნების შემოწმება

წესი 50

პატიმრების და საკნების შემოწმების მარეგულირებელი კანონები და დებულებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და ითვალისწინებდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს ციხეებში უსაფრთხოების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით. შემოწმება უნდა ტარდებოდეს შემონმების ობიექტის თანდაყოლილი ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემით, თანაბარზომიერების. კანონიერებისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვით.

წესი 51

შემოწმება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს პატიმრების შევიწროვებისთვის, დამცირებისთვის ან პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ზედმეტად ჩარევისთვის. ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაცია უნდა ანარმოებდეს სათანადო ჩანაწერებს შემოწმების, განსაკუთრებით კი სრული და შინაგანი შემოწმების, საკნების შემოწმების თაობაზე, აგრეთვე შემონმების მიზეზების, იმ პირების ვინაობის და აგრეთვე შემონმების შედეგების თაობაზე.

წესი 52

1. ინვაზიური შემოწმება, შიშველი შემოწმების და შინაგანი შემოწმების ჩათვლით, უნდა ჩატარდეს მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელ შემთხვევაში. დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს და გამოიყენოს ინვაზიური შემოწმების სათანადო ალტერნატიული ღონისძიებები. ინვაზიური შემოწმება უნდა ჩატარდეს განკერძოებით, დატრენინგებული პერსონალის მიერ, რომელიც პატიმრის სქესისაა.

2. შინაგანი შემოწმება უნდა ჩატარდეს მხოლოდ იმ კვალიფიცირებული სამედიცინო მუშაკის მიერ, რომლის ძირითადი მოვალეობა არ არის პატიმრის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ან მინიმუმ სამედიცინო მუშაკის მიერ სათანადოდ დატრენინგებული პერსონალის მიერ, ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით.

---

1 გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები"), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 70/175, მიღებულია 2015 წლის 17 დეკემბერს.

წესი 53

პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ, ან ნება უნდა ეძლეოდეთ, რომ შეინახონ მათ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ისე, რომ დაწესებულების ადმინისტრაციას მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს.

წესი 60

1. დაწესებულებაში მნახველების დაშვება დამოკიდებულია მნახველის თანხმობაზე, ჩაუტარდეს შემოწმება. მნახველს შეუძლია, ნებისმიერ დროს განაცხადოს შემოწმებაზე უარი, რა შემთხვევაშიც, დაწესებულების ადმინისტრაციას შეუძლია, მას დაშვებაზე უარი უთხრას.

2. მნახველების შემოწმება და დაწესებულებაში დაშვების წესები არ უნდა იყოს დამამცირებელი და რეგულირდებოდეს სულ მცირე იმდაგვარი დამცავი პრინციპებით, როგორც 50-52 წესებშია მოცემული. შინაგანი შემოწმება თავიდან უნდა იქნეს აცილებული და არ უნდა იქნეს გამოყენებული ბავშვების მიმართ.

ბანგკოკის წესები[2]

წესი 19

ქმედითი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა შემოწმების დროს დაცული იყოს პატიმარი ქალების ღირსება და პატივი. შემოწმება უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლის მიერ, რომელიც სათანადოდ არის მომზადებული შემოწმების შესაბამის მეთოდებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით განახორციელებს მას.

წესი 20

შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს სრული შემოწმება და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) შინაგანი შემოწმება, რომ თავიდან იქნეს აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა.

წესი 21

ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოავლინონ კომპეტენცია, პროფესიონალიზმი, თანაგრძნობა და უნდა დაიცვან ღირსება, როდესაც ამოწმებენ ბავშვს, რომელიც დედასთან ერთად იმყოფება ციხეში და ასევე მასთან პაემანზე მისულ ბავშვს.

---

2 გაერთიანებული ერების წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 65/229, მიღებულია 2010 წლის 6 ოქტომბერს.

სამედიცინო ეთიკის პრინციპები[3]

პრინციპი 3

სამედიცინო პერსონალის, განსაკუთრებით, ექიმების მიერ მსჯავრდებულებთან თუ პატიმრებთან იმ ნებისმიერ პროფესიულ ურთიერთობაში გარევა, რომლის ერთადერთი მიზანი არ არის მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასება, დაცვა თუ გაუმჯობესება, ეწინააღმდეგება სამედიცინო ეთიკას.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

ევროპული ოფისის სახელმძღვანელო განმარტებები პენიტენციურ ჯანდაცვაზე[4]

ექიმმა, რომელიც ატარებს ინტიმურ შინაგან შემოწმებას, უნდა აუხსნას პატიმრებს პროცედურის დაწყებამდე, რომ ის მხოლოდ ერევა, როგორც ექსპერტი და რომ მის მოქმედებას არ აქვს არც თერაპიული და არც დიაგნოსტიკური მიზანი.[5]

უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება აუცილებელი გახდეს, პატიმარს ჩაუტარდეს შემოწმება იმის დასადგენად, რომ ის არაფერს მალავს სხეულის ღრუში. ხშირ შემთხვევაში, შეიძლება საკმარისი იყოს, რომ პატიმარი მკაცრ ზედამხედველობას დაექვემდებაროს და პერსონალი დაელოდოს აკრძალული ნივთის ორგანიზმიდან ბუნებრივი გზით გამოდევნას. დაწესებულების ექიმები და ექთნები არ უნდა ატარებდნენ შინაგან შემოწმებას, არ უნდა იღებდნენ სისხლისა თუ შარდის ნიმუშებს ნარკოტიკულ მეტაბოლიტებზე ტესტის ჩასატარებლად ან სხვა შემოწმების მიზნით, გარდა სამედიცინო მოსაზრების საფუძველზე და პაციენტის თანხმობით. ვაგინალური, ანალური და მსგავსი ინვაზიური სხვეულებრივი შემოწმება არის ძირითადად უსაფრთხოების ღონისძიება და არა სამედიცინო პროცედურა და ამდენად, არ შეადგენს დაწესებულების სამედიცინო პერსონალის ვალდებულებების ნაწილს. მაშინ, როდესაც მიიჩნევა, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ინტი-

---

3 სამედიცინო ეთიკის პრინციპები სამედიცინო პერსონალის, განსაკუთრებით, ექიმების როლის შესახებ მსჯავრდებულებისა და პატიმრების დაცვაში წამებისგან, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯისგან, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 37/194, მიღებულია 1982 წლის 18 დეკემბერს.

4 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული ოფისი, სახელმძღვანელო განმარტებები პენიტენციურ ჯანდაცვაზე, 2007, იხ.: http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0019/99018/E90174.pdf.

5 *Ibid.* გვ. 33.

მური შინაგანი შემოწმება, როგორც საგამონაკლისო ღონისძიება, იდეალურ შემთხვევაში, გარეშე სამედიცინო პერსონალი უნდა იქნეს მოწვეული ამ მიზნით, ან, თუ აღნიშნული არ ხერხდება, უსაფრთხოების თანამშრომელს, რომელსაც შესაბამისი ტრენინგი აქვს გავლილი და არის პატიმრის იგივე სქესის, შეუძლია ჩაატაროს ასეთი შემოწმება, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს პირის ღირსების პატივისცემით და მხოლოდ დადგენილი წესების შესაბამისად, რომელშიც შედის ანგარიშვალდებულება.[6]

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[7]

შემოწმება და კონტროლი

54.1 ეროვნული კანონმდებლობა დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს წესებს, რომლებიც უნდა გამოიყენონ დაწესებულების თანამშრომელებმა, როცა ამოწმებენ:

ა.პატიმრის საცხოვრებელ, სამუშაო და შეკრების ადგილებს;

ბ. პატიმრებს;

გ. მნახველებს, მათ ნივთებს და

დ. დაწესებულების თანამშრომლებს.

54.2 სიტუაციები, რომლებშიც ასეთი შემოწმების ჩატარება აუცილებელია, აგრეთვე ამ ღონისძიების ხასიათი, უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით.

54.3 დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა აითვისონ შემოწმების ჩატარების ის სპეციფიკა, რომელიც უზრუნველყოფს გაქცევის ნებისმიერი მცდელობის ან კონტრაბანდის დამალვის პრევენციას ისე, რომ იმავდროულად პატივს სცემდნენ იმ პირთა ღირსებას, რომლებსაც ამოწმებენ და მათ საკუთრებას.

54.4 პირები, რომელთაც უტარდებათ შემოწმება, არ შეიძლება ამ პროცესში იყვნენ დამცირებულნი.

54.5 შემოწმება უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პერსონალმა.

54.6 დაუშვებელია პატიმრის შინაგანი შემოწმება ჩაატაროს დაწესებულების პერსონალმა.

54.7 შემოწმებასთან დაკავშირებული ინტიმური შემონმება შეიძლება განახორციელოს მხოლოდ მოქმედმა სამედიცინო მუშაკმა.

54.8 პატიმრები უნდა ესწრებოდნენ მათი პირადი ნივთების

6 *Ibid.*, გვ.გვ. 36-37.

7 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

შემოწმებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს იკრძალება საგამოძიებო ტექნიკის ან პერსონალს დამუქრებული პოტენციური საფრთხის გამო.

54.9 უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის ვალდებულება უნდა იყოს მნახველების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების თანაბარზომიერი.

54.10 გადაწყვეტილება პროფესიული ვიზიტების კონტროლთან დაკავშირებით, როგორიცაა, ადვოკატის, სოციალური მუშაკის, ექიმის და ა.შ. ვიზიტი, მიღებული უნდა იქნეს მათ ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს წონასწორობა უსაფრთხოებას, უშიშროებასა და კონფიდენციალური პროფესიული ხელისანვდომობის უფლებას შორის.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

სრული შემოწმება უნდა ჩატარდეს მხოლოდ კონკრეტული ეჭვის საფუძველზე, შესაბამის გარემოში და ღირსების პატივისცემის პირობებში.[8] კერძოდ, პირადი სრული შემოწმება მხოლოდ მაშინ უნდა ჩატარდეს, როდესაც არსებობს დასაბუთებული საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ პატიმარი შეიძლება მალავდეს ნივთებს, რომლებითაც საფრთხეს შეუქმნის საკუთარ თავს ან რომელიც შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება და როდესაც აუცილებელია ასეთი შემოწმების ჩატარება, ვინაიდან ჩვეულებრივი შემოწმებით ამ ნივთების პოვნა, სავარაუდოდ, ვერ იქნება შესაძლებელი. მსგავსი ღონისძიების ჩატარება საჭიროებს მაღალი თანამდებობის პირის ნებართვას და უნდა ექვემდებარებოდეს წერილობით საქმისწარმოებას – ცხადად უნდა იყოს ფორმულირებული გარემოებები, რომლებშიც ეს ღონისძიება უნდა გამოიყენებოდეს.[9]

სრული შემოწმება არის უაღრესად ინვაზიური და პოტენციურად დამამცირებელი ღონისძიება. შესაბამისად, სრული შემოწმება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ შემთხვევაში რისკის შეფასებას და ექვემდებარებოდეს მკაცრ კრიტერიუმებსა და ზედამხედველობას. ყველანაირი გონივრული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული დამცირების შესამცირებლად. პატიმ-

8 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ბულგარეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ბულგარეთში 2002 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2004)21, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2004, პუნქტი 119.

9 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ჩეხეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ჩეხეთში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2015)18, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, პუნქტი 22.

რებს, როგორც წესი, არ უნდა მოეთხოვოთ ტანსაცმლის ერთიანად გახდა, ანუ პირს ნება უნდა დაერთოს, გაიხადოს ტანისამოსი წელს ზემოთ და ჩაიცვას დანარჩენი ტანისამოსის გახდის დაწყებამდე. უფრო მეტიც, პატიმრებს არასოდეს უნდა მოეთხოვოთ სხვა დანარჩენი პატიმრებისა თუ პირთა დიდი ჯგუფების წინ გაშიშვლება. CPT-სთვის სრულიად მიუღებელია ჯგუფური პირადი სრული შემოწმება.[10]

პატიმრების სისტემატური პირადი სრული შემოწმება გაუმართლებელია, მითუმეტეს, როდესაც ეს ღონისძიება ისედაც უსაფრთხო გარემოში გამოიყენება.[11] აგრეთვე CPT იმეორებს, რომ დაუშვებელია ძაღლების გამოყენება იმ ადგილებში, სადაც პატიმრები არიან მოთავსებულები.[12]

CPT აკრიტიკებს გადამეტებული ძალის გამოყენებას რეჟიმის თანამშრომლების მხრიდან, როცა პატიმარი პირად სრულ შემოწმებას ეწინააღმდეგება. CPT ასევე აკრიტიკებს პრაქტიკას, როდესაც დაწესებულების კაპიშონ-ჩამოფხატული თანამშრომლები ატარებენ საკნების შემოწმებას ისე, რომ მათი იდენტიფიცირება შეუძლებელია.[13]

პენიტენციური დაწესებულების ექიმი მოქმედებს, როგორც პაციენტის პირადი ექიმი. მან არ უნდა ჩაატაროს შემოწმება, რომელსაც მისგან დაწესებულების ადმინისტრაცია ითხოვს, გარდა იმ გადაუდებელი შემთხვევისა, როცა სხვა ექიმი ვერ მიდის დაწესებულებაში.[14] შემოწმება უნდა ჩაატაროს დაწესებულების იგივე სქესის თანამშრომელმა და ნებისმიერი შემოწმება, რომელიც პატიმრის ტანისამოსის გახდას გულისხმობს, უნდა ჩატარდეს საწინააღმდეგო სქესის პერსონალის მხედველობის არეს მიღმა.[15]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 3 – წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

---

10 *Ibid.*, პუნქტი 86.

11 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), 25-ე ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2016)10, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 36.

12 *Ibid.*, გვ. 19.

13 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), 24-ე ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2015)1, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, გვ. 27.

14 წამების პრევენციის კომიტეტი, სტანდარტები, CPT/Inf/E(2002)1-Rev. 2015, გვ. 47, პუნქტი 73.

15 *Ibid.*, გვ. 94. პუნქტი 23.

მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

მართალია, შეიძლება, სრული შემოწმება ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი იყოს პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების მიზნებისთვის ან უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ეს ღონისძიებები უნდა ჩატარდეს სათანადო წესით და უნდა იყოს გამართლებული.

თუმცა, როდესაც შემოწმების ჩატარებას აქვს დამამცირებელი ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ამძიმებს იმ დამცირებას, რომელიც გარდაუვლად თან ახლავს პროცედურას, კონვენციის მე-3 მუხლი ირღვევა: მაგალითად, როდესაც მამაკაც პატიმარს აიძულეს, გაეხადა ქალი თანამშრომლის წინ და მის სასქესო ორგანოსა და საჭმელს შეეხნენ შიშველი ხელებით; ან, როდესაც შემოწმება ჩატარდა თანამშრომლების წინაშე, რომლებმაც დასცინეს და სიტყვიერად შეურაცხყვეს პატიმარი; როდესაც ჩატარებულ შემოწმებას არ ჰქონდა კავშირი დაწესებულების უსაფრთხოებასთან და დანაშაულისა თუ უწესრიგობის თავიდან აცილების მიზანთან; როდესაც პატიმარს ბრალად ედება არაძალადობრივი დანაშაულის ჩადენა და უტარდება შემოწმება, რათა საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის შესაძლებლობა მიეცეს დაწესეულების ტერიტორიაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, როდესაც სრული შემოწმება არის სისტემატური და ხანგრძლივი პრაქტიკა დამაჯერებელი უსაფრთხოების მოსაზრებების გარეშე. მაგალითად, შემოწმება კვალიფიცირდება, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, როდესაც პატიმარს ყოველ კვირა

უტარდებოდა პირადი სრული შემოწმება ანალური შემოწმების ჩათვლით მაშინაც კი, როდესაც კონტაქტი გარე სამყაროსთან არ ჰქონდა; როდესაც პირად სრულ შემოწმებას პატიმარი ექვემდებარებოდა დღეში 4-8-ჯერ, რომელიც გულისხმობდა სრულ გაშიშვლებას და ვალდებულებას, გადახრილიყო ანალური დათვალიერებისთვის და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში – ძალის გამოყენებას.

როდესაც შემოწმების ღონისძიება არ აღწევს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, ის შეიძლება მაინც არღვევდეს კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს პატიმრების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

რელევანტური საქმეები

პატიმრის შემოწმება: არდარღვევა

ფაქტები:[16] პატიმარი იყო შვიდი პირიდან ერთადერთი, რომელიც დაექვემდებარა შიშველ შემოწმებას სასამართლო განხილვიდან დაბრუნების შემდეგ დაწესებულებაში შესვლისას. პატიმარს მიეცა მითითება, რომ გაეხადა ტანისამოსი, ჩაებუქნა და გადახრილიყო. ამ დროს დაწესებულების თანამშრომელი ხელზე ხელთათმანს იცვამდა და რექტალური შემოწმებისთვის ემზადებოდა. პატიმარი განერვიულდა და უარი თქვა მითითებების შესრულებაზე. დაწესებულების თანამშრომელმა, რომელიც თავიდან თავად აპირებდა შემოწმების ჩატარებას, გადაიფიქრა, შეასრულა პატიმროს თხოვნა და წაიყვანა ექიმთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: პატიმარი არ ჩიოდა შემოწმების რუტინულ პრაქტიკაზე. ის ჩიოდა შემოწმების ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე. ევროპულმა სასამართლომ დადებითად აღნიშნა, რომ პატიმრის შემოწმება ჩატარდა ცალკე, საამისოდ გამოყოფილ ოთახში და არა სხვა პატიმრების თანდასწრებით. შემოწმება ჩაატარეს იგივე სქესის თანამშრომლებმა. მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი, როგორც ყველა სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირი, ხელისუფლების ხელთ მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებოდა, ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ის განსაკუთრებულად უსასოო მდგომარეობაში იყო ჩაყენებული. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა ის ფაქტი, რომ ამ კონკრეტულ პატიმარს რამდენჯერმე უპოვეს აკრძალული ნივთები და მას მრავალჯერ ჰქონდა დისციპლინური სახდელი

16 იულინი ესტონეთის წინააღმდეგ *(Julin v. Estonia)*, განაცხადები nos. 16563/08, 40841/08, 8192/10 და 18656/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

დაკისრებული. ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ, როგორც ჩანს პატიმრის ქცევამ, დაწესებულების ადმინისტრაციასთან მისი კონფლიქტის ჩათვლით, აგრეთვე საკუთარი თავის მიმართ ჩადენილმა ქმედებებმა (მაგალითად, პირის ამოკერვა) მისცა დაწესებულების ადმინისტრაციას საფუძველი, ეფიქრა, რომ ის საშუალოზე მეტ საფრთხეს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შემოწმება ჩატარდა პატიმრის დაწესებულებაში დაბრუნებისას, ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ შემოწმებას საკმარისი საფუძველი ჰქონდა. ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ შემოწმებამ მართლაც გაანერვიულა პატიმარი, მაგრამ ევროპული სასამართლოს შეფასებით, მას მე-3 მუხლით აკრძალული სისასტიკის მინიმალური ზღვარისთვის არ მიუღწევია.

საკითხი ხვდება კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების ფარგლებში.

შემოწმებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, ემსახურებოდა დანაშაულის თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ევროპულ სასამართლოს ისღა დარჩა შესაფასებლად, შემოწმების ჩატარება რამდენად თანაბარზომიერი იყო ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

იმ ფაქტს, რომ რამდენიმე თანამშრომელი დაესწრო შემოწმებას, შეეძლო გაემძაფრებინა დისკომფორტი, რომელსაც პატიმარი აუცილებლად განიცდიდა, მის ინტიმურ სფეროში ინტენსიური ჩარევის გამო. ამ მდგომარეობას შეიძლება გამოეწვია ის, რომ პატიმარს ეფიქრა, მას დასცინოდნენ, თუნდაც ასეთი განზრახვა დაწესებულების თანამშრომლებს არ ჰქონოდათ. ერთზე მეტი თანამშრომლის დასწრება შეიძლება იქნეს დანახული, როგორც თვითნებობისგან დაცვის საშუალება. სრული შემოწმებისას აბსოლუტურ მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი თანამშრომელთა რაოდენობა, მინიმალიზებული იყოს შემოწმებას დაქვემდებარებული პირის დისკომფორტი. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული სტანდარტი დაცული იქნა. მხედველობაში მიიღო რა პატიმრის წარსული უწესრიგო და ზოგჯერ ძალადობრივი ქცევა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 5 თანამშრომლის დასწრებამ პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას არათანაბარზომიერი ხასიათი არ მისცა. რაც შეეხება პატიმრის მტკიცებას, რომ სამედიცინო განყოფილებაში მისი შემოწმება ორი მცველის თანდასწრებით ჩატარდა, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ თუნდაც ეს განცხადება სიმართლეს შეესაბამებოდეს, სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ უნდა მიჩნეულიყო პატიმარი ნაკლებად საშიშად სამედიცინო განყოფილებაში ყოფნისას. ამასთან ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სამედიცინო შემოწმებაზე დამსწრე თანამშრომლების რაოდენობა შემცირდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში არათანაბარზომიერ ჩარევას ადგილი არ ჰქონია.

ფაქტები:[17] პატიმარს ჩაუტარდა პირადი სრული შემოწმება სეირნობიდან დაბრუნების შემდეგ კიბეზე, საკანში შეყვანამდე. შემოწმების მიზანი იყო აკრძალული ნივთების (სიგარეტის) პოვნა. კერძოდ, ორმა თანამშრომელმა პატიმარს მოსთხოვა შარვლისა და ქვედა საცვლის ჩახდა და სასქესო ორგანოს აწევა. კიბეზე სხვა პირი არ იმყოფებოდა, მაგრამ დერეფნის ორ კარში გამჭვირვალე მინები იყო ჩასმული, რომლებზედაც ფარდები არ ეკიდა. პატიმარს ეგონა, რომ სხვა პატიმრები და დაწესებულების ქალი თანამშრომლები უყურებდნენ. ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პატიმარი პირადი სრული შემონმების დროს არავის დაუნახავს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შემოწმება: ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ შემონმების მიზანი პირის დამცირება არ ყოფილა. შემონმება ჩატარდა იგივე სქესის თანამშრომლების მიერ. მათი მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. პატიმარი სხვა პატიმრების თვალწინ არ გაუშიშვლებიათ. მართალია, პატიმარი მოწყვლად მდგომარეობაში იყო შემოწმების დროს, განსაკუთრებულად უსასოო მდგომარეობაში ჩაყენებული არ ყოფილა. ეს იყო ერთი კონკრეტული ინციდენტი და პატიმარი შემოწმების რუტინულ პრაქტიკაზე არ ჩიოდა. ევროპულმა სასამართლომ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ პატიმარს არაერთი დისციპლინური სახდელი ჰქონდა დაკისრებული, მათ შორის აკრძალული ნივთების შენახვის გამო. მართალია, დისციპლინური დარღვევების უმეტესობას ადგილი ჰქონდა შემოწმების აღნიშნული შემთხვევის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ დისციპლინური დარღვევები პატიმრის პიროვნებას და პენიტენციური დაწესებულების რეჟიმის მიმართ მის დამოკიდებულებას ახასიათებდა და ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო შემონმების აუცილებლობის შეფასებისას. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ შემოწმებას პირის ღირსება არ დაუმცირებია და მე-3 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

პირადი სრული შემოწმების საკითხი ხვდება კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების ფარგლებში.

შემოწმებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, ემსახურებოდა დანაშაულის და უწესრიგობის თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ევროპულ სასამართლოს ისღა დარჩა შესაფასებლად, შემოწმების ჩატარება რამდენად თანაბარზომიერი იყო ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

17 იეგერი ესტონეთის წინააღმდეგ *(Jaeger v. Estonia)*, განაცხადი no. 1574/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 31ივლისის გადაწყვეტილება.

ევროპული სასამართლო, ცხადია, ეთანხმება იმას, რომ შემოწმების პროცედურისთვის უფრო ჯეროვანი პირობები იქნებოდა სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილ ოთახში. იმავდროულად, ევროპული სასამართლო არ ეთანხმება პატიმარს, რომ თუ შემოწმების პროცედურა ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში არ ჩატარდება, პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება აუცილებლად დაირღვევა. ამის ნაცვლად, ევროპული სასამართლო ყურადღებას აქცევს საქმის კონკრეტულ გარემოებებს, კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვის მიზანს და შემოწმების ჩატარების ადგილსამყოფლის სპეციფიკას. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა ჩატარებულიყო, რათა პატიმრებს არ დაემალათ, ან ერთმანეთისთვის არ გადაეცათ აკრძალული ნივთები. შესაბამისად, ევრპული სასამართლო ეთანხმება, რომ უსაფრთხოების დაცვის გადაუდებელი მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა, შემოწმება ჩატარებულიყო დერეფანში ან კიბეზე. თუმცა, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ასეთ გადაუდებელ პირობებშიც კი პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება გარანტირებული უნდა იყოს.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ ფაქტს, რომ გაშიშვლებული პატიმარი სხვა პატიმრებს არ დაუნახავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. პატიმარმა ისე აღიქვა, რომ ის შიშველ მდგომარეობაში ყოფნისას შეიძლება სხვებს დაენახათ და მისი ეს აღქმა უსაფუძვლო არ იყო, ვინაიდან კიბესთან დაკავშირებულ ორ კარში გამჭვირვალე მინები იყო ჩასმული. ამ გარემოების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში არათანაბარზომიერ ჩარევას ჰქონდა ადგილი, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევის გამო მისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 1600 ევრო მორალური ზიანისთვის.

მნახველების შემოწმება: არდარღვევა, დარღვევა

ფაქტები:[18] პატიმარს ბრალად ედებოდა მკვლელობა. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შემჩნეული იქნა ნარკოტიკული ნივთიერებების მინოდებასა და მოხმარებაში. დაწესებულების დირექტორმა გასცა ბრძანება, რომ ყველა მისი მნახველი დაქვემდებარეობდა სრულ შემოწმებას. პატიმ-

18 ვეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Wainwright v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 12350/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება.

რის დედამ და ძმამ არ იცოდნენ დირექტორის ბრძანების შესახებ და მოინდომეს პატიმრის ნახვა. პატიმრის ძმას ცერებრალური დამბლა ჰქონდა და მძიმე შენელებული ინტელექტუალური განვითარება ახასიათებდა. თავდაპირველი შემოწმების პროცედურების გავლის შემდეგ მათ აცნობეს, რომ უნდა გაევლოთ სრული შემოწმება, რადგან არსებობდა საფუძველი, დაწესებულების ადმინისტრაციას ეფიქრა, მათ ნარკოტიკები ჰქონდათ თან. თუ უარს იტყოდნენ შემოწმების პროცედურაზე, მათ უარს ეტყოდნენ პატიმართან პაემანზე.

პატიმრის დედა ორმა ქალმა თანამშრომელმა გაიყვანა პატარა ოთახში, რომელიც კაბინეტებს გადაყურებდა. საბოლოოდ, მას მოუწია შიშველს დგომა. სასქესო ორგანოები და ანუსი ვიზუალურად იქნა დათვალიერებული. შემოწმების ბოლოსკენ ის უკვე კანკალებდა და აშკარად განერვიულებული იყო. ვინაიდან ფანჯრებზე ფარდები ბოლომდე არ იყო გადაწეული, მას ეგონა, რომ გარედან მისი შიშვლად დანახვა შეიძლებოდა. მას შემდეგ, რაც უთხრეს, რომ ტანისამოსი ჩაეცვა, ერთ-ერთმა თანამშრომელმა სთხოვა, რომ პირადი სრული შემოწმების თანხმობის ფორმაზე მოეწერა ხელი. მან ხელი მოაწერა.

პატიმრის ძმა ორმა მამაკაცმა თანამშრომელმა ცალკე ოთახში გაიყვანა, სადაც მას მოუწია ტანს ზემოთ გაშიშვლება. შემოწმების შემდეგ, რომელიც ასევე მოიცავდა თითის იღლიაში ტაკებას, თანამშრომლებმა მას უთხრეს, რომ ტანს ქვემოთაც გაეხადა. ამ დროისთვის ის უკვე ტიროდა და კანკალებდა. მას უთხრეს, რომ ფეხები გაეშალა. ერთერთმა თანამშრომელმა, რომელიც მის შიშველ ტანს ათვალიერებდა, აუწია სასქესო ორგანო და გადაუწია ჩუჩა. ამის შემდეგ პატიმრის ძმას მისცეს თანხმობის ფორმა ხელის მოსაწერად. მან თანამშრომლებს აუხსნა, რომ ვერ კითხულობდა და უნდოდა, რომ დედამისს წაეკითხა მისთვის, თუ რა ეწერა ფორმაში. თანამშრომლებმა მის თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს და უთხრეს, რომ თუ ფორმას ხელს არ მოაწერდა, ძმის ნახვის უფლებას არ მისცემდნენ. ამის შემდეგ პატიმრის ძმამ ფორმას ხელი მოაწერა.

ამის შემდეგ, პატიმრის დედას შვილი ოთხი თვე არ მოუნახულებია. ერთი წლის შემდეგ ის შეამოწმა ფსიქიატრმა. ექიმმა დაასკვნა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებულმა ღრმა სტრესმა მისი ადრე არსებული დეპრესია გააურესა. პატიმრის ძმა შეამოწმა იგივე ექიმმა, რომელმაც დაასკვნა, რომ პაციენტს პოსტ ტრავმული ნერვული აშლილობა ჰქონდა, რისი მიზეზიც პირადი სრული შემოწმება უნდა ყოფილიყო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ნარკოტიკები ციხის ენდემური პრობლემაა. ამასთან არსებობდა ეჭვი, რომ ბრალდებული ნარკოტიკების მომხმარებელი იყო. აქედან გამომდინარე, მისი მნახველების შემოწმება ლეგიტიმურ პრევენციულ ღონისძიებ-

ად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ასეთი უაღრესად ინვაზიური და პოტენციურად დამამცირებელი ღონისძიების იმ პირთა მიმართ გამოყენება, რომლებიც არ არიან მსჯავრდებულები ან არ არსებობს მათ მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი, უნდა განხორციელებულიყო პროცედურისთვის დადგენილი წესების განუხრელი დაცვით და ადამიანის ღირსების პატივისცემით. ციხის თანამშრომლებმა, რომლებმაც ჩაატარეს შემოწმება, არ დაიცვეს საკუთარი რეგულაციები. კერძოდ, მათ შემოწმებამდე მნახველებს არ გადასცეს ფორმულარი, რომელშიც შემოწმების პროცედურა იყო გაწერილი, რის შედეგადაც მნახველებს ეცოდინებოდათ, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ და შემოწმებაზე ინფორმირებული თანხმობის მიცემის შესაძლებლობა ექნებოდათ. ციხის პერსონალს აგრეთვე გამორჩა იმ წესის დაცვაც, რომლის თანახმადაც, პირი შემოწმებისას არც ერთ მომენტში არ უნდა იყოს სრულად შიშველი. დედა შემოწმების დროს ფანჯარაში ჩანდა, რაც ასევე არღვევდა დადგენილ პროცედურებს. შემოწმებისას სათანადო პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა არის ხელისუფლების წარმომადგენელთა და არა მნახველთა ვალდებულება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგაუწევლობის სამწუხარო შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ციხის პერსონალის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა არ ყოფილა და რაც მთავარია, მნახველებს ხელით არ შეხებიან, გარდა ბრალდებულის ძმისა. ექვსგარეშეა, რომ მოპყრობამ მნახველებს დისკომფორტი შეუქმნა. ეს შემთხვევა მე-8 მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა.

ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ შემოწმებას ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა. კერძოდ, ის ემსახურებოდა ციხეში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ შემოწმება ამ მიზნის თანაბარზომიერი ღონისძიება იყო იქიდან გამომდინარე, თუ რანაირად ჩატარდა ორივე ღონისძიება. როდესაც დადგენილია შემოწმების წესები მნახველებთან მიმართებით, რომლებსაც შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეთ არანაირი გადაცდომა ჩადენილი, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, რომ მკაცრად დაიცვას ყველა ეს წესი, უზრუნველყოს მათთვის ყველა გათვალისწინებული გარანტია და უსაფრთხოების მიზნები განახორციელოს შემოწმებული პირების ღირსების მაქსიმალური დაცვით. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს ვალდებულება მოცემულ შემთხვევაში არ შესრულებულა და შემოწმების აღნიშნული ღონისძიებები არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, მნახველების უფლებების დარღვევის გამო, მათთვის გადაეხ-

ადა კომპენსაცია – 6,000 ევრო მორალური ზიანისთვის და 17,500 ევრო სამართალწარმეობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

ციხის საერთაშორისო რეფორმა წამების პრევენციის ასოციაციის სტანდარტები (PRI/APT)[19]

სხეულის შემოწმების ინვაზიური ბუნებიდან გამომდინარე, ყველანაირი სრული შემოწმება შესაძლებელია, იყოს შეურაცხმყოფელი და დამამცირებელიც კი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სხეულის სრული შემოწმება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთოხების უზრუნველსაყოფად, თავად ამ პირების, სხვა პატიმრებისა და დაწესებულების თანამშრომლების ინტერესებიდან გამომდინარე.

კერძოდ, სხეულის შემოწმება უნდა აკმაყოფილებდეს თანაბარზომიერების კრიტერიუმს, რომელიც უკავშირდება ამ ღონისძიებათა სიხშირეს და მოთხოვნას, რომ შერჩეული იქნეს ყველაზე ნაკლებად ინვაზიური ღონისძიება უსაფრთხოების მიზნის მისაღწევად. ამიტომ სრული შემოწმება მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც გარედან ხელის შეხებით შემოწმება არასაკმარისია იმის დასადგენად, მალავს პირი თუ არა რაიმე ნივთს/ნივთიერებას.

შემოწმება უნდა ჩატარდეს ცალკე ოთახში პრივატულ გარემოში, პატიმრებისა და სხვა პირებისგან მხედველობის არეს მიღმა. დაცული უნდა იყოს ჰიგიენის ადეკვატური ნორმები.

პირადი სრული შემოწმება არ უნდა ჩატარდეს, თუ მას პატიმრისთვის ზიანის მიყენება შეუძლია. პირადი სრული შემოწმება ყოველთვის ნებადართული უნდა იქნეს წერილობით, მაღალი თანამდებობის პირის მიერ.

თანამშრომლების რიცხვი, რომლებიც ესწრებიან შემოწმებას, ძალზე მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, პირადი სრული შემოწმება სათანადოდ ჩატარდა თუ არა და ხელი შეუწყო თუ არა პირის დამცირებას. როგორც წესი, უსაფრთხოების მიზნები არ მოითხოვს ბევრი თანამშრომლის დასწრებას და იდეალურ შემთხვევაში, პირადი სრული შემოწმება უნდა ჩატარდეს მხოლოდ ერთი თანამშრომლის მიერ. როდესაც მეორე თანამშრომლის დასწრება აუცილებლად მიიჩნევა, ერთმა უნდა ჩაატაროს შემოწმება და მეორე მხოლოდ აკვირდებოდეს.
როდესაც პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია გადამეტებულ

19 რისკ ფაქტორები სხეულის შემოწმებისას არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად. სტანდარტების კომპილაცია PRI/APT მიერ.

ყურადღებას ანიჭებს უსაფრთხოებას და პერსონალი პატიმრების უმცირესი გადაცდომის გამოც კი ექვემდებარება დისციპლინურ სახდელებს, პერსონალი უფრო მოტივირებულია, შემოწმება სისტემატურად აწარმოოს, რაც დაუშვებელია და რასაც მონიტორინგის ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ.

ქალი შეიძლება, უფრო მოწყვლად მდგომარეობაში იყოს პირადი სრული შემოწმებისას, თუ წარსულში სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი იყო.

მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია[20]

რექტალური და მენჯის (ვაგინალური) შემოწმება შეიძლება ჩატარდეს დაწესებულებაში პატიმრის თავდაპირველად მოთავსებისას და შემდგომში, როცა პირს უშუალო პირადი კონტაქტი ჰქონდა დაწესებულების გარეთ. აღნიშნული აგრეთვე ნებადართულია, როდესაც არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ უსაფრთხოების მოთხოვნები და დაწესებულების წესდება დარღვეული იქნა.

შემოწმება უსაფრთხოების მიზნით ხორციელდება და არა სამედიცინო ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო. მათი განხორციელება შეუძლია მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ პერსონალს. ეს არ უნდა იყოს ექიმი, გარდა უჩვეულო და სპეციფიკური შემთხვევებისა.

ექიმის ვალდებულება, რომ პატიმარს სამედიცინო დახმარება გაუწიოს, არ უნდა იყოს კომპრომეტირებული დაწესებულების უსაფრთხოების სისტემაში მონაწილეობის ვალდებულებით. ექიმი შეძლებისდაგვარად უნდა შეეცადოს, რომ გაერიდოს შინაგანი შემოწმების პროცედურას.

გამონაკლის შემთხვევებში ადმინისტრაციამ შეიძლება მოსთხოვოს ექიმს პატიმრის შემოწმება. ექიმი გადაწყვეტს, საჭირო არის თუ არა მისი მონაწილეობა და იმოქმედებს შესაბამისად და ეთიკურად.

თუ ნაკლები გამოცდილების მქონე პირის მიერ შემოწმებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის დაზიანება, მაგალითად, თუ პატიმარი ორსულადაა ან ჰემოროიდის მძიმე შემთხვევა აქვს, ეს არასამედიცინო პროცედურა შეიძლება შესრულდეს ექიმის მიერ, ზიანის თავიდან ასაცილებლად. ასეთ შემთხვევაში, ექიმმა აღნიშნული უნდა აუხსნას პატიმარს. ექიმმა ასევე უნდა აუხსნას პატიმარს, რომ ის ასრულებს ამ პროცედურას არა, როგორც ექიმი, არამედ პაციენტის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინა-

20 მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია, განცხადება პატიმრების შემოწმებასთან დაკავშირებით, მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასამბლეაზე 1993 წელს, გადაისინჯა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2016 წელს, ხელმისაწვდომია: https://www.wma.net/policies-post/wma-statement-on-body-searches-of-prisoners/.

რე. ექიმმა უნდა აცნობოს პატიმარს, რომ სამედიცინო კონფიდენციალობა ამ შემთხვევაში დაცული არ იქნება.

თუ ექიმი ატარებს შემოწმებას, ეს არ უნდა იყოს ექიმი, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას პატიმრისთვის.

შემოწმება ძალის გამოყენებით ეთიკურად მიუღებელია და ექიმებმა არ უნდა ჩაატარონ იგი. როცა პატიმარი თანახმაა შემოწმებაზე, ექიმმა, თუ სხვა პირმა, რომელიც ატარებს შემოწმებას, უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმარს სრული წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რა პროცედურა ჩატარდება და რა პირობებში.

ალტერნატიული მეთოდები გამოყენებულ უნდა იქნეს პატიმრების რუტინული სკრინინგისთვის, მათ შორის ულტრაბგერითი და სხვა სკანირების მეშვეობით და შინაგანი შემოწმება მხოლოდ ბოლო ღონისძიება უნდა იყოს;

სარკეზე ჩაბუქვნა ანუსის შესამოწმებლად დამამცირებელი ღონისძიებაა, ნაკლებად სარწმუნო შედეგს იძლევა და უნდა აიკრძალოს;

თუ შინაგანი შემოწმება უნდა ჩატარდეს, პასუხისმგებელმა მოხელემ უნდა უზრუნველყოს, რომ შემოწმება ტარდება პერსონალის მიერ, რომელიც პატიმრის სქესისაა და აქვს საკმარისი სამედიცინო და სხვა უნარ-ჩვევები შემოწმების უსაფრთხოდ ჩასატარებლად; იმავე პასუხისმგებელმა მოხელემ უნდა უზრუნველყოს, რომ პრივატულობა და ღირსება დაცული იყოს.

ექიმმა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა მიიღოს მონაწილეობა შინაგანი შემოწმების პროცედურაში.

LGBTI პირების შემოწმების პრაქტიკა

ჩვეულებრივ, პირის გენდერული იდენტობა ემთხვევა მის ბიოლოგიურ სქესს, ტრანსგენდერი პირის გენდერული იდენტობა მის ბიოლოგიურ სქესს არ ემთხვევა. ტრანსგენდერი პირების გარეგნობა, მანერები და სხვა გარეგნული მახასიათებლები შეიძლება ნინააღმდეგობაში მოდიოდეს საზოგადოების მოლოდინთან.

ინტერსექს პირს ორივე სქესისათვის დამახასიათებელი ანატომიური ნიშან-თვისებები აქვს. ზოგჯერ დაბადებისას ხდება იდენტიფიცირება, ზოგჯერ მოგვიანებით – სიმწიფის ასაკში. ისინი, როგორც წესი, ადრეული ასაკიდან ექვემდებარებიან სამედიცინო და ქირურგიულ ჩარევას (რათა გარეგნობა მოიყვანონ შესაბამისობაში ერთ-ერთ სქესთან წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე). შესაბამისად, ასეთი პირების გენდერული იდენტობა შეიძლება მათთვის თავსმოხვეულ სქესს არ ემთხვეოდეს.

ტრანსგენდერი პირების შემთხვევაში, თავდაპირველად მათ უნდა დაესვათ შეკითხვა, თუ რომელ გენდერთან აიდენტიფიცირებენ თავს.[21]

ტრანსგენდერი და ინტერსექსი პირების შემოწმებასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს სათანადო რეგულაციები.[22] ასეთი რეგულაციები უნდა ეხებოდეს არა მარტო შემოწმების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის სქესს, არამედ ზოგად, დამატებით გარანტიებს, რადგან ასეთი პირები განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ავალდებულებს სახელმწიფოს პოსტ-ოპერაციული ტრანსგენდერი პირის შეცვლილი სქესის სამართლებრივად აღიარებას.[23] საქართველო ითვალისწინებს ამ პრაქტიკას და ოპერაციის შედეგად შეცვლილ სქესს სამართლებრივად აღიარებს.[24]

მნიშვნელოვანია საფრანგეთის გამოცდილება იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანს პირის სქესი სახელმწიფოს ჯერ სამართლებრივად არ უღიარებია. თავისუფლების აღკვეთის ადგილების გენერალური ინსპექტორის თანახმად, როგორც კი დაიწყება სქესის შეცვლის სამედიცინო პროცედურა, შემოწმება უნდა ჩატარდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა არ დაირღვეს პირის ღირსება. როდესაც მულტიდისციპლინური ჯგუფი ადგენს, რომ სქესის შეცვლის სამედიცინო პროცესი უკვე დაწყებულია, შემოწმება უნდა ჩაატაროს არა პატიმრის ბიოლოგიური სქესის თანამშრომლებმა, თუნდაც სამართლებრივად პატიმრის სამოქალაქო სტატუსი ჯერ არ იყოს შეცვლილი.[25]

მნიშვნელოვანია კანადის გამოცდილებაც, რომელიც ითვალისწინებს ტრანსგენდერი პატიმრის არჩევანის შესაძლებლობას, თუ რომელი სქესის თანამშრომელმა ჩაატაროს შემოწმება. აგრეთვე კანადის რეგულაციები ითვალისწინებს ორივე სქესის თანამშრომლების მიერ შემოწმებას სხეულის სხვადასხვა ნაწილის მიხედვით, რაც განსაკუთრებით რელევანტურია ინტერსექსი პირების კონტექსტში.[26]

---

21 მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია, განცხადება პატიმრების შემოწმებასთან დაკავშირებით, მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასამბლეაზე 1993 წელს, განახლდა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2016 წელს.

22 ციხის საერთაშორისო რეფორმა, წამების პრევენციის ასოციაცია, თავისუფლებააღკვეთილი LGBTI პირები, 2015, გვ. 10.

23 ჰამალაინენი ფინეთის წინააღმდეგ *(Hämäläinen v. Finland)*, განაცხადი no. 37359/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 59.

24 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე no. 3/7691-15, გვ. 8.

25 ციხის საერთაშორისო რეფორმა, წამების პრევენციის ასოციაცია, თავისუფლებააღკვეთილი LGBTI პირები, 2015, გვ. 10.

26 კანადის პენიტენციური სამსახური, შემოწმების სტანდარტები, [http://www.csc-scc.gc.ca/politiques-et-lois/566-7-cd-eng.shtml#s9].

იზოლაცია

გაერთიანებული ერები 117
ნელსონ მანდელას წესები 117
ბანგკოკის წესები 118
ჰავანას წესები 119
ევროპის საბჭო 119
მინისტრთა კომიტეტი 119
ევროპული ციხის წესები 119
წამების პრევენციის კომიტეტი 120
ზოგადი სტანდარტები 120
პრინციპები, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს იზოლაცია 121
თანაბარზომიერება 121
კანონიერება 121
ანგარიშვალდებულება 122
აუცილებლობა 122
დისკრიმინაციის აკრძალვა 122
იზოლაციის სახეები 122
იზოლაცია სასამართლოს გადანყვეტილებით, აღკვეთის ღონისძიების კონტექსტში 122
იზოლაცია, როგორც დისციპლინური სახდელი 123
იზოლაცია პრევენციული მიზნებისთვის 124
იზოლაცია დაცვის მიზნებისთვის 124
იზოლაციის საპროცესო გარანტიები 124
იზოლაციის პირობები 127
იზოლაციის რეჟიმები 128
სამედიცინო პერსონალის როლი იზოლაციაში 129
არასრულწლოვანის იზოლაცია 130
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 131
მუხლი 3 – წამების აკრძალვა 131
მუხლი 14 – დისკრიმინაციის აკრძალვა 131
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 132
ზოგადი პრინციპები 132
რელევანტური საქმეები 134
i. ტერორისტის 8 წლიანი იზოლაცია: არდარღვევა 134
ii. ტერორისტის 13 წლიანი იზოლაცია: დარღვევა, არდარღვევა 135
iii. 8 წლიანი იზოლაცია და პატიმრობის პირობები: დარღვევა 138
iv. საშიში პატიმრის გახანგრძლივებული იზოლაცია და დროებით სხვა დაწესებულებაში ხშირი გადაყვანა: დარღვევა 139
v. გახანგრძლივებული იზოლაცია არასათანადო პირობებში: დარღვევა 140
vi. ჰომოსექსუალი პატიმრის სრულ იზოლაციაში ყოფნა

8 თვეზე მეტი ხნით, სხვა პატიმრებისგან მისი დაცვის მიზნით: დარღვევა 141
vii. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ავტომატური მკაცრი იზოლაცია: დარღვევა 143

ნელსონ მანდელას წესები[1]

წესი 37

ქვემოთ ჩამოთვლილი ყოველთვის უნდა რეგულირდებოდეს კანონით ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე აქტით:

ა) ქმედება, რომელიც შეადგენს დისციპლინურ გადაცდომას;

ბ) სანქციების სახეები და ხანგრძლივობა, რაც შეიძლება იქნეს დანიშნული;

გ) ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, დააკისროს ასეთი სანქციები;

დ) ციხის საერთო პოპულაციისგან ნებისმიერი სახის პატიმრის არაანებაყოფლობითი განცალკევება, როგორიცაა სამარტოო საკანში მოთავსება, იზოლაცია, სეგრეგაცია, სპეციალური ზრუნვის განყოფილებებსა თუ შეზღუდულ საცხოვრებელში[2] მოთავსება, იქნება ეს დისციპლინური სახდელი თუ უსაფრთხოების ღონისძიება, არაანებაყოფლობითი განცალკევების ნებისმიერი ფორმის გამოყენების, გადასინჯვის, დაწყებისა და დამთავრების მარეგულირებელი პოლიტიკისა და პროცედურების გამოქვეყნების ჩათვლით.

წესი 43 1.

ყოვლად დაუშვებელია, შეზღუდვებმა თუ დისციპლინურმა სახდელებმა შეადგინოს წამება თუ სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა თუ დასჯა. კერძოდ, შემდეგი პრაქტიკა უნდა აიკრძალოს:

ა) განუსაზღვრელი ვადით იზოლაცია;

ბ) გახანგრძლივებული იზოლაცია;

გ) პატიმრის მოთავსება ბნელ ან გამუდმებით განათებულ საკანში;

დ) სხეულებრივი სასჯელი, პატიმრის საკვებისა თუ სასმელი წყლის შემცირება;

ე) კოლექტიური სასჯელი.

2. სპეციალური შემაკავებული საშუალებები არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სანქცია დისციპლინური გადაცდომებისთვის.

3. დისციპლინური სანქციები თუ შემზღუდავი ღონისძიებები არ უნდა ვრცელდებოდეს ოჯახის წვრებთან კონტაქტის აკრძალვაზე. ოჯახთან კონტაქტი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ შეზღუდული

1 გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები"), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 70/175, მიღებულია 2015 წლის 17 დეკემბერს.

2 სპეციალური ზრუნვის განყოფილებები და შეზღუდული საცხოვრებელი ამერიკის შეერთებული შტატების პენიტენციური სისტემის ნაწილია.

პერიოდით, როდესაც ეს მკაცრად მოითხოვება უსაფრთხოებისა და წესრიგის დასაცავად.

წესი 44

წინამდებარე წესების მიზნებისთვის, იზოლაცია ნიშნავს პატიმრების დღეში 22 საათით და მეტი ხნით იზოლაციას, მნიშვნელოვანი ადამიანური კონტაქტის გარეშე. გახანგრძლივებული იზოლაცია ეხება იზოლაციას, რომელიც 15 თანმიმდევრულ დღეზე მეტხანს გრძელდება.

წესი 45

1. იზოლაცია გამოიყენება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ღონისძიება, შეძლებისდაგვარად მოკლე დროით და ექვემდებარება დამოუკიდებელ გადასინჯვას და შეიძლება ნებადართული იყოს მხოლოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ. დაუშვებელია მისი დაკისრება განაჩენის ძალით.
2. იზოლაცია იკრძალება შეზღუდული ფსიქიკური თუ ფიზიკური შესაძლებლობის მქონე პატიმრების მიმართ, თუ მათი მდგომარეობა შეიძლება დამძიმდეს მსგავსი ღონისძიების შედეგად. იზოლაციისა და მსგავსი ღონისძიებების გამოყენების აკრძალვა ქალებისა და ბავშვების მიმართ, როგორც ეს გათვალისწინებულია დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თაობაზე გაერთიანებული ერების სტანდარტებსა და ნორმებში,[3] კვლავაც ძალაში რჩება.

ბანგკოკის წესები[4]

წესი 22

დახურული იზოლაციითა თუ დისციპლინური სეგრეგაციით დასჯა არ გამოიყენება ციხეში მყოფი ორსული, ჩვილიანი ქალებისა და მეძუძური დედების მიმართ.

---

3 იხ. გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 45/113, მიღებულია 1990 წლის 14 დეკემბერს, წესი 67 და გაერთიანებული ერების წესები ქალ პატიმართა მიმართ მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 65/229, მიღებულია 2010 წლის 6 ოქტომბერს, წესი 22.
4 გაერთიანებული ერების წესები ქალ პატიმართა მიმართ მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 65/229, მიღებულია 2010 წლის 6 ოქტომბერს.

ჰავანას წესები[5]

წესი 67

მკაცრად აკრძალულია ყველა დისციპლინური ღონისძიება, რომელიც შეადგენს სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყობას, სხეულებრივი დასჯის, ბნელ ოთახში მოთავსების, დახურულ თუ სამარტოო საკანში მოთავსების თუ სხვა სასჯელის ჩათვლით, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ნებისმიერი მიზნით აკრძალულია საკვების შემცირება და ოჯახის წევრებთან კონტაქტის შეზღუდვა, თუ უარის თქმა. შრომა ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც საგანმანათლებლო მექანიზმი და არასრულწლოვანის თავმოყვარეობის ხელშეწყობის საშუალება საზოგადოებაში დაბრუნების მოსამზადებლად და არ უნდა იყოს დაკისრებული, როგორც დისციპლინური სანქცია. დაუშვებელია არასრულწლოვანის დასჯა ერთხელ მეტად ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისთვის. კოლექტიური სანქციები აკრძალულია.

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[6]

43.2 მედიცინის მუშაკი თუ მას დაქვემდებარებული კვალიფიციური მედდა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს იმ პატიმართა ჯანმრთელობას, რომლებიც იზოლაციაში იმყოფებიან, ყოველდღე უნდა ნახულობდეს ასეთ პატიმრებს, უწევდეს მათ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და მკურნალობას მათივე, ან ციხის პერსონალის მოთხოვნით.

43.3 მედიცინის მუშაკმა უნდა აცნობოს ციხის დირექტორს ყოველთვის, როდესაც კი მიიჩნევს, რომ პატიმრის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება გახანგრძლივებული პატიმრობისა თუ მისი რომელიმე პირობის გამო, იზოლაციის ჩათვლით.

60.5 პატიმრის იზოლაცია, როგორც სასჯელი, პატიმარს შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ დროის განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც შეძლებისდაგვარად ხანმოკლე უნდა იყოს.

---

5 გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცავად, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 45/113, მიღებულია 1990 წლის 14 დეკემბერს.

6 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)[7]

ზოგადი სტანდარტები

წამების პრევენციის კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პატიმრების იზოლაციის საკითხს, რადგანაც ამ ღონისძიებას შეუძლია უკიდურესად დააზიანოს ადამიანის ფსიქიკური, სომატური თუ სოციალური კეთილდრეობა. ეს ზიანი შეიძლება დადგეს დაუყოვნებლივ და გაიზარდოს, რაც უფრო ხანგრძლივი და განუსაზღვრელი ვადით არის პატიმარი იზოლირებული. იზოლაციას დაქვემდებარებულ პატიმრებში თვითმკვლელობის გაზრდილი ტენდენცია იმ ზიანის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც ამ ღონისძიებას შეიძლება მოყვეს. შესაბამისად, ცალკე აღებულმა იზოლაციის ფაქტმა შეიძლება წარმოშვას პრობლემები წამების აკრძალვის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის თვალსაზრისით. ამასთან, ეს ღონისძიება პატიმართა მიმართ განზრახი არასათანადო მოპყრობის შესაძლებლობას იძლევა, რაც სხვა პატიმრებისა და პერსონალის ყურადღების მიღმა შეიძლება განხორციელდეს. შესაბამისად, წამების პრევენციის კომიტეტი თითოეული ვიზიტის დროს აუცილებლად გამოკითხავს იზოლაციას დაქვემდებარებულ პატიმრებს, რათა შეამოწმოს მათი პირობები და მათ მიმართ მოპყრობა, პროცედურები, რომლებიც საფუძვლად დაედო აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას, აგრეთვე მათი გასაჩივრების გზები. წინამდებარე სახელმძღვანელო დებულებები შემუშავებულია წამების პრევენციის კომიტეტის მიერ და კომიტეტის სტანდარტების ჭრილში იზოლაციის შესაფასებლად გამოიყენება.

წამების პრევენციის კომიტეტი „იზოლაციაში"[8] მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როცა პატიმარი სხვა პატიმრებისგან განცალკევებით არის მოთავსებული, მაგალითად, იზოლაცია შეიძლება იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ღონისძიება, დისციპლინური სანქცია, პრევენციული ადმინისტრაციული ღონისძიება, ან ღონისძიება, მიმართული თავად პატიმრის დასაცავად. იზოლირებული პატიმარი, როგორც წესი, განცალკევებით არის მოთავსებული, მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოში, პატიმარს ერთ ან ორ სხვა პატიმართან ერთად განათავსებენ. წინამდებარე თავი ორივე შემთხვევას თანაბრად ეხება. რაც შეეხება არასრულწლოვანი პატიმრების იზოლაციას, ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით კომიტეტის ცალკე რეკომენდაციები არსებობს.[9] ქვემოთ მოცემული მსჯელობა არ

7 მომზადებულია ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 21-ე ზოგადი ანგარიშის საფუძველზე, CPT/Inf (2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 53 *et seq.*

8 Solitary confinement.

9 იხ. ქვემოთ, ქვეთავი „არასრულწლოვანის იზოლაცია".

ვრცელდება სამედიცინო ჩვენებით პატიმრების იზოლაციაზე, რადგანაც ასეთი ღონისძიების საფუძველი ფუნდამენტურად განსხვავებული ხასიათისაა.

პრინციპები, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს იზოლაცია

პატიმრის იზოლაცია კიდევ უფრო ზღუდავს ისედაც უკიდურესად შეზღუდულ უფლებებს. ეს დამატებითი შეზღუდვა პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების და როგორც თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ორგანული ნაწილი არ არის და ყოველთვის საჭიროებს ცალკე დასაბუთებას.

პატიმრის იზოლაციის მართლზომიერების კრიტერიუმებია: თანაბარზომიერება, კანონიერება, ანგარიშვალდებულება, აუცილებლობა, დისკრიმინაციის აკრძალვა.

თანაბარზომიერება
პატიმრის/მსჯავრდებულის უფლებების შემდგომი შეზღუდვა დაკავშირებული უნდა იყოს პატიმრის მიერ ციხეში გამოწვეულ ფაქტობრივ ან პოტენციურ ზიანთან, ან რომელსაც ის ექვემდებარება ან შეიძლება დაექვემდებაროს. ფაქტობრივი თუ პოტენციური ზიანის ხარისხი, სულ მცირე, თანაბრად სერიოზული უნდა იყოს და მასზე რეაგირება მხოლოდ იზოლაციით უნდა იყოს შესაძლებელი. თანაბარზომიერება ასახულია, მაგალითად, იმ ქვეყნების კანონმდებლობაში, სადაც პატიმრის იზოლაცია მხოლოდ ყველაზე მძიმე დისციპლინური გადაცდომების ჩადენისთვის არის გათვალისწინებული. რაც უფრო გახანგრძლივებულია იზოლაცია, მით უფრო სერიოზული მიზეზი უნდა არსებობდეს და უფრო მეტი უნდა გაკეთდეს, რათა ღონისძიებამ დასახული მიზანი შეასრულოს.

კანონიერება
ეროვნული კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს პატიმრების იზოლაციის ყველა ნებადართულ სახეს. კანონის დებულებები გასაგებად უნდა ეცნობოს ყველას, ვიზეც შეიძლება ისინი გავრცელდეს. კანონი უნდა ადგენდეს იმ ზუსტ ვითარებას, რომელშიც პატიმრის იზოლაციის ნებისმიერი სახე დაიშვება; იმ პირებს, ვისაც შეუძლიათ მისი გამოყენება; პროცედურებს, რომლებიც უნდა დაიცვან აღნიშნულმა პირებმა; შესაბამისი პატიმრების უფლებებს; ვალდებულებას, რომ პატიმარს შეძლებისდაგვარად სრულად ეცნობოს გადაწყვეტილების საფუძველი (ზოგიერთ შემთხვევაში, გონივრულად გამართლებულია, გარკვეული დეტალების დაფარვა უსაფრთხოების დაცვის მოსაზრებით, ანდა მესამე პირების ინტერესების დასაცავად); გადაწყვეტილების გადასინჯვის სიხშირე და პროცედურა. იზოლაციის თითოეული სახის რეჟიმი განისაზღვრება კანონით და ეს რეჟიმები ერთმანეთისგან მკაფიოდ განსხვავებული უნდა იყოს.

ანგარიშვალდებულება

პატიმრების იზოლაციის და გადასინჯვის შესახებ მიღებული ყველა გადაწყვეტილება სრულად უნდა იყოს დოკუმენტირებული. ამ დოკუმენტებში განმტკიცებული უნდა იყოს ყველა ის ფაქტორი, რომელიც მხედველობაში იქნა მიღებული და ინფორმაცია, რომელსაც ეს ფაქტორები ემყარებოდა. დოკუმენტებში ასევე ასახული უნდა იყოს პატიმრის კომენტარები/შუამდგომლობები/განცხადებები, უარი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღებაზე. ამასთან, სრული დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს ყველა იმ ურთიერთობაზე, რომელიც პატიმარს პერსონალთან აქვს იზოლაციის პერიოდში, პერსონალის მცდელობის ჩათვლით, მოახდინოს პატიმართან კომუნიკაცია და აღნიშნულზე პატიმრის პასუხი.

აუცილებლობა

ის ფუძემდებულური წესი, რომ დასაშვებია მხოლოდ შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად და რომლებიც მართლმსაჯულების მოთხოვნებს შეესაბამება, ასევე ვრცელდება იზოლირებულ პატიმრებზე. შესაბამისად, პატიმრის იზოლაციისას დაუშვებელია, მაგალითად, პაემანზე, სატელეფონო ზარებზე, კორესპონდენციაზე უფლებების ავტომატური ჩამორთმევა, სხვა რესურსების (მაგ., საკითხავი ლიტერატურა) ხელმისაწვდომობის ავტომატური შეზღუდვა. ასევე, რეჟიმი საკმარისად მოქნილი უნდა იყოს, რათა უშვებდეს იმ ყველა შეზღუდვის შემსუბუქებას, რომელიც არ არის აუცილებელი ცალკეულ შემთხვევებში.

დისკრიმინაციის აკრძალვა

იზოლაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას, არამცთუ ყველა რელევანტური საკითხი უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, ყურადღება აგრეთვე უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას არარელევანტური საკითხები არ დაედოს საფუძვლად. პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობამ მონიტორინგი უნდა გაუწიოს პატიმრების იზოლაციას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს ღონისძიება არ გამოიყენება არათანაბარზომიერად, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე, ერთი კონკრეტული პატიმრის ან პატიმრების გარკვეული ჯგუფის მიმართ.

იზოლაციის სახეები

პატიმრის იზოლაცია გამოიყენება ოთხ ძირითად სიტუაციაში. თითოეულ მათგანს აქვს ცალკე დანიშნულება და ცალკე უნდა იქნეს განხილული:

იზოლაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღკვეთის ღონისძიების კონტექსტში

ქვეყნების უმეტესობაში სასამართლო უფლებამოსილია, გასცეს ბრძანება იმ პატიმრის გარკვეული ვადით იზოლაციაზე, რომელსაც შეფარდებული

აქვს პატიმრობა, აღკვეთის ღონისძიების სახით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სისხლის სამართლის გამოძიების/მართლმსაჯულების ინტერესები. ამას გარდა, ზოგიერთ ქვეყანაში, პატიმრის იზოლაცია კანონით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში განაჩენის ავტომატური ნაწილია, ან შეიძლება სასამართლოს მიერ დადგინდეს, როგორც განაჩენის ნაწილი.

თავისთავად ცხადია, რომ პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების დროს, შეიძლება, ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისი მტკიცებულების საფუძველზე, გამართლებული იყოს პატიმრის იზოლაცია ცალკეული პატიმრებისგან, ან საგამონაკლისო შემთხვევაში, ზოგადად, პატიმრებთან, აგრეთვე გარე სამყაროსთან მისი კონტაქტის შეზღუდვა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს მართლმსაჯულების მიზნების შესასრულებლად და ამ დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გარანტიები.[10]

წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ იზოლაცია ავტომატურად არასოდეს უნდა იყოს განაჩენის ნაწილი და არც სასამართლოს უნდა შეეძლოს, მისი განაჩენის ნაწილად განსაზღვრა. თავისუფლების აღკვეთა თავისთავად სასჯელია და სასჯელის შემდგომი დამძიმება, როგორც განაჩენის ნაწილი, კომიტეტისთვის მიუღებელია. პატიმარი შეიძლება გარკვეული დროით იზოლაციის რეჟიმს დაექვემდებაროს. თუმცა, ასეთი რეჟიმის დაკისრება პენიტენციური სისტემის პრეროგატივაა და არ უნდა იყოს სასჯელის ცალკე სახე.

იზოლაცია, როგორც დისციპლინური სახდელი

პატიმრის სხვა პატიმრებისგან განცალკევება შეიძლება დაკისრებული იყოს კანონით განსაზღვრული დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, როგორც ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელი. ამ სანქციისთვის ორგანულად დამახასიათებელი საშიშროებიდან გამომდინარე, ქვეყნები სახდელის მაქსიმალურ ვადას კანონმდებლობით ადგენენ.

წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ თანაბარზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, პატიმრის იზოლაცია, როგორც დისციპლინური სახდელი, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში და როგორც უკიდურესი ღონისძიება, შეძლებისდაგვარად ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში. წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ იზოლაციის მაქსიმალური ვადა 14 დღეს არ უნდა აღემატებოდეს და სასურველია უფრო ნაკლები ხანგრძლივობის იყოს.[11] ამასთან, კანონით აკრძალული უნდა იყოს მიყოლებით დისციპლინური სახდელის

10 იხ. ქვემოთ ქვეთავი „იზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება: პროცედურები და გარანტიები".

11 აღნიშნული არ ვრცელდება არასრულწლოვანზე. CPT-ის რეკომენდაციით, არასრულწლოვანის იზოლაცია, როგორც დისციპლინური სახდელი, არ უნდა აღემატებოდეს სამ დღეს. იხ. დანვრილებით ქვემოთ, ქვეთავი „არასრულწლოვანის იზოლაცია".

დაკისრება, რის შემდეგაც უწყვეტი იზოლაცია მაქსიმალურ პერიოდს გადააჭარბებს. პატიმრის მიერ ჩადენილი სხვა სამართალდარღვევა, რომელიც, სავარაუდოდ, უფრო მკაცრ სანქციას იმსახურებს, სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში უნდა შეფასდეს.

იზოლაცია პრევენციული მიზნებისთვის

ევროპის უმეტესი ქვეყანა ნებას რთავს, მიღებული იქნეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილება იმ პატიმრების იზოლაციისთვის, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შეიძლება მიაყენონ სხვებს სერიოზული ზიანი, ან რომლებიც შეიძლება ძალზე სერიოზულ რისკს წარმოადგენდნენ პენიტენციური დანესებულების უსაფრთხოებისთვის.

იზოლაცია დაცვის მიზნებისთვის

ყველა პენიტენციურ სისტემაში არიან პატიმრები, რომლებსაც შეიძლება დასჭირდეთ დაცვა სხვა პატიმრებისგან. დაცვა შეიძლება საჭირო იყოს სხვადასხვა მიზეზის გამო: მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები; სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა; კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირება; ვალები ციხეში და ციხის გარეთ, ან ზოგადად პიროვნების მოწყვლადობა. მრავალ ასეთ შემთხვევაში, პატიმრების მართვა რეალისტურია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, რისკი იმდენად მაღალია, რომ პენიტენციურ დაწესებულებას პატიმრების სხვებისგან განცალკევებით თუ შეუძლია თავისი პოზიტიური ვალდებულების შესრულება. ეს შეიძლება განხორციელდეს თავად პატიმრის მოთხოვნით, ან ადმინისტრაციის დისკრეციით. სახელმწიფო ხელისუფლებას აკისრია პოზიტიური ვალდებულება, რომ პატიმრებისთვის შექმნას უსაფრთხო გარემო და ამასთან, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოს პატიმრებს შორის სოციალური ურთიერთობა, რომელიც ნესრიგის დაცვის მიზანთან იქნება შესაბამისობაში. აქედან გამომდინარე, დაცვის მიზნებისთვის პატიმრის იზოლაცია მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როცა პატიმრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აბსოლუტურად არანაირი ალტერნატივა არ არსებობს.

იზოლაციის საპროცესო გარანტიები

იმისთვის, რათა პატიმრის იზოლაცია მოხდეს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში და მხოლოდ აუცილებელი უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, პატიმრის იზოლაციის ყველა სახეს უნდა ჰქონდეს თავისი განსხვავებული პროცედურა, რომლის ფარგლებშიც იზოლაციის ეს კონკრეტული ფორმა გამოიყენება და გადაისინჯება. ქვემოთ აღწერილია ის პროცედურები, რომლებსაც ნამების პრევენციის კომიტეტი იზოლაციის ამა თუ იმ სახისთვის ადეკვატურად მიიჩნევს.

იზოლაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღკვეთის ღონისძიების კონტექსტში

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოყენებული უნდა იქნეს იშვიათად და მაშინ, როდესაც არსებობს პირდაპირი მტკიცებულება, რომ მართლმსაჯულების

განხორციელებას სერიოზული რისკი ემუქრება, თუკი მოცემული პატიმარი გარკვეულ პატიმართან, ან ზოგადად პატიმრებთან დაამყარებს კონტაქტს. ასეთი გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს სასამართლოს მიერ ღია სხდომაზე, სრულად დასაბუთებული განჩინების სახით და გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს. განჩინებები უნდა გადაისინჯოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ ხშირ ინტერვალში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმრის იზოლაციის აუცილებლობა კვლავაც არსებობს.

იზოლაცია, როგორც დისციპლინური სახდელი

ის, თუ რატომ ეკისრება პატიმარს იზოლაცია, როგორც დისციპლინური სახდელი და რა დროის განმავლობაში ეკისრება აღნიშნული ღონისძიება, სრულად უნდა იყოს დოკუმენტირებული დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში გამართული სხდომის ოქმში. სხდომის ოქმი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელმძღვანელობისა და მონიტორინგის ორგანოებისთვის. უნდა არსებობდეს ქმედითი გასაჩივრების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება განმეორებითი მსჯელობა პირის ბრალეულობასა და სანქციაზე ისეთი დროის ინტერვალში, რომ პრაქტიკული დატვირთვა ჰქონდეს. ამ პროცესის აუცილებელი თანმხლები გარემოება არის ის, რომ პატიმრებს აღნიშნულ სიტუაციაში ხელი უნდა მიუწვდებოდეთ დროულ იურიდიულ კონსულტაციაზე. პატიმრები, რომლებიც იხდიან დისციპლინურ სახდელს, უნდა მოინახულოს ყოველდღიურად სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა ან დაწესებულების სხვა მაღალი თანამდებობის პირმა. ამ უკანასკნელებმა უნდა გასცენ ბრძანება ღონისძიების შეწყვეტაზე პატიმრის მდგომარეობის ან ქცევის გამო. უნდა წარმოებდეს ასეთი ვიზიტებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების ამსახველი ოქმები.

იზოლაცია პრევენციული მიზნებისთვის

აღნიშნული ღონისძიება შეიძლება გაგრძელდეს საკმაოდ დიდხანს და ხშირად ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მოქმედების ვადა განუსაზღვრელია. ეს გარემოება იზოლაციის ნეგატიურ ეფექტს კიდევ უფრო ამძიმებს. შესაბამისად, საჭიროა მკაცრი კონტროლი. წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ პატიმრის ადმინისტრაციული იზოლაცია პრევენციული მიზნებისთვის დაშვებული იქნეს მხოლოდ დაწესებულების უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ; გადაუდებელ ვითარებაში მსგავსი ღონისძიების გამოყენება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაწესებულების უმაღლესი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებელ პირს და ეცნობოს დაწესებულების დირექტორს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ხანში. გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა დაწეროს დეტალური წერილობითი მოხსენება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამთავრებამდე. ამ მოხსენებაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების მიზეზები და ზუსტი დრო, როდის დაიწყო ღონისძიების განხორციელება; აგ-

რეთვე უნდა აისახოს თავად პატიმრის მოსაზრებები. ყველა შემთხვევაში უნდა წარმოებდეს მუდმივი, ოქმით აღწერილი მეთვალყურეობა ღონისძიების პირველ საათებში და პატიმარი უნდა განთავისუფლდეს, როგორც კი ღონისძიების გამოყენების მიზეზი აღმოიფხვრება. ყველა იმ შემთხვევაში, როცა ღონისძიება 24 საათზე მეტხანს გრძელდება, საქმის ყველა გარემოება სრულად უნდა გადაისინჯოს, რათა ღონისძიება მოიხსნას შესაძლო უმოკლეს ხანში.

თუ გადასინჯვის შედეგად აშკარაა აუცილებლობა, რომ იზოლაციის ღონისძიება ძალაში უნდა დარჩეს, პროცესში ჩართული უნდა იქნეს ცენტრალური დეპარტამენტის მაღალჩინოსანი. აგრეთვე გარანტირებული უნდა იყოს დამოუკიდებელ უწყებაში გასაჩივრების უფლება. როდესაც პატიმრის ადმინისტრაციული იზოლაციის ბრძანება დადასტურდება, შიდა საუწყებო ჯგუფის შეხვედრა უნდა შედგეს და პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებელობა, წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. აღნიშნული შიდა საუწყებო ჯგუფის მთავარი ამოცანაა, რომ შეიმუშავოს გეგმა, რათა გადაწყვიტოს ის პრობლემები, რომელთა გამოც საჭირო გახდა პატიმრის იზოლირება. სხვა საკითხებთან ერთად, ამ ჯგუფმა უნდა განიხილოს, არის თუ არა პატიმარზე დაკისრებული შეზღუდვები მკაცრად აუცილებელი. ამ სახით, შეიძლება ნებადართული იქნეს პატიმრის გარკვეული შეზღუდული კონტაქტი პატიმრების გარკვეულ ჯგუფთან. პატიმარს უნდა გადაეცეს წერილობითი, დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია შიდა საუწყებო ჯგუფის მიერ და უნდა ეცნობოს, თუ როგორ გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება. თავდაპირველი გადაწყვეტილების შემდეგ, უნდა იყოს შემდგომი გადასინჯვაც, რომელიც უნდა მოხდეს, მინიმუმ, პირველი შეხვედრიდან ერთი თვის შემდეგ და შემდგომ, მინიმუმ, ყოველ სამ თვეში ერთხელ. ამ შეხვედრებზე უნდა შეფასდეს პროგრესი გეგმის შესრულების თვალსაზრისით და საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს ახალი გეგმა.

რაც უფრო მეტხანს რჩება პატიმარი იზოლაციაში, მით უფრო დეტალურად უნდა გადაისინჯოს ღონისძიება და უფრო მეტი რესურსი, სასჯელაღსრულების დანესებულების გარეთ არსებული რესურსების ჩათვლით, უნდა იქნეს მოძიებული, რათა ხელისუფლება ეცადოს იზოლირებული პატიმრის სხვა პატიმრებთან რეინტეგრაციას. პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მოითხოვოს ღონისძიების გადასინჯვა ნებისმიერ დროს და დამოუკიდებელი ანგარიშები ასეთი გადასინჯვისთვის. დაწესებულების დირექტორმა, ან დაწესებულების სხვა მაღალჩინოსანმა ყოველდღიურად უნდა მოინახულოს პატიმარი. ისინი საქმის კურსში უნდა იყვნენ პატიმრის რეინტეგრაციის თაობაზე შემუშავებულ ინდივიდუალურ გეგმებთან დაკავშირებით. სამედიცინო პერსონალი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს მსგავს პირობებში მყოფ პატიმრებს.

იზოლაცია დაცვის მიზნებისთვის

როდესაც პატიმარი თავად ითხოვს თავის დაცვის მიზნით იზოლაციას, ეს უფრო ნაკლებ შეკითხვას აღძრავს, ვიდრე პატიმრის იზოლაციის შემთხვევები, როდესაც იზოლაცია პერსონალის მოთხოვნით ხდება, თუმცა მაინც საჭიროებს განხილვას. წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ თავდაპირველად მოსინჯული უნდა იყოს ყველა ალტერნატივა, მათ შორის დაცავი პატიმრის, თუ პრობლემის გამომწვევი პატიმრების სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის, მედიაციის, დარწმუნების ტრენინგის ჩათვლით. ამასთან პატიმარს უნდა ეცნობოს დაცვის მიზნით იზოლაციის ყველა შედეგის შესახებ. ცხადია, პატიმრის მოთხოვნა, რომ დაუბრუნდეს ჩვეულებრივ რეჟიმს, განხილული უნდა იქნეს და უნდა დაკმაყოფილდეს თუ საფრთხე აღარ არსებობს. დაცვით იზოლაციაში თავის ნების საწინააღმდეგოდ მყოფ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ უფლება, სრულად მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში და შესთავაზონ ალტერნატივები. მათ სრულად უნდა აეხსნათ გადაწყვეტილება და მისი უფრო მაღალ დონეზე გასაჩივრების შესაძლებლობა. გადაწყვეტილება რეგულარულად უნდა გადაისინჯოს ისე, რომ ღონისძიება მოიხსნას, როგორც კი მისი აუცილებლობა არ იქნება.

იზოლაციის პირობები

პატიმრის იზოლაციის დროს გამოყენებული საკნები იგივე მინიმალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც პატიმრების სხვა საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით მოითხოვება. ანუ, საკანი უნდა იყოს შესაბამისი ზომის, ჰქონდეს საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათება (საკმარისია, თუ თითოეული ცალკე აღებული იძლევა კითხვის შესაძლებლობას), სათანადო გათბობა და ვენტილაცია. ასევე აღჭურვილი უნდა იყოს პერსონალთან კომუნიკაციის საშუალებით. სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ პატიმრებმა ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წესიერად შეძლონ ნებისმიერ დროს და მიიღონ შხაპი, მინიმუმ იმ სიხშირით, როგორც პატიმრები იღებენ ჩვეულებრივი რეჟიმის ფარგლებში.

იზოლაციაში მყოფ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ეცვათ სასჯელაღსრულების დაწესებულების ჩვეულებრივი ტანისამოსი, მათთვის მიწოდებული საკვები დაწესებულების მენიუს ნაწილი უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში დაცული უნდა იყოს სპეციალური დიეტა. რაც შეეხება სავარჯიშო ადგილს, იგი საკმარისად დიდი უნდა იყოს, რათა პატიმრებს მიეცეთ დაღლის შესაძლებლობა და ფართობი დაცული იყოს სტიქიისგან.

ხშირად, წამების პრევენციის კომიტეტის დელეგატები რწმუნდებიან, რომ ერთი ან ორი ზემოთ მოყვანილი საბაზისო მოთხოვნები დაცული არ არის. ეს განსაკუთრებით ეხება დისციპლინური სახდელის სახით იზოლაციაში

მყოფ პატიმრებს. მაგალითად, ამ სახის იზოლაციისთვის განკუთვნილი საკნები განლაგებულია სარდაფის სართულზე ისე, რომ არ აქვს ბუნებრივი განათება, ვენტილაცია და ნესტიანია. ხშირად არის ხოლმე, რომ საკნები მეტისმეტად პატარაა, ზოგჯერ 3-4 კვ.მ-ის ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი საკანი, რომლის ფართიც 6 კვ.მ-ზე ნაკლებია, დაუშვებელია, გამოყენებული იქნეს, როგორც პატიმრის საცხოვრებელი საკანი. კომიტეტის პრაქტიკაში, იზოლაციაში მყოფი პატიმრების სავარჯიშო ფართობიც ხშირად არაადეკვატურია.

ხშირი პრაქტიკაა, რომ სამარტოო საკანში, სადაც იზოლირებული პატიმარი დისციპლინურ სახდელს იხდის, ავეჯის შეზღუდული რაოდენობაა. ეს ავეჯი, როგორც წესი, იატაკზე ლურსმნით არის მიჭედებული. კომიტეტი ითხოვს, რომ სამარტოო საკნები, მინიმუმ, აღჭურვილი იყოს მაგიდით, სკამით ან გრძელი სკამით – დღის განმავლობაში დასაჯდომად და ღამისთვის სათანადო საწოლითა და თეთრეულით. რაც შეეხება საკნებს, რომლებიც სხვა სახის იზოლაციისთვის გამოიყენება, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს საკნები ისევე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც ჩვეულებრივი საცხოვრებელი ფლიგელების საკნები.

იზოლაციის რეჟიმები

პატიმრების მიმართ გამოყენებული სხვა რეჟიმების მსგავსად, დაცული უნდა იყოს პრინციპი, რომ იზოლირებული პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ იმ დამატებით შეზღუდვებს, რომლებიც არ არის აუცილებელი უსაფრთხო თავისუფლების აღკვეთისთვის. ამასთან, სპეციალური ზომები უნდა იქნეს მიღებული ხანგრძლივად იზოლირებულ პატიმართა რეჟიმის გასაუმჯობესებლად, ვისაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება იმ ზიანის მინიმუმამდე დასაყვანად, რომელიც ამ ღონისძიებამ შეიძლება გამოინვიოს. მიდგომა „ყველაფერი ან არაფერი“ არ არის სწორი მოცემულ შემთხვევაში. თითოეული კონკრეტული შეზღუდვის შემოღება უნდა ეფუძნებოდეს ცალკეული პატიმრისგან მომდინარე რისკის შეფასებას. ამასთან, როგორც აღინიშნა, უნდა არსებობდეს მკაფიო განსხვავება იმ რეჟიმებში, რომლებიც გამოიყენება იზოლაციის სხვადასხვა სახის დროს.

ა) აღკვეთის ღონისძიების განმავლობაში იზოლირებული პატიმრების მიმართ მოპყრობა შეძლებისდაგვარად უნდა ემსგავსებოდეს სხვა, პატიმრობაში მყოფი პატიმრების მიმართ არსებულ რეჟიმს. დამატებითი შეზღუდვები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს მკაცრად აუცილებელია მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების მიზნისთვის.

ბ) დისციპლინური სახდელის სახით იზოლირებულ პატიმრებს სრულად არ-

ასდროს უნდა ნაერთვათ კონტაქტის უფლება ოჯახის წევრებთან. მსგავს კონტაქტებზე შეზღუდვა უნდა დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა ამ კონტაქტებს უკავშირდება. არ უნდა შეიზღუდოს სახდელდადებული პირის უფლება ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე. იზოლაციის პირველივე დღიდან, მათ უფლება უნდა ჰქონდეთ, მინიმუმ, ერთი საათით ღია ცის ქვეშ ვარჯიშზე. უნდა წახალისდნენ ღია ცის ქვეშ ვარჯიშზე. აგრეთვე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ საკითხავი ლიტერატურის გონივრულ არჩევანზე (მაგალითად, საკითხავი ლიტერატურა მხოლოდ რელიგიური ტექსტებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს). ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ მიიღონ გარკვეული სტიმულაცია ფსიქიკური კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

გ) პრევენციული მიზნებისთვის ადმინისტრაციულ იზოლაციაში მყოფ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ინდივიდუალური რეჟიმის გეგმა, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს მათი იზოლაციის გამომწვევ მიზეზებზე რეაგირება. ამ გეგმით ადმინისტრაცია უნდა ეცადოს პატიმრის სხვა პირებთან კონტაქტის მაქსიმალიზებას. თავდაპირველ ეტაპზე, სხვებში პერსონალი მოიაზრება, მაგრამ შეძლებისდაგვარად მალე – სხვა პატიმრებიც. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მთელ რიგ აქტივობებს დღის შესავსებად. პერსონალმა დიდ ძალისხმევას უნდა მიმართოს ამ ღონისძიებებში პატიმრების მონაწილეობის ნასახალისებლად და გარე სამყაროსთან კონტაქტის დამყარებას ხელი უნდა შეუწყოს. ადმინისტრაციული იზოლაციის მთელი პერიოდის განმავლობაში მთავარი მიზანი უნდა იყოს, რომ პატიმარი კვლავაც ჩაერთოს ჩვეულებრივ რეჟიმში.

დ) რაც შეეხება დაცვის მიზნით იზოლირებულ პატიმრებს, დაცული უნდა იქნეს წონასწორობა შემდეგ ინტერესებს შორის: ადმინისტრაციამ არ უნდა დაუშვას, რომ იზოლაციის ეს სახე ზედმეტად მიმზიდველი აღმოჩნდეს პატიმრებისთვის, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი შეზღუდვები, რომლებიც იზოლირებული პატიმრის მიმართ გამოიყენება. ცხადია, მსგავსი იზოლაციის დასაწყისში, უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა შეძლებისდაგვარად მალე მოხდეს პატიმრის დაწესებულებაში რეინტეგრაცია. თუ აშკარაა, რომ საჭიროა უფრო ხანგრძლივი დაცვა და სხვაგვარი რეაგირება შეუძლებელია, რეჟიმი უნდა გაუმჯობესდეს. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო, რათა იდენტიფიცირებული იქნეს ის პატიმრები, რომლებთანაც იზოლირებულ პატიმარს უსაფრთხოდ შეეძლება კონტაქტი და ის სიტუაციები, როდესაც შესაძლებელი იქნება იზოლირებული პატიმრის საკნიდან გაყვანა.

სამედიცინო პერსონალის როლი პატიმრის იზოლაციაში

პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის წევრები უნდა მოქმედებდნენ, როგორც პატიმრების პირადი ექიმები და უნდა უზრუნველყონ,

რომ მათთან, როგორც პაციენტებთან, პოზიტიური ურთიერთობები ჰქონდეთ. ციხის ექიმის მიერ იმის დადასტურების პრაქტიკა, თუ რამდენად შეესაბამება პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა იზოლაციას, როგორც სადამსჯელო ღონისძიებას (ან როგორც ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც დაკისრებულია პატიმრის ნების საწინააღმდეგოდ), ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ურთიერთობას დადებითად წაადგება. ეს ასპექტი ასახულია 2006 წლის ევროპულ ციხის წესებშიც. კომიტეტი მიიჩნევს, რომ სამედიცინო პერსონალმა არასოდეს უნდა მიიღოს მონაწილეობა არანაირი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლის შედეგიც პატიმრის იზოლაციაა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იზოლაციის ღონისძიება სამედიცინო ჩვენებით გამოიყენება. მეორე მხრივ, სამედიცინო პერსონალი დიდ ყურადღებას უნდა იჩენდეს ყველა იზოლირებული პატიმრის მიმართ. სამედიცინო პერსონალს უნდა ეცნობოს ყველა ასეთი შემთხვევის შესახებ, მათი იზოლაციისთანავე და შემდგომში, რეგულარულად, სულ მცირე, დღეში ერთხელ, უნდა მოინახულონ პატიმარი და საჭიროებისამებრ, უზრუნველყონ დროული სამედიცინო დახმარება და მკურნალობა. მათ უნდა მოახსენონ ციხის დირექტორს, თუ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულ საფრთხეშია იზოლაციიდან გამომდინარე.

არასრულწლოვანის იზოლაცია

წამების პრევენციის კომიტეტს მკაცრი დათქმები აქვს არასრულწლოვანების იზოლაციის ნებისმიერ სახესთან დაკავშირებით.[12]

არასრულწლოვანების იზოლაციის ნებისმიერი სახე არის ღონისძიება, რომელსაც შეუძლია დააზიანოს მათი ფიზიკური ანდა ფსიქიკური კეთილდღეობა და ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც მხოლოდ უკიდურესი საშუალება. კომიტეტის აზრით, როდესაც არასრულწლოვანები ექვემდებარებიან იზოლაციას, როგორც დისციპლინურ სახდელს, ყოვლად დაუშვებელია არასრულწლოვანის იზოლაცია 3 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. ამასთან, ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სოციალურ-საგანამანათლებლო მხარდაჭერით და ჯეროვანი ადამიანური კონტაქტით. სამედიცინო პერსონალის წევრმა დაუყოვნებლივ უნდა მოინახულოს იზოლირებული არასრულწლოვანი, ამის შემდეგ რეგულარულად, მინიმუმ, დღეში ერთხელ და უზრუნველყოს იგი შესაბამისი სამედიცინო დახმარებითა და მკურნალობით.

რაც შეეხება არასრულწლოვანის იზოლაციას დაცვის ან პრევენციული მიზნებით, კომიტეტი აცნობიერებს, რომ ასეთი ღონისძიება, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, შეიძლება მოითხოვებოდეს განსაკუთრებით

12 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), 24-ე ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2015)1, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, გვ. 28.

მოწყვლადი პატიმრების დასაცავად, ან, ციხის უსაფრთხოებას დამუქრებული სერიოზული რისკების ასაცილებლად, იმ პირობით, რომ აბსოლუტურად არანაირი ალტერნატივა არ არსებობს პრობლემის მოსაგვარებლად. ყველა ასეთი ღონისძიება დაიშვება უფლებამოსილი თანაბმდებობის პირის მიერ, ცხად პროცედურაზე დაყრდნობით, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს იზოლაციის ხასიათს, მის ხანგრძლივობას, საფუძვლებს და ითვალისწინებს რეგულარული გასაჩივრების მექანიზმს ისევე, როგორც არასრულწლოვანის შესაძლებლობას, გაასაჩივროს გადაწყვეტილება დამოუკიდებელ გარე უწყებაში.

იზოლირებულ არასრულწლოვნებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ჯეროვანი ადამიანური კონტაქტი და ისარგებლონ სამედიცინო პერსონალის წევრის ყოველდღიური ვიზიტით. ასევე, დამაწყნარებელ ოთახში არასრულწლოვანის მოთავსება, რომელიც ძალადობრივი/მშფოთვარე ქცევით გამოირჩევა, უაღრესად საგამონაკლისო ღონისძიება უნდა იყოს. ასეთი ღონისძიება უნდა გრძელდებოდეს რამდენიმე საათზე მეტხანს და არასოდეს უნდა გამოიყენებოდეს, როგორც არაოფიციალური სასჯელი. მექანიკური დამაწყნარებელი საშუალებები ასეთ კონტექსტში არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული. დამაწყნარებელ ოთახში არასრულწლოვანის ყოველი მოთავსების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ექიმს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება, დააკმაყოფილოს არასრულწლოვანის სამედიცინო საჭიროებები. ამას გარდა, თითოეული ასეთი მოთავსების შემთხვევა უნდა ჩაიწეროს ცენტრალურ რეესტრში და არასრულწლოვანის ინდივიდუალურ საქმეში.[13]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 3 – წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

მუხლი 14 – დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.

13 *Ibid.*, გვ.გვ. 56-57.

ზოგადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით კარგადაა გამოკვეთილი ის გარემოებები, რომლებშიც იზოლაცია ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს არღვევს. კერძოდ, სრულ სენსორულ იზოლაციას,[14] სრულ სოციალურ იზოლაციას შეუძლია პიროვნების განადგურება და შეადგენს არაადამიანურ მოპყრობას, რომელსაც ვერ ამართლებს უსაფრთხოების თუ სხვა მიზნები.[15]

იზოლაციის სხვა სახეები, რომლებიც არ უტოლდება სრულ სენსორულ იზოლაციას, ასევე შეიძლება არღვევდეს მე-3 მუხლს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ღონისძიება, რაც კი შეიძლება პირს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაეკისროს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იზიარებს ნამების პრევენციის მოსაზრებას, რომ იზოლაციის ყველა სახეს, სათანადო გონებრივი და ფიზიკური სტიმულირების გარეშე, საბოლოო ჯამში, სავარაუდოდ, შეუძლია, დააზიანოს გონებრივი შესაძლებლობები და სოციალური უნარები.[16]

ამასთან, სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ უსაფრთხოების, დისციპლინური თუ დამცავი მოსაზრებებით პატიმრისთვის სხვა პატიმრებთან კონტაქტის აკრძალვა თავისთავად არ შეადგენს არაადამიანურ მოპყრობას თუ სასჯელს.[17] კონვენციის ხელშემკვრელ ბევრ სახელმწიფოში არსებობს საშიში პატიმრებისთვის გათვალისწინებული უსაფრთხოების მკაცრი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს გაქცევის, თავდასხმისა თუ არეულობის პრევენციას.

მართალია, სხვა პატიმრებისგან პატიმრის ხანგრძლივი ჩამოშორება არასასურველია, საკითხი, ხვდება თუ არა პატიმრის იზოლაცია მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში, დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, ღონისძიების სიმკაცრეზე, მის ხანგრძლივობაზე, დასახულ მიზანზე და პატიმრობის შედეგებზე.

14 იზოლაცია, რომელსაც ახლავს ადამიანის სენსორული შეგრძნებების (მხედველობის, სმენის და მისთ.) დახშობა.

15 ვან დერ ვენი ნიდერლანდების წინააღმდეგ *(Van der Ven v. the Netherlands)*, განაცხადი no. 50901/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 51.

16 იორგოვი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Iorgov v. Bulgaria)*, განაცხადი no. 40653/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 83.

17 მესინა იტალიის წინააღმდეგ (no. 2) *(Messina v. Italy)*, განაცხადი no. 25498/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 28 სექტემბრის განჩინება; რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Ramirez Sanchez v. France)*, განაცხადი no. 59450/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება; ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ *(Öcalan v. Turkey)*, განაცხადი no. 46221/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება.

ამ კრიტერიუმების გამოყენებისას, ევროპულ სასამართლოს არასოდეს ჩამოუყალიბებია ზუსტი წესები, რომლებიც უნდა არეგულირებდეს პატიმრის იზოლაციას. მაგალითად, მას არასოდეს დაუკონკრეტებია დროის პერიოდი, რომლის გადამეტებაც სისასტიკის მინიმალურ ზღვარს მიაღწევდა. თუმცა, სასამართლოს ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ პატიმრის იზოლაცია, ფარდობითი იზოლაციის შემთხვევებშიც კი, არ შეიძლება განუსაზღვრელად.[18]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი ფუნქცია არ არის, დააკონკრეტოს, თუ უსაფრთხოების რომელი ღონისძიება უნდა იქნეს პატიმრის მიმართ გამოყენებული. თუმცა, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს შეზღუდვებს, რომლებიც გამოიყენება პატიმრების მიმართ, რომლებიც არ არიან საშიშნი, ან არ არღვევენ წესრიგს; აგრეთვე შეზღუდვებს, რომლებიც არ შეიძლება გონივრულად უკავშირდებოდეს იზოლაციით დასახულ მიზანს და შეზღუდვებს, რომლებიც გრძელდება მაშინაც, როცა მიჩნეულია, რომ პატიმარი საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

დაბოლოს, იმისთვის, რათა პატიმრის იზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობის ყოველგვარი რისკი, გადაწყვეტილების მიღების პროცესს თან უნდა ახლდეს საპროცესო გარანტიები, რომლებიც პატიმრის კეთილდღეობას და ღონისძიების თანაბარზომიერებას უზრუნველყოფს. პირველ რიგში, პატიმრის იზოლაცია შეიძლება ნებადართული იქნეს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში და მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ღონისძიება მოსინჯული იქნება, როგორც ეს მითითებულია ევროპული ციხის წესების 53.1 წესში. ამასთან, პატიმრის იზოლაციაზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ლეგიტიმურ საფუძველს დასაბამშივე და შემდეგშიც, თუ მისი მოქმედების ვადა გახანგრძლივდება. აგრეთვე ხელისუფლების გადაწყვეტილება უნდა იძლეოდეს იმის დადგენის საშუალებას, რომ მათ შეაფასეს მდგომარეობა და მხედველობაში მიიღეს პატიმრის გარემოებები, მდგომარეობა და ქცევა. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთება კიდევ უფრო უნდა მყარდებოდეს და დეტალური უნდა იყოს დროის გასვლასთან ერთად. უფრო მეტიც, უნდა არსებობდეს პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის სისტემა, რათა პატიმრის იზოლაციის ღონისძიებებმა ლეგიტიმურობა შეინარჩუნოს. დაბოლოს, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პატიმარს უნდა შეეძლოს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მიერ გახანგრძლივებული იზოლაციის არსის და საფუძვლის გადასინჯვა.[19]

18 რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Ramirez Sanchez v. France)*, განაცხადი no. 59450/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 136.

19 ბაბარ აჰმადი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Babar Ahmad and Others v. the United Kingdom)*, განაცხადები nos. 24027/07 11949/08 36742/08, ადამიანის

ტერორისტის 8 წლიანი იზოლაცია: არდარღვევა

ფაქტები[20] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი საერთაშორისო ტერორისტია, ცნობილი, როგორც „ტურა კარლოსი". 1994 წელს, ის ბრალდებულის სტატუსით მოათავსეს სამარტოო საკანში, სადაც მან დაჰყო 8 წელი და 2 თვე. მსჯავრი დაედო 1997 წელს. იზოლაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების ვადა ყოველ სამ თვეში გრძელდებოდა 2002 წლამდე. განცალკევებული იყო სხვა პატიმრებისგან და არ ჰქონდა ურთიერთობა არც პერსონალთან. დღეში ორი საათით გაჰყავდათ სასეირნოდ, როცა სხვა პატიმრები საკნებში ბრუნდებოდნენ. სავარჯიშოდ გაჰყავდათ დღეში ერთი საათით. ხელი მიუწვდებოდა ტელევიზორსა და გაზეთებზე. საკანი ბუნებრივად იყო განათებული. ჰყავდა 58 ადვოკატი და ერთთან ან რამდენიმესთან ჰქონდა მრავალი შეხვედრა. თვეში ერთხელ ნახულობდა მღვდელი. ოჯახის წევრებს შეეძლოთ პაემანზე მისვლა, თუმცა მისი ოჯახის არც ერთ წევრს არ მოუთხოვია შეხვედრა. მხოლოდ მსჯავრდებულის მეუღლე ისლამური სამართლის თანახმად, რომელიც იმავდროულად მისი წარმომადგენელიც იყო, მას 1997 - 2002 წლებში 640-ჯერ შეხვდა. ადმინისტრაციამ მსჯავრდებულთან შეხვედრაზე უარი უთხრა მხოლოდ ჟურნალისტებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი მოცემულ საქმეში არ დარღვეულა. სასამართლომ დაასკვნა, რომ მსჯავდებულის პიროვნებისა და მისგან მომდინარე საფრთხის გათვალისწინებით, იმ პირობებმა, რომელშიც ის იმყოფებოდა, სისასტიკის მინიმალურ ზღვარს არ მიაღწია. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე რამდენიმე თვით ადრე, მსჯავრდებულის იზოლაციის ღონისძიება გაუქმდა.

პატიმრობის ფიზიკური პირობები შეესაბამებოდა ევროპულ ციხის წესებს და წამების პრევენციის კომიტეტის მიერ „გლობალურად მისაღებად" ჩაითვალა კომიტეტის ვიზიტის შედეგად 2000 წელს. ექიმი კვირაში ორჯერ ნახულობდა პატიმარს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდა. სასამართლომ გაითვალისწინა ადვოკატებთან და მეუღლესთან შეხვედრების სიხშირე და დაასკვნა, რომ პატიმარი სრულ სენსორულ იზოლაციაში, ან სრულ სოციალურ იზოლაციაში კი არ იყო, არამედ ნაწილობრივ და ფარდობით იზოლაციაში. თუმცა ფაქტია, რომ ეს ღონისძიება გაგრძელდა

უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება.
20 რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Ramirez Sanchez v. France)*, განაცხადი no. 59450/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება.

8 წელზე მეტხანს. აგრეთვე სასამართლომ გაიზიარა წამების პრევენციის კომიტეტის შეშფოთება განმცხადებლის იზოლაციის შესაძლო სავალალო შედეგების თაობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ განუსაზღვრელი ვადით იზოლაცია, თუნდაც ფარდობითი იზოლაცია, დაუშვებელია. ამ დროს სახელმწიფომ პერიოდულად უნდა გადასინჯოს პატიმრის იზოლაცია, დაასაბუთოს გახანგრძლივებული განცალკევების ღონისძიების აუცილებლობა და მეთვალყურეობა გაუწიოს პატიმრის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ განმცხადებლის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელი იყო. თავად განმცხადებელი ჯანმრთელობის მდგომარეობას არ უჩიოდა და თავის დროზე ფსიქოლოგიურ დახმარებაზე უარიც ჰქონდა ნათქვამი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეთანხმა ეროვნული ხელისუფლების მიერ იზოლაციის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას – რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე ტერორისტულ აქტებზე მიმდინარეობდა და აქედან გამომდინარე ციხეში წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, აუცილებელი იყო ბრალდებულის ყოველგვარი კონტაქტის აღკვეთა სხვა პატიმრებთან. ევროპულმა სასამართლომ გონივრულად მიიჩნია საფრთხე, რომ პატიმარს შეეძლო, ეცადა კომუნიკაცია ციხის შიგნით ან გარეთ, რათა თავის თანამონაწილეებთან კონტაქტი დაემყარებინა, ან ეცადა პატიმრების გადაბირება გაქცევაში დასახმარებლად. მოცემულ საქმეში მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

ტერორისტის 13-წლიანი იზოლაცია: დარღვევა, არდარღვევა

ფაქტები:[21] განმცხადებელი – აბდულა ოჯალანი, უკანონო ორგანიზაციის – ქურთების მშრომელთა პარტიის (PKK) დამფუძნებელია. იგი ჩივის პატიმრობის პირობებზე, კერძოდ მის სოციალურ იზოლაციაზე და ოჯახის წევრებსა და ადვოკატებთან ურთიერთობაზე დაწესებულ შეზღუდვებზე.

1999 წელს, ოჯალანს შეეფარდა წინასწარი პატიმრობა კუნძულ იმრალზე. იმავე წელს, მას თურქეთის ტერიტორიის ნაწილის გამოყოფის მიზნით განხორციელებული ტერორისტული აქტების და ათასობით ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობისთვის მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რომელიც 2002 წელს, თურქეთის მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმების შედეგად, შეიცვალა „დამძიმებული" უვადო თავისუფლების აღკვეთით, ანუ განთავისუფლების ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე.

21 ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ (no. 2) *(Öcalan v. Turkey)*, განაცხადები nos. 24069/03, 197/04, 6201/06 და 10464/07), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება.

ოჯალანი კუნძულ იმრალზე მდებარე ციხეში იზოლაციაში იმყოფებოდა. ის მოთავსებული იყო 13 კვ.მ. ფართობის საკანში, არ ჰქონდა ტელევიზორი და ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ პერსონალთან, რომელიც ვალდებული იყო, მათ ფუნქციასთან დაკავშირებული საუბარი მინიმუმამდე დაეყვანა. მსჯავრდებულს ჰქონდა წიგნები და რადიო, რომლითაც იჭერდა მხოლოდ სახელმწიფო არხებს. ყოველდღიურ და ყოველკვირეულ პრესაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო.

2009 წლის 17 ნოემბრიდან მოყოლებული, როცა კუნძულზე სხვა 5 პატიმარი გადაიყვანეს, ციხის კომპლექსს ახალი შენობები დაემატა. ის მოათავსეს 10 კვ.მ. ფართის საკანში და მისცეს ღია ცის ქვეშ აქტივობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, 2012 წლიდან მისცეს ტელევიზორი. 2010 წელს, CPT-ის ვიზიტის შემდეგ, ოჯალანს აგრეთვე მიეცა შესაძლებლობა ერთი საათის ნაცვლად, სამი საათი გაეტარებინა სხვა პატიმრებთან ერთად და ყოველკვირა ჩართულიყო სხვადასხვა ჯგუფურ აქტივობაში. მას არასოდეს ნახულობდა ერთი და იგივე ექიმი, რაც, CPT-ის აზრით, ხელს უშლიდა კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

აგრეთვე, ამინდის პირობების გამო, რომელიც ხშირად აფერხებდა კუნძულთან მიმოსვლას, ოჯახის წევრებისა და ადვოკატების ვიზიტები ხშირად შეზღუდული იყო. ოჯახის წევრებთან შეხვედრა დაიშვებოდა ერთი საათით ორ კვირაში ერთხელ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თურქეთმა წარადგინა არგუმენტები, რომ ოჯალანმა ადრე ბოროტად ისარგებლა ვიზიტებით და ინსტრუქციები გადასცა PKK-ს წევრებს. ამის გამო, მას დისციპლინური ღონისძიებები დაეკისრა 2005 და 2006 წლებში. აგრეთვე რამდენიმე ადვოკატს აეკრძალა მისი ინტერესების დაცვა და მათი ოფისები გაიჩხრიკა.

ოჯალანმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სოციალური იზოლაციის შესახებ იჩივლა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ოჯალანის პატიმრობა თურქეთისთვის „უკიდურეს სირთულეებთან" იყო დაკავშირებული. თურქეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ იგი ქვეყნის ყველაზე საშიშ ტერორისტად იყო მიჩნეული. შესაბამისად, ხელისუფლებას ლოგიკურად ეშინოდა, რომ მისი ოპონენტებიდან ვინმე პატიმრის მოკვლას შეეცდებოდა, ან მისი მიმდევრები ეცდებოდნენ თავიანთი ლიდერის ციხიდან გაპარებას. დაბოლოს, ოჯალანი კვლავაც ახერხებდა, რომ PKK-ს საქმიანობაში გარკვეული როლი შეესრულებინა. მისი ორგანიზაცია კვლავაც ოჯალანის სახელით მოქმედებდა და ადვოკატების მეშ-

ვეობით გადაცემული ინსტრუქციები საზოგადოებაში უკიდურეს რეაქციებს იწვევდა.

ევროპული სასამართლო გაგებით მოეკიდა ხელისუფლების მიდგომას, განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები გამოეყენებინა ოჯალანის მიმართ. თუმცა მიიჩნია, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვამ, განსაკუთრებით, იმ ფაქტმა, რომ მსჯავრდებულს საკანში ბოლო ნლებამდე ტელევიზორი არ ჰქონდა, მისი ფარდობითი სოციალური იზოლაცია გამოიწვია. ოჯახთან შეხვედრები ამინდის გამო შეზღუდული იყო, ადვოკატებთან კონფიდენციალური შეხვედრა არ შეეძლო. იმავდროულად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებას შეეძლო „ლეგიტიმური შეზღუდვები" გამოყენებინა მსჯავრდებულ ტერორისტებთან მიმართებით იმდენად, რამდენადაც ეს შეზღუდვები აუცილებელი იყო საზოგადოების ძალადობისგან დასაცავად.

შესაბამისად, ოჯალანის იზოლაცია 2009 წლის 17 ნოემბრამდე იყო არა სრული, არამედ ნაწილობრივი და ფარდობითი. ამ თარიღის შემდეგაც, ის მძიმე სოციალურ იზოლაციაში არ ყოფილა. მაგრამ სასამართლომ ყურადღება მიაქცია მისი იზოლაციის ხანგრძლივობას; განმცხადებელი დაკავებიდან 13 წლის განმავლობაში იყო იზოლირებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ხანგრძლივობის გამო განსაკუთრებით მკაცრად უნდა შეემოწმებინა ღონისძიების დასაბუთება, აუცილებლობა და თანაბარზომიერება სხვა შესაძლო შეზღუდვებთან კავშირში, აგრეთვე გარანტიები, რომლებიც ხელისუფლებამ უზრუნველყო თვითნებობის თავიდან ასაცილებლად და ის ზომები, რომლებიც მიღებული იქნა მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რაც იზოლაციის გაგრძელებას დაუშვებდა.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ 2007 წელს წამების პრევენციის კომიტეტმა გამოხატა შეშფოთება ოჯალანზე ფარდობითი იზოლაციის მავნე ზემოქმების შესახებ. კომიტეტმა 2008 წელს დაასკვნა, რომ ამ მიმართებით რაიმე პროგრესს ადგილი არ ჰქონია და აამოქმედა საჯარო განცხადების პროცედურა. ამის შემდეგ, თურქეთმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა და 2009 წლის ნოემბრიდან ოჯალანის მიმართ არსებული იზოლაციის რეჟიმი შემსუბუქდა. წამების პრევენციის კომიტეტი კვლავაც განაგრძობდა შეშფოთების გამოხატვას იმ ფაქტის გამო, რომ ოჯალანს ამდენი ხნის მანძილზე ტელევიზორზე არ მიუწვდებოდა ხელი, რაც თურქეთის ხელისუფლებამ 2012 წელს მოაგვარა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა დროის ფაქტორი და დაასკვნა, რომ გარკვეულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ხანგრძლივ აკრძალვას მსჯავრდებულის გონებაში სოციალური იზ-

ოლაციის შეგრძნების აღძვრა შეეძლო. ამას გარდა, კუნძულის, როგორც თავისუფლების აღკვეთის ადგილის, შერჩევა თავად ხელისუფლების არჩევანი იყო. ხელისუფლებას უნდა უზრუნველეყო ტრანსპორტირების საშუალებების ხელმისაწვდომობა და პაემნების შეუფერხებელი ორგანიზება. კომუნიკაციის ისეთი საშუალებების, როგორიცაა, მაგალითად, ტელევიზორი, ნაკლებობა, აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე გადამეტებული შეზღუდვები, სირთულე, რომელთა გადალახვაც მის მნახველებს უნევდათ მსჯავრდებულთან შესახვედრად, აგრეთვე ხელისუფლების უარი, რომ გამოსავალი მოეძებნათ, – განაპირობებდა იმას, რომ პატიმრობის პირობებმა 2009 წლის ნოემბრამდე მიაღწია სისასტიკის მინიმალურ ზღვარს და ადგილი ჰქონდა არაადამიანურ მოპყრობას მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება 2009 წლის ნოემბრის შემდეგ პერიოდს, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კუნძულზე სხვა პატიმრების გადაყვანით, ოჯალანის პატიმრებთან კომუნიკაციის გაზრდითა და სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა პაემნების რიცხვი, მიეცა ტელევიზორი და სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა, იზოლაციის რეჟიმი შემსუბუქდა და პატიმრობის პირობები აღარ აღწევდა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ.

8 წლიანი იზოლაცია და პატიმრობის პირობები: დარღვევა

ფაქტები[22] პირველი განმცხადებელი – მოლდოვას ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ძალზე მკაცრ იზოლაციაში 8 წელი იმყოფებოდა მოლდოვას დნესტრისპირეთის რეგიონში 2001 წლამდე, როცა მისი მსჯავრდება ტერორისტული აქტებისთვის და სიკვდილით დასჯა *de facto* გაუქმდა და იგი განთავისუფლდა პატიმრობიდან. სიკვდილმისჯილ პატიმარს, სიკვდილის დასჯის აღსრულების მოლოდინში სხვა პატიმრებთან კონტაქტი არ ჰქონდა, არ იღებდა არანაირ ინფორმაციას გარე სამყაროდან, არ ჰქონდა უფლება, გაეგზავნა ან მიეღო კორესპონდენცია, არ ჰქონდა ადვოკატთან შეხვედრის უფლება და რეგულარული პაემნების უფლება ოჯახის წევრებთან. მისი საკანი არ თბებოდა, დასჯის მიზნით, არ იღებდა საკვებს (მხოლოდ 100 გრ პური სამჯერ დღეში, ორი ჭიქა ჩაი უშაქროდ, საღამოთი – „ბალანდა“, რაც ძირითადად დაღერღილი სიმინდი იყო) და მხოლოდ ძალიან იშვიათად იღებდა შხაპს (რამდენიმე თვეში ერთხელ). ეს პირობები და ის გარემოება, რომ ხელი არ მიუწვდებოდა სამედიცინო დახმარებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზი გახდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფა-

22 ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ *(Ilascu and Others v. Moldova and Russia)*, განაცხადი no. 48787/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება.

სება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მთლიანობაში ეს პირობები შეადგენდა წამებას. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, რუსეთს მოუწია პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია 180 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

საშიში პატიმრის გახანგრძლივებული იზოლაცია და დროებით სხვა დაწესებულებაში ხშირი გადაყვანა: დარღვევა

ფაქტები:[23] 2001 წლიდან მოყოლებული, განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომლის მკვლელობის მცდელობის, ყაჩაღობის, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პატიმრის გაქცევის ორგანიზებისა და დახმარების ბრალდებით. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებისას ის დაარეგისტრირეს, როგორც „განსაკუთრებით საშიში პატიმარი" და დაუქვემდებარეს რეჟიმს, რომელიც მოიცავდა დაწესებულებათა ხშირ ცვლას, გახანგრძლივებულ ყოფნას სამარტოო საკანში და სისტემატურ პირად შემოწმებას. 2007 წელს, მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით. მსჯავრდებულმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იჩივლა იზოლაციის კონვენციის მე-3 მუხლთან შესაბამისობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პატიმრის იზოლაცია დისციპლინური სანქცია არ ყოფილა. მხოლოდ მითითება ორგანიზებულ დანაშაულზე თუ გაქცევის დაუსაბუთებელ რისკზე საკმარისი არ იყო. ასევე, პატიმრის, როგორც საშიშ პატიმრად კატეგორიზაცია არ ამართლებდა მის იზოლაციას. როდესაც პატიმარი გადაჰყავდათ სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში, არ იყო არანაირად დასაბუთებული, თუ რატომ ვერ იქნებოდა თავად გადაყვანა დაწესებულებისა და იქ მყოფ პირთა უსაფრთხოებისთვის საკმარისი ღონისძიება. ამასთან, ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ის ინფორმაცია პატიმრის მიერ გაქცევის მცდელობაზე, რომელსაც ადმინისტრაცია ეყრდნობოდა, დაუსაბუთებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ყველანაირი მიზეზი, რაც კი გაამართლებდა პატიმრის იზოლაციას, 2004 წლიდან არარელევანტური გახდა, ვინაიდან პატიმრის ქცევა რეჟიმს აღარ ეწინააღმდეგებოდა და მას მუქარა დაწესებულების პერსონალის მიმართ აღარ გამოუთქვამს.

ამას გარდა, დაწესებულების ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო სათანადო დასკვნები გაეკეთებინა სამედიცინო შეფასებებიდან, რომელთა თანახმადაც, რეკომენდებული იყო, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომ-

23 ხიდერი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Khider c. France*), განაცხადი no. 39364/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

დინარე, პატიმრის იზოლაციის შეწყვეტა. ევროპულმა სასამართლომ ასევე გაითვალისწინა წამების პრევენციის კომიტეტის მიერ გამოთქმული კრიტიკა ხელისუფლების პრაქტიკის მიმართ, იზოლაციის გზით თავიდან მოეცილებინა რთული და ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი პატიმრები, მიუხედავად იმისა, რომ სამარტოო საკნებში ფსიქიატრიული მკურნალობა უარესი იყო. დაბოლოს, პატიმრის იზოლაცია წყდებოდა სხვა დანესებულებაში გადაყვანით, თუმცა, სხვა დაწესებულებაში გადაყვანისთანავე იქაც სამარტოო საკანში ათავსებდნენ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმეორებითმა გადაყვანამ, დიდი ხნის მანძილზე სამარტოო საკანში მოთავსებამ და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებამ გავლენა იქონია სისასტიკის მინიმალური ზღვარის გადალახვაზე.

გახანგრძლივებული იზოლაცია არასათანადო პირობებში: დარღვევა

ფაქტები:[24] 2006 წელს, განმცხადებელი ბრალეულად იქნა ცნობილი მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. ის მოათავსეს სპეციალურ საკანში იმ საფუძველზე, რომ ხელმძღვანელობას ჰქონდა ეჭვი, მსჯავრდებული გაქცევას აპირებდა. შესაბამისად, მსჯავრდებულს თითქმის ორი წლის მანძილზე საერთოდ არ ჰქონია ადამიანებთან კონტაქტი. ადმინისტრაციას არასოდეს უცნობებია მსჯავრდებულისთვის, თუ რატომ იყო სხვა პატიმრებისგან განცალკევებული. მის საკანში მხოლოდ ხელოვნური განათება იყო, ხოლო ვენტილაცია – არასაკმარისი. უნიტაზს დასაჯდომი და სახურავი არ ჰქონდა და ყოველდღე პირადი შემონმება უწევდა. ამას გარდა მსჯავრდებულს საკნის გარეთ ყოველთვის ხელბორკილები ეკეთა. არ ჰქონდა უფლება, ჰქონოდა საათი, ფანქარი, სავარცხელი, პლასტმასის დანა-ჩანგალი, ჩაის პაკეტები, საკანცელარიო ნივთები; ჰქონდა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით წიგნები და გაზეთები. საპატიმრო პირობებთან დაკავშირებით მსჯავრდებულმა მიმართა პროკურატურას, მაგრამ პროკურატურის პასუხის თანახმად, მათ უფლება არ ჰქონდათ, რომ მიეღოთ რაიმე ზომა, რადგან ყველა ღონისძიება კანონის შესაბამისად, პენიტენციური სისტემის მიერ იყო მიღებული. მსჯავრდებული განთავისუფლდა 2009 წელს სასჯელის მოხდის შემდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მართალია, მსჯავრდებულის იზოლაცია ნაწილობრივი და ფარდობითი იყო, იმ სავარაუდო უარყოფითი გავლენის გათვალისწინებით, რომელიც იზოლაციას შეეძლო ზოგადად პატიმრის პიროვნებაზე მოეხდინა, აღნიშნული ღონისძიება გამოყენებული უნდა ყოფილიყო საგამონაკლისოდ და დროებით. უფრო მეტიც, მოცემულ შემთხვევაში, რამდენიმე შემზღუდვე-

24 ქსულოგი უნგრეთის წინააღმდეგ *(Csüllög v. Hungary)*, განაცხადი no. 30042/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება.

ლი ღონისძიება, რომელიც დამატებით იქნა გამოყენებული – მაგალითად, საათის თუ ჩაის პაკეტებთან და წიგნების რაოდენობასთან დაკავშირებით დაწესებული აკრძალვები, ლოგიკურად ვერ უკავშირდებოდა იზოლაციით დასახული მიზნის მიღწევას – გაქცევის ყველა მცდელობის აღკვეთას.

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ იყო აუცილებელი, რომ მსჯავრდებული ხელბორკილებით ყოფილიყო ყოველთვის, როცა საკნის გარეთ იმყოფებოდა: არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ის ხელს შეუწყობდა დაწესებულებაში უწესრიგობას, საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ხელბორკილები აუცილებელი იყო, იმ თვალსაზრისით, რომ ის წარმოადგენდა საფრთხეს პატიმრებისთვის, პერსონალისათვის, ან საკუთარი თავისთვის. დაბოლოს, ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი არსებითი დასაბუთება, თუ რატომ იყო პატიმრის გახანგრძლივებული იზოლაცია აუცილებელი მოცემულ შემთხვევაში. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ღონისძიება თვითნებურად იყო გამოყენებული და მსჯავრდებულში აღძრავდა არასრულფასოვნების, უსასოობისა და დამცირების შეგრძნებებს. ამასთან, ხელისუფლებამ არაფერი იღონა იმისთვის, რათა შეემსუბუქებინა გახანგრძლივებული იზოლაციის ნეგატიური შედეგები, რაც ღონისძიებამ მსჯავრდებულის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იქონია. ღია ცის ქვეშ სეირნობისა და სპორტული ღონისძიებების შეზღუდულ შესაძლებლობას მოცემულ შემთხვევაში არ შეეძლო გამოესწორებინა ეს ნეგატიური შედეგები. განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ საკნის გარეთ გამოსვლა ხელბორკილების დადებასთან იყო დაკავშირებული. ჯამში, მკაცრი რეჟიმის კუმულაციურმა ეფექტმა, რომელსაც მსჯავრდებული იყო დაქვემდებარებული და აგრეთვე პატიმრობის ფიზიკურმა პირობებმა, მსჯავრდებულს სავარაუდოდ მიაყენა იმაზე მეტი ტანჯვა, რომელიც გასცდა პატიმრობისთვის ორგანულად დამახასიათებელ, გარდაუვალ ხარისხს.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, უნგრეთს მოუწია პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 6 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ჰომოსექსუალი პატიმრის სრულ იზოლაციაში ყოფნა 8 თვეზე მეტი ხნით, სხვა პატიმრებისგან მისი დაცვის მიზნით: დარღვევა

ფაქტები:[25] 2008 წელს, განმცხადებელს შეეფარდა პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით და განთავსდა სხვა პატიმრებთან ერთად. პატიმარი ჰომოსექსუალია და დაწესებულების ხელმძღვანელობას მოსთხოვა, სა-

25 X თურქეთის წინააღმდეგ *(X v. Turkey)*, განაცხადი no. 24626/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

კუთარი უსაფრთხოების მიზნით, ჰომოსექსუალ პატიმრებთან განეთავსებინათ. მისი განმარტებით, მას თანამესაკნეები ორიენტაციის გამო ჩაგრავდნენ. პატიმარი დაუყოვნებლივ ცალკე საკანში განათავსეს. საკანი პატარა და ბინძური იყო. მას წაერთვა ყოველგვარი კონტაქტი სხვა პატიმრებთან და შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო სოციალურ ღონისძიებებში. პატიმარმა რამდენჯერმე წარუმატებლად გაასაჩივრა პატიმრობის პირობები პროკურატურასა და სასამართლოში. საბოლოოდ, პატიმარი გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც მას დაუდგინდა დეპრესია. ერთი თვის შემდეგ, პატიმარი დააბრუნეს ციხეში და მოათავსეს სხვა ჰომოსექსუალ პატიმართან ერთად 3 თვით. ამ პერიოდის განმავლობაში, ორივე მათგანმა იჩივლა დარაჯის ჰომოფობიური დამოკიდებულების, მის მიერ შეურაცხყოფისა და ცემის გამო. პატიმარს ისევ წაერთვა ყოველგვარი კონტაქტი პატიმრებთან, რის შემდეგაც მან საჩივარი გაიტანა. საბოლოოდ სიტუაცია მოგვარდა 2010 წელს, როდესაც პატიმარი გადაყვანილი იქნა წინასწარი პატიმრობის სხვა დაწესებულებაში და მოთავსდა სხვა პატიმრებთან ერთად სტანდარტულ საკანში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: პატიმარს ბრალი არაძალადობრივ დანაშაულებში ჰქონდა წარდგენილი. საკანი, რომელშიც ის მოთავსებული იყო 8 თვის განმავლობაში, 7 კვ.მ. ფართობის იყო, რომლის საცხოვრებელი ფართიც ამ ფართობის ნახევარს არ აღემატებდა. საკანში იყო საწოლი და ტუალეტი, მაგრამ არა პირსაბანი; იყო ძალიან ცუდად განათებული და ძალიან ჭუჭყიანი. საკანში ვირთხები იყვნენ. ეს იყო საკანი, რომელშიც დისციპლინური სახდელის მოსახდელად ათავსებდნენ პატიმრებს, ან პატიმრებს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ გაუპატიურება, ან პედოფილია. აღნიშნულ საკანში პატიმარს წართმეული ჰქონდა ყოველგვარი კონტაქტი ადამიანებთან, გარდა თავისი ადვოკატისა და სასამართლო პროცესებისა თვეში ერთხელ. მისი სოციალური იზოლაციის გარკვეული ასპექტები უფრო მკაცრი იყო, ვიდრე იმ პატიმრების რეჟიმი, რომლებსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი. ამ უკანასკნელებს სხვა პატიმრებთან ერთად ყოველდღიური გასეირნებისა და იგივე ფლიგელში მოთავსებულ პატიმრებთან შეზღუდული ურთიერთობის უფლება ჰქონდა, მაშინ, როცა განმცხადებელი ყველა ამ შესაძლებლობას მოკლებული იყო. ფაქტობრივად, მას საერთოდ არ ჰქონდა შესაძლებლობა, სუფთა ჰაერზე ყოფილიყო და სხვა პატიმრებთან ჰქონოდა ურთიერთობა. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იზოლაციის ხანგრძლივობას.

ადმინისტრაციის შეხედულებით, პატიმარს ზიანის მიყენება ემუქრებოდა და ეს შიში უსაფუძვლო არ ყოფილა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პატიმარმა თავად იჩივლა თავისი თანამესაკნეების მხრიდან ჩაგვრაზე. თუმცა, თუნდაც, ასეთი უსაფრთხოების ღონისძიების საჭიროებ-

ისას, დაწესებულების საერთო ფართიდან პატიმრის სრული ჩამოშორება გამართლებული არ იყო. მითუმეტეს, პატიმარი ეცადა, რომ ღონისძიება მოსამართლის მიერ ყოფილიყო გადასინჯული. მისი საჩივრები დასაბუთების გარეშე იქნა უარყოფილი. პატიმრობის პირობები იმდაგვარი იყო, რომ პატიმარს ფსიქიკური და ფიზიკური ტანჯვა მიაყენა და აღძრა მასში შეგრძნება, რომ ღირსება ნართმეული ჰქონდა. ასეთმა ვითარებამ, რასაც თან დაერთო ქმედითი სამართლებრივი დაცვის მექანიზმის არარსებობა, შეადგინა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე იმსჯელა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. პატიმარი მუდმივად ასაჩივრებდა თავის იზოლაციას და მიუთითებდა, რომ მისი პატიმრობის პირობები მხოლოდ მისი სექსუალური ორიენტაციით იყო განპირობებული, სავარაუდოდ, მისი დაცვის მიზნით. ის პირდაპირ მოითხოვდა, რომ სხვა პატიმრების მსგავსად მოპყრობდნენ და ესარგებლა ღია ცის ქვეშ სეირნობითა და სხვა სოციალური აქტივობებით ისე, რომ იმავდროულად დაცული ყოფილიყო ფიზიკური დაზიანებისგან. მისი განმარტებით, ის იყო ჰომოსექსუალი და არა ტრანსვესტიტი ან ტრანსსექსუალი. თუმცა ეს განმარტებები არ ყოფილა მხედველობაში მიღებული მოსამართლის მიერ, რომლისთვისაც ციხის ცხოვრებისგან პატიმრის სრული იზოლაცია საუკეთესო გამოსავალი იყო. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა პატიმარს დამუქრებული რისკები. მათ მიიჩნიეს, რომ ამ უკანასკნელის სექსუალური ორიენტაციის გამო, მძიმე სხეულებრივი ზიანის მიყენება ემუქრებოდა. ეს არ ამართლებდა პატიმრის სრულ იზოლაციას ციხის ცხოვრებისგან. შესაბამისად, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ უსაფრთხოების მიზნების აუცილებლობა პატიმრის ფიზიკური კეთილდღეობის დასაცავად მისი იზოლაციის მთავარი მიზეზი იყო. ამის მთავარი მიზეზი მისი ჰომოსექსუალობა იყო. შესაბამისად, მან განიცადა დისკრიმინაციული მოპყრობა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, თურქეთს მოუწია პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 18 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ავტომატური მკაცრი იზოლაცია: დარღვევა

ფაქტები:[26] განმცხადებლები უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები

26 ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Harakchiev and Tolumov v.*

არიან და მათზე ვრცელდება იზოლაციის მკაცრი რეჟიმი. ორივე მათგანმა იჩივლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომ მათი მკაცრი იზოლაციის პირობები არაადამიანური და დამამცირებელი იყო. კერძოდ, უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებზე კანონით გათვალისწინებული რეჟიმის შესაბამისად, ისინი გამუდმებით საკანში არიან გამომწყვდეულები (გარდა ყოველდღიური ერთი საათის სეირნობისა) და იზოლირებულები არიან დანარჩენი პატიმრებისგან, არ გააჩნიათ მუდმივად მომდინარე წყალი და ხელი არ მიუწვდებათ ტუალეტზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდებულების პატიმრობის პირობების კუმულაციურმა ეფექტმა, რომელიც მოიცავდა იზოლაციას, არასათანადო ვენტილაციას, განათებას, გათბობას, ჰიგიენას, საკვებსა და სამედიცინო დახმარებას, შეადგინა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

იზოლაცია, რომელსაც მსჯავრდებულები ექვემდებარებოდნენ, შიდასახელმწიფოებრივი ნორმების ავტომატური გამოყენების შედეგი იყო, რომელიც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ იყო დადგენილი. ეს არ იყო თავად მსჯავრდებულების ამა თუ იმ ქცევით განპირობებული კონკრეტული უსაფრთხოების მიზნებით გამოწვეული ღონისძიება. სასამართლომ დაადგინა, რომ აგრეთვე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უფლებას ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე,[27] ვინაიდან მსჯავრდებულებს არ შეეძლოთ პატიმრობის პირობების ქმედითი გასაჩივრება.

დაბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის 46-ე მუხლის[28] შესა-

Bulgaria), განაცხადები nos. 15018/11 და 61199/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება.

27 მუხლი 13. სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება

„ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა."

28 გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება

„1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეებზე, რომლებშიც ისინი მხარეს წარმოადგენენ.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

3. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება ყოვნდება გადაწყვეტილების განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, მას შეუძლია სასამართლოს განმარტებისთვის მიმართოს. ეს გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის უფლებამოსილი ნევრების ხმათა ორი მესამედით.

4. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარე უარს ამბობს დაემორჩილოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, კომიტეტს შეუძლია, ამ მხარისათვის ოფიციალური შეტყობინების მემდეგ და კომიტეტის უფლებამოსილი

ბამისად, გადაწყვეტილების სათანადოდ აღსასრულებლად, ბულგარეთს მოუწევდა საკანონმდებლო რეფორმირების გზით, შეეცვალა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების მიერ სასჯელის მოხდის რეჟიმს და გაეუქმებინა ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის იზოლაციისთვის ავტომატურად დაქვემდებარების პრაქტიკა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის დარღვევას (არადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა). ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ბულგარეთს მოუწია პატიმრებისთვის გადაეხადა კომპენსაცია 4 000 და 3 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

წარმომადგენლების ხმათა ორი მესამედით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მიმართოს სასამართლოს იმის დასადგენად, დაარღვია თუ არა ამ ხელშემკვრელმა მხარემ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

5. თუ სასამართლო დაადგენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, ის საქმეს გადასცემს მინისტრთა კომიტეტს მისაღები ზომების განსაზღვრის მიზნით. თუ სასამართლო ასეთ დარღვევას ვერ დაადგენს, იგი საქმეს გადასცემს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც წყვეტს საქმესთან დაკავშირებულ პროცედურას."

ევროპის საბჭო 147
წამების პრევენციის კომიტეტი 147
ზოგადი სტანდარტები 147
ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები 147
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 148
მუხლი 3 – წამების აკრძალვა 148
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 148
ზოგადი პრინციპები 148
რელევანტური საქმეები 149
ორჯერ გაქცეული პატიმრის დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირი გადაყვანა: არდარღვევა 149
დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირი გადაყვანა პატიმრის, რომელმაც ერთხელ სცადა ციხიდან გაქცევა: დარღვევა 149
iii. ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირი გადაყვანა: დარღვევა 151

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ზოგადი სტანდარტები

წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პრობლემური პატიმრების დაწესებულებიდან დაწესებულებაში გადაყვანის პრაქტიკას. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ ზოგიერთ პატიმართან ურთიერთობა განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული და ზოგჯერ ასეთ პატიმართა სხვა დაწესებულებაში გადაყვანა აუცილებელი ხდება. თუმცა დაწესებულებიდან დაწესებულებაში გამუდმებულმა გადაყვანამ შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს პატიმრის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე. უფრო მეტიც, ასეთ მდგომარეობაში მყოფ პატიმარს შეიძლება სირთულეები შეექმნას ოჯახთან და ადვოკატთან სათანადო ურთიერთობის შენარჩუნებაში. გარკვეულ პირობებში, პატიმარზე ხშირი გადაყვანის საერთო გავლენამ შეიძლება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა შეადგინოს.[1]

ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები

წამების პრევენციის კომიტეტი ამოწმებს, თუ რამდენად არის დაცული სამართლიანობის პრინციპები პატიმრების დაწესებულებიდან დაწესებულებაში გადაყვანისას. წამების პრევენციის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრობლემური პატიმრების დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანით ბოროტად სარგებლობამ შეიძლება მავნე ზემოქმედება მოახდინოს შესაბამისი პატიმრების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე. ამიტომ, მსგავსი ტრანსფერები უდიდესი ყურადღებით უნდა განხორციელდეს და ამ დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო გარანტიები თვითნებობისგან დასაცავად.[2]

როდესაც ქვეყნის პენიტენციური სისტემა პატიმრების დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის პრაქტიკას ითვალისწინებს, წამების პრევენციის კომიტეტი ინტერესდება დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის საფუძვლად არსებული სამართლებრივი ბაზისა და არსებული პრაქტიკის დეტალებით, რათა დარწმუნდეს თვითნებობის საწინააღმდეგო გარანტიების ქმედითობაში პატიმრების ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის დასაცავად.[3]

1 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-2 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(92)3, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1992, პუნქტი 57.

2 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში გაერთიანებული სამეფოს მთავრობისადმი, წამების პრევენციის კომიტეტის გაერთიანებულ სამეფოში 1990 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(91)15, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1991, პუნქტი 234.

3 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის

მუხლი 3 – წამების აკრძალვა
ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ერთი დაწესებულებიდან მეორეში პატიმრის გამუდმებით გადაყვანას შეუძლია ზიანი მიაყენოს პატიმრის კეთილდღეობას. მაგრამ შეიძლება, აღნიშნული ღონისძიება აუცილებელი იყოს უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ანდა პატიმრის მიერ გაქცევის თავიდან ასაცილებლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის ღონისძიების გამოყენებას არ ამართლებს გადატვირთულობის პრობლემის თავიდან ასაცილებლად, რადგან მიაჩნია, რომ ამ დროს პენიტენციური სისტემის ადმინისტრაცია, მართალია, გადაუდებელ, მაგრამ ხანმოკლე და ზედაპირულ ზომას მიმართავს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამ დროს პატიმრების მდგომარეობა არ უმჯობესდება. პირიქით, დაწესებულებიდან დაწესებულებაში ხშირმა გადაყვანამ შეიძლება თავისუფლებააღკვეთილ პირს მდგომარეობა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ დაუმძიმოს. ასე, მაგალითად, 6 წლის განმავლობაში 27-ჯერ დაწესებულების გამოცვლა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიუღებელი იყო.[4] სასამართლო არ ეთანხმება დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების ხშირ გადაყვანას, როცა უსაფრთხოების ზომები სათანადოდ არ დგინდება. ასე, მაგალითად, მიუღებელი იყო 11 წლის განმავლობაში 14-ჯერ პატიმრის დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა ისე, რომ უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა დამაჯერებლად არ დადგენილა.[5] ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ დაწესებულებიდან დაწესებულებაში ასეთმა ხშირად გადაყვანამ შეიძლება გააძლიეროს თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ „ტკივილის განცდა" და გადაამეტოს

ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ესპანეთის მთავრობისადმი, წამების პრევენციის კომიტეტის ესპანეთში 1991 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(96)9, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1996, პუნქტი 198.

4 ორჩოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ *(Orchowski v. Poland)*, განაცხადი no. 17885/04. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 133.

5 დიმაკოს რუმინეთის წინააღმდეგ *(Dimakos v. Romania)*, განაცხადი no. 10675/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 48.

„ტანჯვის გარდაუვალ ხარისხს", რომელიც ორგანულად ახასიათებს თავისუფლების აღკვეთის სასჯელს.

რელევანტური საქმეები

ორჯერ გაქცეული პატიმრის დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირი გადაყვანა: არდარღვევა

ფაქტები:[6] მსჯავრდებული საფრანგეთის ციხეში სასჯელს იხდის მკვლელობისთვის, ყაჩაღობისა და პოლიციის თანამშრომელზე შეიარაღებული თავდასხმისთვის. მას შემდეგ, რაც მან 2001 წელს ციხეს ვერტმფრენის მეშვეობით დააღწია თავი, „განსაკუთრებულად საშიში პატიმრის" კატეგორია მიენიჭა. 2003 წელს, ციხეში დაბრუნების შემდეგ, ის მოთავსებული იქნა სამარტოო საკანში და პერიოდულად ექვემდებარებოდა დროებით სხვა დაწესებულებაში გადაყვანას, რაც სხვა საკანში, ან სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას გულისხმობდა. 2003 წელს, მსჯავრდებულმა თავისი თანამონაწილეების ვერტმფრენით გაქცევას გაუკეთა ორგანიზება. 2003 წლიდან 2008 წლამდე მსჯავრდებულს 26-ჯერ შეუცვალეს დაწესებულება. 2005 წელს, მისი მეორე მცდელობა, ვერტმფრენით გაქცეულიყო, ჩაიშალა. 2007 წელს მსჯავრდებულმა მოახერხა გაქცევა, ისევ ვერტმფრენით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ პატიმარი გაიქცა ორჯერ და მისი მესამე მცდელობა ბოლო წუთში ჩაიშალა; აგრეთვე მან ორგანიზება გაუკეთა რამდენიმე თანამონაწილის გაქცევას. აქედან გამომდინარე, პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციამ სამართლიანი წონასწორობა დაამყარა უსაფრთხოების მიზნებსა და პატიმრის ადამიანური პირობებით უზრუნველყოფის აუცილებლობას შორის. ხშირმა გადაყვანამ არ მიაღწია სისასტიკის მინიმალურ ზღვარს და შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირი გადაყვანა პატიმრის, რომელმაც ერთხელ სცადა ციხიდან გაქცევა: დარღვევა

ფაქტები:[7] 2001 წლიდან მოყოლებული, განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომლის მკვლელობის მცდელობის, როგორც ორგანიზებული ჯგუფის წევრის მიერ ყაჩაღობის, სასჯელაღსრულე-

6 პასკალ პეიე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Pascal Payet c. France*), განაცხადი no. 19606/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება.

7 ხიდერი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Khider c. France*), განაცხადი no. 39364/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

ბის დაწესებულებიდან პატიმრის გაქცევის ორგანიზებისა და დახმარების ბრალდებით. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებისას ის დაარეგისტრირეს, როგორც „განსაკუთრებულად საშიში პატიმარი" და დაუქვემდებარეს რეჟიმს, რომელიც მოიცავდა დაწესებულებათა ხშირ ცვლას, გახანგრძლივებულ ყოფნას სამარტოო საკანში და სისტემატურ პირად შემოწმებას. 2007 წელს მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით. მსჯავრდებულმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იჩივლა, მათ შორის,[8] სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხშირი ცვლის გამო. კერძოდ, 7 წლის განმავლობაში ის 14-ჯერ იქნა გადაყვანილი სხვა დაწესებულებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგიერთი გადაყვანა გამართლებული იყო თავად პატიმრის ქცევით. თუმცა, მთლიანობაში დაწესებულებიდან დაწესებულებაში გადაყვანის ღონისძიებები რუტინული სპეციალური პრევენციული რეჟიმის ნაწილი იყო, რომელსაც პატიმარი თავისი სტატუსიდან გამომდინარე იყო დაქვემდებარებული. ეს რეჟიმი მიმართული იყო საშიში პატიმრების წინააღმდეგ, რათა ხელი შეეშალა მათთვის და მათი თანამონაწილეებისთვის გაქცევის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გაქცევის პირველი მცდელობა, რომელიც პატიმარს 2001 წელს ჰქონდა, არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ განუსაზღვრელი ვადით დაქვემდებარებოდა მკაცრ პრევენციული გადაყვანის რეჟიმს. მითუმეტეს, 2004 წლიდან მოყოლებული, პატიმრის მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულა დაწესებულების პერსონალის წინააღმდეგ მიმართული რაიმე აგრესიული ქცევის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2007 წელს, წამების პრევენციის კომიტეტმა საფრანგეთში ვიზიტის შესახებ მომზადებულ თავის ანგარიშში აღნიშნა პატიმრების ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში ხშირი გადაყვანის პრაქტიკის უარყოფითი შედეგები. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მართალია, უსაფრთხოების მიზნებისთვის პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა შეიძლება აუცილებელი იყოს, მოცემულ შემთხვევაში, დროის გასვლასთან ერთად პატიმრის ხშირ გადაყვანას თანდათან გამამართლებელი საფუძველი მოაკლდა. ამას გარდა, მსგავს გადაყვანას შეიძლება, პატიმარში გამოეწვია „მწვავე შფოთვა" სხვა დაწესებულებასთან ადაპტირების თვალსაზრისით; ხშირი გადაყვანა ართულებდა ოჯახის წევრების პაემნებს და პატიმრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე თანმიმ-

8 იხ. იგივე გადაწყვეტილება პირადი შემოწმებისა და სამარტოო საკანში მოთავსების ნაწილში.

დევრული სამედიცინო მეთვალყურეობის განხორციელებას. ამდენად, პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციამ ვერ შეძლო სამართლიანი წონასწორობა დაემყარებინა უსაფრთხოების მოთხოვნებსა და პატიმრისთვის ადამიანური პირობების შექმნის აუცილებლობას შორის.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 12 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირი გადაყვანა: დარღვევა

ფაქტები:[9] 1984 წლიდან მოყოლებული, პირი სასჯელს იხდის სხვადასხვა დანაშაულისთვის: განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებებში, მძევლად აყვანა, სახელმწიფო შენობა-ნაგებობების დანგრევა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობა. 2007 წელს მას დაუდგინდა სიმპტომების კომბინაცია, რომელიც შეესაბამება განზერის სინდრომს.[10] ამას გარდა, 2012 წელს, მსჯავრდებულის ფსიქიატრმა დაასკვნა, რომ მისი პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა შეიძლებოდა ასევე ახსნილიყო ასპერგერის სინდრომთან ასოცირებული აუტიზმის გარეგნული აშლილობით.[11] 2006 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, მსჯავრდებული 43-ჯერ იქნა გადაყვანილი ერთი პენიტენციური დაწესებულებიდან მეორეში. ამას გარდა, ძალადობრივი ქცევის გამო დაკისრებული დისციპლინური სახდელების სახით, ექვემდებარებოდა სპეციალურ უსაფრთხოების რეჟიმს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მსჯავრდებულმა იჩივლა, მათ შორის,[12] რომ დაწესებულებიდან დაწესებულებაში გამუდმებულმა გადაყვანა მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მსჯავრდებულს მძიმე ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა. მისი წარსულიდან და თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა-კონტექსტიდან გამომდინარე არსებობდა რამდენიმე ფაქტორი, რომლითაც ეს

9 ბამუჰამადი ბელგიის წინააღმდეგ (*Bamouhammad c. Belgique*), განაცხადი no. 47687/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება.

10 აშლილობა, რომელიც უკიდურესი სტრესის შედეგად შეიძლება განვითარდეს. პაციენტს უმარტივეს კითხვებზე უჭირს პასუხის გაცემა. ხშირად უწოდებენ ციხის ფსიქოზს, ვინაიდან ყველაზე ხშირად პატიმრებს ემართებათ. ხშირად განზერის სინდრომი პატიმრის მიერ ფსიქიკური პრობლემების სიმულაციაში ეშლებათ.

11 დამახასიათებელია კომუნიკაციის სირთულე და უცნაური, ექსცენტრიკული ქცევები.

12 იხ. აგრეთვე იგივე გადაწყვეტილება პირადი შემონშებისა და სამარტოო საკანში მოთავსების ნაწილში.

აშლილობები აიხსნებოდა. სასამართლოს შეფასებით, ხშირმა გადაყვანამ ისე, რომ ადმინისტრაციამ დააგვიანა მსჯავრდებულისთვის შესაბამისი თერაპიული მკურნალობის უზრუნველყოფა და აგრეთვე ხელისუფლების უარმა, მცირედი ცვლილებები მაინც შეეტანათ მის რეჟიმში, მიუხედავად ჯანმრთელობის გაუარესებისა, – მსჯავრდებული დაუქვემდებარა ისეთი ინტენსივობის ტკივილს, რომელმაც გადააშეტა თავისუფლების აღკვეთის სასჯელისთვის ორგანულად დამახასიათებელ ტანჯვას და ამდენად, შეადგინა დამამცირებელი მოპყრობა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 12 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

გაერთიანებული ერები 155
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია 155
გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკ, არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას თუ სასჯელზე 155
ევროპის საბჭო 156
მინისტრთა კომიტეტი 156
ევროპული ციხის წესები 156
1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაცია no. R(98)7 159
წამების პრევენციის კომიტეტი 160
მე-3 ზოგადი ანგარიში 160
ა. ექიმის ხელმისაწვდომობა 161
ბ. თანაბარი სამედიცინო მომსახურება 162
გ. პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა 165
დ. პრევენციული ჯანდაცვა 166
ე. ადამიანური თანადგომა 169
ვ. პროფესიული დამოუკიდებლობა 171
ზ. პროფესიული კომპეტენტურობა 172
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 173
მუხლი 3 – წამების აკრძალვა 173
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 174
ზოგადი პრინციპები 174
რელევანტური საქმეები 177
ხანდაზმული და მძიმე სნეულებებით დაავადებული მსჯავრდებულის განთავისუფლება დაგვიანდა, არაკვალიფიციური პატიმრების მიერ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირის მოვლა არასაკმარისი იყო: დარღვევა 177
ii. პატიმარს, რომელსაც ორივე წინამხარი აქვს ამპუტირებული, 4 წელი სხვა პატიმრები უვლიდნენ; ვერ მიიღო მისთვის სასურველი პროთეზი: არდარღვევა 179
iii. პატიმარი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, არ იქნა უზრუნველყოფილი ორთოპედიული ფეხსაცმლით: დარღვევა 181
iv. პატიმარი ამპუტირებული კიდურებით მოთავსებულია მის მდგომარეობასთან შეუთავსებელ პირობებში: დარღვევა 182
v. პარაპლეგიურ პატიმარს დამოუკიდებლად არ შეუძლია ციხემი გადაადგილება, რამაც მისი სეგრეგაცია და სტიგმატიზაცია გამოიწვია, სხვა პატიმრებისთვის მსჯავრდებულის მოვლის ვალდებულების დაკისრების პარალელურად, არ არის აღმოფხვრილი ბარიერები: დარღვევა 183
vi. პარაპლეგიურ პატიმარს დამოუკიდებლად არ შეუძლია

შენობაში გადაადგილება, არ არის ოგანიზებული გადაადგილებაში და ყოველდღიურ რუტინაში დახმარება: დარღვევა 186
vii. დაბადებით სმენის არმქონე და მეტყველების შეფერხების მქონე მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის პირობები: დარღვევა 187
viii. ახლომხედველი პატიმრისთვის სათვალეების არგადაცემამ გამოიწვია მხედველობის გაუარესება: დარღვევა 189

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია[1]

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები – ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებასთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში.

მუხლი 14

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, ხელშემკვრელი სახელმწიფოები მათ უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული თანაბარი გარანტიებით და მათდამი მოპყრობაში გამოიყენებენ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ჩათვლით.

გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას, თუ სასჯელზე

50. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში, მაგალითად, როდესაც თავისუფლება აქვთ აღკვეთილი... მოცემულ კონტექსტში, პირის ამა თუ იმ შეზღუდულმა შესაძლებლობამ შეიძლება იგი დამოკიდებული მდგომარეობაში ჩააგდოს და დამცირების ადვილი სამიზნე გახადოს....

53. სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ მოპყრობა, თუ პატიმრობის პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ პირდაპირ თუ არაპირდაპირ დისკრიმინაციას არ შეადგენდეს. თუ ასეთი დისკრიმინაციული მოპყრობა იწვევს ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, იგი შეიძლება შეადგენდეს წამებას ან არაადამიანური მოპყრობის სხვა სახეს.

---

1 საქართველოსთვის ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან.

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[2]

ჯანდაცვა

39. ციხის ადმინისტრაციამ უნდა დაიცვას მათი ზრუნვის ქვეშ მყოფი ყველა პატიმრის ჯანმრთელობა.

ციხეში ჯანდაცვის ორგანიზაცია

40.1 ციხეში სამედიცინო მომსახურება ორგანიზებული უნდა იყოს საზოგადოებრივ თუ ეროვნულ დონეზე ჯანმრთელობის ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

40.2 პენიტენციური ჯანდაცვის პოლიტიკა ინტეგრირებული უნდა იყოს და ეროვნულ ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკას უნდა შეესაბამებოდეს.

40.3 პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ქვეყანაში არსებულ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე, მათი სამართლებრივი მდგომარეობის გამო დისკრიმინაციის გარეშე,

40.4 ციხეში სამედიცინო სერვისები მიმართული უნდა იყოს იმ ფიზიკური თუ ფსიქიკური ავადმყოფობისა თუ დეფექტების დასადგენად და სამკურნალოდ, რომლებიც პატიმრებს შეიძლება ჰქონდეთ.

40.5 აღნიშნული მიზნით, ყველა აუცილებელი სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისინიც, რომლებიც საზოგადოებისთვის არის ხელმისაწვდომი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმრებისთვის.

სამედიცინო პერსონალი

41.1 ყოველი ციხე უნდა სარგებლობდეს მინიმუმ ერთი კვალიფიცირებული თერაპევტის მომსახურებით.

41.2 ღონისძიებები უნდა გატარდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვალიფიცირებული მედიცინის მუშაკი მუდმივად იყოს დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში.

41.3 თუ პატიმრებს არ ჰყავთ სრულ განაკვეთზე მომუშავე ექიმი, რეგულარულად უნდა დადიოდეს ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მედიცინის მუშაკი.

41.4 ყოველ ციხეს უნდა ჰყავდეს ჯანდაცვის სფეროში სათანადოდ მომზადებული სამედიცინო პერსონალი.

---

2 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

41.5 ყოველი პატიმრისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვალიფიცირებული სტომატოლოგისა და ოკულისტის დახმარება.

ექიმის მოვალეობები

42.1 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიცირებული მედდა, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე, უნდა ნახულობდეს პატიმრებს მათი მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე და ჩაუტაროს მათ სამედიცინო გამოკვლევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აშკარად არ წარმოადგენს აუცილებლობას.

42.2 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიცირებული მედდა, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე, უნდა სინჯავდეს პატიმრებს თხოვნისამებრ განთავისუფლებისას, სხვა შემთხვევებში კი საჭიროებისამებრ სინჯავდეს პატიმრებს.

42.3 პატიმრის გასინჯვისას მედიცინის მუშაკი ან კვალიფიცირებული მედდა განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოეპყრას შემდეგ საკითხებს:

ა. სამედიცინო საიდუმლოების წესების დაცვა;

ბ. ფიზიკური ან ფსიქიატრიული დაავადების დიაგნოზირება და მის სამკურნალოდ საჭირო ზომების მიღება, ასევე მიმდინარე სამედიცინო მკურნალობის გაგრძელება;

გ. პატიმართა მიმართ ძალადობრივი მოპყრობის ნებისმიერი ნიშნის ან გამოვლინების დაფიქსირება და შესაბამისი ხელმძღვანელობისთვის შეტყობინება;

დ. ნარკოტიკების, მედიკამენტებისა და ალკოჰოლის გამოყენების შედეგად გამოვლენილი, თავისუფლების აღკვეთის ფაქტით გამოწვეული ნებისმიერი ფსიქოლოგიური ან სხვა სტრესული ნიშნების გამოვლენა;

ვ. იმ პატიმრების იზოლირება, რომელთაც სავარაუდოდ აქვთ ინფექციური ან გადამდები დაავადებები ინფექციის პერიოდის განმავლობაში და მათთვის სათანადო მკურნალობის უზრუნველყოფა;

ზ. იმის უზრუნველყოფა, რომ აივ ინფექციით დაავადებული პატიმრების იზოლირება არ ხდება მხოლოდ ამ ნიშნით;

თ. იმ ფიზიკური და ფსიქიკური სიმპტომების შენიშვნა, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ განთავისუფლების შემდგომი ადაპტაციის პროცესი.

ი. ყოველი პატიმრის მდგომარეობის მუშაობისა და ვარჯიშისათვის შესაბამისობის დადგენა;

კ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმების მიღწევა ნებისმიერი აუცილებელი სამედიცინო და ფსიქიატრიული მკურნალობის გაგრძელების შესახებ განთავისუფლების შემდგომ, თუ პატიმრები თანხმობას განაცხადებენ ასეთ შეთანხმებაზე.

43.1 სამედიცინო მუშაკი უნდა ზრუნავდეს პატიმართა ფიზიკურ და

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და უნდა ნახულობდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში მიღებული სტანდარტებისა და პირობების შესაბამისი სიხშირით ავადმყოფ პატიმრებს, ვინც უჩივის ავად ყოფნას ან დაზიანებას და ნებისმიერ პატიმარს, ვის მიმართაც განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაა საჭირო.

43.2 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს იმ პატიმართა ჯანმრთელობას, რომლებიც სამარტოო საკანში იმყოფებიან, ასეთ პატიმრებს ყოველდღე უნდა ნახულობდეს, უწევდეს მათ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და მკურნალობას მათივე, ან ციხის თანამშრომელთა თხოვნით.

43.3 ექიმმა უნდა აცნობოს ციხის დირექტორს თუ მიიჩნევს, რომ პატიმრის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა სერიოზულ რისკს ექვემდებარება პატიმრობის გაგრძელების ან მისი რომელიმე პირობის გამო, სამარტოო პატიმრობის ჩათვლით.

44. ექიმი ან სხვა კომპეტენტური პირი რეგულარულად უნდა ამოწმებდეს, აგროვებდეს ინფორმაციას სხვა სათანადო წყაროებიდან და რეკომენდაციას უწევდეს დირექტორს შემდეგზე:

ა. საკვების და წყლის რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და მიწოდება;

ბ. დაწესებულების და პატიმრების ჰიგიენა და სისუფთავე;

გ. სასჯელაღსრულების დაწესებულების სანიტარული მდგომარეობა, გათბობა, განათება და ვენტილაცია; პატიმართა ტანსაცმლისა და ქვეშაგების სისუფთავე და ვარგისიანობა.

45.1 დირექტორმა უნდა განიხილოს ანგარიშები და რჩევა, რომელსაც მას წარუდგენენ ექიმი და სხვა კომპეტენტური პირი, 43-ე და 44-ე წესების შესაბამისად, გაწეული რეკომენდაციების თანახმად მიიღოს გადაუდებელი ზომები მათ განსახორციელებლად.

45.2 თუ სამედიცინო მუშაკის რეკომენდაციები არ შედის დირექტორის კომპეტენციაში ან თუ დირექტორი მათ არ ეთანხმება, მან დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს აღნიშნული რჩევები და პირადი ანგარიში ზემდგომ ორგანოს.

ჯანდაცვის უზრუნველყოფა

46.1 ავადმყოფი პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალისტის მკურნალობას უნდა გადაყვანილ იქნენ სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში, თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს ციხეში.

46.2 თუ სასჯელაღსრულების სამსახურს აქვს საკუთარი სტაციონარი, ის სათანადოდ უნდა იყოს დაკომპლექტებული და აღჭურვილი პატიმართათვის შესაბამისი მზრუნველობისა და მკურნალობის გასაწევად.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

47.1 სამედიცინო კონტროლს დაქვემდებარებული სპეციალიზებული სასჯელაღსრულების დაწესებულებები ან განყოფილებები ხელმისანვდომი უნდა იყოს ფსიქიკური დაავადების ან გადახრების მქონე იმ პატიმართა გამოსაკვლევად და სამკურნალოდ, რომლებიც მე-12 წესის დებულებებს არ ექვემდებარება.

47.2 ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ფსიქიატრიული მკურნალობა ასეთი საჭიროების მქონე ყველა პატიმრისთვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თვითმკვლელობის თავიდან აცილებას.

სხვა საკითხები

48.1 პატიმრები არ უნდა გახდნენ ექსპერიმენტის ობიექტი მათი თანხმობის გარეშე.

48.2 ექსპერიმენტები პატიმრებზე, რომლებიც იწვევს ფიზიკურ დაზიანებას, ფსიქიკურ აშლილობას ან ჯანმრთელობის სხვაგვარ დაზიანებას, უნდა აიკრძალოს.

რეკომენდაცია R (98) 7 ციხეში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ[3]

50. პატიმრებს მძიმე შეზღუდული უნარებით და ხანდაზმულ ასაკში უნდა მიესადაგოთ ისეთი პირობები, რომლებიც შეძლებისდაგვარად მათ ნორმალურ ცხოვრებას უზრუნველყოფს და არ უნდა იყვნენ განცალკევებულნი სხვა პატიმრებისგან. სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს, ეტლით მოსარგებლე და უნარშეზღუდული პატიმრების დასახმარებლად ციხის გარეთა გარემოს მსგავსად.

51. გადაწყვეტილება, თუ როდის უნდა იქნენ პაციენტები, რომლებსაც მოკლევადიანი სასიკვდილო დიაგნოზი აქვთ, გადაყვანილნი ციხის გარეთ არსებულ საავადმყოფოში, მიღებული უნდა იქნეს სამედიცინო საფუძვლებზე. გადაყვანის მოლოდინში, ამ პაციენტებმა მათი ავადმყოფობის ტერმინალურ სტადიაში უნდა მიიღონ ოპტიმალური საექთნო მოვლა ციხის სამედიცინო ცენტრის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პერიოდული დროებითი მზრუნველობა ციხის გარეთ ჰოსპისში. განხილული უნდა იქნეს სამედიცინო მოსაზრებით პირის შეწყალების ან ვადამდე ადრე განთავისუფლების შესაძლებლობა.

---

3 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(98)7 ციხეში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ, მიღებულია 1998 წლის 8 აპრილს.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

მე-3 ზოგადი ანგარიში[4]

30. თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის ჯანდაცვის მომსახურების თემა წამების პრევენციის კომიტეტის უშუალო კომპეტენციაში შედის.[5] სამედიცინო მომსახურების არასათანადო დონემ შეიძლება სწრაფი ტემპებით მიგვიყვანოს იმ ვითარებამდე, რომელიც უტოლდება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. მეტიც, მოცემულ დაწესებულებაში, სამედიცინო სამსახურს შეუძლია პოტენციურად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს როგორც თვით დაწესებულებაში, ასევე სხვა ადგილებშიც (განსაკუთრებით პოლიციის დაწესებულებებში) სასტიკი მოპყრობის შედეგად მიყენებული ტანჯვის შემსუბუქებაში. გარდა ამისა, სამედიცინო სამსახურს, თავისი მოქმედებით, შეუძლია მოახდინოს დადებითი გავლენა იმ დაწესებულებაში ცხოვრების ზოგადი დონის ამაღლებაზე, რომელშიც იგი მოქმედებს.

31. შემდგომ პუნქტებში მოყვანილია რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომელთაც წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციები ყურადღებას უთმობენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების შესწავლის საკითხს. თუმცა, წამების პრევენციის კომიტეტს სურს დასაწყისშივე ხაზი გაუსვას საერთო პრინციპის მნიშვნელობას, რომელიც აღიარებულია რიგ ქვეყნებში, სადაც ის იმყოფებოდა ვიზიტით. პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმავე დონის სამედიცინო მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფილია საზოგადოდ – ქვეყნის სხვა ნებისმიერი მოქალაქისთვის. ეს პრინციპი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების განუყოფელი ნაწილია.

32. პრინციპები, რომლითაც წამების პრევენციის კომიტეტი ხელმძღვანელობდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჯანდაცვის მომსახურების შესწავლის დროს, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

ა. ექიმის ხელმისაწვდომობა;
ბ. თანაბარი სამედიცინო მომსახურება;
გ. პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა;
დ. პრევენციული ჯანდაცვა;
ე. ადამიანური თანადგომა;

4 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-3 ზოგადი ანგარიში, CPT/INF(93)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1993.

5 ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1998 წლის 8 აპრილს მიღებულ No. R(98)7 რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს.

გ. პროფესიული დამოუკიდებლობა;
ზ. პროფესიული კომპეტენტურობა.

ა. ექიმის ხელმისაწვდომობა

33. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებისას ყველა პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ. წამების პრევენციის კომიტეტი დღემდე თავის გამოქვეყნებულ ანგარიშებში იძლევა რეკომენდაციას, რომ ყოველი ახალმოსული პატიმარი, დაწესებულებაში მისი მიღებიდან უმოკლეს დროში, სათანადოდ იქნეს გამოკითხული და, აუცილებლობის შემთხვევაში – შემოწმებული ექიმის მიერ. დამატებით უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, დაწესებულებაში მიღებისას პატიმარს ამოწმებს კვალიფიცირებული ექთანი, რომელიც შემდეგ ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია ჩაითვალოს ეფექტიანად, არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების კუთხით.[6]

ასევე, სასურველია, რომ დაწესებულებაში მიღებისას პატიმრებს გადაეცეთ საინფორმაციო ფურცელი ან ბროშურა, სადაც მოცემულია ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ, რომელიც შეახსენებს მათ ჰიგიენის დაცვის ძირითად მოთხოვნებს.

34. ექიმი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი პატიმრებისათვის, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად (რაც შეეხება ექიმის ხელმისაწვდომობას სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმართათვის, იხილეთ წამების პრევენციის კომიტეტის მე-2 ზოგადი ანგარიშის 56-ე პუნქტი: CPT/INF (92) 3). სამედიცინო მომსახურება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდეს ექიმთან კონსულტაციის მოთხოვნა.

პატიმრებს უნდა ჰქოდეთ სამედიცინო მომსახურებისათვის კონფიდენციურად მიმართვის უფლება, მაგალითად დალუქულ კონვერტში მოთავსებული შეტყობინების საშუალებით. გარდა ამისა, დაწესებულების პერსონალი არ უნდა ეცადოს ექიმთან კონსულტაციების მოთხოვნის შემოწმებას.

35. ციხის ჯანდაცვის სისტემა, სულ მცირე, უნდა უზრუნველყოფდეს ამბულატორიულ კონსულტაციებსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარებას (რა

6 ეს მოთხოვნა შემდგომ ფორმულირებულ იქნა შემდეგნაირად: ყოველი ახალმოსული პატიმარი, დაწესებულებაში მისი მიღებიდან უმოკლეს დროში, სათანადოდ უნდა იქნეს გამოკითხული და შემოწმებული ექიმის მიერ; საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ასეთი გამოკითხვა/შემოწმება უნდა ჩატარდეს დაწესებულებაში მიღების დღესვე, განსაკუთრებით ეს ეხება პატიმრობის დაწესებულებებს ბრალდებულთათვის. ასეთი სამედიცინო დათვალიერება შესაძლებელია, ასევე ჩატარდეს კვალიფიცირებული ექთნის მიერ, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე.

თქმა უნდა, როგორც წესი, დამატებით შეიძლება იყოს საწოლებით აღჭურვილი სტაციონარული ტიპის განყოფილება). ყველა პატიმრისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვალიფიცირებული სტომატოლოგის მომსახურება. გარდა ამისა, ციხის ექიმებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, მიმართონ სხვადასხვა სპეციალისტის დახმარებას. რაც შეეხება სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, ყოველთვის უნდა არსებობდეს ექიმის გამოძახების შესაძლებლობა. გარდა ამისა, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებაში მუდმივად უნდა იმყოფებოდეს კომპეტენტური სამედიცინო მუშაკი; სასურველია, რომ ასეთ პირს ჰქონდეს ექთნის ოფიციალური კვალიფიკაცია.

ამბულატორიული მკურნალობა უნდა მიმდინარეობდეს სამედიცინო პერსონალის სათანადო ზედამხედველობის ქვეშ. ხშირ შემთხვევაში, მკურნალობის გაგრძელებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ პატიმრის ინიციატივის იმედად ყოფნა.

36. მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სრულად აღჭურვილ სტაციონარში მკურნალობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამოქალაქო ან ციხის საავადმყოფოში.

სამედიცინო მომსახურებისათვის სამოქალაქო საავადმყოფოსთვის მიმართვის შემთხვევაში წამოიჭრება უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი. ამასთან დაკავშირებით წამების პრევენციის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საავადმყოფოში სამკურნალოდ გაგზავნილი პატიმრები არ უნდა იყვნენ ფიზიკურად მიჯაჭვულნი საავადმყოფოს საწოლზე ან სხვა ავეჯზე, თავისუფლების შეზღუდვის მიზნით. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა გამოინახოს სხვა ზომები; ერთ-ერთი გამოსავალია ასეთ საავადმყოფოებში სპეციალურად დაცული განყოფილებების დაარსება.

37. ჰოსპიტალიზაციის ან საავადმყოფოში ექიმთან კონსულტაციის საჭიროების ყველა შემთხვევაში, პატიმრები დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ გადაყვანილნი საავადმყოფოში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის მიხედვით.

ბ. თანაბარი სამედიცინო მომსახურება

I) ზოგადი მედიცინა

38. სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემამ პატიმრებისათვის უნდა უზრუნველყოს მკურნალობა, მოვლა, შესაბამისი დიეტა, ფიზიოთერაპიული მკურნალობა, რეაბილიტაცია და სხვა საჭირო სპეციალური მკურნალობა, იმავე სტანდარტების ხელმისაწვდომობა, როგორითაც სარგებლობენ ქვეყანაში პაციენტები ასეთი დაწესებულებების ფარგლებს გარეთ. ასევე,

გათვალისწინებული უნდა იყოს სამედიცინო, დამხმარე, ტექნიკური პერსონალით, შენობა-ნაგებობით, სამედიცინო აღჭურვილობით და აპარატურით უზრუნველყოფა.

აუცილებელია სათანადო კონტროლის დაწესება მედიკამენტებით მომარაგება-განაწილებაზე. გარდა ამისა, წამლების გამოსაყენებლად მომზადება უნდა დაევალოს კვალიფიცირებულ პერსონალს (ფარმაცევტს/ექთანს და ა.შ.).

39. თითოეული პაციენტისათვის აუცილებელია წარმოებდეს სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დიაგნოსტიკის შესახებ, ასევე – მიმდინარე ჩანაწერებს პაციენტის მდგომარეობის ცვლილებებისა და ჩატარებული გამოკვლევების თაობაზე. პაციენტის სხვაგან გადაყვანის შემთხვევაში, ანკეტა უნდა გადაეცეს მიმღები დაწესებულების ექიმს.

გარდა ამისა, სამედიცინო პერსონალმა ყოველდღიურად უნდა აწარმოოს ჩანაწერები ჟურნალში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პაციენტთან დაკავშირებული ცალკეული შემთხვევების შესახებ. ასეთი ჩანაწერების წარმოება საჭიროა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ქმნიან საერთო წარმოდგენას დაწესებულებაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ და ავლენენ იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მომავალში.

40. სასჯელაღსრულების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის წარმატებული ფუნქციონირების წინაპირობაა, ჯანდაცვის სამსახურის სათავში მდგომი უფროსი ექიმის ხელმძღვანელობით, ექიმებისა და მომვლელი პერსონალისათვის რეგულარული შეხვედრებისა და სამუშაო ჯგუფების შექმნის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

ii) ფსიქიატრიული მკურნალობა

41. ჩვეულებრივ მოსახლეობასთან შედარებით, თავისუფლებააღკვეთილ პირებს უფრო ხშირად აღენიშნებათ ფსიქიკური აშლილობის სიმპტომები. შესაბამისად, თითოეულ დაწესებულებაში აუცილებელია კვალიფიცირებული ფსიქიატრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ასევე, დაწესებულებაში მომუშავე ექთნების ნაწილმა უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება ამ სპეციალიზაციით.

ექიმებით, ექთნებითა და სხვა დამხმარე პერსონალით უზრუნველყოფა, ისევე, როგორც დაწესებულებათა დაგეგმარება უნდა იძლეოდეს რეგულარული ფარმაკოლოგიური, ფსიქოთერაპიული და ოკუპაციური (შრომითი) თერაპიის პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას.

42. ნამების პრევენციის კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას დაწესებულების ადმინისტრაციის როლს პატიმრებში ფსიქიკური აშლილობის (დეპრესია, რეაქტიული მდგომარეობა და სხვ.) საწყის ეტაპზე გამოვლენაში, რათა აღნიშნულ პირთათვის შექმნილ გარემოსა და პირობებში შევიდეს სათანადო ცვლილებები. აღნიშნული როლის ხელშეწყობად შესაძლებელია დაწესებულების პერსონალის ზოგიერთი წევრისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება ჯანდაცვის კონკრეტულ სფეროში.

43. ფსიქიკურად დაავადებული პატიმრები უნდა იმყოფებოდნენ შესაბამისად აღჭურვილ სამედიცინო დაწესებულებაში სათანადოდ მომზადებული პერსონალის მზრუნველობის ქვეშ. ეს შეიძლება იყოს სამოქალაქო პირებისათვის განკუთვნილი ფსიქიატრიული საავადმყოფო ან სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სათანადოდ აღჭურვილი ფსიქიატრიული დაწესებულება.

ერთი მხრივ, ხშირად გამოითქმის აზრი, რომ ეთიკური თვალსაზრისით, გამართლებულია ფსიქიკურად დაავადებული პატიმრების ჰოსპიტალიზაცია პენიტენციური სისტემის ფარგლებს გარეთ – დაწესებულებებში, რომლებზეც პასუხიმგებელია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სამსახური. მეორე მხრივ, შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ ფსიქიატრიული დაწესებულების არსებობა პენიტენციური სისტემის ფარგლებში იძლევა ავადმყოფთა ოპტიმალურად უსაფრთხო პირობებში მკურნალობის და სისტემის შიგნით სამედიცინო და სოციალური სამსახურების საქმიანობის ინტენსიურობის გაზრდის შესაძლებლობას.

რა კურსიც არ უნდა იქნეს არჩეული, კონკრეტულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ ავადმყოფთა საკმაო რაოდენობის განთავსების შესაძლებლობა; ძალიან ხშირად, პატიმრებს, რომლებიც საჭიროებენ გადაყვანას, დიდხანს უწევთ ლოდინი. ამგვარ პირთა ფსიქიატრიულ დაწესებულებში გადაყვანა განხილულ უნდა იქნეს, როგორც პირველადი მნიშვნელობის საკითხი.

44. ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და აგრესიული პაციენტების მკურნალობა უნდა მიმდინარეობდეს მკაცრი კონტროლის, ექთნების მზრუნველობის ქვეშ და საჭიროების შემთხვევაში, დამაწყნარებელი საშუალებების გამოყენებით. ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენება მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებშია გამართლებული და უნდა ხდებოდეს ან ექიმის უშუალო მითითებით, ან მისი თანხმობით მას მერე, რაც დაუყოვნებლივ იქნება ინფორმირებული აღნიშნული ზომის საჭიროების შესახებ.

ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენება უნდა შეწყდეს პირველივე შესაძლებლობისთანავე. აღნიშნული მეთოდები არასდროს უნდა იქნეს

გამოყენებული, ან მათი გამოყენება გახანგრძლივებული, დასჯის მიზნით.

ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, საჭიროა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, როგორც პაციენტის სამედიცინო ბარათში, ისე სპეციალურ ჟურნალში, რომელიც ასახავს ინფორმაციას ფიზიკური შეზღუდვის დაწყებისა და შეწყვეტის დროს, ასევე – საქმის გარემოებებისა და აღნიშნული ზომის გამოყენების მიზეზების შესახებ.

გ. პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა

45. თანხმობის გამოხატვის თავისუფლება და კონფიდენციალურობის დაცვა არის ადამიანის ძირითადი უფლებები. ამ უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანესია ექიმსა და პაციენტს შორის ნდობის დამყარებისთვის, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც პატიმარს არ შეუძლია ექიმის თავისუფლად არჩევა.

i) პაციენტის თანხმობა

46. პაციენტებმა უნდა მიიღონ სრული ინფორმაცია (თუ აუცილებელია, სამედიცინო ანგარიშის სახით) მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, მკურნალობის კურსისა და მათთვის გამოწერილი წამლების შესახებ. სასურველია, პაციენტებს ჰქონდეთ უფლება, გაეცნონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მათ შესახებ წარმოებულ სამედიცინო ანკეტას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს რეკომენდებული არ არის თერაპიული თვალსაზრისით.

მათ უნდა შეეძლოთ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ოჯახის წევრებისთვის, ადვოკატისათვის ან ექიმისათვის, რომელიც არ მუშაობს სასჯელაღსრულების სისტემაში.

47. ყველა პაციენტმა, რომელსაც აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, უფლება აქვს, უარი თქვას მკურნალობაზე, ან ნებისმიერ სხვა სამედიცინო ჩარევაზე. ამ ფუნდამენტური პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით და გამოიყენებოდეს მკაცრად განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში, როგორც განსაზღვრულია სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში.

როგორც წესი, რთული მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც პაციენტის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ექიმის მოვალეობას, იზრუნოს პაციენტის ჯანმრთელობაზე. ეს შესაძლებელია მოხდეს პაციენტის მრწამსის გავლენით (მაგ.: უარი სისხლის გადასხმაზე) ან, როდესაც მას განზრახული აქვს საკუთარი სხეულის თვითდაზიანება, თავისი მოთხოვნის წაყენების,

ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტისა და ამა თუ იმ საკითხისადმი თავისი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით.

შიმშილობის გამოცხადების შემთხვევაში, ზოგიერთ ქვეყანაში, სახელმწიფო უწყებები ან პროფესიული ორგანიზაციები მოითხოვენ ექიმის ჩარევას სიკვდილის თავიდან აცილების მიზნით მაშინვე, როდესაც პატიმარს აღენიშნება ცნობიერების დაქვეითება, სხვა ქვეყნებში კი – კლინიკური გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს პასუხისმგებელ ექიმს, საჭირო კონსულტაციების მიღების და საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გაანალიზების შემდეგ.

48. რაც შეეხება პატიმართა სამედიცინო გამოკვლევას, ნათელია, რომ აუცილებელია ძალიან ფრთხილი მიდგომის შერჩევა, რადგან არსებობს რისკი, რომ გამოკვლევაზე მათი თანხმობა განპირობებული იყოს პატიმრობაში ყოფნით. უნდა არსებობდეს დაცვის გარანტიები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმარი სრულად იყო ინფორმირებული და განაცხადა ინფორმირებული თანხმობა.

ეს წესები უნდა იყოს საზოგადოებაში აღიარებული და ითვალისწინებდეს ეთიკის საბჭოს ჩარევას. წამების პრევენციის კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ მხარს უჭერს პატიმრობასთან დაკავშირებული პათოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა ან თავისუფლებააღკვეთილი პირების პირობებთან დაკავშირებული სხვა ასპექტების შესახებ კვლევების ჩატარებას.

49. სტუდენტთა სასწავლო პროგრამებში პატიმართა ჩართვისათვის აუცილებელია ამ უკანასკნელთა თანხმობა.

ii) კონფედენციალურობა

50. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სამედიცინო საიდუმლოების დაცვის მიმართ იმავე მიდგომა უნდა იყოს, როგორიც არის საზოგადოებაში. პაციენტთა სამედიცინო ანკეტების შენახვა ექიმის მოვალეობაა.

51. პატიმართა ყველა სახის სამედიცინო შემოწმება (დაწესებულებაში მიღებისას ან შემდგომ ეტაპზე) უნდა ჩატარდეს დაწესებულების პერსონალის მიერ მოსმენის და თუ ექიმი სხვაგვარად არ მოითხოვს – ზედამხედველობის გარეშე. ამასთან, თავისუფლებააღკვეთილი პირები შემოწმებულ უნდა იქნენ ინდივიდუალურად და არა ჯგუფურად.

დ. პრევენციული ჯანდაცვა

52. სასჯელაღსრულების ჯანმრთელობის დაცვის სამსახური არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ავადმყოფთა მკურნალობით. მას აგრეთ-

ვე უნდა დაეკისროს სოციალური და პროფილაქტიკური მკურნალობის ვალდებულება.

i) ჰიგიენა

53. სასჯელაღსრულების სამედიცინო სამსახურს, სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, ევალება, თვალყური ადევნოს კვების ორგანიზებასა (საკვების რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და განაწილება) და ჰიგიენის დაცვას (ტანსაცმლისა და თეთრეულის სისუფთავე, შხაპის ხელმისაწვდომობა და სანიტარული კვანძები), ასევე, საკნების განათებას, გათბობას და ვენტილაციას. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმებისა, სუფთა ჰაერზე გასეირნებისა, და ვარჯიშის ორგანიზაციულ მართვას.

მავნე გარემომ, დაწესებულების გადატვირთულობამ, ხანგრძლივმა იზოლაციამ და უმოძრაობამ შეიძლება წარმოქმნას კონკრეტული თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის სამედიცინო მომსახურების, ან ზოგადად – პასუხისმგებელი ორგანოების მიერ ნაბიჯების გადადგმის საჭიროება.

ii) გადამდები დაავადებები[7]

54. სასჯელაღსრულების სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს პატიმართა და ციხის პერსონალისათვის გადამდები დაავადებების (კერძოდ, ჰეპატიტი, აივ-ინფექცია/შიდსი, ტუბერკულიოზი, კანის დაავადებები) შესახებ ინფორმაციის რეგულარული მინოდება. საჭიროებისას, სამედიცინო მეთვალყურეობა უნდა დაწესდეს პირებზე (თანამესაკნე, დაწესებულების პერსონალი, ხშირი მნახველები), ვისთანაც კონკრეტულ პატიმარს ჰქონდა რეგულარული კონტაქტი.

55. რაც შეეხება კონკრეტულად აივ-ინფექციას, გამოკვლევამდე, საჭიროების შემთხვევაში, გამოკვლევის შემდეგაც, აუცილებელია, პატიმარს ჩაუტარდეს სათანადო კონსულტაციები პროფესიონალის მიერ. ციხის პერსონალმა მუდმივად უნდა გაიაროს მომზადება პრევენციული ზომების მიღებისა და აივ-ინფიცირებულთა მიმართ მოპყრობის კუთხით; ასევე, პერსონალს უნდა მიეცეს ინსტრუქცია დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

56. წამების პრევენციის კომიტეტს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ არ არსებობს სამედიცინო საფუძველი აივ-ინფიცირებულთა და იმ პატიმართა სეგრეგაციისთვის, რომლებიც თავს კარგად გრძნობენ.[8]

---

7 იხ. აგრეთვე თავი „გადამდები დაავადებების სკრინინგი"; თავი „დისკრიმინაციის აკრძალვა", ქვეთავი „აივ სკრინინგი და აივ დადებითი პატიმრები".

8 შემდგომში ფორმულირებულ იქნა შემდეგნაირად: არ არსებობს არანაირი სამედიცინო საფუძველი პატიმრის სეგრეგაციისათვის მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი არის აივ-ინფიცირებული.

iii) თვითმკვლელობის პრევენცია

57. თვითმკვლელობის პრევენცია მორიგი მიმართულებაა, რომელიც შედის სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის სამსახურის კომპეტენციაში. სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცოდნის გაღრმავება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და უზრუნველჰყოს შესაბამისი პროცედურები.

58. დაწესებულებაში შესვლისას და, ზოგადად – მიღების პროცესში, პატიმრისთვის სამედიცინო შემოწმების ჩატარებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ამ თვალსაზრისით; სათანადოდ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად შესაძლებელია, სულ მცირე, რისკის ჯგუფში შემავალ პირთა გამოვლენა და დაწესებულებაში ახალმიღებული პატიმრების ემოციური ფონის ნაწილობრივ შემსუბუქება.

გარდა ამისა, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალი, განურჩევლად მათი საქმიაობისა და დაკისრებული უფლება-მოვალეობებისა, უნდა გაეცნოს ინფორმაციას (რაც გულისხმობს სპეციალურ მომზადებას თვითმკვლელობის რისკის ამოცნობასა და გამოვლენაში) თვითმკვლელობის რისკისთვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ სასამართლოს წინა და შემდგომ პერიოდში და ზოგიერთ შემთხვევაში – განთავისუფლების წინა პერიოდშიც, შეინიშნება თვითმკვლელობის მომეტებული საშიშროება.

59. პირი, რომელიც მიიჩნევა თვითმკვლელობის საშიშროების ქვეშ მყოფად, უნდა იმყოფებოდეს გეგმური მეთვალყურეობის ქვეშ იმ ვადით, რაც საჭიროა. გარდა ამისა, ასეთ პირებს ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ ისეთ საგნებზე, რომლებიც გამოიყენება, როგორც თავის მოკვლის საშუალება (საკნის ფანჯრების რკინის წნული, დამსხვრეული მინა, ქამარი, ან ჰალსტუხი და ა.შ.).

მიღებული უნდა იქნეს ზომები პოტენციურად რისკის ქვეშ მყოფი პატიმრების შესახებ ინფორმაციის სათანადო გაცვლისთვის, როგორც კონკრეტული დაწესებულების შიგნით, ისე – საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა დაწესებულებას შორის (უფრო ზუსტად, დაწესებულებების სამედიცინო სამსახურებს შორის).

iv) ძალადობის აღკვეთა

60. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ პატიმართა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებას სხეულის დაზიანებების სისტემატური რეგისტრაციის და აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო უწყებებისთვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდების გზით. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ინ-

ფორმაციის მიწოდება, როგორც წესი, შეიძლება მხოლოდ პატიმრის თანხმობით.

61. დაწესებულებაში მიღებისას, პატიმრის სამედიცინო შემოწმების დროს აღმოჩენილი ძალადობის ნებისმიერი კვალი დეტალურად უნდა იქნეს დოკუმენტირებული, აღნიშნული პირის შესაბამის განცხადებასთან და ექიმის დასკვნასთან ერთად. გარდა ამისა, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრისთვის.

ასეთივე მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული ყოველთვის, როდესაც პატიმარი გადის სამედიცინო შემოწმებას დაწესებულებაში მომხდარი ძალადობის ფაქტის შემდეგ (იხ. აგრეთვე წამების პრევენციის კომიტეტის მე-2 ზოგადი ანგარიშის 53-ე პუნქტი: CPT/INF (92) 3), ან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე პირის პოლიციაში გადაყვანის შემდეგ, მისი საპატიმროში დაბრუნებისას.

62. სამედიცინო სამსახურს შეუძლია პერიოდული სტატისტიკის წარმოება, გამოვლენილი სხეულის დაზიანებების შემთხვევების შესახებ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, იუსტიციის სამინისტროსა და სხვათა საყურადღებოდ.

v) სოციალური და ოჯახური კავშირები

63. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს ასევე შეუძლია შეზღუდოს სოციალური და ოჯახური კავშირების განყვეტა, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს პატიმრობას. შესაბამის სოციალურ სამსახურებთან თანამშრომლობით ჯანდაცვის სამსახურმა მხარი უნდა დაუჭიროს პატიმართა გარე სამყაროსთან კავშირის ხელშემწყობ ზომებსა და საშუალებებს, როგორიცაა პაემნების ოთახების სათანადოდ მოწყობა, ოჯახის წევრებთან და ან მეუღლესთან/პარტნიორთან პაემნის უზრუნველყოფა შესაფერის პირობებში, დაწესებულების დროებით დატოვება ოჯახის მონახულების მიზნით და პროფესიულ, საგანმანათლებლო და სოციალურ-კულტურული სახის ღონისძიებები.

გარემოებებიდან გამომდინარე, ციხის ექიმს შეუძლია მიიღოს ზომები, რათა მოიპოვოს გრანტი ან გრძელვადიანი სოციალური დაზღვევა პატიმრისა და მისი ოჯახისათვის.

ე. ადამიანური თანადგომა

64. იდენტიფიცირებული უნდა იყოს პატიმართა განსაკუთრებული მოწყვლადი ჯგუფები, რომელთა საჭიროებებს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ჯანდაცვის სამსახურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ.

i) დედა და ბავშვი

65. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, რომ ბავშვი არ უნდა იბადებოდეს ციხეში, ნამების პრევენციის კომიტეტის გამოცდილება ადასტურებს, რომ ეს პრინციპი დაცულია.

66. დედას და ბავშვს უნდა მიეცეთ ერთად ყოფნის უფლება გარკვეული დროით მაინც. თუ დედა და ბავშვი ერთად იმყოფებიან ციხეში, ისინი უნდა განთავსდენენ ისეთ პირობებში, რომლებიც უთანაბრდება ბაგა-ბაღისას და უზრუნველყოფს მშობიარობის შემდგომ და ბავშვთა მოვლაში სპეციალიზირებული პერსონალის დახმარებას.

გრძელვადიანი გადაწყვეტილებები, კერძოდ, ბავშვის გადაყვანა პენიტენციური სისტემის გარეთ, რაც მოიცავს დედისგან მის განშორებას, უნდა განიხილებოდეს თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, პედიატრიულ-ფსიქიატრიული და სამედიცინო-სოციალური მოსაზრებების გათვალისწინებით.

ii) მოზარდები

67. მოზარდის ასაკი არის პერიოდი, რომლისთვისაც, გარკვეულწილად, დამახასიათებელია პიროვნებად ჩამოყალიბება, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას ხანგრძლივი და არასათანადო სოციალური ადაპტაციის რისკის შემცირებისთვის.

პატიმრობისას, მოზარდებს ნება უნდა დაერთოთ, იმყოფებოდნენ მუდმივად ერთსა და იმავე დანესებულებაში, პირადი ნივთებისა და კეთილგანწყობილი სოციალური ჯგუფების გარემოცვაში. მათთვის განკუთვნილი რეჟიმი უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა საქმიანობით ინტენსიურ დაკავებას, მათ შორის – სოციალურ-საგანმანათლებლო შეხვედრებს, სპორტს, განათლებას, პროფესიულ მომზადებას, ექსკურსიებს ბადრაგის თანხლებით და სხვა შესაბამისი დამატებითი საქმიანობის შესაძლებლობას.

iii) პიროვნული აშლილობის მქონე პატიმრები

68. სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის სამსახურის პაციენტებს შორის ყოველთვის არის გარკვეული წილი გაუწონასწორებელი, მარგინალური პიროვნებებისა რომელთაც გადატანილი აქვთ ოჯახური ტრავმა, ნარკოტიკებზე ხანგრძლივი დამოკიდებულება, ხელისუფლებასთან კონფლიქტი ან სხვა სოციალური პრობლემები. ისინი შეიძლება იყვნენ აგრესიულნი, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილნი ან ახასიათებდეთ ნორმიდან გადახრილი სექსუალური ქცევები; უმეტეს შემთხვევაში ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი თავის კონტროლს და მოვლას.

69. ასეთ პატიმართა პრობლემები არ არის მთლად სამედიცინო ხასიათის, მაგრამ დაწესებულების ექიმს შეუძლია, ხელი შეუწყოს მათთვის სოციალურ-თერაპიული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას ციხეში, სათანადო კონტროლისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნილ ჯგუფებში.

აღნიშნულ ჯგუფებში ჩართვას შეუძლია, შეამსუბუქოს პატიმართა დამცირებული მდგომარეობა და საკუთარი თავისადმი სიძულვილი, გაუღვივოს პასუხისმგებლობის გრძნობა და მოამზადოს ისინი რეინტეგრაციისთვის. ამგვარი პროგრამების მეორე დადებითი მხარეა ის, რომ ისინი ითვალისწინებენ ციხის პერსონალის ჩართვასა და აქტიურ მონაწილეობას.

iv) გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთისათვის შეუთავსებელი პატიმრები

70. ამგვარ პატიმართა ტიპური მაგალითია ის პირები, რომელთაც სამედიცინო დიაგნოზის თანახმად, მცირე დრო დარჩათ სიცოცხლისათვის; მძიმედ დაავადებული პირები, რომელთა განკურნება შეუძლებელია თავისუფლების აღკვეთის პირობებში, მძიმე ფორმის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან ხანდაზმულები.

განგრძობადმა პატიმრობამ ასეთ პირთათვის შეიძლება შექმნას აუტანელი მდგომარეობა. ამგვარი შემთხვევების დროს, დაწესებულების ექიმის მოვალეობაა, შეადგინოს მოხსენება პასუხისმგებელი უწყებისათვის, რათა მიღებულ იქნეს შესაბამისი ალტერნატიული ზომები.

გ. პროფესიული დამოუკიდებლობა

71. სასჯელაღსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალი იმყოფება პოტენციური რისკის ქვეშ. მათი პაციენტებზე (ავადმყოფ პატიმრებზე) ზრუნვის მოვალეობა შეიძლება ხშირად ეწინააღმდეგებოდეს ციხის ადმინისტრაციის მოსაზრებებს და უსაფრთხოების ზომებს. ამან შესაძლოა წარმოშვას რთული ეთიკური პრობლემები და დააყენოს არჩევანის საკითხი.

წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის გარანტიის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, აღნიშნული პერსონალი რაც შეიძლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემასთან.

72. ოფიციალურად რა თანამდებობაც არ უნდა ეკავოს დაწესებულების ექიმს, რომელიც ასრულებს თავის მოვალეობას, მკურნალობის გადაწყვე-

ტილების მიღებისას, მან უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებით. სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ეფექტიანობა შეფასებული უნდა იქნეს ჯანდაცვის კომპეტენტური უწყების მიერ.

გარდა ამისა, არსებულ რესურსებსაც უნდა განკარგავდეს ჯანდაცვის კომპეტენტური უწყება და არა მართვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანოები.

73. დაწესებულების ექიმი მოქმედებს, როგორც პაციენტის პირადი ექიმი. შესაბამისად, ექიმსა და პაციენტს შორის დადებითი ურთიერთობების შენარჩუნების ინტერესებში არ შედის, რომ ექიმს ეთხოვოს ნებართვის გაცემა პატიმრის დასჯისათვის.

აგრეთვე, არ შეიძლება იგი მიწვეულ იქნეს ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე შემოწმების წარმოების ან სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად, გარდა იმ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა, როდესაც შეუძლებელია სხვა ექიმის გამოძახება.

74. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმთა პროფესიული დამოუკიდებლობა ისედაც შეზღუდულია ციხეში არსებული გარემო პირობების გამო: ექიმს არ შეუძლია თავისუფლად აირჩიოს თავისი პაციენტები, ისევე, როგორც თავად პატიმრებს არ აქვთ სხვა არჩევანი. დაწესებულების ექიმი არ თავისუფლდება თავისი პროფესიული მოვალეობებისგან მაშინაც, როცა პაციენტი არღვევს სამედიცინო წესებს ან მიმართავს მუქარასა და ძალადობას.

ზ. პროფესიული კომპეტენტურობა

75. ციხის ექიმებს და ექთნებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური ცოდნა, რომელიც მათ დაეხმარება, გაუმკლავდნენ ციხის პირობებისათვის დამახასიათებელი პათოლოგიების გარკვეულ ფორმებს და შეძლონ სამკურნალო მეთოდების ციხის პირობებთან და გარემოსთან ადაპტირება. კერძოდ კი, შემუშავებულ უნდა იქნეს პროფესიული ქცევისა და დამოკიდებულების მეთოდები, რომლებიც გათვლილია ძალადობის თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში – კონტროლისათვის.

76. სამედიცინო პერსონალის საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ექთნებს ეხმარებიან სამედიცინო სანიტრები, რომელთა ნაწილიც შეირჩევა დაწესებულების თანამშრომელთა შემადგენლობიდან. კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, პერიოდულად, მათ სხვადასხვა დონეზე უნდა გადასცემდეს თავის გამოცდილებას.

ზოგჯერ, თვითონ პატიმრებს ეძლევათ სამედიცინო სანიტრის საქმიანობის გაწევის ნებართვა. ეჭვგარეშეა, ასეთი მიდგომის უპირატესობაა პატიმართა გარკვეული რაოდენობის ჩართვა სასარგებლო საქმიანობაში. თუმცა, ეს მიდგომა უნდა გამოიყენებოდეს უკიდურეს შემთხვევაში. გარდა ამისა, დაუშვებელია პატიმართა ჩართვა წამლების განაწილების პროცედურაში.

77. დაბოლოს, წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ პენიტენციური სისტემის სამედიცინო მომსახურების სპეციფიკური ხასიათი შესაძლოა ამართლებდეს ოფიციალური პროფესიონალური სპეციალიზაციის შემოღებას ექიმების და ექთნებისთვის, დიპლომის შემდგომი გადამზადების და პერიოდული სამსახურებრივი შიდა ტრენინგების საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 3 – წამების აკრძალვა
ადამიანის წამება, არაადამიანური, თუ დამამცირებელი დასჯა, ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

თავისუფლებააღკვეთილი პირები მონყვლად მდგომარეობაში არიან და მათი დაცვა ხელისუფლების ვალდებულებაა.

არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რათა მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. სისასტიკის მინიმალური ზღვარის შეფასება ფარდობითია. იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები და ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ აღუნიშნავს, რომ იმისთვის, რათა ამა თუ იმ საქმეზე გავრცელდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედება, ტანჯვა და დამცირება უნდა გასცდეს იმ ხარისხს, რომელიც მოცემულ ლეგიტიმურ მოპყრობას ან სასჯელს გარდაუვლად ახასიათებს. თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებები ხშირად მოიცავს ასეთ ელემენტს. თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლების აღკვეთა თავისთავად არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს. სახელმწიფოს ევალება, უზრუნველყოს პირის პატიმრობა ისეთ პირობებში, რომლებიც ადამიანური ღირსების პატივისცემას შეესაბამება და ამ ღონისძიების აღსრულების გზა და მეთოდი არ უქვემდებარებს ადამიანს იმაზე მეტ ტკივილსა და ტანჯვას, რაც ორგანულად არის დამახასიათებელი პატიმრობისთვის და, თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, პატიმრის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ არის დაცული. პატიმრობის პირობების შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ პირობების კუმულაციური ეფექტი და პატიმრობის ხანგრძლივობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფასეულობას და იგი აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ მოპრყობას, დამამცირებელ მოპყრობას თუ სასჯელს, მიუხედავად არსებული გარემოებებისა და დაზარალებულის ქცევისა.

იმის შეფასებისას, სასჯელი ან მოპყრობა არის თუ არა „დამამცირებელი“ მე-3 მუხლის მნიშვნელობით, სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს,

არის თუ არა მოპყრობის/სასჯელის მიზანი მოცემული პირის დამცირება, დაკნინება და შედეგების თვალსაზრისით, დააზიანა თუ არა მოპყრობამ თუ სასჯელმა პირის პიროვნება მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. თუმცა ასეთი მიზნის არარსებობა აუცილებლად არ გამორიცხავს მე-3 მუხლის დარღვევას.

დამამცირებელი მოპყრობა, ან სასჯელი აგრეთვე აღიწერება, როგორც არასათანადო მოპყრობა, ან სასჯელი, რომელიც დაზარალებულში აღძრავს შიშის, ტკივილის, არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც შეუძლია, დაამციროს და დააკნინოს იგი და სავარაუდოდ, გატეხოს მისი ფიზიკური და მორალური მედეგობა.

მოპყრობა, სასჯელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიიჩნევა „არაადამიანურად“, როდესაც, მაგალითად, იყო წინასწარ განზრახული, გამოიყენებოდა საათების განმავლობაში და გამოიწვია ფაქტობრივი სხეულებრივი ზიანი, ან ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, მატერიალურ პირობებთან ერთად, არის პატიმრობის რეჟიმი. იმის შეფასებისას, არის თუ არა შემზღუდველი რეჟიმი მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობა, ამა თუ იმ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული პირობები, რეჟიმის სიმკაცრე, მისი ხანგრძლივობა, დასახული მიზანი და მისი შედეგები მოცემულ პატიმარზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ აქვს აღნიშნული, რომ ავადმყოფი პირის პატიმრობამ შეიძლება კონვენციის მე-3 მუხლის თვალსაზრისით პრობლემები წამოჭრას და სათანადო სამედიცინო დახმარების გაუწევლობა შეიძლება აღნიშნული მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობად ჩაითვალოს. სახელდობრ, იმის შეფასებისას, პატიმრობის კონკრეტული პირობები შეესაბამება თუ არა მე-3 მუხლის სტანდარტებს, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების კონტექსტში უნდა ითვალისწინებდეს მათ მოწყვლადობას და ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შესაძლებლობას, იჩივლონ თანმიმდევრულად ან საერთოდ იჩივლონ იმის თაობაზე, თუ როგორ იმოქმედა მათზე გარკვეულმა მოპყრობამ.

პატიმრის ჯანმრთელობის პატიმრობაში ყოფნასთან შესაბამისობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამი კონკრეტული ელემენტი: პატიმრის სამედიცინო მდგომარეობა; ციხეში განეული სამედიცინო დახმარების ადეკვატურობა და პატიმრის თავისუფლების აღკვეთაში დატოვების მიზანშეწონილობა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ გამორიცხავს, რომ ავადმყოფი პირის პატიმრობაში ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. თუმცა, აღნიშნული მუხლის განმარტება არ გულისხმობს, რომ მე-3 მუხლი მოიცავს ზოგად ვალდებულებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პირი განთავისუფლდეს, ან გადაყვანილი იქნეს სამოქალაქო საავადმყოფოში, თუნდაც მისი ავადმყოფობა განსაკუთრებით რთულად განკურნებადი იყოს. ამის მიუხედავად, კონვენციის მე-3 მუხლი სწორედაც, რომ ავალდებულებს სახელმწიფოს იმის უზრუნველყოფას, რომ პატიმრობის პირობები თავსებადი იყოს ადამიანის ღირსების პატივისცემასთან, რომ ამ ღონისძიების აღსრულების წესი და მეთოდი არ იწვევდეს იმაზე მეტ ტკივილსა და პრობლემას, რაც გარდაუვლად არის დამახასიათებელი თავისუფლების აღკვეთისთვის და რომ თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ადეკვატურად არის დაცული, მათ შორის, საჭირო სამედიცინო დახმარების მეშვეობით.[9]

ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო დახმარების „ადეკვატურობა“ ყველაზე რთული ელემენტია შესაფასებლად. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ექიმი პატიმარს მოინახულებს და დაუნიშნავს მკურნალობის გარკვეულ კურსს, ავტომატურად არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ გაწეული სამედიცინო დახმარება ადეკვატური იყო.[10] პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისთვის დანიშნული მკურნალობა სრულყოფილად არის დოკუმენტირებული; დიაგნოზი და მკურნალობა დროული და ზუსტია; ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში გაწეული მეთვალყურეობა რეგულარული და სისტემურია და მოიცავს ყოველმხრივ თერაპიულ სტრატეგიას, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანრმთელობის პრობლემებს, ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის მაგივრად, რომ მათზე სიმპტომატურად რეაგირებდეს.[11]

როდესაც მიიღება გადაწყვეტილება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აღეკვეთოთ თავისუფლება, ხელისუფლებამ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს ამ პირებზე, რათა უზრუნველყოს რომ მათი პატიმრო-

9 ბუიაკი პოლონეთის წინააღმდეგ *(Bujak v. Poland)*, განაცხადი no. 686/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 67.
10 ჰუმატოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ *(Hummatov v. Azerbaijan)*, განაცხადები nos. 9852/03 და 13413/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 116.
11 ბუიაკი პოლონეთის წინააღმდეგ *(Bujak v. Poland)*, განაცხადი no. 686/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 67.

ბის პირობები შეესაბამებოდეს შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე სპეციალურ საჭიროებებს.[12]

ასეთ შემთხვევებში, იმისთვის, რათა შეამოწმოს, გახანგრძლივებული თავისუფლების აღკვეთა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან თუ არის შესაბამისობაში, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს სამ ფაქტორს: ა) პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბ) გაწეული მზრუნველობის ხარისხი და გ) უნდა იყოს თუ არა გახანგრძლივებული პატიმრის თავისუფლების აღკვეთა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

ამ პრინციპების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ თავის საქმეებში დაადგინა, რომ მძიმე ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრის ჯანმრთელობისთვის შეუფერებელ პირობებში მოთავსება ან თანამესაკნეების დახმარების ანაბარა დატოვება ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, დასაბანად, ჩაცმა-გასახდელად და ა.შ., – დამამცირებელ მოპყრობას შეადგენდა. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დარღვევა საქმეში, სადაც პარაპლეგიური პატიმარი ეტლს იყო მიჯაჭვული და სხვა პატიმრების დაუხმარებლად არ შეეძლო კარში გასვლა, რისთვისაც საჭირო იყო ერთი ბორბლის მოძრობა და შემდეგ ისევ გაკეთება.[13] სხვა საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, დამხმარე პატიმრები იყვნენ თუ არა მოხალისეები.[14]

რელევანტური საქმეები

ხანდაზმული და მძიმე სნეულებებით დაავადებული მსჯავრდებულის განთავისუფლება დაგვიანდა, არაკვალიფიციური პატიმრების მიერ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირის მოვლა არაასაკმარისი იყო: დარღვევა

ფაქტები:[15] განმცხადებელი დაბადებულია 1916 წელს. 1999 წელს, ის ბრალეულად იქნა ცნობილი 1940-41 წლებში კაცობრიობის წინააღმდეგ და

12 აბელე ლატვიის წინააღმდეგ *(Ābele v. Latvia)*, განაცხადები nos. 60429/12 და 72760/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 61.

13 ვინსენტი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Vincent c. France*), განაცხადი no. 6253/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

14 ენგელი უნგრეთის წინააღმდეგ *(Engel v. Hungary)*, განაცხადი no. 46857/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 27.

15 ფარბთუჰსი ლატვიის წინააღმდეგ *(Farbtuhs v. Latvia)*, განაცხადი no. 4672/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება.

გენოციდის დანაშაულების ჩადენაში. იმავე წელს შედგენილი სამედიცინო დასკვნის თანახმად, მას მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა აქვს, მათ შორის: ხერხემლის სპონდილოზი და დეფორმაცია, ოსტეოარტრიტი, მაღალი წნევა და ქრონიკული გულის უკმარისობა; ესაჭიროება მუდმივი მზრუნველობა და რეგულარული მკურნალობა. ციხეში მოათავსეს 2000 წელს, როცა სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დატოვა. რადგანაც მისი მდგომარეობა კრიტიკული იყო, დაუყოვნებლივ მოათავსეს ციხის საავადმყოფოში. მან რამდენჯერმე წარუმატებლად მოითხოვა სასჯელისგან განთავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. 2001 წელს, ექსპერტთა საბჭომ გასცა რეკომენდაცია მისი სასჯელის მოხდისგან განთავისუფლების თაობაზე ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის გამო. ციხის დირექტორმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, მაგრამ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. განმცხადებელი დაავადდა შაქრიანი დიაბეტით და ტვინისთვის სისხლის არარეგულარული მიწოდებით. 2002 წელს, სასამართლომ განმცხადებელი სასჯელის შემდგომი მოხდისგან გაანთავისუფლა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა 1 წელი, 9 თვე და 13 დღე გაატარა ციხეში. 84 წლის იყო, როცა ციხეში მოათავსეს, იყო პარაპლეგიური და იმდენად მკვეთრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, რომ დახმარების გარეშე არ შეეძლო ადგომა, დაჯდომა, მოძრაობა, ჩაცმა, დაბანა და ა.შ. ციხეში მოთავსების დროისთვის მას უკვე მთელი რიგი მძიმე, ქრონიკული და განუკურნებელი სნეულებები სჭირდა.

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებამ აწონ-დაწონა განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთის შედეგები იმით, რომ სამედიცინო ექსპერტიზით შეამოწმა, შეეძლო თუ არა განმცხადებელს სასჯელის მოხდა.

სასამართლომ გამოთქვა დიდი შეშფოთება, რომ მიუხედავად განთავისუფლებაზე ექსპერტების რეკომენდაციისა, განმცხადებელი კიდევ ერთი წლით დარჩა ციხეში. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ექსპერტიზამ ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი პატიმრობის პირობებს და განმცხადებლის ჯანმრთელობის გაუარესებას შორის, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, ახალი სნეულებები დამატებით მიუთითებდა, რომ განმცხადებლის გახანგრძლივებული თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლებოდა.

რაც შეეხება სამედიცინო მეთვალყურეობას და ყურადღებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს უვლიდა საავადმყოფოს პერსონალი, მათი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ კი სხვა პატიმრები, ხან-

დახან ნებაყოფლობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი გამოსავალი ადეკვატური არ იყო, რადგან მკვეთრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი არაკვალიფიციური პატიმრების ანაბარა იყო. ამას გარდა, ციხის ადმინისტრაცია რეგულარულად რთავდა ნებას ოჯახის წევრებს ციხეში 24 საათის განმავლობაში ყოფილიყვნენ და პატიმრისთვის მოევლოთ. ცალკე აღებული განცდილი დისკომფორტი და ნერვიულობა, რომ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებელი კვალიფიციური დახმარებით ვერ ისარგებლებდა, შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად.

მიიღო რა მხედველობაში განმცხადებლის ასაკი, სისუსტე და მდგომარეობა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი გახანგრძლივებული თავისუფლების აღკვეთა დაუშვებელი იყო. მდგომარეობა, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, გამოიწვევდა მის გამუდმებულ ღელვას, და არასრულფასოვნების და დამცირების ისეთ მძაფრ განცდას, რომ მე-3 მუხლით აკრძალულ დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდებოდა. მიუხედავად განთავისუფლებაზე ციხის დირექტორის შუამდგომლობისა, რომელიც სამედიცინო მტკიცებულებით იყო გამყარებული, განთავისუფლება დაყოვნდა ერთი წლით, რის გამოც ჩაითვალა, რომ ხელისუფლებამ მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 5 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

პატიმარს, რომელსაც ორივე წინამხარი აქვს ამპუტირებული, 4 წელი სხვა პატიმრები უვლიდნენ, გერ მიიღო მისთვის სასურველი პროთეზი: არდარღვევა

ფაქტები:[16] განმცხადებელი დაბადებულია 1976 წელს. 1996 წლის უბედური შემთხვევის შედეგად მოუნია ორივე წინამხარის ამპუტაცია და შედეგად მინიჭებული აქვს მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდული ხარისხი. 2002 წელს, მას შეეფარდა პატიმრობა არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი რიგი დანაშაულების და მოწმეზე ზემოქმედების ბრალდებით; ბრალეულად იქნა ცნობილი იმავე წელს. პატიმრობაში ყოფნის დროს, ბრალდებულს ეცნობა პროთეზების მიღების პროცედურის შესახებ, გაეწია დახმარება განცხადების წარსადგენად და ხარჯების ასანაზღაურებლად. მან ბიომექანიკური პროთეზები მოითხოვა, მაგრამ ვერ შეძლო ფასის იმ ნაწილის გადახდა, რომელიც არ ანაზღაურდებოდა. 2003 წლის ივლისში, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა გადაუვადდა, რათა პენიტენციური სისტემის გარეთ ორთოპედიული მკურნალობა გაევლო. მან უფასოდ

16 ზარუიცკი პოლონეთის წინააღმდეგ *(Zarzycki v. Poland)*, განაცხადი no. 15351/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება.

მიიღო მექანიკური პროთეზები და გაიარა ფიზიოთერაპია. 2004 წლის ივლისში, მსჯავრდებული დააბრუნეს ციხეში სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად. 2006 წლის ოქტომბერში ის პირობით ვადამდე გაათავისუფლეს.

განმცხადებელი ევროპულ სასამართლოში ჩიოდა, რომ მისი გახანგრძლივებული თავისუფლების აღკვეთა კონვენციის მე-3 მუხლს არღვევდა თავისი შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭირობებიდან გამომდინარე. კერძოდ, ის ჩიოდა, რომ წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას, პერსონალი მასზე არ ზრუნავდა, მას კი არ შეეძლო თავისი ყოველდღიური რუტინა შეესრულებინა, მაგალითად, გაესწორებინა ლოგინი, დაეჭრა ფეხის ფრჩხილები, გაეპარსა და ბუნებრივი მოთხოვნილებების შემდეგ გასუფთავებულიყო. ის იძულებული იყო, დახმარება ეთხოვა სხვა პატიმრებისთვის, რამაც ის სხვებზე დამოკიდებული გახადა.

სახელმწიფოს არგუმენტი იყო ის, რომ თავისუფლების აღკვეთის პერიოდში პენიტენციური სისტემის ადმინისტრაცია მსჯავრდებულს აქტიურად დაეხმარა პროთეზების მოთხოვნის პროცედურაში. პატიმრობის დროს მან თავად განაცხადა პროთეზებზე უარი, რადგან მხოლოდ ბიომექანიკურ პროთეზებზე იყო თანახმა. ამასთან, ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ განმცხადებელს პატიმრობამდე დიდი ხნის წინ ჰქონდა ზედა კიდურები ამპუტირებული, ამიტომ ადაპტირებული იყო თავის მდგომარეობასთან და პროთეზებს თავისუფლებაში ყოფნის დროს არ მოიხმარდა. შესაბამისად, მას შეეძლო პატიმრობაში ნორმალურად ფუნქციონირება ამპუტირებული კიდურებით გამოწვეული რაიმე განსაკუთრებული დისკომფორტის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მთელი რიგი სამედიცინო ანგარიშების თანახმად, პატიმარი პროთეზების მიღებამდე ირიცხებოდა, როგორც არათვითკმარი პატიმარი. თუმცა, დაწესებულებამ მიიღო ზომები, რომ პატიმარს თანასაკნელები დახმარებოდნენ. ადმინისტრაციამ უზრუნველყო, რომ პატიმრის მიერ დაძახებისას, თანასაკნელები მას დაეხმარებოდნენ. აგრეთვე სხვა მცდელობებიც იყო, რომ მისი დისკომფორტი შემსუბუქებულიყო. კერძოდ, მას კვირაში ექვსჯერ შეეძლო შხაპის მიღება, განთავისუფლებული იყო თავისი პირადი სივრცის დალაგების და სხვა ვალდებულებისგან. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადმინისტრაციამ არ უგულებელჰყო თავისი ვალდებულებები პატიმრის მიმართ და ეს უკანსკნელი მთლიანად სხვა პატიმრების კეთილ ნებაზე არ იყო დამოკიდებული.

ამასთან, პატიმარს არ სჭირდებოდა რაიმე სპეციალიზებული დახმარება. უმეტესად, ის დამოუკიდებელი იყო, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც

პროთეზები მიიღო. დახმარება მას უფრო სჭირდებოდა დაბანასა და ტანისამოსის ჩაცმაში. სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში, ვერ დაინახა მიზეზი, თუ რატომ უნდა გაეკრიტიკებინა ხელისუფლების მიერ შემოღებული სისტემა, რომლის მიხედვითაც, სხვა პატიმრები ეხმარებოდნენ განმცხადებელს, რათა მას სათანადო და საჭირო მზრუნველობა გასწეოდა.

რაც შეეხება პროთეზების მიღებას, ზედმეტი დაყოვნების გარეშე დამტკიცდა მექანიკური პროთეზის ფასის სრული ანაზღაურება და პატიმარს ეცნობა მისთვის უფრო სასურველი ბიომექანიკური პროთეზის დაფინანსებათან დაკავშირებული ინფორმაცია. საბოლოოდ, პატიმარმა უფასოდ მიიღო მექანიკური პროთეზი და საჭირო ფიზიოთერაპია. ამრიგად, პენიტენციურმა ხელისუფლებამ აქტიურად და გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე მოუძებნა გამოსავალი მის მზრუნველობაში მყოფი პატიმრის პრობლემას. უფრო მეტიც, სასამართლომ აღნიშნა, რომ პრობლემას არ ჰქონდა სისტემური ხასიათი სამედიცინო დაზღვევაში რაიმე არსებული ხარვეზის გამო. კერძოდ, პოლონეთის კანონმდებლობით, თითოეულ პაციენტს, რომელსაც სურდა ბიომექანიკური პროთეზის მიღება, დაზღვევა მხოლოდ საფასურის მცირე ნაწილს უფარავდა, იქნებოდა ის თავისუფალი მოქალაქე, თუ პატიმარი.

შედეგად, იმის გათვალისწინებით, რომ პატიმარს ხელი მიუწვდებოდა ბიომექანიკურ პროთეზზე და მისი საფასურის მცირე ნაწილი ანაზღაურდებოდა და რომ უფასოდ იქნა უზრუნველყოფილი მექნიკური პროთეზით, სახელმწიფომ პატიმრის მიმართ მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა. ეს ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვალა იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფომ არ დაფარა უფრო მოწინავე ბიომექანიკური პროთეზის სრული საფასური. სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა ის პროაქტიური დამოკიდებულება, რაც ციხის ადმინისტრაციამ პატიმრის მიმართ გამოიჩინა. პატიმარს გაეწეოდა რეგულარული და ადეკვატური დახმარება მის სპეციალურ საჭიროებებთან დაკავშირებით. არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომ ადგილი ჰქონდა პატიმრის დამცირების, თუ დაცინვის რაიმე ინციდენტს ან განზრახვას. მართალია, პატიმარს ამპუტირებული ჰქონდა წინამხრები და უფრო მოწყვლადი იყო პატიმრობასთან დაკავშირებული სირთულეების თვალსაზრისით, მის მიმართ მოპყრობას მოცემულ შემთხვევაში კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული დამამცირებელი მოპყრობის ხასიათი არ ჰქონია.

პატიმარი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, არ იქნა უზრუნველყოფილი ორთოპედიული ფეხსაცმლით: დარღვევა

ფაქტები:[17] სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულს მოყინვის გამო მოუნია მარჯვენა ფეხზე თითის და მარცხენა ფეხზე დისტალური ნაწილის ამპუტაცია, მაგრამ ვერ მიიღო შესაბამისი ორთოპედიული ფეხსაცმელი. სამედიცინო დაწესებულება, სადაც ის იყო თავისუფლებააღკვეთილი, ადასტურებდა ასეთი ფეხსაცმლის საჭიროებას, მაგრამ აცხადებდა, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა ვალდებულება, მსჯავრდებულები მისით უზრუნველეყო. სხვა დაწესებულებამ, რომელშიც განმცხადებელი სხვა პერიოდში იმყოფებოდა, ასევე უარი უთხრა მას ორთოპედიული ფეხსაცმლით უზრუნველყოფაზე, ვინაიდან ფეხსაცმელს სხვა ქალაქში ამზადებდნენ და მომლოდინეთა სია დიდი იყო. კიდევ სხვა დაწესებულებამ, რომელშიც განმცხადებელი სხვა პერიოდში იმყოფებოდა, უარი განუცხადა ფეხსაცმელის უზრუნველყოფაზე იმ მოსაზრებით, რომ მსჯავრდებულს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდა, შესაბამისად, ორთოპედიული ფეხსაცმელიც არ სჭირდებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ერთმა დაწესებულებამ დაადასტურა ორთოპედიული ფეხსაცმლის საჭიროება, ხოლო მეორემ სრულიად განსხვავებული დასკვნა დადო. ვინაიდან განმცხადებლის მდგომარეობა არ გამოსწორებულა, ხოლო მისი მდგომარეობა ხელახლა არ შეფასებულა, სახელმწიფო ვალდებული იყო, რეაგირება მოეხდინა განმცხადებლის მდგომარეობაზე, რომლის შესახებაც მათ კარგად მოეხსენებოდათ. იმის გამო, რომ 6 წლის განმავლობაში მსჯავრდებულის პრობლემა არ მოგვარდა, მის მიმართ მოპყრობა დამამცირებელი იყო.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 9 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

პატიმარი ამპუტირებული კიდურებით მოთავსებულია მის მდგომარეობასთან შეუთავსებელ პირობებში: დარღვევა

ფაქტები:[18] განმცხადებელს არა აქვს არც ერთი კიდური. მას მიუსაჯეს 7-დღიანი პატიმრობა სასამართლოს უპატივცემულობისთვის. ვინაიდან იმავე დღეს ვეღარ მოხერხდებოდა მისი ციხეში გადაყვანა, ქალბატონი მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. მისი თქმით, სასამართლოში უარი უთხრეს ეტლის დამტენის, როგორც ფუფუნების საგნის, თან წაღებაზე. პოლიციის განყოფილების საკანში იდგა ხის საწოლი ლეიბით. საკანი არ

17 ვლადიმირ ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ *(Vladimir Vasilyev v. Russia)*, განაცხადი no. 28370/05, 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება.

18 ფრაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Price v. The United Kingdom)*, განაცხადი no. 33394/96, 2001 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება.

იყო ადაპტირებული შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე პირთათვის. განმცხადებელი იძულებული იყო, დაეძინა თავის ეტლში, ვინაიდან საწოლი თეძოებს ატკენდა. გამოძახების ღილაკები და შუქის ჩამრთველები მისთვის მიუწვდომელი იყო და არ შეეძლო ესარგებლა ტუალეტით.

განმცხადებელმა რამდენჯერმე უარი თქვა საკვებზე და ცხელ სასმელზე და იჩივლა, რომ სციოდა. მას სამი პლედი შემოახურეს, ექიმმა მისცა ნამლები სიცივის გამო დაწყებული თავის ტკივილისთვის.

პატიმარი ციხეში გადაყვანისას მოათავსეს სამედიცინო ცენტრში, სადაც მის საკანს ფართო კარი ჰქონდა, რათა ეტლს თავისუფლად ემოძრავა, ტუალეტში იყო სახელურები შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირისთვის და იდგა საავადმყოფოს ჰიდრავლიკური საწოლი. მორიგე ექთანს არ შეეძლო აეწია განმცხადებელი და ამიტომ მამაკაც თანამშრომლებს უწევდათ დახმარების გაწევა განმცხადებლის მიერ ტუალეტით სარგებლობისას. ციხის დირექციას მცდელობა ჰქონდა, რომ სპეციალიზებულ საავადმყოფოში გადაეყვანათ პატიმარი, მაგრამ ეს არ მოხერხდა, ვინაიდან, მას რაიმე განსაკუთრებული სამედიცინო პრობლემა არ ჰქონია. ტუალეტით დაკავშირებული სირთულეების თავიდან ასაცილებლად, ჩაუდგეს კათეტერი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან პატიმრის დამცირების თუ შეურაცხყოფის განზრახვა. თუმცა, მსგავსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის დაკავება ისეთ პირობებში, სადაც უკიდურესად ცივა, არსებობს რისკი, რომ მას განუვითარდეს წყლულები, რადგან საწოლი არის ძალიან მაგარი, ან მიუწვდომელი და როცა მას არ შეუძლია ტუალეტში შესვლა ან სუფთად ყოფნა, ეს შეადგენს დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 4500 ფუნტი მორალური ზიანისთვის.

პარაპლეგიურ პატიმარს დამოუკიდებლად არ შეუძლია ციხეში გადაადგილება, რამაც მისი სეგრეგაცია და სტიგმატიზაცია გამოიწვია, სხვა პატიმრებისთვის მსჯავრდებულის მოვლის ვალდებულების დაკისრების პარალელურად, არ არის აღმოფხვრილი ბარიერები: დარღვევა

ფაქტები:[19] 2001 წლიდან მოყოლებული, განმცხადებელი სასჯელს იხდიდა წამებისთვის. ის ეტლს იყო მიჯაჭვული, ვინაიდან ზედამხედველების მიერ ცემის შედეგად წელსქვემოთ იყო პარალიზებული. მსჯავრდებული საერთოდ ვერ ხედავდა ერთი თვალით და მეორე თვალში მნიშვნელოვნად ჰქონდა მხედველობა დაქვეითებული.

ის თითქმის სამი წლის განმავლობაში მოთავსებული იყო დაწესებულებაში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე არ იყო მორგებული. მისი პირადი სივრცე დაახლოებით 2 კვ.მ იყო; სხვა მსჯავრდებულების იმედად იყო, რომ გასულიყო საპირფარეშოში, საშხაპეში, ბიბლიოთეკაში, მაღაზიაში, თუ სამედიცინო განყოფილებაში, სადაც ეტლით მისასვლელი არ იყო. დაწესებულების დერეფნებს შორის 20-სმ სიმაღლის ბარიერები მსჯავრდებულს ეტლით გადაადგილებაში უშლიდა ხელს; საპირფარეშო იატაკის დონეზე არ იყო; შხაპს სხვის დაუხმარებლად ვერ იღებდა. განმცხადებელს სხვა პატიმრები ზოგჯერ სიგარეტის და ფულის სანაცვლოდ ეხმარებოდნენ, მაგრამ არა ყოველთვის. თუნდაც ჰქონოდათ დახმარების სურვილი, სხვა პატიმრებს ხშირად არც კი შეეძლოთ დახმარება, რადგან თავიანთი ვალდებულებებიც საკმარისზე მეტი ჰქონდათ და დრო არ ჰყოფნიდათ. აგრეთვე, როცა შხაპის მიღება მხოლოდ 15 წუთით იყო ნებადართული, მასზე მოცდენა არავის სურდა. ვინაიდან განმცხადებელი სასადილოში ვერ გადიოდა, საჭმელი საკანში მოჰქონდათ. განმცხადებლის მტკიცებით, საჭმელი მოჰქონდათ ბინძური ჭურჭლით ან საერთოდ არ მოჰქონდათ ხოლმე, რადგან თავდებოდა და მისთვის სამყოფი არ რჩებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ის უარს ამბობს, დაადგინოს, თუ ზოგადად რამდენ კვადრატულ მეტრს უნდა აღწევდეს პატიმრის პირადი სივრცე, კონვენციიდან გამომდინარე. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო ყურადღებას აქცევს რელევანტურ ფაქტორებს, როგორებიცაა თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, ღია ცისქვეშა აქტივობები, პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა და ა.შ. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი სივრცე განხილული უნდა იქნეს რეჟიმთან ერთობლიობაში და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დღის განმავლობაში გადაადგილების თავისუფლების შესაძლებლობა. როდესაც მცირე პირადი სივრცე დაკომპენსირებულია ბუნებრივი განათების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობით და სუფთა ჰაერზე ყოფნის შეუზღუდავი შესაძლებლობით, ევროპული სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევას არ ადგენს.

---

19 სემიხვოსტოვი რუსეთის წინააღმდეგ *(Semikhvostov v. Russia)*, განაცხადი no. 2689/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთის არც ერთი ასპექტი არ აკომპენსირებდა საერთო საცხოვრებლის გადატვირთულობას. მისი გადაადგილება შემოიფარგლებოდა სანოლებს შორის ვიწრო გასასვლელებით და მომცრო დერეფანსა თუ სამზარეულოში შესვლით. მართალია, სასამართლოს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მსჯავრდებულს შეეძლო სასეირნო ეზოში გასვლა, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ იქ შშპ-ზე მორგებული პირობები არ არსებობდა.

იმდენად შეზღუდული იყო მსჯავრდებულის გადაადგილება, რომ მას სხვებთან ერთად სადილობაც კი არ შეეძლო და ფაქტობრივად, სეგრეგირებული იყო. მართალია, შეუძლებელი იყო იმის შემოწმება, რამდენად სუფთა ჭურჭლით მიჰქონდათ მისთვის საჭმელი, ან მიჰქონდათ თუ არა საერთოდ, მაგრამ თავად სეგრეგაციის ფაქტი და სტიგმატიზირება, რასაც მსჯავრდებული დაექვემდებარა, ისედაც მკაცრ პირობებში ღირსეული ცხოვრების მთავარი შემზღუდველი ფაქტორი იყო.

სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთის ადეკვატური პირობები, აგრეთვე გულისხმობს, ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრების სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული ზომების მიღებას. სახელმწიფოს ვალდებულება არ სრულდება პასუხისმგებლობის სხვა პატიმრებზე დაკისრებით. იმით, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებამ პატიმრებს დაავალა განმცხადებლის მოვლა, ვალდებულებების შესრულებას არ გულისხმობდა, ვინაიდან არ აღმოფხვრილა „დამოკიდებულების და გარემოს ბარიერები“,[20] რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა განმცხადებლის მიერ ყოველდღიურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობას, რის გამოც კიდევ უფრო დამძიმდა მისი სეგრეგაცია და სტიგმატიზაცია. ხელმისაწვდომობის ბევრი პრობლემა შეიძლებოდა გონივრული გაუმჯობესებით აღმოფხვრილიყო, რაც არც ხარჯიანი იქნებოდა და არც რაიმე სირთულესთან დაკავშირებული. ამის ნაცვლად, ხელისუფლებამ დროებით დააინსტალირა ერთი პანდუსი, მსჯავრდებულს მისცა სკამი ტუალეტში გამოსაყენებლად და მიამაგრა პატიმრები დასახმარებლად. ეს ღონისძიებები არ იყო საკმარისი მსჯავრდებულის ავტონომიის უზრუნველყოფის და მისი პიროვნული ხელშეუხებლობის დასაცავად[21]. ინდივიდუალური მობილურობის[22] შეზღუდვამ, გონივრული მისადაგების[23]

20 იხ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, პრეამბულა, პუნქტი „ე“.

21 *Ibid.*, მუხლი 17 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს აქვს საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის პატივისცემის თანაბარი უფლება)..

22 *Ibid.*, მუხლი 20.

23 *Ibid.*, მუხლი 2 (გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ ინვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღი-

არქონამ სამწლიანი თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში დეჰუმანიზებელი ეფექტი იქონია. მსჯავრდებულს არ მოეპყრნენ უსაფრთხო და შესაბამისი გზით, რომელიც მის შეზღუდულ შესაძლებლობასთან იქნებოდა შესაბამისობაში. შესაბამისად, პატიმრობის პირობებმა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა შეადგინა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 15 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

პარაპლეგიურ პატიმარს დამოუკიდებლად არ შეუძლია შენობაში გადაადგილება, არ არის ორგანიზებული გადაადგილებაში და ყოველდღიურ რუტინაში დასახმარებლად: დარღვევა

ფაქტები:[24] განმცხადებელს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 6 თვის ვადით. მსჯავრდებამდე ორი წლით ადრე მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ იგი პარაპლეგიურია და ეტლს არის მიჯაჭვული. მან იდავა მე-3 მუხლის დარღვევაზე შეზღუდულ შესაძლებლობასთან შეუსაბამო ფიზიკურ პირობებისა და ორგანიზებული დახმარების არარსებობის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მთავრობის ინფორმაციით, მსჯავრდებული მოთავსებული იყო ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებისთვის განკუთვნილ სპეციალურ განყოფილებაში. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ განყოფილებაში დაწესებულების ჩვეულებრივ ფლიგელებთან შედარებით ნაკლები არქიტექტურული, თუ ტექნიკური დაბრკოლება არ იყო. ერთადერთი, რაც გააკეთა დაწესებულებამ, იყო ის, რომ დააინსტალირა პანდუსი სასეირნო ეზოში გასასვლელად, თუმცა სამზარეულო, საპირფარეშო, საუნა, ბიბლიოთეკა, მაღაზია, შეხვედრების და ტელეფონის ოთახები კვლავაც ხელმიუწვდომელი იყო ეტლს მიჯაჭვული მსჯავრდებულისთვის. მთელი დღის განმავლობაში მსჯავრდებული საკანში გამოკეტილი არ იყო, მაგრამ მას მხოლოდ საცხოვრებელ ფართზე მიმოსვლის შესაძლებლობა ჰქონდა.

ევროპულმა სასამართლომ კვლავაც გაიმეორა, რომ საპირფარეშოების ხელმისაწვდომობა მე-3 მუხლის თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემებს წამოჭრის. მოცემულ შემთხვევაში, თავად ტუალეტები იყო ადაპტირებული შშმ პირებისთვის, მაგრამ სასამართლოს აზრით, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან თავად საპირფარეშო ხელმიუწვდომელი იყო მსჯავრდებულისთვის, თუ მას სხვა პატიმრები არ დაეხმარებოდნენ. ის ვერ შედიოდა

რებულებათა რეალიზებას).

24 გრიმაილოვსი ლატვიის წინააღმდეგ *(Grimailovs v. Latvia)*, განაცხადი no. 6087/03, 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.

საშხაპეში და კვირაში ერთხელ საუნით სარგებლობა საკმარისი არ იყო. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა CPT-ის მინიმალურ სტანდარტზე, რომლის თანახმადაც, პატიმრებს კვირაში ორჯერ მაინც უნდა ჰქონდეთ დაბანის შესაძლებლობა.

არანაირი ღონისძიება არ გატარებულა, რათა სანიტარიულ კვანძზე ხელმისაწვდომობა უზრუნველეყოთ მსჯავრდებულისთვის ორდღიანი საოჯახო პაემნის დროს. მსჯავრდებულის ისეთ პირობებში მოთავსება, სადაც მას სათანადოდ არ შეეძლო დაბანა და ტუალეტით სარგებლობა, თუნდაც მხოლოდ შეზღუდული ვადით, მის ადამიანურ ღირსებას არ შეესაბამება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლება არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან შშმ პატიმრების მიმართ არსებული ვალდებულებების სხვა პატიმრებზე გადაკისრებით. მართალია, სამედიცინო პერსონალი მსჯავრდებულს მოინახულებდა ხოლმე ჩვეულებრივი შემონმების ფარგლებში, მაგრამ არანაირ დახმარებას არ უწევდა ყოველდღიური რუტინის შესრულებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულმა, ევროპული სასამართლოს აზრით, შეადგინა დამამცირებელი მოპყრობა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 6 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

დაბადებით სმენის არმქონე და მეტყველების შეფერხების მქონე მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის პირობები: დარღვევა

ფაქტები:[25] განმცხადებელი დაბადებით სმენის არმქონეა და იმავდროულად აქვს მეტყველების შეფერხება; მსჯავრდებულია დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვის და მისჯილი აქვს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ევროპულ სასამართლოში იდავა პატიმრობის პირობებზე. კერძოდ, განმცხადებელი მოთავსებული იყო რამდენიმე წლის განმავლობაში საკნებში, სადაც მისი პირადი სივრცე იყო 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლები და ცოტათი მეტი. იგი შეზღუდული შესაძლებლობის გამო ვერ ეკონტაქტებოდა სხვა პატიმრებს და პერსონალს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მსჯავრდებულს 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლები პირადი სივრცე ჰქონდა 1 წლის, 1 თვის და 26 დღის განმავლობაში. ევროპული სასამართლოს აზრით, 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლები პირადი სივრცე მე-3 მუხლის დარ-

25 აბელე ლატვიის წინააღმდეგ *(Ābele v. Latvia)*, განაცხადები nos. 60429/12 და 72760/12, 2017 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ღვევის მძლავრ პრეზუმფციას იწვევს. ერთ წელზე მეტი პერიოდი ასეთ პრეზუმფციას ვერ არღვევს და მე-3 მუხლი დარღვეულად მიიჩნევა.

რაც შეეხება 3-4 კვადრატული მეტრის პირად სივრცეს, ასეთ საკნებში (საკანი 303 და საკანი 203) მსჯავრდებული იმყოფებოდა 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. 303-ე საკანში მსჯავრდებული მოთავსებული იყო 8 თვის განმავლობაში. დღის განმავლობაში შეეძლო საკნის დატოვება და საერთო ფართობით სარგებლობა. 203-ე საკანში მსჯავრდებული მოთავსებული იყო 1 წლის და 4 თვის განმავლობაში. მას შეეძლო მხოლოდ ერთი საათით გასულიყო ღია ცის ქვეშ, დანარჩენ დროს გამოკეტილი იყო საკანში. არ იყო უზრუნველყოფილი სმენის აპარატით ან რაიმე სხვა საშუალებით. მსჯავრდებულს გადაეცა სმენის აპარატი, რომელიც თავისუფლად იყო ხელმისანვდომი ლატვიაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსჯავრებულმა უკვე 4 წელი გაატარა ციხეში. ამ დროისთვის ის აღარ იყო მოთავსებული გადატვირთულ საკანში. ამასთან, სმენის აპარატი ნორმალურად არ ფუნქციონირებდა. ევროპული სასამართლო ისე შორს არ მიდის, რომ მოითხოვოს სმენის პრობლემის მქონე ყველა პატიმრისთვის სმენის აპარატის გადაცემა, მაგრამ სასამართლომ აღნიშნა, რომ სმენის აპარატის მანამდე გადაცემა ცოტათი მაინც შეამსუბუქებდა მსჯავრდებულის ტანჯვას ციხის კონტექსტში იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გადატვირთულ საკანში უწევდა ყოფნა, შესაბამისად, რამდენად მცირე პირადი სივრცე ჰქონდა თავის განკარულებაში და იმავდროულად, არ შეეძლო კონტაქტი დაემყარებინა პატიმრებთან.

რაც შეეხება პერსონალთან ურთიერთობას, სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მსჯავრდებულთან ურთიერთობას ანარმოებდნენ წერილობით, ან იყენებდნენ ჟესტიკულაციას. მათი მტკიცებით, სამჯერ გამოიყენეს თარჯიმანი, მაგრამ მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი ნარმოადგინეს. თანაც ამ დროს, მსჯავრდებული გადატვირთულ საკანში აღარ იმყოფებოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ რაიმე განსაკუთრებული მცდელობა პერსონალთან ურთიერთობაში არსებული კომუნიკაციის პრობლემების გადასალახავად არ ყოფილა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდული პერსონალური სივრცე, რომელიც მსჯავრდებულს დაახლოებით ორი წელი ჰქონდა და ამას დამატებული გარდაუვალი შეგრძნება იზოლაციის და უსასოობის ისე, რომ არ ყოფილა არანაირი ადეკვატური მცდელობა მსჯავრდებულის შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე კომუნიკაციის პრობლემების მოსაგვარებლად, მასში აღძრავდა ტკივილის და არასრულფასოვნების შეგრძნებას, რამაც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სისასტიკის ზღვარს მიაღწია.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 7500 ევრო მორალური ზიანისთვის.

ახლომხედველი პატიმრისთვის სათვალეების არგადაცემამ გამოიწვია მხედველობის გაუარესება: დარღვევა

ფაქტები:[26] განმცხადებელი დაკავებული იქნა ძარცვაზე 1998 წლის ივლისში. იგი ახლომხედველია. დაკავებისას პოლიციელებმა დაუზიანეს და ჩამოართვეს სათვალეები. 5 თვის განმავლობაში, მან 5-ჯერ მოითხოვა სათვალეები. 1998 წლის სექტემბერში შეამოწმა ოფთალმოლოგმა, რომელმაც დაუდგინა მხედველობის გაუარესება და გამოწერა ახალი სათვალეები. დამტვრეული სათვალეები გადასცეს 1998 წლის დეკემბერში. ახალი სათვალეები მისცეს 1999 წლის იანვარში. განმცხადებელმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იდავა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაზე.

ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: განმცხადებელს ჰქონდა საშუალო სიმძიმის მიოპია. შესაბამისად, რამდენიმე თვის განმავლობაში სათვალეების გარეშე ყოფნამ მის ყოველდღიურ ცხოვრებაში მძიმე დისკომფორტი გამოიწვია, რაც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში უმნეოდ აგრძნობინებდა თავს. ხელისუფლებამ იცოდა პრობლემის არსებობის შესახებ, რის გამოც ჩაინიშნა ოფთალმოლოგთან ვიზიტი. 5 თვე დასჭირდა ახალი სათვალის გადაცემას. 2 თვენახევარი ძველი სათვალის და 2 თვენახევარი ახალი სათვალის გადასაცემად. ძველი სათვალის დაბრუნებას შეეძლო შეემსუბუქებინა მდგომარეობა. ხელისუფლების მიერ პატიმრის მოპყრობა, მისით გამოწვეული ტანჯვის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, იყო დამამცირებელი.

---

26 სლიუსარევი რუსეთის წინააღმდეგ *(Slyusarev v. Russia)*, განაცხადი no. 60333/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება.

ევროპის საბჭო 191
მინისტრთა კომიტეტი 191
ევროპული ციხის წესები 191
1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაცია no. R(98)7 191
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 192
მუხლი 3 – ნამების აკრძალვა 192
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 193
რელევანტური საქმეები 193
i. პატიმრობის პირობების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის სავარაუდო გაუარესება: არდარღვევა 193
პატიმრობის პირობებმა შელახა ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის ღირსება: დარღვევა 194
iii. ფსიქიკური მკურნალობა ხანმოკლე პატიმრობის დროს ფარმაკოთერაპიით შემოიფარგლებოდა: არდარღვევა 194
ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის ხელკეტებით ცემა, სამარტოო საკანში მოთავსება და ხელკეტების გამოყენება, სამედიცინო მკურნალობის ადეკვატურობა: დარღვევა 196
ქრონიკული პარანოიდული შიზოფრენიით დაავადებული პატიმრის ჩვეულებრივ პირობებში მოთავსება, სტაციონარული მკურნალობის გაწევა ციხის საავადმყოფოში: დარღვევა 201
vi. ქრონიკული და მძაფრი ფსიქიატრიული აშლილობების მქონე პატიმარი მოთავსებულია ჩვეულებრივ პირობებში, იღებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სპეციალიზებულ საავადმყოფოში: დარღვევა 203
vii. ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსება: არდარღვევა 207
viii. შიზოფრენიით დაავადებული პატიმრის ხშირი გადაყვანა ციხიდან საავადმყოფოში: დარღვევა 207

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[1]

ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა

46.1 ავადმყოფი პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალიზებულ მკურნალობას, გადაყვანილნი უნდა იქნენ სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოებში, როდესაც მსგავსი მკურნალობა ციხეში არ არის ხელმისაწვდომი.

46.2 როდესაც პენიტენციურ სისტემას აქვს საკუთარი საავადმყოფოები, მათ უნდა ჰყავდეთ სათანადო პერსონალი და სათანადოდ უნდა იყვნენ აღჭურვილნი, რათა მათთვის მიმართული პატიმრებისთვის სათანადო მზრუნველობა და მკურნალობა უზრუნველყონ.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

47.1 სპეციალიზებული ციხეები თუ განყოფილებები, რომლებიც სამედიცინო კონტროლს ექვემდებარება, ხელიმისაწვდომი უნდა იყოს იმ პატიმრების მეთვალყურეობისა და მკურნალობისთვის, რომლებსაც აქვთ ფსიქიკური აშლილობა ან აბნორმალია და რომლებზეც არ ვრცელდება მე-12 წესის დებულებების მოქმედება.

47.2 პენიტენციური სამედიცინო მომსახურება უნდა უზრუნველყოფდეს ფსიქიატრიულ მკურნალობას ყველა პატიმრისთვის, რომელსაც ასეთი მკურნალობა სჭირდება და განსაკუთრებულ ყურადღებას თვითმკვლელობის პრევენციას უნდა უთმობდეს.

ციხეში ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტები[2]

3. პენიტენციური ჯანმრთელობის დაცვამ, სულ მცირე, უნდა უზრუნველყოს ამბულატორიული კონსულტაციები და გადაუდებელი მკურნალობა. როდესაც პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს მკურნალობას, რომლის უზრუნველყოფაც ციხეში შეუძლებელია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მკურნალობა გაწეული იქნეს, უსაფრთხოების მიზნების დაცვით, ციხის გარეთ არსებულ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში.

---

1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

2 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაცია no. R(98)7 წევრი სახელმწიფოების მიმართ ციხეში ჯანდაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებზე.

4. აუცილებლობის შემთხვევაში, პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ექიმზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს. პენიტენციურ დაწესებულებაში ყოველთვის უნდა იყოს პირი, რომელსაც შეუძლია პირველადი დახმარების გაწევა. მძიმე გადაუდებელ შემთხვევაში, ექიმი, ექთანი და ციხის ადმინისტრაცია უნდა გაფრთხილდეს. რეჟიმის პერსონალის აქტიურ ჩართულობას და პასუხისმგებლობას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

5. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფსიქიატრიული კონსულტაციისა და ფსიქოთერაპიის ხელმისაწვდომობა. შედარებით დიდ პენიტენციურ დაწესებულებებში უნდა იყოს ფსიქიატრთა ჯგუფი. თუ აღნიშნული, ხელმისაწვდომი არ არის, კონსულტაციები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ფსიქიატრთან, რომელიც მუშაობს საავადმყოფოში, ან ეწევა კერძო პრაქტიკას.

III. ჯანმრთელობის დაცვის მოწყობა პენიტენციურ სისტემაში არსებული საერთო პრობლემების მენეჯმენტთან მიმართებით
დ. ფსიქიატრიული პრობლემები, ფსიქიკური პრობლემები და პიროვნული აშლილობები...

მძიმე ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრები უნდა მოთავსდნენ და მკურნალობა გაეწიოთ საავადმყოფოში, რომელიც სათანადოდ არის აღჭურვილი და ჰყავს სათანადოდ დატრენინგებული პერსონალი. პატიმრის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მოთავსების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ფსიქიატრმა. ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება შესაბამისი ხელისუფლების მიერ ვიზირებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 3 – წამების აკრძალვა
ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

რელევანტური საქმეები[3]

პატიმრობის პირობების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის საგარაუდო გაუარესება: არდარღვევა

ფაქტები:[4] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი დააკავეს 1992 წლის ნოემბერში ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენებისთვის, რამაც დაზარალებულის შრომისუნარიანობის მოშლა გამოიწვია. კერძოდ, მან ყოფილ ცოლს ჩაქუჩით მძიმე სხეულებრივი დაზიანება მიაყენა. ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით, რომლის განმავლობაშიც მოთავსებული იქნა ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში. პატიმარმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ფსიქიატრიულ განყოფილებაში არსებული პირობების თაობაზე იჩივლა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ფსიქიატრიული განყოფილების ზოგადი პირობები არადამაკმაყოფილებელი იყო და პატიმრების ეფექტურ მკურნალობას ხელს არ უწყობდა. კერძოდ, ნამების პრევენციის კომიტეტმა აღნიშნა, რომ ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსებული პატიმრებისთვის სამედიცინო მომსახურების დონე მისაღები მინიმალური სტანდარტის ქვემოთ იყო როგორც ეთიკური, ისე ჰუმანიტარული თვალსაზრისით და პატიმრობის ასეთ პირობებში გახანგრძლივება ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების უეჭველ რისკთან იყო დაკავშირებული.

თუმცა, 1998 წლის მოცემული გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ციხის ფსიქიატრიული განყოფილების საცხოვრებელმა პირობებმა ისეთი მძიმე შედეგი იქონია პატიმრის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რომ მასზე კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედება გავრცელდა. მართალია, არაგონივრული იქნებოდა მოლოდინი, რომ მძიმე ფსიქიკურ ავადმყოფს უნდა მიეცა დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, თუ რა განიცადა პატიმრობის დროს. თუმცა, სასამართლო რომც დათანხმებოდა, რომ პატიმრის მდგომარეობა შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო პატიმრობის პირობებით, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მაინც არ

3 ევროპული სასამართლოს ზოგადი პრინციპები იხ. „თავში ჯანმრთელობის დაცვა".
4 აერტსი ბელგიის წინააღმდეგ *(Aerts v. Belgium)*, განაცხადი no. 25357/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება.

მიიჩნია, რომ დამაჯერებლად დასტურდებოდა, რომ პატიმრის მიმართ მოპყრობა შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც არაადამიანური ან დამამცირებელი.

პატიმრობის პირობებმა შელახა ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის ღირსება: დარღვევა

ფაქტები:[5] პატიმარს ჰქონდა მწვავე ფსიქოლოგიური აშლილობა თანდაყოლილი ფსიქოპათიის სახით. ის დავობდა პატიმრობის პირობებსა და ხანგრძლივობაზე. კერძოდ, პატიმრობაში იმყოფებოდა წელიწადი, სამი თვე და 13 დღე და (4 თვე-ნახევარი შედარებით პატარა საკანში და 11 თვე – შედარებით დიდ საკანში).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დაასკვნა რა, რომ პატიმრობის პირობები, კერძოდ, საკანში საშინელი გადატვირთულობა და მისი უარყოფითი შედეგი პატიმრის კეთილდღეობაზე, პატიმრობის ხანგრძლივობასთან ერთობლიობაში, დამამცირებელ პირობებს უტოლდებოდა. მართალია, არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრის დამცირების და მისი ღირსების შელახვის განზრახვაზე, რომ პატიმარი ამ პირობებში ყოფილიყო, ევროპულმა სასამართლომ მაინც მიიჩნია, რომ პატიმრობის ეს პირობები ლახავდა პატიმრის ადამიანურ ღირსებას და მასში დამცირებისა და დაბეჩავების გრძნობებს აღძრავდა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაეკისრა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 5 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ფსიქიკური მკურნალობა ხანმოკლე პატიმრობის დროს ფარმაკოთერაპიით შემოიფარგლებოდა: არდარღვევა

ფაქტები:[6] პირი მსჯავრდებულია თაღლითობისთვის. მან მოითხოვა სასჯელის აღსრულების გადავადება თავისი სამედიცინო მდგომარეობის საფუძველზე, კერძოდ, მას აქვს პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა. ეროვნულმა სასამართლომ სასჯელის აღსრულების გადავადებაზე მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მიიჩნია, რომ მსჯავრდებული ადეკვატურ სამედი-

5 რომანოვი რუსეთის წინააღმდეგ *(Romanov v. Russia)*, განაცხადი no. 63993/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება.
6 ნოვაკი ხორვატიის წინააღმდეგ *(Novak v. Croatia)*, განაცხადი no. 8883/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

ცინო მომსახურებას სასჯელის მოხდის განმავლობაში მიიღებდა. მსჯავრდებულმა იჩივლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომ მას სათანადო მკურნალობა თავისი ფსიქიატრიული პრობლემისთვის არ მიუღია და ამის შედეგად მძიმე ტანჯვა განიცადა.

ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფომ ევროპულ სასამართლოს აცნობა, რომ მსჯავრდებული მოთავსებული იყო ზაგრების ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. თუმცა, მსჯავრდებულმა თავად მოითხოვა ციხეში დაბრუნება და უარი თქვა ციხის ექიმისა და ზაგრების ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრის კონსულტაციაზე. მსჯავრდებულს სურდა თერაპია გაეწია კონკრეტულ ფსიქიატრს, რისი ვალდებულებაც სახელმწიფოს არ ჰქონდა. ციხეში დაბრუნების შემდეგ, მსჯავრდებული რეგულარულად იღებდა მისი მდგომარეობისთვის დანიშნულ მედიკამენტებს და მისი ფსიქიატრიული ჯანმრთელობა სასჯელის მოხდის პერიოდში არ გაუარესებულა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიშს, რომელიც 1998 წელს ზაგრების ციხის საავადმყოფოში ვიზიტის შემდეგ იქნა მიღებული. ამ რეპორტში, კომიტეტმა აღნიშნა, რომ ფსიქიატრიული მკურნალობა შემოიფარგლებოდა ფარმაკოთერაპიით და რომ არანაირი რეაბილიტაციური თუ სხვა თერაპიული ღონისძიებები (ოკუპაციური თერაპია, ჯგუფური თერაპია, ინდივიდუალური ფსიქოთერაპია და ა.შ.) არ ხორციელდებოდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ მას არ მიაწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რაიმე გაუმჯობესებას აღნიშნული თვალსაზრისით ჰქონდა თუ არა ადგილი და ხორვატიის პენიტენციურ დაწესებულებებში მსგავსი თერაპიული შესაძლებლობების არარსებობა აღიარა. მსჯავრდებული მედიკამენტებს მხოლოდ მისი ფსიქიატრიული მდგომარეობისთვის იღებდა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამწუხარო იყო ის ფაქტი, რომ სახელმწიფო სათანადო მკურნალობას ჯერ კიდევ არ ითვალისწინებდა იმ პატიმრებისთვის, რომლებსაც ისეთი მძიმე და დამანგრეველი ფსიქიატრიული მდგომარეობა ჰქონდათ, როგორიცაა პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა. თუმცა მოცემული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთა შედარებით ხანმოკლე (4 თვე და 18 დღე) იყო. ამასთან, მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ პატიმრობის პირობებმა მსჯავრდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია. პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობისთვის დამატებითი თერაპიული მკურნალობის არარსებობამ არ გამოიწვია ისეთი მძიმე შედეგები მსჯავრდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, რომ დაკვალიფიცირებული ყოფილიყო არაადამიანურ

ან ღრისების დამამცირებელ მოპყრობად და შესაბამისად, მოხვედრილიყო მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში.

ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის ხელკეტებით ცემა, სამარტოო საკანში მოთავსება და ხელკეტების გამოყენება, სამედიცინო მკურნალობის ადეკვატურობა: დარღვევა

ფაქტები:[7] 1998 წელს, პირს დაუდგინდა შიზოფრენია და გადიოდა ამბულატორიულ მკურნალობას. 2002 წელს, პირობით სასჯელში ყოფნის დროს, წარედგინა ბრალი ქურდობასა და ხულიგნობაში და შეეფარდა პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით. ბრალდებული მოთავსდა ჩვეულებრივ საკანში. მან მალევე გამოავლინა პიროვნული აშლილობის ნიშნები. თანამესაკნეთა ჩვენებით, პატიმარი უცნაურად იქცეოდა, გაუგებრად ბუტბუტებდა, უცბად წამოიყვირებდა და ჩხუბს იწყებდა. 2002 წლის 2 ივლისს ის ერთ-ერთ პატიმარს თავს დაესხა. იმავე დღეს, ის წინასწარი პატიმრობის ცენტრის სამედიცინო განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც სხვა პატიმრებთან ერთად იქნა მოთავსებული. პატიმარს დაუდგინდა შიზოფრენია და კატატონური სტუპორი. გამოუწერეს დამაწყნარებლები და ანალეპტიკები. 4 ივლისს, ფსიქიატრმა დაასკვნა, რომ პატიმარი გამოვიდა კატატონური სტუპორიდან და შეცვალა მკურნალობის კურსი.

8 ივლისს, პატიმარი განსაკუთრებით მოუსვენრად იყო, საკანში წრიალებდა, ხელებს იქნევდა, ავეჯს ეჯახებოდა და ციხის პერსონალს აგინებდა. დილის შვიდ საათზე, სამედიცინო პერსონალმა რეჟიმის მორიგე თანამშრომლებს გამოუძახა. რეჟიმის სამმა თანამშრომელმა პატიმარს უბრძანა, დაწყნარებულიყო, კედელთან სახით დამდგარიყო და ხელები ზურგზე დაეწყო. პატიმარი რომ არ დამორჩილდა, პერსონალმა ის ძალის გამოყენების თაობაზე გააფრთხილა. პატიმარი რეზინის ხელკეტებით სცემეს, იატაკს გააკრეს და ხელბორკილები დაადეს. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტის შემდეგ ციხის სანიტრები გამოიძახეს, ევროპულ სასამართლოს არ მინოდებია ინფორმაცია, რომ პატიმარს რაიმე სახის სამედიცინო დახმარება გაეწია სპეციალური საშუალებების გამოყენებისას მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება:

ხელკეტებით ცემასთან დაკავშირებით

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უდავო იყო 2002 წლის 8 ივლი-

7 კუჩერუკი უკრაინის წინააღმდეგ *(Kucheruk v. Ukraine)*, განაცხადი no. 2570/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სის ინციდენტის დროს პატიმრის მიერ გარკვეული სხეულებრივი დაზიანების მიღების ფაქტი. თუმცა, სადავო იყო თავად ამ დაზიანებების ხარისხი. ციხის ექიმის ოქმის მიხედვით, პატიმარს მხრებსა და დუნდულებზე აღენიშნებოდა „დაზიანებები“ ან „დაზიანებების მკვეთრად გამოკვეთილი კვალი“, რაც ხელკეტების გამოყენების შედეგად იყო მიყენებული. აღნიშნული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის საკმარისი იყო, რომ დაზიანებები საკმარისად მძიმედ მიეჩნია, საქმეზე მე-3 მუხლის მოქმედების გასავრცელებლად. ამიტომ სასამართლომ საჭიროდ აღარ ჩათვალა, გაერკვია, თუ სინამდვილეში რა ხარისხი ჰქონდა მიყენებულ ზიანს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ძალის გამოყენება, რომელიც მკაცრად აუცილებელი არ ყოფილა თავად ამ პირის ქცევიდან გამომდინარე, ლახავს ადამიანის ღირსებას და არღვევს მე-3 მუხლით დაცულ უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში, პატიმარმა დაზიანებები მიიღო, როდესაც ციხის პერსონალმა რეზინის ხელკეტების გამოყენებით სცადა, აელაგმა მისი მშფოთვარე საქციელი. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ პატიმრის მიერ სხვა პატიმარზე თავდასხმის შემდეგ ნინასწარი პატიმრობის ცენტრის მორიგეებს რეგულარულად ეცნობებოდათ მისი მორიგი ძალადობრივი გამოხდომების შესაძლებლობის შესახებ. ამიტომ, პატიმრის მშფოთვარე საქციელი ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი, რომელზე რეაგირებაც ციხის ადმინისტრაციას მომზადების გარეშე მოუწევდა. ხელკეტებით შეიარაღებული ციხის სამი თანამშრომელი რიცხობრივად აღემატებოდა პატიმრის ძალებს. არსად დაფიქსირებულა, რომ პატიმარმა სცადა პერსონალზე ან სხვა პატიმრებზე თავდასხმა, ან რომ მისი შფოთვა საფრთხეს უქმნიდა პერსონალის, ან სხვა პატიმრების ჯანმრთელობას. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელკეტების გამოყენება გაუმართლებელი იყო და არაადამიანური მოპყრობა შეადგინა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

სამართოო საკანში ხელბორკილების გამოყენებასთან დაკავშირებით

პატიმრის მტკიცებით, მისი პატიმრობის პირობები სამართოო საკანში არაადეკვატური იყო. კერძოდ, მას გამუდმებით ედო ხელბორკილები და გაწეული სამედიცინო დახმარება არასკმარისი იყო. ამის საპირისპიროდ, უკრაინის მხარემ ევროპულ სასამართლოში განაცხადა, რომ 8-15 ივლისის პერიოდში სამართოო საკანში ყოფნისას პატიმრის მიმართ ხელბორკილების გამოყენება თანაბარზომიერი და აუცილებელი ღონისძიება იყო არსებული გარემოებებიდან გამომდინარე. კერძოდ, გათვალისწინებული იყო პატიმრის აგრესიული ქცევა და ის საფრთხე, რასაც იგი უქმნიდა თა-

ვის თავს და გარშემომყოფთ. მართალია, პატიმარს არ მიუღია არანაირი მედიკამენტი 8 ივლისის ინციდენტის შემდეგ, მის მიერ ყველა სახის მკურნალობაზე უარის თქმის გამო, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამუდმებული სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ იყო.

უკრაინის განცხადებით, პატიმრის მოთავსება სამარტოო საკანში მის დასჯას არ ისახავდა მიზნად. ღონისძიება მიმართული იყო პატიმრის იზოლირებისა და შეკავებისკენ, რათა მას შემდგომი ზიანი არ მიეყენებინა საკუთარი თავისა და სხვებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელბორკილის გამოყენება, როგორც წესი, კონვენციის მე-3 მუხლის თვალსაზრისით პრობლემას არ იწვევს, იმ პირობით, თუ იგი გამოყენებულია მართლზომიერი პატიმრობის დროს და პირი არ დაქვემდებარებულა იმაზე მეტ ძალასა თუ საზოგადოების მხრიდან ყურადღებას, ვიდრე ეს გონივრულად აუცილებელი იყო. უფრო მეტიც, ღონისძიება, რომელიც თერაპიული აუცილებლობაა მედიცინის დამკვიდრებული პრინციპებიდან გამომდინარე, პრინციპში, არ შეიძლება არაადამიანურად და დამამცირებლად ჩაითვალოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის ვალდებულებად მიიჩნევს, დარწმუნდეს, რომ სამედიცინო აუცილებლობა დამაჯერებლად იქნა ნაჩვენები. ამ უკანასკნელი თვალსაზრისით, ევროპულმა სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რომ პატიმრის შეკავების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას საპროცესო გარანტიები დაცული იქნა. უფრო მეტიც, ის, თუ როგორ დაექვემდებარა პატიმარი კონკრეტულ ღონისძიებას, არ უნდა სცილდებოდეს კონვენციის მე-3 მუხლზე ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გათვალისწინებულ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პატიმარს ქრონიკული შიზოფრენია სჭირდა და რომ ეს ფაქტი ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო, მინიმუმ 2002 წლის 15 აპრილიდან მოყოლებული. წინასწარი პატიმრობის ცენტრში მისი პატიმრობის ისტორია მოიცავდა მშფოთვარე ქცევას, რომელსაც ახლდა აგრესიული და ძალადობრივი ინციდენტები. 2002 წლის 8 ივლისის ინციდენტის შემდეგ პატიმარი 9 დღით მოათავსეს სამარტოო საკანში, აქედან 7 დღე მას ხელბორკილები ედო როგორც სახელმწიფო აცხადებდა, ეს სამედიცინო ღონისძიება გამოყენებული იყო მისი ძალადობრივი ქცევის წინააღდეგ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც პატიმარს განესაზღვრა სამარტოო საკანში ყოფნა და 24 საათის განმავლობაში ხელბორკილების კეთება ისე, რომ საკვების მიღების დროსაც კი არ ხსნიდნენ, ციხის ადმინისტრაცია დაეყრდნო მხოლოდ სანიტრის მოსაზრებას და ფსიქიატრიაში არასპეციალიზებული ექიმის დასკვნას. პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსე-

ბიდან მხოლოდ ორი დღის შემდეგ მოინახულა იგი ციხის ფსიქიატრმა. შესაბამისად, იმ დროისთვის, როდესაც გაიცა განკარგულება ხელბორკილების გამოყენებაზე, ციხის ადმინისტრაციას საერთოდ არ უსარგებლია ფსიქიატრის კონსულტაციათ არც სამომავლო მკურნალობის და არც იმის თაობაზე, თუ რამდენად შეეძლო პატიმარს მსგავსი ღონისძიება აეტანა. ციხის ადმინისტრაციას ფსიქიატრის კონსულტაცია არც შემდგომში მოუთხოვია; ექიმს, რომელმაც მოინახულა პატიმარი დისციპლინურ საკანში, რაიმე კონკრეტული მეთვალყურეობა არ განუხორციელებია, რათა დაედგინა, თუ რამდენად აუცილებელი იყო სამარტოო საკანში მოთავსებისა და ხელბორკილების გამოყენების ღონისძიებები და არც არავის უკითხავს მისთვის, თუ როდის უნდა შეწყვეტილიყო ეს ღონისძიებები.

პროფესიული ჩარევის აუცილებლობა ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც, როგორც ფსიქიატრის ინფორმაციით გახდა ცნობილი ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიებისთვის, ხელბორკილების დადება ფსიქიკურად ავადმყოფი პატიმრის შეკავების ჩვეულებრივი ღონისძიება არ იყო და მხოლოდ სხვა, უფრო შესაფერისი საშუალებების არარსებობით იყო გამოწვეული.

ამიტომაც ევროპული სასამართლო ვერ დაეთანხმა უკრაინის მხარეს, რომ ხელბორკილების დადება შეიძლებოდა გამართლებულიყო იმ საფრთხით, რასაც პატიმარი უქმნიდა გარშემომყოფთ. პატიმარი გამოკეტილი იყო, სულ მცირე, დღეში 23 საათით სამარტოო საკანში და მხოლოდ რეჟიმის თანამშრომლებთან ჰქონდა ურთიერთობა. ამასთან, მიუხედავად საკანში მისი მშფოთვარე ქცევისა, არ არსებობდა არანაირი ნიშანი იმისა, რომ პატიმარმა როდესმე სცადა პერსონალზე ან მასთან მისულ ექიმზე თავდასხმა. რაც შეეხება სახელმწიფოს იმ არგუმენტს, რომ ხელბორკილების დადება მიზნად ისახავდა პატიმრის მიერ თვით დაზიანების პრევენციას, როგორც სამედიცინო ჩანაწერებიდან სასამართლოსთვის ნათელი გახდა, ხელბორკილები განსაკუთრებით არაეფექტური აღმოჩნდა მოცემულ შემთხვევაში, რადგან პატიმარი თავს ურტყამდა კედელს და სხვანაირად აყენებდა საკუთარ თავს ზიანს და ამასთან, ხელბორკილებმა ღრმა ჭრილობები დატოვა პატიმრის მაჯების ირგვლივ, რადგან ის გამუდმებით ცდილობდა მათგან თავის დაღწევას. ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ არაფერი გაკეთდა ადმინისტრაციის მხრიდან, რათა აღეკვეთათ პატიმრის მიერ დაზიანებების მიღება, ან ხელბორკილებით გამოწვეული შედეგების შემსუბუქება. სასამართლო გაოგნებული იყო იმ ფაქტით, რომ პატიმრის შეკავებისას მიღებული დაზიანებების და იმის მიუხედავად, რომ სამედიცინო პერსონალმა რამდენჯერმე დააფიქსირა თვითდაზიანებითი ქცევა, პატიმარს საერთოდ არ მიუღია არანაირი სამედიცინო დახმარება. ის არგუმენტი, რომ პატიმარმა უარი თქვა მკურნალობაზე, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა, პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

მოცემულ შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ფსიქიკურად ავადმყოფ პატიმარზე ხელბორკილების დადებამ შვიდი დღის განმავლობაში ყოველგვარი ფსიქიატრიული გამართლების გარეშე, ძალის გამოყენებით პატიმრის შეკავებისას მიღებული დაზიანებებისთვის და სამართლო საკანში მიყენებული თვითდაზიანებისთვის სამედიცინო დახმარების გაუნევლობამ შეადგინა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

სამედიცინო დახმარება და მკურნალობა

პატიმრის მტკიცებით, მას საჭირო სამედიცინო მკურნალობა არ გაუწევია ნინასწარი პატიმრობის ცენტრში, 2002 წლის 16 აპრილიდან 17 მაისამდე და ივნისის დასაწყისიდან 17 ივლისამდე. ამის საპირისპიროდ, უკრაინამ განუცხადა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომ პატიმარმა მიიღო ყველა საჭირო სამედიცინო დახმარება პატიმრობის განმავლობაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლება ვალდებულია, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობა დაიცვას. სათანადო სამედიცინო ზრუნვის არარსებობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობა. იმის შეფასებისას, პატიმრობის კონკრეტული პირობები შეესაბამება თუ არა მე-3 მუხლის სტანდარტებს, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების კონტექსტში უნდა ითვალისწინებდეს მათ მოწყვლადობასა და ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შესაძლებლობას, იჩივლონ თანმიმდევრულად, ზოგადად იჩივლონ იმის თაობაზე, თუ როგორ იმოქმედა მათზე გარკვეულმა მოპყრობამ.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა საკუთარი დასკვნები პატიმრის სამართლო საკანში ყოფნასა და ხელბორკილებთან დაკავშირებით, საიდანაც თავისთავად გამომდინარეობდა, რომ ხელისუფლებამ სათანადო სამედიცინო მკურნალობა და დახმარება არ გაუნია პატიმარს, სამართლო საკანში ყოფნის პერიოდში.

აგრეთვე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ 2002 წლის 16 აპრილს ნინასწარი პატიმრობის ცენტრის ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსებისას პირველადი შემოწმების შემდეგ, ფსიქიატრისთვის მიმართვას არ ჰქონია ადგილი 2002 წლის 17 მაისამდე, როდესაც პატიმარი სასამართლო ექსპერტიზის გასავლელად საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. ექსპერტიზის დასკვნით, გაიცა რეკომენდაცია, რომ პატიმარი მოთავსებულიყო სპეციალიზებულ საავადმყოფოში, ამის ნაცვლად, ის დააბრუნეს წინასწარი პატიმრობის ცენტრში და მოათავსეს

ჩვეულებრივ საკანში. აქედან მოყოლებული ერთი თვის განმავლობაში ის ფსიქიატრმა მხოლოდ ერთხელ ნახა და დარჩა ჩვეულებრივ საკანში, თანამესაკნეზე თვდასხმის ინციდენტამდე. ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო სათანადო და გონივრულ სამედიცინო ზრუნვად იმის გათვალისწინებით, თუ რა მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა პატიმარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, ვინაიდან პატიმარმა წინასწარი პატიმრობის განმავლობაში არ მიიღო ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა და დახმარება, რამაც შეადგინა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 20 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ქრონიკული პარანოიდული შიზოფრენიით დაავადებული პატიმრის ჩვეულებრივ პირობებში მოთავსება, სტაციონარული მკურნალობის გაწევა ციხის საავადმყოფოში: დარღვევა

ფაქტები:[8] პირი, რომელიც ნლების განმავლობაში იტანჯება ქრონიკული პარანოიდული შიზოფრენიით და მკურნალობს სხვადასხვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში; 2003 წელს, ბრალეულად იქნა ცნობილი მკვლელობისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო ფლობისთვის და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ის მოთავსდა ჩვეულებრივ ციხეში, სადაც საკანში რამდენიმე ჯანმრთელ პატიმართან იმყოფებოდა და მას, როგორც ჩვეულებრივ პატიმარს, ისე ექცეოდნენ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დავას არ იწვევდა ის ფაქტი, რომ პატიმარს ჰქონდა ქრონიკული ფსიქიკური აშლილობა, რომელიც მოიცავდა ფსიქოტურ ეპიზოდებსა და პარანოიდულ შეგრძნებებს. მისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ისტორიიდან ცხადი იყო, რომ ციხის საავადმყოფში სტაციონარული მკურნალობის მიღებამდე მისი მდგომარეობა გაუარესდა. ხელისუფლების განმარტებით, პენიტენციურ სისტემაში შესაბამისი საშუალებებისა და მედიკამენტების არარსებობის გამო, პატიმარი იღებდა მისთვის დანიშნული მედიკამენტების მსგავს წამლებს და კრიმინალური ფსიქიატრიული საავადმყოფოს დაარსებამდე მოთავსებული იყო მაღალი უსაფრთხოების ციხის საკნებში, რომლებიც კარგად იყო განათებული და ნიავდებოდა. მასთან ერთად

8 დიბეკუ ალბანეთის წინააღმდეგ *(Dybeku v. Albania)*, განაცხადი no. 41153/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საკანში იმყოფებოდნენ ჯანმრთელი პატიმრებიც. ის სტაციონარულ მკურნალობას ციხის საავადმყოფოში იღებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდებოდა ხოლმე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პატიმარს განმეორებით უწერდნენ ერთი და იგივე წამლებს და მისი ავადმყოფობის განვითარების დეტალური აღწერა არ არსებობდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისთავად ის ფაქტი, რომ პატიმარი მკვლელობისთვის სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებლად იქნა ცნობილი და უვადო თავისუფლების აღვეთა მიესაჯა, გადამწყვეტი არ იყო იმის დასადგენად, ხელისუფლებამ შეასრულა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე თავისი ვალდებულება, დაეცვა პირი ამ მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობისა თუ სასჯელისგან. არასრულფასოვნებისა და უსასოობის შეგრძნების გამო, რომელიც ტიპურად ახასიათებს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით იქნეს განხილული, კონვენციის მოთხოვნები ამ შემთხვევაში შესრულებული იქნა თუ არა. ხელისუფლების გადასაწყვეტია, სამედიცინო მეცნიერებაში დამკვიდრებული პრინციპების საფუძველზე, რა თერაპიული მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული იმ პაციენტების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, რომლებსაც თავად არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად, მათზე ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. და მაინც, ეს პირები რჩებიან მე-3 მუხლის დაცვის ქვეშ, რომლის მოთხოვნებისგანაც გადახვევა დაუშვებელია.

ევროპული სასამართლოს აზრით, პატიმრის ფსიქიკურმა მდგომარეობამ იგი უფრო მოწყვლადი გახადა, ვიდრე საშუალო თავისუფლებააღკვეთილი პირი და თავისუფლების შეზღუდვა მისი ტკივილის, ტანჯვის და შიშის შეგრძნებებს უფრო გაამძაფრებდა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ის ფაქტი, რომ მოცემულ პატიმარს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, სხვა პატიმრების მსგავსად ექცეოდნენ, მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, გაეუმჯობესებინა პატიმრობის პირობები ევროპული ციხის ნესების მიხედვით. ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებში, ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოების ყურადღება მიაპყრო ევროპული ციხის ნესების თაობაზე ევროპის საბჭოს რეკომენდაციას, მიუხედავად ამ რეკომენდაციის არასავალდებულო ხასიათისა.

ამას გარდა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ მიწოდებია ინფორმაცია პირობებზე, რომ დარწმუნებულიყო, პატიმარი, მართალია, იმყოფებოდა მაღალი უსაფრთხოების ციხეში, მაგრამ მისი პატიმ-

რობის პირობები შეეფერებოდა მისი ფსიქიკური აშლილობის ისტორიას. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმრის რეგულარული ვიზიტები ციხის ჰოსპიტალში არ იყო გამოსავალი მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან პატიმარს უვადო თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

მართალია, სახელმწიფოს ჰქონდა არგუმენტი, რომ ფინანსური სირთულეების გამო ვერ უზრუნველყოფდა შესაბამის სერვისს. მაგრამ ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მრავალი დეფექტი მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების გარეშეც შეიძლებოდა აღმოფხვრილიყო. ისედაც, რესურსების ნაკლებობა პრინციპულად ვერ გაამართლებს პატიმრობის ისეთ პირობებს, რომლებიც კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოა.

მიიღო რა მხედველობაში პატიმრობის საერთო არასათანადო პირობების კუმულაციური ეფექტი პატიმარზე, რამაც აშკარად უარყოფითად იმოქმედა მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ნამების პრევენციის კომიტეტის დასკვნები თავის ბოლოდროინდელ ანგარიშებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებთან დაკავშირებით და საკუთარი პრაქტიკა ამ სფეროში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია რომ იმ არასათანადო მოპყრობის ხასიათი, ხანგრძლივობა და სისასტიკე, რომელსაც პატიმარი დაექვემდებარა და კუმულაციური ნეგატიური ეფექტი მის ჯანმრთელობაზე საკმარისი იყო არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად დაკვალიფიცირებისთვის.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმარისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 5 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ქრონიკული და მძაფრი ფსიქიატრიული აშლილობების მქონე პატიმარი მოთავსებულია ჩვეულებრივ პირობებში, იღებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სპეციალიზებულ საავადმყოფოში: დარღვევა

ფაქტები:[9] პატიმარი დაბადებულია 1978 წელს. მას, ადრეული ბავშვობიდან მოყოლებული, ეპილეფსია აქვს. მოგვიანებით დაუდგინდა შიზოფრენია და რიგი სხვა მძიმე ფსიქიკური აშლილობები. მას ბრალი აქვს წარდგენილი ძარცვასა და ცემაში და შეფარდებული აქვს პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით. პატიმრობის შეფარდებამდე მან სცადა თვითმკვლელობა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონარულ მკურნალობას იღ-

9 სლავომირ მუზიალი პოლონეთის წინააღმდეგ *(Sławomir Musiał v. Poland)*, განაცხადი no. 28300/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება.

ებდა. პატიმარმა თვითმკვლელობა სცადა პატიმრობის განმავლობაშიც.

პატიმარმა იდავა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იმის თაობაზე, რომ პენიტენციურ სისტემაში მისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება არაადეკვატური იყო და რომ შედეგად, მისი ჯანმრთელობის მდგომაროება გაუარესდა. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მოთავსებული ყოფილიყო უნდა სათანადო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და არა საპატიმრო დაწესებულებაში.

ამის საპირისპიროდ, სახელმწიფომ ევროპულ სასამართლოში განაცხადა, რომ პატიმარი იმყოფებოდა გამუდმებული სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ. მას რეგულარულად ამოწმებდნენ ზოგადი პროფილისა და სხვადასხვა სპეციალიზაციის ექიმები მისი სურვილებისა და საჭიროებების მიხედვით. აუცილებლობის მიხედვით, პატიმარი იღებდა გადაუდებელ მკურნალობას სპეციალიზებულ საავადმყოფოში. სახელმწიფომ განაცხადა, რომ პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობა ყურადღებით და ხშირად აკვირდებოდა პატიმრის ჯანმრთელობას და მისი მდგომარეობის შესაბამისი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: პატიმრის სამედიცინო მდგომარეობა, კერძოდ მისი ქრონიკული და მძაფრი ფსიქიატრიული აშლილობები, შიზოფრენიის ჩათვლით, მხარეთა შორის დავას არ იწვევდა. პატიმარს აქვს ჰალუცინაციები, სუიციდური ფიქრები და თავის ჩამოხრჩობა სცადა.

ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე განსახილველი იყო პატიმრის მოთავსება 2005 წლის აპრილიდან მოყოლებული დაახლოებით სამი წლინახევრის განმავლობაში ჯანმრთელი პირებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში, სადაც ის სპეციალიზებული სამედიცინო პერსონალის მხრიდან ყოველდღიურ მკურნალობასა და მონიტორინგს არ ექვემდებარებოდა. შესაბამისად, ევროპულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ხომ არ მიაღწია პატიმრის მდგომარეობამ კონვენციის მე-3 მუხლის სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.

პატიმარმა 2005 წლის აპრილსა და ივლისში და 2007 წლის აპრილსა და ივნისში მიიღო სტაციონარული სამედიცინო მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მან სამჯერ მიიღო მოკლევადიანი გადაუდებელი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ის ფსიქოტროპული მედიკამენტებით რეგულარულ ფარმაკოლოგიურ მკურნალობას ექვემდებარებოდა, ხელი მიუწვდებოდა ციხის შიდა სამედიცინო პერსონალზე და შეხვედრის ჩანიშვნისას, აგრეთვე სპეციალიზებულ ექიმებზე, ფსიქიატრების ჩათვლით.
მეორე მხრივ, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ

2005 და 2007 წლების ორ ეპიზოდს გარდა, ის იმყოფებოდა საკანში ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად და მიუხედავად მისი განსაკუთრებული მდგომარეობისა, იგივე სამედიცინო მომსახურებას იღებდა, რასაც ეს უკანასკნელნი, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა. თითქმის ყველა ექიმის დასკვნით, რეკომენდებული იყო პატიმრის რეგულარული ფსიქიატრიული მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა. ამიტომ, ცხადი იყო, რომ მას სჭირდებოდა გამუდმებული სპეციალიზებული სამედიცინო ზედამხედველობა, რომლის არარსებობაც მის ჯანმრთელობას მძიმე რისკების ქვეშ აყენებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმარს ასე თუ ისე ხელი მიუწვდებოდა პენიტენციური დაწესებულების შიდა სამედიცინო პერსონალზე, ის არ იმყოფებოდა ფსიქიატრიული მეთვალყურეობის ქვეშ და ფსიქიატრზე მისი ხელმისაწვდომობა შემოიფარგლებოდა გადაუდებელი შემთხვევებით, ან იმ დღეებით, როცა ექიმთან შეხვედრა ჩაინიშნებოდა.

ევროპულმა სასამართლომ შეშფოთებით აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც 2006 წლის იანვარში, პატიმარმა თვითმკვლელობა სცადა, ის მხოლოდ ციხის ექიმმა შეამოწმა. ფსიქიატრმა პატიმარი მხოლოდ მეორე დღეს ნახა. თუმცა, როგორც ამბულატორიული პაციენტი. ის იმავე დღეს დააბრუნეს წინასწარი პატიმრობის ცენტრში, ვინაიდან ორმა ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ უარი თქვა მის მიღებაზე, ადგილების ნაკლებობის გამო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ თუმცა პატიმრობის ღონისძიების შეფარდება თავისთავად არ იყო შეუსაბამობაში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, მისი მოთავსება ფსიქიკური პრობლემების მქონე პირისთვის შეუფერებელ დაწესებულებაში, სერიოზულ პრობლემებს ნამოჭრიდა კონვენციის თვალსაზრისით.

ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრობის დანესებულებაში, პატიმარს მხოლოდ დღეში ერთი საათი ეძლეოდა ეზოში ფიზიკური ვარჯიშისთვის და ძალზე შეზღუდული წვდომა ჰქონდა ბიბლიოთეკასა და გასართობ ოთახზე. სასამართლომ დაასკვნა, რომ დაწესებულება გადატვირთული იყო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ იყო დამაკმაყოფილებელი.

სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული პირობები არ შეიძლებოდა ჯეროვნად მიჩნეულიყო ნებისმიერი თავისუფლებაღკვეთილი პირისთვის, მითუმეტეს ფსიქიკური აშლილობის ისტორიის მქონე პირისთვის, როგორც მოცემული პატიმარი იყო, რომელსაც სპეციალიზებული მკურნალობა ესაჭიროებოდა.

არასრულფასოვნების და უსასოობის შეგრძნების გამო, რომელიც ტიპურად ახასიათებს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, საჭიროა განსა-

კუთრებული ყურადღებით იქნეს ამ შემთხვევაში განხილული შესრულებული იქნა თუ არა, კონვენციის მოთხოვნები. ხელისუფლების გადასაწყვეტია, სამედიცინო მეცნიერების აღიარებული წესების საფუძველზე, რა თერაპიული მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული იმ პაციენტების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, რომლებსაც თავად არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად, მათზე ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. და მაინც, ეს პირები რჩებიან მე-3 მუხლის დაცვის ქვეშ, რომლის მოთხოვნებისგანაც გადახვევა დაუშვებელია.

ევროპული სასამართლოს აზრით, პატიმრის ფსიქიკურმა მდგომარეობამ იგი უფრო მოწყვლადი გახადა, ვიდრე საშუალო თავისუფლებააღკვეთილი პირი და თავისუფლების შეზღუდვა მისი ტკივილის, ტანჯვის და შიშის შეგრძნებების უფრო გაამძაფრებდა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ ფაქტმა, რომ პატიმარი მისი პატიმრობის მეტი წილის განმავლობაში არ იყო განთავსებული შესაბამის საავადმყოფოში ან სპეციალიზებული ფსიქიატრიული პალატის მქონე საპატიმრო დანესებულებაში, მისი ჯანმრთელობა დაუქვემდებარა საფრთხეს და გამოიწვია სტრესი და შფოთვა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ის ფაქტი, რომ მოცემულ პატიმარს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, სხვა პატიმრების მსგავსად ექცეოდნენ, მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, გაეუმჯობესებინა პატიმრობის პირობები ევროპის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაციაზე Rec(2006)2 ევროპული ციხის წესებზე და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაციაზე no. R(98)7 ციხეში ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების მთლიანობაში განხილვით, კერძოდ არასათანადო სამედიცინო დახმარებისა და არასათანადო პირობების კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, რამაც პატიმრის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე აშკარად უარყოფითი ზეგავლენა იქონია, სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ არასათანადო მოპყრობის ბუნება, ხანგრძლივობა და სისასტიკე, რომელსაც პატიმარი დაექვემდებარა, უნდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 10 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსება: არდარღვევა

ფაქტები:[10] მსჯავრდებულს აქვს მძიმე ფსიქიატრიული პრობლემები. ის სასჯელს იხდის გაუპატიურების მცდელობისთვის. 2007 წელს, მან მოკლა თანამესაკნე, გაჭრა მკერდის არეში და შეჭამა მისი ფილტვები. აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება და განისაზღვრა სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით. აგრეთვე მსჯავრდებულს დაეკისრა დისციპლინური სახდელი – 45 დღე სამარტოო საკანში ყოფნა. მსჯავრდებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავობდა, რომ სამარტოო საკანში მისმა მოთავსებამ მისი ფსიქიატრიული მდგომარეობის გათვალისწინებით არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა შეადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-3 მუხლი მოცემულ შემთხვევაში არ დარღვეულა. კერძოდ, მხოლოდ მსჯავრდებულის ავადმყოფობიდან გამომდინარე არ შეიძლებოდა იმის დასკვნა, რომ სამარტოო საკანში მოთავსება და დაკისრებული სასჯელის აღსრულება კონვენციის მე-3 მუხლს არღვევდა, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელი. ევროპული სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო ის გარემობა, რომ მსჯავრდებული ექვემდებარებოდა ადეკვატურ მეთვალყურეობას თავისუფლების აღკვეთის პერიოდში და შესაბამისად, არ დაქვემდებარებია იმაზე მეტი ინტენსივობის ტანჯვას, რაც გარდაუვლად ახასიათებს თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებას. შედეგად, მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

შიზოფრენიით დაავადებული პატიმრის ხშირი გადაყვანა ციხიდან საავადმყოფოში: დარღვევა

ფაქტები:[11] მსჯავრდებულს აქვს ქრონიკული შიზოფრენიის ტიპის ფსიქოზური აშლილობა. 1996-2004 წლებში ის ხან ციხეში იყო, ხან სპეციალიზებულ საავადმყოფოში გადაჰყავდათ. 2005 წელს, ციხეში ყოფნის დროს, მან თავის ლეიბს ცეცხლი წაუკიდა და საკანი გადაწვა, რის შემდეგაც მისი თანამესაკნე გარდაიცვალა. მსჯავრდებულს ბრალი წარედგინა და შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. 2007 წლის თებერვალში დაიწყო მისი საქმის განხილვა სასამართლოს მიერ. ამ და მომდევნო წელს ის რამდენიმეჯერ იქნა გადაყვანილი ციხის რეგიონულ ფსიქიატრიულ განყოფილებაში და

10 კოკენი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Cocaign v. France)*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება.

11 გ. საფრანგეთის წინააღმდეგ *(G. v. France)*, განაცხადი no. 27244/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

ასევე რამდენიმეჯერ იძულებით იქნა მოთავსებული სპეციალიზებულ საავადმყოფოში. 2008 წლის დეკემბერში მიესაჯა ათი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამის შემდეგ, იგი კვლავ იქნა გადაყვანილი ციხის რეგიონულ ფსიქიატრიულ განყოფილებაში; შემდგ მოათავსეს საავადმყოფოში სამი თვით იძულებითი მკურნალობისთვის. ის ორჯერ კვლავ დააბრუნეს ციხის რეგიონულ ფსიქიატრიულ განყოფილებაში. მსჯავრდებულმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იჩივლა, რომ მისი გამუდმებული გადაყვანა ციხიდან საავადმყოფოში და პირიქით, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას შეადგენდა და მისი ციხეში დაბრუნება წამების ფორმა იყო. 2009 წლის სექტემბერში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდებული შეურაცხადი იყო და მიიღო გადაწყვეტილება მისი სპეციალიზებულ საავადმყოფოში იძულებით მოთავსების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მსჯავრდებულის მდგომარეობის სიმძიმე მოცემულ შემთხვევაში სადავო არ იყო. მისი ფსიქიკური მდგომარეობა მოითხოვდა გამუდმებულ მკურნალობას და ცნობილი იყო, როგორც სუიციდის რისკ ფაქტორი. თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში მას ჰქონდა ხშირი რელაფსი, რის შედეგადაც ის ხშირად საავადმყოფოში გადაჰყავდათ. სასამართლომ დაადგინა, რომ რელაფსით გამოწვეული ტანჯვა, რასაც შიზოფრენიით დავადებული პაციენტები განიცდიან, კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში ხვდება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, მსჯავრდებულის ხშირი გადაყვანა ციხიდან საავადმყოფოში ხელს შეუშლიდა მისი ფსიქიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას. უწინარეს ყოვლისა, სასამართლომ გამოთქვა გაკვირვება, თუ რამდენად ხშირად იქნა მსჯავრდებული ციხიდან საავადმყოფოში გადაყვანილი. ეს სიხშირე მეტყველებდა მსჯავრდებულის მდგომარეობის სიმძიმეზე და მისი აშლილობის ქრონიკულობაზე. ასეთ პირობებში, აზრი არ ჰქონდა საავადმყოფოში ყოფნასა (რაც მეტისმეტად ხანმოკლე და ქაოტური იყო) და ციხეში ყოფნას (რაც მსჯავრდებულისთვის გაუგებარი და ტანჯვის მომგვრელი იყო) შორის მონაცვლეობას. ამ მონაცვლეობამ აშკარად უარყოფითად იმოქმედა მისი მდგომარეობის სტაბილიზაციაზე, რაც იმაში გამოიხატა, რომ ის შეურაცხადად იქნა მიჩნეული. სასამართლომ აღნიშნა, რომ ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში არსებული პატიმრობის პირობები თავად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იყო მკაცრად გაკრიტიკებული. ამ პირობებს შეეძლო მხოლოდ გაემძაფრებინა მისი ტკივილის, შფოთვის და შიშის შეგრძნებები. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა პენიტენციური სისტემის ძალისხმევა, ემკურნალა მსჯავრდებულის აშლილობისთვის და ის სირთულე, რომელიც დაკავშირებულია ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პატიმრებისთვის

ჯანდაცვის ორგანიზებასთან. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნამ ციხეში არსებულ პირობებში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში – 2005 წლიდან 2009 წლამდე – გაართულა მკურნალობა, რასაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა მოითხოვდა და რამაც ის დაუქვემდებარა იმაზე მეტი ინტენსივობის ტანჯვას, რაც გარდაუვლად ახასიათებს თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებას. აღნიშნულმა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა შეადგინა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 10 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი პატიმრების სიცოცხლის უფლების დაცვა, მათთვის ადეკვატური სამედიცინო სამსახურის გაწევა

ევროპის საბჭო 211
მინისტრთა კომიტეტი 211
ციხეში ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტები 211
წამების პრევენციის კომიტეტი 211
თვითმკვლელობის პრევენცია 211
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 212
მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება 212
მუხლი 3 – წამების აკრძალვა 212
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 212
ზოგადი პრინციპები 212
რელევანტური საქმეები 213
i. ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის მიერ თვითმკვლელობა: მე-2 მუხლის არდარღვევა; სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობა: მე-3 მუხლის დარღვევა 213
ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრის მიერ თვითმკვლელობა სამართლო საკანში: მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა 218
სამედიცინო პერსონალის ვალდებულება, გააკონტროლოს პაციენტის მიერ წამლების გადაყლაპვა: მე-2 მუხლის დარღვევა 220
ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის მკურნალობა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ: არდარღვევა 221
ქრონიკული დეპრესიის მქონე პატიმრის პრეტენზია სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობაზე: არდარღვევა 222

III. ჯანმრთელობის დაცვის მოწყობა პენიტენციურ სისტემაში არსებული საერთო პრობლემების მენეჯმენტთან მიმართებით

დ. ფსიქიატრიული პრობლემები, ფსიქიკური პრობლემები და პიროვნული აშლილობები...

თვითმკვლელობის რისკი მუდმივად უნდა ფასდებოდეს როგორც სამედიცინო, ისე რეჟიმის პერსონალის მიერ. კრიზისულ მომენტში თვითდაზიანების თავიდან აცილებისკენ მიმართული ფიზიკური მეთოდები, ახლო და მუდმივი დაკვირვება, დიალოგი და დაწყნარება უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისად.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

III) თვითმკვლელობის პრევენცია[2]

57. თვითმკვლელობის პრევენცია მორიგი მიმართულებაა, რომელიც შედის სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის სამსახურის კომპეტენციაში. სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცოდნის გაღმავება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და გაითვალისწინოს შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფა.

58. დაწესებულებაში შესვლისას და, ზოგადად – მიღების პროცესში, პატიმრისათვის სამედიცინო შემოწმების ჩატარებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ამ თვალსაზრისით; სათანადოდ ჩატარებულ გამოკვლევის შედეგად შესაძლებელია, სულ მცირე, რისკის ჯგუფში შემავალ პირთა გამოვლენა და დაწესებულებაში ახალმიღებული პატიმრების ემოციური ფონის ნაწილობრივ შემსუბუქება.

გარდა ამისა, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალი, განურჩევლად მათი საქმიანობისა და დაკისრებული უფლება-მოვალეობებისა,

1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაცია no. R(98)7 ნევრი სახელმწიფოების მიმართ ციხეში ჯანდაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებზე.

2 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-3 ზოგადი ანგარიში, CPT/INF(93)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1993.

უნდა გაეცნოს ინფორმაციას (რაც გულისხმობს სპეციალურ მომზადებას თვითმკვლელობის რისკის ამოცნობასა და გამოვლენაში) თვითმკვლელობის რისკისთვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ სასამართლოს წინა და შემდგომ პერიოდში, და ზოგიერთ შემთხვევაში – გათავისუფლების წინა პერიოდშიც, შეინიშნება თვითმკვლელობის მომეტებული საშიშროება.

59. პირი, რომელიც მიიჩნევა თვითმკვლელობის საშიშროების ქვეშ მყოფად, უნდა იყოს გეგმიური მეთვალყურეობის ქვეშ, საჭიროების მიხედვით. გარდა ამისა, ასეთ პირებს ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ ისეთ საგნებზე, რომელებიც გამოდგება, როგორც თავის მოკვლის საშუალება (საკნის ფანჯრების რკინის წნული, დამსხვრეული მინა, ქამარი ან ჰალსტუხი და ა.შ.).

მიღებულ უნდა იქნეს ზომები პოტენციურად რისკის ქვეშ მყოფი პატიმრების შესახებ ინფორმაციის სათანადო გაცვლისთვის როგორც კონკრეტული დანესებულების შიგნით, ისე – საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა დაწესებულებას შორის (უფრო ზუსტად, დაწესებულებების სამედიცინო სამსახურებს შორის).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება
1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული...
მუხლი 3 – წამების აკრძალვა
ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება წარმოიშვება, როცა დადასტურებულია, რომ უფლებამოსილმა ორგანოებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ, რომ დანაშაულებრივი ქმედება რეალურ და გადაუდებელ საფრთხეს უქადდა ინდივიდის სიცოცხლეს და მათ არ, ან ვერ მიიღეს შესაბამისი ზომები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლებსაც, გონივრული შეფასებით, უნდა აეცილებინა ასეთი საფრთხე. ორი პირობისგან შემდგარი ტესტი ცნობილია ოზმანის ტესტის სახელწოდებით.[3]

3 იხ. *mutatis mutandis*, საქმე ოზმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Osman v. the*

ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის მიერ თვითმკვლელობა: მე-2 მუხლის არდარღვევა; სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობა: მე-3 მუხლის დარღვევა

ფაქტები:[4] მსჯავრდებული იყო 28 წლის მამაკაცი, რომელსაც ნორმიდან გადახრილი ქცევის, მათ შორის, თვითდაზიანების ისტორია ჰქონდა, კერძოდ, ის ფსიქიატრიულ მკურნალობას იღებდა 21 წლის ასაკიდან. მისი დიაგნოზი იყო მსუბუქი, ქრონიკული ფსიქოზი, რომლის სიმპტომია სპორადული, ხანმოკლე პარანოია.

მას მეგობარი გოგონას ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი თვის ვადით და პენიტენციურ დაწესებულებაში მოათავსეს. 1993 წლის 1 აპრილს, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიყვანისას, მსჯავრდებულმა შემოწმება გაიარა სამედიცინო განყოფილებაში, რომლის პერსონალიც მის პირად ფსიქიატრს დაუკავშირდა და გაიარა მასთან კონსულტაცია. პირადმა ექიმმა პერსონალს აცნობა, რომ სტრესულ სიტუაციაში მსჯავრდებული განსაკუთრებულ აგრესიას ავლენდა და თვითდაზიანებისკენ მიდრეკილება უმძაფრდებოდა. მან პერსონალს კონკრეტული მედიკამენტები და სიმპტომების შესაბამისად მკურნალობა ურჩია.

მსჯავრდებული მოთავსებული იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო განყოფილების პალატაში. მისი სამედიცინო ისტორიიდან არ ჩანს ინფორმაცია პირადი ფსიქიატრის მიერ რეკომენდებული მედიკამენტების ადმინისტრირების შესახებ. სამედიცინო ბარათიდან ცხადია, რომ მსჯავრდებულს რეგულარულად მიეცემოდა სამედიცინო განყოფილების ზოგადი პროფილის ექიმის დანიშნულება.

სამედიცინო განყოფილებაში მსჯავრდებულის მოთავსებიდან 13 დღის შემდეგ, მან ბარიკადები ააგო პალატაში, რადგან ჩვეულებრივ საკანში გადაყვანა დაუპირეს. ის მაინც გადაიყვანეს ჩვეულებრივ საკანში, მაგრამ მოგვიანებით ისევ სამედიცინო განყოფილების პალატაში დააბრუნეს, რადგან მისმა თანამესაკნემ დარაჯს აცნობა, რომ მსჯავრდებული ძალიან მოუსვენრად იყო, ზეწრისგან მარყუჟი გააკეთა და საწოლის ქვეშ დამალა. სამედიცინო განყოფილებაში მსჯავრდებული ყოველ 15 წუთში შემოწმების სისტემას დაექვემდებარა.

United Kingdom), განაცხადი no. 23452/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 116.

4 კინანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Keenan v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 27229/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

ამის შემდეგ, ადმინისტრაციას რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, რომ მსჯავრდებული ჩვეულებრივ საკანში მოეთავსებინა, მაგრამ მაინც მისი სამედიცინო განყოფილებაში დაბრუნება ხდებოდა საჭირო. 29 აპრილს, მსჯავრდებული შეამოწმა მისმა ფსიქიატრმა, რომელიც ადმინისტრაციამ მოიწვია. პირადმა ფსიქიატრმა რეკომენდაცია მისცა პერსონალს მედიკამენტებთან დაკავშირებით და ურჩია მსჯავრდებულის საავადმყოფოში გადაყვანა. მსჯავრდებული არ გადაუყვანიათ საავადმყოფოში, მაგრამ დაენიშნა რეკომენდებული მკურნალობა, რომელიც განყოფილების ზოგადი პროფილის ექიმმა მალევე შეცვალა ადრინდელი კურსით, რადგანაც მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის ქცევის გაუარესება ახალი მედიკამენტების ბრალი იყო.

1993 წლის 1 მაისს, როდესაც კვლავ დაისვა საკითხი მსჯავრდებულის ჩვეულებრივ საკანში გადაყვანის შესახებ, მსჯავრდებულმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა დაწესებულების ორ თანამშრომელს. იმავე დღეს, ის დაექვემდებარა ყოველ 15 წუთში შემოწმების სისტემას. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სამედიცინო განყოფილების ექიმმა, რომელსაც ექვსთვიანი კურსი ჰქონდა გავლილი ფსიქიატრიაში, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლეოდა საშუალებას, რომ იგი გადაეყვანათ სამარტოო საკანში 14 დღის ვადით.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ინციდენტის გამო, 14 მაისს, როდესაც მსჯავრდებულს განთავისუფლებამდე 9 დღე ჰქონდა დარჩენილი, მისი თავისუფლების აღკვეთის ვადა გაიზარდა 28 დღით. მომდევნო დღეს, როდესაც ის ჯერ ექიმმა და შემდეგ მნახველმა მოინახულა, მსჯავრდებული მშვიდი, თუმცა იმედგაცრუებული ჩანდა. იმავე საღამოს მსჯავრდებული თავის საკანში ჩამომხვრჩალი იპოვეს. ევროპულ სასამართლოში მსჯავრდებულის დედამ იჩივლა იმის თაობაზე, რომ ციხის ადმინისტრაციამ ა) არ უმკურნალა მის ვაჟს და არ დაიცვა მისი სიცოცხლის უფლება და ბ) დაუქვემდებარა იგი მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება:

სიცოცხლის უფლების დაცვა

პატიმრობის კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირები მოწყვლად მდგომარეობაში არიან და ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, დაიცვას ისინი. სახელმწიფომ ახსნა-განმარტება უნდა მოუძებნოს ციხეში მიღებულ ნებისმიერ დაზიანებას. ეს ვალდებულება კიდევ უფრო მკაცრდება პატიმრის გარდაცვალების შემთხვევაში.

არსებობს ზოგადი ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც ამცირებს თვითდაზიანების მიყენების შესაძლებლობებს პიროვნული ავტონომიის დაურღვევლად. საჭიროა თუ არა უფრო მკაცრი ზომების მიღება კონკრეტულ პატიმართან დაკავშირებით, დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მას უნდა შეეფასებინა, იცოდა თუ არა ციხის ადმინისტრაციამ, რომ მსჯავრდებული ნარმოადგენდა თვითმკვლელობის რეალურ და გარდაუვალ რისკს და მიიღეს თუ არა მათ ყველა გონივრული ზომა, რაც მათ მოეთხოვებოდათ, რათა თავიდან აეცილებინათ ეს რისკი.

ცნობილია, რომ მსჯავრდებული ფსიქიკურად ავად იყო. ციხის ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო, რომ მსჯავრდებულს ქრონიკული პრობლემა ჰქონდა, რომელიც მოიცავდა ფსიქოზს და დროდადრო მისი მდგომარეობა მწვავდებოდა. მსჯავრდებულის მიერ მარყუჟის განასკვა აშკარად მიუთითებდა მის სუიციდურ მიდრეკილებაზე. შესაბამისად, ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ ციხის ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო, რომ მსჯავრდებული თვითმკვლელობის საფრთხეს წარმოადგენდა.

ექიმმა გამოთქვა გარკვეული ეჭვები, თუ რამდენად ჭეშმარიტი იყო მსჯავრდებულის მუქარა. მისი აზრით, მსჯავრდებული მანიპულირებდა და ცდილობდა საავადმყოფოს ფლიგელში დაბრუნებას, რათა თავი აერიდებინა ციხეში დარბუნებისთვის, რადგანაც მას პატიმრების ვალი ჰქონდა.

სასამართლომ გაიზიარა მსჯავრდებულის დედის მოსაზრება, რომ მსჯავრდებულისგან მომდინარე საფრთხე მდგომარეობდა არა მხოლოდ იმაში, რომ მას განზრახ მოეკლა თავი, არამედ, გაუფრთხილებლად მოეკლა თავი, როდესაც შეეცდებოდა თვითმკვლელობას ციხის ადმინისტრაციის მანიპულაციის მიზნით. სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობა იმდაგვარი იყო, რომ მისი მუქარა სერიოზულად უნდა მიჩნეულიყო. ამდენად თვითმკვლელობის საფრთხე რეალური იყო. საფრთხის გარდაუვლობა, თავის მხრივ, იცვლებოდა. მსჯავრდებულს ჰქონდა პერიოდები, როდესაც ის მშვიდად იყო და შეეძლო, გამკლავებოდა სტრესს. სასამართლოს აზრით, თვითმკვლელობის საფრთხე პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში გარდაუვალი არ ყოფილა. თუმცა, მისი მდგომარეობის ცვალებადობა საჭიროებდა, რომ მას ახლო მეთვალყურეობა გაწეოდა, რადგან შეიძლებოდა მდგომარეობა უეცრად დამძიმებულიყო.

ამის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, გააკეთა თუ არა ციხის ადმინისტრაციამ ყველაფერი, რაც მათ გონივრულად მოეთხოვებოდათ, იმ რისკის გათვალისწინებით, რაც მსჯავრდებულისგან მომდინარეობდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთიანობაში, ადმინისტრაციამ შესატყვისი რეაგირება მოახდინა მსჯავრდებულის ქცევაზე, მოათავსა იგი საავადმყოფოში მეთვალყურეობის ქვეშ, როდესაც მან სუიციდური მიდრეკილება გამოავლინა.

მსჯავრდებულის ყოველდღიური სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და მისმა ექიმებმა ორჯერ გაიარეს კონსულტაცია ფსიქიატრებთან, რომლებისთვისაც ცნობილი იყო მისი მდგომარეობა. ციხის ექიმებმა, რომლებსაც შეეძლოთ, ნებისმიერ დროს გამოეყვანათ მსჯავრდებული სამარტოო საკნიდან, მიიჩნიეს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლეოდა საკანში დატოვების შესაძლებლობას. არ არსებობდა საფუძველი, რომ ექიმებს პენიტენციური ადმინისტრაციისთვის ეცნობებინათ 1993 წლის 15 მაისს, რომ ის მოუსვენრად იყო, რაც თვითმკვლელობის მცდელობას შესაძლებელს ხდიდა. ასეთ პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ მიიღო ყველა შესაძლებელი ზომა, რისი გაკეთებაც მათ გონივრულად მოეთხოვებოდათ, 15-წუთიანი მეთვალყურეობის ჩათვლით.

15 მაისს, დილის საათებში, მსჯავრდებულმა სამარტოო საკანში ღილაკს დააჭირა, რათა დარაჯისთვის დაეძახა, მაგრამ სისტემა, როგორც ჩანს, დეაქტივირებული იყო (ან თავად პატიმრის, ან სხვა ოფიცრის მიერ) და ასეთ დროს ოფიცრის ოთახში ღილაკი ანათებს, თუმცა ზარის ხმა არ ისმის. მოცემულ დროს დარაჯი საპირფარეშოში იყო გასული და ანთებულ ღილაკს ვერ დაინახავდა, ხოლო ზარის ხმა არ ისმოდა, რადგან სისტემა დეაქტივირებული იყო. საპირფარეშოდან დაბრუნების შემდეგ, მორიგე დარაჯმა დაინახა, რომ ღილაკი ენთო და დაუყოვნებლივ მსჯავრდებულის საკანში წავიდა შესამოწმებლად. ამ დროისთვის მსჯავრდებული უკვე გარდაცვლილი იყო.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უბედური დამთხვევა იყო ის, რომ განგაშის ღილაკი დეაქტივირებული იყო. თუმცა ვიზუალური განგაშის ღილაკი ფუნქციონირებდა და იგი შენიშნა პერსონალმა, თუმცა არა იმ წუთშივე.

მსჯავრდებულის დედა ტექნიკურ გაუმართაობაზე არც დავობდა. ამის ნაცვლად, მსჯავრდებულის დედას პრეტენზიები ჰქონდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ ვერ შეაფასა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შესაბამისობა განმარტოების ღონისძიებასთან და დისციპლინური სახდელი დააკისრა მის შვილს. მსჯავრდებულის დედამ მიიჩნია, რომ დისციპლინური სახდელის დაკისრებით სტრესის გამწვავების შესაძლებლობა წინასწარგანჭვრეტადი იყო და ფსიქიატრის კონსულტაციის მიღება იყო საჭირო.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს არგუმენტები, გარკვეულწილად, ჰიპოთეტიური იყო. არ იყო ცნობილი, თუ რამ აიძულა მსჯავრდებული, თავი მოეკლა. სამედიცინო მომსახურების სტანდარტი კი კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში უნდა ყოფილიყო განხილული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობა

სასამართლომ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა ქრონიკული ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც თან ახლდა ფსიქოზური ეპიზოდები და პარანოიდული შეგრძნებები. მას აგრეთვე დაუდგინდა პიროვნული აშლილობა. მის პატიმრობის ისტორიას ახლდა ნორმიდან გადახრილი ქცევის ეპიზოდები, როდესაც ის საავადმყოფოს ფლიგელიდან ჩვეულებრივ საკანში დააბრუნეს. ეს მოიცავდა სუიციდური ტენდენციების გამოვლინებას, შესაძლო პარანოიდულ შიშებს და აგრესიულ და ძალადობრივ ეპიზოდებს. ექიმისთვის გაგზავნილ წერილში ჩანს დიდი სასოწარკვეთა. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო შესაძლებელი სიზუსტით იმის დადგენა, თუ რა დოზით გამოიწვია ეს სიმპტომები და მისი სიკვდილი ხელისუფლების მიერ დაკისრებულმა თავისუფლების აღკვეთამ.

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ეს სირთულე არ იყო გადამწყვეტი იმის შესაფასებლად, შეასრულა თუ არა ციხის ადმინისტრაციამ მასზე კონვენციის მე-3 მუხლით დაკისრებული ვალდებულებები.

მართალია ამა თუ იმ ღონისძიებისთვის დამახასიათებელი ფიზიკური თუ მორალური ტანჯვა სასამართლოს მიერ განხილულ მრავალ საქმეზე ყოფილა სერიოზული განსჯის საგანი, სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობს გარემოებები, როცა პირზე მოპყრობის რეალური შედეგი ძირითადი ფაქტორი არ არის. ფსიქიკურად ავადმყოფი პირის მიმართ მოპყრობა შეიძლება მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამო იყოს, თუნდაც ამ პირმა ვერ შეძლოს მოპყრობის კონკრეტულ ნეგატიურ შედეგებზე მითითება.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო გააოცა სამედიცინო ჩანაწერების ნაკლებობამ მაშინ, როცა საქმე ეხებოდა სუიციდის იდენტიფიცირებულ რისკს. განმარტოებით საკანში მოთვსებამ მსჯავრდებულს დაუმატა სტრესი. მის სიკვდილამდე პერიოდში, სამედიცინო ისტორიის ბარათში ჩანაწერები 10 დღის განმავლობაში არ გაკეთებულა. გამომდინარე იქიდან, რომ ციხის რამდენიმე ექიმი იყო მის მკურნალობაში ჩართული, სამედიცინო ჩანაწერების არარსებობა მეტყველებს ამ მკურნალობის არაადეკვატობაზე და ეჭვს ქვეშ აყენებს მონიტორინგის და მეთვალყურეობის პროცესის ეფექტურობას. ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა ექიმის განმარტე-

ბას, რომ სამედიცინო ჩანაწერების არარსებობა იმას გულისხმობდა, რომ არაფერი იყო დასაფიქსირებელი.

ამას გარდა, მას შემდეგ, რაც პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოთავსებისას, სამედიცინო მუშაკმა კონსულტაცია გაიარა პირად ექიმთან და მოწვეულმა ფსიქიატრმა, რომელიც ასევე იცნობდა მსჯავრდებულს, შეამოწმა იგი, ამის შემდეგ არ ყოფილა არანაირი მიმართვა ფსიქიატრთან. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიატრის რეკომენდაციით, მსჯავრდებული ხალმხრავლობისთვის უნდა მოერიდებინათ, ვიდრე მისი პარანოიდული შიშები არ ჩაცხრებოდა, მეორე დღესვე გადაწყდა მისი ჩვეულებრივ საკანში დაბრუნება. როდესაც მსჯავრდებულის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ციხის ექიმმა, რომელსაც ფსიქიატრიაში კვალიფიკაცია არ ჰქონდა, ფსიქიატრთან კონსულტაციის გარეშე შეცვალა დანიშნულება, რასაც ორ თანამშრომელზე თავდასხმა მოჰყვა. ამის შემდეგ ფსიქიატრისთვის არ მიუმართავთ არც შემდეგი დანიშნულების მისაღებად და არც იმის გადასაწყვეტად, რამდენად შეესაბამებოდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის დამატებით სასჯელს.

მსჯავრდებულის მდგომარეობის ქმედითი მონიტორინგისა და მისი მდგომარეობის შეფასებას და მკურნალობაში ინფორმირებული ფსიქიატრიული მონაწილეობის ნაკლებობამ გამოავლენია მნიშვნელოვანი დეფექტები ფსიქიკური ავადმყოფის მკურნალობაში, რომელიც ცნობილი იყო, რომ თვითმკვლელობის რისკს წარმოადგენდა. მძიმე დისციპლინური სასჯელი, რომელიც მას დაეკისრა აღნიშნულ პირობებში – შვიდი დღის განმავლობაში სამარტოო საკანში მოთავსება და 28 დამატებითი დღით თავისუფლების აღკვეთის დაკისრება მაშინ, როდესაც 9 დღე ჰქონდა გათავისუფლებამდე დარჩენილი, რამაც, შესაძლოა საფრთხე შეუქმნა მის ფიზიკურ და ფსიქიკურ გამძლეობას, არ იყო შესაბამისობაში იმ სტანდართან, რაც დადგენილია ფსიქიკურად ავადმყოფი პირების მიმართ. აღნიშნული ჩაითვალა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად და დასჯად კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, მსჯავრდებულის დედისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 10 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრის მიერ თვითმკვლელობა სამარტოო საკანში: მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა

ფაქტები:[5] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებელია პატიმრის და. პატიმარი სამარტოო საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. გარდაცვლილის სამედიცინო ისტორიის თანახმად, მას ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა და უტარდებოდა დამამშვიდებელი მკურნალობა. სხვა ციხეში გადაყვანიდან ორ დღეში მან ვენების გადაჭრით თვითმკვლელობა სცადა. ფსიქიატრიული დახმარების ჯგუფმა მწვავე ბოდვითი ეპიზოდი დაადგინა და შესაბამისი მკურნალობა დანიშნა. მას კვირაში ორჯერ ანვდიდნენ მედიკამენტებს, მაგრამ არ ყოფილა მცდელობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმარს ნამდვილად მიეღო ეს მედიკამენტები. პატიმარი მოათავსეს საკანში მარტო ისე, რომ მასზე ხორციელდებოდა სპეციალური მეთვალყურეობა ხშირი შემოწმების გზით. ამ პერიოდში, პატიმარი თავს დაესხა რეჟიმის თანამშრომელს და განესაზღვრა 45 დღით სამარტოო საკანში გატარება. პატიმრის დამ მოითხოვა თავისი ძმის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სამარტოო საკანში ყოფნას. ვიდრე შემოწმება ჩატარდებოდა, პატიმარი საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. სამი დღით ადრე მას გადაეცა რამდენიმე დღის სამყოფი მედიკამენტები, მაგრამ კვლავ არ ყოფილა იმის მცდელობა, გაეკონტროლებინათ, იღებდა თუ არა პატიმარი წამლებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება:

სიცოცხლის უფლების დაცვა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეჭვს გარეშე იყო, რომ შესაბამისმა ორგანოებმა პატიმრის მიერ პირველი სუიციდის მცდელობის შემდეგ იცოდნენ, მისი მწვავე ფსიქოზური აშლილობა შეიძლება თვითდაზიანებით დასრულებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრის მდგომარეობა იცვლებოდა და სუიციდის შემდგომი მცდელობა გარანტირებული არ იყო, მაინც რისკი რეალური იყო და პატიმარზე დაკვირვება უნდა განხორციელებულიყო, რადგან შეიძლებოდა მდგომარეობა უცაბედად გაუარესებულიყო. მსგავს მდგომარეობაში მყოფი პატიმრის მიმართ მიღებული უნდა იყოს საგანგებოდ მასზე მორგებული ინდივიდუალური ზომები. თუმცა, მიუხედავად პატიმრის სუიციდური მცდელობებისა და მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ დიაგნოზისა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისი გადაყვანა განხილვის საგანიც კი არ გამხდარა. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ უფლებამოსილმა უწყებამ პატიმარი

5 რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Renolde v. France)*, განაცხადი no. 5608/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება.

შესაბამის დაწესებულებაში არ განათავსა, მისი მდგომარეობის სერიოზულობის შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა მაინც უნდა უზრუნველეყო.

მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ცნობილი თუ რამ აიძულა პატიმარი, ჩაედინა თვითმკვლელობა, მის მიერ ყოველდღიური მედიკამენტების მიღების ვერ უზრუნველყოფამ გარკვეული როლი ითამაშა მის სიკვდილში. დაბოლოს, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინება არ მოხდა, რადგანაც სუიციდის პირველი მცდელობიდან სამ დღეში დისციპლინურმა საბჭომ მას მაქსიმალური სახდელი შეუფარდა სადამსჯელო საკანში 45 დღით მოთავსების სახით. ამით ის სრულ იზოლაციაში მოექცა, ჩამოერთვა პაემნის უფლება და სხვა უფლებები, რამაც თავის მხრივ გაზარდა სუიციდის რისკი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ პენიტენციურმა უწყებებმა ვერ შეასრულეს თავიანთი პოზიტიური ვალდებულება, დაეცვათ პატიმრის სიცოცხლის უფლება.

სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობა

სასამართლომ დაადგინა, რომ სამარტოო საკანში 7 დღით განთავსება და დამატებითი პატიმრობა 28 დღით კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის ტოლფასი იყო. პატიმრის მიმართ გამოყენებული სახდელი ძალზე მკაცრი იყო და შეეძლო ადამიანის ფიზიკური და მორალური მედეგობის გატეხვა. ამ დროისთვის ის ტანჯვას და სულიერ ტკივილს განიცდიდა. გარდაცვალებამდე რვა დღით ადრე მისმა მდგომარეობამ იმდენად შეაშფოთა მისი ადვოკატი, რომ მან დაუყოვნებლივ მიმართა გამომძიებელ მოსამართლეს თხოვნით, დაენიშნა ფსიქიატრიული შემოწმება, რათა შეფასებულიყო მისი სადამსჯელო საკანში განთავსების დასაშვებობა. შესაბამისად, განმცხადებლის ძმის მიმართ გამოყენებული ზომები არ შეესაბამებოდა ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ მოპყრობის სტანდარტებს და უტოლდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და დასჯას.

სამედიცინო პერსონალის ვალდებულება, გააკონტროლოს პაციენტის მიერ წამლების გადაყლაპვა: მე-2 მუხლის დარღვევა

ფაქტები:[6] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იჩივლა მსჯავრდებულის ბებიამ. მის შვილიშვილს ბავშვობიდან ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები და თავის ტკივილი. მსჯავრდებული სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა. ის მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა. სიკვდილამდე მან აღიარა, რომ 60 ფსიქოტროპული ტაბლეტი გადაყლაპა. ნამლები ციხის ექიმის მიერ იყო გამოწერილი. მსჯავრდებული ექთნის მიერ

6 იასინსკა პოლონეთის წინააღმდეგ *(Jasińska v. Poland)*, განაცხადი no. 28326/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება.

წამლების თითოეულ ჩამორიგებაზე, ენის ქვეშ მალავდა ტაბლეტებს და აგროვებდა, შემდეგ კი ერთ ჯერზე მთლიანად გადაყლაპა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და გამუდმებული თავის ტკივილი აწუხებდა. არსებობდა ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულს ნათქვამი ჰქონდა, რომ ადრე თვითმკვლელობა სცადა. თვითმკვლელობამდე სამი დღით ადრე ექიმის მიერ შედგენილი დასკვნით, მას დეპრესია ჰქონდა. შესაბამისად, ციხის ადმინისტრაციას, რომლისთვისაც ცნობილი იყო მისი ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების შესახებ, უნდა ეფიქრა თვითმკვლელობის რისკზე. ამის მიუხედავად, არც კი განხილულა მსჯავრდებულის მეთვალყურეობის ქვეშ გადაყვანის საკითხი. პენიტენციურ დაწესებულებას არ უმსჯელია მის სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაყვანასა თუ სხვებისგან განცალკევებით მოთავსებაზე. სასამართლო დაინტერესდა, თუ რამდენად შესაბამისი იყო მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის ციხის რეჟიმში ყოფნა.

ციხის ადმინისტრაციას მსჯავრდებულის გარდაცვალების შემდეგაც კი არ გაურკვევია, თუ როგორ მოახერხა მან ციხის პირობებში ფსიქოტროპული მედიკამენტების სასიკვდილო დოზის შენახვა, ან როგორ ასრულებდნენ ექთნები თავიანთ მოვალეობას, რაც თეორიულად მოიცავდა იმის შემოწმებასაც, რომ პაციენტები ყლაპავდნენ მინოდებულ მედიკამენტებს.

აშკარა იყო, რომ სისტემას ახასიათებდა ხარვეზი, რომელმაც საშუალება მისცა პირველ მსჯავრდებულს, რომელსაც მყიფე ფსიქიკა ჰქონდა და რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, დაეგროვებინა წამლების სასიკვდილო დოზა ისე, რომ სამედიცინო პერსონალს ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდა და თავი მოეკლა. სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულება არ შემოიფარგლება სათანადო წამლების დანიშვნით. ეს მოიცავს ვალდებულებასაც, რომ უზრუნველყოფილი იყოს, პაციენტები წამლებს იღებნენ და ამ პროცესზე სათანადო მეთვალყურეობა ხორციელდება. ეს განსაკუთრებით ეხება ფსიქიკურად მოწყვლად პატიმრებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის სიცოცხლის უფლება დაცული არ იყო.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, მსჯავრდებულის ბებიისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 16 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის მკურნალობა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ: არდარღვევა

ფაქტები:[7] პირს მიესაჯა სიკვდილით დასჯა 1996 წელს. 2000 წელს მას ეს სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა. მსჯავრდებულმა იჩივლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომ 1996 წლიდან 2001 წლამდე, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ექვემდებარებოდა, ვინაიდან წამლის მიღებას თავისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულებდნენ. უკრაინის განცხადებით, მსჯავრდებულს სერიოზული ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა და ორჯერ სცადა თავის მოკვლა. მკურნალობა სიმპტომების შესამსუბუქებლად იყო გამიზნული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რაც არ უნდა არასასიამოვნო იყოს თერაპიული მკურნალობა, თუ დადგინდება, რომ მისი აუცილებლობა დამაჯერებლად იყო დამტკიცებული, ეს მკურნალობა არ შეიძლება პრინციპულად კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ ჩაითვალოს. მსჯავრდებული ფსიქიკურად ავად იყო და მედიკამენტები მიზნად ისახავდა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მართალია, ევროპულმა სასამართლომ უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო ისტორიაში გაკეთებული შენიშვნები ზოგადი ხასიათის იყო და არ იძლეოდა შესაძლებლობას იმის დასადგენად, თანახმა იყო თუ არა მსჯავრდებული მკურნალობაზე. ამის მიუხედავად, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ დასტურდებოდა, რომ თუნდაც მსჯავრდებულის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის მიმართ თერაპიულის გარდა სხვა მიზნებით განპირობებულ მოპყრობას ჰქონოდა ადგილი, როცა მას წამლების მიღებას აიძულებდნენ. ადგილი არ ჰქონდა მე-3 მუხლის დარღვევას.

ქრონიკული დეპრესიის მქონე პატიმრის პრეტენზია სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობაზე: არდარღვევა

ფაქტები:[8] პირს ნარედგინა ბრალი თაღლითობაზე და შეეფარდა პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით 1991 წლის აგვისტოში. 1992 წლის ივნისში პატიმრობა გაუქმდა ფსიქიატრიული ანგარიშის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, ბრალდებულს ჰქონდა სუიციდური მიდრეკილებები. 1993 წლის ოქტომბერში, ის კვლავ დააპატიმრეს საგზაო დანაშაულთან დაკავშირებით და შეეფარდა პატიმრობა. შუამდგომლობები განთავისუფლებაზე არ დაკმაყოფილდა, რის შემდეგადაც ბრალდებულმა თვითმკვლელობა სცადა. განთავისუფლებაზე შუამდგომლობა კვლავ არ დაკმაყოფილდა, რადგან ეროვნულმა სასამართლომ გაიზიარა რეჟიმის თა-

7 გენადი ნაუმენკო უკრაინის წინააღმდეგ *(Gennadiy Naumenko v. Ukraine)*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება.
8 კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ *(Kudla v. Poland)*, განაცხადი no. 30210/96 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ნამშრომლების ჩვენებები, რომ თვითმკვლელობის მცდელობა ყურადღების მიპყრობას ისახავდა მიზნად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლომ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ იმას, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა ქრონიკული დეპრესია და, რომ ციხეში ყოფნის დროს მან ორჯერ სცადა თავის მოკვლა. მას აგრეთვე დასმული ჰქონდა პიროვნული აშლილობისა და სიტუაციური დეპრესიული რეაქციის დიაგნოზი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებიდან ცხადი იყო, რომ მსჯავრდებულმა წინასწარი პატიმრობისა და სასჯელის მოხდის პერიოდში მრავალჯერ მოითხოვა და მიიღო სამედიცინო მომსახურება. ის მოწმდებოდა სხვადასხვა სპეციალობის ექიმის მიერ და ხშირად იღებდა ფსიქიატრიულ მომსახურებას. ამასთან, ეროვნულ სასამართლოს მიეწოდა ფსიქიატრიული შემოწმების დასკვნა, რომლის თანახმადაც, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა პატიმრობასთან შესაბამისობაში იყო. 1994 წელს, თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ (თავად ეს ფაქტი, ევროპული სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულებების მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებების განუხორციელების შედეგად არ მომხდარა), მსჯავრდებულმა მიიღო სპეციალიზებული მკურნალობა ფსიქიატრიული დაკვირვების სახით ციხის საავადმყოფოში 9 მარტიდან 26 მაისამდე. აგრეთვე მან გაიარა ორი შემდგომი შემოწმება ნოემბერსა და დეკემბერში.

როგორც ჩანს, ამან ხელი არ შეუშალა მსჯავრდებულს, რომ კვლავაც ეცადა თვითმკვლელობა 1995 წლის იანვარში. სასამართლო არ ეცადა გაერკვია, ეს მცდელობა ყურადღების მიპყრობას ისახავდა მიზნად, თუ აშლილობით გამოწვეული ტანჯვის გამოხატვა იყო, ვინაიდან საქმის მასალებიდან არ ჩანდა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო ამ ქმედებაზე.

საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ მსჯავრდებული ფსიქიატრიული დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა. კერძოდ, ყოველთვიურად მოწმდებოდა ფსიქიატრის მიერ.

ევროპული სასამართლოს აზრით, პატიმრის ფსიქიკურმა მდგომარეობამ იგი უფრო მოწყვლადი გახადა, ვიდრე საშუალო თავისუფლებააღკვეთილი პირი და თავისუფლების შეზღუდვა მისი ტკივილის, ტანჯვის და შიშის შეგრძნებებს უფრო გაამძაფრებდა. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტზეც, რომ მსჯავრდებული დარჩა თავისუფლების აღკვეთაში 1996 წლის 11 ივნისიდან 29 ოქტომბრამდე, მიუხედავად ფსიქიატრის დასკვნისა, რომ შემდგომ პატიმრობას შეიძლებოდა მისი სიცოცხლე

საფრთხის ქვეშ დაეყენებინა თვითმკვლელობის მცდელობის გამო. თუმცა, არსებული მტკიცებულებების და ფაქტების შეფასების საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მსჯავრდებული დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. ამ მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

ბავშვის პანმრთელობის დაცვა, ანტენატალური და პოსტნატალური ზრუნვა ქალ პატიმრებზე

გაერთიანებული ერები 226
ბავშვის უფლებათა კონვენცია 226
ბანგკოკის წესები 227
ევროპის საბჭო 228
წამების პრევენციის კომიტეტი 228
მე-3 ზოგადი ანგარიში 228
მე-10 ზოგადი ანგარიში 229
ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები 230
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 230
მუხლი 3 – წამების აკრძალვა 230
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 230
ზოგადი პრინციპები 230
რელევანტური საქმე 231
დედის პატიმრობაში დაბადებული ჩვილის ჯანმრთელობის დაცვა: დარღვევა 231

ბავშვის უფლებათა კონვენცია

პრეამბულა

ნინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ რა, რომ ბავშვის განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მე-10 მუხლით), აგრეთვე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით; მხედველობაში იღებენ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“...

მუხლი 3

1. ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

2. მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეების, სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისთვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვისათვის ზრუნვაზე ან მის დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა

და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რიცხობრიობის და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

ბანგკოკის წესები[1]

წესი 33

3. როდესაც ბავშვს მიეცემა დედასთან ციხეში დარჩენის უფლება, ბავშვის განვითარების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი და ჯანმრთელობის დაცვის თემაზე საბაზისო ტრენინგი ასევე უნდა ჩაუტარდეს ციხის პერსონალს, რათა მათ შეძლონ სათანადოდ რეაგირება საჭიროებისა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში.

წესი 48

1. ორსულმა და მეძუძურმა ქალმა პატიმრებმა უნდა მიიღონ კონსულტაცია ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. აგრეთვე პროგრამის მიხედვით უნდა შედგეს დიეტა, რომელსაც მეთვალყურეობას გაუწევს კვალიფიციური სამედიცინო მუშაკი. ორსული ქალებისთვის, ჩვილი ბავშვებისა და მეძუძური დედებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო და დროული საკვები, ჯანმრთელი გარემო და რეგულარული ვარჯიშის შესაძლებლობა.
2. ქალ პატიმრებს უარი არ უნდა ათქმევინონ თავიანთი შვილების ძუძუთი კვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საამისოდ კონკრეტული ჯანმრთელობის მიზეზებია.
3. იმ ქალების სამედიცინო და კვების საჭიროებები, რომლებმაც უახლოეს ხანში იმშობიარეს, მაგრამ თან არ ჰყავთ ჩვილი ბავშვები ციხეში, გათვალისწინებული უნდა იქნეს მკურნალობის პროგრამებში.

წესი 49

დედასთან ბავშვის დატოვების ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების საფუძველზე. ციხეში დედებთან მყოფ ბავშვებს არასოდეს უნდა მოეპყრონ პატიმრებივით.

წესი 50

ქალი პატიმრები, რომელთა ბავშვებიც ციხეში არიან, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მაქსიმალური შესაძლებლობით შვილებთან დროის გასატარებლად.

---

1 გაერთიანებული ერების წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 65/229, მიღებულია 2010 წლის 6 ოქტომბერს.

წესი 51

1. ციხეში დედებთან მყოფი ბავშვები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მიმდინარე ჯანდაცვის მომსახურებით და მათი განვითარება უნდა დაექვემდებაროს სპეციალისტების მეთვალყურეობას ჯანდაცვის სამსახურებთან თანამშრომლობით.

2. ასეთი ბავშვებისთვის შექმნილი გარემო მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ციხის გარეთ არსებული აღზრდის პირობებთან.

ევროპის საბჭო

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ზოგადი სტანდარტები

მე-3 ზოგადი ანგარიში

64. შეიძლება განსაკუთრებულად მოწყვლადი პატიმრის ზოგი სპეციფიკური კატეგორიის იდენტიფიცირება. პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს მათ საჭიროებებს.

o) დედა-შვილი

65. ზოგადად აღიარებულია, რომ ბავშვები ციხეში არ უნდა იბადებოდნენ და კომიტეტის პრაქტიკაში ეს პრინციპი დაცულია.

66. დედა-შვილს ნება უნდა დაერთოს, რომ ერთად იყვნენ, სულ მცირე, დროის გარკვეული პერიოდი. თუ დედა და შვილი ერთად იმყოფებიან ციხეში, ისინი უნდა განთავსდნენ ისეთ პირობებში, რომელიც ბაგა ბაღის თანაბარია და უზრუნველყოფს პოსტნატალურ მოვლასა და ჩვილი ბავშვების მოვლაში სპეციალიზირებული პერსონალის მხარდაჭერას. ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა სახელმძღვანელო პრინციპია, რაც გულისხმობს იმას, რომ პატიმრობაში გაწეული ანტე და პოსტნატალური მზრუნველობა უნდა იყოს ციხის გარეთ საზოგადოებაში ხელმისაწვდომი მზრუნველობის ექვივალენტური.[2]

---

2 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-3 ზოგადი ანგარიში, CPT/INF(93)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1993, პუნქტები 64-66.

თავისთავად ცხადია, რომ ბავშვები არ უნდა იბადებოდნენ ციხეში და ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის თანახმად, როგორც წესი, ორსული პატიმრები, სათანადო დროს, პენიტენციური სისტემის გარეთ არსებულ საავადმყოფოებში გადაჰყავთ.[3]

მიუხედავად ამისა, დრო და დრო კომიტეტი ანყდება ისეთ შემთხვევებს, როცა გინეკოლოგიური შემოწმებისას, ან მშობიარობისას ორსული ქალი საწოლზე ბორკილით არის მიბმული, ან სხვაგვარად არის შებოჭილი. ასეთი მიდგომა სრულიად მიუღებელია და ცალსახად შეიძლება დაკვალიფიცირდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად. უსაფრთხოების დაცვის საჭიროება სხვა საშუალებებით შეიძლება და უნდა გამოინახოს.

ციხეში მყოფი ბევრი ქალი თავისი შვილის ძირითადი მომვლელია. ამ კონტექსტში განსაკუთრებით პრობლემური საკითხია, უნდა იყვნენ თუ არა ჩვილი და ბავშვი დედასთან ერთად პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, რამდენი ხნით შეუძლიათ მათ დედასთან ერთად ყოფნა.

ეს ძალზე რთული კითხვაა, ვინაიდან ერთი მხრივ, ცხადია, რომ ციხე ჩვილისა და ბავშვისთვის სათანადო გარემო არაა და იმავდროულად, დედისა და ჩვილის ერთმანეთისგან ძალით დაშორება უაღრესად არასასურველია.

ასეთ შემთხვევაში, კომიტეტისთვის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი ბავშვის კეთილდღეობაა. ეს განსაკუთრებით გულისხმობს ანტე და პოსტნატალურ ზრუნვას, რომელიც ციხის გარემოში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და რომელიც ციხის გარეთ არსებული სტანდარტების ექვივალენტური უნდა იყოს. როდესაც ჩვილი და ბავშვი პენიტენციურ დაწესებულებაში დედასთან ერთადაა, მათ მიმართ მოპყრობას უნდა მეთვალყურეობდეს სოციალური მუშაკი და პედიატრი. ამ დროს, მიზანი უნდა იყოს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, რომელიც თავისუფალია პატიმრობის ხილული ატრიბუტიკისგან, როგორიცაა უნიფორმები და გასაღებების ჟღარუნი.

აგრეთვე სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ციხეში ჩვილის მოძრაობა და გონებრივი უნარები ნორმალურად განვითარდეს. კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ სათანადო სათამაშო და სავარჯიშო გარემო ციხის

3 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-10 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2000)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2000, პუნქტი 26 *et seq.*

შიგნით და შეძლებისდაგვარად, უნდა შეეძლოთ დაწესებულების დატოვება და მის კედლებს მიღმა ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრება.

ოჯახის წევრების მიერ დაწესებულების გარეთ ბავშვის აღზრდაში დახმარება აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვის მოვლის ტვირთი გაზიარებულია (მაგალითად, ბავშვის მამის მიერ). როცა ეს არ არის შესაძლებელი, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბავშვო ბაღის მსგავსი პირობები. ასეთი პირობების შექმნა შესაძლებლობას მისცემს ქალ პატიმრებს, ციხის ფარგლებში იმუშაონ და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობაში უფრო ინტენსიურად, ვიდრე ეს სხვაგვარად იქნებოდა შესაძლებელი.

ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები

წამების პრევენციის კომიტეტი დროდადრო აწყდება ისეთ შემთხვევებს, როცა ორსული ქალები, გინეკოლოგიური შემოწმებების ან მშობიარობის დროს, ხელბორკილებით, ან სხვაგვარი საშუალებით არიან მიბმულნი საწოლზე ან სხვა ავეჯზე. ასეთი მიდგომა ყოვლად მიუღებელია და კვალიფიცირდება, როგორც არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. უსაფრთხოების ზომების მისაღებად შესაძლებელია და აუცილებელია გამოძებნილ იქნეს სხვა საშუალებები. მეძუძური დედები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დამატებითი საკვებით ამ კატეგორიის ქალთათვის არსებული გაიდლაინების შესაბამისად.[4]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 3 – წამების აკრძალვა
ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების „ადეკვატურობა" ძალზე რთული შესაფასებელია. უბრალოდ ის ფაქტი, რომ ექიმმა გასინჯა პაციენტი და გარკვეული მკურ-

4 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში რუმინეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის რუმინეთში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2015)31, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, პუნქტი 99.

ნალობა დაუნიშნა, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ გაწეული სამედიცინო მომსახურება ადეკვატურია. პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა წარმოებდეს პატიმრის სრული სამედიცინო ბარათი, რომელშიც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და დანიშნული მკურნალობა აღინიშნება; დიაგნოზი და მკურნალობა უნდა იყოს სწრაფი და ზუსტი; როდესაც ამას სამედიცინო მდგომარეობა მოითხოვს, ზედამხედველობა უნდა იყოს რეგულარული და სისტემატური და უნდა ითვალისწინებდეს ფართომომცველ თერაპიულ სტრატეგიას, მიმართულს განკურნებაზე, ან დამძიმების პრევენციაზე და არა სიმპტომების ჩახშობაზე. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ, ასევე უნდა აჩვენოს, რომ შესაბამისი პირობები შექმნა დანიშნული მკურნალობის ფაქტობრივად განსახორციელებლად. სასამართლოს მიერ შემუშავებული სტანდარტის თანახმად, სამედიცინო მომსახურება უნდა იყოს „ადამიანის ღირსებასთან შესაბამისი", მაგრამ იმავდროულად, მხედველობაში უნდა იღებდეს „თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკულ მოთხოვნებს".

რელევანტური საქმე

დედის პატიმრობაში დაბადებული ჩვილის ჯანმრთელობის დაცვა: დარღვევა

ფაქტები:[5] ჩვილი დაიბადა დედის პატიმრობაში ყოფნის დროს და მასთან ცხოვრობს პენიტენციურ დაწესებულებაში. პრეტენზია ეხება სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულება იყო, უზრუნველეყო ადეკვატური სამედიცინო ზედამხედველობა და ზრუნვა ჩვილისთვის, რომელიც დაწესებულებაში დედასთან იმყოფებოდა დაბადებიდან მე-4 დღიდან, დაახლოებით 6 თვის განმავლობაში.

ჩვილი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იყო და საჭიროებდა სპეციალისტის მხრიდან მკაცრ სამედიცინო მეთვალყურეობას. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეგულაციების თანახმად, ის ყოველ კვირა უნდა შეემოწმებინა პედიატრს პირველი ერთი თვის განმავლობაში და ამის შემდეგ თვეში ერთხელ. მოცემულ შემთხვევაში, ბავშვი, რომელიც დაიბადა 2012 წლის 12 მაისს, პედიატრს არ შეუმოწმებია 28 მაისიდან მოყოლებული 28 სექტემბრამდე. ჩვილის ასაკიდან გამომდინარე, ევროპულ-

5 კორნეიკოვა და კორნეიკოვი უკრაინის წინააღმდეგ *(Korneykova and Korneykov v. Ukraine)*, განაცხადი no. 56660/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

მა სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ეს გარემოება საკმარისი იყო დასკვნის გასაკეთებლად, რომ ადეკვატური სამედიცინო მომსახურების სტანდარტები არ იყო დაკმაყოფლებული. ევროპულმა სასამართლომ საქიროდ აღარ მიიჩნია, სხვა ფაქტობრივი გარემოებები (ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემები და ვაქცინაციის ნაკლებობა) შეეფასებინა. დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, ბავშვისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაუწევლობის გამო მისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 7 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

წამალდამოკიდებული პატიმრების მხარდაჭერა

ევროპის საბჭო 234
ნამების პრევენციის კომიტეტი 234
ზოგადი პრინციპები 234
ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები 235
• საქართველო 235
საბერძნეთი 237
სერბეთი 237
ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია 238
დანია 240
პორტუგალია 240
პოლონეთი 240
ხორვატია 240
გაერთიანებული სამეფო 240
ბოსნია და ჰერცეგოვინა 242
მალტა 243
ნიდერლანდები 243
პომპიდუს ჯგუფი 244
პომპიდუს ჯგუფის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, 2013 244
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 244
მუხლი 3 – წამების აკრძალვა 244
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 244
რელევანტური საქმე 244
ჰეროინდამოკიდებულ პატიმარს არ დაენიშნა ჩანაცვლებითი მკურნალობა: დარღვევა 244

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ზოგადი პრინციპები

კომიტეტი მიიჩნევს, რომ პენიტენციურ სისტემაში ნარკოტიკების მოხმარება სამი კომპონენტისგან შემდგარი სტრატეგიით უნდა აღმოიფხვრას: ციხეში ნარკოტიკების მიწოდების აღკვეთა, ნარკოტიკებზე მოთხოვნის შეძლებისდაგვარად შემცირება და წამალდამოკიდებული პატიმრებისთვის სათანადო დახმარების გაწევა. შესაბამისად, მეტადონით ჩანაცვლების და დეტოქსიფიკაციის პროგრამა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა იმ პატიმრისთვის, რომელიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ამ პროგრამების განხორციელებას თან უნდა ახლდეს სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და საგანმანათლებლო აქტივობები.[1]

კომიტეტი აღიარებს, რომ წამალდამოკიდებული პირების მხარდაჭერა საკმაოდ რთული საკითხია, განსაკუთრებით, პენიტენციურ სისტემაში. არ არსებობს მარტივი თუ ერთი პასუხი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მიდგომა უნდა იქნეს შერჩეული. მართალია, ციხე არ არის იდეალური ადგილი წამალდამოკიდებულების პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ ციხეში მოხვედრა შეიძლება საამისოდ ერთგვარი შესაძლებლობა იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებისთვის შესაფერისი დახმარება იყოს შეთავაზებული. შესაბამისად, სათანადო სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში და არა მხოლოდ იმ დაწესებულებებში, სადაც წამალდამოკიდებული პატიმრებისთვის სპეციალური სამკურნალო ცენტრებია. ოპიოიდური დამოკიდებულების მქონე პაციენტებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ შეწყვიტონ ნარკოტიკების მიღება, მხარდაჭერა უნდა იყოს მრავალდარგობრივი და უნდა აერთიანებდეს დეტოქსიფიკაციისა და სამედიცინო-ფსიქო-სოციო-საგანმანათლებლო პროგრამებს, ჩანაცვლებით პროგრამებთან ერთად. მისაღებია აგრეთვე იდეა, რომ ციხეებში შეიქმნას ნარკოტიკებისგან თავისუფალი ცალკე ფლიგელი, ზოგიერთი კატეგორიის პატიმრებისთვის, მათ შორის, მათთვის, ვისაც დასრულებული აქვს მკურნალობის პროგრამა თავისუფლების აღკვეთამდე, ან მის განმავლობაში. სამედიცინო პერსონალი მთლიანად და ზოგადად ციხის პერსონალი უნდა დატრენინგდეს

1 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში პორტუგალიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის პორტუგალიაში 2012 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2013)4, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2013, პუნქტი 72.

ნარკოტიკებთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში. ამასთან, უნდა შემუშავდეს განთავისუფლების შემდგომი ქმედითი პროგრამები.[2]

ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები

საქართველო

2010 წლის ვიზიტი[3]

საქართველოს ციხეებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრების რაოდენობის ზრდა კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა ადმინისტრაციისთვის როგორც ტოქსიკური ნივთიერებების კონტროლის, ისე შესაბამისი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების თვალსაზრისით. კომიტეტს მიაჩნია, რომ ასეთი მომსახურება სხვადასხვა სახის უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს სამედიცინო დეტოქსიფიკაციას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგი უნარების, სარეაბილიტაციო და ჩანაცვლებით პროგრამებს ნარკოტიკებზე დამოკიდებული პაციენტებისთვის. გარდა ამისა, ეს მომსახურება დაკავშირებული უნდა იყოს პრევენციის პოლიტიკასთან. დელეგაციამ დადებითად შეაფასა თბილისის (გლდანი) მე-7 საპყრობილეში მეტადონით დეტოქსიფიკაციის პროგრამის შეტანა. ეს ღონისძიება დაფინანსდა ფონდი „გლობალის“ გრანტით, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლები (ერთი ნარკოლოგი, ორი სხვა ექიმი და სამი ექთანი) დაემატნენ საპყრობილის სამედიცინო პერსონალს. ვიზიტის დროს, მეტადონით მკურნალობდა 40 პატიმარი (მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 4-45 დღეა). დელეგაციას აცნობეს, რომ პროგრამის დაწყების შემდეგ (2008 წლის დეკემბერს), 320-მდე პატიმარმა მიიღო მასში მონაწილეობა. სხვა მონახულებულ დაწესებულებებში ამ მიმართულებით არაფერი კეთდებოდა (ციხის ტრადიციული უსაფრთხოების გარდა) ნარკოტიკებზე დამოკიდებული პატიმრების დასახმარებლად. არც ერთ მონახულებულ დაწესებულებაში არ იყო ზიანის პრევენციისკენ მიმართული ზომები (მაგალითად, სადეზინფექციო ხსნარების მიწოდება, ასევე ნემსების გასტერილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება) არ იყო უზრუნველყოფილი ფსიქოსოციალური-საგანმანათლებლო მხარდაჭერა.

<u>წამების პრევენციის კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, შემუშავდეს და დაინერგოს ყოვლისმომცველი სტრატეგია ნარკოტიკებზე დამოკიდებული</u>

2 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის 2006 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2008)6, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2008, პუნქტი 91.

3 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში საქართველოს მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის საქართველოში 2010 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2010)27, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2010, პუნქტი 98.

2014 წლის ვიზიტი[4]

საქართველოს ხელისუფლებამ თავიდანვე აღიარა, რომ აკრძალულ ნივთიერებებზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულება პატიმართა მნიშვნელოვანი ნაწილის პრობლემად რჩება და პენიტენციურ დაწესებულებებში კომიტეტის დელეგაციის ვიზიტმა ეს დაადასტურა კიდეც.

დელეგაციამ აღნიშნა, რომ მეტადონის დეტოქსიფიკაციის პროგრამას პატიმრებს სთავაზობდნენ გლდანის პენიტენციურ დაწესებულებაში (ვიზიტის დროს, მასში მონაწილეობდა 66 პატიმარი). თუმცა, როგორც დელეგაციამ დაასკვნა, მსგავსი პროგრამა არ მუშაობდა იმ სხვა დაწესებულებებში, რომლებიც დელეგაციამ მოინახულა. ამასთან, არ არსებობდა ზიანის შემცირების ღონისძიებები (მაგალითად, ჩანაცვლების თერაპია, შპრიცის და ნემსის გაცვლის პროგრამა, სადეზინფექციო საშუალებებისა და ნემსის გასტერილებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება) თუ სპეციალური ფსიქო-სოციალური და საგანმანათლებლო მხარდაჭერა.

კომიტეტი კვლავაც ხაზს უსვამს, რომ წამალდამოკიდებული პატიმრების მართვა უნდა იყოს მრავალმხრივი – აერთიანებდეს დეტოქსიფიკაციის, ფსიქოლოგიური დახმარების, სოციალურ და საგანმანათლებლო პროგრამებს, რეაბილიტაციისა და ჩანაცვლების პროგრამებს და კავშირში უნდა იყოს პრევენციის პოლიტიკასთან. ეს პოლიტიკა აქცენტს უნდა აკეთებდეს ნარკოტიკების მოხმარების შედეგად HIV ან B/C ინფექციის რისკზე და ეხებოდეს გადადების და მისგან თავდაცვის მეთოდებს. თავისთავად იგულისხმება, რომ სამედიცინო პერსონალმა ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს შესაბამისი პროგრამების შედგენა-იმპლემენტაცია-მონიტორინგში და მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვა (ფსიქო-სოციო-საგანმანათლებლო პერსონალთან).

ამ კონტექსტში, დელეგაციამ ინტერესით აღნიშნა ინფორმაცია, რომელიც მათ დასაწყისშივე მიეწოდათ, რომლის თანახმადაც, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი (შემდგარი ფსიქიატრებისგან, ნევროლოგებისგან, ფარმაკოლოგებისა და ფსიქოლოგებისგან), რომელიც შეიქმნა 2014 წლის გაზაფხულზე, პატიმრების მკურნალობისა და რეაბილიტაციის ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში იყო.

დელეგაციას ასევე ეცნობა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მეტადონის ახალი პროგრამა 2015 წლის ბოლოსთვის ამუშავდებოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

4 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში საქართველოს მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის საქართველოში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2015)42, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, პუნქტი 97 *et seq.*

კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მხედველობაში მიეღო ზემოთ გამოთქმული შენიშვნები.

საბერძნეთი[5]

მონახულებულ დაწესებულებებში პრევენციისა თუ მკურნალობის პოლიტიკის კვალი არ ჩანდა. არ იყო სისტემატური პრევენციის პროგრამები, არ გაიცემოდა კონსულტაცია სარისკო ქცევებთან დაკავშირებით, როგორიცაა, მაგალითად, ნემსის გაზიარება. ასევე არ ხორციელდებოდა ფსიქო-სოციალური და საგანმანათლებლო მხარდაჭერის პროგრამები პატიმრების დასახმარებლად აბსტინენციის დროს. კომიტეტმა გამოთქვა წუხილი, რომ ექთნებს არ ჰქონდათ სათანადო მომზადება გავლილი წამალდამოკიდებულების მკურნალობის კუთხით. ისინი თავად აღიარებდნენ თავიანთ სრულ გაუთვითცნობიერებლობას აღნიშნულ სფეროში.

კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ ამ შენიშვნების გათვალისწინებით, შემუშავდეს სტრატეგია წამალდამოკიდებული ყველა პატიმრისთვის.

სერბეთი[6]

დელეგაციამ გამოთქვა წუხილი, რომ მონახულებულ დაწესებულებებში წამალდამოკიდებულების მკურნალობა მხოლოდ მეტადონის უზრუნველყოფით შემოიფარგლებოდა და ისიც მხოლოდ პატიმრებისთვის, რომლებიც ციხეში მოთავსებისას დარეგისტრირებულნი იყვნენ, როგორც ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები. ფსიქო-სოციალური და საგანმანათლებლო მხარდაჭერის თვალსაზრისით მცირე რამ თუ იყო გაკეთებული. როგორც 2007 წლის ვიზიტის დროსაც აღნიშნა კომიტეტმა, წამალდამოკიდებული პატიმრების მიმართ დახმარება უნდა აერთიანებდეს პრევენციის პოლიტიკას სამედიცინო დეტოქსიფიკაციით, ფსიქოლოგიური დახმარებით, რეაბილიტაციითა და ჩანაცვლებით. რეკომენდაცია რჩება ძალაში, რომ შემუშავდეს ყოვლისმომცველი სტრატეგია ამ შენიშვნების გათვალისწინებით.

ეს პოლიტიკა წამალდამოკიდებულების პრობლემასთან ბრძოლის ეროვნული პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს და მისი მიზანი, *inter alia*, უნდა იყოს: ციხეებში ნარკოტიკების შეტანის აღკვეთა; ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის მოგვარება მომხმარებლების იდენტიფიცირებით და მათთან

5 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში საბერძნეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის საბერძნეთში 2001 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2002)31, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2002, პუნქტი 97.

6 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში სერბეთის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის სერბეთში 2011 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2012)17, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2012, პუნქტი 71.

მუშაობით, მკურნალობის ალტერნატივით მათი უზრუნველყოფით და შესაბამისი მკურნალობის ხელმისაწვდომობით; სტანდარტების განვითარება, მონიტორინგი და კვლევა; პერსონალის ტრენინგი.

წამების პრევენციის კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, შემუშავდეს და დაინერგოს ყოვლისმომცველი სტრატეგია ნარკოტიკებზე დამოკიდებული პატიმრებისთვის მკურნალობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია

2006 წლის ვიზიტი[7]

დელეგაცია განსაკუთრებით შეშფოთდა, როცა შეიტყო, რომ პატიმრები, რომლებიც ეთიშებიან მეტადონის თერაპიას, გამარტივებული სამართალწარმოებით თავსდებიან სამარტოო საკანში. გარდა იმისა, რომ ამ ღონისძიების შეფარდებაზე პროცესი არ იმართება, სამარტოო საკანში მოთავსებამდე პატიმრების სამედიცინო შემოწმება არ ხდება.

დელეგაციამ მოითხოვა ხელისუფლებისგან დადასტურება, რომ პატიმრები, რომლებიც უარს იტყოდნენ მეტადონის თერაპიაზე, დისციპლინურ ღონისძიებებს არ დაექვემდებარებოდნენ.

2007 წლის ვიზიტი[8]

ჯერ კიდევ 2006 წლის ვიზიტის დროს, კომიტეტმა გამოთქვა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ მეტადონის თერაპია უზრუნველყოფილი იყო პატიმრებისთვის იმისდა მიუხედავად, თუ რომელი აკრძალული ნარკოტიკის მომხმარებლები იყვნენ ისინი და რომ არ არსებობდა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა მკურნალობის პარალელურად. სიტუაცია არ შეცვლილა. უფრო მეტიც, აშკარაა, რომ არ არსებობს არანაირი სტრატეგია თუ მკაფიო მიზანი მეტადონით ჩანაცვლების პროგრამის დასანერგად. იქიდან გამომდინარე, რომ მეტადონით მკურნალობის პროგრამა არ ითვალისწინებს არანაირ სამედიცინო, სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ხორციელდება ისეთ ადგილას, სადაც აკრძალული ნივთიერებები ფართოდაა ხელმისანვდომი, ვერც ხანგრძლივვადიანი აბსტინენცია და ვერც მოხმარების შემცირება რეალისტურ მიზნებად ვერ ჩაითვლება. ყოველგვარი წახალისებისა თუ სანქციების გარეშე, ასეთი პროგრამა აზრს არის მოკლებული.

7 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის 2006 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2008)6, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2008, პუნქტი 100.

8 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის 2007 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2008)22, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2008, პუნქტი 47.

2011 წლის ვიზიტი[9]

კომიტეტის დელეგაციამ აღნიშნა, რომ მეტადონის პროგრამაში 163 პატიმარი იყო ჩართული. ეს პატიმრები პროგრამაში ჩაერთვნენ შარდის ნებაყოფლობითი ანალიზის შედეგების საფუძველზე. თუმცა არ არსებობდა მეტადონის დეტოქსიფიკაციის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის პროგრამები მეტადონით მკურნალობის პარალელურად. შარდის ანალიზი სავალდებულო არ იყო. მეტადონის 163 დოზის ყოველდღიურად ხელით დარიგებას უკიდურესად დიდი დრო მიჰქონდა და არაეფექტური იყო. რეკომენდებულია მეტადონის დისპენსერი აპარატის ყიდვა.

ამჟამინდელი მიდგომა წამალდამოკიდებული პატიმრების მიმართ სრულიად არაადეკვატურია. მსგავსი პატიმრების მიმართ დახმარება უნდა იყოს მრავალდარგობრივი, ვინაიდან ერთი კონკრეტული მკურნალობა ყველა პატიმრისთვის ქმედითი ვერ იქნება. დახმარება უნდა იყოს მორგებული პატიმრების საჭიროებებზე, მათი დამოკიდებულების სიმძიმეზე, პირად გარემოებებზე, მოტივაციასა და მკურნალობაზე რეაგირებაზე. ოპიოიდური დამოკიდებულების მართვა მოითხოვს დაბალანსებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ფარმაკოთერაპიას, ფსიქოთერაპიას, ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციასა და რისკის შემცირების პროგრამებს. იდეალურ შემთხვევაში, წამალდამოკიდებულ პატიმრებს, ციხეში მოთავსებისას უნდა ჰქონდეთ მკურნალობის რამდენიმე შესაძლებლობა, როგორიცაა ზიანის შემცირების პროგრამა, ჩანაცვლებითი მკურნალობა და დეტოქსიფიკაცია. ამას გარდა, მისაღებია იდეა, რომ ციხეებში შეიქმნას ნარკოტიკებისგან თავისუფალი ცალკე ფლიგელი, ზოგიერთი კატეგორიის პატიმრებისთვის, მეტადონის პროგრამაში ჩართვის არსებული კრიტერიუმები უნდა შეიცვალოს იმდაგვარად, რომ პროგრამაში მონაწილეობა შარდის მხოლოდ ერთ დადებით ანალიზზე არ იყოს დამოკიდებული. ამის ნაცვლად, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ასაკი, ოპიოიდური დამოკიდებულების ხანგრძლივობა, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და პირადი მოტივაცია იმის შესაფასებლად, ჩართული იქნეს თუ არა პატიმარი მეტადონით მკურნალობის პროგრამაში. ჯამში, პატიმარი მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს მიჩნეული ჩანაცვლებითი პროგრამისთვის გამოსადეგად, თუ ინდივიდუალური და სოციალური ზიანი, რაც დაკავშირებულია კონკრეტული პირის მიერ ოპიუმის მოხმარებასთან, სავარაუდოდ, შემცირდება მკურნალობის შედეგად.

კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა ხელისუფლებას, გაეთვალისწინებინა ეს შენიშვნები მეტადონის პროგრამაში.

---

9 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის 2011 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2012)38, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2012, პუნქტი 44 *et seq.*

დანია[10]

ციხეში მოთავსებისას, პატიმარს, რომელიც ოპიატდამოკიდებულია, შეიძლება დაეინიშნოს მეტადონი, მორიგე ექიმთან სატელეფონო კონსულტაციის შედეგად ისე, რომ ექიმი, როგორც წესი, მეორე დღესვე მოინახულებს პატიმარს. თუ პატიმარი ციხის გარეთ მეტადონის პროგრამაში იყო ჩართული, ციხის ადმინისტრაცია უკავშირდება შესაბამის უწყებას და როგორც წესი, პატიმარი ციხეშიც აგრძელებს მეტადონის პროგრამას.

კომიტეტმა სამედიცინო ბარათების შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ მეტადონის პროგრამაში ჩართვამდე პატიმრების ფიზიკური შემოწმება არ ხდება. უფრო მეტიც, მეტადონის გამოწერის შემდეგ, პატიმრის კლინიკური შემოწმება აღარ ხდება. გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა პატიმარს აღენიშნებოდა მძიმე გვერდითი მოვლენები წინა დღის დოზის მიღების შემდეგ.

კომიტეტის რეკომენდაციით, პროგრამაში ჩასართავად თავდაპირველი შემოწმება უნდა შეიცავდეს ფიზიკურ შემოწმებას და ყველა ის პატიმარი, რომელსაც ენიშნება დეტოქსიფიკაცია, უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ, რომელმაც უნდა შეადგინოს მხარდაჭერის ინდივიდუალური გეგმა ამ კონკრეტული პატიმრისთვის.

პორტუგალია[11]

პენიტენციურ დაწესებულებაში დანერგილი დეტოქსიფიკაციის პროგრამა სავსებით დამაკმაყოფილებელი ჩანდა (ფიზიკური აბსტინენციის სიმპტომების მკურნალობა გრძელდებოდა 10-დღიდან ერთ თვემდე, რომელსაც თან ახლდა ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული კონსულტაცია, გუნდური თერაპია და ზოგიერთ, მართალია, გარკვეულწილად, შეზღუდულ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა). ამასთან, ნარკოტიკებისგან თავისუფალ ფლიგელში არსებული ადგილების რაოდენობა პატიმრების რაოდენობასთან მიმართებით პროპორციული იყო.

10 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში დანიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის დანიაში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2014)25, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2014, პუნქტი 54.

11 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში პორტუგალიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის პორტუგალიაში 1999 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2001)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 59.

***პოლონეთი*[12]**

მეტადონის პროგრამა ხელმისაწვდომი იყო ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელიც კომიტეტის დელეგაციამ მოინახულა. თუმცა არც ერთ მათგანში არ იყო ზიანის შემცირების ღონისძიებები დანერგილი, როგორიცაა, მაგალითად, მათეთრებლით უზრუნველყოფა, ან ინფორმაციის მიწოდება ნემსების გასტერილებაზე, ნემსების გაცვლაზე, პროგრამები, ან პრეზერვატივებით უზრუნველყოფა. უფრო მეტიც, ექიმებთან გასაუბრებისას, აშკარა იყო მათი სკეპტიკური დამოკიდებულება მეტადონის პროგრამის და ზიანის შემცირების ღონისძიებების პენიტენციურ სისტემაში წარმატებული განხორციელების თაობაზე.

***ხორვატია*[13]**

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მეტადონით მკურნალობა იწყება თავისუფლების აღკვეთამდე და გრძელდება მაქსიმუმ, ორ თვემდე. ამას გარდა, ორგანიზებული იქნა შვიდ დღიანი ტრენინგი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისთვის, სადაც ექიმებმა, რომლებიც წამალდამოკიდებულების პრობლემებზე სპეციალიზდებიან, მონაწილეებს აუხსნეს, თუ როგორ ამოიცნონ წამალდამოკიდებულების სიმპტომები.

კომიტეტი აღნიშნავს იმ ძალისხმევას, რომელიც გამოიჩინა ხელისუფლებამ, რათა გადაეჭრა წამალდამოკიდებულების პრობლემა მრავალდარგობრივი სტრატეგიით, რომელიც მოიცავს ნარკოტიკული საშუალებების ციხეში მიწოდების აღკვეთას; მოთხოვნის შემცირებას იმით, რომ გაიზარდა მკურნალობის, დახმარების, ინფორმაციის ხარისხი; პერსონალის სათანადო მომზადებას. კომიტეტის რეკომენდაციით, ეს მრავალდარგობრივი სტრატეგია განუხრელად უნდა შესრულდეს.

***გაერთიანებული სამეფო*[14]**

გაერთიანებულ სამეფოში ვიზიტისას, კომიტეტმა დაადგინა, რომ წამალდამოკიდებული პატიმრებისთვის ყველა ციხეში ხორციელდებოდა პროგრამები, რომლებიც ეფუძნებოდა სკრინინგის შესაბამისი მეთოდებითა და ნარკოტიკულ საშუალებებზე სავალდებულო და ნებაყოფლობითი ანალ-

12 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში პოლონეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის პოლონეთში 2013 წლის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, CPT/Inf(2014)21, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2014, პუნქტი 81.

13 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ხორვატიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ხორვატიაში 2003 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2007)15, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2007, პუნქტი 102.

14 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში გაერთიანებული სამეფოს მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის გაერთიანებულ სამეფოში 2008 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2009)30, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2009, პუნქტი 70 *et seq.*

იზებით პრობლემის ადრეულ იდენტიფიცირებას, წამალდამოკიდებულებასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და მხარდაჭერას და დეტოქსიფიკაციის პროგრამებს (აბსტინენციის სინდრომის მკურნალობის ჩათვლით).

კომიტეტი მიესალმა მრავალმხრივი სტრატეგიის მეშვეობით პრობლემასთან გასამკლავებლად ხელისუფლების განგრძობად ძალისხმევას, რომელიც გულისხმობს ციხეებში ნარკოტიკული საშუალებების მოთხოვნისა და მიწოდების შემცირებას, მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებას, პატიმრების დახმარებასა და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას (მათ, შორის ნარკოტიკების მიღებასთან დაკავშირებულ რისკების თაობაზე) და პერსონალის სათანადო მომზადებას.

მიუხედავად ამისა, კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ პატიმრებს აიძულებდნენ მეტადონის პროგრამისგან ჩამოშორებას ან აძლევდნენ მცირე დოზებს, კლინიკურ საჭიროებაზე მითითების გარეშე. მეტადონის (ან ბუპრენოფრინის) დოზებმა უნდა დააკმაყოფილოს ინდივიდის წამალდამოკიდებულების მოთხოვნილებები. ამის საპირისპიროდ, ყოველდღიური დოზების სწრაფი შემცირება, როგორც ჩანს, ხდებოდა ადმინისტრაციული მიზეზების გამო და არა კლინიკური საჭიროების საფუძველზე, ამასთან, პატიმრის თანხმობის გარეშე. ამას გარდა, მეტადონის პროგრამაში ჩართულ პატიმრებს არ ჰქონდათ დასაქმების შესაძლებლობა, თუმცა საამისოდ მიზეზი არ არსებობდა.

<u>კომიტეტის რეკომენდაცია გაერთიანებული სამეფოს მთავრობისადმი იყო მეტადონის ხანგრძლივვადიანი პროგრამის შემოღება და ახალი პროგრამით კომიტეტის შენიშვნების გათვალისწინება.</u>

ბოსნია და ჰერცეგოვინა[15]

კომიტეტი მიიჩნევს, რომ მეტადონის მკურნალობის მოულოდნელი შეწყვეტა არც ჰუმანურია და არც საუკეთესო სამედიცინო პრაქტიკა. იდეალურ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს კარგად ორგანიზებული და ინტეგრირებული მკურნალობის პროგრამა, რომელიც მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ითვალისწინებს კონსულტაციას. თუმცა სანამ ეს პროგრამები დაინერგება, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა პირებმა უნდა გააგრძელონ მჭიდრო მეთვალყურეობის ქვეშ მეტადონით მკურნალობა, რომელიც ციხის გარეთ დაიწყო. მეტადონის მიწოდება თანდათანობით უნდა შემცირდეს, რათა მკურნალობის შეწყვეტით გამოწვეული მტკივნეული სიმპტომები თავიდან იქნეს აცილებული.

15 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ბოსნია და ჰერცეგოვინას მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ბოსნია და ჰერცეგოვინაში 2009 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2010)10, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2010, პუნქტი 31.

კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ ეროვნული ნარკოპოლიტიკის მსგავსად, გაიწეროს მრავლისმომცველი სტრატეგია, რათა ყველა პატიმარს გაეწიოს დახმარება ნარკოტიკებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ყოვლად დაუშვებელია უკვე დაწყებული მეტადონით მკურნალობის შეწყვეტა.

მალტა[16]

დელეგაციამ აღნიშნა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში არ იყო დაცული მეტადონის, როგორც კონტროლირებადი ნივთიერების შენახვის შესაბამისი წესები. კონტროლირებადი ნივთიერებების კარადაში იდო უწარნერო ორი ქილა, რომლებიც, სავარაუდოდ, მეტადონს შეიცავდა, რამდენადაც ამის დასკვნა შეიძლებოდა მომწვანო შიგთავსი სითხით. ასეთი პრაქტიკა საშიშია და საჭიროა, დაცული იყოს ოპიატური ნივთიერებების იდენტიფიკაციის, ეტიკეტირების, შენახვისა და მოხმარების სათანადო წესები.

ნიდერლანდები[17]

პენიტენციურ დაწესებულებაში მედიკამენტები მიაქვთ დალუქული და გამჭვირვალე შეფუთვით, რომლებიც ექთნებს საცხოვრებელი ფლიგელების სამედიცინო ცენტრებში მიაქვთ. ამის საპირისპიროდ, პატიმრებს მედიკამენტებს (ფსიქოტროპული მედიკამენტებისა და მეტადონის ჩათვლით) ურიგებს პენიტენციური დაწესებულების პერსონალი. შესაბამისად, მედიკამენტები და მათი დოზირება რეჟიმის თანამშრომლებისთვის ცნობილია. ასეთმა პრაქტიკამ შეიძლება დააზიანოს სამედიცინო კონფიდენციალობის მოთხოვნები და არ უწყობს ხელს ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობის სათანადოდ ჩამოყალიბებას. კომიტეტის აზრით, მედიკამენტი უნდა დარიგდეს სამედიცინო პერსონალის მიერ. კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ საამისოდ იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები. ამასთან, კომიტეტი სთავაზობს ხელისუფლებას, შედგენილი იქნეს იმ მედიკამენტების სია (ანტიფსიქოტური და ანტირეტროვირალური მედიკამენტები და მეტადონი), რომლებიც სამედიცინო პერსონალმა უნდა დაარიგოს.

---

16 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში მალტას მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის მალტაში 2015 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2016)25, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2016, პუნქტი 70.

17 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის 2011 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2012)38, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2012, პუნქტი 25.

პომპიდუს ჯგუფი[18]

ფართო აღიარებას პოულობს ის, რომ წამალდამოკიდებულება გაგებული უნდა იქნეს და მკურნალობა გაეწიოს, როგორც ქრონიკულ დაავადებას, რომელიც ექვემდებარება პრევენციას, მკურნალობას და შეიძლება პაციენტი გამოჯანმრთელდეს. არსებობს ზოგადი და ფართო კონსესუსი, რომ აბსტინენციასა და აღდგენაზე ორიენტირებულ პოლიტიკას უნდა დაემატოს ღონისძიებები, რომლებსაც შეუძლია, თვალსაჩინოდ შეამციროს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანი და რისკები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 3 – წამების აკრძალვა
ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

რელევანტური საქმე

ფაქტები:[19] პატიმარი დიდი ხანია ჰეროინდამოკიდებულია. მას ექიმის მიერ დაენიშნა და 1991 წლიდან 2008 წლამდე გადიოდა ჩანაცვლებით მკურნალობას. 2008 წელს, ის მოთავსდა პენიტენციურ დაწესებულებაში და აღნიშნული მკურნალობა შეწყდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს აქვს დისკრეცია, უზრუნველყოს პატიმრის დაავადებისთვის შესაბამისი მკურნალობა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როცა მედიცინას ერთმნიშვნელოვნად არ დაუდგენია ორი და მეტი თერაპიის კურსიდან რომელი უფრო მიესადაგება კონკრეტულ დაავადებას. დისკრეცია არსებობს აბსტინენციაზე ორიენტირებულ მკურნალობასა და ჩანაცვლებით მკურნალობას შორის არჩევანთან დაკავშირებითაც.

მოცემულ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს გადასაწყვეტი არ იყო, ნამდვილად სჭირდებოდა თუ არა თავისუფლებააღკვეთილ პირს ჩანაც-

18 ევროპის საბჭოს პომპიდუს ჯგუფის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, 2013 ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის პრევენციისა და ზიანის შემცირების თაობაზე, პუნქტი 10.

19 ვენერი გერმანიის წინააღმდეგ *(Wenner v. Germany)*, განაცხადი no. 62303/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ვლებითი თერაპია. ამის ნაცვლად, ევროპული სასამართლოს შესაფასებელი იყო, თუ რამდენად დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებები ნარადგინა სახელმწიფომ, რომ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შესაბამისი მკურნალობა ადეკვატურად შეფასდა ეროვნულ დონეზე, რომ პატიმარმა მიიღო სრული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ დაწესებულებაში.

ბევრი ფაქტორი მიუთითებდა, რომ პატიმარი აუცილებლად საჭიროებდა ჩანაცვლებით თერაპიას. პატიმრის ყველა ადრინდელი მცდელობა, თავი დაენებებინა ჰეროინისთვის, უშედეგო იყო და სავარაუდოდ, მისი განკურნება უკვე შეუძლებელი იყო. ამასთან, ის განიცდიდა ქრონიკულ ტკივილებს, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნარკოტიკების მოხმარებით იყო გამოწვეული. 17 წელი ის ექვემდებარებოდა ჩანაცვლებით მკურნალობას. ჩანაცვლებით მკურნალობა იყო ხელმისაწვდომი ციხის გარეთ და გერმანიის რამდენიმე ციხეში. შესაბამისად, არსებობდა ვალდებულება, რომ განსაკუთრებული სიმკაცრით შემოწმებულიყო, რამდენად ადეკვატური იყო აბსისტენციაზე ორიენტირებული მკურნალობა მოცემული პატიმრისთვის.

პატიმრისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის დანიშვნის საჭიროება პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის სამ წელიწადნახევრის განმავლობაში ყოფნის დროს არ შესწავლილა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმარს სათანადო სამედიცინო მომსახურება არ გასწევია, რამაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შეადგინა.

გადამდები დაავადებების სავალდებულო სკრინინგი[1]

გაერთიანებული ერები 247
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 247
სახელმძღვანელო პრინციპები ციხეში აივ ინფექციასა და შიდსის შესახებ
ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი 247
გაერთიანებული ერების აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამა 247
საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები აივ/შიდსსა და ადამიანის უფლებებზე 247
ევროპის საბჭო 248
მინისტრთა კომიტეტი 248
რეკომენდაცია ციხისა და გადამდები დაავადებების შესახებ 248
ნამების პრევენციის კომიტეტი 248
ზოგადი სტანდარტები 248
ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები 250
• უნგრეთი 250
დანია 251
პოლონეთი 251
ლატვია 252
კვიპროსი 252
თურქეთი 253
სერბეთი 253
ლიეტუვა 254

1 იხ. აგრეთვე თავი „ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეთავი „ჯანმრთელობის პროფილაქტიკა“; თავი „დისკრიმინაციის აკრძალვა“, ქვეთავი „აივ სკრინინგი და აივ დადებითი პატიმრები“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO)

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები ციხეში აივ ინფექციასა და შიდსის შესახებ[1]

10. პატიმრების აივ სავალდებულო ტესტირება არაეთიკური და არაქმედითია და უნდა იკრძალებოდეს.
11. აივ ინფექციის ნებაყოფლობითი ტესტირება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ციხეებში, როცა ტესტირება ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებაში და მას თან უნდა ახლდეს წინასწარი და ტესტის შემდგომი სათანადო კონსულტაცია. ნებაყოფლობითი ტესტირება მხოლოდ პატიმრის ინფორმირებული თანხმობით შეიძლება. ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხარდაჭერა პატიმრებისთვის შედეგების გაცნობის დროს და ამის შემდგომ პერიოდში.
12. ტესტირების შედეგები პატიმრებს უნდა ეცნობოთ სამედიცინო პერსონალის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო კონფიდენციალობას.[2]

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) და გაერთიანებული ერების აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამა (UNAIDS)

საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები აივ/შიდსსა და ადამიანის უფლებებზე[3]

პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობა უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრებს ნებაყოფლობითი ტესტირების და კონსულტაციის ხელმისაწვდომობით და უნდა კრძალავდეს სავალდებულო ტესტირებას.[4]

---

1 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები ციხეში აივ ინფექციასა და შიდსის შესახებ, 1993, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://www.who.int/hiv/idu/WHO-Guidel-Prisons_en.pdf?ua=1.
2 გვ. 5.
3 საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები აივ/შიდსსა და ადამიანის უფლებებზე, 2006, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:
http://www.ohchr.org/Documents/Publications/HIVAIDSGuidelinesen.pdf.
4 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(93)6 წევრი სახელმწიფოების მიმართ ციხისა და გადამდები დაავადებების, მათ შორის, შიდსის კონტროლის კრიმინოლოგიური ასპექტების და ციხეში ჯანმრთელობის სხვა პრობლემების შესახებ, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1993 წლის 18 ოქტომბერს, გვ. 31.

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია R (93) 6 ციხისა და გადამდები დაავადებების შესახებ[5]

3. ხელმისაწვდომი უნდა იყოს აივ/შიდსის ინფექციაზე ნებაყოფლობითი ტესტირება, ტესტირებამდე და მის შემდეგ კონსულტაციის ჩათვლით. ექიმს დაქვემდებარებულმა სამედიცინო პერსონალმა პატიმარს ტესტირებამდე უნდა აუხსნას, თუ რა მოჰყვება ტესტის შედეგებს და კონფიდენციალობის სრული დაცვით უნდა აცნობონ ტესტის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარი უარს ამბობს ასეთი ინფორმაციის მიღებაზე.
არსებული თანამედროვე ცოდნის საფუძველზე, პატიმრების სავალდებულო ტესტირება უნდა იკრძალებოდეს, ვინაიდან იგი არაქმედითი და დისკრიმინაციულია და შესაბამისად, არაეთიკური.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ზოგადი სტანდარტები

მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემად იქცა გადამდებ დაავადებათა, კერძოდ კი - ტუბერკულოზის, ჰეპატიტისა და აივ/შიდსისინფექციის გავრცელება. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაავადებები პრობლემად იქცა მთელი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით სავალალო აღმოჩნდა ისინი რიგი სასჯელაღსრულების სისტემისთვის. წამების პრევენციის კომიტეტს არაერთხელ მოუწია, გამოეხატა სერიოზული შეშფოთება აღნიშნული პრობლემის აღკვეთის მიზნით გატარებული ზომების არაადეკვატურობის გამო. მეტიც, მატერიალური პირობები, რომლებშიც პატიმრები ხშირად იმყოფებიან, მხოლოდ ხელს უწყობს ამ დაავადებათა გავრცელებას.[6]

წამების პრევენციის კომიტეტისთვის ცნობილია, რომ ეკონომიკური სირთულეების პერიოდში, რაც დღესდღეობით გამოვლინდა ბევრ ქვეყანაში, სადაც წამების პრევენციის კომიტეტი იმყოფებოდა – ქვეყნებს მოუწიათ გარკვეული მსხვერპლის გაღება, მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც. თუმცა, მიუხედავად მოცემულ დროში არსებული სირთუ-

5 ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:
https://bip.ms.gov.pl/Data/Files/_public/bip/prawa_czlowieka/zalecenia/936.pdf.

6 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2001)16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 31 *et seq.*

ლეებისა, პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის დაკავშირებულია მასზე ზრუნვის ვალდებულებასთან, რაც მოითხოვს პრევენციის, შემოწმებისა და მკურნალობის ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ამ ვალდებულებების შესრულება, როდესაც საქმე ეხება სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მკურნალობას.

გამოკვლევების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მედიკამენტებითა და საჭირო მასალებით რეგულარული მომარაგება, პერსონალის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ პატიმარმა დანიშნული მედიკამენტები მიიღოს დროულად და სათანადო დოზით, საჭიროების შემთხვევაში სპეციალური დიეტის უზრუნველყოფა – ზემოხსენებულ დაავადებებთან ბრძოლისა და პატიმრებზე სათანადო ზრუნვის ეფექტიანი სტრატეგიის შემადგენელი ძირითადი კომპონენტებია. ასევე, გადამდები დაავადებებით ინფიცირებულ პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობები ხელს უნდა უწყობდეს მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას; გარდა ბუნებრივი სინათლისა და კარგი ვენტილაციისა, სავალდებულოა ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა და გადატვირთულობის პრობლემის არარსებობა.

გარდა ამისა, დაავადებული პატიმრები არ უნდა იყვნენ განცალკევებულნი დანარჩენებისგან, თუ ეს არ არის მკაცრად მოთხოვნილი სამედიცინო ან სხვა საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ სამედიცინო თვალსაზრისით არ არის გამართლებული პატიმრის მხოლოდ აივ/შიდსით ინფიცირების საფუძველზე განცალკევება.

აღნიშნულ საკითხებზე მცდარი წარმოდგენების გასაფანტად, სახელისუფლებო სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ გადამდებ დაავადებათა შესახებ ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება როგორც პატიმრებისათვის, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალისათვის. აღნიშნული პროგრამები უნდა მოიცავდეს დაავადებათა გადადების ფაქტორებისა და თავის დაცვის საშუალებების, ასევე ადეკვატური პრევენციული ზომების მიღების შესახებ, ინფორმაციის მიწოდებას. უფრო კონკრეტულად, ხაზი უნდა გაესვას აივ/შიდსით ან B/C ჰეპატიტით ინფიცირების რისკს სექსუალური კონტაქტისა და ნარკოტიკების ინტრავენური მიღების გზით და განიმარტოს ორგანიზმის სითხის, როგორც აივ/შიდსის და ჰეპატიტის ვირუსების მატარებლის როლი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ სამედიცინო შემოწმებამდე და ტესტზე დადებით პასუხის შემთხვევაში, გამოკვლევის შემდეგაც, პატიმარს უნდა მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და ჩაუტარდეს კონსულტაცია. გარდა ამისა, აქსიომაა, რომ პაციენტთან დაკავშირებული ინფორმა-

ცია დაცული უნდა იყოს სამედიცინო კონფიდენციალურობის პრინციპით. მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით ნებისმიერი ჩარევა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი პირის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე.

გარდა ამისა, იმისთვის, რომ ზემოთ დასახელებულ დაავადებათა კონტროლი ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, ქვეყანაში აღნიშნულ სფეროში მომუშავე ყველა სამინისტროსა თუ ორგანიზაციის კოორდინირებული მუშაობა. ამ კუთხით, წამების პრევენციის კომიტეტს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების შემდეგ პირის მკურნალობის გაგრძელება გარანტირებული უნდა იყოს.

ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები

უნგრეთი

1994 წელს, უნგრეთში ვიზიტის დროს, კომიტეტის დელეგაციას ეცნობა, რომ ყველა პატიმარი გადიოდა სავალდებულო აივ ტესტს. დადებითი შედეგის შემთხვევაში, პატიმარი თავსდებოდა განცალკევებით. ამასთან, ტესტირებას არ ახლდა ინფორმირება, კონსულტაცია თუ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ტესტამდე თუ ტესტის შემდგომ.[7]

ამასთან დაკავშირებით, კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კარგად მყოფი აივ პოზიტიური პატიმრების სეგრეგაცია სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებული არ არის. ამასთან, ტესტირებამდე და ტესტირების შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი კონსულტაცია, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ამასთან, აქსიომატურია, რომ აივ დადებითი შედეგი სამედიცინო კონფიდენციალობით უნდა იყოს დაცული.[8]

კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა უნგრეთის ხელისუფლებას, რომ უზრუნველეყო ზემოაღნიშნული დებულებების პრაქტიკაში დაცვა. აგრეთვე კომიტეტმა აღნიშნა, რომ <u>თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უნდა არსებობდეს გადამდებ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს გადადების მეთოდებისა და დაცვის საშუალებების, აგრეთვე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებას პერსონალისა და პატიმრებისთვის.</u> კომიტეტმა აღნიშნა, რომ მსგავსი პოლიტიკის შედ-

7 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში უნგრეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის უნგრეთში 1994 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(96)5, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1996, პუნქტი 114.

8 *Ibid.*, პუნქტი 115.

გენისას გამოყენებული უნდა იქნეს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(93)6 წევრი სახელმწიფოების მიმართ ციხისა და გადამდები დაავადებების, მათ შორის, შიდსის კონტროლის კრიმინოლოგიური ასპექტების და ციხეში ჯანმრთელობის სხვა პრობლემების შესახებ.[9]

რაც შეეხება სავალდებულო აივ ტესტირებას, კომიტეტმა აღნიშნა, რომ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(89)14 თანახმად, რომელიც ეხება აივ ინფექციის ეთიკურ საკითხებს ჯანდაცვის სფეროსა და სოციალურ კონტექსტში, მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაცია გასცა წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომ „განიხილონ.... სავალდებულო სკრინინგი, როგორც არაეთიკური, არაქმედითი, არააუცილებლად ინვაზიური, დისკრიმინაციული და უკუშედეგის მქონე... და უზრუნველყონ, რომ იგი არ გამოიყენებოდეს მოსახლეობის არც ერთი ჯგუფის მიმართ, განსაკუთრებით ისეთი ჯგუფის მიმართ, როგორიცაა თავისუფლებააღკვეთილი პირები, მაგალითად პატიმრები...“ აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნეს რეკომენდაცია R(93)6 და მის დანართში გათვალისწინებული პრინციპები, რომელთა თანახმადაც, „პატიმრების სავალდებულო ტესტირება უნდა იკრძალებოდეს, ვინაიდან იგი არაქმედითი და დისკრიმინაციულია და შესაბამისად, არაეთიკური.“[10]

დანია

1996 წელს, დანიაში ვიზიტის დროს, კომიტეტის დელეგაციამ აღმოჩინა, რომ გადამდები დაავადებების სავალდებულო ტესტირება მონახულებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ ტარდებოდა. აივ და ჰეპატიტის ტესტები ტარდებოდა ნებაყოფლობით და მათი შედეგები სამედიცინო კონფიდენციალობით იყო დაცული. ამასთან, აივ პოზიტიური პატიმრები დანარჩენი პატიმრებისგან არ იყვნენ განცალკევებულები. წამების პრევენციის კომიტეტი მიესალმა დანიის ხელისუფლების მიდგომას.[11]

პოლონეთი

1996 წელს, პოლონეთში ვიზიტის დროს, კომიტეტის დელეგაციამ აღმოაჩინა, რომ არასრულწლოვანი პატიმრები დაწესებულებაში მიყვანისას ექვემდებარებოდნენ სავალდებულო ტესტებს (აივ, ჰეპატიტი, ვასერმანი) და დაწესებულების დირექტორსა და სამედიცინო პერსონალს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, შედეგებს აცნობებდნენ დაწესებულების დირექტორს. სხვა დაწესებულებაში, დელეგატებს აცნობეს, რომ აივ ტესტი

9 *Idem.*

10 *Ibid.*, პუნქტი 116.

11 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში დანიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის დანიაში 1996 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(97)4, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1997, პუნქტი 112.

მხოლოდ არასრულწლოვნის თანხმობით ტარდებოდა და შედეგები კონფიდენციალური იყო.

კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აივ ტესტის შედეგები მკაცრად კონფიდენციალურია და გამოთქვა რეკომენდაცია ამ კუთხით შესაბამისი ზომების გასატარებლად.

კომიტეტმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა ტესტამდე და საჭიროებისამებრ, ტესტის შემდეგ კონსულტაციის მნიშვნელობა.

აგრეთვე, კომიტეტმა აღნიშნა, რომ თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის საფუძველზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ევროპის საბჭო მიიჩნევენ, რომ პატიმრების აივ ინფექციაზე სავალდებულო შემოწმება უნდა აიკრძალოს, ვინაიდან იგი არაქმედითი, დისკრიმინაციულია და ამიტომ, არაეთიკური.[12] *(კომიტეტს აზრი არ გამოუთქვამს სხვა სავალდებულო ტესტების შესახებ)*

ლატვია

ლატვიაში 1999 წლის ვიზიტის დროს, კომიტეტის დელეგაციამ შეშფოთება გამოთქვა, როცა აღმოაჩინა, აივ ტესტირება ავტომატურად ტარდებოდა პატიმრის თანხმობის და მისთვის ტესტის შესახებ რაიმე ინფორმაციის მიწოდების გარეშე. კომიტეტმა აღნიშნა, რომ თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის საფუძველზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ევროპის საბჭო მიიჩნევენ, რომ პატიმრების აივ ინფექციაზე სავალდებულო შემოწმება უნდა აიკრძალოს, ვინაიდან იგი არაქმედითი და დისკრიმინაციულია და ამიტომ, არაეთიკური.[13]

კვიპროსი

კომიტეტის დელეგაციას, 1996 წლის ვიზიტის დროს, ერთ-ერთი დაწესებულების ექიმმა აცნობა, რომ ყველა ახლად მიღებული პატიმარი ექვემდებარებოდა სამედიცინო შემოწმებას, რომლის დროსაც იღებდნენ სისხლის ნიმუშს სეროლოგიური ტესტების ჩასატარებლად ჰეპატიტსა და აივზე. როგორც ჩანდა, ზოგიერთი პატიმარი, განსაკუთრებით, უცხოელი, არ იღებდა ინფორმაციას ტესტებზე. ტესტების შედეგების მიღების შემდეგ, B ჰეპატიტის მქონე ანდა აივ პოზიტიური პატიმრები ციხის საავადმყოფოში ცალკე თავსდებოდნენ.

12 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში პოლონეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის პოლონეთში 1996 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(98)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1998, პუნქტი 174.

13 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ლატვიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის 1999 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2001)27, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 139.

კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კარგად მყოფი B ჰეპატიტის მქონე და აივზე პოზიტიური პატიმრების სეგრეგაცია სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებული არ არის.

კომიტეტმა შემდეგი რეკომენდაციები გასცა კვიპროსის ხელისუფლების საყურადღებოდ: ბოლო მოუღოს B ჰეპატიტის მქონე და აივზე პოზიტიური პატიმრების სეგრეგაციას; უზრუნველყოს, რომ გადამდებ დაავადებებზე შესაბამისი ინფორმაცია (გადადების რისკი და დაცვის საშუალებები) მიეწოდოს პატიმრებს და პერსონალს.

დაბოლოს, კომიტეტმა აღნიშნა, რომ თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის საფუძველზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ევროპის საბჭო მიიჩნევენ, რომ პატიმრების აივ ინფექციაზე სავალდებულო შემოწმება უნდა აიკრძალოს, ვინაიდან იგი არაქმედითი, დისკრიმინაციულია და ამიტომ, არაეთიკური. კომიტეტმა აღნიშნა, რომ იგივე მიდგომა უნდა იყოს B ჰეპატიტთან მიმართებით.[14]

თურქეთი

ნამების პრევენციის კომიტეტმა 2009 წლის 4-7 ივნისს თურქეთში ვიზიტის დროს აღმოაჩინა, რომ ყველა შემოწმებულ პენიტენციურ დაწესებულებაში თავდაპირველი სამედიცინო შემოწმება, როგორც წესი, ტარდებოდა ზედაპირულად. კერძოდ, კომიტეტმა აღნიშნა, რომ არც ერთ შემოწმებულ დაწესებულებაში არ ხდებოდა ახლად მიღებული პატიმრების სკრინინგი გადამდებ დაავადებებზე და მათ არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია ამ დაავადებების პრევენციაზე.[15] ამასთან დაკავშირებით, ნამების პრევენციის კომიტეტმა რეკომენდაციით მიმართა თურქეთის მთავრობას, რომ ყველა ახლად მიღებული პატიმარი დაქვემდებარებოდა ყოველმხრივ სამედიცინო შემოწმებას, გადამდები დაავადებების სკრინინგის ჩათვლით, ექიმის (ან ექიმს დაქვემდებარებული კვალიფიციური მედდის) მიერ, დაწესებულებაში მიყვანიდან შეძლებისდაგვარად მალე და რომ ყველა პატიმარს მიწოდებოდა ინფორმაცია გადამდები დაავადებების თავიდან აცილების შესახებ.[16]

---

14 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში კვიპროსის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის კვიპროსში 1996 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(97)5, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1997, პუნქტები 73-75.

15 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში თურქეთის მთავრობისადმი, ნამების პრევენციის კომიტეტის თურქეთში 2009 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2011)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 127.

16 *Ibid.*, პუნქტი 128.

სერბეთი

სერბეთში 2011 წლის ვიზიტის შედეგად, წამების პრევენციის კომიტეტმა გაიმეორა თავისი რეკომენდაცია: „გადადგმული უნდა იქნეს ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს იმ წესის მკაცრი დაცვა, რომ ყველა პატიმარი უნდა შემოწმდეს სამედიცინო პერსონალის მიერ, მათი დაწესებულებაში მიღებიდან 24 საათის განმავლობაში... სამედიცინო შემოწმება უნდა იყოს ყოველმხრივი, გადამდები დაავადებების სათანადო სკრინინგის ჩათვლით.“[17]

ლიეტუვა

ევროპის საბჭოს იმ ქვეყნებში, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა ახლადმიღებული პატიმრის სკრინინგს გადამდებ დაავადებებზე, წამების პრევენციის კომიტეტი ამოწმებს, რამდენად გადაუდებლად ხდება სკრინინგი. კომიტეტისთვის მიუღებელი იყო სკრინინგის 5 დღის დაგვიანებით ჩატარება, რასაც ადგილი ჰქონდა ლიეტუვას ზოგიერთ დაწესებულებაში.[18] კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა ლიეტუვას მთავრობას, რომ „გარდა გადაუდებელი ვითარებისა, თავდაპირველი სამედიცინო გასაუბრება თუ შემოწმება უნდა ჩატარდეს პატიმრის განთავსების პირველივე დღეს... აღნიშნულს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის... წამების პრევენციის კომიტეტი აძლევს რეკომენდაციას ლიეტუვას ხელისუფლებას, რომ მიიღოს ზომები სკრინინგის პატიმრის მიღების დღესვე ჩასატარებლად.“[19]

---

17 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში სერბეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის სერბეთში 2011 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2012)17, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2012, პუნქტი 73.

18 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ლიეტუვას მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ლიეტუვაში 2000 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2001)22, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 82.

19 *Ibid.*, პუნქტი 83.

იძულებით კვება

გაერთიანებული ერები 256
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი 256
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი no. 14 256
წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის ქმედითი გამოძიების და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, სტამბულის პროტოკოლი 257
ევროპის საბჭო 257
მინისტრთა კომიტეტი 257
1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაცია no. R(98)7 257
წამების პრევენციის კომიტეტი 258
ზოგადი სტანდარტები 258
ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები 260
• საქართველო 260
ესპანეთი 260
ნიდერლანდები 261
სომხეთი 261
ავსტრია 262
აზერბაიჯანი 262
იტალია 262
ალბანეთი 263
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 263
მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება 263
მუხლი 3 – წამების აკრძალვა 263
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 263
ზოგადი პრინციპები 263
რელევანტური საქმეები 264
i. ქართველი პატიმრის პრეტენზია, რომ მის შიმშილობაზე ხელისუფლებას რეაგირება არ ჰქონია: განაცხადი დაუშვებელია 264
ii. პატიმრის პრეტენზია შიმშილის გამოცხადების შემდეგ მის იძულებით მკურნალობაზე: განაცხადი დაუშვებელია 264
iii. პატიმრის გარდაცვალება ხანგრძლივი შიმშილის შედეგად: არდარღვევა 265
iv. პატიმრის იძულებით კვება: დარღვევა 266
v. პატიმრის იძულებითი კვება: დარღვევა 269
vi. მოშიმშილე პატიმარმა ირივლა იმის თაობაზე, რომ განთავისუფლების ნაცვლად მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის იძულებით კვებაზე: განაცხადი დაუშვებელია 270
საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები 273
მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია 273
მალტას დეკლარაცია 273
ტოკიოს დეკლარაცია 278

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი[1]

მუხლი 12

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე.

2. ზომები, რომლებიც წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისთვის, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია:

დ) ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ავადმყოფობის შემთხვევაში ყველასთვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და ზრუნვას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი no. 142

ჯანმრთელობის უფლება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც პირის უფლება, იყოს ჯანმრთელი. ჯანმრთელობის უფლება მოიცავს თავისუფლებას და უფლებამოსილებებს. თავისუფლება მოიცავს პირის უფლებას, აკონტროლოს საკუთარი ჯანმრთელობა და სხეული, სექსუალური და რეპროდუქციული თავისუფლების ჩათვლით და პირის უფლება, არ დაექვემდებაროს ჩარევას, როგორიცაა, მაგალითად პირის უფლებას, არ დაექვემდებაროს წამებას, არანებაყოფლობით სამედიცინო მკურნალობას და ექსპერიმენტს. ამის საპირისპიროდ, უფლებამოსილებები გულისხმობს პირის უფლებას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფს ხალხისთვის თანაბარ შესაძლებლობებს ჯანმრთელობის შეძლებისდაგვარად უმაღლეს სტანდარტზე.

---

1 1966 წლის პაქტი ძალაში შევიდა 1976 წელს, საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლიდან.

2 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი no. 14 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლზე, მიღებულია 2000 წლის 11 აგვისტოს.

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის ქმედითი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, სტამბულის პროტოკოლი[3]

მუხლი 62

თანამედროვე სამედიცინო ეთიკის უმთავრესი დანაწესია ის, რომ საკუთარი ინტერესების საუკეთესოდ განსაზღვრა თავად პაციენტებს შეუძლიათ. ეს მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისგან, როგორც წესი, უპირატესობა მიანიჭონ საღ გონებაზე მყოფი, ზრდასრული პაციენტის სურვილს და არა პასუხისმგებელი პირის შეხედულებას, თუ რა იქნებოდა პაციენტისთვის უკეთესი. როდესაც პაციენტი უგონოდაა, ან სხვა მიზეზის გამო არ შეუძლია მისცეს გააზრებული თანხმობა, სამედიცინო მუშაკებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს დაცული და ხელშეწყობილი პაციენტის საუკეთესო ინტერესები. ექთნებს და ექიმებს მოეთხოვებათ, რომ იმოქმედონ, როგორც პაციენტების ადვოკატებმა, რაც ცალსახად გამომდინარეობს ისეთი აქტებიდამ, როგორებიცაა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ლისაბონის დეკლარაცია და ექთნების საერთაშორისო საბჭოს განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვაში ექთნების როლის შესახებ...“

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია no. R(98)7 ციხეში ჯანდაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებზე[4]

ე. მკურნალობაზე უარის თქმა, შიმშილობა

60. ექიმმა უნდა მოითხოვოს პაციენტის მიერ და მოწმის თანდასწრებით ხელმოწერილი წერილობითი განცხადება, რომ პაციენტი მკურნალობაზე უარს ამბობს. ექიმმა პაციენტს უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მკურნალობას, აგრეთვე, შესაძლო თერაპიული ალტერნატივების შესახებ და გააფრთხილოს იმ რისკების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია მკურნალობაზე უარის თქმასთან. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ პაციენტი სრულად აცნობიერებს თავის მდგომარეობას. თუ არსებობს პრობლემა გაცნობიერ-

3 გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 1999 წლის 9 აგვისტო.

4 მინისტრთა კომიტეტის 1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაცია no. R(98)7 ციხეში ჯანდაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებზე.

ებასთან დაკავშირებით იმ ენის გამო, რომელსაც პაციენტი იყენებს, მოძიებული უნდა იქნეს გამოცდილი თარჯიმანი.

61. მოშიმშილის კლინიკური მდგომარეობა უნდა შეფასდეს მხოლოდ პაციენტის ცალსახა თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარს აქვს მძიმე ფსიქიკური აშლილობა, რის გამოც მისი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანა არის საჭირო.

62. მოშიმშილეებს ობიექტურად უნდა განემარტოთ იმ საზიანო შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მათმა მოქმედებამ მიაყენოს ჯანმრთელობას, ისე, რომ მათ გააცნობიერონ გახანგრძლივებულ შიმშილობასთან დაკავშირებული საფრთხეები.

63. თუ, ექიმის აზრით, მოშიმშილის მდგომარეობა მნიშვნელოვნად უარესდება, აუცილებელია, რომ ექიმმა აცნობოს ამ ფაქტის შესახებ სათანადო უწყებას და იმოქმედოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად (პროფესიული სტანდარტების ჩათვლით).

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ზოგადი სტანდარტები

შიმშილობის შემთხვევაში, ზოგიერთ ქვეყნაში, სახელმწიფო ხელისუფლება ან პროფესიული ორგანიზაციები სთხოვენ ექიმს, ჩაერიოს, რათა პატიმრის გარდაცვალება თავიდან იქნეს აცილებული. სხვა ქვეყნებში არსებული ნესის თანახმად, მას შემდეგ, რაც პასუხისმგებელი ექიმი შეამოწმებს პაციენტს და ანონ-დანონის ყველა რელევანტურ ფაქტს, კლინიკური გადანყვეტილებების მიღებას მთლიანად მას მიანდობენ.[5]

სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, იზრუნოს თავისუფლებააღკვეთილ პირებზე. ეს გულისხმობს პატიმრის სიცოცხლის დაცვას, თვითმკვლელობის და ნებისმიერი იმ ქმედების თავიდან აცილებას, რომელსაც შეუძლია პატიმრის სიკვდილი ან ჯანმრთელობისთვის შეუქცევადი ზიანი გამოიწვიოს. შესაბამისად, მოშიმშილე პატიმრის ნების წინააღმდეგ მისი კვება, პრინციპში, შეიძლება, გამართლებული იყოს პატიმრის ჯანმრთელობისთვის შეუქცევადი ზიანის ან სიკვდილის პრევენციის მიზნით.[6]

---

5 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-3 ზოგადი ანგარიში, CPT/INF(93)12, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1993, პუნქტი 47.

6 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ესპანეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ესპანეთში 2007 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2011)11, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 13.

მეორე მხრივ, ევროპის ქვეყნების უმრავლესობა კანონმდებლობაში ითვალისწინებს ზრდასრული პირის არჩევანს, უარი თქვას სამედიცინო მკურნალობაზე, თუნდაც ამ მკურნალობას სიცოცხლის გადარჩენა შეეძლოს. შესაბამისად, ციხის ადმინისტრაცია დგება ორი პოტენციურად კონფლიქტური სიკეთის წინაშე: ზრუნვის ვალდებულება, რომელიც მათ პატიმრის სიცოცხლის შენარჩუნებას ავალებს და ვალდებულება, უზრუნველყოს პატიმრის ხელშეუხებლობა (მკურნალობაზე უარის თქმის უფლების ჩათვლით). [7]

კომიტეტის ფუნქცია არ არის, რომ ღირებულებათა ეს კონფლიქტი მოაგვაროს. კომიტეტის ამოცანაა, შეამოწმოს, პრაქტიკაში, თავისუფლებააღკვეთილი პირი ხომ არ ექვემდებარება წამებას, ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას იმისდა მიუხედავად, თუ რა პოზიცია აქვთ ამასთან დაკავშირებით კომპეტენტურ უწყებებს ან ექიმებს.[8]

კომიტეტის თვალსაზრისით, თუ მიღებულია გადაწყვეტილება პირის იძულებით კვებაზე, ეს გადაწყვეტილება სამედიცინო აუცილებლობას უნდა ეფუძნებოდეს და უნდა განხორციელდეს შესაბამის პირობებში, რომლებიც ასახავენ ღონისძიების სამედიცინო ხასიათს. ამას გარდა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სამართალწარმოებას, რომელიც უნდა შეიცავდეს საკმარის გარანტიებს, დამოუკიდებელი სამედიცინო გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით. აგრეთვე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები; გადაწყვეტილების აღსრულების ყველა ასპექტი მონიტორინგს უნდა ექვემდებარებოდეს.[9]

იძულებით კვებისას გამოყენებულ მეთოდებს არ უნდა ახასიათებდეს ტკივილი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი არ არის. ეს მეთოდები გამოყენებული უნდა იქნეს კვალიფიციურად და მინიმალური ძალის გამოყენებით. იძულებით კვება პატიმრის ფიზიკურ ხელშეუხებლობას შეძლებისდაგვარად ნაკლებად უნდა ზღუდავდეს. ფიზიკური შეკავების საშუალებების გამოყენება მკაცრად იზღუდება; დაშვებულია მხოლოდ იმ დოზით გამოყენება, რაც აუცილებელია იძულებით კვების აღსასრულებლად. ეს ღონისძიებები გამოყენებული უნდა იქნეს სამედიცინო თვალსაზრისით და სამედიცინო აუცილებლობისას.[10]

ზემოაღნიშნული სტანდარტების დაუცველობამ შეიძლება შეადგინოს არა-

---

7 *Idem.*
8 *Idem.*
9 *Idem.*
10 *Idem.*

ადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა.[11]

ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები

საქართველო

კომიტეტის აზრით, დისციპლინური სანქციების მკაცრი სისტემა (განსაკუთრებით, მაგრამ არა ექსკლიუზიურად, საქართველოს მე-7 პენიტენციურ დანესებულებაში) ხელს უწყობს არსებული ცალკეული პრობლემების ესკალაციას, ადმინისტრაციას და პატიმრებს შორის დაძაბულობას. ამ კონტექსტში არ არის გასაკვირი, რომ ზოგიერთი პატიმარი აცხადებს შიმშილობას ან მიმართავს თვითდაზიანებას.[12]

ესპანეთი

ღონისძიებათა ნაკლებობამ და საკანში ხანგრძლივად მარტო ყოფნამ მთელი რიგი იმ პატიმრების მდგომარეობა დაამძიმა, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით არსებული პრობლემების სიმპტომებს ავლენდნენ.[13]

მაგალითად, ერთ-ერთ პატიმარს, რომელიც რამდენჯერმე ჰყავდათ შებოჭილი აუტირებული მდგომარეობისა და თვითდაზიანებისკენ მიდრეკილების გამო და ხშირად მიმართავდა შიმშილობას, აღენიშნებოდა ფსიქიკური აშლილობის აშკარა სიმპტომები და გამოირჩეოდა პერსონალის მიმართ აგრესიულობით. მან დაუდასტურა კომიტეტის დელეგაციას, რომ როდესაც შიმშილობდა, თავისი საკნის ფანჯრის მინის ნატეხი გადაყლაპა, რის შემდეგაც იგი შებოჭეს. პატიმრის სამედიცინო ბარათის თანახმად, მას გამოუწერეს სასაქმებელი. თუმცა ციხეში ყოფნის განმავლობაში ის ფსიქიატრს საერთოდ არ შეუმოწმებია და არ ყოფილა არანაირი მცდელობა იმის დასადგენად, სპეციალური დეპარტამენტის სამარტოო საკანში ყოფნა დამატებით ხომ არ აუარესებდა მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას.[14]

კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ მთავრობას გადაედგა შესაბამისი ნაბიჯები, მონყვლადი პატიმრებისთვის სათანადო ზრუნვისა და მკურნალობის უზრუნველსაყოფად და რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმ-

11 *Ibid.*, პუნქტი 14.

12 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში საქართველოს მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის საქართველოში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2015)42, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, პუნქტი 120.

13 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ესპანეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ესპანეთში 2011 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2013)6, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2013, პუნქტი 66.

14 *Idem.*

რები გადაყვანილი ყოფილიყვნენ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.[15]

კომიტეტმა გამოთქვა გაოცება იმასთან დაკავშირებით, რომ შიმშილობის მარეგულირებელი პროტოკოლი არ ითვალისწინებდა მოშიმშილე პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასებას. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ასეთი შეფასების შედეგად გამოვლინდებოდა ისეთი შემთხვევები, როცა საკვებზე უარის თქმას ფსიქიატრიული ფონი აქვს. ამასთან, შიმშილობის მთელი პერიოდის განმავლობაში ფსიქიატრიული შემოწმება დაეხმარებოდა ექიმების ჯგუფს ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების დადგენაში, რაც მოშიმშილის მიერ თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესახებ გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობაზე ზეგავლენას ახდენს.[16]

ნიდერლანდები

ნამების პრევენციის კომიტეტის აზრით, სისტემაში უნდა არსებობდეს ნათლად ჩამოყალიბებული წერილობითი ინსტრუქციები. ეს დოკუმენტი პენიტენციურ დაწესებულებებს დეტალურ მითითებებს უნდა აძლევდეს, თუ რა ნაბიჯები გადადგან პატიმრის მიერ შიმშილობის გამოცხადების შემთხვევაში. ინსტრუქციები უნდა მოითხოვდეს სამედიცინო პერსონალის მხრიდან პატიმარზე გულდასმით და რეგულარულ მეთვალყურეობას და კრძალავდეს სადამსჯელო ღონისძიებების გამოყენებას მოშიმშილეთა წინააღმდეგ.[17]

ამასთან, კომიტეტი მიიჩნევს, რომ შიმშილობის შემთხვევების სათანადო მართვა მოითხოვს დაწესებულების ადმინისტრაციის აქტიურ ჩართვას, რათა, მაგალითად, უზრუნველყოფილი იქნეს კომუნიკაცია მოშიმშილესა და შესაბამის მესამე პირებს შორის, აგრეთვე მოშიმშილესა და იმ პირებს შორის მუდმივი დიალოგის უზრუნველსაყოფად, რომლებიც პატიმრის სურვილით, მის მოთხოვნებს აჟღერებენ.[18]

სომხეთი

კომიტეტმა მოსთხოვა სომხეთის მთავრობას, შეეცვალა მოშიმშილე პატიმრების მიმართ დამკვიდრებული მიდგომები. კერძოდ, მოშიმშილე პატიმრები ატარებდნენ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ, განსხვავებულ უნიფორმებს; მათ სადისციპლინო განყოფილებაში ან მის გვერდით

15 *Idem.*

16 *Ibid.*, პუნქტი 16.

17 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ნიდერლანდების სამეფოსადმი წამების პრევენციის კომიტეტის არუბაში 2007 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2008)2, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2008, პუნქტი 83.

18 *Ibid.*, პუნქტი 17.

მდებარე სპეციალურ საკანში განცალკევებით ამყოფებდნენ. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შიმშილობას ადმინისტრაცია უნდა მიუდგეს თერაპიული და არა სადამსჯელო კუთხით. პატიმრები უნდა იმყოფებოდნენ სათანადო პირობებში, სადაც მათ მდგომარეობაზე შესაბამისი სამედიცინო ზედამხედველობა განხორციელდება. ამასთან, ისინი არ უნდა განთავსდნენ სხვა პატიმრებთან შედარებით უარეს პირობებში.[19]

ავსტრია

ავსტრიის ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებაში მოშიმშილე პატიმრებს ათავსებდნენ სამარტოო საკანში და უქვემდებარებდნენ უფრო მკაცრ რეჟიმს; სხვა დაწესებულებებში მოშიმშილე პატიმრებს თავიანთ საკნებში ტოვებდნენ. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რომ შიმშილობას ადმინისტრაცია უნდა მიუდგეს თერაპიული და არა სადამსჯელო კუთხით.[20]

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში ვიზიტის დროს, დელეგაციამ შეიტყო, რომ იუსტიციის სამინისტრომ, 2004 წელს, პატიმართა შიმშილობის შესახებ ახალი ინსტრუქციები გამოსცა. ინსტრუქციები ძირითადად იმეორებს მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მალტის დეკლარაციას შიმშილობაზე. თუმცა, ეს ინსტრუქცია ასევე ითვალისწინებს, რომ თუ შიმშილობის გამოცხადების მიზეზები „გაუმართლებელია“, შიმშილობა რეჟიმის დარღვევად ჩაითვლება. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შიმშილობას ადმინისტრაცია უნდა მიუდგეს თერაპიული და არა სადამსჯელო კუთხით.[21]

იტალია

საკმარისი კონტაქტი გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით, ოჯახის წევრებთან, მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პატიმრებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გაურკვეველია, პატიმრებს, რომელთაც შიმშილობა აქვთ გამოცხადებული, ან უარს ამბობენ აუცილებელ მკურნალობაზე.[22]

---

19 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში სომხეთის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის სომხეთში 2010 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2011)24, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 118.

20 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ავსტრიის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის ავსტრიაში 2004 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2005)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2005, პუნქტი 51.

21 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში აზერბაიჯანის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის აზერბაიჯანში 2005 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2017)11, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2017, პუნქტი 50.

22 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის

ალბანეთი

კომიტეტმა წუხილი გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ციხის საავადმყოფოს არ ჰქონდა საბაზისო სამედიცინო მარაგი (ნემსები, დეზინფექციისა და სტერილიზაციის საშუალებები და მოწყობილობა, ასევე სასწორი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატიმრების შიმშილობისას).[23]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 2– სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული...

მუხლი 3 – წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ადამიანის იძულებით კვება დამამცირებელი მოპყრობის ელემენტებს შეიცავს, რაც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებად ჩაითვალოს. თუმცა, როცა დაკავებული პირი შიმშილობს, ამან შეიძლება გარდაუვალი კონფლიქტი წარმოშვას პირის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიურ ვალდებულებებს შორის. ეს არის კონფლიქტი, რომელიც თავად კონვენციით ვერ გადაიჭრება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ღონისძიება, რომელსაც მედიცინით დადგენილი პრინციპების თვალსაზრისით, სამკურნალო დანიშნულება აქვს, პრინციპში, არაადამიანურად და დამამცირებლად არ ითვლება. იგივე შეიძლება ითქვას იძულებით კვებაზეც, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული პატიმრის სიცოცხლის გადარჩენას, თუ ის გააზრებულად უარს ამბობს საკვების მიღებაზე. თუმცა, ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სამედიცინო აუცილებლობა

ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში იტალიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის იტალიაში 2010 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2013)30, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2013, პუნქტი 26.

23 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ალბანეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ალბანეთში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2016)6, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2016, პუნქტი 80.

დამაჯერებლად იქნა დადასტურებული. ამას გარდა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ იძულებით კვების გადაწყვეტილებით დაცულია საპროცესო გარანტიები. მეტიც, შიმშილობისას განმცხადებლისთვის საკვების იძულებით მინოდების ფორმამ არ უნდა გადააჭარბოს კონვენციის მე-3 მუხლზე სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.

რელევანტური საქმეები

ქართველი პატიმრის პრეტენზია, რომ მის შიმშილობაზე ხელისუფლებას რეაგირება არ ჰქონია: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[24] პატიმარი დავობდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე. კერძოდ, მისი განცხადებით, პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების დროს, ის შიმშილობდა 115 დღის განმავლობაში და ამ პერიოდში უფლებამოსილ ორგანოებს შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენიათ. პატიმრის განცხადებით, ის შიმშილობდა 2001 წლის თებერვლიდან მაისამდე, მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების გამო პროტესტის ნიშნად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრის იძულებით კვებას ადგილი არ ჰქონია და პატიმარს არც გამოუთქვამს ევროპული სასამართლოს წინაშე პრეტენზია, რომ ასეთ ქმედებას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, საქმის მასალებიდან არ ჩანდა, რომ პატიმრის სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა ხელისუფლების დამოკიდებულების გამო და შესაბამისად, იძულებით კვება გამართლებული იქნებოდა „სამედიცინო აუცილებლობიდან“ გამომდინარე. საქმის მასალებიდან ასევე არ ჩანდა, რომ პატიმარს უარი ეთქვა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის სამედიცინო მკურნალობაზე, ან რომ სამედიცინო თვალსაზრისით, მისი პენიტენციურ დანესებულებაში დარჩენა დაუშვებელი იყო. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ განაცხადი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, არსებითად განსახილველად არ მიიღო.

პატიმრის პრეტენზია შიმშილის გამოცხადების შემდეგ მის იძულებით მკურნალობაზე: განაცხადი დაუშვებელია

24 ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ *(Pandjikidze et Autres c. Georgie)*, განაცხადი no. 30323/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის განჩინება.

ფაქტები:[25] პატიმარმა შიმშილობა დაიწყო 2001 წლის ივნისს. რამდენიმე თვის შემდეგ ის დააწვინეს სამოქალაქო საავადმყოფოს პენიტენციურ განყოფილებაში, მაგრამ პატიმარმა უარი თქვა მკურნალობაზე. ექსპერტიზის დასკვნით, მას დაუდგინდა ვერნიკე კორსაკოვის სინდრომი.[26] პატიმრის შუამდგომლობა განთავისუფლებაზე არ დაკმაყოფილდა და 2002 წლის თებერვალში მას მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ერთ თვეში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ექიმებმა გადაწყვიტეს მკურნალობა მისი ნების საწინააღმდეგოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირების კეთილდღეობა, მაგალითად, მათთვის საჭირო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით. მოცემულ შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2001 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, პატიმარი საავადმყოფოში მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იყო. 2002 წლის 15 მარტამდე ექიმებმა არ მიმართეს პატიმრის ნების საწინააღმდეგო მკურნალობას. 15 მარტს პატიმრის მდგომარეობა დამძიმდა და ექიმებმა მიიჩნიეს, რომ სამედიცინო ჩარევა და იძულებითი კვება აუცილებელი იყო. შესაბამისად, იქამდე, სანამ პატიმრის სამედიცინო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო, ექიმებმა პატივი სცეს მის არჩევანს და იძულებითი მკურნალობისთვის არ მიუმართავთ. ისინი ჩაერივნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა დადგინდა ამის სამედიცინო აუცილებლობა. ამის შემდეგ ისინი მოქმედებდნენ პატიმრის ინტერესებში, რომ თავიდან აერიდებინათ მისი ჯანმრთელობისთვის შეუქცევადი ზიანის მიყენება. ამას გარდა, საქმის მასალებიდან არ დასტურდებოდა, რომ იძულებითი მკურნალობის მიზანს პატიმრის დამცირება ან მისი დასჯა შეადგენდა. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სპეციალური შემაკავებელი საშუალებები იძულებითი მკურნალობის დროს არ გამოყენებულა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადი მე-3 მუხლის დარღვევაზე აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნია და არსებითად განსახილველად არ მიიღო.

პატიმრის გარდაცვალება ხანგრძლივი შიმშილის შედეგად: არ-დარღვევა

ფაქტები:[27] 1999 წელს, განმცხადებლის ვაჟს წარედგინა ბრალი ტერორიზ-

25 ოზგიული თურქეთის წინაღმდეგ (*Özgül c. Turquie*), განაცხადი no. 7715/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის განჩინება.
26 ფატალური ნევროლოგიური დისფუნქცია, ენცეფალოპათია,
27 ჰოროზი თურქეთის წინაღმდეგ (*Horoz c. Turquie*), განაცხადი no. 1639/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება.

მში და კონსტიტუციური წესრიგის დარღვევაში. განმცხადებლის ვაჟს შეეფარდა პატიმრობა, აღკვეთის ღონისძიების სახით. 2001 წელს, პატიმარი შეუერთდა შიმშილობის მასობრივ აქციას. პატიმრები მხოლოდ შაქრიან წყალსა და ვიტამინებს იღებდნენ. პატიმარი რამდენჯერმე დააწვინეს საავადმყოფოში გონების დაკარგვის გამო. ექსპერტიზის დასკვნით, მას დაუდგინდა „არასაკმარისი კვების გამო ტერმინალური უკმარისობა". იმავე დასკვნით, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთასთან შეუთავსებელი იყო. პატიმრის ადვოკატმა მისი კლიენტის პირობით ვადამდე განთავისუფლება მოითხოვა. ეროვნულმა სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ვინაიდან პირობით ვადამდე განთავისუფლება მსჯავრდებულ პირებზე ვრცელდებოდა და არა პატიმრობაში მყოფ პირებზე და რომ პატიმარს შეეძლო, სამოქალაქო საავადმყოფოს პენიტენციურ განყოფილებაში გაევლო მკურნალობა. განთავისუფლებაზე უარის თქმიდან რამდენიმე დღის შემდეგ, პატიმარი სამოქალაქო საავადმყოფოს პენიტენციურ განყოფილებაში გარდაიცვალა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, დადგენილი ფაქტი იყო, პატიმარი შიმშილობის შედეგად გარდაიცვალა. მართალია, ექსპერტიზის დასკვნით, პატიმარი უნდა განთავისუფლებულიყო, მაგრამ ეს დასკვნა ეროვნულმა სასამართლომ არ გაიზიარა და პატიმარი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა, რომ პატიმარი განთავისუფლებულიყო. თუმცა საქმეში არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, რომელიც ევროპულ სასამართლოს ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილების უარყოფითად შეფასების საფუძველს მისცემდა. პენიტენციურმა დაწესებულებამ დაიცვა პატიმრის ხელშეუხებლობა და უზრუნველყო მისი სათანადო მკურნალობა. საქმის მასალებში არ არსებობდა მტკიცებულება, რომ პატიმარს არ მიუღია ის მკურნალობა სამოქალაქო საავადმყოფოს პენიტენციურ განყოფილებაში, რომელსაც განთავისუფლების შემთხვევაში მიიღებდა. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი პატიმრის არგანთავისუფლებასა და მის გარდაცვალებას შორის. შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა. ამასთან, მოცემულ პერიოდში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფაქტების დამდგენმა დელეგაციამ შეისწავლა თურქეთის ციხეებში მასობრივად მოშიმშილე პირების მდგომარეობა და დაადგინა, რომ პატიმარმა საკუთარი სურვილით გამოაცხადა შიმშილობა, მიიღო შესაბამისი სამედიცინო დახმარება და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ის დატოვეს პატიმრობაში, მე-3 მუხლს არ არღვევდა.

პატიმრის იძულებით კვება: დარღვევა

ფაქტები:[28] პატიმარი დაიბადა 1965 წელს. ჰქონდა მოზაიკური შიზოფრენია. ბრალი ედებოდა თაღლითობაში და შეფარდებული ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა.

პატიმრობის განმავლობაში, ბრალდებულმა რამდენჯერმე გამოაცხადა შიმშილობა თავისი და თავისი ოჯახის წევრების უფლებების დარღვევის გამო. პატიმარი ნახევარი წლის განმავლობაში თითქმის ყოველ თვე შიმშილობდა. სამედიცინო დასკვნის თანახმად, მისი ჯანმრთელობა სერიოზულად გაუარესდა. დაწესებულების ადმინისტრაციამ პატიმრის იძულებით კვებაზე მიიღო გადაწყვეტილება. 2001 წლის 24 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე, პატიმარმა საკვები იძულებით მიიღო 3, 5, 6, 7, და 10 სექტემბერს. ამასთან, იგი დაესწრო სასამართლო სხდომებს 4 და 13 სექტემბერს.

პატიმარმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იჩივლა იმ ტკივილისა და დამცირების შესახებ, რომელიც მან იძულებით კვებისას განიცადა. კერძოდ, პატიმარს იძულებითი კვების დაწყებამდე ყოველთვის ადებდნენ ხელბორკილებს, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური წინააღმდეგობა არასოდეს გაუწევია; ციხის თანამშრომლები თმებს ქაჩავდნენ, კისერზე უჭერდნენ და ფეხებზე აბიჯებდნენ, ვიდრე ტკივილისგან პირს არ გააღებდა; შემდეგ რკინის გამაფართოებლით პირს ღია მდგომარეობაში უფიქსირებდნენ, რკინის მარწუხებით ენას გამოქაჩავდნენ, მყარი პლასტმასის მილს კუჭამდე ძალით ჩაჩრიდნენ და ამ გზით თხევადი საკვები ორგანიზმში შეყავდათ. პატიმრის თქმით, ყოველივე ეს მას ძლიერ ტკივილს აყენებდა. რკინის გამაფართოებლის მოშორების შემდეგ პატიმარს ღრძილებიდან სისხლი სდიოდა და ლაპარაკი არ შეეძლო. გამაფართოებელს ტკივილის შესამცირებლად რბილი სარჩული არ ჰქონდა გადაკრული და მრავალჯერადად გამოიყენებოდა ისე, რომ ინფექციის კერა იყო. პატიმრის მტკიცებით, მას ერთი კბილი ჩაემტვრა და ნაწლავური ინფექციით დაავადდა.

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მტკიცებით, ექიმები ვალდებულნი იყვნენ, გადაერჩინათ პატიმრის სიცოცხლე, რადგანაც 24 დღის განმავლობაში შიმშილობამ მის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენა. ჯანმრთელი ადამიანის სიცოცხლე 30 დღიანი შიმშილობის შემდეგ სერიოზულ საფრთხეშია, მითუმეტეს, პატიმარი მოწყვლად მდგომარეობაში იყო და მის შემთხვევაში, ეს საფრთხე უფრო ადრეც იჩენდა თავს. იძულებით კვებას ითვალისწინებდა კანონი, მისი აუცილებლობა დადგინდა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, ბრძანება გასცა და ზედამხედველობა გასწია კვალიფიციურმა სამედიცინო პერსონალმა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასე-

28 სიორაპი მოლდოვას წინააღმდეგ *(Ciorap v. Moldova)*, განაცხადი no. 12066/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება.

ბა: ევროპულმა სასამართლომ ჯერ შეამოწმა, რამდენად არსებობდა სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებლობა, რომ პატიმარი იძულებით კვებას დაქვემდებარებოდა. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ შიმშილობის პერიოდში პატიმრის წინააღმდეგ გამოყენებული დისციპლინური ზომები (სამარტოო საკანში მოთავსება) და ეროვნული სასამართლოების მსჯელობა ადასტურებდა, რომ ეროვნულ დონეზე შიმშილობა რეჟიმის დარღვევად ითვლებოდა და ისიც, თუ როგორ იღებდა პატიმარი საკვებს, ადასტურებდა პატიმრის პრეტენზიას, რომ იძულებითი კვება მის დასჯას ემსახურებოდა და არა მისი სიცოცხლის გადარჩენას.

ევროპული სასამართლოსთვის გაუგებარი იყო ის გარემოება, რომ თუ ადმინისტრაციამ აუცილებლად მიიჩნია პატიმრის იძულებით კვება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, როგორ იყო პატიმარი იმავე პერიოდში საკმარისად ჯანმრთელი, რომ 5-ჯერ დასწრებოდა სასამართლო სხდომებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მოლდოვას მიერ ნარდგენილ მასალებში არ იყო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც მორიგე ექიმმა განმცხადებლის იძულებით კვება გადაწყვიტა. იძულებით კვების დაწყება დაფიქსირდა ერთადერთ ჩანაწერში, სადაც მითითებული იყო, რომ პირს საკვები იძულებით მისცეს და იქვე აღნიშნული იყო საკვების ტიპი და რაოდენობა. იძულებით კვების პროცედურის დაწყების მიზეზები აღწერილი არ იყო. მორიგე ექიმმა თითოეულ ჯერზე პატიმრის ჯანმრთელობა აღწერა, როგორც „შედარებით დამაკმაყოფილებელი" ან „დამაკმაყოფილებელი". ასეთი შეფასება არ შეესაბამება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობას, რომლის დროსაც აუცილებელი ხდება საკვების იძულებით მინოდება. ექიმს უნდა ჩამოეყალიბებინა იძულებით კვების მიზეზები. ვინაიდან პატიმრის სამედიცინო ბარათში ამგვარი მიზეზები არ დაფიქსირებულა, მას ეს მნიშვნელოვანი გარანტია დაერღვა.

იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა მტკიცებულება, იდგა თუ არა განმცხადებლის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის ქვეშ, მისი იძულებით კვებისას ციხის ადმინისტრაცია არ მოქმედებდა პატიმრის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ განიხილა იძულებით კვების ფორმა. სასამართლომ აღნიშნა, რომ გაოგნებული იყო იძულებით კვების ფორმით. ამას გარდა, დაირღვა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები, როგორიც იყო იძულებით კვების დაწყების თუ დასრულების მიზეზების ახსნა ან შეფარდებული საკვების შემადგენლო-

ბის და რაოდენობის განსაზღვრა. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ პატიმარი ითხოვდა ზონდის საშუალებით იძულებით კვების ნაცვლად მისთვის საკვები ინტრავენური გზით შეეყვანათ, რისთვისაც საჭირო მასალებს მისი ოჯახის წევრები მოიტანდნენ. ამასთან დაკავშირებით რეაგირება არ ყოფილა. შესაბამისად, იძულებით კვების ნაკლებად ინვაზიური ალტერნატივა არც კი განხილულა. სასამართლომ დაასკვნა, რომ იძულებით კვების გამოყენებული ფორმა აუცილებელზე მეტად მტკივნეული და დამამცირებელი იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პატიმრის რამდენჯერმე იძულებით კვება, რისი საჭიროებაც არ მტკიცდებოდა და მიზნად ისახავდა პირის იძულებას, შეეწყვიტა, პროტესტის ეს ფორმა, თანაც ისეთი ფორმით, რომელიც განმცხადებელს ძლიერ ფიზიკურ ტკივილსა და დამცირებას აყენებდა (რისი საჭიროებაც არ ჩანდა), შეიძლებოდა მხოლოდ წამებად დაკვალიფიცირებულიყო.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 20 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

პატიმრის იძულებითი კვება: დარღვევა

ფაქტები.[29] პატიმარმა რამდენჯერმე დაიწყო შიმშილობა. ის დაექვემდებარა შემდეგი სახის იძულებით კვებას: ხელბორკილებით მიაბამდნენ სკამზე ან გამათბობელზე და აიძულებდნენ რეზინის ზონდის გადაყლაპვას, რომელიც მიერთებული იყო სპეციალური საკვები ნარევით სავსე კონტეინერთან. კვების ამდაგვარი მეთოდის გამო, პატიმარი ამტკიცებდა, რომ ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა შეერყა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ იყო დამტკიცებული პატიმრის იძულებით კვების სამედიცინო აუცილებლობა. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ ღონისძიება თვითნებური იყო. შესაბამისი გარანტიები არ შესრულებულა. ციხის ადმინისტრაცია პატიმრის ინტერესებში არ მოქმედებდა. პატიმარი ეწინააღმდეგებოდა იძულებით კვებას, რის გამოც გამოყენებული იქნა ხელბორკილები, პირის გამაფართოებელი, სპეციალური ზონდი. ასეთმა მოპყრობამ შეადგინა წამება.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს

29 ნევმერჟიტსკი უკრაინის წინააღმდეგ *(Nevmerzhitsky v. Ukraine)*, განაცხადი no. 54825/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება.

დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 20 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

მოშიმშილე პატიმარმა იჩივლა იმის თაობაზე, რომ განთავისუფლების ნაცვლად მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის იძულებით კვებაზე: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[30] სხვადასხვა დანაშაულისთვის პირს მიესაჯა 5 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. 2010 წლის მარტში, სასჯელის მოხდის პირველი დღიდანვე, მსჯავრდებულმა დაიწყო შიმშილი, რითაც ის აპროტესტებდა მასზე გადამეტებულად მკაცრი სასჯელის დაკისრებას. ამტკიცებდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა, პატიმარმა მოითხოვა სასჯელის მოხდისგან განთავისუფლება. 2010 წლის აგვისტოში, ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განთავისუფლების ქმედითი ალტერნატივა იძულებით კვება იყო. 2010 წლის დეკემბერში, მსჯავრდებულმა თავი დაანება შიმშლობას. მსჯავრდებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აცხადებდა, რომ ვინაიდან, უარი ეთქვა განთავისუფლებაზე, ხელისუფლებამ მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო. მსჯავრდებული აგრეთვე ამტკიცებდა, რომ განთავისუფლებაზე უარის თქმით, ის დაექვემდებარა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებას არ დაურღვევია თავისი პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა მსჯავრდებულის სიცოცხლე და უზრუნველეყო იგი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის შესაფერისი პატიმრობის პირობებით.

როდესაც პატიმარი აცხადებს შიმშილობას, მისი ქმედების პოტენციური შედეგები, რაც, ცხადია, უარყოფითად აისახება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, არ გამოიწვევს კონვენციის დარღვევას, თუ კომპეტენტურმა ორგანოებმა შეისწავლეს სიტუაცია და იმუშავეს პრობლემის გადაჭრაზე. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, უარს ამბობს საკვებისა და სასმელის მიღებაზე. მოცემულ საქმეში, ადმინისტრაციულმა და სასამართლო ორგანოებმა დაუყოვნებლივ აღიარეს ის რისკი, რომელიც ემუქრებოდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და მიიღეს ის ზომები, რომლებიც, მათი აზრით, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული რისკის თავიდან ასაცილებლად. მსჯავრდებულის მდგომარეობა საგანგაშო გახდა 2010 წლის ოქტომბერში. ამ დროისათვის იგი უკვე აღარ იმყოფებოდა ციხეში, არამედ მკურნალობდა სამოქალაქო საავადმყოფოს პენიტენცი-

30 რაპა შვეიცარიის წინააღმდეგ *(Rappaz v. Switzerland)*, განაცხადი no. 73175/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის განჩინება.

ურ განყოფილებაში. მსჯავრდებული ექვემდებარებოდა ექიმის გამუდმებულ მეთვალყურეობას, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებას აწვდიდა ინფორმაციას სიტუაციის ცვლილების შემთხვევაში. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გასცა განკარგულება იძულებით კვებაზე, რასაც დაეთანხმა ეროვნული სასამართლო. მაშინ როდესაც, მსჯავრდებულის მკურნალმა ექიმმა უარი თქვა ასეთი ნაბიჯის გადადგმაზე, ვინაიდან ეს წინააღმდეგობაში მოდიოდა მისი პაციენტის ნებასთან, ეროვნულმა სასამართლომ ექიმის მიმართ სპეციალური განკარგულება გასცა, რომლის თანახმადაც, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ექიმის წინააღმდეგ დაიწყებოდა შესაბამისი სამართალწარმოება. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა სათანადოდ შეისწავლეს მსჯავრდებულის საქმე და გადაწყვიტეს იგი კონვენციის მე-2 მუხლში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უდავო იყო ხელისუფლების მხრიდან მსჯავრდებულის სიცოცხლის შენარჩუნების მიზანი. უფრო მეტიც, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ საავადმყოფოში ყოფნისას, მსჯავრდებული იღებდა იმ ხარისხის მკურნალობას, რომელსაც იგი მიიღებდა ციხის გარეთ შიმშილობის გამოცხადების შემთხვევაში.

რაც შეეხება იძულებით კვების განკარგულებას, არ იყო დადგენილი, განკარგულება აღსრულდა თუ არა. თავად განკარგულება ემყარებოდა სამედიცინო აუცილებლობას. კერძოდ, პატიმრის იძულებით კვების განკარგულება გაიცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშო გახდა. მისი აღსრულება უნდა მომხდარიყო მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმების მიერ საავადმყოფოში, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით აღჭურვილი იქნებოდა ასეთი პროცედურისათვის აუცილებელი მოწყობილობით; ექიმების მიერ გამოთქმული პროტესტი იყო უფრო ეთიკური, ვიდრე სამედიცინო ხასიათის. რაც შეეხება გარანტიებს, მოშიმშილე პატიმართა იძულებით კვებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციები რაიმე კონკრეტულ წესებს არ ითვალისწინებდა. თუმცა, ექიმებისთვის მიცემული განკარგულება ეფუძნებოდა ეროვნული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის იძულებით კვების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ეროვნულმა სასამართლომ საფუძვლიანად გამოიკვლია საკითხი და ჩამოაყალიბა პრინციპები, რომლებითაც განიმარტა კანონმდებლობის მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში. ეროვნულმა სასამართლომ აგრეთვე განმარტა, რომ საკანონმდებლო რეგულირების არარსებობისას, სერიოზული, აშკარა და გარდაუვალი საფრთხის გამო ფუძემდებლური უფლებების შეზღუდვა კანონის გარდა სხვა საშუალებებითაც შეიძლებოდა (მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო წესით). ზოგადი კანონმდებლობა და კონსტიტუციით შექმნილი სამართლებ-

რივი წესრიგი ამგვარი შეზღუდვის საშუალებას იძლეოდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, მსგავსი განმარტება შეესაბამებოდა წინასწარგანჭვრეტადობის, სიცხადის და პროპორციულობის მოთხოვნებს. სასამართლომ დაასკვნა, რომ თუნდაც მსჯავრდებულს შიმშილობა გაეგრძელებინა და მისი იძულებით კვების შესახებ განკარგულება ფაქტობრივად აღსრულებულიყო, არ არსებობდა საფუძველი, ევროპულ სასამართლოს ევარაუდა, რომ მსჯავრდებულის მიმართ მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლს დაარღვევდა. განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია

მალტას დეკლარაცია[1]

ა) პრეამბულა

ადამიანი შიმშილობას სხვადასხვა კონტექსტში იწყებს, მაგრამ შიმშილობის გამოცხადება დილემას ძირითადად თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში იწვევს (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილები, საიმიგრაციო პატიმრობის ცენტრები). შიმშილობის გამოცხადება ხშირად პროტესტის ფორმაა იმ ხალხისთვის, რომელიც თავისი მოთხოვნების გაუღერების სხვა გზებს მოკლებულია. იმით, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უარს ამბობენ საკვების მიღებაზე, ისინი, როგორც ნესი, გარკვეული მიზნების მიღწევას იმედოვნებენ ხელისუფლებისთვის უარყოფითი პიარის შექმნით. საკვებზე ხანმოკლე ან მოგონილი უარი იშვიათად წარმოშობს ეთიკურ პრობლემებს. ნამდვილი და გახანგრძლივებული შიმშილობა იწვევს სიკვდილს ან მოშიმშილის ჯანმრთელობისთვის მუდმივი ზიანის მიყენებას და შეიძლება ექიმები ღირებულებათა კონფლიქტი წინაშე დააყენოს. როგორც ნესი, მოშიმშილეებს სიკვდილი არ სურთ, მაგრამ, გარკვეულწილად, მზად არიან ამისთვის, რათა თავიანთ მიზნებს მიაღწიონ.

ექიმებმა უნდა დაადგინონ მოშიმშილის ქვეშმარიტი ზრახვები, განსაკუთრებით, ეს ეხება კოლექტიურ შიმშილობას ან იმ შემთხვევებს, როცა სხვა პატიმრებისგან ზეწოლა შეიძლება განმაპირობებელი ფაქტორი იყოს. ეთიკური დილემა წარმოიშვება, როცა მოშიმშილეები, რომლებსაც ცალსახა მითითება აქვთ მიცემული, რომ არ უნდათ რეანიმაცია, გონების დაბინდვის სტადიას აღწევენ. ერთის მხრივ, ექიმს დახმარების ვალდებულება აიძულებს, მიმართოს რეანიმაციას, მაგრამ ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემის გამო, ექიმი თავს იკავებს ჩარევისგან, როცა პირს ამაზე საღი და გაცნობიერებული უარი აქვს ნათქვამი. დამატებითი სირთულე წარმოიშვება საპატიმრო პირობებში, ვინაიდან ყოველთვის არ არის ნათელი, მოშიმშილის წინასწარი მითითებები ნებაყოფლობით იყო გაცემული თუ არა და ჰქონდა თუ არა მას სათანადო ინფორმაცია შედეგების შესახებ. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები და განმარტებები მსგავს რთულ შემთხვევებს შეეხება.

1 მალტას დეკლარაცია მოშიმშილეებზე, მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ მალტაში, 1991 წელს. გადაისინჯა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2006 ნელს.

ბ) პრინციპები

1. ეთიკურად ქმედების ვალდებულება. ყველა ექიმი ვალდებულია, დაიცვას სამედიცინო ეთიკა მოწყვლად პირებთან პროფესიული კონტაქტის დროს მაშინაც, როცა თერაპიულ მკურნალობას არ უზრუნველყოფს. მათი როლის მიუხედავად, ექიმებმა უნდა ეცადონ და თავიდან აიცილონ პატიმრების იძულება თუ არასწორი მკურნალობა და დაიცვან ისინი, თუ მსგავსს ექნება ადგილი.

2. ავტონომიის პატივისცემა. ექიმებმა პატივი უნდა სცენ ინდივიდის ავტონომიას. ეს შეიძლება სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, რადგან მოშიმშილეთა ჭეშმარიტი სურვილები შეიძლება ისეთი ნათელი არ იყოს, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. გადაწყვეტილება მოკლებულია მორალურ საფუძველს, თუ მიღებულია მუქარით, იმავე ჯგუფის სხვა წევრებისგან ზეწოლით ან იძულებით. მოშიმშილეები არ უნდა დაექვემდებარონ მკურნალობას, რომელზეც ისინი უარს აცხადებენ. იძულებით კვება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საკვების მიღებაზე გააზრებულ და ნებაყოფლობით უართან, გაუმართლებელია. ხელოვნური კვება, რომელზეც არსებობს მოშიმშილის ცალსახა ან ნაგულისხმები თანახმობა, ეთიკურად მისაღებია.

3. „სარგებელი" და „ზიანი". ექიმებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი უნარები და ცოდნა, რათა სარგებელი მოუტანონ მათ, ვისაც მკურნალობენ. ეს არის დახმარების კონცეფცია, რომელსაც ემატება "*non-maleficence*"[2] ან „*primum non nocere*".[3] ეს ორი კონცეფცია წონასწორობაში უნდა იყოს. „სარგებელი" გულისხმობს ინდივიდის სურვილის პატივისცემასაც და მისი კეთილდღეობის ხელშეწყობასაც. „ზიანის" თავიდან აცილება გულისხმობს არა მარტო ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემცირებას, აგრეთვე საღ გონებაზე მყოფი პირების იძულებითი მკურნალობისა და შიმშილობის შეწყვეტის დაუშვებლობას. დახმარების, სარგებლობის მოტანის პრინციპი უცილობლად არ გულისხმობს ყველაფრის ფასად და სხვა ფასეულობების იგნორირებით სიცოცხლის გახანგრძლივებას.

4. ორმაგი ლოიალობის დაბალანსება. ექმები, რომლებიც უვლიან მოშიმშილეებს, შეიძლება განიცდიდნენ კონფლიქტის გრძნობას, ერთი მხრივ დამსაქმებლის (ციხის ადმინისტრაცია) ერთგულებასა და მეორე მხრივ, პაციენტების მიმართ ერთგულებას შორის. ასეთი ექიმები, რომლებსაც ორმაგი ლოალობის ვალდებულებები აკისრიათ, ხელმძღვანელობენ იგივე ეთიკური პრინციპებით, რომლებითაც სხვა ექიმები, ანუ ისინი პირველ რიგში პაციენტის ინტერესების მიმართ უნდა იყვნენ ერთგულნი.

---

2 სჯობს, არ იმოქმედო, ვიდრე დააზიანო.

3 უნინარეს ყოვლისა, არ მიაყენო ზიანი.

5. კლინიკური დამოუკიდებლობა. ექიმები თავიანთ შეფასებებში დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ და არ უნდა დაუშვან მესამე მხარის მიერ თავიანთ სამედიცინო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოახდენა. ისინი არ უნდა დაემორჩილონ ზემოქმედებას და ეთიკური პრინციპების დარღვევას, როგორიცაა სამედიცინო ჩარევა არაკლინიკური საფუძვლებით.

6. კონფიდენციალობა. კონფიდენციალობის ვალდებულება მნიშვნელოვანია ნდობის დასამყარებლად, თუმცა არ არის აბსოლუტური ხასიათის. მისგან გადახვევა შეიძლება, თუ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა სერიოზულ ზიანს მიაყენებს სხვებს. სხვა პაციენტების მსგავსად, მოშიმშილეთა კონფიდენციალობა უნდა იყოს დაცული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი თანახმა არიან ინფორმაციის გამჟღავნებაზე და როცა ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია სერიოზული ზიანის თავიდან ასაცილებლად. თუ პირი თანახმაა, მის ნათესავებსა და იურიდიულ კონსულტანტებს მდგომარეობის შესახებ უნდა ეცნობოთ.

7. ნდობის მოპოვება. ნდობის დამყარება ექიმსა და მოშიმშილეს შორის ხშირად მნიშვნელოვანი ასპექტია საკითხის იმდაგვარი გადაწყვეტისთვის, რომ პატივი ეცეს მოშიმშილეთა უფლებებსაც და შემცირებული იქნეს მათთვის ზიანის მიყენება. ნდობის მოპოვებით შეიძლება გამოინახოს რთული სიტუაციების გადაჭრის გზები. ნდობის მიღწევა დამოკიდებულია ექიმებზე, რომლებიც მოშიმშილეებს აძლევენ ზუსტ კონსულტაციას და გულახდილნი არიან იმასთან დაკავშირებით, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი – არა, იმის ჩათვლით, შეუძლიათ თუ არა კონფიდენციალობის გარანტირება.

გ) სახელმძღვანელო პრინციპები შიმშილობის მართვისთვის

1. ექიმებმა უნდა შეაფასონ პირის ფსიქიკური შესაძლებლობები. ეს გულისხმობს იმის შემოწმებასაც, ხომ არ აქვს პატიმარს, რომელიც შიმშილობას აპირებს, ფსიქიკური პრობლემები, რომლებიც სერიოზულად დააზიანებს მის შესაძლებლობას, გააზრებულად მიიღოს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. პირები, რომლებსაც აქვთ სერიოზული ფსიქიკური პრობლემები, ვერ ჩაითვლებიან მოშიმშილეებად. მათ უნდა მიიღონ მკურნალობა თავიანთი ფსიქიკური პრობლემების მოსაგვარებლად, იმის ნაცვლად, რომ მიეცეთ ნება, იშიმშილონ და ზიანი მიაყენონ თავიანთ ჯანმრთელობას.

2. შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, ექიმებმა უნდა მოიპოვონ იმ პატიმრის დეტალური და ზუსტი სამედიცინო ისტორია, რომელიც შიმშილობას აპირებს. პატიმარს უნდა აეხსნას სამედიცინო

თვალსაზრისით არსებული თითოეული პრობლემა. ექიმებმა უნდა შეამოწმონ, რომ მოშიმშილეები აცნობიერებენ თავიანთი ჯანმრთელობისთვის შიმშილობის შესაძლო მავნე შედეგებს და მარტივი ენით უნდა გააფრთხილონ ამგვარი მოქმედების უარყოფითი ასპექტების შესახებ. ექიმებმა ასევე უნდა აუხსნან მოშიმშილეებს, თუ როგორ შეიძლება ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემცირება, ან შეყოვნება, მაგალითად, სითხეების მიღების გაზრდით. ვინაიდან შიმშილობის შესახებ პირის გადაწყვეტილება შეიძლება ნუთიერი იყოს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ექიმებმა უზრუნველყონ პაციენტის მიერ შიმშილობის სამედიცინო შედეგების სრულად გააზრება. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ინფორმირებული თანხმობის სუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ექიმმმა უნდა უზრუნველყოს, რომ პაციენტი იაზრებს მისთვის მინოდებულ ინფორმაციას, იმით, რომ მოსთხოვოს მას გამეორება, თუ რა გაიგო.

3. პატიმარი გულდასმით უნდა შემოწმდეს შიმშილობის დასაწყის სტადიაზევე. შემდგომი სიმპტომების მართვა, იმის ჩათვლითაც, რაც არ არის დაკავშირებული შიმშილობასთან, განხილული უნდა იქნეს მოშიმშილესთან. აგრეთვე, გახანგრძლივებული შიმშილობის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ინდივიდის ღირებულებები და სურვილები სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით.

4. ზოგჯერ მოშიმშილეები ეთანხმებიან ფიზიოლოგიური ხსნარის ინტრავენურ გადასხმას, ან სამედიცინო მკურნალობის სხვა ფორმებს. კონკრეტულ ჩარევაზე უარმა არ უნდა იმოქმედოს სამედიცინო ზრუნვის ნებისმიერ სხვა ასპექტზე, როგორიცაა, მაგალითად ინფექციების მკურნალობა თუ ტკივილის გაყუჩება.

5. ექიმები პირადად უნდა ესაუბრონ მოშიმშილეებს და ამ საუბრის მოსმენა სხვას არ უნდა შეეძლოს, მათ შორის, არც სხვა პატიმრებს. ნათელი კომუნიკაცია აუცილებელია და საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყვნენ მოყვანილნი თარჯიმნები, რომლებსაც არ აქვთ კავშირი ციხის ადმინისტრაციასთან და მათაც უნდა დაიცვან კონფიდენციალობა.

6. ექიმები უნდა დარწმუნდნენ, რომ უარი საკვებსა თუ მკურნალობაზე არის ინდივიდის ნებაყოფლობითი არჩევანი. მოშიმშილეები დაცულნი უნდა იყვნენ იძულებისგან. ექიმებს ხშირად შეუძლიათ დახმარება აღნიშნული მიზნის მისაღწევად და ისინი აგრეთვე უნდა აცნობიერებდნენ, რომ შეიძლება, ადგილი ჰქონდეს იძულებას სხვა პატიმრებისგან, ხელისუფლებისგან ან სხვა პირებისგან, მაგალითად, ოჯახის წევრებისგან. ექიმსა თუ სხვა სამედიცინო პერ-

სონალს არ აქვს უფლება, არასათანადო ზემოქმედებას მიმართოს შიმშილობის შესაჩერებლად. მოშიმშილის მკურნალობა თუ ზრუნვა არ უნდა იყოს პირობადადებული შიმშილობის შეწყვეტით.

7. თუ ექიმს არ შეუძლია, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამო, გაითვალისწინოს მოშიმშილის უარი მკურნალობასა თუ ხელოვნურ კვებაზე, მან თავიდანვე უნდა აცნობოს ამის შესახებ მოშიმშილეს და გადაამისამართოს იგი სხვა ექიმთან, რომელიც მზადაა, პატივი სცეს მოშიმშილის უარს.

8. ექიმსა და მოშიმშილეს შორის კომუნიკაციის შენარჩუნებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ექიმებმა ყოველდღიურად უნდა გადაამოწმონ, მოშიმშილეს სურს თუ არა შიმშილობის გაგრძელება და რისი გაკეთება სურთ მათ, როცა გააზრებული კომუნიკაციის შესაძლებლობა აღარ ექნებათ. ყველა ეს დასკვნა სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული.

9. როდესაც ექიმს საქმე გადაეცემა, მოშიმშილეს შეიძლება უკვე დაკარგული ჰქონდეს აზროვნების უნარი და ექიმი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, ინდივიდთან განიხილოს ამ უკანასკნელის სურვილი სიცოცხლის შენარჩუნებასა და სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებით. ამ დროს დაცული უნდა იყოს ნებისმიერი წინასწარი მითითება, რაც კი მიცემული ჰქონდა მოშიმშილეს. მკურნალობაზე წინასწარი უარი უნდა შესრულდეს, თუ ის ასახავს საღ გონებაზე მყოფი ინდივიდის ნება-სურვილს. საპატიმრო პირობებში, გათვალისწინებული უნდა იყოს იმის შესაძლებლობა, რომ მითითებები შეიძლება გაცემული ყოფილიყო იძულებით. როდესაც ექიმს აქვს სერიოზული ეჭვი ინდივიდის სურვილთან დაკავშირებით, ნებისმიერი მითითება სიფრთხილით უნდა შესრულდეს. თუ სათანადოდ ინფორმირებული და ნებაყოფლობითია წინასწარი მითითება, ექიმს მაინც შეუძლია მას გადაუხვიოს, მხოლოდ მაშინ, როცა ეს მითითებები ძალას კარგავს, ვინაიდან ის პირობები, რომელებშიც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ინდივიდმა დაკარგა საღი განსჯის უნარი.

10. თუ არ არის შესაძლებელი ინდვიდთან საუბარი და არანაირი წინასნარი მითითება არ არსებობს, ექიმებმა უნდა იმოქმედონ ისე, როგორც ისინი მიიჩნევენ ინდივიდის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. ეს გულისხმობს მოშიმშილის ადრე გამოთქმულ სურვილებს, მის პირად და კულტურულ ღირებულებებს, ასევე მის ფიზიკურ ჯანმრთელობას. თუ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება მოშიმშილის მიერ გამოთქმულ სურვილებზე, ექიმებმა უნდა გადაწყვიტონ, უზრუნველყონ თუ არა კვება ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს მესამე პირებისგან ჩარევას.

11. ექიმებმა შეიძლება მიიჩნიონ, რომ საჭიროა გადაუხვიონ წი-

ნასწარ მითითებას მკურნალობაზე უარის თქმის შესახებ, მაგალითად, იმის გამო, რომ მკურნალობაზე უარი იძულებით იყო ნათქვამი. თუ რეანიმაციისა და გონებრივი შესაძლებლობების აღდგენის შემდეგ მოშიმშილეები კვლავაც იმეორებენ თავიანთ სურვილს შიმშილობაზე, ეს სურვილი უნდა შესრულდეს. ეთიკურია ის, რომ ადამიანს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს შიმშილობა, შეეძლოს ღირსეული სიკვდილი, იმის ნაცვლად, რომ ეს პირი დაექვემდებაროს განმეორებით ჩარევებს თავისი ნების საწინააღმდეგოდ.

12. ხელოვნური კვება შეიძლება იყოს ეთიკურად მისაღები, თუ საღ გონებაზე მყოფი მოშიმშილე თანახმაა მასზე. ხელოვნური კვება შეიძლება ასევე მისაღები იყოს, თუ საღ გონებაზე არმყოფ პირს არ დაუტოვებია დაუძალებელი წინასწარი მითითება ხელოვნური კვების არგამოყენებაზე.

13. იძულებითი კვება არასოდეს არის ეთიკური. იმ შემთხვევაშიც, როცა მისი მიზანია პირისთვის სარგებლობის მოტანა, კვება, რომელსაც თან ახლავს მუქარა, იძულება, ძალის ან ფიზიკური შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, არის არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფორმა. ასევე მიუღებელია ზოგიერთი პატიმრის იძულებითი კვება სხვა მოშიმშილეთა დასაშინებლად ან მათ მიერ შიმშილობის შესაწყვეტად.

ტოკიოს დეკლარაცია[4]

8. როდესაც პატიმარი უარს ამბობს საკვების მიღებაზე და ექიმი მიიჩნევს, რომ პატიმარს შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკვების მიღებაზე ნებაყოფლობითი უარის თქმის შედეგები, მას ხელოვნურად არ უნდა მიეცეს საკვები, როგორც ეს გაცხადებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მალტის დეკლარაციაში მოშიმშილეების შესახებ. პატიმრის განსჯის უნარის შეფასება უნდა დადასტურდეს სულ მცირე ერთი დამოუკიდებელი ექიმის მიერ. ექიმმა პატიმარს უნდა აუხსნას საკვების მიღებაზე უარის თქმის შედეგები.

4 მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ტოკიოს დეკლარაცია – სახელმძღვანელო პრინციპები ექიმებისთვის წამებასთან და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასთან თუ დასჯასთან დაკავშირებით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დროს, მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1975 წელს ტოკიოში. გადაისინჯა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2016 წელს.

ევროპული კავშირი 280
ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 280
მუხლი 8 – პირადი მონაცემების დაცვა 280
მუხლი 7 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება 280
მუხლი 9 – ქორწინების უფლება და ოჯახის შექმნის უფლება 280
ევროპის საბჭო 280
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 280
მე-8 მუხლი – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება 280
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 281
ზოგადი პრინციპები 281
• პირადი ცხოვრება 282
ოჯახური ცხოვრება 286
საცხოვრისი 286
მიმოწერა 287
უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასების კრიტერიუმები 287
რელევანტური საქმეები 290
i. არასაკმარისი პრივატულობა საკანში: დარღვევა 290
ii. 24 საათიანი ვიდეოდაკვირვება საკანში: განაცხადი დაუშვებელია 291
iii. პატიმრებს დალუქული კომბინეზონები ეცვათ ხანმოკლე დროის განმავლობაში: არდარღვევა, დარღვევა 292
iv. ციხეში წვერის მოშვებაზე დანესებული აბსოლუტური აკრძალვა: დარღვევა 293
v. უარი ხელოვნურ განაყოფიერებაზე: დარღვევა 294
პრაქტიკის მიმოხილვა 296
• ოჯახის წევრებთან ურთიერთობა 296
• პატიმრების კორესპონდენცია 298

ევროპული კავშირი

ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია

მუხლი 7 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება
ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და კომუნიკაციები.
მუხლი 8 – პირადი მონაცემების დაცვა
1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მის შესახებ პირადი მონაცემები.
2. ასეთი მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კონკრეტული მიზნისთვის შესაბამისი პირის თანხმობის ან კანონით განსაზღვრულ სხვა ლეგიტიმურ საფუძველზე. ყველას აქვს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს მის შესახებ შეგროვებულ ინფორმაციაზე და უფლება, რომ ეს ინფორმაცია ჩასწორდეს.
3. ამ ნესებთან შესაბამისობა ექვემდებარება დამოუკიდებელი უწყების მიერ კონტროლს.
მუხლი 9 – ქორწინების უფლება და ოჯახის შექმნის უფლება
ქორწინების უფლება და ოჯახის შექმნის უფლება უზრუნველყოფილია ამ უფლებების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობით.

ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ზოგადი პრინციპები

ზოგადად, მართლზომიერად თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები ინარჩუნებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ ყველა ფუძემდებლურ უფლებასა და თავისუფლებას, გარდა თავისუფლების უფლებისა.[1] მაგრამ პატიმრობისას ისევე, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ყველა ღონისძიების გამოყენებისას, ცხადია, თავისთავად იზღუდება პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაა, რომ პატიმარს უნარჩუნდება კონვენციით გარანტირებული ყველა უფლება და ამ უფლებათა ნებისმიერი შეზღუდვა დასაბუთებული უნდა იყოს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. ეს დასაბუთება შეიძლება უკავშირდებოდეს იმას, რომ შეზღუდვა პატიმრობის აუცილებელი თანმდევი შედეგია, ან შეზღუდვასა და მოცემული პატიმრის ინდივიდუალურ გარემოებებს შორის სათანადო მიზეზობრივი კავშირი არსებობს.[2]

მე-8 მუხლის მიზანია, დაიცვას ინდივიდები საჯარო ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისგან. მე-8 მუხლი უბრალოდ კი არ აიძულებს სახელმწიფოს, რომ თავი შეიკავოს ასეთი ჩარევისგან, რაც შეადგენს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას; შეიძლება, სახელმწიფოს ასევე ეკისრებოდეს პოზიტიური ვალდებულება, რომ ქმედითად უზრუნველყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა.[3] ეს ვალდებულებები შეიძლება გულისხმობდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებების დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს, გაატარა თუ არა სახელმწიფომ აუცილებელი ღონისძიებები, პირადი ცხოვრების ქმედითი დაცულობის უზრუნველსაყოფად და ამდენად, განახორციელა თუ არა ამ თვალსაზრისით თავისი პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც ორგანულად გამომდინარეობს მე-8 მუხლიდან.[4] კონვენციის მე-8 მუხლის ძალით სახელმწიფოზე

1 შაფრანსკი პოლონეთის წინააღმდეგ (*Szafrański v. Poland*), განაცხადი no. 17249/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 35.

2 ჰორიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (*Horych v. Poland*), განაცხადი no. 13621/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 122; დიქსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dickson v. the United Kingdom*), განაცხადი no. 44362/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პუნქტები 67-68.

3 შაფრანსკი პოლონეთის წინააღმდეგ (*Szafrański v. Poland*), განაცხადი no. 17249/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 36.

4 აპოსტუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Apostu v. Romania*), განაცხადი no. 22765/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 118.

დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის გამყოფი ზღვარი ხშირად რთული დასადგენია. შესატყვისი პრინციპები, მსგავსია. ორივე შემთხვევაში, უნდა დამყარდეს სამართლიანი წონასწორობა კონფლიქტურ ინტერესებს შორის.[5]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შეიძლება ჩარევის ღონისძიება არ აღწევდეს მე-3 მუხლით აკრძალულ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, მაგრამ შეადგინოს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.[6]

პირადი ცხოვრება

„პირადი ცხოვრება" ფართო ცნებაა, რომელიც ამომწურავ განმარტებას არ ექვემდებარება.[7] იგი, *inter alia,* მოიცავს პირის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური იდენტობის ასპექტებს, როგორიცაა პირადი ავტონომიისა და პირადი განვითარების უფლება,[8] სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობის უფლება.[9] პატიმრების მიერ სხვა პირებთან ურთიერთობის მნიშვნელობას ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ გაუსვა ხაზი და მიიჩნია, რომ აღნიშნულის გარკვეული ხარისხით გარანტირება პატიმრების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებით მოითხოვებოდა.[10]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჯანმრთელობა,[11] ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობასთან[12] ერთად, ექცევა პირადი ცხოვრების

---

5 ჰორიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (*Horych v. Poland*), განაცხადი no. 13621/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 124.

6 ვეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Wainwright v. the United Kingdom*), განაცხადი no. 12350/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 43.

7 კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Costello-Roberts v. the United Kingdom*), no. 13134/87, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 36.

8 ბირჟიეტისი ლიეტუვას წინააღმდეგ (*Biržietis v. Lithuania*), განაცხადი no. 49304/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 32.

9 ივაშჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (*Ivashchenko v. Russia*), განაცხადი no. 61064/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2918 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 63.

10 თომას მაკფილი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Thomas McFeeley and Others v. the United Kingdom*), განაცხადი no. 8317/7 8, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1980 წლის 15 მაისის განჩინება, პუნქტი 82.

11 ვასილევა ბულგარეთის წინააღმდეგ (*Vasileva v. Bulgaria*), განაცხადი no. 23796/10 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 63.

12 დოლენეცი ხორვატიის წინააღმდეგ (*Dolenec v. Croatia*), განაცხადი no. 25282/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 128.

სფეროში. თუმცა ყველა ქმედება და ღონისძიება, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ უარყოფითად მოქმედებს ფიზიკურ თუ მორალურ ხელშეუხებლობაზე, არ არის აუცილებელი, რომ მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევად ჩაითვალოს.[13]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს უფლებას ჯანმრთელ და წყნარ გარემოზე, მაგრამ კონვენციის მე-8 მუხლი შეიძლება გავრცელდეს გარემოს დაცვის შემთხვევებზე, როცა დაბინძურება პირდაპირ არის გამოწვეული სახელმწიფოს მიერ, ან სახელმწიფო პასუხისმგებელია, რადგანაც სათანადოდ არ დაარეგულირა კერძო მრეწველობა.[14] იმ შემთხვევებს, როცა ადამიანი თავის საცხოვრებელ ადგილას ექვემდებარება შემაწუხებელ ხმაურს, სუნს და ა.შ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-8 მუხლით დაცულ პირად ცხოვრებაში ჩარევად განიხილავს.[15] აღნიშნული, შეიძლება, რელევანტური იყოს პატიმრებთან მიმართებაშიც.[16] თუმცა, უნდა ითქვას, რომ პირზე ხმაური თუ დაბინძურება პირდაპირ და მძიმე ზემოქმედებას უნდა ახდენდეს.[17] ამ დროს დაბინძურების ხარისხი გარკვეულ მინიმალურ ზღვარს უნდა აღწევდეს ინტენსივობისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით ისე, რომ არ არის აუცილებელი, ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდეს.[18] თუმცა, ცხადია, მხედველობაში მიიღება ის ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედება, რაც ხმაურს თუ დაბინძურებას შეიძლება ჰქონდეს.[19] მნიშვნელოვანია, აგრეთვე გათვალისწინებული იყოს გარემოს საერთო კონტექსტი. მე-8 მუხლის დარღვევის საკითხი არც კი შეიძლება დაისვას, თუკი სავარაუდო ჩარევა უმნიშვნელოა თანამედროვე ცხოვრების სტანდარტების თვალსაზრისით. ანუ ჩარევას ადგილი უნდა ჰქონდეს პირის პი-

13 კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Costello-Roberts v. the United Kingdom*), იო. 13134/87, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 36.

14 ჰეტონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*), განაცხადი იო. 36022/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 98.

15 ფადეიევა რუსეთის (*Fadeyeva v. Russia*), განაცხადი იო. 55723/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 68. ბრანდუშე რუმინეთის წინააღმდეგ (*Brânduşe c. Roumanie*), განაცხადი იო. 6586/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 62.

16 იხ. ქვემოთ, რელევანტურ საქმეებში, ბრანდუშე რუმინეთის წინააღმდეგ (*Brânduşe c. Roumanie*), განაცხადი იო. 6586/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება.

17 ჰეტონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*), განაცხადი იო. 36022/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 96.

18 ლოპეს ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (*López Ostra v. Spain*), განაცხადი იო. 16798/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 51.

19 ფადეიევა (*Fadeyeva v. Russia*), განაცხადი იო. 55723/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 69.

რად სფეროში და უნდა აღწევდეს გარკვეულ მინიმალურ ზღვარს.[20]

პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა ასევე არის პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტი.[21] ასევე პირის გენდერული იდენტიფიკაცია,[22] სახელი,[23] სექსუალური ორიენტაცია და სექსუალური ცხოვრება[24] ხვდება მე-8 მუხლით დაცულ პირად სფეროში. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდის ეთნიკური იდენტობაც უნდა განიხილოს ამგვარ მნიშვნელოვან ელემენტად.[25]

პირადი ცხოვრების კონცეფცია მოიცავს პირის იდენტიფიცირების ისეთ საშუალებას, როგორიც არის სურათი.[26] ადამიანის გამოსახულება წარმოადგენს მისი პიროვნების ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტს, ვინაიდან ის ამჟღავნებს ადამიანის უნიკალურ მახასიათებლებს და განასხვავებს მას სხვა ადამიანებისგან. შესაბამისად, საკუთარი გამოსახულების დაცვა პირადი განვითარების ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია. ძირითადად, ეს გულისხმობს ადამიანის უფლებას, გააკონტროლოს თავისი გამოსახულების გამოყენება, მათ შორის, უარი თქვას მის გამოქვეყნებაზე. ადამიანის ქცევის მონიტორინგისას, გადამღები აპარატურის გამოყენების კონტექსტში, ევროპული სასამართლოს აზრით, შეიძლება წამოიჭრას პრობლემა პირადი ცხოვრების დაცულობის თავლსაზრისით. ამ პრობლემას ქმნის მონაცემთა ჩაწერა, ჩანაწერის სისტემატური თუ მუდმივი ხასიათი.[27]

ინდივიდის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემების მხოლოდ შენახვაც კი არის ჩარევა მე-8 მუხლის მნიშვნელობით.[28] აღნიშნულთან

20 *Ibid.* პუნქტები 69-70.

21 ზ. ფინეთის წინააღმდეგ (*Z. v. Finland*), განაცხადი no. 22009/93, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 95.

22 ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ (*B. v. France*), განაცხადი no. 13343/87, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 63.

23 ბურგჰარცი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Burghartz v. Switzerland*), განაცხადი no. 16213/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 24.

24 დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), განაცხადი no. 7525/76, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 41.

25 ჩუბოტარუ მოლდოვას წინააღმდეგ (*Ciubotaru v. Moldova*), განაცხადი no. 27138/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 53.

26 ხუჟინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Khuzhin and Others v. Russia*), განაცხადი no. 13470/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 115.

27 ლოპეს რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (*López Ribalda and Others v. Spain*), განაცხადები *nos.* 1874/13 და 8567/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტები 55-56.

28 როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Rotaru v. Romania*), განაცხადი no. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების

დაკავშირებით მნიშვნელობა არ აქვს შენახული ინფორმაციის შემდგომ გამოყენებას.[29] თუმცა, იმის დადგენისას, თუ რამდენად ეხება ხელისუფლების მიერ შენახული პერსონალური ინფორმაცია პირადი ცხოვრების ზემოხსენებული ასპექტებიდან რომელიმეს, სასამართლო გაითვალისწინებს კონკრეტულ კონტექსტს, რომელშიც მოხდა ინფორმაციის ჩაწერა და შენახვა, აგრეთვე ჩანაწერის ბუნებას, მოცემულ ჩანაწერთა გამოყენებასა და დამუშავებას ისევე, როგორც იმ შედეგებს, რომლებიც შეიძლება, მიღებული იქნეს.[30]

უფლება რეპუტაციის დაცვაზე მოცულია კონვენციის მე-8 მუხლით, როგორც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების ნაწილი.[31] სისხლის სამართლის საქმეში არსებული არასაჯარო პირადი ხასიათის ინფორმაციის პრესაში გაჟონვა, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, როცა ეს ინფორმაცია შემდეგ გამოქვეყნდება, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევად ითვლება.[32] კონფიდენციალური ინფორმაციის პრესაში გაჟონვასთან დაკავშირებულ საქმეებზე, ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უპირატესად, სახელმწიფოს ვალდებულებაა, იმდაგვარად მოაწყოს თავისი სერვისები და მოამზადოს პერსონალი, რომ თავიდან აიცილოს საიდუმლო ინფორმაციის გასაჯაროება.[33] ამასთან, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება და გამოხატვის თავისუფლებაზე უფლება კონვენციის მიზნებისთვის თანაბარი უფლებებია და თანაბარი დაცვით უნდა სარგებლობდნენ, როცა ეროვნული ხელისუფლების მიერ მათ შორის წინააღმდეგობის დაბალანსება ხდება.[34]

პუნქტები 43-44.

29 გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Gardel v. France)*, განაცხადი no. 16428/05 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 58.

30 ს. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(S. and Marper v. the United Kingdom)*, განაცხადები nos. 30562/04 და 30566/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 67.

31 პფაიფერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Pfeifer v. Austria*), განაცხადი no. 12556/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 35.

32 აპოსტუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Apostu v. Romania*), განაცხადი no. 22765/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 124.

33 შტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ *(Stoll v. Switzerland)*, განაცხადი no. 69698/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 61 და 143; აპოსტუ რუმინეთის წინააღმდეგ *(Apostu v. Romania)*, განაცხადი no. 22765/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 119.

34 კაშუნეიანუ რუმინეთის წინააღმდეგ *(Căşuneanu v. Romania)*, განაცხადი no. 22018/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 71.

ოჯახური ცხოვრება

მე-8 მუხლით ასევე დაცულია „ოჯახური ცხოვრების" დაცულობის უფლება. სახელმწიფომ წინასწარი გათვლებით უნდა იმოქმედოს, რომ პირები უზრუნველყოს ნორმალური ოჯახური ცხოვრებით. სასამართლო ადგენს „ოჯახური ცხოვრების" არსებობას თითოეული საქმისთვის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, საქმის გარემოებების შესწავლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, შესატყვისი კრიტერიუმია განსახილველ პირთა შორის მოქმედი კავშირის არსებობა. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) არ განასხვავებს „კანონიერ" და „უკანონო" ოჯახებს.[35] კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება მხოლოდ დაქორწინებულ პირებზე არ ვრცელდება და შეიძლება მოიცავდეს *de facto* ოჯახსაც, რომლის მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან.[36] იმის დასადგენად, ურთიერთობა განიხილება თუ არა „ოჯახურ ცხოვრებად", სხვადასხვა ფაქტორები შეიძლება იყოს რელევანტური, მაგალითად, ცხოვრობდა თუ არა წყვილი ერთად, რამდენი ხანი გრძელდებოდა მათი ურთიერთობა, ერთმანეთის მიმართ ვალდებულებების აღება გამოხატეს თუ არა მეწყვილეებმა, მაგალითად, ბავშვების ერთად ყოლით, ან სხვა გზებით.[37] ამას გარდა, ის ფაქტი, რომ პროფესიული და სოციალური მიზეზების გამო, წყვილი ერთად არ ცხოვრობს, ურთიერთობას სტაბილურობას არ ართმევს და წყვილი მაინც შეიძლება განიხილებოდეს „ოჯახად" კონვენციის მნიშვნელობით.[38] წყვილების ურთიერთობაზე, ცხადია, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაც ვრცელდება.[39]

საცხოვრისი

საცხოვრისი ავტონომიური ცნებაა, რომლის განმარტებისას ევროპული სასამართლო არ შემოიფარგლება საცხოვრისის კლასიფიკაციით შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. შესაბამისად, პასუხი კითხვაზე ადგილი, სადაც პირი ცხოვრობს, არის თუ არა „საცხოვრისი" კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, ფაქტობრივ გარემოებებზეა და-

35 მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (*Marckx v. Belgium*), განაცხადი no. 6833/74, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 31.

36 ალიმი რუსეთის წინააღმდეგ (*Alim v. Russia*), განაცხადი no. 39417/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 69.

37 ზ.ჰ. და რ.ჰ. შვეიცარიის წინააღმდეგ (*Z.H. and R.H. v. Switzerland*), განაცხადი no. 60119/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 42.

38 ვალიანატოს და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Vallianatos and Others v. Greece*), განაცხადები nos. 29381/09, 32684/09, პუნქტი 73.

39 *Idem.*

მოკიდებული, კერძოდ, იმაზე, აქვს თუ არა პირს საკმარისი და უწყვეტი კავშირი კონკრეტულ ადგილთან.[40]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პატიმრის საკანში და მნახველებთან შეხვედრის ადგილას წარმოებული ფარული ვიდეო და აუდიო მეთვალყურეობა, პატიმრის სხეულზე აუდიო-ვიდეო აპარატის დამაგრება სხვა პატიმრისგან ინფორმაციის მისაღებად, შეადგენდა პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის და არა საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევას.[41]

მიმოწერა

მიმოწერის დაცულობის უფლება, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, მიზნად ისახავს კომუნიკაციის კონფიდენციალობის დაცვას სხვადასხვა კონტექსტში, მათ შორის პენიტენციური დაწესებულების კონტექსტშიც.[42] მიმოწერის დაცულობის უფლება თავის თავში მოიცავს სატელეფონო ზარების,[43] ამ ზარების დროს ამოღებული ინფორმაციის (თარიღი, ხანგრძლივობა, სატელოფონო ნომრები),[44] აგრეთვე ამანათების[45] კონფიდენციალობის დაცვასაც.

უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასების კრიტერიუმები „კანონის შესაბამისად"

კანონი არის ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე კონცეფცია.

ევროპულ სასამართლოს დადასტურებული აქვს, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლებების განხორციელებაში ჩარევა უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად, როგორც მატერიალურსამართლებრივი, ისე საპროცესოსამარ-

40 ევგენი ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (*Yevgeniy Zakharov v. Russia*), განაცხადი no. 66610/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 30.

41 ალანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Allan v. the United Kingdom*), განაცხადი no. 48539/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 34-36.

42 იხ. მაგალითად, სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Silver and Others v. the United Kingdom*), განაცხადები nos. 5947/72, 6205/73 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

43 პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Petrov v. Bulgaria*), განაცხადი no. 15197/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

44 პ.გ. და ჯ.ჰ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*P.G. and J.H. v. the United Kingdom*), განაცხადი no. 44787/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

45 ალიევი უკრაინის წინააღმდეგ (*Aliev v. Ukraine*), განაცხადი no. 41220/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

თლებრივი კუთხით.[46] მაგალითად, საქმეზე *აკოფიანი უკრაინის წინააღმდეგ*, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციების დარღვევის შედეგად, პაციენტს დაესვა არასწორი დიაგნოზი და იძულების ნესით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სამკურნალოდ იქნა მოთავსებული ფსიქატრიულ დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, მალევე გაეწერათ. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან ჩარევა შიდასახელმწიფოებრივ სამართლს ეწინააღმდეგობდა, კონვენციის მე-8 მუხლში გათვალისწინებული მართლზმიერების მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება დაარღვია.[47]

ეს ფრაზა არა მარტო მოითხოვს, ჩარევის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, არამედ უკავშირდება ამ კანონის ხარისხსაც.[48] შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა იყოს ცხადი, წინასწარგანჭვრეტადი და სათანადოდ ხელმისაწვდომი. პირს უნდა შეეძლოს კანონის შესაბამისად მოქმედება, აგრეთვე ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული საჯარო ხელისუფლებისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში სათანადო ღონისძიებების მიღება.

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა გონივრული სიცხადით უნდა მიუთითებდეს იმ ფარგლებსა და გზებზე, რომლითაც უნდა განხორციელდეს საჯარო ხელისუფლებისთვის დელეგირებული დისკრეცია ისე, რომ პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ დაცვის მინიმალური ხარისხით, რომლის უფლებაც მათ აქვთ სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში.[49]

რაც შეეხება წინასწარგანჭვრეტადობას, ფრაზა „კანონის შესაბამისად" ამ კონტექსტში გულისხმობს, *inter alia*, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა საკმარისად განჭვრეტადი უნდა იყოს, რათა სათანადოდ მიანიშნოს ინდივიდებს იმ გარემოებებსა და პირობებზე, რომელთა დადგომის შემთხვევაშიც, ხელისუფლებას უფლება აქვს, გამოიყენოს უფლებათა შემზღუდველი ღონისძიებები.

46 აკოფიანი უკრაინის წინააღმდეგ (*Akopyan v. Ukraine*), განაცხადი *no.* 12317/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 109.

47 *Ibid.*, პუნქტები 110-111.

48 ბირჟიეტისი ლიტვის წინააღმდეგ (*Biržietis v. Lithuania*), განაცხადი no. 49304/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 47.

49 პიეხოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (*Piechowicz v. Poland*), განაცხადი no. 20071/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 212.

ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ პირებს უნდა შეეძლოთ, გონივრულად განჭვრიტონ, სულ მცირე, იურისტის რჩევით, რომ მათზე შეიძლება კანონის მოქმედება გავრცელდეს.

მართლზომიერების მოთხოვნა ასევე გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს სათანადო გარანტიები მე-8 მუხლით დაცული უფლებების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ამ კონტექსტში ხშირად გულისხმობს იმას, რომ მე-8 მუხლით დაცულ უფლებებს სათანადო ყურადღება ექცევა ეროვნულ დონეზე; არსებობს შესაბამისი რეგლამენტაცია (მათ შორის, ქმედების კრიმინალიზაციის სახით) მე-8 მუხლით აღიარებული უფლებების უზრუნველსაყოფად.

როდესაც ევროპული სასამართლო დაასკვნის, რომ ჩარევის ღონისძიება არ იყო „კანონის შესაბამისად" განხორციელებული, ადგენს მე-8 მუხლის დარღვევას ისე, რომ საჭიროდ არ მიიჩნევს იმის განხილვას, ჰქონდა თუ არა ჩარევას „ლეგიტიმური მიზანი," ან იყო თუ არა იგი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

ლეგიტიმური მიზანი

კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებიც შეიძლება ამართლებდეს მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას. ეროვნულ დონეზე უფლებაში ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს მინიმუმ ერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ლეგიტიმურად ვერ დაასაბუთა, თუ რატომ ჰქონდათ ჟურნალისტებს უფლება, გამოექვეყნებინათ პოლიციის განყოფილებაში დაკავებული პირის ფოტოები, როდესაც არ არსებობდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის არანაირი მიზანი. ეს ადამიანი ძებნილი არ იყო; მისი ფოტოების გამოქვეყნებას რაიმე ინფორმაციული ღირებულება არ ჰქონდა, მიზნად არ ისახავდა მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას. თუნდაც ჩარევას ჰქონოდა სამართლებრივი საფუძველი, მას მე-8 მუხლით გარანტირებული ლეგიტიმური მიზანი არ ჰქონია. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.[50]

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმიდან აღებული ფოტოს გამოქვეყნებაზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ დროს ეს ადამიანი ძებნილი არ ყოფილა და ფოტოს გამოქვეყ-

50 თომა რუმინეთის წინააღმდეგ (*Toma v. Romania*), განაცხადი no. 42716/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტები 92-93.

ნება პატიმრის ადგილმდებარეობის დადგენაში საზოგადოების დახმარების მისაღებად საჭირო არ იყო. ფოტოს გამოქვეყნება სასამართლო განხილვის საჯაროობის უზრუნველსაყოფადაც არ იყო საჭირო, ვინაიდან ამ დროს სასამართლო განხილვა ჯერ არ იყო დაწყებული. ჩარევას არ ჰქონია ლეგიტიმური მიზანი.[51]

„აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში"

იმის დასადგენად, იყო თუ არა მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში", სასამართლო აწონ-დაწონის სახელმწიფოს ინტერესებს ინდივიდის უფლებასთან მიმართებით. სიტყვა „აუცილებელი" არ არის ისე მოქნილი, როგორც სიტყვები „სასარგებლო", „გონივრული", ან „სასურველი"; იგი გულისხმობს ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას". მაგრამ, თუნდაც ჩარევა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებდეს, ის მაინც ვერ ჩაითვლება „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ" ღონისძიებად, თუ არ არის თანაბარზომიერი დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[52] თავდაპირველად, ეროვნული ხელისუფლება აფასებს, აუცილებელი არის თუ არა უფლებაში ჩარევა; თუმცა საბოლოო შეფასებას ახორციელებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმ თვალსაზრისით, სახელმწიფომ ჩარევის აუცილებლობა „საკმარისი" და „რელევანტური" გარემოებებით დაასაბუთა თუ არა, რათა დადგინდეს კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობა.[53]

რელევანტური საქმეები

არასაკმარისი პრივატულობა საკანში: დარღვევა

ფაქტები:[54] მსჯავრდებულმა იჩივლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომ ათიდან შვიდ საკანში, რომელშიც ის სასჯელის მოხდის განმავლობაში იყო მოთავსებული, საპირფარეშო დანარჩენი საკნისგან მხოლოდ მერქანბურბუშელას 1.20 სმ სიმაღლის ტიხრით იყო გამოყოფილი და არ ჰქონდა კარი.

51 ხუჟინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Khuzhin and Others v. Russia*), განაცხადი no. 13470/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 117.

52 პოლიაკოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Polyakova and Others v. Russia*), განაცხადები nos. 35090/09 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 85.

53 სულუკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Szuluk v. the United Kingdom*), განაცხადი no. 36936/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 45.

54 შაფრანსკი პოლონეთის წინააღმდეგ (*Szafrański v. Poland*), განაცხადი no. 17249/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ აღნიშნული დისკომფორტით სისასტიკის მინიმალური ზღვარი მიღწეული არ იყო. ამასთან, საკნები სათანადოდ იყო განათებული, გათბობა და ვენტილაცია სათანადო იყო და მსჯავრდებულს საკნის გარეთ სხვადასხვა აქტივობაზე მიუწვდებოდა ხელი.

თუმცა, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. კერძოდ, სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ხელისუფლებას აკისრია პოზიტიური ვალდებულება, საპირფარეშო გამოყოფილი იყოს დანარჩენი საკნისგან ისე, რომ მინიმალური პრივატულობა უზრუნველყოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ CPT-ის სტანდარტების მიხედვით, მიუღებელია, რომ საპირფარეშო მხოლოდ ნაწილობრივ იყოს გამოყოფილი დანარჩენი საკნისგან, როდესაც საკანში ერთზე მეტი პატიმარი იმყოფება. საკანში არსებული ყველა საპრიფარეშო სრული ტიხრით უნდა იყოს გამოყოფილი. ამის მიუხედავად, სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებული მოთავსებული იყო საკნებში, სადაც საპირფარეშო სრულად არ იყო გადატიხრული და ტუალეტით სარგებლობა სხვა პატიმრების თანდასწრებით უწევდა. ხელისუფლებამ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, მინიმალური პრივატულობა უზრუნველეყო მსჯავრდებულისთვის.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 1800 ევროს ოდენობით მორალური ზიანისთვის.

24 საათიანი ვიდეოდაკვირვება საკანში: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[55] პატიმარი ოთხ თვე-ნახევრის განმავლობაში იმყოფებოდა გამუდმებული ვიდეოდაკვირვების ქვეშ წინასწარი დაკავების იზოლატორში. ამგვარი ზედამხედველობა ეროვნულ დონეზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამომდინარე იმ საფრთხიდან, რაც პატიმრის მიმართ არსებობდა (ის დაკავებული იყო ცნობილი პოლიტიკოსის მკვლელობის ბრალდებით, რამაც საზოგადოებაში დიდი შოკი გამოიწვია); აგრეთვე არსებობდა მიმალვის საფრთხე, რასაც შეიძლებოდა საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტი არეულობა გამოეწვია და ასევე სუიციდის საფრთხის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: გამოაცხადა რა განაცხადი დაუშვებლად, სასამართლომ დაადგინა,

55 ვან დერ გრააფი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Van der Graaf v. the Netherlands*), განაცხადი no. 8704/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 1 ივნისის განჩინება.

რომ მართალია, პირადი სივრცის ნაკლებობა იწვევს სტრესს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საკმარისად დამაჯერებელი არ იყო სისასტიკის მინიმალური ზღვრის მიღწევა მე-3 მუხლის მნიშვნელობით. პატიმრის განაცხადი არ იყო სათანადოდ დასაბუთებული არც მე-8 მუხლის თვალსაზრისით, გამომდინარე იქიდან, რომ ღონისძიებას ეროვნულ კანონმდებლობაში საკმარისი საფუძველი ჰქონდა, ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. მართალია, ძალზე მძიმე ჩარევას ჰქონდა ადგილი პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა ის სიმძიმე, რაც პენიტენციურის სისტემის ხელმძღვანელობას დაეკისრა, რათა თავიდან აეცილებინათ გაქცევის, პატიმრის მიერ თვითდაზიანებისა თუ მისთვის სხვების მიერ დაზიანების მიყენების საფრთხე. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსი საგამონაკლისო გარემოებების არსებობისას, პირად ცხოვრებაში ჩარევა შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არეულობისა და დანაშაულის პრევენციისათვის.

განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა დაშვებული.[56]

პატიმრებს დალუქული კომბინეზონები ეცვათ ხანმოკლე დროის განმავლობაში: არდარღვევა, დარღვევა

ფაქტები:[57] ორ მსჯავრდებულს ხანმოკლე დროით (ერთს სამი დღით, ხოლო მეორეს – 7 დღით) ჩააცვეს კისრიდან ტერფამდე „დალუქული" კომბინიზონები, რომელთა გახდაც არ შეეძლოთ. ამ ღონისძიების გამოყენებას საფუძვლად დაედო ეჭვი, რომ პატიმრებს გადაყლაპული ჰქონდათ ნარკოტიკები. შედეგად, ორივე პატიმარმა ბიოლოგიური მოთხოვნილება დაიკმაყოფილა კომბინიზონში, რადგან ზედამხედველებს არ შეეძლოთ მათი დროზე გაყვანა საპირფარეშოში. შედეგად, პატიმრებს კანზე პრობლემები განუვითარდათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლომ დაადგინა, რომ მე-3 მუხლი არ დარღვეულა, რადგან არსებობდა უსაფრთხოების თვალსაზრისით დამაჯერებელი მიზეზები ერთიანი კომბინიზონების ჩაცმისათვის და ამ ღონისძიების გამოყენებისას ადმინისტრაცია მიზნად არ ისახავდა პატიმართა დამცირებას. ამასთან,

56 სასამართლოს განსახილველი აქვს განაცხადები საქმეებზე *Gorlov v. Russia* (no. 27057/06) და *Vakhmistrov v. Russia* (no. 56443/09), რომლებშიც მამრობითი სქესის პატიმრები ჩივიან ქალი ზედამხედველის მიერ მათ საკანში განხორციელებულ ვიდეო მეთვალყურეობაზე.

57 ლინდშტრომი და მესელი ფინეთის წინააღმდეგ (*Lindström and Mässeli v. Finland*), განაცხადი no. 24630/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება.

ღონისძიება მიმართული იყო პატიმრების ჯანმრთელობის დასაცავად. თუმცა, დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან არ არსებობდა საკმარისი სამართლებრივი საფუძველი ამგვარი პრაქტიკის გამოსაყენებლად.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა, თითეული პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 1800 ევრო მორალური ზიანისთვის.

ციხეში წვერის მოშვებაზე დაწესებული აბსოლუტური აკრძალვა: დარღვევა

ფაქტები:[58] პატიმარმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იჩივლა, რომ მას პენიტენციურ დაწესებულებაში წვერის მოშვება აეკრძალა იმის მიუხედავად, თუ რა სიგრძის წვერი ექნებოდა ან რამდენად მოვლილი. აკრძალვა გათვალისწინებული იყო იმ პენიტენციური დაწესებულების შინაგანაწესით, სადაც განმცხადებელი სასჯელს იხდიდა. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების შეფასებით, პატიმრის სურვილი, მოეშვა წვერი, შეიძლებოდა მოცული ყოფილიყო ისეთი ფუძემდებლური უფლების ნაწილად, როგორიცაა რელიგიის თავისუფლება (რაც განმცხადებლის შემთხვევაში რელევანტური არ იყო). ეროვნული სასამართლოს შეფასებით, აკრძალვა გამართლებული იყო, როგორც აუცილებელი და თანაბარზომიერი ღონისძიება იმის გათვალისწინებით, რომ ციხის ადმინისტრაციას სჭირდებოდა პატიმრების სწრაფად იდენტიფიცირება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის სურვილი, მოუშვას წვერი, მისი პიროვნების და ინდივიდუალური იდენტობის ნაწილია და ხვდება პირადი ცხოვრების სფეროში. შესაბამისად, მე-8 მუხლი მოცემულ საქმეზე ვრცელდებოდა.

სასამართლო დაეთანხმა, რომ ჩარევას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ ეჭვი გამოთქვა, თუ რამდენად ისახავდა ჩარევა ლეგიტიმურ მიზანს. კერძოდ, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაადასტურა, წვერის მოშვების ნების დართვა განმცხადებლისთვის თუ სხვა პატიმრებისთვის, როგორ გამოიწვევდა ციხეში არეულობასა და დანაშაულის ჩადენას. მოპასუხე სახელმწიფოს აგრეთვე არ უჩვენებია, რომ წვერის მოშვებაზე დაწესებული აკრძალვა პატიმრებს შორის სოციალური ნორმებისა და სტანდარტების პატივისცემის უზრუნველოფისკენ იყო მიმართული.

---

58 ბირჟიეტისი ლიეტუვას წინააღმდეგ *(Biržietis v. Lithuania)*, განაცხადი no. 49304/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება. იხ. აგრეთვე თავი „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება", საქმე X ავსტრიის წინააღმდეგ *(X v. Austria)*, განაცხადი no. 1753/63, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1965 წლის 15 თებერვლის განჩინება.

საბოლოოდ, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაადასტურა, თუ რატომ იყო თანაბარზომიერი ღონისძიება წვერის მოშვების აბსოლუტური აკრძალვა, მიუხედავად წვერის ჰიგიენური, ესთეტიკური თუ სხვა ნიშნებისა ისე, რომ არანაირი გამონაკლისი წვერის მოშვების აკრძალვიდან არ დაიშვებოდა. მით უფრო, ეს აკრძალვა არ ეხებოდა ულვაშებს, ქილვაშებს და მისთ, რის გამოც, სასამართლოს გაუჩნდა ეჭვი აკრძალვის თვითნებობის თაობაზე და დაადგინა დარღვევა.

უარი ხელოვნურ განაყოფიერებაზე: დარღვევა

ფაქტები:[59] განმცხადებლები არიან ცოლ-ქმარი. მათ ერთმანეთი გაიცნეს სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულებს შორის კორესპონდენციის ქსელის მეშვეობით. ქმარი დაბადებულია 1972 წელს. ის სასჯელს იხდის მკვლელობისთვის და 2009 წლამდე არ უწევს განთავისუფლება. მას შვილები არ ჰყავს. ცოლი დაბადებულია 1958 წელს, მან მოიხადა სასჯელი, სამი შვილი ჰყავს სხვა ურთიერთობებიდან.

2001 წელს, ცოლ-ქმარმა მოითხოვა ნებართვა ხელოვნურ განაყოფიერებაზე, რადგან სხვაგვარად შვილი ვერ შეეძინებოდათ, ქმრის ყველაზე ადრე განთავისუფლების თარიღისა და ცოლის ასაკის გათვალისწინებით. მათ უარი ეთქვათ ხელოვნურ განაყოფიერებაზე. პენიტენციურ სისტემაში ხელოვნური განაყოფიერება დაიშვებოდა მხოლოდ „საგამონაკლისო შემთხვევებში“. უარის თქმა დასაბუთებული იყო იმით, რომ განმცხადებლებს ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივ გარემოში ურთიერთობა არ ჰქონიათ, დედა-შვილს მხოლოდ შეზღუდული მხარდაჭერა ექნებოდა და მამა ბავშვობის მნიშვნელოვან პერიოდს გამოაკლდებოდა. ერთ-ერთი მოსაზრება ისიც იყო, რომ თუ ციხეში ყოფნის დროს მსჯავრდებულს ხელოვნური განაყოფიერებით მამობის უფლება მიეცემოდა, ეს საზოგადოებაში მართებულად გამოიწვევდა შეშფოთებას, რადგან ამით დასჯისა და დეტერენციული მიზნები თავიდან იქნებოდა აცილებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შეფასება: ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებლების პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას. რადგანაც თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მსჯავრდებული ინარჩუნებს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, უფლებების შეზღუდვა უნდა დასაბუთდეს. შეზღუდვა არ შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო მხოლოდ იმით, თუ რა იქნებოდა საზოგადოებისთვის მისაღები.

59 დიქსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Dickson v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 44362/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება.

კონფლიქტური ინტერესები
ხელოვნური განაყოფიერება განმცხადებლებს ერთადერთ რეალურ იმედს აძლევდა, რომ საერთო შვილი ჰყოლოდათ. აშკარა იყო, რომ ამ საკითხს მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

მოპასუხე სახელმწიფომ ხელოვნურ განაყოფიერებაზე უარის თქმის სამი საფუძველი დაასახელა: ბავშვების ყოლის შესაძლებლობის დაკარგვა თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გარდაუვალი და აუცილებელი შედეგი იყო; საზოგადოების ნდობას პენიტენციური სისტემის მიმართ ძირი გამოეთხრებოდა, მძიმე დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირებს რომ შეძლებოდათ ბავშვების ყოლა; მშობლის დიდი ხნით არყოფნა ბავშვზედაც და მთლიანად საზოგადოებაზეც უარყოფით გავლენას იქონიებდა.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, ბავშვის ყოლის შესაძლებლობის არქონა თავისუფლების აღკვეთის შედეგი იყო, მაგრამ გარდაუვალად არ გამორიცხავდა აღნიშნულ შესაძლებლობას, რადგანაც საქმიდან არ ჩანდა, რომ ხელოვნურ განაყოფიერებაზე ნების დართვა უსაფრთხოების თვალსაზრისით რაიმე პრობლემას ქმნიდა, ან სახელმწიფოს მძიმე ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ ტვირთს აკისრებდა.

რაც შეეხება საზოგადოების ნდობას პენიტენციური სისტემის მიმართ, მართალია, ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ დასჯა თავისუფლების აღკვთის ერთ-ერთ მიზნად რჩებოდა, სასამართლომ ხაზი გაუსვა ევროპული სასჯელაღსრულების პოლიტიკის განვითარებას თავისუფლების აღკვეთის რეაბილიტაციური მიზნის მნიშვნელობის გაზრდის მიმართულებით.

დაბოლოს, მართალია, სახელმწიფოს ევალებოდა ბავშვების ქმედითი დაცვის უზრუნველყოფა, ეს ვალდებულება ვერ განიმარტებოდა ისე, რომ განმცხადებლების მსგავს გარემოებებში, მშობლებს ბავშვების ყოლა უნდა აკრძალვოდათ, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ცოლი განთავისუფლებული იყო და შეეძლო, ქმრის განთავისუფლებამდე, ბავშვისთვის მზრუნველობა გაეწია.

კონფლიქტურ ინტერესებს შორის წონასწორობის დამყარება და მიხედულების ფარგლები
სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულ სფეროში ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მიხედულების ფართო ფარგლები ჰქონდათ. მართალია, სასამართლომ მოიწონა რამდენიმე ევროპული ქვეყნის სასჯელაღსრულების პოლიტიკის განვითარება ოჯახური ვიზიტების ნების დართვის მიმართულებით, რასაც შეეძლო გამოერიცხა ხელოვნური განაყოფიერების სა-

ჭიროება, მაგრამ სასამართლოს ჯერ არ განუმარტავს, რომ კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს ასეთი ვიზიტების უზრუნველყოფას ავალდებულებს. ამის მიუხედავად, ის თუ, როგორ იყო პოლიტიკა იმპლემენტირებული, ფაქტობრივად გამორიცხავდა ინდივიდისა და საზოგადოებრივი ინტერესების რაიმე რეალური აწონდაწონის შესაძლებლობას და ხელს უშლიდა ინდივიდუალურ საქმეზე შეზღუდვის თანაბარზომიერების შეფასებას. განმცხადებლებს უკიდურესად მაღალი „საგამონაკლისო" ტვირთი დაეკისრათ. მათ უნდა ერვენებინათ, რომ ხელოვნური განაყოფიერების გარეშე მათ საერთოდ ერთმეოდათ საერთო ბავშვის ჩასახვის შესაძლებლობა და რომ მათი ვითარება „საგამონაკლისო" კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა. ამრიგად, არსებულმა პოლიტიკამ სტანდარტი ისე მაღლა აწია, რომ უფლებამოსილი უწყებების მიერ კონფლიქტურ ინტერესებს შორის ნონასნორობის დამყარება თუ შეზღუდვის თანაბარზომიერების შეფასება გამორიცხული იყო. ამასთან, არ ჩანდა, რომ ეს შეფასებები თავიდანვე განხორციელდა, როცა პოლიტიკა იქმნებოდა. იმ ფაქტს, რომ პოლიტიკას მხოლოდ რამდენიმე პირზე შეეძლო გავლენის მოხდენა, მნიშვნელობა არ ჰქონდა. მსგავსი შეფასების არარსებობა უნდა განხილულიყო, როგორც სახელმწიფოს მიხედულების ფარგლების დარღვევა. შესაბამისად, კონფლიქტურ საზოგადოებრივ და კერძო ინტერესებს შორის სახელმწიფოს სამართლიანი წონასწორობა არ დაუმყარებია.

ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა განმცხადებლებისთვის გადაეხადა კომპენსაცია - 5 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

პრაქტიკის მიმოხილვა

ოჯახის წევრებთან ურთიერთობა

პირადი ცხოვრების დაცულობაზე პატიმრის უფლების არსებითი ნაწილია ის, რომ ციხის ადმინისტრაცია შეძლებისდაგვარად უნდა ეხმარებოდეს პატიმარს ოჯახის ახლო წევრებთან და ზოგადად, გარეთ მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებაში იმისთვის, რათა ხელი შეუწყოს პატიმრების სოციალურ რეაბილიტაციას.[60]

ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პატიმრის ნათესავების შესაძლებლობაზე, მოინახულონ იგი პენიტენციურ დაწესებულებაში, შეიძლება სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავდებოდეს. ოჯახების ფინანსური

60 მესინა იტალიის წინააღმდეგ no. 2 *(Messina v. Italy)*, განაცხადი no. 25498/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 61; პოლიაკოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ *(Polyakova and Others v. Russia)*, განაცხადები nos. 35090/09 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 88.

მდგომარეობა და ტრანსპორტის სისტემის სპეციფიკა შეიძლება, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა რეგიონში. შესაბამისად, როდესაც პატიმრის სახლსა და დანესებულებას შორის არსებული მანძილი იდენტურია ორ პატიმართან მიმართებით, მათი ნათესავების შესაძლებლობა, მოინახულონ ისინი, შეიძლება, მაინც რადიკალურად განსხვავებული იყოს. რაც ევალება ხელისუფლებას, არის ის, რომ პატიმართა გეოგრაფიული განაწილებისას, გაითვალისწინოს ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამისი მექანიზმი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პატიმრისა და მისი ნათესავების ინდივიდუალური სიტუაციის შესაფასებლად, ისე რომ მხედველობაში იქნეს მიღებული სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კონკრეტულ დანესებულებაში პატიმრის მონახულების პრაქტიკულ შესაძლებლობებზე. კანონმდებელს არ ევალება, საზომი ერთეული განსაზღვროს, რომლითაც პატიმრის სახლიდან პენიტენციურ დანესებულებამდე მანძილი უნდა იზომებოდეს, ან ამომწურავად ჩამოთვალოს შესაბამისი ზოგადი წესიდან გადახვევის საფუძვლები.[61] ამასთან, კანონი უნდა ითვალისწინებდეს ხელისუფლების მიერ თვითნებური ჩარევისგან სამართლებრივი დაცვის გარკვეულ ხარისხს.[62] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს და კანონმდებელმაც უნდა გაითვალისწინოს CPT-ის რეკომენდაციები, რომელთა თანახმადაც, ციხის რეჟიმი მიზნად უნდა ისახავდეს თავისუფლების აღკვეთის დესოციალიზაციის ეფექტების დაკომპენსირებას პოზიტიური და პროაქტიური გზით.[63]

ოჯახის წევრების ვიზიტზე დანესებული შეზღუდვები, როგორიცაა რაოდენობრივი შეზღუდვა, სპეციალური ღონისძიებების შემოღება, შეადგენს პატიმრის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას.[64] სასამართლომ და-

61 პოლიაკოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Polyakova and Others v. Russia*), განაცხადები nos. 35090/09 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 92.

62 ს.გ. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ *(C.G. and Others v. Bulgaria)*, განაცხადი no. 1365/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 39.

63 ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ *(Khoroshenko v. Russia)*, განაცხადი no. 41418/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 144.

64 პიეხოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ *(Piechowicz v. Poland)*, განაცხადი no. 20071/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 212; ვან დერ ვენი ნიდერლანდების წინააღმდეგ *(Van der Ven v. the Netherlands)*, განაცხადი no. 50901/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 69; ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ *(Khoroshenko v. Russia)*, განაცხადი no. 41418/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტები 106 და 146; ვიდიში რუსეთის წინააღმდეგ *(Vidish v. Russia)*, განაცხადი no. 53120/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების

ადგინა, რომ უარის თქმა პატიმრის მოთხოვნაზე, გადაეყვანათ ციხეში, რომელიც მისი მშობლების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს იყო, მე-8 მუხლის დარღვევას შეადგენდა.[65]

ერთ-ერთ საქმეზე, მსჯავრდებული 18 წლის ვადით იყო თავისუფლებააღკვეთილი რუმინეთის ციხეში. მას სურდა, რომ ცოლთან და ბავშვებთან ახლოს ყოფილიყო და ევროპულ სასამართლოში იჩივლა, რადგან ხელისუფლებამ თურქეთის ციხეში გადაყვანაზე უარი უთხრა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა პატიმრობის პირობების გამო, სასამართლომ დაადასტურა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ ვრცელდებოდა სახელმწიფოთაშორისი ტრანსფერის მოთხოვნაზე.[66]

უარი პატიმრის მოთხოვნაზე, დასწრებოდა თავისი მშობლების დაკრძალვას, პატიმრის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევად შეფასდა.[67] სხვა საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ პატიმარს შეზღუდვოდა მნახველებთან შეხვედრის უფლება, ციხის რეჟიმის დასაცავად აუცილებელი და თანაბარზომიერი იყო.[68]

პატიმრების კორესპონდენცია

პატიმრების კორესპონდენციაზე გარკვეული კონტროლი დასაშვებია და თავისთავად კონვენციასთან წინააღმდეგობაში არ მოდის, თავისუფლების აღკვეთის ჩვეულებრივი და გონივრული მოთხოვნების გათვალისწინებით.[69] თუმცა ასეთმა კონტროლმა არ უნდა გადაამეტოს იმას, რაც მოითხოვება კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დასახული ლეგიტიმური მიზნით. მართალია, შეიძლება, საჭირო იყოს პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის (სატელეფონო ზარების ჩათვლით) მონიტორინგი, მარეგულირებელი ნორმები პატიმარს სათანადოდ უნდა იცავდეს ხე-

---

პუნქტი 40).

65 როძევილო უკრაინის წინააღმდეგ (*Rodzevillo v. Ukraine*), განაცხადი no. 38771/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტები 85-87.

66 სერჩე რუმინეთის წინააღმდეგ (*Serce v. Romania*), განაცხადი no. 35049/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 56.

67 პლოსკი პოლონეთის წინააღმდეგ (*Ploski v. Poland*), განაცხადი no. 26761/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 39.

68 ენეა იტალიის წინააღმდეგ (*Enea v. Italy*), განაცხადი no. 74912/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 131- 135.

69 სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Silver and Others v. the United Kingdom*), განაცხადები nos. 5947/72, 6205/73 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 98.

ლისუფლების თვითნებური ჩარევისგან.[70]

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან წარმოებული კორესპონდენციის გახსნა,[71] მონიტორინგი[72] და ამოღება,[73] კორესპონდენციისთვის აუცილებელი საკანცელარიო ნივთების მიცემაზე უარი,[74] – მე-8 მუხლის ფარგლებში ხვდება. ციხის ადმინისტრაციის მიერ ევროპულ სასამართლოსთვის გაგზავნილი წერილების შეყოვნება[75] და ხელისუფლების უარი, ევროპულ სასამართლოს გაუგზავნოს პატიმრის ორიგინალი წერილი,[76] კონვენციის 34-ე მუხლის მეორე წინადადებით აკრძალული დაბრკოლების ფორმებია.

კონტროლის ნებადართული ფარგლების შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ წერილების წერისა და მიღების შესაძლებლობა ზოგჯერ პატიმრის ერთადერთი შეხების წერტილია გარე სამყაროსთან.[77] ზოგადად, პატიმრის მთლიანი კორესპონდენციის სისტემატური მონიტორინგი ხელისუფლების მიერ რაიმე მიზეზის მიუთითებლად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა, კონვენციას ეწინააღმდეგება.[78]

მე-8 მუხლის მნიშვნელობით, „ჩარევის" მაგალითებია: ციხის ადმინის-

70 დჰურგა ნიდერლანდების წინააღმდეგ *(Doerga v. the Netherlands)*, განაცხადი no. 50210/99 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 53.

71 დემირტეპი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Demirtepe v. France*), განაცხადი no. 34821/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 26.

72 კორნაკოვსი ლატვიის წინააღმდეგ (*Kornakovs v. Latvia*), განაცხადი no. 61005/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 158.

73 ბირზნიეკსი ლატვიის წინააღმდეგ (*Birznieks v. Latvia*), განაცხადი no. 65025/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 124.

74 კოტლეცი რუმინეთის წინააღმდეგ (*Cotleț v. Romania*), განაცხადი no. 38565/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 65.

75 პოლეშჩუკი რუსეთის წინააღმდეგ (*Poleshchuk v. Russia*), განაცხადი no. 60776/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 28.

76 კორნაკოვსი ლატვიის წინააღმდეგ (*Kornakovs v. Latvia*), განაცხადი no. 61005/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტები 165-167.

77 კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell v. the United Kingdom*), განაცხადი no. 13590/88, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 45.

78 ჰალილ ადემ ჰასანი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Halil Adem Hasan v. Bulgaria)*, განაცხადი no. 4374/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 80; იხ. აგრეთვე პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Petrov v. Bulgaria)*, განაცხადი no. 15197/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 44.

ტრაციის მიერ წერილის ამოღება;[79] არგაგზავნა;[80] კორესპონდენციაზე შეზღუდვის დაწესება;[81] კორესპონდენციის განადგურება;[82] წერილის გახსნა,[83] იმის ჩათვლით, როცა ციხის საფოსტო სისტემას ოპერაციული ხარვეზები ახასიათებს,[84] ან წერილის პატიმრისთვის გადაცემამდე;[85] წერილის დაგვიანება;[86] ციხის მისამართზე გაგზავნილი წერილის პატიმრისთვის გადაცემაზე უარის თქმა.[87] ასევე დაცულია მე-8 მუხლით ორ პატიმარს შორის მიმოწერა[88] და პატიმრისთვის წიგნის გადაცემაზე უარის თქმა.[89] სატელეფონო ზარები მოცულია პირადი ცხოვრებისა და „მიმოწერის" ცნებებით, კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით.[90]

ჩარევა გულისხმობს შემდეგსაც: ადმინისტრაციის მიერ წერილიდან აბ-

79 მაკკალუმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*McCallum v. the United Kingdom*), განაცხადი no. 9511/81, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების პუნქტი 31.

80 ვილიამ ფოლკნერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*William Faulkner v. the United Kingdom*), განაცხადი no. 37471/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის განჩინება.

81 კემბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell and Fell v. the United Kingdom*), განაცხადი no. 13590/88, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 33.

82 ფაზილ ახმეთ თამერი თურქეთის წინააღმდეგ (*Fazıl Ahmet Tamer v. Turkey*), განაცხადი no. 6289/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 52 და პუნქტი 54 ფილტრაციის სისტემის შესახებ);

83 ნარინენი ფინეთის წინააღმდეგ (*Narinen v. Finland*), განაცხადი no. 45027/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 32.

84 დემირტეპი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Demirtepe v. France*), განაცხადი no. 34821/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 26.

85 ვილიამ ფოლკნერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*William Faulkner v. the United Kingdom*), განაცხადი no. 37471/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის განჩინება.

86 კოტლეცი რუმინეთის წინააღმდეგ (*Cotleț v. Romania*), განაცხადი no. 38565/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 34.

87 ჰელანდერი ფინეთის წინააღმდეგ (*Helander v. Finland*), განაცხადი no. 10410/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 10 სექტემბრის განჩინების პუნქტი 48.

88 პფაიფერი და პლანკლი ავსტრიის წინააღმდეგ (*Pfeifer and Plankl v. Austria*), განაცხადი no. 10802/84, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 43.

89 ოსპინა ვარგასი იტალიის წინააღმდეგ (*Ospina Vargas v. Italy*), განაცხადი no. 40750/98, 2004 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 44.

90 აპოსტუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Apostu v. Romania*), განაცხადი no. 22765/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 123.

ზაცების წაშლას;[91] ამანათების რაოდენობის შეზღუდვას;[92] პატიმრის სატელეფონო საუბრების ჩაწერასა და შენახვას;[93] პაემნის დროს პატიმარსა და ნათესავებს შორის საუბრის მოსმენას;[94] დისციპლინური სახდელის დაწესებას, რომელიც კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის სრულ აკრძალვას ან დროებით შეზღუდვას ითვალისწინებს[95] და პატიმრებისთვის დანესებულ აკრძალვას, ისაუბრონ მშობლიურ ენაზე სატელეფონო საუბრების დროს.[96]

ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ მართლზომიერების მოთხოვნებს. კანონი საკმარისად ცხადად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მიუთითოს ყველა იმ გარემოებასა და წინაპირობაზე, რომელთა დადგომისას საჯარო ხელისუფლება უფლებამოსილია, მიმართოს მსგავს ღონისძიებებს. მოპასუხე სახელმწიფომ უნდა მიუთითოს იმ დებულებაზე, რომელზე დაყრდნობითაც ხელისუფლება ანარმოებს პატიმრის კორესპონდენციის მონიტორინგს.[97]

კანონის მართლზომიერების მოთხოვნა შეიძლება მიემართებოდეს არა მხოლოდ იმას, რომ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ჩარევის საფუძველი უნდა არსებობდეს, არამედ კანონის ხარისხსაც, რომელიც უნდა იყოს ცხადი, წინასწარგანჭვრეტადი და მოცემული პირისთვის ხელმისაწვდომი და ამ უკანასკნელს უნდა შეეძლოს, განჭვრიტოს საკუთარი ქცევის შედეგები.[98]

---

91 ფაზილ ახმეთ თამერი თურქეთის წინააღმდეგ (*Fazıl Ahmet Tamer v. Turkey*), განაცხადი no. 6289/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 10 და 53; პფაიფერი და პლანკლი ავსტრიის წინააღმდეგ (*Pfeifer and Plankl v. Austria*), განაცხადი no. 10802/84, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 47.

92 ალიევი უკრაინის წინააღმდეგ (*Aliev v. Ukraine*), განაცხადი no. 41220/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 180.

93 დჰურგა ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Doerga v. the Netherlands*), განაცხადი no. 50210/99 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 43.

94 ვისი საფრანგეთის წინააღმდეგ *(Wisse v. France)*, განაცხადი no. 71611/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 29.

95 მაკკალუმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*McCallum v. the United Kingdom*), განაცხადი no. 9511/81, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების პუნქტი 31.

96 ნურსეთ კაია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ *(Nusret Kaya and Others v. Turkey)*, განაცხადები nos. 43750/06 et al, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 36.

97 დი ჯიოვინე იტალიის წინააღმდეგ (*Di Giovine v. Italy*), განაცხადი no. 39920/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 25.

98 სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Silver and Others v. the United Kingdom*), განაცხადები nos. 5947/72, 6205/73 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 88.

კანონმდებლობა კონვენციას არ შეესაბამება, როდესაც არ აწესრიგებს არც პატიმართა კორესპონდენციის მონიტორინგის ღონისძიების ხანგრძლივობას და არც იმ მიზეზებს, რომლებიც შეიძლება ამართლებდეს ამ ღონისძიებას; თუ საკმარისი სიცხადით არ უთითებს ხელისუფლებაზე მოცემულ სფეროში დელეგირებული დისკრეციის მოცულობასა და განხორციელების მეთოდს, ანდა უტოვებს მიხედულების მეტისმეტად ფართო ფარგლებს.[99]

შემდეგი ღონისძიებები, *inter alia*, არ ჩაითვლება „კანონის შესაბამისად“: მონიტორინგი, რომელიც განხორციელებულია მისი ცალსახა აკრძალვის მიუხედავად;[100] მონიტორინგი, რომელიც განხორციელებულია მისი ნებადამრთველი ნორმების არარსებობის მიუხედავად;[101] მონიტორინგი განხორციელებული თანამდებობის პირის მიერ შესატყვისი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტებით;[102] მონიტორინგი ფართო საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გამოქვეყნებული არ არის;[103] პატიმრების სატელეფონო ზარების მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმები არ არის საკმარისად ცხადი და დეტალური, რათა პატიმრის სათანადო დაცვა უზრუნველყოს.[104]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ერთი პატიმრისგან მეორესთვის წერილის გადაცემაზე უარის თქმა იმ შიდა ინსტრუქციის საფუძველზე, რომელსაც არანაირი სავალდებულო ძალა არ ჰქონდა.[105]

ყოველთვის, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ითვალისწი-

---

99 ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (*Labita v. Italy*), განაცხადი no. 26772/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტები 176 და 180-184.

100 იდალოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Idalov v. Russia*), განაცხადი no. 5826/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 201.

101 დემირტეპი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Demirtepe v. France*), განაცხადი no. 34821/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 27.

102 ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (*Labita v. Italy*), განაცხადი no. 26772/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 182.

103 პოლტორაცკი უკრაინის წინააღმდეგ (*Poltoratskiy v. Ukraine*), განაცხადი no. 38812/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტები 158-160.

104 დჰურგა ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Doerga v. the Netherlands*), განაცხადი no. 50210/99 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 53.

105 ფრერო საფრანგეთის წინააღმდეგ (*Frérot v. France*), განაცხადი no. 70204/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 59.

ნებს პატიმრის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას, იგი ასევე უნდა ითვალისწინებდეს გარანტიებს ციხის ადმინისტრაციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად. კანონი, რომელიც უბრალოდ ჩამოთვლის იმ პატიმრების კატეგორიებს, რომელთა კორესპონდენციაც „შეიძლება შემოწმდეს“ და მიუთითებს უფლებამოსილ სასამართლოზე ისე, რომ არაფერს ამბობს ღონისძიების ხანგრძლივობასა თუ იმ მიზეზებზე, რომლებიც მის გამოყენებას შეიძლება ამართლებდეს, საკმარისი არ არის.[106]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს დარღვევას, როდესაც პატიმართა კორესპონდენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა ეროვნულ ხელისუფლებას მეტისმეტად ფართო უფლებამოსილებას უტოვებს და ციხის უფროსებს უფლებამოსილებას ანიჭებს, დააკავოს ნებისმიერი კორესპონდენცია, რომელიც, მაგალითად, „პატიმრის რეაბილიტაციის პროცესთან შეუსაბამოა“. ამ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ კორესპონდენციის მონიტორინგი არის ავტომატური და არ არის დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და არ საჭიროებს.[107]

კანონი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ დისკრეციას, ასევე უნდა ითვალისწინებდეს ამ დისკრეციის ფარგლებსაც;[108] თუმცა, სასამართლო ეთანხმება, რომ შეუძლებელია აბსოლუტური სიცხადის მიღწევა კანონის ფორმულირებისას.[109]

სადავო კანონში ცვლილებების შეტანა არ გამოასწორებს იმ დარღვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცვლილებების ძალაში შესვლამდე.[110]

კორესპონდენციის ხასიათიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ზოგიერთი სახის კორესპონდენცია, მაგალითად, ადვოკატთან, კონფიდენციალობის მაღალი ხარისხით უნდა იქნეს დაცული, განსაკუთრებით, როცა ეს ეხება ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ პრეტენზიებს.[111] რაც შეეხება

106 კალოგერო დიანა იტალიის წინააღმდეგ *(Calogero Diana v. Italy)*, განაცხადი no. 15211/89, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 32-33.

107 პეტრა რუმინეთის წინააღმდეგ *(Petra v. Romania)*, განაცხადი no. 27273/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 37.

108 დომენიჩინი იტალიის წინააღმდეგ (*Domenichini v. Italy*), განაცხადი no. 15943/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 32.

109 კალოგერო დიანა იტალიის წინააღმდეგ *(Calogero Diana v. Italy)*, განაცხადი no. 15211/89, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 32.

110 ენეა იტალიის წინააღმდეგ (*Enea v. Italy*), განაცხადი no. 74912/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 147.

111 იეფიმენკო რუსეთის წინააღმდეგ (*Yefimenko v. Russia*), განაცხადი no. 152/04,

ჩარევის ხარისხსა და ხასიათს, პატიმრის მთლიანი კორესპონდენციის მონიტორინგი, კორესპონდენციის სხვადასხვა სახეს შორის ყოველგვარი განსხვავების გარეშე, ინტერესთა ბალანსს არღვევს.[112] უბრალო შიში, რომ პატიმარს სურს მართლმსაჯულებისთვის თავის არიდება თუ მოწმეებზე ზემოქმედება, პატიმრის ყველა მიმოწერაზე რუტინულ მონიტორინგს თავისთავად არ ამართლებს.[113]

პატიმრის კორესპონდენციაში დაცულობის უფლებაში ჩარევა უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".[114] ასეთი „აუცილებლობა" უნდა შეფასდეს თავისუფლების აღკვეთის ჩვეულებრივ და გონივრულ მოთხოვნებთან მიმართებით. „უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან აცილების" ლეგიტიმური მიზანი[115] შეიძლება ამართლებდეს ინტენსიურ ჩარევას პატიმრის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში, თავისუფალ ადამიანთან შედარებით. ყველა შემთხვევაში, ჩარევის ღონისძიება თანაბარზომიერი უნდა იყოს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობთ. მონიტორინგის ხარისხი და თვითნებობისგან თავის დასაცავად შესატყვისი გარანტიების არსებობა ჩარევის მართლზომიერების შეფასების ფუძემდებლური კრიტერიუმებია.[116]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 144.

112 პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Petrov v. Bulgaria*), განაცხადი no. 15197/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 44.

113 იანკაუსკას ლიეტუვას წინააღმდეგ (*Jankauskas v. Lithuania*), განაცხადი no. 59304/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 22.

114 იეფიმენკო რუსეთის წინააღმდეგ (*Yefimenko v. Russia*), განაცხადი no. 152/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 142.

115 იანკაუსკას ლიეტუვას წინააღმდეგ (*Jankauskas v. Lithuania*), განაცხადი no. 59304/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 21.

116 ცონიო ცონევი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Tsonyo Tsonev v. Bulgaria)*, განაცხადი no. 33726/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 42.

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

ევროპული კავშირი 307
ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 307
მუხლი 10 – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება 307
ევროპის საბჭო 307
მინისტრთა კომიტეტი 307
ევროპული ციხის წესები 307
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 308
მუხლი 9 – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება 308
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 308
ზოგადი პრინციპები 308
რელევანტური საქმეები 311
i. რელიგიის თავისუფლების განხორციელების მიზნით, პატიმარი ითხოვს ცალკე საკანში გადაყვანას და საკმევლის საკანში დანვას: განაცხადი დაუშვებელია 311
ii. რელიგიის თავისუფლების განხორციელების მიზნით, პატიმარი ითხოვს წვერის მოზრდას და საკანში კრიალოსნის შენახვას: განაცხადი დაუშვებელია 314
iii. პატიმარი ითხოვს მღვდელთან შეხვედრას და რელიგიურ ლიტერატურას: არდარღვევა, დარღვევა 315
iv. რელიგიის თავისუფლების საბაბით, პატიმარი უარს ამბობს ციხის ტანისამოსის ჩაცმაზე, ციხეში მუშაობასა და საკნის დალაგებაზე: განაცხადი დაუშვებელია 317
v. დისციპლინური სახდელი მუშაობაზე უარის თქმის გამო, რწმენიდან გამომდინარე: განაცხადი დაუშვებელია 318
vi. ბუდისტ პატიმარს ვეგეტარიანული საკვები არ მიეწოდა: დარღვევა 320
vii. ციხის ადმინისტრაციამ ეჭვი შეიტანა მსჯავრდებულის ბუდისტობაში და უარი უთხრა ვეგეტარიანული საკვებით უზრუნველყოფაზე: დარღვევა 321
viii. ორთოდოქსი ებრაელი უარს ამბობს ვეგეტარიანულ კოშერ საკვებზე: განაცხადი დაუშვებელია 323
ix. პატიმარს მიეცა გაფრთხილება, არ გაევრცელებინა რელიგიური ლიტერატურა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში: არდარღვევა 323
x. ბუდისტ პატიმარს უფლება არ მიეცა, რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისთვის მასალა გადაეგზავნა ბუდისტურ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად: განაცხადი დაუშვებელია 324
xi. მსჯავრდებულმა ვერ განმარტა, თუ როგორ უნდა აღესრულებინა თავისი რელიგია: განაცხადი დაუშვებელია 325

xii. მსჯავრდებულის ახალი რელიგიის მიმდევრად ციხის
ჟურნალში რეგისტრაციაზე უარის თქმა: განაცხადი დაუშვებელია 325
xiii. მაგნიტოფონის კონფისკაცია, რომლითაც პატიმარი
უსმენდა რელიგიურ ჩანაწერებს: განაცხადი დაუშვებელია 326

ევროპული კავშირი

ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია

მუხლი 10 – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება
1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, შეიცვალოს რელიგია თუ რწმენა და თავისუფლებას, ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ, ან განკერძოებით, გამოხატოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით
2. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება აღიარებულია, ამ უფლების რეალიზების მარეგულირებელი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად.

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[1]

22.1 პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო საკვებით, მათი რელიგიის... გათვალისწინებით.
***

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება
29.1 პატიმართა აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებას პატივი უნდა ეცეს.
29.2 ციხეების რეჟიმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლებისდაგვარად საშუალება მისცეს პატიმრებს, თავიანთ რელიგიას და რწმენას მისდიონ, რელიგიის და სარწმუნოების აკრედიტებული წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას და შეხვედრებს დაესწრონ, კერძოდ, შეხვდნენ თავიანთი რელიგიის წარმომადგენლებს და საკუთრებაში იქონიონ თავიანთ რელიგიასთან ან მრწამსთან დაკავშირებული ლიტერატურა ან წიგნები.
29.3 პატიმრებს არ უნდა აიძულებდნენ, მისდიონ რელიგიას ან სარწმუნოებას, დაესწრონ ღვთისმსახურებას ან შეხვედრებს, მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ რიტუალში, ან შეხვდნენ რომელიმე რელიგიის ან სარწმუნოების წარმომადგენლებს.

1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

მუხლი 9 – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გამოხატოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

კონვენციის მიხედვით, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი. რელიგიური ასპექტი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ქმნის მორწმუნეთა იდენტობას და აყალიბებს ცხოვრების მათეულ წარმოდგენას; ამასთანავე, იგი არის მნიშვნელოვანი ღირებულება ათეისტებისთვის, აგნოსტიკოსებისთვის, სკეპტიკოსებისა და დაუინტერესებელ პირთათვისაც. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას ემყარება დემოკრატიული საზოგადოებისგან განუყოფელი პლურალიზმი, რომლის დამკვიდრებასაც საუკუნეების ძალისხმევა დასჭირდა.[2]

რელიგიური თავისუფლება, უწინარესად, ინდივიდუალური მრწამსისა და აზრის საკითხია. მე-9 მუხლის 1 პუნქტში მითითებული პირის უფლების ეს ასპექტი, ჰქონდეს ნებისმიერი რელიგიური მრწამსი და შეიცვალოს რელიგია ან მრწამსი, აბსოლუტური და პირისგან განუყოფელია. თუმცა, რელიგიის თავისუფლება ასევე მოიცავს საკუთრი რწმენის გამოხატვის თავისუფლებასაც როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით. რელიგიური მრწამსის გამოხატვა შესაძლებელია რომ, ხორციელდებოდეს წირვით, ქადაგებით, რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების

2 ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Eweida and Others v. the United Kingdom*), განაცხადები nos. 48420/10 *et al*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 79.

დაცვით. იმის გამო, რომ ერთი პირის მიერ რელიგიური მრწამსის გაცხადებამ შესაძლოა, გავლენა იქონიოს სხვა პირებზე, კონვენციის ავტორებმა რელიგიის თავისუფლების ეს ნაწილი დაარეგულირეს იმავე მუხლის მეორე პუნქტით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს, რომ პირის რელიგიისა თუ მრწამსის გაცხადებაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს კანონით განსაზღვრული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთი ან რამდენიმე მითითებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[3]

გამოხატვის თავისუფლებისგან განსხვავებით, აზრის, მრწამსისა და რელიგიის თავისუფლება არ იცავს ყველანაირ შეხედულებას, არამედ მხოლოდ იმ შეხედულებებს, რომლებიც აღწევს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, თანმიმდევრულობისა და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს. ევროპული სასამართლო ადგენს, რომ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება შეუთავსებელია სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური რწმენის და მათი გამოხატვის გზების ლეგიტიმურობის შეფასებასთან.[4]

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ნეიტრალიტეტი და იყოს მიუკერძოებელი. ამასთან, სახელმწიფოს აქვს უფლება, რომ შეაფასოს, თუ რამდენად კეთილსინდისიერია პირი, როცა რელიგიის თავისუფლების საფუძველზე ითხოვს გარკვეულ დაცვას, თუ მის მიმართ პოზიტიური ქმედებების განხორციელებას.

იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც კონკრეტული რწმენა აღწევს დამაჯერებლობისა და მნიშვნელობის სათანადო ზღვარს, არ შეიძლება, ითქვას, რომ ყოველი ქმედება, რომელიც გარკვეულწილად შთაგონებული ან მოტივირებულია ამ რწმენის მიერ, არის მოცემული რწმენის „გამოხატვა". ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც პირდაპირ არ გამოხატავს კონკრეტულ რწმენას ან რომელიც მხოლოდ ზოგადად არის დაკავშირებული რწმენასთან, არ ხვდება 9.1 მუხლის დაცვის ქვეშ. იმისთვის, რათა ქმედება ჩაითვალოს „გამოხატვად" მე-9 მუხლის მნიშვნელობით, იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული რელიგიასა თუ რწმენასთან. ამის მაგალითი არის წირვა-ლოცვა ან რელიგიისა თუ რწმენის განუყოფელი რიტუალის განმეორება ზოგადად აღიარებული ფორმით. თუმცა, რელიგიისა თუ რწმენის გაცხადება არ იზღუდება მხოლოდ

3 ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Begheluri and Others v. Georgia*), განაცხადი no. 28490/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 157.

4 ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Eweida and Others v. the United Kingdom)*, განაცხადები nos. 48420/10 *et al*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 81; ვარტიჩი რუმინეთის წინააღმდეგ *(Vartic v. Romania* (no. 2)), განაცხადი no. 14150/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 34.

ამგვარი მოქმედებებით; მოქმედებასა და მის გამომწვევ რწმენას შორის საკმარისად მჭიდრო და პირდაპირი კავშირის არსებობა უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.[5]

სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ფრაზა „გათვალისწინებულია კანონით", პირველ რიგში, მოითხოვს, რომ სადავო ღონისძიება გათვალისწინებული იყოს ეროვნული კანონმდებლობით.

ევროპული სასამართლო ასევე მიუთითებს შესაბამისი კანონის ხარისხზე და მოითხოვს, რომ კანონი იყოს პირებისთვის ხელმისაწვდომი და საკმარისი სიზუსტით ჩამოყალიბებული, რათა მათ, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კონსულტაციით, შეძლონ გონივრულად განჭვრიტონ, ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება მათ ქცევას და შესატყვისად დაარეგულირონ თავიანთი ქმედება.[6] კანონი უნდა შეესაბამებოდეს სამართლის უზენაესობის პრინციპს.[7]

რაც შეეხება სიტყვებს „კანონის შესაბამისად" – კონვენციის მე-8 მუხლში, „გათვალისწინებულია კანონით" – კონვენციის მე-9 მუხლში და „კანონით დადგენილი" – კონვენციის მე-10 მუხლში, ევროპული სასამართლო სიტყვას „კანონი" განმარტავს „მატერიალური" და არა „ფორმალური" მნიშვნელობით. ამ სიტყვაში ევროპული სასამართლო გულისხმობს არა მარტო „დაწერილ სამართალს", რომელშიც ევროპული სასამართლო ასევე მოიაზრებს კანონქვემდებარე აქტებს, არამედ სასამართლო პრაქტიკას.[8]

დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უწესებს მიხედულების გარკვეულ ფარგლებს იმის დასადგენად, იყო თუ არა ჩარევა და რამდენად იყო ჩარევა აუცილებელი. ევროპული სასამართლო ამოწმებს, რამდენად იყო სახელმწიფოს მიერ მიხედულების ფარგლები დაცული. ევროპული სასამართლო აფასებს როგორც შესაბამის კანონმდებლობას, ისე მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებასაც. სასამართლოს ვალდებულებაა, განსაზღვროს, ეროვნულ დონეზე მიღებული ზომები რამდენად გამართლებული და თანაბარზომიერი იყო.

---

5 ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Eweida and Others v. the United Kingdom*), განაცხადები nos. 48420/10 *et al*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 82.

6 ლეილა შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ (*Leyla Şahin v. Turkey*), განაცხადი no. 44774/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 84.

7 მოროზი უკრაინის წინააღმდეგ (*Moroz v. Ukraine*), განაცხადი no. 5187/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 82.

8 ლეილა შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ (*Leyla Şahin v. Turkey*), განაცხადი no. 44774/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 88.

ზღვარი სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნაკისრ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არ არის ზუსტად გამიჯნული, მაგრამ შესატყვისი პრინციპები ერთმანეთის მსგავსია. ორივე კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჯეროვანი წონასწორობა, რომელიც დაცული უნდა იქნეს ინდივიდის ინტერესებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის. ორივე კონტექსტში, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებშია იმ ნაბიჯების განსაზღვრა, რომლებითაც ის უზრუნველყოფს კონვენციის დაცვას. უფრო მეტიც, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნები შეიძლება რელევანტური იყოს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან მიმართებაში, დაამყაროს საჭირო წონასწორობა ინდივიდის და საზოგადოების ინტერესებს შორის.[9]

რელევანტური საქმეები

რელიგიის თავისუფლების განხორციელების მიზნით, პატიმარი ითხოვს ცალკე საკანში გადაყვანას და საკმევლის საკანში დაწვას: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[10] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი მსჯავრდებულია ძარცვის მცდელობისთვის. მან ევროპულ სასამართლოში იჩივლა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევაზე იმის გამო, რომ ციხეში ხელს უშლიდნენ თავისი რელიგიის – ვაიშნავიზმის (ჰარე კრიშნას მოძრაობა) ფუნდამენტალური რიტუალების აღსრულებაში და რომ მისი თანამესაკნელები და კაპელანი რელიგიური შეხედულებების გამო დასცინოდნენ.

კერძოდ, კაპელანმა ჰარე კრიშნას მოძრაობა დაახასიათა, როგორც სატანური; მსჯავრდებული ვერ ახერხებდა რელიგიური ლიტერატურის თავის საკანში კითხვას, ვინაიდან საკანში მყოფი სხვა პატიმრები უწმაწურად საუბრობდნენ; ისინი მას მუდმივად დასცინოდნენ, რის გამოც მსჯავრდებულს ხელი ეშლებოდა მედიტაციასა და ვაიშნავიზმის სწავლაში. ამის გამო ის ცალკე საკანში მოთავსებას ითხოვდა; მსჯავრდებული არ იღებდა იგივე დოზით სულიერ მხარდაჭერას, როგორც ქრისტიანი პატიმრები; აგრეთვე ნებას არ აძლევდნენ, საკანში საკმეველი დაეწვა.

მოპასუხე სახელმწიფოს ინფორმაციით, მსჯავრდებული თავისი რიტუალების აღსრულებით სხვა პატიმრებს აწუხებდა. ის გამუდმებით მღეროდა, მედიტირებდა, ან ზეთის მასაჟებს იკეთებდა. მას აუხსნეს, რომ სასჯელაღ-

9 იაკობსკი პოლონეთის წინააღმდეგ *(Jakóbski v. Poland)*, განაცხადი no. 18429/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 47.

10 კოვალკოვსი ლატვიის წინააღმდეგ *(Kovaļkovs v. Latvia)*, განაცხადი no. 35021/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის განჩინება.

სრულების დაწესებულების საცხოვრებელ ფლიგელში არ შეიძლებოდა რელიგიური რიტუალების აღსრულება და ამისთვის ცალკე ოთახი შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა და ჯიუტად განაგრძო თავის საკანში ღვთისმსახურება.

მოპასუხე სახელმწიფოს ინფორმაციით, ციხის ადმინისტრაციამ რიგაში კრიშნას საზოგადოებას ოფიციალური წერილით მიმართა და სთხოვა განმარტება, მოითხოვდა თუ არა ვაიშნავიზმი დღეში ორჯერ მანტრების 15 წუთის განმავლობაში ყვირილით ჩაკითხვას. განმარტების თანახმად, ლოცვის ორი მიღებული მეთოდი არსებობს: ჩუმი ხმით მანტრას გამეორება კრიალოსნის დამარცვლით, ან ჯგუფურად მანტრების მღერა ჩვეულებრივი ხმით.

სახელმწიფომ ევროპულ სასამართლოში განაცხადა, რომ მსჯავრდებული მე-9 მუხლის დარღვევის მსხვერპლად ვერ განიხილებოდა, რადგან ის სინამდვილეში არ იყო ვაიშნავიზმის მიმდევარი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სახელმწიფოს არგუმენტით, განმცხადებელი სინამდვილეში არ იყო ვაიშნავიზმის მიმდევარი, ვინაიდან მან ბიბლიის სწავლების დისტანციურ კურსში მიიღო მონანილეობა. სასამართლომ ამაზე აღნიშნა, რომ პიროვნების არჩევანი, განათლება მიიღოს რელიგიურ თუ სხვა თემაზე, ზეგავლენას არ ახდენს მის მრწამსზე. ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა მიზეზი, თუ რატომ უნდა შეეტანა ეჭვი, რომ მსჯავრდებული მართლაც ვაიშნავიზმის მიმდევარი იყო.

განმცხადებლის საჩივრებიდან ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა განმცხადებლის სურვილზე, ელოცა, ემედიტირა, წაეკითხა რელიგიური ლიტერატურა და აღესრულებინა ღვთისმსახურება საკმევლის დანვით, რომლებიც, სასამართლოს აზრით, შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც რელიგიით მოტივირებული და ამიტომ არაგონივრული არ ყოფილა. თუმცა სასამართლომ იქვე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი ჩამოთვლის რელიგიის თუ რწმენის გამჟღავნების სხვადასხვა ფორმას, როგორიცაა აღმსარებლობა, ქადაგება, წესებისა და რიტუალების შესრულება და რომ მე-9 მუხლი არ იცავს რელიგიითა თუ რწმენით მოტივირებულ თუ შთაგონებულ ყველა აქტს.

ევროპულმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის საჩივარი (ცალკე საკანში მოთავსებასთან დაკავშირებით) იმ კონტექსტში, სახელმწიფომ შეასრულა თუ არა მასზე მე-9 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები.

ამასთან, განიხილა განმცხადებლის საჩივარი საკმევლის ჩამორთმევაზე იმ კონტექსტში, ხომ არ დაარღვია სახელმწიფომ მე-9 მუხლით დაკისრებული ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს პატიმრის რელიგიის თავისუფლებაში.

როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულებების შეფასების კონტექსტში, უნდა დადგინდეს სამართლიანი წონასწორობა კონფლიქტურ ინტერესებს შორის – ინდივიდის ინტერესსა და საზოგადოების ინტერესებს შორის. ორივე კონტექსტში სახელმწიფოს აქვს მიხედულების ფართო ფარგლები, განსაზღვროს ის ნაბიჯები, რომლებიც უკეთ უზრუნველყოფს კონვენციის მოთხოვნების შესრულებას.

ამ შემთხვევაში, პატიმრის ინდივიდუალურ ინტერესს უპირისპირდებოდა სხვა პატიმრების უფლებათა დაცვის ლეგიტიმური მიზანი, აგრეთვე საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური ინტერესი.

რელიგიის გამჟღავნებაზე განმცხადებლის უფლებაში ჩარევას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი. ციხეში სულიერი მხარდაჭერის შესახებ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ცალკე საკანში მოთავსებას, ან მედიტაციისთვის, ლოცვისა თუ რელიგიური ლიტერატურის კითხვისთვის საცხოვრებელი შენობის დათმობას. ეროვნული კანონმდებლობა საკმეველს არ ითვალისწინებდა საკანში შესანახად ნებადართული ნივთების სიაში.

მსჯავრდებულის სურვილი, ეკითხა რელიგიური ლიტერატურა, ემედიტირა და ელოცა სხვა პატიმრებისგან იზოლაციაში, ევროპულმა სასამართლომ განიხილა სხვა პატიმრების უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანთან თანაბარზომიერების ჭრილში. მსჯავრდებულს შესთავაზეს სხვა ადგილი თავისი რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად და მან უარი თქვა ამ შეთავაზებაზე. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებაში ჩარევა არ იყო იმდაგვარი, რომ სრულად აეკრძალა მისთვის რელიგიის გამოხატვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სხვების თანდასწრებით ლოცვა, მედიტაცია და რელიგიური ლიტერატურის კითხვა გარკვეულ უხერხულობასთან არის დაკავშირებული და თითქმის გარდაუვალია ციხის კონტექსტში, თუმცა, რელიგიის გამჟღავნების თავისუფლების არსს ფუნდამენტურად არ არღვევს. იმ პირობებში, როცა ციხის ადმინისტრაცია, თუნდაც ერთხელ, სთავაზობს პატიმარს, რელიგიური რიტუალების სხვა ადგილას აღსრულებას და პატიმარი ამაზე უარს ამბობს რაიმე გონივრული მიზეზის გარეშე, დასახულ ლეგიტიმურ მიზანსა და პატიმრის რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში მცირედ ჩარევას შორის აშკარად არის თანაბარზომიერება დამყარებული.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა კრიშნას საზოგადოების ინფორმაცია იმის შეფასებისას, საკმევლის დაწვა მოითხოვება თუ არა აუცილებლად, როგორც რელიგიური ტრადიცია. კრიშნას საზოგადოების განმარტებით, ეს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ზოგადი ვალდებულება არ არსებობს. ამასთან, საკმევლის დაწვა ძლიერ სურნელს წარმოშობს, რომელიც შეიძლება ყველასთვის სასიამოვნო არ იყოს და სხვა პატიმრებს აწუხებდეს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნებადართული ნივთების სიაში საკმეველის არგათვალსწინება, რომელიც არ არის არსებითი პატიმრის რელიგიის გამოსახატავად, არის თანაბარზომიერი ღონისძიება სხვათა უფლებებისა და თავისუფლებებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად. სახელმწიფოს, მოცემულ შემთხვევაში, არც პოზიტიური და არც ნეგატიური ვალდებულებები არ დაურღვევია.

განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული.

რელიგიის თავისუფლების განხორციელების მიზნით, პატიმარი ითხოვს წვერის მოზრდას და საკანში კრიალოსნის შენახვას: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[11] განმცხადებელი მსჯავრდებულია მკვლელობისთვის და მისჯილი აქვს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. ის ებრაელია წარმოშობით, მაგრამ მოექცა ბუდიზმზე. ევროპულ კომისიას მიმართა საჩივრით იმის თაობაზე, რომ ციხის ადმინისტრაციამ დაურღვია რელიგიის თავისუფლება, რადგან არ მისცა უფლება, რომ ნიკაპზე მოკლე წვერი მოეზარდა და ჰქონოდა კრიალოსანი; განმცხადებლის მტკიცებით, ბუდიზმის თანახმად, მოკლე წვერი და კრიალოსანი აუცილებელი იყო და ავსტრიის ხელისუფლება ბუდიზმს, როგორც რელიგიას არ სცნობდა. ადმინისტრაციამ არ მისცა უფლება, რომ იოგას მედიტაციური ვარჯიშები ეკეთებინა და არ დართო ნება, გამოეწერა რელიგიური ჟურნალი ქველმოქმედების ნიშნად, რასაც ის თავის ზნეობრივ ვალდებულებად მიიჩნევდა; მას არ შეეძლო, ბიბლიოთეკიდან გამოეტანა წიგნები და თავისი თვალსაწიერის შემდგომი განვითარებისთვის ეზრუნა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა კომისიამ გაითვალისწინა სახელმწიფოს არგუმენტი წვერის აკრძალვასთან დაკავშირებით, რისი მიზანიც იყო მსჯავრდებულის სათანადოდ იდენტიფიცირების უზრნველყოფა. შესაბამისად, წვერის აკრძალვა გამართლებული იყო საჯარო წესრიგის დაცვის ლეგიტიმური მიზნით და „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მე-9.2 მუხლიდან გამომდინარე.

11 X ავსტრიის წინააღმდეგ *(X v. Austria)*, განაცხადი no. 1753/63, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1965 წლის 15 თებერვლის განჩინება.

იოგას ვარჯიშებთან დაკავშირებით, კომისიამ გაითვალისწინა სახელმწიფოს არგუმენტი, რომ მსჯავრდებულს შეეძლო ასეთი ვარჯიშების გაკეთება, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა დადგენილ წესრიგს.

რაც შეეხება კრიალოსანს, თუნდაც ეს ნივთი აუცილებელი ელემენტი ყოფილიყო ბუდისტური რელიგიის სათნადოდ აღსრულებისთვის, მისი ჩამორთმევა მიზნად ისახავდა საჯარო წესრიგის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს და „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მე-9.2 მუხლიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ერთი კონკრეტული ჟურნალის გამოწერას, კომისიამ გაარკვია, რომ ეს ჟურნალი კათოლიკური ორგანიზაციის მიერ გამოიცემოდა და ამიტომ მისი გამოწერის აკრძალვა ბუდისტი პატიმრის რელიგიის თავისუფლებას ვერანაირად დაარღვევდა.

დაბოლოს, კომისიამ განმარტა, რომ მე-9 მუხლი არ ავალდებულებს ციხის ადმინისტრაციას, იმ წიგნებით მოამარაგოს პატიმრები, რომლებსაც ეს უკანასკნელნი საჭიროდ მიიჩნევენ თავიანთი რელიგიის აღსრულებისა და თვალსაწიერის განვითარებისთვის.

ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო და არ მიიღო არსებითად განსახილველად.[12]

პატიმარი ითხოვს მღვდელთან შეხვედრის და რელიგიურ ლიტერატურას: არდარღვევა, დარღვევა

ფაქტები:[13] პატიმარი მოთავსებულია საგამოძიებო იზოლატორში მკვლელობის ბრალდებით. მან ევროპულ სასამართლოში იდავა, რომ არ მიეცა მღვდელთან შეხვედრის და იზოლატორის სამლოცველოში სიარულის უფლება; რომ რელიგიური ლიტერატურა და სხვა რელიგიური დანიშნულების ნივთები ჩამოართვეს.

სახელმწიფო ხელისუფლებამ სტრასბურგის სასამართლოში განაცხადა, რომ არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, რომ პატიმარს როდესმე მოეთხოვა მღვდელთან შეხვედრა და რომ ამაზე უარი ეთქვათ. მართალია, მან სთხოვა საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაციას, მღვდელთან შეხვედრაზე დაერთო ნება, მაგრამ შესატყვისი კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებულს მსგავსი მოთხვნით უნდა მიემართა გამომძიებლისთვის ან მისი საქმის განმხილველი მოსამართლისთვის.

12 იხ. თავი „პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება“, გადაწყვეტილება ბირჟიეტისი ლიეტუვა წინააღმდეგ (*Biržietis v. Lithuania*), განაცხადი no. 49304/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.
13 მოროზი უკრაინის წინააღმდეგ (*Moroz v. Ukraine*), განაცხადი no. 5187/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება:

დასაშვებობა

სასამართლომ აღნიშნა, რომ შესატყვისი კანონმდებლობა ცხადად განმარტავდა მსგავსი მოთხოვნების წარდგენის სამართალწარმოებას და საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო. ამასთან, ბრალდებულს ჰყავდა ადვოკატები და შეეძლო მათი მომსახურებით ესარგებლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამასთან, ნათესავებთან თუ სხვა პირებთან შეხვედრაზე შეზღუდვები იგივე საკანონმდებლო ნორმებით რეგულირდებოდა. სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ინფორმაციით, როდესაც ბრალდებული ითხოვდა თავის ნათესავებთან შეხვედრაზე ნებართვას, საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ პროცედურას იცავდა. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელმა სათანადოდ ვერ დააყენა რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის საკითხი ეროვნულ დონეზე, ვიდრე საერთაშორისო სასამართლოს მიმართავდა. შესაბამისად, სასამართლომ განაცხადი აღნიშნულ ნაწილში არსებითად განსახილველად არ მიიღო, რადგანაც შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებები ამოწურული არ ყოფილა.

რაც შეეხება პრეტენზიას, რომ განმცხადებელმა ეროვნულ დონეზე იჩივლა რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევის თაობაზე, მან წარმოადგინა გენერალური პროკურორის სახელზე შედგენილი შესაბამისი საჩივარი.

ევრპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა სათანადოდ დააყენა საკითხი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ხელისუფლების წინაშე და არსებითად განსახილველად მიიღო განაცხადი აღნიშნულ ნაწილში.

არსებითი განხილვა

ადამიანის უფლებათა ევრპული სასამართლო ადგენს, რომ ადგილი აქვს რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლებაში ჩარევას, როცა პატიმარს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ღვთისმსახურებაში.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განიხილოს, იყო თუ არა ჩარევა გამართლებული კონვენციის მე-9.2 მუხლის მნიშვნელობით, ანუ იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული", ჰქონდა თუ არა ერთი თუ მეტი ლეგიტიმური მიზანი და იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, პატიმრებს ჰქონდათ უფლება, ინდივიდუალურად შეესრულებინათ რელიგიური რიტუალები და გამოეყენებინათ რელიგიური ლიტერატურა და ნივთები. ამ უფლებაში ჩარევა ეროვნული კანონით დაიშვებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი გამართლებული იქნებოდა ციხეში წესრიგის დასაცავად ან სხვათა უფლებების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში, არ იყო მითითებული ამ მიზნების შესრულების საჭიროება. შესაბამისად, ამ უფლებაში ჩარევა მოცემულ შემთხვევაში არ მოხდა კანონის შესაბამისად. ევროპულმა სასამართლომ არ განიხილა საჭიროდ, იყო თუ არა დაცული მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დანარჩენი მოთხოვნები და დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა.

რელიგიის თავისუფლების საბაბით, პატიმარი უარს ამბობს ციხის ტანისამოსის ჩაცმაზე, ციხეში მუშაობასა და საკნის დალაგებაზე: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[14] განმცხადებელი სიკჰია.[15] ის მსჯავრდებულია უნივერსიტეტში ფანჯრის მინების ჩამსხვრევისთვის. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ პოლიტიკური პატიმარია და არა დამნაშავე. მისი მტკიცებით მისთვის, როგორც სიკჰისთვის, არ არსებობს ხელისუფლება მასა და ღმერთს შორის და ციხის ტანისამოსის ტარება დამამცირებელია. განმცხადებლისთვის მიუღებელია სტიგმა, რომელიც ციხის ტანისამოსისთვის არის დამახასიათებელი. მან უარი განაცხადა ციხის ტანისამოსის ტარებაზე, მოითხოვა თავისი ტანსაცმელი, რაზედაც უარი უთხრეს. მსჯავრდებული ამის შემდეგ პირსახოცშემოხვეული დადიოდა და ხანდახან პლედს მოიხურავდა, თუმცა ციხის ტანისამოსი მისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო. აღნიშნულის გამო, ის ჩამოაშორეს სხვა პატიმრებს, რათა მათი მხრიდან ფიზიკურ და სიტყვიერ დამცირებას არ დაქვემდებარებოდა და სასჯელის მოხდის პერიოდში განცალკევებული იყო. მსჯავრდებული აგრეთვე ექვემდებარებოდა მთელ რიგ დისციპლინურ სახდელებს, რადგანაც სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში, უარს ამბობდა, ემუშავა და დაელაგებინა თავისი საკანი, რადგან ამას დამამცირებლად და კულტურულად მიუღებლად მიიჩნევდა. როგორც ინდოელისა და სიკჰისთვის, საკნის დალაგება კასტური სისტემის უპატივცემულობას ნიშნავდა. მისი უფლება რელიგიური და კულტურული წარმოშობის პატივისცემაზე დაცული იყო კონვენციის მე-9 მუხლით. მის საკანს ყოველ ოთხ კვირაში დეზინფექციას უკეთებდნენ.

დისციპლინური სახდელის დროს, მსჯავრდებულის საწოლს და თეთრეულს ყოველ დილით ციხის პერსონალი აალაგებდა და საღამოთი მსჯავ-

14 X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(X v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 8231/78, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1982 6 მარტის განჩინება.
15 სიკჰიზმი რელიგიაა, რომელსაც დასაბამი დაედო ინდოეთში, პენჯაბის რეგიონში, მე-15 საუკუნეში.

რდებულს თავად უნდა მიეკითხა, წამოეღო ლოგინი და თეთრეული და გაეშალა. მსჯავრდებულმა ამაზე უარი თქვა. ბოლოს, ციხის თანამშრომელმა თავად მიუტანა საწოლი და თეთრეული. მსჯავრდებულმა აღნიშნულზე ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას განუცხადა, რომ ციხის ადმინისტრაცია მე-9 მუხლით დაცული თავისი პრინციპების საწინააღმდეგოდ აიძულებდა მოქმედებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულისთვის სამუშაოს შესრულების ვალდებულების დაკისრება გამართლებულია კონვენციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით.[16] ამასთან, მსჯავრდებულმა ვერ აჩვენა, რომ მისი უარი, შეესრულებინა სამუშაო ციხეში, მე-9 მუხლის მნიშვნელობით რელიგიის გამოხატვა იყო აღმსარებლობით, ქადაგებითა თუ წესებისა და რიტუალების სახით.

კომისიამ განმარტა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი არ იცავს პატიმრების უფლებას, თავიანთი ტანისამოსი ატარონ ციხეში. თუნდაც, მსჯავრდებულს დაემტკიცებინა, რომ ის „პოლიტიკური პატიმარი" იყო, მან ვერ დაამტკიცა, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებები იმდაგვარი იყო, რომ საჭიროებდა ციხის ტანისამოსის არტარებას და კონვენციის მე-9 მუხლის მხრიდან დაცვას. არ იქნა მიღებული არც ის არგუმენტი, რომ მსჯავრდებულს რელიგია უკრძალავდა ციხის ტანსაცმლის ტარებას.

რაც შეეხება, საკნის დალაგებას, კომისიამ გაითვალისწინა მსჯავრდებულის არგუმენტი, რომ მაღალი კასტის სიკჰისთვის, რელიგიიდან გამომდინარე, მიუღებელი იყო იატაკების მოწმენდა, თუნდაც, ყოფილიყო მსჯავრდებულის მე-9 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა, გაამართლა დასუფთავების ვალდებულების მსჯავრდებულზე დაკისრება მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თავად მსჯავრდებულის და სხვა პატიმრების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე.

ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

დისციპლინური სახდელი მუშაობაზე უარის თქმის გამო, რწმენიდან გამომდინარე: განაცხადი დაუშვებელია

16 მუხლი 4 (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა). 3. ამ მუხლის გაგებით, „იძულებით ან სავალდებულო შრომად" არ განიხილება: ა) ნებისმიერი სამუშაო, რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რაც შეფარდებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავისუფლების განმავლობაში."

ფაქტები:[17] განმცხადებელი მსჯავრდებულია ცემისთვის. ციხეში მან უარი განაცხადა საბეჭდ საამქროში მუშაობაზე, რადგან თავისი ვეგანური შეხედულებების გამო, არ შეეძლო ცხოველებზე გამოცდილ პროდუქციაზე (მაგალითად, საღებავებზე) მუშაობა. შედეგად, მას დაეკისრა დისციპლინური სახდელი. დისციპლინური სამართალწარმოების დროს მას არაფერი უთქვამს თავისი ვეგანური შეხედულებების შესახებ, პირიქით, დაფიქსირებულია მისი განაცხადი, რომლის თანახმადაც, საამქროში მუშაობა მისი საქმე არ იყო და ყოველთვის უარს იტყოდა მასზე. მსჯავრდებულმა დისციპლინური სანქციები ევროპულ კომისიაში გაასაჩივრა და იდავა მე-9 მუხლის დარღვევაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ ვეგანიზმი შეიძლება განიხილებოდეს „სინდისად“ ან „რწმენად“ მე-9 მუხლის მნიშვნელობით. კომისიის პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-9 მუხლი იცავს კერძო, პირად შეხედულებებს და იმ მოქმედებებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ამ შეხედულებებთან. კომისიამ დაასკვნა, რომ ვეგანური შეხედულებები მე-9 მუხლის მოქმედების სფეროში ხვდება.

სახელმწიფო ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მსჯავრდებულის რელიგია არაფერ შუაში იყო, მას უბრალოდ საამქროში მუშაობა არ უნდოდა და დისციპლინური სამართალწარმოების დროსაც ვეგანური შეხედულებების შესახებ არაფერი უთქვამს. ევროპულმა კომისიამ მაინც მიიჩნია, რომ მსჯავრდებულმა ცალსახად მიუთითა თავის რელიგიურ შეხედულებებზე ოფიციალურ საჩივარში, რომლითაც ციხის ხელისუფლებას მიმართა. შესაბამისად, მსჯავრდებულის უარის ერთ-ერთი მოტივი ვეგანური შეხედულებები იყო.

რაც შეეხება საამქროში გამოყენებულ საღებავებს, სახელმწიფომ უარყო, რომ ისინი ცხოველებზე გამოიცდებოდა, ხოლო მსჯავრდებულმა წარმოადგინა ვეგანური საზოგადოების წერილი, რომლის თანახმადაც, საღებავების უმეტესობა რაღაც ეტაპზე ცხოველებზე გამოიცდებოდა.

ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ თუნდაც ადგილი ჰქონოდა ჩარევას მსჯავრდებულის მე-9 მუხლით დაცულ უფლებებში, ეს ჩარევა კონვენციის მე-9.2 მუხლით იყო გამართლებული, რადგანაც, ჩარევას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი – გაწერილი იყო ციხის დებულებით; ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს, რაც იყო ციხეში წესრიგის შენარჩუნება. ხოლო რაც შეეხება აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, კომისია დაეთ-

17 C.W გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(C.W. v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 18187/91, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1993 წლის 10 თებერვლის განჩინება.

ანხმა სახელმწიფოს, რომ აუცილებელი იყო ციხეში სამუშაოს განაწილების რაიმე სისტემის არსებობა, რომელიც იქნებოდა სამართლიანი, გამორიცხავდა უპირატესობების მინიჭებას და რომ პატიმრებს არ აქვთ სამუშაოს თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა. კომისიამ აღნიშნა, რომ ყველა პატიმარს ევალებოდა 13 კვირის განმავლობაში საბეჭდ საამქროში მუშაობა, რის შემდეგაც მათ შეეძლოთ სხვა სამუშაოს შესრულება. რაც შეეხება ცხოველებსა და საღებავებს შორის კავშირს, ეს მსჯავრდებულის ერთერთი მიზეზი იყო, უარი ეთქვა საამქროში მუშაობაზე. აგრეთვე, კომისიამ გაითვალისწინა, რომ ჩვეულებრივ სამუშაო რეჟიმზე უარის თქმა შედარებით უმნიშვნელო სახდელით ისჯებოდა. შესაბამისად, კომისიამ დაასკვნა, რომ თანაბარზომიერების პრინციპი დარღვეული არ იყო და თუ ჩაითვლებოდა, რომ ადგილი ჰქონდა მსჯავრდებულის მე-9 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას, ეს ჩარევა გამართლებული იყო მე-9.2 მუხლით.

ევროპულმა კომისიამ განაცხადი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

ბუდისტ პატიმარს ვეგეტარიანული საკვები არ მიეწოდა: დარღვევა

ფაქტები:[18] განმცხადებელი გაუპატიურებისთვის იხდის სასჯელს. ის პრაქტიკოსი ბუდისტია და ევროპულ სასამართლოში ირივლა, რომ თავისი მრწამსის სანინააღმდეგოდ ციხეში ვეგეტარიანული საკვებით არ იყო უზრუნველყოფილი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მსჯავრდებულის არჩევანი, იყოს ვეგეტარიანულ დიეტაზე, შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მოტივირებული ან შთაგონებული რელიგიით ამიტომ, ციხის ადმინისტრაციის მიერ მისთვის ვეგეტარიანული საკვების მიუწოდებლობა კონვენციის მე-9 მუხლის მოქმედების ფარგლებში ხვდება. მართალია, სასამართლო დაეთანხმა, რომ ერთი პატიმრისთვის სპეციალური ღონისძიებების უზრუნველყოფა გულისხმობდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ დამატებითი ფინანსური ხარჯების გაწევას, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მას უნდა შეეფასებინა, თუ დაამყარა სამართლიანი წონასწორობა სახელმწიფომ სხვადასხვა ინტერესს შორის. მსჯავრდებულმა უბრალოდ მოითხოვა, რომ მისთვის მიეცათ საკვები ხორცის გარეშე. მისი საკვები რაიმე განსაკუთრებული რეცეპტით არ უნდა ყოფილიყო მომზადებული და მიწოდებული და რაიმე სპეციალურ პროდუქტებს არ საჭიროებდა. მას არ შესთავაზეს ალტერნატიული დიეტა და ბუდისტური მისიისგან რაიმე კონსულტაცია სათანადო დიეტაზე არ მიუღიათ. ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ვეგეტარიანული დიეტის უზრუნველყოფა ციხის მენეჯმენტს არევდა

18 იაკობსკი პოლონეთის წინააღმდეგ *(Jakóbski v. Poland)*, განაცხადი no. 18429/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ან სხვა პატიმრების კვების სტანდარტების დადაბლებას გამოიწვევდა. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ევროპული ციხის წესები მოითხოვს პატიმრებისთვის საკვების მიწოდებას მათი რელიგიის გათვალისწინებით. ამიტომ დადგინდა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო სამართლიანი წონასწორობა განმცხადებლის და ციხის ადმინისტრაციის ინტერესებს შორის.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 3 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ციხის ადმინისტრაციამ ეჭვი შეიტანა მსჯავრდებულის ბუდისტობაში და უარი უთხრა ვეგეტარიანული საკვებით უზრუნველყოფაზე: დარღვევა

ფაქტები:[19] განმცხადებელი მსჯავრდებულია მკვლელობისთვის და სასჯელად განსაზღვრული აქვს თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით.

მსჯავრდებული ამტკიცებს, რომ მას არასოდეს უღიარებია ქრისტიანული მართლმადიდებლობა თავის რელიგიად. ის დაბადებული იყო საბჭოთა კავშირში, სადაც მონათვლა პრაქტიკულად არ ხდებოდა. გაიზარდა ათეისტად და შემდგომში ბუდიზმს ეზიარა. პატიმრობის დროს, ის ოჯახის მიერ ფოსტით გამოგზავნილი საკვებით იკვებებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მინისტრის ბრძანებით აიკრძალა საკვების ფოსტით მიღება, ამანათებით ვეღარ იღებდა საკვებს. მსჯავრდებულის მტკიცებით, ადმინისტრაციის მიერ მისთვის ვეგეტარიანული დიეტით უზრუნველყოფაზე უარის თქმა მისი რელიგიის თავისუფლების დარღვევას შეადგენდა.

ხელისუფლების ინფორმაციით, მსჯავრდებული დოკუმენტების მიხედვით ორთოდოქსად ირიცხებოდა. ჩატარებული შემოწმების შედეგად, ციხის ადმინიტრაციამ დაადგინა, რომ ზოგიერთი პატიმარი სპეციალურად იცვლიდა რელიგიას, რათა უკეთესი საკვები მიეღოთ, რის შემდეგადაც ხელისუფლება რელიგიის დამადასტურებელ წერილობით საბუთს ითხოვდა. მსჯავრდებულს ასეთი საბუთი არ წარუდგენია და ის იკვებებოდა მისი ჯანმრთელობის შესაბამისი დიეტით, რომელშიც არ იყო ღორის ხორცი, მაგრამ შეიცავდა მჭლე ხორცს. ადმინისტრაციამ აგრეთვე მიუთითა სამედიცინო დასკვნაზე, რომლის თანახმად, ვეგეტარიანული დიეტა არ იყო C ჰეპატიტის მქონე პირებისთვის სასარგებლო.

---

19 ვარტიჩი რუმინეთის წინააღმდეგ (no. 2) *(Vartic v. Romania)*, განაცხადი no. 14150/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა, რომ მსჯავრდებული რელიგიის თავისუფლებას იშველიებდა უკეთესი საკვების მისაღებად. მსჯავრდებულმა თანმიმდევრულად აღწერა ის, თუ როგორ აღასრულებდა ბუდისტურ რწმენას და სასამართლოს განუცხადა, რომ მხოლოდ მაშინ მოითხოვა ადმინისტრაციისგან მისი რწმენით მოთხოვნილი საკვები, როცა უკვე აღარ შეეძლო ოჯახისგან საკვები ამანათით მიეღო. მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ ეროვნულ სასამართლოს მსჯავრდებულის ბუდისტობაში ეჭვი არ შეუტანია.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის მოთხოვნები იქიდან გამომდინარე, რომ ის ხორციან საკვებს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებდა, მაშინ როცა არსებობდა სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას ვეგეტარიანული საკვები სრულიად შეესაბამებოდა.

მართალია, ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ ერთი პატიმრისთვის სპეციალური ღონისძიებების უზრუნველყოფა გულისხმობდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ დამატებითი ფინანსური ხარჯების გაწევას, მაგრამ სასამართლომ აღნიშნა, რომ მას უნდა შეეფასებინა, თუ დაამყარა სამართლიანი ნონასწორობა სახელმწიფომ სხვადასხვა ინტერესებს შორის. მსჯავრდებულმა უბრალოდ მოითხოვა, რომ მისთვის მიეცათ საკვები ხორცის გარეშე. მისი საკვები რაიმე განსაკუთრებული რეცეპტით არ უნდა ყოფილიყო მომზადებული და მიწოდებული და რაიმე სპეციალურ პროდუქტებს არ საჭიროებდა. მით უმეტეს, ცხოველური ნივთიერებების გარეშე საკვები ისედაც მზადდებოდა მარხვის პერიოდში ორთოდოქსი პატიმრებისთვის.

ამანათებით საკვების მიღების აკრძალვის შემდეგ, მსჯავრდებულისთვის რაიმე ალტერნატივა არ შეუთავაზებიათ. პაემნების დროს ამანათების მიღება შესაძლებელი რომც ყოფილიყო, ამას მაინც მცირე ეფექტი ექნებოდა გეოგრაფიული და ფინანსური ფაქტორების გათვალისწინებით. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ევროპული ციხის წესების მოთხოვნაც, რომ პატიმრები მათი რელიგიური მოთხოვნების შესაბამისად უნდა იღებდნენ საკვებს.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ციხის ადმინისტრაციის ინტერესებსა და პატიმრის ინტერესებს შორის სამართლიანი ნონასწორობა ვერ დაამყარა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-9 მუხლის დარღვევას.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 3 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ორთოდოქსი ებრაელი უარს ამბობს ვეგეტარიანულ კოშერ საკვებზე: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[20] მსჯავრდებული არის ორთოდოქსი ებრაელი და იჩივლა იმის თაობაზე, რომ ციხეში მის მიმართ ებრაული კვების წესები არ იქნა დაცული, რამაც მისი რელიგიის თავისუფლება დაარღვია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ იუდაიზმის აუცილებელი მოთხოვნა იყო კოშერი საკვების მიღება და მე-9 მუხლით იყო დაცული. თუმცა, დაადგინა, რომ მე-9 მუხლის დარღვევას მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან, ციხის ადმინისტრაციამ ვეგეტარიანული კოშერი საკვები შესთავაზა მსჯავრდებულს, ხოლო ებრაელთა კომიტეტმა ურჩია მსჯავრდებულს, მიეღო ვეგეტარიანული კოშერი საკვები. ამასთან, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მსჯავრდებულის შეხვედრები არასასულიერო ებრაელ პირთან, რომელსაც დაწესებულების სასულიერო პირი ეხმარებოდა. ციხის ადმინისტრაციამ ასევე კონსულტაცია გაიარა მთავარ რაბინთან, რომელმაც მოიწონა ციხის ადმინისტრაციის ძალისხმევა მსჯავრდებულის რელიგიის თავისუფლების დასაცავად.

ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

პატიმარს მიეცა გაფრთხილება, არ გაევრცელებინა რელიგიური ლიტერატურა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში: არდარღვევა

ფაქტები:[21] განმცხადებელი მსჯავრდებულია მკვლელობისთვის, არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირისთვის, ცემისა და მოძრაობის წესების დარღვევისთვის. მსჯავრდებული იძულებით მკურნალობას გადის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. სახელმწიფოს ინფორმაციით, ის მსჯავრდებული აცხადებს, რომ არის იეჰოვას მოწმე, ხანდახან აცხადებს, რომ არ არის. როდესაც საბოლოოდ დაადასტურა, რომ იეჰოვას მოწმე იყო, მსჯავრდებულს მიეცა უფლება, კონტაქტი დაემყარებინა აღნიშნულ ორგანიზაციასთან და შეხვედროდა სხვა მოწმეებს საავადმყოფოს გარე-

20 X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(X v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 5947/72, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1976 წლის 5 მარტის განჩინება.
21 J.L. ფინეთის წინააღმდეგ *(J.L. v. Finland)*, განაცხადი no. 32526/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 16 ნოემბრის განჩინება.

თაც კი. მაგრამ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა ნებართვის გარეშე დაიწყო თავისი საკნის დატოვება, მას ექთნის გარეშე გარეთ გასვლა აუკრძალეს, რის გამოც რელიგიურ შეხვედრებსაც ვეღარ ესწრებოდა. ამასთან, მსჯავრდებულს მიეცა გაფრთხილება მას შემდეგ, რაც სხვა პატიმრებსა და პერსონალს შორის რელიგიური შინაარსის ბუკლეტების გავრცელება დაიწყო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია მსჯავრდებულს აეკრძალა სხვა მოწმეებთან შეხვედრა საავადმყოფოს ფარგლებს გარეთ, მე-9 მუხლიდან არ გამომდინარეობდა მსჯავრდებულის აბსოლუტური უფლება, რელიგია გაემუღავნებინა დანესებულების ფარგლებს გარეთ, სადაც მას თავისუფლება აქვს აღკვეთილი. რაც შეეხება გაფრთხილებას, რომ არ გაევრცელებინა ლიფლეტები სხვა პატიმრებსა და პერსონალს შორის, აღნიშნული ღონისძიება აუცილებელი იყო საავადმყოფოში წესრიგის შესანარჩუნებლად და სხვა პაციენტების უფლებების დასაცავად. შესაბამისად, მსჯავრდებულის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებები არ დარღვეულა.

ბუდისტ პატიმარს უფლება არ მიეცა, რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისთვის მასალა გადაეგზავნა ბუდისტურ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[22] პატიმარს უარი ეთქვა, სტატიების ბუდისტურ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად გადაგზავნაზე. მისი მტკიცებით, აღნიშნულმა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა შეადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ ციხის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა პატიმრისთვის, რაც კი შეეძლო: მოუძებნეს ბუდისტი სასულიერო პირი და ნება დართეს, ყოველკვირა მიეწერა სხვა ბუდისტისთვის, სანამ სასულიერო პირს მოძებნიდნენ. პატიმარმა ვერ დაამტკიცა, რომ ბუდისტური აღმსარებლობის აუცილებელი ნაწილი იყო ბუდისტურ ჟურნალში სტატიების გამოქვეყნება.

ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

---

22 X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(X v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 5442/72, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1974 წლის 20 დეკემბრის განჩინება.

მსჯავრდებულმა ვერ განმარტა, თუ როგორ უნდა აღესრულებინა თავისი რელიგია: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[23] ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში განმცხადებელი სასჯელს იხდის თაღლითობისთვის. მან კომისიაში იჩივლა იმის თაობაზე, რომ ციხის ადმინისტრაციამ აუკრძალა თავისი რელიგიური მრწამსის – „შუქთაყვანისმცემლობის" აღსრულება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულმა არანაირი ინფორმაცია არ წარადგინა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო „შუქთაყვანისმცემლობის" აღსრულება და რა გზით შეუშალა მას ხელი ციხის ადმინისტრაციამ ამ რელიგიის აღსრულებაში.

ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

მსჯავრდებულის ახალი რელიგიის მიმდევრად რეგისტრაციაზე უარის თქმა: არდარღვევა

ფაქტები:[24] განმცხადებელი სასჯელს იხდის სხვადასხვა დანაშაულებისთვის. მან ციხის ადმინისტრაციას განუცხადა, რომ „ოკულტური მეცნიერებების საზოგადოების თავმჯდომარე" იყო და დირექტორს მოსთხოვა, რომ დაერეგისტრირებინა, როგორც „ვიკას"[25] რელიგიის მიმდევარი პატიმარი, რაზედაც უარი მიიღო. მსჯავრდებულმა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას მიმართა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ ციხეში პატიმრის მიყვანისას მისი რელიგიის რეგისტრაცია მხოლოდ ფორმალობაა. მსგავს რეგისტრაციაზე უარის თქმა თავისთავად არ შეიძლება შეადგენდეს მე-9 მუხლის დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რეგისტრაციაზე უარის თქმას გარკვეული შეზღუდვები და დაბრკოლებები მოჰყვება. მოცემულ შემთხვევაში, რეგისტრაციის შედეგად, პატიმარი იღებდა უფლებას, თავისი რელიგია გამოეხატა საამისოდ გამოყოფილ ადგილებში. რელიგია, რომელსაც პატიმარი ეკუთვნის, იდენტიფიცირებადი უნდა იყოს. მსჯავრდებულმა ვერ

23 X გერმანიის წინააღმდეგ (*X v. Germany*), განაცხადი no. 4445/70, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1970 წლის 1 აპრილის განჩინება.

24 X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*X v. the United Kingdom*), განაცხადი no. 7291/75, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1977 წლის 4 ოქტომბრის განჩინება.

25 თანამედროვე წარმართული რელიგია, რომელსაც დასაბამი დაედო 1954 წელს, დიდ ბრიტანეთში. განაცხადის წარდგენის დროისთვის, ეს რელიგია მხოლოდ 21 წლის იქნებოდა.

მიუთითა ვერანაირ ფაქტზე, რომლითაც დაადასტურებდა, რომ „ვიკას" რელიგია მართლაც არსებობდა. მან ზოგადად მიუთითა, რომ რეგისტრაციაზე უარის გამო შეეზღუდა უფლება, გაემჟღავნებინა თავისი რწმენა თავისი ეკლესიის სხვა წევრებთან დაკავშირებით და უარი ეთქვა რელიგიური ნიგნების ხელმისნავდომობაზე. მას არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომ ციხის ადმინისტრაციას მოსთხოვა, მისთვის სასურველი ადგილის გამოყოფა. საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ციხის ადმინისტრაციამ რამენაირად ხელი შეუშალა მსჯავრდებულს რელიგიის აღსრულებაში.

ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

მაგნიტოფონის კონფისკაცია, რომლითაც პატიმარი უსმენდა რელიგიურ ჩანაწერებს: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[26] ბაპტისტური აღმსარებლობის განმცხადებელი გრძელვადიან სასჯელს იხდიდა. მან „ქრისტიანულ მორალურ საგანმანათლებლო" პროგრამაში მიღწეული კარგი შედეგებისთვის ჯილდოდ მიიღო პატარა რადიო-მაგნიტოფონი. თუმცა მსჯავრდებულს აღნიშნული ნივთი მალევე ჩამოერთვა, რადგან პატიმრებს შეეძლოთ, ჰქონოდათ მხოლოდ ელემენტებზე მომუშავე რადიო-მაგნიტოფონები. ადმინისტრაციამ მსჯავრდებულს აცნობა, რომ მას შეეძლო, თავისი აუდიო კასეტებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების საკუთრებაში არსებული მაგნიტოფონის საშუალებით მოესმინა. განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს მიმართა და იჩივლა, რომ რელიგიური ჩანაწერებისა და მაგნიტოფონის კონფისკაციამ მისი რელიგიის თავისუფლება დაარღვია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი არ იცავს რელიგიით, თუ რწმენით მოტივირებულ ან შთაგონებულ ნებისმიერ ქმედებას. სახელმწიფოს აქვს მიხედულების ფარგლები და მაგნიტოფონის კონფისკაციამ სრულად არ შეუშალა ხელი განმცხადებელს საკუთარი რელიგია აღესრულებინა. ციხის ადმინისტრაციამ მას შესთავაზა, ესარგებლა მაგნიტოფონით ციხის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებაში. მეტიც, მას ნება დართეს, დასწრებოდა რელიგიურ სემინარებს და მისთვის არასოდეს შეუშლიათ ხელი, ეკითხა რელიგიური წიგნები თავის საკანში. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მაგნიტოფონის ჩამორთმევა თანაბარზომიერი ღონისძიება იყო სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და ციხეში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა დაშვებული.

26 აუსტრიანუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Austrianu v. Romania*), განაცხადი no. 16117/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება.

გამოხატვის თავისუფლება

ევროპული კავშირი 328
ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 328
მუხლი 11 – გამოხატვის თავისუფლება 328
ევროპული კავშირის სახელმძღვანელო პრინციპები ონლაინ და ოფლაინ გამოხატვის თავისუფლებაზე 328
ევროპის საბჭო 328
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 328
მუხლი 10 – გამოხატვის თავისუფლება 328
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 329
ზოგადი პრინციპები 329
რელევანტური საქმეები 334
i. დისციპლინური სახდელის დაკისრება სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის წინააღმდეგ საჩივრების შეტანისთვის: დარღვევა 334
ii. პატიმრების დისციპლინური პასუხისმგებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის წინააღმდეგ საჩივრების შეტანისთვის: დარღვევა 336
iii. პატიმრის დასჯა მოსამართლეებისთვის გაგზავნილი შეურაცხმყოფელი წერილისთვის: დარღვევა 338
iv. პატიმრის დისციპლინური დასჯა წიგნში სამართალდამცავი პირების მისამართით გაკეთებული შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებების გამო: დარღვევა 338
v. ციხის ადმინისტრაციამ მსჯავრდებულის დაწერილი რომანი გამოსაქვეყნებლად არ გააგზავნა: დარღვევა 341
vi. ადმინისტრაციამ პატიმარს არ გადასცა ჟურნალის ერთი ნომერი: განაცხადი დაუშვებელია 342
vii. ადმინისტრაციამ პატიმრებს არ მიანოდა უცხო ენაზე გამოცემული გაზეთები: დარღვევა 343
viii. მსჯავრდებულისთვის დანესებული შეზღუდვა საგანმანათლებლო ინფორმაციის შემცველი ინტერნეტ საიტის ხელმისაწვდომობაზე: დარღვევა 344
ix. მსჯავრდებულისთვის დანესებული შეზღუდვა იურიდიული ინფორმაციის შემცველი ინტერნეტ საიტის ხელმისაწვდომობაზე: დარღვევა 346

ევროპული კავშირი

ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია

მუხლი 11.

1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

2. მედიის თავისუფლება და პლურალიზმი დაცულია.

ევროპული კავშირის სახელმძღვანელო პრინციპები ონლაინ და ოფლაინ გამოხატვის თავისუფლებაზე[1]

1. აზრისა და გამოხატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის ძირითადი უფლებებია. განუყოფელია რა ადამიანის ღირსებისგან და თვითრეალიზაციისგან, ისინი ასევე ქმნიან დემოკრატიის, სამართლის უზენაესობის, მშვიდობის, სტაბილურობის, მდგრადი ინკლუზიური განვითარებისა და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის არსებით საფუძველს. სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, პატივი სცენ, დაიცვან და ხელი შეუწყონ უფლებებს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებებზე.

2. აზრისა გამოხატვის თავისუფლებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სხვა ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრის განხორციელებისთვის და მათით სარგებლობისთვის, მათ შორისაა, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება, აზრის, რელიგიის თუ რწმენის თავისუფლება, განათლების უფლება, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება, საარჩევნო უფლება და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვა პოლიტიკური უფლებები. დემოკრატია მათ გარეშე ვერ იარსებებს.

ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 10 – გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

1 მიღებულია ევროპული კავშირის საბჭოს მიერ 2014 წლის 12 მაისს.

ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

გამოხატვის თავისუფლება მოიაზრება, როგორც ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ფუძემდებლური ფასეულობა. გამოხატვის თავისუფლება, ზოგადად, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველი და მთლიანად საზოგადოების პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა.[2]

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს პირის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო იმ „ინფორმაციასა" თუ „იდეებს", რომლებიც საზოგადოებისთვის მისაღებია, უწყინარი ან ნეიტრალურია, არამედ ისეთ შეხედულებებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემაშფოთებელია. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართოდ აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშეც დემოკრატიული საზოგადოება ვერ იარსებებს.[3] თუმცა ევროპული სასამართლო მკვეთრ მიჯნას ავლებს შეურაცხყოფასა და კრიტიკას შორის, როცა ამოწმებს, შეიძლება თუ არა შესატყვისი განცხადებისთვის დაკისრებული სანქციის გამართლე-

2 ტარანენკო რუსეთის წინააღმდეგ (*Taranenko v. Russia*), განაცხადი no. 19554/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება.
3 სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ (*Skalka v. Poland*), განაცხადი no. 43425/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 32.

ბა.[4] ამასთან, აღსანიშნავია, რომ ვულგარული და უხამსი ფრაზების გამოყენებას იმთავითვე არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმის შესაფასებლად, არის თუ არა გამოხატვა შეურაცხმყოფელი, რადგანაც შესაძლებელია, რომ მსგავსი გამოხატვა სტილისტურ მიზნებს ისახავდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის სტილი, როგორც გამოხატვის ფორმა, კომუნიკაციის ნაწილია და გამოხატვის თავისუფლების შინაარსთან ერთად არის დაცული.[5] ამიტომ აუცილებელია, რომ სადავო განცხადებები განხილული იქნეს იმ კონტექსტსა და ფორმაში, რომელშიც ისინი იქნა გამოთქმული.[6]

კონვენციის მე-10 მუხლი სახელმწიფოს უკრძალავს პირის უფლების შეზღუდვას, მიიღოს ინფორმაცია, რომლის მისთვის მიწოდებაც სხვებს სურთ ან შეიძლება სურდეთ.[7] კონვენციის მე-10 მუხლი არ ითვალისწინებს პირის უფლებას, ხელი მიუწვდებოდეს მის შესახებ სახელმწიფო უწყებაში დაცულ პირად ინფორმაციაზე და არ აკისრებს ხელისუფლებას, ასეთი ინფორმაციის ინდივიდისთვის გაცემის ვალდებულებას.[8] თუმცა, ასეთი უფლება ხვდება კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შინაარსში.[9] გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება განიმარტოს სახელმწიფოზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებად, შეაგროვოს და გაავრცელოს ინფორმაცია თავისი ინიციატივით.[10] თუმცა სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-10 მუხლი ითვალისწინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას.[11] კერძოდ, როცა

---

4 შანანოვი და პალფრიმანი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Shahanov and Palfreeman v. Bulgaria*), განაცხადები nos. 35365/12 და 69125/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 61.

5 თუშალპი თურქეთის წინააღმდეგ (*Tusalp v. Turkey*), განაცხადები nos. 32131/08 და 41617/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 48.

6 ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 იანვრის დადგენილება საქმეზე no. 4/8722-15. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქმის საერთო კონტექსტის ჭრილში, იმსჯელა, თუ რამდენად უნდა ჩათვლილიყო გინება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე დისკურსად.

7 ქალდა ესტონეთის წინააღმდეგ (*Kalda v. Estonia*), განაცხადი no. 17429/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 42.

8 ლიანდერი შვედეთის წინააღმდეგ (*Leander v. Sweden*), განაცხადი no. 9248/81, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1987 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 74.

9 *Ibid.* პუნქტი 48.

10 გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (*Guerra and Others v. Italy*), განაცხადი no. 14967/89, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 53.

11 სდრუჟენი იჰორესკე მატკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Sdružení Jihočeské Matky c. la République tchèque*), განაცხადი no.19101/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 10 ივლისის განჩინება.

პირს (მაგალითად, ჟურნალისტს,[12] არასამთავრობო ორგანიზაციასა,[13] თუ მკვლევარს[14]) სურს საზოგადოების ინფორმირება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და სახელმწიფო უწყება მას ინფორმაციას არ აწვდის, – ეს წამოჭრის პრობლემას ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თვალსაზრისით.

გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისთვის დაწესებული გამონაკლისები განმარტებული უნდა იქნეს მკაცრად და ჩარევის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა დადგინდეს.[15]

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მართლზომიერად ჩაითვლება, თუ უფლებაში ჩარევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ჩარევას უნდა ჰქონდეს საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, „კანონის“ ცნებას ავტონომიური მნიშვნელობა აქვს. ევროპული სასამართლოსთვის არ არის საკმარისი, რომ უფლების შეზღუდვას ეროვნულ დონეზე ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი აქვს. უფლების განხორციელებაში ჩარევის ნებისდამრთველი ნორმა ჩაითვლება, რომ აკმაყოფილებს „კანონის“ მოთხოვნებს, თუ ის ხელმისაწვდომია და წინასწარგანჭვრეტადი, ანუ კანონი არა მარტო გამოქვეყნებული უნდა იყოს, იგი ფორმულირებული უნდა იყოს საკმარისი სიცხადით, რათა პირებს შეეძლოთ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი კონსულტაციით, მოცემული შემთხვევისთვის გონივრულად განჭვრიტონ კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგები.[16] სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი, რომ ეს შედეგები აბსოლუტური სიცხადით იყოს წინასწარგანჭვრეტადი.

იმისათვის, რომ შეზღუდვა მართლზომიერად ჩაითვალოს, „კანონით“ გათვალისწინებული შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში. ზემოაღნიშნული ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ევ-

12 შაპოვალოვი უკრაინის წინააღმდეგ (*Shapovalov v. Ukraine*), განაცხადი no. 45835/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტები 67-75;

13 ტარსასაგ საბადსაგიოგოკერტი უნგრეთის წინააღმდეგ (*Társaság a Szabadságjogokért v. Hungary*), განაცხადი no. 37374/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება.

14 კენედი უნგრეთის წინააღმდეგ (*Kenedi v. Hungary*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების პუნქტები 33-34;

15 იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yankov v. Bulgaria*), განაცხადი no. 39084/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 129.

16 მესუთ იურტსევერი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Mesut Yurtsever and Others v. Turkey*), განაცხადები nos. 14946/08 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 103.

როპული სასამართლო აფასებს ჩარევის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ცნება „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" კომპლექსური კონცეფციაა და შემდეგ ასპექტებსს მოიცავს: უფლებამოსილმა უწყებამ სათანადოდ უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება", ასეთი საჭიროების შემთხვევაში უნდა დააკისროს „თანაბარზომიერი" ზომა და დაასაბუთოს ჩარევა „რელევანტური და საკმარისი გარემოებებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს ამ სამივე კომპონენტს.

კერძოდ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ზედსართავი „აუცილებელი" მიუთითებს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებაზე". მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მიხედულების გარკვეულ ფარგლებს ანიჭებს იმის შესაფასებლად, არსებობს თუ არა მსგავსი საჭიროება, მაგრამ ამასთან, ევროპული სასამართლო ამოწმებს როგორც კანონმდებლობას, ისე მისი შემფარდებელი უწყებების გადაწყვეტილებებს. სასამართლო აფასებს საქმის მთლიან გარემოებებს, მათ შორის, სადავო განცხადებების შინაარსსა და კონტექსტს. იყო თუ არა ჩარევა თანაბარზომიერი ღონისძიება დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ამასთან, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისთვის დაწესებული გამონაკლისები განმარტებული უნდა იქნეს მკაცრად და ჩარევის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა დადგინდეს „საკმარისი" და „რელევანტური" გარემოებებით.[17] სახელმწიფოს მიერ მიხედულების ფარგლები არ არის დაცული, როცა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ეროვნულ დონეზე საკმარისი და რელევანტური გარემოებებით არ არის დასაბუთებული.[18]

სახელმწიფო უწყებები არ სარგებლობენ კრიტიკისგან იმუნიტეტით. დემოკრატიულ საზოგადოებაში, ინდივიდებს უფლება აქვთ, გააკრიტიკონ სახელმწიფო უწყებები და იქ დასაქმებული ადამიანები. პატიმრებს ამ სფეროში იგივე უფლებები აქვთ, როგორც საზოგადოების ყველა სხვა ნევრს.[19]

---

17 იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yankov v. Bulgaria*), განაცხადი no. 39084/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 129.

18 ეკონომიკურ რეფორმათა ინსტიტუტი, ტოვ უკრაინის წინააღმდეგ (*Instytut Ekonomichnykh Reform, TOV v. Ukraine*), განაცხადი no. 61561/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 66.

19 იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yankov v. Bulgaria*), განაცხადი no. 39084/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 129; სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ (*Skalka v. Poland*), განაცხადი no. 43425/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 34.

სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელ საჯარო მოხელეებთან მიმართებით კრიტიკის ნებადართული ფარგლები ზოგიერთ ვითარებაში უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან მიმართებაში. თუმცა ვერ ითქმის, რომ საჯარო მოხელეებმა შეგნებულად ჩაიყენეს თავი იმ მდგომარეობაში, რომ მათი ყოველი სიტყვა თუ ნაბიჯი, პოლიტიკოსების მსგავსად, ყურადღების ქვეშ იყოს. შესაბამისად, საჯარო მოხელეების თმენის ვალდებულების ფარგლები უფრო ვიწროა, პოლიტიკოსებთან შედარებით. უფრო მეტიც, საჯარო მოხელეებს უნდა ჰქონდეთ საზოგადოების ნდობა ისე, რომ მშვიდ გარემოში შეძლონ მუშაობა, სამსახურებრივი მოვალეობების წარმატებით შესასრულებლად. შესაბამისად, საჭიროა მათი დაცვა შეურაცხმყოფელი, უხამსი და ცილისმწამებლური თავდასხმებისგან.[20]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების შესაბამისმა უწყებებმა სათანადო და თანაბარზომიერი რეაგირება უნდა მოახდინონ საფუძველსმოკლებული და არაკეთილსინდისიერად ფორმულირებული ცილისმწამებლური ბრალდებების წინააღმდეგ.[21] საჯარო მოხელეები დაცულნი უნდა იყვნენ შეურაცხმყოფელი, უხამსი და ცილისმწამებლური თავდასხმებისგან, რომლებიც გათვლილია იმაზე, რომ ზეგავლენა მოახდინოს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე და დააზიანოს საზოგადოების ნდობა მათი პიროვნებისა და მათი სამსახურის მიმართ.[22] ევროპული სასამართლო აფასებს, თუ რამდენად არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი და რა სფეროში; რა არის გამოხატვის საერთო კონტექსტი; ვის მიერ და ვის მიმართ ხდება ფაქტების კონსტატაცია თუ შეფასებითი მსჯელობა; არის თუ არა გამოხატვა დასაშვები კრიტიკის ფარგლებში; ისახავს ინფორმაცია საზოგადოების ინფორმირებას, თუ მიმართულია პირის შეურაცხყოფისკენ; რა არის გამოხატვის მიზანი; როგორია ინფორმაციისა და იდეების შინაარსი; ვინ არის და რამდენად დიდია ინფორმაციის მიმღები აუდიტორია; როგორ მოხდა ინფორმაციის და იდეების გამოხატვა; როგორია ამა თუ იმ ინტერესებისათვის – იქნება ეს რეპუტაცია თუ მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და ავტორიტეტის შენარჩუნება – მიყენებული თუ შესაძლო ზიანი ა.შ.

ციხეში დისციპლინის დაცვის კონტექსტში, გათვალისწინებული უნდა იქნეს თავისუფლებააღკვეთილი პირების განსაკუთრებული მოწყვლადობა და ამიტომ, ხელისუფლებამ განსაკუთრებით საფუძვლიანი დასაბუთება

20 იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yankov v. Bulgaria*), განაცხადი no. 39084/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 129.

21 ჰაინიში გერმანიის წინააღმდეგ (*Heinisch v. Germany*), განაცხადი no. 28274/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 67.

22 შანანოვი და პალფრიმანი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Shahanov and Palfreeman v. Bulgaria*), განაცხადები nos. 35365/12 და 69125/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 58.

უნდა მოუძებნოს პატიმრების დასჯას გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისთვის. ასეთ დროს, ევროპული სასამართლო პატიმრის გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევას აფასებს მთლიანად საქმის ფაქტობრივი გარემოებების ჭრილში, მათ შორის, ყურადღებას აქცევს პატიმრის რემარკების შინაარსს და მათ კონტექსტს და არსებობდა ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება" თუ არა; სასამართლო ამოწმებს, იყო თუ არა ჩარევა „დასახული ლეგიტიმური მიზნების თანაბარზომიერი" და ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩარევის საფუძვლად მითითებული არგუმენტები „რელევანტური და საკმარისი".[23]

რელევანტური საქმეები

დისციპლინური სახდელის დაკისრება სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის წინააღმდეგ საჩივრების შეტანისთვის: დარღვევა

ფაქტები:[24] პატიმარმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იდავა პროკურორისთვის გაგზავნილი საჩივრის გამო დაკისრებული დისციპლინურ სახდელზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა პატიმრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. ასეთი ჩარევა უთანაბრდება კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, თუ არ არის კანონით დადგენილი, არ ისახავს ლეგიტიმურ მიზანს და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ დისციპლინური სახდელის დაკისრებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი და მიზნად ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს. ამის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ შეაფასა ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმარმა განცხადებები გააკეთა მასა და ციხის ადმინისტრაციას შორის არსებული დავის კონტექსტში, რომელიც უკავშირდებოდა მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შეზღუდვას. კერძოდ, ადმინისტრაციამ მას შეუზღუდა ოჯახისგან ამანათების მიღების უფლება. პატიმარმა პრეტენზიები გამოთქვა პროკურორისადმი გაგზავნილ წერილში, რომლის ფუნქციაც იყო პენიტენციური დაწესებულე-

23 მარინ კოსტოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Marin Kostov v. Bulgaria*), განაცხადი no. 13801/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 44.

24 მარინ კოსტოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Marin Kostov v. Bulgaria*), განაცხადი no. 13801/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება.

ბების ზედამხედველობა და მსგავსი სადავო საკითხების განხილვა. პატიმარმა ჯერ დაწესებულების ადმინისტრაციას ჰკითხა ამანათის შესახებ და როცა პასუხად მიიღო, რომ ამანათი დაწესებულებაში არ მისულა, მისწერა პროკურორს და საკითხის გამოძიება სთხოვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმარი მიიჩნევდა, რომ წერილში მითითებული ინფორმაცია ნამდვილი იყო. არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ის გასცდა კანონით დადგენილ ფარგლებს, რომელიც ასეთი საჩივრების შეტანის უფლებას იძლეოდა, ან რომ მას ამოძრავებდა რაიმე სხვა განზრახვა, გარდა იმისა, რომ ციხის ადმინისტრაციის სავარაუდოდ უკანონო ქმედება გამოძიებულიყო. ის ფაქტი, რომ მან წერილი პერსონალის თანამშრომლებს აჩვენა, ასევე ამყარებდა დასკვნას, რომ ის კეთილსინდისიერად მოქმედებდა. შესაბამისად, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პატიმრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ არსებობდა.

ამასთან, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივარი არ იყო დაწერილი შეურაცხმყოფელი ენით (თუმცა შეიცავდა რამდენიმე გაზვიადებულ გამონათქვამს, მაგალითად, პატიმარმა დაწერა, რომ სადავო ინციდენტი სისხლის სამართლის დანაშაული იყო). ამასთან, წერილი არ ემუქრებოდა ციხის თანამშრომლების ავტორიტეტსა და საზოგადოებაში მათ რეპუტაციას, რადგანაც მისი შინაარსი არ გასაჯაროებულა და არც სხვა პატიმრებისთვის გამხდარა ცნობილი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობით, პროკურორთან საჩივრის შეტანა პატიმრის უფლებათა შეზღუდვის გასაჩივრების სათანადო საშუალება იყო და პატიმარი სასამართლოში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერ იჩივლებდა. ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ჩარევის თანაბარზომიერების შეფასების თვალსაზრისით. სასამართლომ მიიჩნია, რომ არაშეურაცხმყოფელი საჩივრების შეტანისთვის პატიმრების დასჯას შეიძლება მძიმე მსუსხავი ეფექტი მოჰყოლოდა, რის შედეგადაც პატიმრები აღარ იჩივლებდნენ ციხეში დარღვევების შესახებ.

ამასთან, პატიმარს შეეფარდა კანონით ნებადართული იზოლაციის მაქსიმალური პერიოდი და ამას თან მოჰყვა პაემანზე, მიმოწერაზე და ადამიანებთან კონტაქტზე უფლებების შეზღუდვაც, რამაც უარყოფითად იმოქმედა მის პირად ცხოვრებაზე. სასჯელის სიმკაცრე, სასამართლოს აზრით, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო და აშკარად არათანაბარზომიერი იმ ფაქტების მხედველობაში მიღებით, რასაც სასჯელი ეფუძნებოდა – პატიმარმა დაკარგულ ამანათზე შესაბამის უწყებასთან გააგზავნა საჩივარი და სავარაუდოდ, წარსულში გაგზავნილი ჰქონდა მრავალი სხვა საჩივარი. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ პატიმრის გამოხატვის თავი-

სუფლებაში ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი არ იყო და დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა, პატიმრისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 4 500 ევრო მორალური ზიანისთვის.

დისციპლინური სახდელის დაკისრება სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის წინააღმდეგ საჩივრების შეტანისთვის: დარღვევა

ფაქტები.[25] პირველმა მსჯავრდებულმა ორი საჩივრით მიმართა იუსტიციის მინისტრს იმის თაობაზე, რომ ა) ერთ-ერთი პატიმრის თქმით, ის სასჯელაღსრულების დაწესებულების ორი თანამშრომლის ნათესავი იყო, რის გამოც ემუქრებოდა სხვა პატიმრებს და ითხოვდა სპეციალურ პრივილეგიებს და 2) დაწესებულების ადმინისტრაცია რუტინულად ხსნიდა და კითხულობდა მის პირად კორესპონდენციას.

მსჯავრდებულის მიერ გამოთქმულ საჩივრებთან დაკავშირებით დაიწყო მოკვლევა და შესატყვისმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ არ არსებობდა ნათესაური კავშირი მითითებულ პატიმარსა და პერსონალს შორის. ცრუ დასმენისა და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების გამო, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, მსჯავრდებული ათი დღის ვადით მოათავსეს სამარტოო საკანში.

მეორე მსჯავრდებულმა დაწესებულების დირექტორს წერილობითი საჩივრით მიმართა იმის თაობაზე, რომ პერსონალი უხეშად მოექცა მასთან მისულ ორ ჟურნალისტს და რომ სხვა პატიმრის მნახველს შემნახველი სეიფიდან პირადი ნივთები მოპარეს. ჩატარებულმა მოკვლევამ მსჯავრდებულის საჩივარში აღნიშნული ფაქტები არ დაადასტურა. საჩივრის პასუხად, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, მსჯავრდებულს აეკრძალა საკვების შემცველი ამანათების მიღება სამი თვის განმავლობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას მსჯავრდებულთა გამოხატვის თავისუფლებაში. შესაბამისად, ჩარევა კონვენციასთან შესაბამისობაში იქნებოდა, თუ ჩაითვლებოდა, რომ მას საფუძველი ჰქონდა ეროვნულ კანონმდებლობაში და იყო აუც-

25 შანაოვი და პალფრიმანი ბულგარეთის ნინააღმდეგ (*Shahanov and Palfreeman v. Bulgaria*), განაცხადები nos. 35365/12 და 69125/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

ილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში მე-10.2 მუხლში ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

სასამართლო დაეთანხმა, რომ დისციპლინური სახდელები კანონის შესაბამისად იყო დაკისრებული და აგრეთვე დარწმუნდა, რომ ჩარევა ლეგიტიმურ მიზნად ისახავდა დაწესებულების თანამშრომლების უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას. მთავარი გადასაწყვეტი საკითხი იყო ჩარევების თანაბარზომიერების საკითხი. სასამართლომ, ამ კონტექსტში, შემდეგი საკითხები განიხილა: საჩივრების კომუნიკაციის ხასიათი და გზა; საჩივრების საერთო კონტექსტი; თუ რა შედეგი იქონია საჩივრებმა შესატყვის თანამშრომლებზე და დისციპლინური სახდელების სიმკაცრეზე.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულების მიერ გამოთქმული ბრალდებები, მართალია, მძიმე იყო, საჩივრების ენა არ ყოფილა გამაღიზიანებელი თუ მოუზომელი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთი მხრივ, ციხის ადმინისტრაცია უნდა ისწრაფვოდეს, რათა პატიმრები წინასწარი შეცნობით თუ დაუდევრად პერსონალის წინააღმდეგ ცრუ ჩვენებებს არ უნდა იძლეოდნენ და პერსონალის ავტორიტეტის და საზოგადოების მათ მიმართ ნდობის ძირგამოთხრაზე გათვლილ ცილისმწამებლურ განცხადებებს არ უნდა აკეთებდნენ; მეორე მხრივ, პატიმრები განსაკუთრებულად მოწყვლად მდგომარეობაში არიან, როდესაც ისინი უჩივიან მათ დაცვასა და წესრიგის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ პერსონალს.

ის ფაქტი, რომ პრეტენზიები საჯაროდ არ იქნა გამოთქმული, მნიშვნელოვანი იყო თანაბარზომიერების შეფასებისთვის. პერსონალის რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანი მოცემულ შემთხვევაში მინიმალური იქნებოდა.

სასამართლოს შეფასებით, ის მძიმე დისციპლინური სახდელები, რომლებიც მსჯავრდებულებს დაეკისრათ, აუცილებლად ჩაითვლებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნებოდა საგამონაკლისო გარემოებები. მაგალითად, თუ მსჯავრდებულებმა წინასწარი შეცნობით არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს. ამას არც ერთი მსჯავრდებულის შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არათანაბარზომიერი იყო. შედეგად, დადგინდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა განმცხადებლებისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის კომპენსაციის გადახდა 5 500 და 3 500 ევროს ოდენობით.

პატიმრის დასჯა მოსამართლეებისთვის გაგზავნილი შეურაცხმყოფელი წერილისთვის: დარღვევა

ფაქტები:[26] მსჯავრდებული სასჯელს იხდის ქურდობისთვის. მან საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ციხიდან გაუგზავნა წერილი, რომელშიც სისხლის სამართლის პალატის მოსამართლეები მოიხსენია, როგორც „უპასუხისმგებლო ჯამბაზები“ და ერთ-ერთი მოსამართლე, როგორც „სულელი“, „უნიგნური“ და „გამორჩეული კრეტინი“. შედეგად, მისი თავისუფლების აღკვეთის ვადა 8 თვით გაიზარდა. მსჯავრდებულმა ევროპულ სასამართლოში იჩივლა, რომ აღნიშნულის შედეგად მისი გამოხატვის თავისუფლება დაირღვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის წერილისთვის დასჯა მის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენდა და რომ ჩარევა ლეგიტიმურ მიზნად ისახავდა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნებას. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებული საზოგადოებრივი ინტერესი საკმარისად მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რომ გაემართლებინა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ანუ ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება არსებობდა. თუმცა ევროპული სასამართლოს ამოცანა იყო იმის შემოწმება, სასჯელი იყო თუ არა შესატყვისი და აუცილებელი მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ 8 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა არათანაბარზომიერად მკაცრი იყო: მართლმსაჯულებაზე თავდასხმას ადგილი ჰქონდა შიდა მიმოწერის კონტექსტში, რომლის შესახებაც საზოგადოებამ არაფერი იცოდა და თანაც, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ბ-ნი სკალკა ნებადართული კრიტიკის ფარგლებს გადასცდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას და დარღვევის დადგენამ თავისთავად შეადგინა სამართლიანი დაკმაყოფილება მსჯავრდებულისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის. მას განესაზღვრა 32 ევრო სამართალწარმოების ხარჯების ასანაზღაურებლად.

პატიმრის დისციპლინური დასჯა წიგნში სამართალდამცავი პირების მისამართით გაკეთებული შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებების გამო: დარღვევა

---

26 სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ (*Skalka v. Poland*), განაცხადი no. 43425/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.

ფაქტები:[27] ადვოკატთან პატიმრის შეხვედრამდე, საკანში ჩატარებული შემოწმების შედეგად, ციხის ადმინისტრაციამ აღმოაჩინა ხელნაწერი. პატიმარმა განაცხადა, რომ ეს მისი წიგნი იყო, რომელიც ასახავდა მის პატიმრობას და სურდა, რომ ნაწყვეტები წაეკითხა ადვოკატებისთვის. ზედამხედველის მტკიცებით, პატიმარს მასალის ადვოკატებისთვის გადაცემა ჰქონდა გამიზნული. იმავე დღესვე, ციხის დირექტორის ბრძანებით, პატიმარს დაეკისრა დისციპლინური სახდელი – 7 დღით სამარტოო საკანში მოთავსება. ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო ამართლებდა დისციპლინურ სახდელს, როგორც მართლზომიერს და დასაბუთებულს. განმცხადებელს გამიზნული ჰქონდა, გადაეცა ადვოკატებისთვის წინასწარი ნებართვის გარეშე მასალა, რომელიც არ იყო დაკავშირებული მის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან. ეს თავისთავად უკვე იყო ციხის რეჟიმის დარღვევა მასალის შინაარსის მიუხედავად. ყველა შემთხვევაში, ვინაიდან მასალა შეიცავდა შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ განაცხადებს პოლიციის თანამშრომლების, გამომძიებლების, მოსამართლეების, პროკურორებისა და სახელმწიფო უწყებების მისამართით, ჩარევა გამართლებული იყო კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, რადგან მიზნად ისახავდა სხვათა რეპუტაციის დაცვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ხელისუფლების განცხადებით, პატიმრის განცხადებები შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური იყო. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს განცხადებები მის წინააღმდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებაში იდენტიფიცირებული არ ყოფილა. არც ციხის დირექტორს, რომელმაც გასცა სახდელის დაკისრების შესახებ ბრძანება და არც მინისტრის მოადგილეს, რომელმაც მიიღო პატიმრის საჩივარი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, საჭიროდ არ მიუჩნევია, რომ მიეთითებინა, თუ სადავო ტექსტის რომელი გამონათქვამები იქნა მიჩნეული შეურაცხმყოფელად და ცილისმწამებლურად და რატომ.

განმცხადებელს ხელნაწერში ეწერა, რომ პატიმრებს ეძლეოდათ ძალიან ცუდი და არასაკმარისი საკვები; ზედამხედველები პატიმრებს უყვიროდნენ, ლანძღავდნენ და ხელკეტებს ურტყამდნენ, თუ საპირფარეშოში ორ წუთზე მეტს დააყოვნებდნენ და მის წინააღმდეგ სისხლისსამართალწარმოება უსამართლო და უკანონო იყო.

პატიმრების განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ განსაკუთრებით საფუძვლიანი დასაბუთება უნდა მოუძებნოს პატიმრების დასჯას გამოხატვის

27 იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yankov v. Bulgaria*), განაცხადი no. 39084/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თავისუფლების რეალიზებისთვის, რათა ასეთი ჩარევა „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლად“ ჩაითვალოს.

მოცემულ შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციამ პატიმარი დასაჯა ისე, რომ არც კი დაუსაბუთებია თავის გადაწყვეტილებაში, თუ რატომ იქნა მისი განცხადებები მიჩნეული ცილისმწამებლურად. შესაბამისად, ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა, რომ პატიმრის ხელნაწერში არსებული განცხადებები, რომლებიც ეხებოდა პატიმრობის პირობებს და ციხეში სავარაუდოდ დამკვიდრებულ პრაქტიკას, საჭიროებდა მათი ავტორის დისციპლინურ დასჯას.

აგრეთვე განმცხადებელს გამოყენებული ჰქონდა ისეთი ფრაზები, როგორებიცაა: „გაქსუებული მცონარები“ და „ტლუ სოფლელები“ (ციხის ზედამხედველებზე), „პროვინციელი მეტიჩარა“ (პოლიციის თანამშრომელზე, რომლის სახელიც ასევე მითითებული იყო) და „კორუმპირებული ძალოვანები“ (სავარაუდოდ, ზოგადად, პროკურორებზე და გამომძიებლებზე).

მართალია, ეს ფრაზები აშკარად შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ ისინი უხამსი არ ყოფილა. ეს გამონათქვამები ეწერა განმცხადებლის წიგნში, პირადი მემუარებისა თუ მსგავსი ლიტერატურული უანრისთვის დამახასიათებელი ენითა და სტილით ავტორის დაკავებისა და პატიმრობის შესახებ; აღწერილი იყო ავტორის ციხეში ცხოვრება და გამოთქმული იყო მისი აზრი სისხლის სამართალწარმოების შესახებ და დაფიქსირებული იყო ავტორის კრიტიკული პოზიცია ხელისუფლების წარმომადგენლების სავარაუდოდ უკანონო ქმედებების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ რადგანაც შეურაცხმყოფელი შენიშვნები სამართალდამცავი სისტემის კრიტიკის კონტექსტში იყო გამოთქმული, ხელისუფლების წარმომადგენლებს თავშეკავებული რეაქცია უნდა ჰქონოდათ მათზე.

სასამართლო გააოცა იმ ფაქტმა, რომ პატიმარი დაისაჯა თავისი მოსაზრებების პირად ნამუშევარში გადატანისთვის, რომელიც მას არავისთვის უჩვენებია. მას არ გამოუთქვამს და არ გაუვრცელებია არანაირი შეურაცხმყოფელი თუ ცილისმწამებლური ფრაზები. კერძოდ, არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ განმცხადებელმა ტექსტი სხვა პატიმრებს შორის გაავრცელა. ამ ფაქტს მნიშვნელობა ჰქონდა დაკისრებული სახდელის თანაბარზომიერების შესაფასებლად. ამასთან, ნამუშევარი გამოსაცემად მზად არ იყო და ამიტომ მისი გავრცელების დაუყოვნებელი საფრთხეც არ არსებობდა, თუნდაც იგი ციხის გარეთ გაეტანათ.

მართალია, შეიძლება, ციხის ადმინისტრაციის წევრებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს მათ შესახებ გამოთქმული რემარკებით, მაგრამ რთულია

დათანხმება, რომ ეს საკმარისი იყო პატიმრის დასასჯელად. სახელმწიფო მოხელეებს აკისრიათ ვალდებულება, რომ თავიანთი უფლებამოსილება განახორციელონ პროფესიული მოსაზრებების საფუძველზე ისე, რომ მათზე ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს პირადი გრძნობები. იმის აუცილებლობა, რომ საჯარო მოხელეებმა ისარგებლონ საზოგადოების ნდობით ისე, რომ მშვიდ გარემოში შეძლონ მუშაობა სამსახურებრივი მოვალეობების ნარმატებით შესასრულებლად შეიძლება ამართლებდეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას მხოლოდ მაშინ, როცა ამ თვალსაზრისით რეალური საფრთხე არსებობს. პატიმრის ნამუშევარი ასეთ საფრთხეს არ ქმნიდა.

ყველა რელევანტური გარემოების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კონფლიქტურ ინტერესებს – გამოხატვის თავისუფლებაზე პატიმრის უფლებასა და სახელმწიფო მოხელეთა რეპუტაციის დაცვის საჭიროებას – შორის სამართლიანი წონასწორობა არ იყო დამყარებული. სახელმწიფო ხელისუფლებამ დაარღვია თავისი მიხედულების ფარგლები იმით, რომ პატიმარი დასაჯა 7 დღის განმავლობაში სამარტოო საკანში მოთავსებით იმისთვის, რომ მან ზომიერად შეურაცხმყოფელი კომენტარები გააკეთა სახელმწიფო უწყებებზე კერძო ხელნაწერში, რომელიც პატიმრებს შორის არ გავრცელებულა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა მსჯავრდებულისთვის მორალური ზიანის კომპენსაციისთვის 4000 ევროს გადახდა.

ციხის ადმინისტრაციამ მსჯავრდებულის დაწერილი რომანი გამოსაქვეყნებლად არ გააგზავნა: დარღვევა

ფაქტები:[28] ციხეში ყოფნის დროს პატიმარმა რომანი დაწერა. რომანის გამოქვეყნების მიზნით, მსჯავრდებულმა ხელნაწერი (დაახლოებით, 200 გვერდი) ადმინისტრაციას გადასცა. ადმინისტრაციამ რომანი, როგორც ჩვეულებრივი წერილი, პატიმრების კორესპონდენციაზე ზედამხედველობის კონტექსტში შეამოწმა. ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ ტექსტი მხარს უჭერდა უკანონო სეპარატისტულ ორგანიზაციას, შეურაცხყოფდა პოლიციას და დაწერილი იყო შეურაცხმყოფელი და მიუღებელი ენით, მათ შორის, შეიცავდა ქალების მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, საზოგადოებრივი მორალისა და დამკვიდრებული შეხედულებების საწინააღმდეგო იდეებს. აღნიშნული შეფასების შედეგად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ხელნაწერი დასაბეჭდად არ გაგზავნილიყო

28 სარიგიული თურქეთის წინააღმდეგ (*Sarıgül v. Turkey*), განაცხადი no. 28691/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება.

და გადაეცა პროკურატურას. ორი წლის შემდეგ, პროკურატურამ შეწყვიტა მსჯავრდებულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა და მის ხელნაწერი დაუბრუნა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულმა ევროპულ სასამართლოში იჩივლა კორესპონდენციის დაცულობის უფლების დარღვევის შესახებ კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ განაცხადი კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში განიხილა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციამ ეროვნული კანონმდებლობით საკმარისად ვერ დაასაბუთა ხელნაწერის ამოღება, მიუთითა, რა მხოლოდ იმაზე, რომ ტექსტი მიუღებელ სიტყვებს და შეხედულებებს შეიცავდა და წინააღმდეგობაში მოდიოდა ადმინისტრაციის მიერ წინასწარ დამტკიცებულ კორესპონდენციის სტანდარტებთან.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დადგენილი წესები სიცხადეს იყო მოკლებული და ნათლად არ განსაზღვრავდა, თუ რა ჩაითვლებოდა „მიუღებლად". შესაბამისად, წინასწარგანჭვრეტადობის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ ყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა კანონის საფუძველზე არ მომხდარა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა მსჯავრდებულისთვის მორალური ზიანის კომპენსაციისთვის 1 500 ევროს გადახდა.

ადმინისტრაციამ პატიმარს არ გადასცა ჟურნალის ერთი ნომერი: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[29] ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში ბრიტანელი პატიმარი დავობდა იმის თაობაზე, რომ ციხის ადმინისტრაციამ უარი უთხრა, ციხეში მიეღო ჟურნალ „გოთიკური ტალღების" ერთი კონკრეტული ნომერი, რითაც დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლებით დაცული ინფორმაციის მიღების კომპონენტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ფაქტების შეფასება: კომისიამ აღნიშნა, რომ შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ციხის

29 ლოუსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Lowes v. the United Kingdom*), განაცხადი no. 13214/87, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1988 წლის 9 დეკემბრის განჩინება.

ადმინისტრაციას უფლებას ანიჭებდა, უარი ეთქვა, არ დაეშვა პუბლიკაცია, თუ მიიჩნევდა, რომ ტექსტი საფრთხეს შეუქმნიდა დაწესებულებაში წესრიგის დაცვას. შესაბამისად, პატიმრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა.

ადმინისტრაციამ უარი თქვა ჟურნალის კონკრეტული ნომრის ციხეში დაშვებაზე მისი „უკიდურესად ანტისემიტური" შინაარსის გამო. პატიმრის განცხადებით, წინა გამოცემების შინაარსიდან გამომდინარე, ჟურნალი ანტისემიტური კი არა, ანტიციონისტური ხასიათის იყო. თუმცა, როდესაც კომისიამ შეამოწმა ჟურნალის სადავო ნომერი, დაეთანხმა მოპასუხე სახელმწიფოს, რომ ციხის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებული იყო. ჟურნალის ნომერში დაბეჭდილი სტატიები ანტიციონისტური კი არა, ანტისემიტური იყო, აღვივებდა რასობრივ დისკრიმინაციას და იარაღის გამოყენებას. მასში გამოყენებული ენა და ილუსტრაციები იყო ანტისემიტური ხასიათის და შეურაცხმყოფელი.

კომისიამ ასევე შეამოწმა პატიმრის მიერ მიწოდებული ჟურნალის ადრინდელი ნომერი, რომელიც ადმინისტრაციამ დაუშვა დაწესებულებაში, მაგრამ ადმინისტრაციის მხრიდან არათანმიმდევრული დამოკიდებულება ვერ დაინახა. ჟურნალის მანამდე დაშვებული ნომერი ნაკლებად შეურაცხმყოფელი იყო, მასში აშკარად ნაკლები ანტისემიტური განცხადებები იყო. ის ფაქტი, რომ ციხის ადმინისტრაციამ ჟურნალზე ბლანკეტური აკრძალვის დაწესების ნაცვლად, არჩია თითოეული ნომერი განეხილა და შესაბამისად ემსჯელა მის დაშვება-არდაშვებაზე, კომისიის აზრით, მისასალმებელი იყო. ციხის ადმინისტრაციის მსგავსი მოქმედება ხვდებოდა მიხედულების ფარგლებში, რაც სახელმწიფოს მინიჭებული ჰქონდა გამოხატვის თავისუფლებასა და უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების ლეგიტიმურ მიზნებს შორის სამართლიანი წონასწორობის დასამყარებლად.

შესაბამისად, კომისიამ დაასკვნა, რომ პატიმრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა, ლეგიტიმურ მიზანს ისახავდა და აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა რეპუტაციის დასაცავად, კონვენციის მე-10.2 მუხლის მნიშვნელობით. განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა დაშვებული.

ადმინისტრაციამ პატიმრებს არ მიაწოდა უცხო ენაზე გამოცემული გაზეთები: დარღვევა

ფაქტები:[30] პატიმრობაში მყოფ განმცხადებლებს უარი ეთქვათ ქურთულ ენაზე გამოცემული ყოველდღიური გაზეთების მიღებაზე. უარის თქმის საფუძველი იყო ის, რომ ადმინისტრაციას არ შეეძლო იმის გადამოწმება, იყო თუ არა გაზეთების შინაარსი უხამსი ხასიათის ან საფრთხეს ხომ არ უქადდა ციხის უსაფრთხოებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრებისთვის დაწესებული აკრძალვა, მიეღოთ ქურთულ ენაზე გაზეთები, შეადგენდა პატიმრების უფლებაში ჩარევას, მიეღოთ ინფორმაცია და იდეები. ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა პატიმრების უფლებას, მიეღოთ პუბლიკაციები, რომლებიც არ იყო აკრძალული, ანუ არ შეიცავდა უხამსი ხასიათის ინფორმაციას, სტატიებს, ფოტოებს. კომენტარებს, რომლებიც დაწესებულებაში უსაფრთხოებას არ ემუქრებოდა. ადმინისტრაციამ მიუთითა ამ ნორმებზე, როცა უარი უთხრა პატიმრებს, მიეღოთ თურქულ ენაზე გაზეთები არა იმიტომ, რომ ეს გაზეთები აკრძალულ შინაარსს შეიცავდა, არამედ იმიტომ, რომ ადმინისტრაციას აღნიშნული გამოცემების შინაარსის შეფასება არ შეეძლო ენის არცოდნის გამო. ვინაიდან მითითებული ნორმებით საჭირო იყო ასეთი შეფასება განხორციელებულიყო, საკითხი დაისვა იმ კუთხით, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩარევა კანონს. არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პუბლიკაციების ციხეში არდაშვებას მისი ენის გამო. აკრძალვა პირდაპირ უკავშირდებოდა პუბლიკაციის შინაარსს. აკრძალვაზე გადაწყვეტილება კი მოცემულ შემთხვევაში მიღებული იქნა გამოცემის შინაარსის შეფასების გარეშე, რითაც მათ განკარგულებაში მყოფ პატიმრებს წაერთვათ იმ გამოცემაზე ხელმისაწვდომობა, რომლითაც მათ შეეძლოთ ესარგებლათ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციის უარს საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში არ ჰქონია და ჩარევა „კანონით დადგენილი“ არ ყოფილა, როგორც ეს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით მოითხოვებოდა. შესაბამისად, მსჯავრდებულის გამოხატვის თავისუფლება დაირღვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა თითოეული პატიმრისთვის მორალური ზიანის კომპენსაციის სახით 300 ევროს გადახდა.

მსჯავრდებულისთვის დაწესებული შეზღუდვა საგანმანათლებლო ინფორმაციის შემცველი ინტერნეტ საიტის ხელმისაწვდომობაზე: დარღვევა

30 მესუთ იურტსევერი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Mesut Yurtsever and Others v. Turkey*), განაცხადები nos. 14946/08 *et al.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება.

ფაქტები:[31] მსჯავრდებულმა იდავა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომ მას შეეზღუდა განათლების სამინისტროს ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა და ამით ხელი შეეშალა მის განათლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მოცემული შემთხვევა არ ეხებოდა ციხის ადმინისტრაციის უარს, გაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში, მსჯავრდებულს უარი ეთქვა ინფორმაციის მიღების კონკრეტული საშუალების – ინტერნეტის მეშვეობით ყველასთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღებაზე.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების აღკვეთა გარდაუვლად იწვევს პატიმრების მიერ გარე სამყაროსთან კომუნიკაციაზე რიგი შეზღუდვების დაწესებას. მათ შორის, შეზღუდვა ეხება ინფორმაციის მიღების შესაძლებლობაზეც. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის განმარტება არ შეიძლება გულისხმობდეს ზოგად ვალდებულებას, რომ ინტერნეტი ხელმისაწვდომი იყოს, ან ინტერნეტის კონკრეტული საიტები პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი იყოს. თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან განათლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი საიტების ხელმისაწვდომობა დაშვებული იყო ლიეტუვას კანონმდებლობით, ინტერნეტის აღნიშნული საიტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მსჯავრდებულის მიერ ინფორმაციის მიღების უფლებაში ჩარევას შეადგენდა. ეს ჩარევა ნებადართული იყო კანონით და ემსახურებოდა სხვათა უფლებების დაცვის, უწესრიგობისა და დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმური მიზნების მიღწევას.

ვებგვერდი, რომელზე შესვლაც მსჯავრდებულს უნდოდა, შეიცავდა ინფორმაციას ლიეტუვაში სწავლების პროგრამებზე. საიტი რეგულარულად ახლდებოდა და მიმდინარე აკადემიური წლისთვის ჩარიცხვის მოთხოვნებზე განახლებულ ინფორმაციას იძლეოდა.

ეს ინფორმაცია მსჯავრდებულის პირდაპირ ინტერესებში იყო, რაც განათლების მიღებას უკავშირდებოდა, რაც, თავის მხრივ, რელევანტური იყო მისი რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში შემდგომი რეინტეგრაციისთვის.

ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები აქცენტს აკეთებდა ინტერნეტის ხელმისაწვდომობის კუთხით პატიმრებისთვის დაწესებულ აკრძალვაზე იმის ნაცვლად, რომ შეესწავლა მსჯავრდებულის არგუმენტი, თუ რატომ იყო კონკრეტული საიტის ხელმისაწვდომობა მისი განათლე-

31 იანკოვსკის ლიეტუვას წინააღმდეგ (*Jankovskis v. Lithuania*), განაცხადი no. 21575/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება.

ბისთვის აუცილებელი. ინტერნეტი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული ინფორმაცია მხოლოდ ინტერნეტშია ხელმისაწვდომი. ლიეტუვას ხელისუფლებას არ განუხილავს იმის შესაძლებლობა, რომ განმცხადებელი უზრუნველეყო სახელმწიფო დაწესებულების მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შეზღუდული თუ კონტროლირებადი ხელმისანვდომობით, რომელიც ნაკლებად წარმოადგენდა რაიმე საფრთხეს.

სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ჩარევა მსჯავრდებულის უფლებაში, მიეღო ინფორმაცია, საკმარისი გარემოებებით იყო დასაბუთებული. აქედან გამომდინარე, ჩარევა ვერ განიხილებოდა, როგორც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და შესაბამისად, მსჯავრდებულის გამოხატვის თავისუფლება დაირღვა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დარღვევის კონსტატაცია განმცხადებლისთვის სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭებისთვის საკმარისი იყო.

მსჯავრდებულისთვის დაწესებული შეზღუდვა იურიდიული ინფორმაციის შემცველი ინტერნეტ საიტის ხელმისაწვდომობაზე: დარღვევა

ფაქტები:[32] განმცხადებელი არის უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მან იჩივლა იმის თაობაზე, რომ უარი ეთქვა ინტერნეტის რამდენიმე საიტის ხელმისაწვდომობაზე. მათ შორის იყო ევროპის საბჭოს ოფისის საიტი და სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებული საიტები, რომლებზეც განთავსებული იყო საკანონმდებლო აქტები და სასამართლო გადაწყვეტილებები. საიტების დაბლოკვის შესახებ ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ პატიმრებისთვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გაზრდიდა აკრძალული კომუნიკაციის რისკებს, რის გამოც აუცილებელი იყო კომპიუტერებით სარგებლობაზე მონიტორინგის გამკაცრება. მითითებული იყო აგრეთვე ხარჯების თაობაზეც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მოცემული შემთხვევა არ ეხებოდა ციხის ადმინისტრაციის უარს, გაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს უარი ეთქვა

32 ქალდა ესტონეთის წინააღმდეგ (*Kalda v. Estonia*), განაცხადი no. 17429/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება.

ინფორმაციის მიღების კონკრეტული საშუალების – ინტერნეტის მეშვეობით ყველასთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღებაზე.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების აღკვეთა გარდაუვლად იწვევს პატიმრების მიერ გარე სამყაროსთან კომუნიკაციაზე რიგი შეზღუდვების დაწესებას. მათ შორის, შეზღუდვა ნესდება ინფორმაციის მიღების შესაძლებლობაზეც. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის განმარტება არ შეიძლება გულისხმობდეს ზოგად ვალდებულებას, რომ ინტერნეტი, ან ინტერნეტის კონკრეტული საიტები პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი იყოს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკანონმდებლო აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შემცველი საიტების ხელმისაწვდომობა დაშვებული იყო ესტონეთის კანონმდებლობით, ინტერნეტის აღნიშნული საიტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მსჯავრდებულის მიერ ინფორმაციის მიღების უფლებაში ჩარევას შეადგენდა. ეს ჩარევა ნებადართული იყო კანონით და ემსახურებოდა სხვათა უფლებების დაცვის, უწესრიგობისა და დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმური მიზნების მიღწევას.

ვებგვერდები, რომელთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასაც მსჯავრდებული ითხოვდა, ძირითადად სამართლებრივ ინფორმაციას შეიცავდა, მათ შორის, პატიმრების უფლებებზე. მსგავსი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების და ადამიანის უფლებათა დაცულობის გაზრდას. ეროვნული სასამართლოები იყენებენ ამ ინფორმაციას და მსჯავრდებულსაც ასევე სჭირდებოდა ინფორმაცია თავისი უფლებების დასაცავად. როდესაც მსჯავრდებულმა საჩივრით მიმართა ეროვნულ სასამართლოებს, ესტონეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თარგმანები მხოლოდ ევროპის საბჭოს ადგილობრივი ოფისის ვებგვერდზე იყო ხელმისაწვდომი, რომელზედაც მას აეკრძალა შესვლა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტებში, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა გაგებულია, როგორც უფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს უჭერენ ინტერნეტის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და „დიგიტალური ხიდჩატეხილობისთვის“ ბოლოს მოღებას. ამასთან, სულ უფრო და უფრო მეტი ინფორმაცია და სერვისი ექსკლუზიურად ინტერნეტშია განთავსებული.

დაბოლოს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობა პატიმრებს უზრუნველყოფდა ინტერნეტის შეზღუდული ხელმისაწვდომობით და ამ მიზნით, კომპიუტერები შესაბამისად იქნა ადაპტირე-

ბული, რათა პატიმრებს სათანადო ზედამხედველობის ქვეშ ესარგებლათ კომპიუტერებით. შესაბამისი უსაფრთხოების ზომები უკვე გატარებული იყო და ხარჯებიც – გაღებული. ვებგვერდების დაბლოკვის შესახებ ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები სათანადოდ არ ყოფილა დასაბუთებული, რადგან მათში არ განხილულა, თუ რა საფრთხეებთან იყო დაკავშირებული მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული საიტებით სარგებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ევროპის საბჭოს და თავად სახელმწიფოს ადმინისტრირებული საიტები იყო. ამასთან, არ ყოფილა ნაჩვენები, თუ რა ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული სამი დამატებითი ვებგვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მართალია, უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ ხარჯებთან დაკავშირებით მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტები რელევანტური იყო, მაგრამ არ იყო საკმარისი, რათა გაემართლებინა მსჯავრდებულის მიერ ინფორმაციის მიღების უფლებაში ჩარევა. შესაბამისად, მსჯავრდებულის გამოხატვის თავისუფლება დაირღვა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დარღვევის კონსტატაცია განმცხადებლისთვის სამართლიანი დაკმაყოფილების მიიჭებისთვის საკმარისი იყო.

განათლების უფლება

ევროპული კავშირი 350
ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 350
ევროპის საბჭო 350
მინისტრთა კომიტეტი 350
რეკომენდაცია No. (89) 12 ციხეში განათლების შესახებ 350
ევროპული ციხის წესები 350
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 353
პირველი ოქმის მუხლი 2 – განათლების უფლება 353
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 353
ზოგადი პრინციპები 353
რელევანტური საქმე 356
პატიმრობაში მყოფი პირისთვის უარი ციხის სკოლაში ჩარიცხვაზე: დარღვევა 356

ევროპული კავშირი

ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია

მუხლი 14 – განათლების უფლება
1. ყველას აქვს განათლების უფლება და უფლება, ხელი მიუწვდებოდეს პროფესიულ და უწყვეტ სწავლებაზე.
2. ეს უფლება მოიცავს უფასო სავალდებულო განათლების მიღების შესაძლებლობას...

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

1989 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია No. (89) 12 ციხეში განათლების შესახებ

1. ყველა პატიმარს ხელი უნდა მიუწვდებოდეს განათლებაზე, რომელიც იგულისხმება, რომ შედგება საკლასო დისციპლინებისგან, პროფესიული სწავლებისგან, შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებებისგან, ფიზკულტურისა და სპორტისგან, სოციალური განათლებისა და ბიბლიოთეკისგან;...
4. პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციასა და პენიტენციური დაწესებულების მართვაში ჩართული ყველა პირი, შეძლებისდაგვარად, ხელს უნდა უწყობდეს და მხარს უჭერდეს განათლებას.
6. ყველა ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული პატიმრების წასახალისებლად, მონაწილეობა მიიღონ განათლების ყველა ასპექტში;...
17. ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჭირო სახსრები, აპარატურა და სასწავლო პერსონალი, რათა პატიმრებმა შეძლონ შესატყვისი განათლების მიღება.

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[1]

ძირითადი პრინციპები
1. ყველა თავისუფლებააღკვეთილი ადამიანის მიმართ მოპყრობა უნდა ხორციელდებოდეს მისი უფლებების დაცულობის საფუძველზე.
2. თავისუფლებააღკვეთილი პირები ინარჩუნებენ ყველა უფლებას, რომელიც მართლზომიერად არ ერთმევათ იმ გადაწყვეტილე-

1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

ბით, რომლის საფუძველზეც მათ დაენიშნათ სასჯელი ან შეეფარდათ პატიმრობა.
3. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ დაწესებული შეზღუდვები უნდა იყოს მინიმალურად აუცილებელი და იმ ლეგიტიმური ამოცანის თანაბარზომიერი, რომლისთვისაც ხდება მათი დაწესება.
4. ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებული იქნეს რესურსების ნაკლებობით.
5. ციხეში ცხოვრება მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებთან.
6. პატიმრობა იმგვარად უნდა იქნეს წარმართული, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლებააღკვეთილ პირთა რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში.
***

26.16 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ, მინიმუმ, ერთი დასვენების დღე კვირაში და საკმარისი დრო განათლებისა და სხვა საქმიანობისათვის.
***

განათლება
28.1 ყველა პენიტენციური დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.
28.2 პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პატიმრებს, რომელთაც წერაკითხვის და ანგარიშის სწავლის საჭიროება აქვთ და რომელთაც აკლიათ საბაზისო და პროფესიული განათლება.
28.3 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების განათლებას.
28.4 განათლებას არ უნდა მიენიჭოს ნაკლები სტატუსი, ვიდრე მუშაობას ციხის რეჟიმის ფარგლებში და პატიმრები არ უნდა ჩააყენონ ფინანსურად ან სხვაგვარად არახელსაყრელ პირობებში საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღების გამო.
28.5 ყოველ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა ყველა პატიმრის მიერ სარგებლობისთვის, რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი როგორც გამაჯანსაღებელი, ისევე საგანმანათლებლო რესურსებით, წიგნებით და სხვა საშუალებებით.
28.6 სადაც შესაძლებელია, ციხის ბიბლიოთეკა უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის სამსახურებთან თანამშრომლობით.
28.7 რამდენადაც განხორციელებადი იქნება, პატიმართა განათლება უნდა:

ა. იყოს ინტეგრირებული ქვეყნის საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემასთან იმგვარად, რომ პატიმართა გათავისუფლების შემდგომ, მათ შეძლონ სწავლის ან პროფესიული განათლების გაგრძელება დაბრკოლების გარეშე;
ბ. მიმდინარეობდეს გარე საგანმანათლებლო დაწესებულებების ეგიდით.
35.2 ყოველ არასრულწლოვან პატიმარს, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო განათლებას, ხელი უნდა მიუწვდებოდეს მასზე.

ბრალდებული პატიმრების მიმართ მიდგომა
95.1 ბრალდებული პატიმრების მიმართ არსებული რეჟიმი არ უნდა განისაზღვროს იმის გატვალისწინებით, რომ პატიმრები შესაძლოა იყვნენ მსჯავრდებულები მომავალში.
95.2 ციხის წესების ამ ნაწილში მოცემული დებულებები შეადგენს დამატებით გარანტიებს ბრალდებული პატიმრებისთვის.
95.3 ბრალდებულ პატიმართა ციხეების ადმინისტრაციამ უნდა იხელმძღვანელოს ამ წესებით და გამოიყენოს, რათა ნება დართოს პატიმრებს, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობაში, რომლებიც მოცემულია წინამდებარე წესებში.

პატიმრების ხელმისაწვდომობა რეჟიმებზე
101. თუ ბრალდებული პატიმარი მოითხოვს, რომ ნება დაერთოს ისარგებლოს იგივე რეჟიმით, რაც დადგენილია მსჯავრდებული პატიმრებისათვის, ციხის ადმინისტრაციამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

მსჯავრდებულ პატიმართა განათლება
106.1 განათლების სისტემატიური პროგრამები, უნარ-ჩვევების ტრენინგების ჩათვლით, პატიმართა საერთო განათლების გაღრმავებისა და დანაშაულის გარეშე ცხოვრების თაობაზე, მათი ნახალისებისთვის უნდა იყოს რეჟიმების ძირითადი ნაწილი.
106.2 ყველა მსჯავრდებული პატიმარი უნდა წახალისდეს, რათა მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამებში.
106.3 საგანმანათლებლო პროგრამები მსჯავრდებული პატიმრებისათვის უნდა განხორციელდეს მათი ციხეში ყოფნის დროის განმავლობაში.

დამატებითი ოქმის მუხლი 2 – განათლების უფლება

არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება...

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

მართლზომიერად თავისუფლებააღკვეთილ პირს უნარჩუნდება ყველა ფუძემდებლური უფლება და თავისუფლება, რომელიც კონვენციით არის გარანტირებული, გარდა თავისუფლების უფლებისა.[2] ამ უფლებებზე დაკისრებული შეზღუდვები უნდა დასაბუთდეს. დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს უსაფრთხოების, კერძოდ, დანაშაულისა და უწესრიგობის პრევენციის მიზნებს, რომლებიც აუცილებლად თავისუფლების აღკვეთის კონკრეტულ გარემოებებთან უნდა იყოს დაკავშირებული.[3]

პატიმარი არ კარგავს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის სტატუტის გამო. იგივე პრინციპი, მითუმეტეს, ვრცელდება პირზე, რომელსაც შეფარდებული აქვს პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით, რომელიც არ ყოფილა ჯერ მსჯავრდებული და შესაბამისად, სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით.[4]

რაც შეეხება განათლების უფლებას, კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შექმნას, ან სუბსიდირება გაუწიოს გარკვეულ საგანმანათლებლო დანესებულებებს. ამის ნაცვლად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქმედითი ხელმისაწვდმობა.[5] ასევე პატიმრებს არ აქვთ უფლება, კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის ძალით, სახელმწიფოს მოსთხოვონ განათლების თუ ტრენინგის გარკვეული კურსი უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებუ-

2 ველიო ველევი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Velyo Velev v. Bulgaria)*, განაცხადი no. 16032/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 30.

3 ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (no. 2) (*Hirst v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 74025/01, ადამიანის უფლებათა დიდი პალატის 2005 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 69.

4 ლადუნა სლოვაკეთის წინააღმდეგ (*Laduna v. Slovakia*), განაცხადი no. 31827/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 64.

5 სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლზე: განათლების უფლება, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2017, გვ. 5 (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_Protocol_1_ENG.pdf).

ლებაში.[6]

არსებული საგანანმანათლებლო დანესებულებების ხელმისაწვდომობა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადებით გარანტირებული უფლების ორგანული ნაწილია. ეს პრინციპი ვრცელდება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს განათლებაზე.[7]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, განათლების უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეზღუდვებს დაექვემდებაროს. იმ პირობით, თუ თავად უფლების არსი არ დაზიანდება, ეს შეზღუდვები დაშვებულია, ვინაიდან განათლების ხელმისაწვდომობის უფლება თავისი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციას.[8]

იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ დაწესებული შეზღუდვები არ იყოს იმ ხარისხის, რომ უფლების შინაარსი დააზიანოს და მას ქმედითობა დაუკარგოს, ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ შეზღუდვები დაინტერესებული პირებისთვის წინაწარგანჭვრეტადია და ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება. თუმცა, განსხვავებით კონვენციის მე-8-11 მუხლებისგან, იგი არ შემოიფარგლება პირველი ოქმის მე-2 მუხლის ლეგიტიმური მიზნების ამომწურავი სიით. ამას გარდა, შეზღუდვა შეესაბამება პირველი ოქმის მე-2 მუხლს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული თანაბარზომიერება გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის. მართალია, ბოლო სიტყვა, კონვენციის მოთხოვნები დაცული იყო თუ არა, ევროპულ სასამართლოს ეკუთვნის, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ მიხედულების გარკვეული ფარგლები ამ სფეროში.[9]

განათლების ორგანიზება რთულია და ხარჯებთანაა დაკავშირებული, როდესაც ხელისუფლებას ამ სფეროსთვის შეზღუდული სახსრები აქვს გამოყოფილი. ევროპული სასამართლო ეთანხმება, რომ განათლების ხელმისაწვდომობის რეგულირებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფომ უნდა დაამყაროს წონასწორობა, ერთი მხრივ, მის იურისდიქციაში მყოფ პირთა საგანმანათლებლო საჭიროებებზე და მეორე მხრივ, მათი დაკმაყოფილების შეზღუდულ შესაძლებლობებზე. თუმცა, ევროპული სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სხვა საჯარო სერვისებისგან განსხვავებით, განათლების უფლება კონვენციის პირდაპირი დაცვით სარგებლობს. აგრეთვე ეს საჯარო სერვისის განსაკუთრებული ტიპია,

6 *Ibid.* გვ. 9.
7 *Ibid.* გვ. 7.
8 *Ibid.* გვ. 5.
9 *Ibid.* გვ. 6; ველიო ველევი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Velyo Velev v. Bulgaria)*, განაცხადი no. 16032/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 32.

რომელსაც სარგებლობა მოაქვს არა მარტო უშუალოდ კონკრეტული პირისთვის, არამედ აქვს უფრო ფართო სოციალური ფუნქციებიც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლების უფლება განუყოფელია ადამიანის უფლებების ხელშეწყობისგან და ფუძემდებლურ როლს თამაშობს.[10]

მხოლოდ ის გარემოება, რომ თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დანიშვნის გამო მოსწავლე-სტუდენტი ვეღარ აგრძელებს სწავლას საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ განათლების უფლების დარღვევად, თუ მას სხვაგვარად არ შეეზღუდა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობა, ან განათლების მიღების უფლება. ასე, მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ განსახილველად არ დაუშვა განაცხადი, რომელშიც მსჯავრდებული ამტკიცებდა პირველი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას, ვინაიდან მსჯავრდების შედეგად განათლების მიღების უფლება ჩამოერთვა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ განმცხადებელს მისი მართლზომიერი მსჯავრდების პერიოდში არ შეეძლო საუნივერსიტეტო განათლების მიღება, არ ითვლებოდა, კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის მნიშვნელობით, განათლების უფლების დარღვევად და განაცხადი არსებითად განსახილველად არ მიიღო.[11]

სხვა საქმეში, განმცხადებლები დავობდნენ პირველი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევაზე, ვინაიდან მოუწიათ უმაღლესი განათლების მიღების შეწერება, რათა სასჯელი მოეხადათ. ორ განმცხადებელს მოუწია, საბუთები გაეტანა სასწავლებლებიდან და დარეგისტრირებულიყო სხვა სასწავლებელში, რომელიც დისტანციურ სწავლებას უზრუნველყოფდა. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ამ სასწავლებელში სწავლების ხარისხი ჩვეულებრივი სასწავლებლების სტანდარტებს ჩამოუვარდებოდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ფაქტი, რომ განმცხადებლებს, მათი მსჯავრდების შემდგომ მართლზომიერ თავისუფლების აღკვეთაში ყოფნის გამო, არ შეეძლოთ სრული დატვირთვით განათლების მიღება, ვერ მიიჩნეოდა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის მნიშვნელობით განათლების უფლების ჩამორთმევად და განაცხადი ამ ნაწილში არსებითად განსახილველად არ მიიღო.[12]

---

10 ველიო ველევი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Velyo Velev v. Bulgaria)*, განაცხადი no. 16032/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 33.

11 არსლანი თურქეთის წინააღმდეგ (*Arslan v. Turkey*), განაცხადი no. 31320/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის განჩინება

12 დურმაზი, იშიკი, უნთუმაზი და სეზალი თურქეთის წინააღმდეგ (*Durmaz, Işık, Unutmaz, and Sezal v. Turkey*), განაცხადები no.s. 46506/99, 46569/99,46570/99 და 46939/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 4 სექტემბრის განჩინება.

სხვა საქმეზე, მსჯავრდებული, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, დავობდა, რომ თავისუფლების აღკვეთის დროს ის ძალზე მცირედი მხარდაჭერით სარგებლობდა, რათა იურიდიული სახელმძღვანელოები ეშოვა და სწავლა დაესრულებინა. მას აგრეთვე არ მიეცა ნებართვა, რომ დასწრებოდა გამოცდებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს დროის მხოლოდ მოკლე პერიოდში (14 თვის განმავლობაში) შეეშალა ხელი უნივერსიტეტში გამოცდის ჩაბარებაში და ეს პერიოდი ეროვნული სასამართლოს მიერ მისი მსჯავრდების შედეგად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ვადა იყო. სხვა მხრივ, განმცხადებელს არ შეზღუდვია საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობა და მისი უფლება განათლების მიღებაზე არ შეზღუდულა. განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული.[13]

რელევანტური საქმე

პატიმრობაში მყოფი პირისთვის უარი ციხის სკოლაში ჩარიცხვაზე: დარღვევა

ფაქტები:[14] განმცხადებელს პატიმრობა აქვს შეფარდებული. 2005 წელს, მან ციხის სკოლაში ჩარიცხვა მოითხოვა. ციხის ადმინისტრაციამ და საბოლოოდ ადმინისტრაციულმა სასამართლომ პატიმარს აღნიშნულზე უარი განუცხადეს. ციხის დირექტორმა სკოლაში ჩარიცხვაზე უარი იმით დაასაბუთა, რომ მსჯავრდების შემთხვევაში, პატიმარი, როგორც წარსულში ნასამართლევი პირი, რეციდივისტად ჩაითვლებოდა და ამიტომ არარეციდივისტი მსჯავრდებულებისგან ცალკე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ადმინისტრაციული სასამართლოს დასაბუთებით, განათლების უფლება მხოლოდ მსჯავრდებულებს და არა პატიმრობაში მყოფ პირებს ჰქონდათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლზომიერად დაპატიმრებულ პირს უნარჩუნდება ყველა ფუძემდებლური უფლება და თავისუფლება, რაც კონვენციითაა გარანტირებული. შესაბამისად, განმცხადებელს ჰქონდა განათლების უფლება კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით. სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყოს განათლების უფლება, გულისხმობდა ვალდებულებას, უზრუნველეყო არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის, პენიტენციური დაწესებულებების სკოლების ქმედითი ხელმისაწვდომობა. შესაბამისად,

13 გეორგიუ საბერძნეთის წინააღმდეგ (*Georgiou v. Greece*), განაცხადი no. 45138/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 13 იანვრის განჩინება.

14 ველიო ველევი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Velyo Velev v. Bulgaria),* განაცხადი no. 16032/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.

სახელმწიფოს აკისრია ტვირთი, დაამტკიცოს, რომ პატიმრისთვის უარის თქმა სკოლაში ჩარიცხვაზე იყო წინასწარგანჭვრეტადი, ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის თანაბარზომიერი იყო.

ევროპულმა სასამართლომ საექვოდ მიიჩნია, თუ რამდენად წინასწარგანჭვრეტადი შეიძლებოდა ყოფილიყო სკოლაში ჩარიცხვაზე უარის თქმა იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულებს ჰქონდათ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩარიცხვის უფლება და მსჯავრდებულ პირებზე არსებული დებულებები თანაბრად ვრცელდებოდა პატიმრობაში მყოფ პირებზე.

საკანონმდებლო ბაზას არ ჰქონდა შესაბამისი სიცხადე, რაც იმაში გამოიხატა, რომ სხვადასხვა ორგანომ სკოლაში ჩარიცხვის უარი სხვადასხვა მოსაზრებით დაასაბუთა: ციხის დირექტორმა და იუსტიციის მინისტრმა ყურადღება გაამახვილეს განმცხადებლის რეციდივისტად ცნობის შესაძლებლობაზე, ხოლო ადმინისტრაციულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა პატიმრის, ბრალდებულის სტატუსს. უარის თქმის მიზეზად იყო დასახელებული აგრეთვე ის, რომ დაუშვებელი იყო პატიმრობაში მყოფი პირის მსჯავრდებულებთან ერთად სასჯელაღსრულების დაწესებულების სკოლაში ყოფნა. ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად პატიმარს არ ჰქონდა პრობლემა, რომ მსჯავრდებულ პირებთან ერთად ესწავლა სკოლაში და აგრეთვე, არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, რომ პატიმრობაში მყოფ პირებს რაიმე საფრთხე ემუქრებოდათ მსჯავრდებულ პირებთან ერთად სკოლაში ყოფნით. აგრეთვე, ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ გაურკვევლობა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, სათანადოდ ამართლებდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვაზე უარს. დაბოლოს, რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ პატიმარს შეიძლებოდა, მსჯავრი დაკისრებოდა, როგორც რეციდივისტს და არარეციდივისტი მსჯავრდებულების ინტერესებში არ იქნებოდა მასთან ერთად სკოლაში ყოფნა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მსგავსი მსჯელობა მიუღებელი იყო. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმარს ცალსახა ინტერესი ჰქონდა, დაესრულებინა საშუალო განათლება და ციხის სკოლაში მის ჩარიცხვაზე უარი არ იყო სათანადოდ წინასწარგანჭვრეტადი, არ ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი და არ იყო ამ მიზანთან თანაბარზომიერი ჩარევა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა განმცხადებლისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის კომპენსაციის გადახდა 2 000 ევროს ოდენობით.

გაერთიანებული ერები 359
ნელსონ მანდელას წესები 359
ბანგკოკის წესები 360
ჰავანას წესები 360
ევროპის საბჭო 361
მინისტრთა კომიტეტი 361
ევროპული ციხის წესები 361
წამების პრევენციის კომიტეტი 361
ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები 361
• ტრანსგენდერი პატიმრები 361
უცხოელი პატიმრები 364
ნამალდამოკიდებული პირები 366
აივ სკრინინგი და აივ დადებითი პატიმრები 366
ჯანდაცვის სისტემის გადაცემა 369
შრომის ანაზღაურება 369
კადრებთან დაკავშირებული საკითხები 369
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 371
მუხლი 14 – დისკრიმინაციის აკრძალვა 371
მე-12 ოქმის პირველი მუხლი – დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა 371
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 372
ზოგადი პრინციპები 372
• პირდაპირი დისკრიმინაცია 372
კომპარატორი 373
ობიექტური და გონივრული გამართლება 373
არაპირდაპირი დისკრიმინაცია 374
დისკრიმინაციული განზრახვა და მტკიცების ტვირთი 374
რელევანტური საქმეები 375
i. პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე უფლების წარმოშობის განსხვავებული წინა პირობა ტერორიზმისთვის მსჯავრდებული პირისთვის: არდარღვევა 375
ii. განსხვავება მოთხოვნებში პირობით ვადამდე გასანთავისუფლებლად: დარღვევა 376
iii. ბრალდებულ და მსჯავრდებულ პატიმართა მიმართ განსხვავებული მოპყრობა: დარღვევა 378
iv. განსხვავებული მოპყრობა უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას: არდარღვევა 379

ნელსონ მანდელას წესები[1]

წესი 2

1. წინამდებარე წესები მოქმედებს ყველას მიმართ, მიკერძოების გარეშე. დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადების თუ რაიმე სხვა სტატუსის გამო. პატიმრების რელიგიური მრწამსი და მორალური პრინციპები დაცულია.

2. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის პრაქტიკულად განსახორციელებლად, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს პატიმრების, განსაკუთრებით, ციხის კონტექსტში ყველაზე მოწყვლადი კატეგორიების ინდივიდუალური საჭიროებები. სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმართა უფლებების დაცვის და ხელშეწყობისთვის მიმართული ღონისძიებების გატარება მოითხოვება და დისკრიმინაციულად არ მიიჩნევა.

წესი 24

1. სახელმწიფო პასუხისმგებელია პატიმრებისთვის ჯანდაცვის უზრუნველყოფაზე. პატიმრები უნდა სარგებლობდნენ ჯანდაცვის იმავე სტანდარტებით, რომლებიც საზოგადოებაშია ხელმისაწვდომი და უფასოდ უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ჯანდაცვის აუცილებელ სერვისებზე მათი სამართლებრივი სტატუსის გამო დისკრიმინაციის გარეშე.

წესი 58

2. როდესაც ოჯახური პაემანი ნებადართულია, ეს უფლება ყველას აქვს დისკრიმინაციის გარეშე და ქალ პატიმრებს უნდა შეეძლოთ ამ უფლებით სარგებლობა მამაკაცების თანაბრად. უნდა არსებობდეს პროცედურები და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფრასტრუქტურა სამართლიანი და თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის უსაფრთხოებისა და ღირსების სათანადო დაცვით.

---

1 გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები"), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 70/175, მიღებულია 2015 წლის 17 დეკემბერს.

ბანგკოკის წესები[2]

წესი 1

გაერთიანებული ერების პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მეექვსე წესით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის პრაქტიკაში განხორციელებისთვის, წესების განხორციელებისას ანგარიში უნდა გაეწიოს ქალი პატიმრების განსაკუთრებულ საჭიროებებს. ამ საჭიროებების გათვალისწინება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს არსებითი გენდერული თანასწორობა, არ განიხილება როგორც დისკრიმინაციული ქმედება.

წესი 34

ტრენინგ პროგრამები აივ ინფექციასთან დაკავშირებით უნდა იყოს ციხის თანამშრომლებისთვის გათვალისწინებული ჩვეულებრივი სასწავლო პროგრამის ნაწილი. აივ/შიდსის პრევენციის, მისი მკურნალობის და ავადმყოფის მოვლისა და მხარდაჭერის გარდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა გენდერი და ადამიანის უფლებები, აივ ინფექციაზე, სტიგმასა და დისკრიმინაციაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, ასევე უნდა იყოს ჩვეულებრივი სასწავლო პროგრამის ნაწილი.

ჰავანას წესები[3]

4. წესები მოქმედებს ყველას მიმართ მიკერძოების გარეშე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ასაკის, ენის, რელიგიის, მოქალაქეობის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, კულტურული შეხედულებებისა თუ ჩვეულებების, ქონებრივი, დაბადების თუ ოჯახური სტატუსის, ეთნიკური თუ სოციალური ნარმოშობის და შეზღუდული შესაძლებლობის გამო. არასრულწლოვნების რელიგიური და კულტურული შეხედულებები, ჩვეულებები და მორალური კონცეფციები დაცულია.

---

2 გაერთიანებული ერების წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 65/229, მიღებულია 2010 წლის 6 ოქტომბერს.

3 გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცავად, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 45/113, მიღებულია 1990 წლის 14 დეკემბერს.

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ[4]

წესი 13
წინამდებარე წესები მოქმედებს ყველას მიმართ მიკერძოების, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნულ უმცირესობასთან ასოცირების, ქონების, დაბადების თუ რაიმე სხვა სტატუსის გამო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

წესი 26
4. მე-13 წესის შესაბამისად, დაუშვებელია შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებით გენდერის საფუძველზე დისკრიმინაცია.

წესი 40
3. პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ქვეყანაში არსებულ ჯანდაცვის სერვისებზე, მათი სამართლებრივი სტატუსის გამო დისკრიმინაციის გარეშე.

წესი 80
პერსონალი უნდა შეირჩეს და დაინიშნოს თანასწორ საწყისებზე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნულ უმცირესობასთან ასოცირების, ქონების, დაბადების თუ რაიმე სხვა სტატუსის გამო დისკრიმინაციის გარეშე.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის, ევროპული კომიტეტი (CPT)

ქვეყნების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები

ტრანსგენდერი პატიმრები

მალტა
კომიტეტის დელეგაციის ვიზიტის დროისთვის, სამი პატიმარი იყო მამაკაციდან ქალი ტრანსგენდერი და ერთი პატიმარი – ინტერსექსი პატიმარი. ყველა მათგანი მოთავსებული იყო მამაკაცთა დაწესებულებაში. ტრან-

4 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

სგენდერ პატიმრებს რაც შეეხებათ, თავისუფლების აღკვეთამდე ისინი ცხოვრობდნენ, როგორც თვითიდენტიფიცირებული ქალები. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი იღებდა ქალის ჰორმონს – ოსტროგენს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებამდე და გააგრძელეს მისი მიღება დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაშიც, არც ერთ მათგანს არ ჰქონდა სქესის შეცვლის ოპერაცია გაკეთებული. თუმცა ორ მათგანს შეცვლილი ჰქონდა ოფიციალური საბუთები და სტატუსი და ცალსახად სურდათ ეცხოვრათ და მოპყრობოდნენ, როგორც ქალებს.

სამმა ტრანსგენდერმა პატიმარმა მოითხოვა, გადაეყვანათ ქალთა განყოფილებაში ან ცალკე განყოფილებაში. დელეგაციას პერსონალმა აცნობა, რომ, მართალია მოთხოვნის დაკმაყოფილებას აპირებდნენ, პატიმრებმა განაცხადი გაიტანეს.

დელეგაციამ აღნიშნა პატიმრების მხრიდან მომდინარე ძალადობრივი აქტის სავარაუდო ინციდენტი ერთი ტრანსგენდერი პატიმრის მიმართ. სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, ერთ-ერთ პატიმარს „სავარაუდოდ ჩაარტყეს თერმოსი“. ჩანაწერებში მოტივი აღნიშნული არ არის. პატიმარს ამ ინციტენდზე არ უჩივლია და შესაბამისად, არ არსებობდა ინფორმაცია, დაიწყო თუ არა რაიმე სახის გამოძიება აღნიშნულ ინციდენტზე. სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, პატიმარს შესთავაზეს ქალთა ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაყვანა იმის გამო, რომ მას უჭირდა მამაკაცთა განყოფილებაში არსებულ გარემოსთან შეგუება.

დელეგაციის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, სხვა ტრანსგენდერმა სიტყვიერად მოითხოვეს მამაკაცთა განყოფილებიდან გადაყვანა ქალთა განყოფილებაში, ან ცალკე განყოფილებაში, რომელიც მდედრობითი სქესის პერსონალით იქნებოდა დაკომპლექტებული. ისინი უხერხულად გრძნობდნენ თავს მამაკაცთა გარემოცვაში, შხაპს სხვადასხვა დროს იღებდნენ, დაუცველად გრძნობდნენ თავს და გამუდმებით ექვემდებარებოდნენ დამცირებას, მიმართავდნენ, რა მამრობითი სახელებით, ეკრძალებოდათ, რა ქალის ტანისამოსის ტარება და ზოგადად, ქალებად თვითიდენტიფიკაცია.

კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა ადმინისტრაციის ზრუნვის ვალდებულება მათ კონტროლს დაქვემდებარებული პატიმრების მიმართ, რაც ასევე მოიცავს მის ვალდებულებას ვალდებულებას, დაიცვას პატიმრები სხვა პატიმრებისგან. ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ზომები წინასწარ, რათა თავიდან აიცილოს პატიმრების მხრიდან ძალადობა სხვა პატიმრების, განსაკუთრებით მონყვლადი პატიმრების, მათ შორის, ტრანსგენდერი პირების მიმართ.

ტრანსგენდერ პატიმრებთან დაკავშირებით, კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს მალტის ხელისუფლებას, შეიმუშავოს პოლიტიკა დისკრიმინაციის და გარიყულობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რის ნინაშეც ტრანსგენდერი პირები დგანან დახურულ დაწესებულებებში. ეს პოლიტიკა უნდა განხორციელდეს პენიტენციური დაწესებულებების მიერ. კერძოდ, ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს მრავალმხრივი ანტიბულინგის სტრატეგია, რათა შემცირდეს პატიმრებს შორის ძალადობა და დაშინება, განსაკუთრებით, ტრანსგენდერი პირების მიმართ. ასეთი სტრატეგია უნდა მოიცავდეს სისტემურ დოკუმენტირებას და ანგარიშგებას მსგავსი რეპორტების და ტრანსგენდერი პატიმრების მიმართ ძალადობისა თუ მათ წინააღმდეგ მიზანმიმართული ბულინგის ყველა განცხადების თაობაზე სათანადო გამოძიების წარმოებას.

ამას გარდა, მალტის ხელისუფლებისთვის კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ გადაისინჯოს ტრანსგენდერი პირების მიმართ მოპყრობა; კერძოდ, უნდა შემუშავდეს მკაფიო გაიდლაინები ტრანსგენდერი პირების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ტრანსგენდერი პირები ან უნდა განთავსდნენ იმ გენდერის პატიმართა განყოფილებაში, რომლითაც ისინი თვითიდენტიფიცირდებიან, ან საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია უსაფრთხოების თუ სხვა მიზნებისთვის, ცალკე განყოფილებაში. ცალკე განყოფილებაში განთავსებისას, მათ უნდა შეეთავაზოთ აქტივობებში მონაწილეობის მიღება და იმ გენდერის პატიმრებთან ყოფნის შესაძლებლობა, რომლებთანაც ისინი თვითიდენტიფიცირდებიან.[5]

ავსტრია

დელეგაცია შეხვდა პატიმარს, რომელმაც განაცხადა, რომ ტრანსგენდერი იყო. პატიმრის თქმით, მას ჰქონდა უფლება, ეტარებინა ქალის ტანისამოსი საკანში, როდესაც კარი დაკეტილი იყო. თუმცა სხვებთან ყოფნის დროს, მას მამაკაცის ტანსაცმლის ტარება მოეთხოვებოდა. პატიმრის თქმით, მან თავისი გენდერული იდენტობა ორი წლის წინ აღიარა და სხვა პატიმრების მხრიდან პრობლემა არ ჰქონია. პატიმარმა თერაპია შეწყვიტა, ვინაიდან მისი თერაპევტი უარს ამბობდა გენდერული იდენტობის პრობლემების მასთან განხილვაზე. პატიმრის თქმით, მას სურდა სქესის შეცვლა სამართლებრივი გზით, ჰორმონალური თერაპიის გავლა და სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთება, მაგრამ უთხრეს, რომ ციხეში არ შეეძლო, დაეწყო ციპროტერონის აცეტატითა და ესტროგენით მკურნალობა და რომ ქირურგიული და სამართლებრივი სქესის შეცვლის პროცედურა საერთოდ გამორიცხული იყო. აღნიშნული პერსონალმა დაადასტურა.

5 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში მალტას მთავრობისადმი, ნამების პრევენციის კომიტეტის მალტაში 2015 წლის ვიზიტი ს შესახებ, CPT/Inf(2016) 25, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2016, პუნქტები 50-53.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ ავსტრიაში ხელმისწვდომია სქესის შეცვლის პროცედურები, როგორებიცაა ჰორმონალური მკურნალობა, ქირურგიული ჩარევა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ტრანსგენდერი პირებისთვის. ამას გარდა, არსებობს პირადობის მოწმობასა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებზე სახელისა და სქესის შეცვლის პროცედურები. კომიტეტის აზრით, თავისუფლებააღკვეთილ პირებს არ უნდა ეთქვათ უარი იგივე მკურნალობასა და სამართლებრივ პროცედურებზე, რაც ავსტრიის კანონმდებლობით ტრანსგენდერი პირებისთვის არის განკუთვნილი.

ავსტრიის ხელისუფლებისთვის კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ მიიღოს საჭირო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რათა ტრანსგენდერ პირებს ციხეებში (და საჭიროებისამებრ, სხვა დახურულ დაწესებულებებში) ხელი მიუწვდებოდეთ სქესის შეცვლასა და მკურნალობაზე და სურვილის შემთხვევაში, სქესის შეცვლის სამართლებრივ პროცედურებზეც. ამას გარდა, უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს პოლიტიკა დისკრიმინაციისა და გარიყულობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც ტრანსგენდერი პირები დახურულ დაწესებულებებში ექვემდებარებიან.[6]

უცხოელი პატიმრები

შვედეთი

უცხოელი პატიმრები პატიმრების საერთო პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ შვედეთის ორ ციხეში. მრავალი მათგანი ჩიოდა ინფორმაციის ნაკლებობაზე სამართლებრივი მდგომარეობისა და უფლებების შესახებ და რომ უწევდათ შვედურად შედგენილ დოკუმენტებზე ხელის მოწერა, შინაარსის გაგების გარეშე. უცხოელ პატიმრებთან გასაუბრების შედეგად, აღმოჩნდა, რომ მათ არ ჰქონდათ მიღებული წერილობითი ინფორმაცია შიდა რეგულაციების შესახებ, მათთვის გასაგებ ენაზე. ხშირად მათი კონტაქტი გარე სამყაროსთან გართულებული იყო. ყოველივე ეს ქმნიდა იზოლაციისა და დისკრიმინაციის შთაბეჭდილებას, რაც შეიძლება ციხეში არსებული ზოგადი ატმოსფეროსთვის საზიანო იყოს.

კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ მიღებული იქნეს ზომები, რათა გაუმჯობესდეს ინფორმაციის მიწოდება უცხოელი პატიმრებისთვის და უზრუნველყოფილი იქნეს, რომ შიდა რეგულაციებზე წერილობითი ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდოს ყველა პატიმარს მათთვის გასაგებ ენაზე, დანესებულებაში მისვლისთანავე.[7]

---

6 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ავსტრიის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის ავსტრიაში 2014 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2015)34, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2015, პუნქტი 116.

7 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში შვედეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის

საბერძნეთი

მრავალი უცხოელი პატიმარი, რომელსაც დელეგაცია შეხვდა, ჩიოდა, რომ ისინი ექვემდებარებოდნენ პერსონალის მხრიდან რასისტულ შეურაცხყოფას. მრავალ შემთხვევაში, სიტყვიერი შეურაცხყოფა აშკარად დაკავშირებული იყო კანის ფერთან და პერსონალის გზავნილი იყო, რომ საბერძნეთში მათი ყოფნა სასურველი არ იყო. არცთუ ისე იშვიათად, სიტყვიერ შეურაცხყოფას თან ახლდა ფიზიკური არასათანადო მოპყრობა. კომიტეტმა აღნიშნა, რომ საბერძნეთის ხელისუფლებას ევალებოდა, აქტიურად შეეწყო ხელი შემწყნარებლობის კულტურის დამკვიდრებისთვის. ხელისუფლებისგან უნდა არსებობდეს ცალსახა გზავნილი, რომ რასისტული ქცევა შესაბამისად დაისჯება.

კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები სამართალდამცავი ორგანოებში დამკვიდრებული რასიზმის აღმოსაფხვრელად. ამ კონტექსტში შეიძლება გამოყენებული იქნეს რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის მე-11 რეკომენდაცია, რომელიც ეხება რასიზმსა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლას.[8]

კვიპროსი

ციხის საერთო პოპულაციის 50% უცხოელი პატიმრები შეადგენენ, თუმცა არაფერი კეთდება მათი სპეციფიკური საჭიროებების შესასრულებლად. მათ არ მიეწოდებათ წერილობითი ინფორმაცია შიდა რეგულაციებზე, მათთვის გასაგებ ენაზე. დელეგაციამ მიიღო მრავალი საჩივარი უცხოელი პატიმრების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ განათლების, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და რეკრეაციის სფეროებში.

კომიტეტის დელეგაციის მიერ შეგროვებული ინფორმაციიდან ცხადი იყო, რომ მრავალი პატიმრის აღქმით, მათი ან საერთოდ არ ესმოდათ, ან ციხის პერსონალი მათდამი მიკერძოებული იყო. განხილული უნდა იქნეს უცხოელი პატიმრებისთვის ერთი ან მეტი საკონტაქტო პირის დანიშვნის შესაძლებლობა. ამას გარდა, კონცენტრირებული ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ციხის ცხოვრებისა და საიმიგრაციო პროცედურების შესახებ უცხოელი პატიმრების ინფორმირებისკენ, რაც შეიძლება განხორციელდეს შეხვედრებისა და საინფორმაციო პაკეტების მეშვეობით; მათ უნდა მიიღონ ინფორმაცია, თუ რა ელოდებათ სასჯელის მოხდის შემდეგ.

კომიტეტის შვედეთში 2009 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2009)34, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2009, პუნქტი 76.

8 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში საბერძნეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის საბერძნეთში 2013 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2014)26, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2014, პუნქტი 18.

უცხოელ პატიმრებს, საჭიროების შემთხვევაში, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ თარჯიმნის მომსახურებაზე.

კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა კვიპროსის ხელისუფლებას, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, გაეზარდა უცხოელი პატიმრების მიმართ მხარდაჭერა.[9]

ნამალდამოკიდებული პირები

გერმანია

დელეგაციამ აღნიშნა თვალშისაცემი განსხვავება, რაც სხვადასხვა ციხეში არსებობდა ნამალდამოკიდებული პატიმრების ოპიატის ჩანაცვლებით მკურნალობასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ციხეში ეს მკურნალობა შეეთავაზებოდათ პატიმრებს, სხვა ციხეებში – არა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აღნიშნული მკურნალობა ზოგადად ხელმისაწვდომი იყო ციხის გარეთ. ჩანაცვლებითი მკურნალობა ხელმისაწვდომი იყო პატიმრებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მათ ეს მკურნალობა თავისუფლების აღკვეთამდე ჰქონდათ დაწყებული და თუ, სავარაუდოდ, მათ არ მოუწევდათ დიდი ხნით ციხეში ყოფნა. კომიტეტის აზრით, ასეთი მდგომარეობა აშკარად ეწინააღმდეგებოდა სამედიცინო მომსახურების ექვივალენტობას. კომიტეტმა მიუთითა ევროპული ციხის წესების 40.3 წესზე, რომლის თანახმადაც, პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ქვეყანაში არსებულ ჯანდაცვის სერვისებზე, მათი სამართლებრივი სტატუსის საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე.

კომიტეტის რეკომენდაციით, ხელისუფლებას უნდა გადაეხედა თავისი მიდგომებისთვის, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.[10]

აივ სკრინინგი და აივ დადებითი პატიმრები

უნგრეთი

კომიტეტმა 1994 წელს აღნიშნა, რომ უნგრეთში ყველა პატიმარი გადიოდა სავალდებულო აივ ტესტს.[11] შუალედურ რეპორტში, უნგრეთის ხელისუფლებამ კომიტეტს აცნობა, რომ აივ სკრინინგი ტარდებოდა პატიმრის თანხმობით. თუმცა 1999 წლის ვიზიტის დროს, დელეგაციას ეცნობა, რომ პა-

9 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში კვიპროსის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის კვიპროსში 2013 ნლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2014)31, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2014, პუნქტი 86.

10 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში გერმანიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის გერმანიაში 2015 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2017)13, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2017, პუნქტი 61.

11 CPT/Inf(96)5, პუნქტი 114.

ტიმრები, რომლებიც არ იყვნენ ასეთ სკრინინგზე თანახმა (აგრეთვე აივ დადებითი პატიმრები), დაუყოვნებლივ თავსდებოდნენ განცალკევებით. მოგვიანებით, ასეთი პატიმრები გადაჰყავდათ ერთი ციხის სპეციალურ განყოფილებაში.

აღნიშნულ განყოფილებაში ძალიან მაღალი სტანდარტის მატერიალური პირობები იყო. აქ იყო 16 ერთადგილიანი საკანი. ყველა საკანი ძალზე კარგად იყო აღჭურვილი (საშხაპეს ჩათვლით) და ჰქონდა კარგი ბუნებრივი განათება, ხელოვნური განათება და ვენტილაცია. პატიმრებს ჰქონდათ 150 მ² ფართობის სავარჯიშო ეზო.
ამის მიუხედავად, კომიტეტმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ განყოფილებაში მყოფი პატიმრები სრულად იყვნენ იზოლირებულნი ციხის დანარჩენი პოპულაციისგან. ამასთან, განყოფილების პერსონალი ძალზე დაშინებული იყო პატიმრების სამედიცინო მდგომარეობით. მათ ეძლეოდათ ხელფასზე დანამატი მავნე სამუშაოს შესრულებისთვის.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ აღწერილი სიტუაცია ასახავდა გადამეტებულ შიშს აივის მიმართ, რომელიც მეცნიერულად დაუდასტურებელ არგუმენტებს ემყარებოდა. ეს სიტუაცია აგრეთვე ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომ „ყველა გამოყენებული პროცედურის დროს, სპეციალური ყურადრება ეპყრობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული პატიმრების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა აივ ინფექციის ან აივ სკრინინგის საფუძველზე.“ ამ კონტექსტში, კომიტეტმა აღნიშნა, რომ სამედიცინო გამართლება არ აქვს პატიმრის განცალკევებას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ აივ დადებითია. საჭიროა ამ მიმართულებით მენეჯმენტისა და პერსონალის დონეზე საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება. კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა უნგრეთის ხელისუფლებას, აივ პოლიტიკა შესაბამისობაში მოეყვანა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი უნდა გადამზადდეს პრევენციული ღონისძიებების მიღების თაობაზე და იმ დამოკიდებულებაზე, რაც უნდა არსებობდეს აივ პოზიტიურობასთან დაკავშირებით და უნდა მიეცეთ შესაბამისი ინსტრუქციები დისკრიმინაციის აკრძალვასა და კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.[12]

ბოსნია და ჰერცეგოვინა

კომიტეტის დელეგაციამ აღნიშნა, რომ რამდენიმე პატიმარი, რომელსაც

12 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში უნგრეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის უნგრეთში 1999 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2001)2, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტები 121-122.

გადამდები დაავადება ჰქონდა, შესაბამის მკურნალობას იღებდა რესპუბლიკა სრპსკას მონახულებულ ციხეებში. თუმცა პენიტენციურმა ჯანდაცვამ უნდა უზრუნველყოს, რომ გადამდებ დაავადებათა შესახებ საგანმანათლებლო ინფორმაცია (განსაკუთრებით, ჰეპატიტის, შიდსის, ტუბერკულოზის და სხვა ინფექციების შესახებ) რეგულარულად მიეწოდება, როგორც პატიმრებს, ისე პერსონალს. არც ერთ მონახულებულ ციხეში პერსონალს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მიეწოდებოდა. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ პერონალი გამუდმებით წვრთნას უნდა გადიოდეს B და C ჰეპატიტთან და აივ პოზიტიურობის მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით და ეძლეოდეს შესაბამისი ინსტრუქციები დისკრიმინაციის აკრძალვასა და კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.

კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა უზრუნველყონ, რათა პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სამსახური ყველა დაწესებულებაში ახორციელებდეს გადამდებ დაავადებებზე ინფორმაციის გავრცელების პროგრამას და პერსონალისთვის აწყობს შესაბამის ტრენინგებს გადამდები დაავადებების საკითხთან დაკავშირებით.[13]

პორტუგალია

ციხეში ახლად მიყვანილი პატიმრები ინფექციურ დაავადებებზე, მათ შორის, აივზე რუტინულ სკრინინგს ექვემდებარებიან. თუმცა ბევრი პატიმარი, რომელსაც დელეგაცია შეხვდა, აცხადებს, რომ მათ თანხმობას არ სთხოვენ და არც კი მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ რა დაავადებების გამოვლენას ისახავს მიზნად ტესტები. საქმეებში არ იძებნება ხელმოწერილი თანხმობის ფორმები. ყველა პატიმარს არ ეცნობება ტესტების შედეგები უარყოფითი პასუხის შემთხვევაში.

<u>კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ პორტუგალიის ხელისუფლებამ შემოიღოს წერილობითი ინფორმირებული თანხმობის სისტემა გადამდები დაავადებების სკრინინგისთვის და რომ ყველა პატიმარი ინფორმირებული იყოს ასეთი ტესტირების შედეგზე.</u>

რაც შეეხება კონკრეტულად აივ ტესტირებას, კომიტეტი იხსენებს, რომ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ასეთი ტესტები შეთავაზებული უნდა იყოს შესაბამის ინფორმაციასთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფსიქო-სოციალური კონსულტაცია პოტენციურად ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგების, პატიმრების სტიგმატიზირებისა და დისკრიმინაციას დაქვემდებარების რისკების გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ტესტის პოზიტიური პასუ-

13 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ბოსნია და ჰერცეგოვინას მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის ბოსნია და ჰერცეგოვინაში 2011 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2012)15, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2012, პუნქტი 67.

ხის შემთხვევაში. კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ აივ ტესტირება აღნიშნულ სტანდარტებს შეესაბამებოდეს.[14]

ჯანდაცვის სისტემის გადაცემა იუსტიციის სამინისტროდან ჯანდაცვის რეგიონული ორგანოებისთვის

იტალია

გადაცემის პროცესთან დაკავშირებით, კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ იმისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი შესაძლო ეჭვი ფავორიტიზმისა თუ დისკრიმინაციის თაობაზე, იტალიის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რათა ჯანდაცვის, განსაკუთრებით, სამედიცინო კონსულტაციებისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობა გარანტირებული იყოს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით.[15]

შრომის ანაზღაურება

მალტა

დელეგაციას ეცნობა, რომ პატიმრობაში მყოფი პირები არ იღებდნენ მათ მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებას.

წამების პრევენციის კომიტეტი ვერ ხედავს მსგავსი განსხვავებული მოპყრობის ვერანაირ გამართლებას და უთითებს ევროპული ციხის წესების 96-ე წესზე, რომლის თანახმადაც, ბრალდებულებს, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს, შრომა უნდა აუნაზღაურდეთ სხვა პატიმრების მსგავსად. შესაბამისად, კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ ბრალდებულებს შრომა აუნაზღაურდეთ.[16]

კადრებთან დაკავშირებული საკითხები

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია

პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა აღსანიშნავია არა მარტო უშუალოდ პატიმრებზე ზედამხედველ თანამშრომლებთან, არამედ სხვა კა-

14 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში პორტუგალიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის პორტუგალიაში 2012 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2013)4, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, პუნქტები 69-70.

15 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში იტალიის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის იტალიაში 2010 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2013)30, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2013.

16 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში მალტას მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის მალტაში 1990 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(92)5, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 1992, პუნქტი 47.

ტეგორიის თანამშრომლებთან მიმართებითაც. მაგალითად, იდრიზოვოს ციხეში მხოლოდ 15 მასწავლებელი იყო, მათ შორის, უახლოეს პერიოდში სამხედრო აკადემიიდან აყვანილ ოთხ თანამშრომელს სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თითოეულ მასწავლებელს საშუალოდ 80-დან 120 პატიმართან უწევდა მუშაობა. მაშინ, როდესაც დელეგაციის ინფორმაციით, თითოეულ მუშაკს მაქსიმუმ 30 პატიმართან უნდა ემუშავა.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობა დიდ ყურადღებას აქცევდა ინდივიდების რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას, რაც მოითხოვდა თითოეული პატიმრის ყურადღებით შეფასებას და ზედამხედველობას კვალიფიცირებული პერსონალის მიერ, სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში, ურთიერთობების დამყარებაში დახმარებას და კანონმორჩილი ცხოვრების წეს-ჩვეულებების ხელახლა ჩამოყალიბებას. შესაბამისად, კომიტეტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში კვალიფიცირებული საგანმანათლებლო მუშაკების საკმარის რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

აღნიშნულ კონტექსტში, კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა ალბანური წარმოშობის განათლების მუშაკის არარსებობის გამო მაშინ, როდესაც ციხის პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ალბანურად საუბრობდა (მათ შორის, ბევრი სხვა ენაზე საერთოდ არ საუბრობდა). კომიტეტის შეფასებით, აღნიშნული მდგომარეობა მეტყველებდა არა მხოლოდ იმაზე, რომ პატიმრები არ იყვნენ საჭირო პროფესიული მხარდაჭერით უზრუნველყოფილნი, სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში, არამედ იმაზეც, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ გამოთქმული პრეტენზიები დასაბუთებული იყო.

<u>კომიტეტის რეკომენდაციით, უნდა გაიზარდოს მასწავლებლების რაოდენობა მონახულებულ ციხეში და ახლადდანიშნული მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა საუბრობდეს ალბანურ ენაზე.</u>[17]

ბულგარეთი

კომიტეტი განაცვიფრა პენიტენციური დაწესებულების პერსონალის კორუმპირებულობის თაობაზე არსებული განცხადებების დიდმა რაოდენობამ. დელეგაციას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ორივე მონახულებულ დაწესებულებაში კორუფცია ენდემური პრობლემა იყო. ერთ-ერთ ციხეში ეს ფენომენი სავარაუდოდ ხელმძღვანელობის დონემდე იყო ასული. გამოთქმული პრეტენზიების თანახმად, პატიმრებს უწევდათ ფულის გადახ-

17 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის 2006 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2008)5, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2008.

და ციხის პერსონალისთვის, მათ შორის, სამედიცინო პერსონალისთვის, რათა ესარგებლათ მათთვის კანონით გათვალისწინებული სერვისებით (მაგ., სამედიცინო მომსახურების, საავადმყოფოში გადაყვანის, ვადამდე განთავისუფლების სერვისები და მისთ.). მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დასაბუთებული იყო ეს პრეტენზიები, მათი სიხშირე, თანმიმდევრულობა და სიმძიმე მნიშვნელოვანი პრობლემის არსებობაზე მიუთითებდა. კომიტეტმა აღნიშნა, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილას მკვიდრად ფეხმოკიდებული კორუფცია ხელს უწყობდა დისკრიმინაციას, ძალადობას, დაუცველობას და, საბოლოოდ, ხელისუფლებისადმი პატივისცემის დაკარგვას. კომიტეტმა მოუწოდა ბულგარეთის ხელისუფლებას, გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯები კორუფციასთან საბრძოლველად ყველა ციხეში. დაწესებულებების პერსონალმა და პენიტენციური სისტემის საჯარო მოხელეებმა უნდა მიიღონ ცალსახა გზავნილი, რომ სარგებლის მოთხოვნა პატიმრებისგან და მათი ნათესავებისგან დაუშვებელია. ეს გზავნილი უნდა მეორდებოდეს შესაბამისი ფორმით, სათანადო ინტერვალებით.

ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, რომ ჩატარდეს სრული და დამოუკიდებელი მოკვლევა კორუფციის შესახებ საჩივრებთან დაკავშირებით.[18]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური ნარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.

მე-12 ოქმის პირველი მუხლი - დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა

1. კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია პირველ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით.

---

18 ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ბულგარეთის მთავრობისადმი ნამების პრევენციის კომიტეტის ბულგარეთში 2012 წლის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf(2012)32, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2012, პუნქტი 13.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

კონვენციის მე-14 მუხლი ავსებს კონვენციის და მისი ოქმების იმ დებულებებს, რომლებიც მატერიალურ უფლებებს ითვალისწინებს. იგი დამოუკიდებლად არ არსებობს და შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ კონვენციის და მისი ოქმების მატერიალურსამართლებრივი დებულებებით უზრუნველყოფილ „უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან" დაკავშირებით. მე-14 მუხლი დამოუკიდებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მისი გამოყენებისთვის არ არის აუცილებელი, რომ კონვენციის და ოქმების მატერიალურსამართლებრივი დებულებები დარღვეული იყოს. მაგრამ მე-14 მუხლი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებზედაც კონვენციის ან მისი ოქმების მატერიალურსამართლებრივი დებულებების მოქმედება არ ვრცელდება.

შესაბამისად, „აუცილებელი და საკმარისია, საქმის ფაქტობრივი გარემოებები კონვენციის ერთი ან მეტი მუხლის მოქმედების ფარგლებში ხვდებოდეს." ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ეს შემდეგნაირად განმარტა: „მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვა იმ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას სცილდება, რომელთა უზრუნველყოფაც თითოეულ სახელმწიფოს კონვენციითა და ოქმებით მოეთხოვება. აკრძალვა ასევე ვრცელდება იმ დამატებით უფლებებზე, რომლებიც კონვენციის ნებისმიერი მუხლის ზოგადი მოქმედების ფარგლებში ხვდება და რომელსაც სახელმწიფო თავისი ნებით უზრუნველყოფს."

ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის პირველი მუხლი დისკრიმინაციის საერთო აკრძალვას ითვალისწინებს, ანუ უზრუნველყოფს თანასწორ მოპყრობას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, აკრძალულია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაცია როგორც კონვენციის მე-14 მუხლით, ისე მე-12 ოქმის პირველი მუხლით.

პირდაპირი დისკრიმინაცია

პირდაპირი დისკრიმინაცია შემდეგი ელემენტებისგან შედგება: არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა განსხვავებული მოპყრობა, თუ ამ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება. უნ-

და დადგინდეს, რომ სხვა პირებს, რომლებიც ანალოგიურ ან არსებითად მსგავს მდგომარეობაში იმყოფებიან, უკეთესად ეპყრობიან და ეს განსხვავება დისკრიმინაციულია. განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება ნიშნავს იმას, რომ მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს უნდა ისახავდეს და უნდა არსებობდეს გონივრული თანაბარზომიერება ჩარევის ღონისძიებასა და დასახულ მიზანს შორის. განსხვავებული მოპყრობის საფუძველი ან მიზეზი უნდა იყოს პიროვნული მახასიათებელი (სტატუსი), რომლითაც პირები, პირთა ჯგუფები გამოირჩევიან.

კომპარატორი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-14 მუხლის მოქმედების გავრცელებისთვის, ადგილი უნდა ჰქონდეს განსხვავებულ მოპყრობას ანალოგიურ, ან არსებითად მსგავს მდომარეობაში მყოფი პირების მიმართ. ზოგჯერ სასამართლო იყენებს ფორმულირებას – „არსებითად მსგავსი მდგომარეობა," ან უბრალოდ, „მსგავსი მდგომარეობა." კომპარატორი არის ადამიანი განმცხადებლის ანალოგიურ მდგომარეობაში; ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება „დაცული საფუძველია"

სასამართლო აღნიშნავს, რომ „ანალოგიური მდგომარეობა" არ გულისხმობს, რომ შესადარებელი ჯგუფები იდენტური უნდა იყოს. ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მდგომარეობა სრულად ანალოგიური არ არის სხვა პირებთან მიმართებაში და ადგილი აქვს სხვადასხვა ჯგუფების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, ხელს არ უშლის ამ შემთხვევაზე მე-14 მუხლის გავრცელებას. განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ ის არსებითად მსგავს მდგომარეობაში არის იმ პირებთან შედარებით, რომლებიც სხვანაირ მოპყრობას ექვემდებარებიან.

ობიექტური და გონივრული გამართლება

განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება ნიშნავს იმას, რომ მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს უნდა ისახავდეს და უნდა არსებობდეს გონივრული თანაბარზომიერება ჩარევის ღონისძიებასა და დასახულ მიზანს შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს სახელმწიფოთა დისკრეციას, შეაფასოს, გამართლებულია თუ არა განსხვავებული მოპყრობა და რა ხარისხით. სახელმწიფოს დისკრეციის ეს ფარგლები განსხვავდება გარემოებების, განსახილველი საკითხის და წინმსწრები მოვლენების შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ განსხვავებული მოპყრობა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, ისევე

როგორც განსხვავებული მოპყრობა სქესის ნიშნით, საჭიროებს განსაკუთრებულად სერიოზულ მიზეზებს ასეთი მოპყრობის გასამართლებლად. ასევე ძალზე ნონადი მიზეზი უნდა არსებობდეს, მხოლოდ ეროვნება დაფუძნებული მოპყრობის გასამართლებლად.

უმეტესწილად, მიხედულების ფარგლები ფართოა ეკონომიკური ან სოციალური სტრატეგიის ზოგადი ღონისძიებების შემთხვევაში, ვინაიდან სახელმწიფო უკეთ იცნობს თავის საზოგადოებას და მის საჭიროებებს. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლება, ძირითადად, საერთაშორისო მოსამართლეზე უკეთ აფასებს საჯარო ინტერესს სოციალურ ან ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. ამიტომ, ევროპული სასამართლო, ზოგადად, პატივს სცემს კანონმდებლის პოლიტიკურ არჩევანს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი „აშკარად ყოველგვარ გონივრულ საფუძველსაა მოკლებული".

არაპირდაპირი დისკრიმინაცია

ადმიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაპირდაპირ დისკრიმინაციასთან მიმართებით ადგენს, რომ „შესაძლოა, განსხვავებული მოპყრობა იმ ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების მავნე შედეგის სახით არსებობდეს, რომელიც მართალია, ნეიტრალურადაა წარმოჩენილი, მაგრამ დისკრიმინაციულია და ერთ გარკვეულ ჯგუფზე მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებზე."

არაპირდაპირი დისკრიმინაციის ელემენტებია: ნეიტრალური წესი, კრიტერიუმი ან პრაქტიკა; მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა დაცულ ჯგუფზე.

დისკრიმინაციული განზრახვა და მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთის არსებობა და მისი სწორად განაწილება უმნიშვნელოვანესია სამართლიანი სასამართლო განხილვისთვის. ერთი მხრივ, მოსარჩელეს უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება, მტკიცებულებებით გაამყაროს თავისი პრეტენზია და საკმარისი არ იყოს მხოლოდ ბრალდებების წამოყენება, მეორე მხრივ, მოსარჩელეს მხრებზე გაუმართლებელი ტვირთი არ უნდა დააწვეს ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე, სადაც მტკიცება ობიექტურად დიდ სირთულეს შეადგენს. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის[19] ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია no. 7 სახელმწიფოებისგან მოითხოვს, აკრძალონ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაცია დისკრიმინაციული განზრახვის მტკიცების დავალდებულების გარეშე:

19 ECRI – დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი, რომელიც მონიტორინგს უწევს რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის, შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის პრობლემებს „რასის", ეროვნული/ეთნიკური წარმოშობის, კანის ფერის, მოქალაქეობის, რელიგიისა და ენის საფუძველზე (რასობრივი დისკრიმინაცია), www.coe.int/ecri.

„კანონი უნდა ითვალისწინებდეს, რომ თუ პირები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დისკრიმინაციულმა აქტმა მათი უფლება დაარღვია, სასამართლოში ან სხვა უფლებამოსილ ორგანოში დაადასტურებენ ფაქტებს, რომლებიდანაც გამომდინარე, შეიძლება ივარაუდებოდეს, რომ ადგილი ჰქონდა პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია."[20]

რელევანტური საქმეები

პირობით გადამდე განთავისუფლებაზე უფლების წარმოშობის განსხვავებული წინა პირობა ტერორიზმისთვის მსჯავრდებული პირისთვის: არდარღვევა

ფაქტები:[21] განმცხადებელი მსჯავრდებულია ტერორიზმის პრევენციის შესახებ კანონის საფუძველზე. შესაბამისად, მას არ აქვს უფლება პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე, სანამ არ მოიხდის სასჯელის ვადის არანაკლებ სამ მესამედს, განსხვავებით სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე მსჯავრდებული პირებისგან, რომლებსაც პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება აქვთ სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ. მსჯავრდებულმა იჩივლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იმის თაობაზე, რომ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციული იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: თავდაპირველად, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-5 მუხლი არ ითვალისწინებს პირობით ვადამდე ავტომატური განთავისუფლების უფლებას, თუმცა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში შეიძლება მე-5 მუხლის სავარაუდო დარღვევის განხილვა, თუ ეროვნულ დონეზე არსებული შესაბამისი პოლიტიკა სავარაუდოდ დისკრიმინაციულია.

ამის შემდეგ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერორიზმის პრევენციის შესახებ კანონი მიზნად ისახავდა ტერორიზმის დანაშაულის დასჯას და ამ კანონის შესაბამისად მსჯავრდებული პირების მიმართ მოპყრობა ნაკლებად ხელსაყრელი იქნებოდა პირობით ვადამდე განთავისუფლების კონტექსტში, ვიდრე ჩვეულებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე მსჯავრდებული პირების მიმართ მოპყრობა. შესაბამისად,

20 ECRI, ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია no. 7 ეროვნული კანონმდებლობის მიერ რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 2002, ჯუნქტი 11.

21 გერგერი თურქეთის წინააღმდეგ *(Gerger v. Turkey)*, განაცხადი no. 24919/94 , ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონმდებლის მიერ განსხვავება მიემართებოდა არა პირთა სხვადასხვა ჯგუფს, არამედ სხვადასხვა სახის დანაშაულს, მათი სიმძიმის მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საფუძველი დასკვნისთვის, რომ არსებული პრაქტიკა დისკრიმინაციული იყო. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

განსხვავება მოთხოვნებში პირობით ვადამდე გასანთავისუფლებლად: დარღვევა

ფაქტები:[22] განმცხადებელი მსჯავრდებულია 18 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით. 2002 წლის მარტში მას წარმოეშვა უფლება პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე. ძალაში არსებული კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულებს, რომლებსაც დაეკისრათ თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, ან მეტი ვადით, პირობით ვადამდე განთავისუფლების საბჭოს დადებითი რეკომენდაციის გარდა, სჭირდებათ სახელმწიფო მდივნის თანხმობა. მსჯავრდებულები, რომლებსაც მისჯილი აქვთ 15 წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლებააღკვეთილები, მსგავს თანხმობას, კანონმდებლობის თანახმად, არ საჭიროებენ და მათთვის დადებითი რეკომენდაციაც საკმარისია. სახელმწიფო მდივანმა არ მიიღო საბჭოს რეკომენდაცია იმ საფუძველზე, რომ მსჯავრდებულის განთავისუფლება საზოგადოებისთვის საშიში იყო. მსჯავრდებულმა განსხვავებული მოპყრობის შესახებ იდავა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება:

„სხვა სტატუსი“

ევროპულმა სასამართლომ თავდაპირველად განიხილა, რამდენად ჰქონდა განმცხადებელს „სხვა სტატუსი“, რაც მას მე-14 მუხლის დაცვის ქვეშ აქცევდა. ეს სიტყვები სასამართლოს პრაქტიკაში განვრცობითად განიმარტება და არ შემოიფარგლება იმ მახასიათებლებით, რომლებიც ადამიანის იდენტობას ან პიროვნებასთან ორგანულად და განუყოფლად არის დაკავშირებული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ გერგერის საქმეში, მსჯავრდებულს პირობით ვადამდე განთავისუფლების კონტექსტში „სხვა სტატუსი“ არ ჰქონია, რადგანაც განსხვავება მიმართული იყო არა პირთა სხვადასხვა ჯგუფის, არამედ სხვადასხვა სახის დანაშაულ-

22 კლიფტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Clift v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 7205/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება.

ებზე. მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებული ამტკიცებდა, რომ განსხვავებული მოპყრობა ემყარებოდა არა დანაშაულის სიმძიმეს, არამედ მის სტატუსს, როგორც პატიმრისა, რომელსაც 15 წელზე მეტი ვადით ჰქონდა თავისუფლება მისჯილი. მართალია, განაჩენს აქვს გარკვეული კავშირი დანაშაულის სიმძიმესთან, ამ შემთხვევაში, სხვა ფაქტორებიც შეიძლებოდა ყოფილიყო რელევანტური, მაგალითად, განაჩენის გამომტანი მოსამართლის მიერ იმ საფრთხეების შეფასება, რომლებსაც პატიმარი საზოგადოებას უქმნიდა. როდესაც პირობით ვადამდე განთავისუფლების პროგრამა მსჯავრდებულებზე განსხვავებულად ვრცელდება მათი სასჯელის ზომის მიხედვით, არსებობს რისკი, რომ თუ არ არსებობს ობიექტური გამართლება, მსგავსი განსხვავებული მოპყრობა თვითნებობას უშვებდეს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს ჰქონდა „სხვა სტატუსი" კონვენციის მე-14 მუხლის მიზნებისთვის.

ანალოგიურ მდგომარეობაში ყოფნა

ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა იყო, თუ არა მსჯავრდებული სხვა მსჯავრდებულებთან ანალოგიურ მდგომარეობაში, რომლებიც უფრო ხელსაყრელი პირობებით სარგებლობდნენ. გადაწყვეტილება, რომ მსჯავრდებული პირობით ვადამდე არ განთავისუფლებულიყო მიზნად არ ისახავდა პირის შემდგომ დასჯას, არამედ ასახავდა შეფასებას, რომლის თანახმადაც, პატიმარი განთავისუფლების შემთხვევაში საზოგადოებისთვის საშიში იქნებოდა. შეფასების მეთოდები ყველა კატეგორიის პატიმრისთვის ერთნაირი იყო და რაიმე განსხვავება არ შეიძლებოდა ამ მხრივ ყოფილიყო 15 წელზე ნაკლებ ვადამისჯილ, 15 და 15 წელზე მეტ ვადამისჯილ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებს შორის. შესაბამისად, განმცხადებელი ანალოგიურ მდომარეობაში იყო 15 წელზე ნაკლებ ვადამისჯილ და უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან შედარებით.

ობიექტური და გონივრული გამართლება

პატიმრების ჯგუფების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას ექნებოდა ობიექტური და გონივრული გამართლება, თუ ის მიზნად ისახავდა საზოგადოების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს იმ პირობით, თუ ნაჩვენები იქნებოდა, რომ პატიმართა ის ჯგუფი, რომელსაც პირობით ვადამდე ადრე განთავისუფლების შედარებით მკაცრი პირობები ეხებოდა, განთავისუფლებისას უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენდა საზოგადოებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისთვის, სისტემა, რომელმაც მათ დაუწესა შედარებით ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები განთავისუფლებისთვის, ვიდრე იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც განსაზღვრული სასჯელი ჰქონდათ დაკისრებული 15 ან მეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით, ობიექტურ გამართლებას მოკლებული იყო.

რაც შეეხება განსხვავებულ მოპყრობას იმ პირებს შორის, რომლებიც მსჯავრდებულები იყვნენ 15 წელზე ნაკლები ვადით და 15 და 15 წელზე მეტი ვადით, იგი გამართლებული იქნებოდა, თუ მიაღწევდა დასახულ ლეგიტიმურ მიზანს. მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაუსაბუთა ევროპულ სასამართლოს, სახელმწიფო მდივნის თანხმობა რა მიმართებაში იყო გარკვეული პატიმრებისგან მომდინარე საფრთხეებთან. შესაბამისად, პირობით ვადამდე განთავისუფლების სისტემა, რომელსაც მსჯავრდებული დაექვემდებარა, ობიექტურ გამართლებას მოკლებული იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გაერთიანებულ სამეფოს მოუნია მსჯავრდებულისთვის გადაეხადა კომპენსაცია 10 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

ბრალდებულ და მსჯავრდებულ პატიმართა მიმართ განსხვავებული მოპყრობა: დარღვევა

ფაქტები:[23] განმცხადებელი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა დაახლოებით 5 წლის განმავლობაში. ის ჩიოდა, რომ სადავო პერიოდში წინასწარ პატიმრობაში მყოფ პატიმრებს არ ჰქონდათ პაემანის და ტელევიზორზე ხელმისაწვდომობის იგივე უფლებები, რაც მსჯავრდებულ პატიმრებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში: ციხის აკრძალვა ოჯახთან შეხვედრაზე და ტელევიზორის ყურებაზე ექცევა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირადი და ოჯახური ცხოვრების სფეროში. წინასწარი პატიმრობა მე-14 მუხლით გათვალისწინებულ „სხვა სტატუსში" ექცევა, მიუხედავად იმისა, რომ არის არანებაყოფლობითი და, როგორც წესი, დროებითი, ის არის ადამიანის პირად გარემოებებთან და არსებობასთან განუყოფლად დაკავშირებული სამართლებრივი მდგომარეობა. განმცხადებელი მსჯავრდებულების შესადარებელი ჯგუფის მსგავს მდგომარეობაში იყო, რადგანაც მისი პრეტენზიები ეხებოდა პაემანის უფლებებს და ტელევიზორის ხელმისაწვდომობას, რაც ყველა პატიმართან მიმართებით რელევანტური საკითხია.

პატიმრობაში მყოფ პირებს თვეში ერთი ნახევარსაათიანი პაემნის უფლება ჰქონდათ მაშინ, როცა მსჯავრდებულებს შეეძლოთ ორსაათიანი შეხვედრა ჰქონოდათ. მსჯავრდებულებისთვის პაემანის სიხშირე და კონ-

23 ლადუნა სლოვაკეთის ნინააღმდეგ *(Laduna v. Slovakia)*, განაცხადი no. 31827/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ტაქტის ფორმა დამოკიდებული იყო ციხის იმ რეჟიმზე, რომელშიც იმყოფებოდნენ; ხოლო წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის ერთი რეჟიმი არსებობდა, მიუხედავად მათი პატიმრობის საფუძვლებისა და უსაფრთხოების საჭიროებისა.

სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განსხვავებულ მოპყრობას რაიმე ობიექტური და გონივრული გამართლება ჰქონდა. წესრიგის დაცვის აუცილებლობა, სხვათა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნები ვერ ამართლებდა პატიმრობაში მყოფ პატიმართა უფლებებზე მსჯავრდებულებისთვის მეტი შეზღუდვის დაწესება. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრების პაემანის უფლებებზე შეიძლებოდა შეზღუდვის დაწესების გამართლება უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, გამოძიების ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, იმავდროულად ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყო სხვა საშუალებებით, რომლებიც გავლენას არ იქონიებდა ყველა პატიმარზე, მიუხედავად ფაქტობრივი საჭიროებისა. კონკრეტული შეზღუდვების დაწესება შეიძლებოდა თითოეულ შემთხვევაში, აუცილებლობიდან გამომდინარე. 2006 წლის ევროპული ციხის წესების თანახმად, თუკი არ არსებობდ საპირისპირო საფუძველი, ბრალდებულებს უნდა ჰქონდეთ პაემნის შესაძლებლობა საკუთარ ოჯახთან და სხვა პირებთან ურთიერთობის შესაძლებლობა ისევე, როგორც მსჯავრდებულ პატიმრებს. ამ მსჯელობის გათვალისწინებით, განმცხადებლის მიმართ დაწესებული შეზღუდვები არაპროპორციული იყო.

რაც შეეხება ტელევიზორის ხელმისაწვდომობის აკრძალვას, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა პატიმრობაში მყოფი პირების მსჯავრდებული პირებისგან განსხვავებით მოპყრობის რაიმე ობიექტური დასაბუთება, ამ უკანასკნელთათვის ტელევიზორი განიხილებოდა კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობის ნაწილად.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სლოვაკეთს მოუწია მსჯავრდებულისთვის გადაეხადა კომპენსაცია – 9 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

განსხვავებული მოპყრობა უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას: არდარღვევა

ფაქტები:[24] რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის. თუმცა ეს სასჯელი არ შეიძლება და-

24 ხამტოხუ და აკსენჩიკი რუსეთის წინააღმდეგ *(Khamtokhu and Aksenchik v. Russia)*, განაცხადები nos. 60367/08 და 961/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება.

ენიშნოს ქალებს, პირებს, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროისთვის არ შესრულებიათ 18 წელი, პირებს, ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 65 წელი. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილ განაცხადებში, ორივე განმცხადებელი, რომელიც იყო ზრდასრული მამაკაცი და უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი, ჩიოდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევაზე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მართალია, კონვენციის მე-5 მუხლი არ კრძალავს უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას, როდესაც ეს სასჯელი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, მე-14 მუხლში მოცემული დისკრიმინაციის აკრძალვა სცილდება კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას და აგრეთვე ვრცელდება იმ დამატებით უფლებებზე, რომლებიც კონვენციის მუხლის ზოგადი მოქმედების ფარგლებში ხვდება. შესაბამისად, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ზოგიერთი კატეგორიის მსჯავრდებულს არ უნიშნავს უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელს, ეს ხვდება კონვენციის მე-5.1 მუხლის მოქმედების ფარგლებში მე-14 მუხლის მოქმედების გავრცელების მიზნებისთვის. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს მსჯავრდების პოლიტიკას, რომელიც განსხვავებულ მოპყრობას ითვალისწინებს სქესისა და ასაკის მიხედვით. ორივე ნიშანი კონვენციის მე-14 მუხლით აკრძალული საფუძველია.

მსჯავრდების პოლიტიკა, რომელიც ანთავისუფლებს ქალებს, არასრულწლოვნებსა და 65 წლის და მეტი ასაკის პირებს უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისგან, შეადგენს სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი იყო ის, რომ აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა მიზნად ისახავდა სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპების დამკვიდრებას სხვადასხვა დამნაშავის „ფსიქოლოგიური მახასიათებლებისა“ და ასაკის გათვალისწინებით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული ლეგიტიმურ მიზნად მიიღო.

რაც შეეხება თანაბარზომიერებას, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი უვადო თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ითვალისწინებდა და შეიძლებოდა პირს დაკისრებოდა მას შემდეგ, რაც ეროვნული სასამართლო მხედველობაში მიიღებდა ყველა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებას და დარწმუნდებოდა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა ერთადერთი შესაბამისი სასჯელი იყო. ეს არ იყო სავალდებულო ან ავტომატური სასჯელი რომელიმე დანაშაულისთვის. მისი დანიშვნა წყდებოდა საქმის კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე და ეროვნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის ინდივიდუალური შეფარდების შედეგად. შესაბამისად, სასჯე-

ლის ზოგადი და კერძო პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე, უვადო თავისუფლების აღკვეთა თვითნებური თუ არაგონივრული არ ჩანდა. ამასთან, იმის პირობით, თუ ისინი დაემორჩილებოდნენ ციხის რეჟიმს, ორივე მსჯავრდებულს ექნებოდა განთავისუფლების უფლება 25 წლის შემდეგ.[25]

განსხვავებული მოპყრობა ასაკის გამო

არასრულწლოვანი დამნაშავეების განთავისუფლება უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელისგან შეესაბამებოდა თითქმის ყველა ხელშემკვრელი მხარის სამართლის სისტემის მიერ არჩეულ მიდგომას და აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნულის მიზანი არის არასრულწლოვანი დამნაშავეების რეაბილიტაციის გაადვილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ როცა ახალგაზრდა დამნაშავეები პასუხს აგებენ თავიანთი ქმედებისთვის, ეს უკანასკნელი რაც არ უნდა მძიმე იყოს, გათვალისწინებული უნდა იქნეს დამნაშავეების როგორც ფსიქიკური, ისე ემოციური უმწიფრობა, მათი პიროვნების დრეკადობა და რეაბილიტაციის და რეფორმირების შესაძლებლობა.

რაც შეეხება განსხვავებულ მოპყრობას 64 წლის და მეტი ასაკის დამნაშავეებთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა მიზეზი, თუ რატომ უნდა გამოერიცხა აღნიშნული მოპყრობის ლეგიტიმური და გონივრული გამართლება. ეროვნული კანონმდებლობის მიზანი, პრინციპში, შეესაბამებოდა იმ ინტერესებს, რაც 65 წელზე ახალგაზრდა მამაკაცების მიერ 25 წლის ვადის მოხდის შემდეგ პირობით განთავისუფლების უფლების მოპოვებას ედო საფუძვლად. ხანდაზმული დამნაშავეებისთვის აღნიშნული კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, რათა პირობით გათავისუფლება ილუზორული არ ყოფილიყო.

სქესის საფუძველზე განსხვავებულ მოპყრობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მხედველობაში მიიღო სხვადასხვა ევროპული და საერთაშორისო აქტი, რომელიც ეხებოდა ციხის გარემოში გენდერზე დამყარებული ძალადობისგან, ზოგადად, ძალადობისა და სექსუალური დევნისგან ქალების დაცვის საჭიროებას, აგრთვე ორსულობისა და დედობის დაცვის საჭიროებას. სახელმწიფომ წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემები ქალი და მამაკაცი პატიმრების სრული რაოდენობის შესახებ და მიუთითა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირების შედარებით მცირე რაოდენ-

25 წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება წამოიჭრას პრობლემა კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით. იხ. ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Vinter and Others v. the United Kingdom)*, განაცხადები nos. 66069/09 et al, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება; მარე ნიდერლანდების წინააღმდეგ *(Murray v. the Netherlands)*, განაცხადი no. 10511/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება.

ობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მას თავისი შეფასებებით არ უნდა ჩაენაცვლებინა ხელისუფლების მიერ არსებული მონაცემების თუ სასჯელის მიზნების შეფასებები. საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოს საკმარისი საფუძველი ჰქონდა, დაესკვნა, რომ ქალი დამნაშავეების უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელიდან განთავისუფლების საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა სახელმწიფოსთვის აღნიშნულ სფეროში მინიჭებული მიხედულების ფართო ფარგლები.

ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთი განთავისუფლება პენიტენციურ სფეროში სოციალურ პროგრესს ასახავდა.

დაბოლოს, მართლია, ცალსახად შესაძლებელი იყო, რომ სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფოს უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელისგან გაეთავისუფლებინა ყველა კატეგორიის პატიმარი, მაგრამ აღნიშნული სახელმწიფოს კონვენციით არ მოეთხოვებოდა.

უფრო მეტიც, საზოგადოების ინტერესების და იმის მხედველობაში მიღებით, თუ პრაქტიკაში როგორ ხორციელდება უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი რუსეთის ფედერაციაში როგორც მისი დანიშვნის, ისე შემდგომი გადასინჯვის თვალსაზრისით, აგრეთვე ხელისუფლების ფართო მიხედულების ფარგლების გათვალისწინებით, სასამართლო დარწმუნდა, რომ არსებობდა გონივრული თანაბარზომიერება გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ ლეგიტიმურ მიზანს შორის.

უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისთვის კანონმდებლობით დაწესებული გასარჩევრებული გამონაკლისები არ იყო დისკრიმინაციული. ამ დასკვნის გაკეთებისას ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო კონვენციის ჰარმონიული და მის ზოგად სულისკვეთებასთან შესაბამისად განმარტების საჭიროება.

სასამართლომ დაადგინა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას ადგილი არ ჰქონია ასაკისა და სქესის მიხედვით დისკრიმინაციულ მოპყრობას.

გაერთიანებული ერები 385
წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის ქმედითი გამოძიების და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, სტამბულის პროტოკოლი 385
ევროპის საბჭო 389
წამების პრევენციის კომიტეტი 389
დაუსჯელობის აღკვეთა 389
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 398
სიცოცხლის უფლება 398
წამების აკრძალვა 398
დისკრიმინაციის აკრძალვა 398
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 398
ზოგადი პრინციპები 398
სიცოცხლის უფლება 398
გარდაცვალება თავისუფლების აღკვეთის ადგილას 399
წამების აკრძალვა 400
წამების აკრძალვა თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში 401
ქმედითი გამოძიების სტანდარტები სიცოცხლის უფლებისა და წამების აკრძალვის კონტექსტში 402
ძალადობრივი ქცევის დისკრიმინაციული მოტივის ქმედითი გამოძიება 405
შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამონურვა 408
შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამონურვა არასათანადო მოპყრობის კონტექსტში 408
რელევანტური საქმეები 409
i. პატიმრის პრეტენზია, რომ სხვა პატიმრების მიერ მისი ცემა ქმედითად არ ყოფილა გამოძიებული: განაცხადი დაუშვებელია 409
სხვა პატიმრების მიერ ნაცემი პატიმრის გარდაცვალების გამოძიება, რომელმაც არ დაასახელა თავდამსხმელები და მოწმეებმა უარი თქვეს ჩვენების სასამართლოში მიცემაზე: დარღვევა 410
iii. სხვა პატიმრების მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიება: დარღვევა 413
iv. გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო სხვა პატიმრების მხრიდან პატიმარზე ძალადობა ქმედითად არ ყოფილა გამოძიებული, ექიმმა არ აღრიცხა დაზიანებები, ადმინისტრაციამ არ შეატყობინა უფლებამოსილ უწყებებს: დარღვევა 415
v. სავარაუდოდ ხელისუფლების ნაქეზებით, სხვა პატიმრების მიერ არასათანადო მოპყრობის გამოძიება: დარღვევა 416
vi. vi. საკანში ხანძრის გაჩენის შედეგად პატიმრის გარდაცვალების გამოძიება: დარღვევა 417
vii. სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრის თვითმკვლელობის გამოძიება: დარღვევა 419
viii. ფსიქიკურად დაავადებული პატიმრის გარდაცვალების გამოძიება: დარღვევა 420

მოშიმშილე პატიმრის გარდაცვალების გამოძიება: არდარღვევა 421
მშვიდობიანი მოშიმშილე პატიმრების წინააღმდეგ
ძალის გამოყენების გამოძიება: დარღვევა 423
xi. პატიმრის მიმართ ძალის გამოყენების გამოძიება, რომელიც
უარს ამბობს შემოწმებაზე: არდარღვევა 424
xii. საავარაუდოდ ეთნიკური ნარმოშობის საფუძველზე
განხორციელებული არასათანადო მოპყრობის
გამოძიება: დარღვევა 427

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის ქმედითი გამოძიების და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, სტამბულის პროტოკოლი[1]

დანართი I.

1. წამებებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის ქმედითი გამოძიების და დოკუმენტირების მიზნები (შემდეგში „წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა“) მოიცავს შემდეგს:

ა) ფაქტების გარკვევასა და დაზარალებულებისა და მათი ოჯახების მიმართ ინდივიდუალური და სახელმწიფო პასუხისმგებლობის დადგენასა და აღიარებას;

ბ) რეციდივების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების განსაზღვრას;

გ) სისხლის სამართლებრივი დევნის მხარდაჭერას ან, შესაბამის შემთხვევებში, იმ პირების დისციპლინურ დასჯას, რომელთა ბრალეულობა დადგენილია გამოძიების შედეგად და მთავრობის მხრიდან სრული ანაზღაურების და უფლებრივ მდგომარეობაში აღდგენის საჭიროების ჩვენებას, მათ შორის სამართლიან და ადეკვატურ ფინანსურ კომპენსაციას და სახსრების გამოყოფას მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს წამებისა თუ სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრების და სხვა შეტყობინებების ოპერატიულ და ქმედით გამოძიებას. პირდაპირი საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი ტარდება გამოძიება, თუ სხვა რამე მიუთითებს შესაძლო წამებასა თუ სხვა არასათანადო მოპყრობაზე. პირები, რომლებიც ატარებენ გამოძიებას, უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი სავარაუდო დამნაშავისაგან და იმ დაწესებულებისაგან, სადაც ისინი მუშაობენ; უნდა იყვნენ კომპეტენტურნი და მიუკერძოებელნი. მათ ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მიუკერძოებელ სამედიცინო და სხვა ექსპერტებზე, ან უნდა ჰქონდეთ უფლება, მოიწვიონ ისინი. მეთოდები, რომლებიც გამოყენებულია ასეთი გამოძიების ჩასატარებლად, უნდა აკმაყოფილებდეს ყველაზე მაღალ პროფესიულ სტანდარტებს, ხოლო დასკვნები უნდა გასაჯაროვდეს.

---

1 ადამიანთა უფლებების კომისიამ თავის რეზოლუციაში 2000/43 და გენერალურმა ასამბლეამ თავის რეზოლუციაში 55/89 მიაქციეს სახელმწიფოების ყურადღება მოცემულ პრინციპებზე და დაჟინებით გაუწიეს რეკომენდაცია სახელმწიფოებს, რომ განეხილათ ეს პრინციპები, როგორც წამების წინააღმდეგ ბრძოლის სამუალება.

3. ა) საგამოძიებო ორგანოს აქვს უფლება და მოვალეობა, გამოითხოვოს გამოძიების ჩასატარებლად ყველა აუცილებელი ინფორმაცია.[2] პირებს, რომლებიც ატარებენ გამოძიებას, თავიანთ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ ყველა აუცილებელი საბიუჯეტო და ტექნიკური საშუალებები ქმედითი გამოძიების ჩასატარებლად. მათ, აგრეთვე, აქვთ უფლება, დაავალდებულონ პირები, რომლებიც ასრულებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას და სავარაუდოდ გარეულნი არიან ნამებაში თუ სხვა არასათანადო მოპყრობაში, გამოცხადდნენ ჩვენების მისაცემად. ეს ეხება ნებისმიერ მოწმეს. ამ მიზნით, საგამოძიებო ორგანო უფლებამოსილია, გასცეს უწყება მოწმეების გამოსაძახებლად, მათ შორის, ოფიციალური პირების ჩათვლით, რომლებიც სავარაუდოდ არიან დაკავშირებულნი ასეთ ქმედებებთან და მოითხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა.

ბ) ნამებისა თუ სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგად სავარაუდოდ დაზარალებულნი, მოწმეები და პირები, რომლებიც ატარებენ გამოძიებას და მათი ოჯახები დაცულნი უნდა იყვნენ ძალადობისაგან, ძალადობის მუქარისგან თუ დაშინების ყველა სხვა ფორმისაგან, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს გამოძიების შედეგად. პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ დაკავშირებულნი ნამებასთან თუ სხვა არასათანადო მოპყრობასთან, უნდა ჩამოშორდნენ ყოველგვარი კონტროლისა თუ ძალაუფლების პოზიციას, რაც კი შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ თუ ირიბად განმცხადებლებზე, მოწმეებსა თუ მათ ოჯახებზე, აგრეთვე, პირებზე, რომლებიც ატარებენ გამოძიებას.

4. ნამების თუ სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგად სავარაუდო დაზარალებულებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს უნდა ეცნობოთ და ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ყველა სხდომასა თუ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება გამოძიებას და უფლება უნდა ჰქონდეთ, რომ წარმოადგინონ სხვა მტკიცებულებანი.

5. ა) იმ შემთხვევაში, როცა არსებული სამართალწარმოება არასათანადოა არასაკმარისი კომპეტენციის თუ სავარაუდო მიუკერძოებლობის, ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების აშკარად გამოკვეთილი სისტემისა თუ სხვა არსებითი მიზეზის გამო, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გამოძიების ჩატარება დამოუკიდებელი კომისიის მეშვეობით ან მსგავსი სამართალწარმოების ფარგლებში. ასეთი კომისიის წევრებად ირჩევენ იმ პირებს, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთი მიუკერძოებლობით, კომპეტენტურობით და დამოუკიდებლობით. კერძოდ, ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი ყველა სავარაუდო დამნაშავისგან და ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან, სადაც კი ისინი შეიძლება მუშაობდნენ.

2 ზოგიერთ შემთხვევაში, პროფესიული ეთიკა შეიძლება მოითხოვდეს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას. ეს მოთხოვნა დაცული უნდა იყოს.

კომისიას უნდა ჰქონდეს უფლება, გამოითხოვოს გამოძიებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია და წარმართოს გამოძიება წარმოდგენილი პრინციპების შესაბამისად.

ბ) გონივრულ ვადაში შედგენილი წერილობითი ანგარიში უნდა უთითებდეს გამოძიების, პროცედურებისა და მეთოდების ფარგლებს, რომლებიც გამოიყენება მტკიცებულებების შესაფასებლად, აგრეთვე ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამის კანონმდებლობაზე დამყარებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს. დასრულების შემდგომ, ანგარიში უნდა გასაჯაროვდეს. ამასთან, მასში დაწვრილებითი უნდა აისახოს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც დადგინდა და ის მტკიცებულებები, რომლებზეც დაფუძნებულია ეს დასკვნები, აგრეთვე მოწმეთა სახელობითი სია, რომლებმაც მისცეს ჩვენება, იმათ გარდა, რომელთაც დაცვის მიზნით, შეუნარჩუნდათ ანონიმურობა. ხელისუფლება, გონივრულ ვადაში, პასუხობს გამოძიების ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში, მიუთითებს შესაბამის ზომებზე, რომლებიც საპასუხოდ უნდა გატარდეს.

6. ა) სამედიცინო ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ წამებებისა თუ სხვა არასათანადო მოპყრობის გამოძიებაში, ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ უმაღლესი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად და მათ შორის, ექსპერტიზის ჩატარებამდე ყოველთვის უნდა მოიპოვებდნენ ინფორმირებულ თანხმობას. ექსპერტიზა უნდა შეესაბამებოდეს სამედიცინო პრაქტიკის დადგენილ სტანდარტებს. ექსპერტიზა ტარდება კერძო გარემოში, სამედიცინო ექსპერტის კონტროლის ქვეშ და უსაფრთხოების თანამშრომლებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეების დაუსწრებლად.

სამედიცინო ექსპერტი ოპერატიულად ადგენს ზუსტ წერილობით ანგარიშს, რომელიც, სულ მცირე, შემდეგ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს:

(i) გამოკითხვის გარემოებები: გამოსაკვლევი პირის სახელი და იმ პირის სახელი, რომელიც ესწრება ექსპერტიზას იმ უწყების მითითებით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ; ზუსტი დრო და თარიღი; ადგილი, დაწესებულების სპეციფიკა და მისამართი (თუ შესაძლებელია, ოთახის ნომერი), სადაც ტარდება ექსპერტიზა (მაგალითად, დაკავების ცენტრი, კლინიკა თუ სახლი); გამოსაკვლევი პირის გარემოებები (მაგალითად, უნდა აღინიშნოს ექსპერტიზამდე თუ მის განმავლობაში გამოყენებული სპეციალური საშუალების სახეობა; უსაფრთხოების თანამშრომლების დასწრება, იმ პირთა ქცევები, რომლებიც ახლავენ პატიმარს, ექსპერტის მისამართით გამოთქმული მუქარა); ყველა სხვა მნიშვნელოვანი ასპექტი;

(ii) ისტორია: გამოსაკვლევი პირის მიერ გასაუბრებისას მოყოლილი ვერსიის დაწვრილებითი ანგარიში, მათ შორის, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისას სავარაუდოდ გამოყენებული მე-

თოდები, სავარაუდო წამების თუ სხვა არასათანადო მოპყრობის დრო და ყველა ჩივილი ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ სიმპტომებზე;
(iii) ფიზიკური და ფსიქოლოგიური შემოწმება: კლინიკური შემოწმების შედეგად გაკეთებული ყველა ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასკვნის ჩამონათვალი, მათ შორის, შესაბამისი დიაგნოსტიკური ტესტი და შეძლებისდაგვარად, სხეულის ყველა დაზიანების ფერადი ფოტოები;
(iv) მოსაზრება: აღმოჩენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმპტომების შესაძლებელ კავშირზე წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობასთან. უნდა იყოს რეკომენდაციები ყველა აუცილებელ სამედიცინო მკურნალობასა და ფსიქოლოგიურ დახმარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე შემდგომ გამოკვლევაზე;
(v) ავტორობა: ანგარიშში გარკვევით უნდა მიეთითოს პირი, რომელიც ატარებს ექსპერტიზას და უნდა იყოს ხელმოწერილი.
გ) დასკვნა არის კონფიდენციალური და გადაეცემა გამოკვლეულ პირს ან მის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს. გამოსაკვლევი პირის ან მისი წარმომადგენლის აზრი ექსპერტიზის პროცესის შესახებ გამოთხოვილი უნდა იქნეს და ანგარიშში შეტანილი. შესაბამის შემთხვევებში, დასკვნას, აგრეთვე, წარუდგენენ წერილობით ორგანოს, რომელიც ატარებს წამებისა თუ სხვა არასათანადო მოპყრობის გამოძიებას. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ამ პირებისთვის დასკვნის უსაფრთხო წარდგენა. დასკვნაზე ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს სხვა პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს გამოკვლეული პირის თანხმობა ან სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვა.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

დაუსჯელობის აღკვეთა[1]

წამების პრევენციის კომიტეტის უმთავრესი არსია წამების და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის „აღკვეთა". წამების პრევენციის კომიტეტს უფრო მომავლისკენ აქვს მზერა მიმართული, ვიდრე წარსულისკენ. თუმცა, არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში მიღებული ზომების ეფექტიანობის შეფასება წამების პრევენციის კომიტეტის პრევენციული მანდატის განუყოფელი ნაწილია, რადგან სწორედ აღნიშნული ზომები მოახდენს ზეგავლენას სამომავლოდ მსგავს ქმედებებზე.

წამების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აღკვეთის სანდოობა ეჭვქვეშ დგება ყოველთვის, როცა ამგვარ დანაშაულებზე პასუხისმგებელ პირებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებებზე. თუ არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციას არ მოჰყვა მყისიერი და ქმედითი პასუხი, ისინი, ვინც მიდრეკილნი არიან თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობისკენ, მალევე ირწმუნებენ, სავსებით საფუძვლიანად, რომ მათი ქმედება დაუსჯელი იქნება. ჩაიშლება ნებისმერი მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა პრინციპების ხელშეწყობასა და დაცვას თანამშრომელთა დასაქმების მკაცრი პოლიტიკისა და მათი პროფესიული განვითარების გზით. ქმედითი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, შესაბამისი პირები – კოლეგები, ხელმძღვანელობა, საგამოძიებო სამსახურები – საბოლოოდ ხელს შეუწყობენ იმ ღირებულებების რღვევას, რაც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ საზოგადოებას.

და პირიქით, თუ ოფიციალური პირები, რომელნიც გასცემენ ბრძანებას, ანიჭებენ უფლებამოსილებას, ეგუებიან, ან თავად ჩადიან წამებას და არასათანადო მოპყრობას, წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე თავიანთი მოქმედების თუ უმოქმედობის გამო, იგზავნება არაორაზროვანი მესიჯი, რომ ამგვარი ქმედება არ იქნება შეწყნარებული. გარდა მისი მნიშვნელოვანი შემაკავებელი ძალისა, აღნიშნული გზავნილი დაარწმუნებს საზოგადოებას, რომ არავინ შეიძლება იდგეს კანონზე მაღლა, ისინიც კი, ვინც მის შესრულებაზეა პასუხისმგებელი. იმის ცოდნას, რომ არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელი პირები წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე, ასევე სასიკეთო ეფექტი ექნება მსხვერპლთათვის.

1 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-14 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2004)28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2004, პუნქტი 24 *et seq.*

დაუსჯელობასთან ბრძოლა უნდა დაიწყოს შესაბამის უწყებაში (პოლიცია, ან სასჯელაღსრულების სამსახური, სამხედრო უწყება და სხვ.). ძალიან ხშირად, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ბრალდებების შემთხვევაში, კოლეგიალური სოლიდარობისა და მუნდირის ღირსების დაცვის შეგრძნება ბადებს გაერთიანების და ურთიერთდახმარების სურვილს კოლეგების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების დაფარვის მიზნით. საჭიროა პოზიტიური ღონისძიებების გატარება ტრენინგებისა და კონკრეტული მაგალითების მეშვეობით, რათა ხელი შეეწყოს ისეთი კულტურის განვითარებას, რომლის მიხედვით, იმ კოლეგებთან მუშაობა და თანამშრომლობა, რომლებიც ჩადიან არასათანადო მოპყრობას, ითვლება არაპროფესიონალურად და კარიერული წინსვლისთვის ხელისშემშლელად და, რომელშიც მართებულად და პროფესიული თვალისაზრისით მომგებიანად ჩაითვლება, მიეკუთვნებოდე იმ გუნდს, რომელიც განერიდება ამგვარ ქმედებებს.

უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომელშიც მართებულად ჩაითვლება კოლეგების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამჟღავნება; ყველას ცხადად უნდა ესმოდეს, რომ არასათანადო მოპყრობაში ბრალეულობა ვრცელდება უშუალო დამნაშავეთა გარდა ყველა იმ პირზე, რომელმაც იცის, ან უნდა იცოდეს არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ და არაფერს აკეთდებს მის აღსაკვეთად ან გამოსამჟღავნებლად. ხსენებული მოიაზრებს გარკვეული მოხსენებითი სისტემისა და მამხილებელი პირების დაცვის მექანიზმის შემუშავებას და არსებობას.

ბევრ სახელმწიფოში, სადაც კი წამების პრევენციის კომიტეტი ვიზიტით იმყოფებოდა, წამება და არასათანადო მოპყრობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ჩვენების მიცემის იძულება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სხვა, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლის გამოძიებაც წარმოებს *ex officio*. წამების პრევენციის კომიტეტი მიესალმება ამ ტიპის სამართლებრივი დებულებების არსებობას.

ამასთან, წამების პრევენციის კომიტეტმა დაადგინა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, პროკურატურის ორგანოებს აქვთ წინასწარი გამოძიების დაწყების ფართო დისკრეცია, როდესაც პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტების შესახებ ინფორმაცია ცნობილი ხდება. წამების პრევენციის კომიტეტის აზრით, ოფიციალური საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი, აღნიშნულ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გამოძიების დაწყების სამართლებრივი ვალდებულება, როგორც კი ნებისმიერი წყაროდან მიიღებენ სანდო ინფორმაციას პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობაზე. ამასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობის სამართლებრივი სისტემა გაძლიერდება, თუ საჯარო პირებს (პოლიციელებს, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტო-

რებს და სხვ.) ოფიციალურად მოეთხოვებათ, დაუყოვნებლივ, შეტყობისთანავე აცნობონ შესაბამის უწყებებს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებს.

სათანადო სამართლებრივი სისტემის არსებობა, თავისთავად, არ არის საკმარისი იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადო ზომები იქნება მიღებული არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტებთან დაკავშირებით. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს შესაბამისი უწყებების სენსიტიურობის ამაღლებას მათზე დაკისრებული მნიშვნელოვანი ვალდებულებების მიმართ.

როდესაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებული პირები ნარედგინებიან პროკურატურასა და სასამართლო ორგანოებს, აღნიშნულ პირებს უნდებათ კარგი შესაძლებლობა, განაცხადონ, განხორციელდა თუ არა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა. გარდა ამისა, საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი, ზემოაღნიშნულ უწყებებს დროულად შეეძლებათ ზომების მიღება, თუ სახეზეა არასათანადო მოპყრობის მიმანიშნებელი სხვა ფაქტორები (მაგ.: ხილული დაზიანებები, პირის ზოგადი იერი ან ქცევა).

თუმცა, ვიზიტების დროს, წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციები ხშირად ხვდებიან პირებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მათ იჩივლეს პროკურორის ანდა მოსამართლის წინაშე არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, მაგრამ, ამ უკანასკნელებმა მხოლოდ მცირე ინტერესი თუ გამოამუღავნეს საკითხის გარშემო იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც აღნიშნულ პირებს აღენიშნებოდათ დაზიანებები სხეულის ხილულ ნაწილებზე. ხსენებული სიტუაციების არსებობა ზოგჯერ დასტურდებოდა წამების პრევენციის კომიტეტის მიერ მოპოვებული ინფორმაციებით. მაგალითის სახით, წამების პრევენციის კომიტეტმა განიხილა სასამართლო საქმე, რომელშიც გარდა იმისა, რომ აღნუსხული იყო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული განცხადებები, ასევე დაფიქსირებული იყო სხვადასხვა სახის სისხლჩაქცევები და შეშუპებები პირ-სახეზე, ფეხებსა და ზურგზე. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი ინფორმაცია, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს არასათანადო მოპყრობის *prima facie* მტკიცებულებას, ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა არ დაიწყეს გამოძიება და ვერ შეძლეს დამაჯერებელი ახსნა მოეძებნათ თავიანთი ქცევისათვის.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ადამიანები აცხადებენ, რომ მათ შეეშინდათ, განეცხადებინათ არასათანადო მოპყრობის შესახებ, რადგან პროკურორსა და მოსამართლესთან საქმის მოსმენას ესწრებოდნენ სამართალდამცავები ორგანოების სწორედ ის წარმომადგენლები, რომლებმაც დაკითხეს ეს პირები.

სავალდებულოა, რომ პროკურატურამ და სასამართლო ორგანოებმა გადადგან მტკიცე ნაბიჯები, როდესაც სახეზეა არასათანადო მოპყრობის მიმანიშნებელი ნებისმიერი ინფორმაცია. ანალოგიურად, მათ ისე უნდა წარმართონ სამართალწარმოება, რომ შესაბამის პირებს ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა, განაცხადონ მათ მიმართ მოპყრობის შესახებ.

არასათანადო მოპყრობის შესახებ განაცხადის ადეკვატური შეფასება, ხშირ შემთხვევაში, არ არის მარტივი. არასათანადო მოპყრობის გარკვეული სახეები (როგორიცაა გაგუდვა ან ელექტროშოკის გამოყენება) არ ტოვებს ამკარა ნიშნებს, თუ განხორციელდება მაღალპროფესიონალურად. ანალოგიურად, პირის იძულება, მოუხერხებელ პოზაში იდგეს ფეხზე, მუხლებზე ან ნელში მოხრილი საათების განმავლობაში, ან მათთვის ძილის აკრძალვა, სავარაუდოდ, არ დატოვებს შესამჩნევ კვალს. სხეულზე მიყენებულმა დარტყმებმაც კი შეიძლება მსუბუქი კვალი დატოვოს, რომელიც მალევე ფერმკრთალდება და მისი აღმოჩენა რთულია. შესაბამისად, როდესაც პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისთვის ცნობილი გახდება ინფორმაცია არასათანადო მოპყრობის შესახებ, მათ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა არასათანადო მნიშვნელობა არ მიანიჭონ გარეგნული ნიშნების არარსებობას. იგივე ეხება *a fortiori* უმეტესად ფსიქოლოგიური ხასიათის არასათანადო მოპყრობას (სექსუალური ძალადობის მუქარა, პატიმრობაში მყოფი პირის ანდა მისი ოჯახის სიცოცხლის ან ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფის მუქარა და ა.შ.). არასათანადო მოპყრობის შესახებ განაცხადების სანდოობის ადეკვატურად შეფასებას, შესაძლოა, დასჭირდეს მტკიცებულებების მოპოვება ყველა შესაბამისი პირისაგან, ადგილზე დროული შემოწმება ანდა სპეციალისტის მიერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმება.

როდესაც პროკურატურის, ან სასამართლო ორგანოების წინაშე წარდგენილი პირი განაცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ, ამგვარი განაცხადი წერილობით უნდა იქნეს დაფიქსირებული, დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა (საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის მონაწილეობით) და გადაიდგას აუცილებელი ნაბიჯები სათანადო გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული მიუხედავად იმისა, აღენიშნება თუ არა მოცემულ პირს ხილული დაზიანებები. არასათანადო მოპყრობის შესახებ განაცხადის არარსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოთხოვნილ უნდა იქნეს ყოველთვის, როდესაც არსებობს სხვა საფუძვლები იმის ვარაუდისა, რომ პირი იყო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ დაწესდეს რაიმე ბარიერი იმ პირებსა, რომლებმაც განაცხადეს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ

და ექიმებს შორის, რომელთაც შეუძლიათ პროკურატურის და სასამართლოსთვის ოფიციალურად მისაღები დასკვნის მომზადება. მაგალითად, ასეთ ექიმზე ხელმისაწვდომობა არ უნდა დაექვემდებაროს წინასწარ ნებართვას საგამოძიებო ორგანოების მხრიდან.

ვიზიტების შესახებ რიგ ანგარიშებში, წამების პრევენციის კომიტეტმა შეაფასა იმ უწყებების საქმიანობა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, ჩაატარონ ოფიციალური გამოძიება და აღძრან სისხლის სამართლებრივი და დისციპლინური წარმოება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. წამების პრევენციის კომიტეტი ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსა და საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტებში ასახულ სტანდარტებს. დღეისათვის ფართოდ აღიარებული პრინციპია, რომ ეფექტიანი გამოძიება, რომელსაც შედეგად მოჰყვება არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა, არის წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის აკრძალვის პრაქტიკული ასპექტი. გამოძიებაზე პასუხისმგებელი უწყება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით. გარდა ამისა, გამოძიებამ უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული ძირითადი კრიტერიუმები.

არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიებისათვის არსებითია, რომ გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ დამოუკიდებელნი იმ პირთაგან, რომლებიც მონაწილეობდნენ აღიშნულ ქმედებებში. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ყველა საჩივარი პოლიციის ან სხვა საჯარო მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ უნდა წარედგინოს პროკურორს და სწორედ ეს უკანასკნელი – და არა პოლიცია – გადაწყვეტს, საჩივრის საფუძველზე უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება; წამების პრევენციის კომიტეტი მიესალმება ამგვარ მიდგომას. თუმცა, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით ყოველდღიური ოპერატიული საქმიანობის წარმართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამართალდამცავ ორგანოებს. ასეთ შემთხვევაში, პროკურორის ჩართულობა შეზღუდულია და შემოიფარგლება ოფიციალური პირებისათვის მოკვლევის ჩატარებაზე მითითებების გაცემით, მიღებული შედეგების გაცნობითა და სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების წაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ გამოძიებაში ჩართული ოფიციალური პირები არ წარმოადგენდნენ იმავე სამსახურს, სადაც მუშაობენ პირები, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს გამოძიება. იდეალური იქნება, თუ გამოძიების ოპერატიულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები სრულიად დამოუკიდებელნი იქნებიან იმ სამსახურისგან, რომელსაც ეხება მოცემული საქმე. გარდა ამისა, პროკურატურამ ზედმიწევნითი და ეფექტიანი კონტროლი უნდა აწარმოოს საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ შესაძ-

ლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების ოპერატიულ საქმიანობაზე. ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მკაფიო მითითებებით, თუ რა სახით ევალებათ ზედამხედველობა ამგვარ გამოძიებაზე.

შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ზედმიწევნითობის კრიტერიუმთან. გამოძიებამ უნდა შეძლოს იმის დადგენა, გარემოებებიდან გამომდინარე, გამართლებული იყო თუ არა ძალისა თუ სხვა მეთოდების გამოყენება; გამოძიებამ უნდა შეძლოს დამნაშავეთა გამოვლენა და თუ საჭიროა – დამნაშავეთა დასჯა. აღნიშნული ნარმოადგენს არა შედეგზე ორიენტირებულ ვალდებულებას, არამედ ყველა შესაძლო საშუალების გამოყენების ვალდებულებას. აღნიშნული კრიტერიუმი მოითხოვს გონივრული ნაბიჯების გადადგმას იმისთვის, რომ მოპოვებული იქნეს ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის, სავარაუდო დაზარალებულის, ექვმიტანილის და მოწმეთა (მაგ., მორიგე პოლიციელის, სხვა დაკავებულების) იდენტიფიცირების და დაკითხვის გზით; მოძიებული უნდა იქნეს იარაღი, რომელიც, შესაძლოა, გამოყენებული იყო არასათანადო მოპყრობისას და მოპოვებული უნდა იქნეს სამედიცინო ექსპერტიზის მტკიცებულებები. საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს გვამის გაკვეთა, რომელიც უზრუნველყოფს დაზიანებების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის დადგენას და კლინიკური გამოკვლევის ობიექტურ ანალიზს, სიკვდილის მიზეზის ჩათვლით.

ჩატარებული გამოძიება უნდა იყოს სრულყოფილი. წამების პრევენციის კომიტეტი წააწყდა შემთხვევებს, როდესაც მიუხედავად შესაძლო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით გაცხადებული მრავალრიცხოვანი ინციდენტების და ფაქტებისა, გამოძიების არეალი იყო ზედმეტად შეზღუდული; მნიშვნელოვანი ეპიზოდები და გარემოებები, რომლებიც არასათანადო მოპყრობას მიუთითებდნენ – უგულებელყოფილი.

აღნიშნულ კონტექსტში, წამების პრევენციის კომიტეტს სურს მკაფიოდ გამოხატოს თავისი უკმაყოფილება ბევრ ქვეყანაში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, როდესაც სამართალდამცავი პირები ან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები ატარებენ ნიღბებს ან ჩაფხუტებს დაპატიმრების მომენტში, დაკითხვისას ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არეულობების ჩახშობისას; არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ საკითხის წამოჭრისას, ეს აშკარად ხელს შეუშლის პოტენციურ ექვმიტანილთა იდენტიფიკაციას.

აღნიშნული პრაქტიკა მკაცრად უნდა გაკონტროლდეს და უნდა დაიშვას მხოლოდ სათანადოდ დასაბუთებულ საგამონაკლისო შემთხვევებში; მისი გამოყენების დასაბუთება ძალიან იშვიათად (თუკი საერთოდ იქნება შესაძ-

ლებელი) იქნება შესაძლებელი სასჯელაღსრულების დაწესებულებების შემთხვევაში; ანალოგიურად, აკრძალული უნდა იყოს პატიმრობაში მყოფი პირებისთვის თვალის ახვევის გამოვლენილი პრაქტიკა. ეს სერიოზულ დაბრკოლებას შეუქმნის სისხლის სამართლის საქმის აღძვრას წამების, ან არასათანადო მოპყრობაში მონაწილე პირთა წინააღმდეგ, რასაც წამების პრევენციის კომიტეტის ცნობით, არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

იმისთვის, რომ გამოძიება იყოს ქმედითი, ის უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ და გონივრულად მოკლე ვადებში. წამების პრევენციის კომიტეტმა გამოავლინა შემთხვევები, როდესაც აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების დაწყება გაუმართლებლად იყო დაგვიანებული, ან როდესაც პროკურატურის თუ სასამართლო ორგანოებმა არ გამოამუღავნეს სათანადო მზაობა, გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმები, არასათანადო მოპყრობის მიმანიშნებელ განცხადებებსა თუ სხვა ინფორმაციაზე რეაგირების მოსახდენად. აღნიშნულ შემთხვევებში, გამოძიება განუსაზღვრელი დროით გადაიდო, ან შეწყდა და არასათანადო მოპყრობაში მონაწილე სამართალდამცავმა პირებმა თავი აარიდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სერიოზული მართლსაწინააღმდეგო ქმედების უტყუარ მტკიცებულებებზე ამგვარ რეაგირებას არ შეიძლება, ეწოდოს „გამოძიება“

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გარდა, ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭიროა მის შედეგებზე სათანადო საზოგადოებრივი კონტროლის არსებობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ანგარიშვალდებულება როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. კონტროლის ხარისხი შესაძლოა, განსხვავდებოდეს თოთოეული საქმის მიხედვით. განსაკუთრებით სერიოზულ საქმეებზე შესაძლებელია, მიზანშეწონილი იყოს საზოგადოებრივი გამოძიების წარმოება; ყველა შემთხვევაში, დაზარალებული (ან, ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებულის უახლოესი ნათესავი) ჩართული უნდა იყოს საგამოძიებო პროცესში იმ დოზით, რომელიც აუცილებელია მისი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.

დისციპლინური სამართალწარმოება არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის დამატებითი საშუალებაა, რომელიც შეიძლება მიმდინარეობდეს სისხლის სამართალწარმოების პარალელურად. საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება საჭირო გახდეს იმის მიუხედავად, შეიცავს თუ არა სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს მათ მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. აღნიშნულ კონტექსტში, წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს რიგი პროცესუალური გარანტიების დაცვას. მაგალითად, პოლიციის თანამშრომლის მიმართ დისციპლინურ საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი კომისიის ერთ-ერთი წევრი მაინც იყოს დამოუკიდებელი პირი.

საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომაზე მოკვლევა შესაძლოა ანარმოოს შესაბამისი უწყებების სპეციალურმა შიდა საგამოძიებო დეპარტამენტმა. თუმცა, წამების პრევენციის კომიტეტის დაუინებული რეკომენდაციაა, შეიქმნას სრულიად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო. ასეთ ორგანოს უნდა ჰქონდეს დისციპლინური საქმის ნარმოების დანყების უფლებამოსილება.

მიუხედავად საგამოძიებო ორგანოს ფორმალური სტრუქტურისა, წამების პრევენციის კომიტეტი თვლის, რომ მისი ფუნქციები ჯეროვნად უნდა იყოს გასაჯაროვებული. გარდა იმისა, რომ პირებს უნდა შეეძლოთ აღნიშნული ორგანოსთვის საჩივრით პირდაპირ მიმართვა, სახელმწიფო უწყებისთვის, როგორიცაა პოლიცია, სავალდებულო უნდა იყოს ნებისმიერი განცხადების დარეგისტრირება, რომელიც შეიძლება შეადგენდეს საჩივარს.

თუ მოცემულ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ საჯარო მოხელეთა ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, საგამოძიებო ორგანომ, ყოველთვის პირდაპირ, დაყოვნების გარეშე, უნდა აცნობოს პროკურატურას.

ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს იმის უზრუნველყოფას, რომ საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო დაზარალებულს არ გადააფიქრებინონ საჩივრის შეტანა. მაგალითად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პოტენციურად ნეგატიური ეფექტი, რომელიც მოყვება საჯარო მოხელეების შესაძლებლობას, ცილისწამების მუხლით უჩივლონ პირებს, რომელთაც არასამართლიანად დასდეს ბრალი არასათანადო მოპყრობაში. საპირისპირო ლეგიტიმურ ინტერესებს შორის ბალანსი ობიექტურად უნდა იქნეს დაცული. აღნიშნულ კონტექსტში, ასევე შეიძლება გაკეთდეს მინიშნება 28-ე პუნქტში ჩამოყალიბებულ გარკვეულ საკითხებზე.

საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც გამოჩნდება სამოქალაქო სამართალნარმოების დროს, ასევე იმსახურებს გულისყურით შესწავლას. მაგალითად, პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების შესახებ საჩივრის დაკმაყოფილების ან საპროცესო შეთანხმების შემთხვევებში, წამების პრევენციის კომიტეტმა გასცა დამოუკიდებელი მოკვლევის ჩატარების რეკომენდაცია. ამგვარი მოკვლევის მიზანია, დაადგინოს, პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ არსებული ბრალდებების ხასიათის და სიმძიმის გათვალისწინებით, უნდა წამოიჭრას თუ არა სისხლის ანდა დისციპლინური სამართალწარმოების აღძვრის საკითხი.

აქსიომაა, რომ რამდენადაც ეფექტიანი არ უნდა იყოს გამოძიება, ის მნიშვნელობას კარგავს, თუ არასათანადო მოპყრობისთვის დაკისრებული სანქციები შეუსაბამოა. არასათანადო მოპყრობის ბრალდების დამტკიცებას უნდა მოჰყვეს სათანადო სასჯელის დაკისრება. ზემოხსენებულს ძლიერი შემაკავებელი ეფექტი ექნება და პირიქით, მსუბუქი განაჩენის გამოტანა ხელს შეუწყობს დაუსჯელობის კლიმატის შექმნას.

რასაკვირველია, სასამართლო ხელისუფლების ორგანოები დამოუკიდებელნი და თავისუფალნი არიან, კანონით განსაზღვრული წესით გამოიტანონ განაჩენი ნებისმიერ საქმეზე. თუმცა, აღნიშნული ნათლად უნდა ასახავდეს კანონმდებლის განზრახვას – სისხლის სამართლის სისტემა უნდა მკაცრი წამების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების მიმართ. ანალოგიურად, დისციპლინარული გადაცდომის დამტკიცების შემთხვევაში, შეფარდებული სახდელი უნდა იყოს საქმის სიმძიმის თანაფარდი.

დაბოლოს, არავის უნდა დარჩეს ეჭვი დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების მზადყოფნასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლებამ, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე, უყოყმანოდ უნდა გააკეთოს განცხადება, რომელიც შეიცავს გზავნილს წამების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის“ შესახებ.

მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება
1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული.
მუხლი 3 – წამების აკრძალვა
ადამიანის ნამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.
მუხლი 4 – დისკრიმინაციის აკრძალვა
ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ზოგადი პრინციპები

სიცოცხლის უფლება
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებას და ადგენს იმ გარემოებებს, როდესაც სიცოცხლის ხელყოფა შეიძლება, გამართლებული იყოს, არის კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ფუძემდებლური დებულება. კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, არა მარტო თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახი და არამართლზომიერი ხელყოფისგან (სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება), არამედ აგრეთვე, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები თავის იურისდიქციაში მყოფ პირთა სიცოცხლის დასაცავად (სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიზანია, რომ დაიცვას ადამიანები სიცოცხლის ძალადობრივი ხელყოფისგან და სიცოცხლისთვის საშიში სხვა საფრთხეებისგან მე-2 მუხლის ტექსტში მოცემული ორი ძირითადი ელემენტის მეშვეობით: მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, სიცოცხლის კანონით დაცვის ზოგადი ვალდებულების დადგენითა და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში, იმ ამომწურავი გარემოებების ჩამოთვლით, რომლის დროსაც სახელმწიფო მოხელეების მიერ აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენების შედეგად, სიცოცხლის ხელყოფა შეიძლება, მართლზომიერი იყოს.

სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, გარანტირებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით, წაკითხული კონვენციის პირველი მუხლით განმტკიცებული სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად – უზრუნველყოს ყველასთვის თავისი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები – გულისხმობს ქმედითი გამოძიების ჩატარებას ყველა იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი გარდაცვლილია საეჭვო ვითარებაში ან ძალის გამოყენების შედეგად. ასეთი ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც ძალა გამოყენებულია სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ და მაშინაც, როდესაც სიცოცხლის ხელყოფაში სახელმწიფო ხელისუფლების მონაწილეობა არ იკვეთება. ევროპული კონვენციის მეორე მუხლის პირველი პუნქტის ძალით, სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის კანონით დაცვის პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს მატერიალური სისხლის სამართლის ქმედითი ნორმების არსებობას, რომელსაც ზურგს უმაგრებს სამართალდაცვითი სისტემა, ასეთი ნორმების დარღვევების პრევენციის, ჩახშობისა და დასჯის მიზნით.[2] სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონტროლს ქვეშ მყოფი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობა არ შეიძლება გამოსწორდეს დაზარალებულისთვის მხოლოდ კომპენსაციის გადახდით.[3]

გარდაცვალება თავისუფლების აღკვეთის ადგილას

თავისუფლებააღკვეთილი პირები მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან და ხელისუფლებას აკისრია ვალდებულება, დაიცვას ისინი. როდესაც პირი თავისუფლების აღკვეთის ადგილას მოთავსებამდე ჯანმრთელი იყო და პატიმრობაში ყოფნის დროს გარდაიცვლება, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა მოუძებნოს იმ განვითარებულ მოვლენებს, რომლებმაც პირის გარდაცვალება გამოიწვია და უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს გარდაცვლილის ნათესავების პრეტენზიების ნამდვილობას, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როცა ეს განცხადებები სამედიცინო დასკვნებით არის გამყარებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება, გულისხმობს არა მარტო გონივრული ღონისძიებების დროულად გატარებას პირების უსაფრთხოების დასაცავად, არამედ, მძიმე დაზიანების, ან სიკვდილის შემთხვევაში, იმის უზრუნველყოფას, რომ არსებობდეს ქმედითი დამოუკიდ-

2 M.S. ხოვარტიის წინააღმდეგ (*M.S. v. Croatia*) (no. 2), განაცხადი no. 75450/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 74.

3 კრასტანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Krastanov v. Bulgaria),* განაცხადი no. 50222/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილების პუნქტი 60.

ებელი სამართალდამცავი, სასამართლო სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხელმისაწვდომი იქნება სამართლებრივი მექანიზმები, ფაქტების დასადგენად, დამნაშავეების დასჯა და დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის შესაბამისად ანაზღაურება.

შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლი, მისი ფუძემდებლური ხასიათიდან გამომდინარე, შეიცავს საპროცესოსამართლებრივ ნაწილს, ჩატარდეს ქმედითი გამოძიება მუხლის მატერიალურსამართლებრივი ნაწილის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით, კონვენციის მე-2 მუხლი შედგება მატერიალურსამართლებრივი ნაწილისგან (შეერაცხება თუ არა სახელმწიფოს ბრალად პირის გარდაცვალება, მძიმე დაზიანება, თუ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) და საპროცესოსამართლებრივი ნაწილისგან (ქმედითად იქნა თუ არა გამოძიებული პირის გარდაცვალება, მძიმე დაზიანება, თუ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება). ეს ორი ნაწილი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს; ევროპული სასამართლო მათ ცალ-ცალკე აფასებს და საჭიროებისამებრ, ადგენს მე-2 მუხლის დარღვევას ერთ ან ორივე ნაწილში. შესაბამისად, შეიძლება, დადგინდეს სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესოსამართლებრივ ნაწილში დარღვევა, მიუხედავად იმისა, რომ მე-2 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ნაწილი არ იყოს, მოცემულ შემთხვევაში, დარღვეული.

წამების აკრძალვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუძემდებლურ ფასეულობას ასახავს. ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი, როგორიც არის, მაგალითად, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას თუ დასჯას, მიუხედავად დაზარალებულის ქცევისა.[4] განსხვავებით კონვენციის მე-2 მუხლისგან, მე-3 მუხლი არ შეიცავს გამონაკლისების ჩამონათვალს და მისგან გადახვევა დაუშვებელია ომის ან ერის არსებობისთვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი.[5]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, არამართებულმა მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს იმისთვის, რათა მოხვდეს მე-3 მუხლის აკრძალვის სფეროში. ამ

4 რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Ramirez Sanchez v. France*), განაცხადი №. 59450/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 115.

5 ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (*Labita v. Italy*), განაცხადი №. 26772/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 199.

მინიმალური ზღვარის შეფასება ფარდობითია: მიაღწია თუ არა მოქმედებამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, დამოკიდებულია საქმის ყველა ფაქტობრივ გარემოებაზე, როგორიცაა, მოპყრობის ხანგრძლივობა, ინტენსივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები და ზოგ შემთხვევაში, დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.[6] როდესაც მოპყრობა მიაღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, მას არ შეიძლება ჰქონდეს არანაირი გამართლება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს მე-3 მუხლის დარღვევას.

წამების აკრძალვა პატიმრობის კონტექსტში

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ადამიანმა სასჯელი მოიხადოს ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას.

ზოგჯერ, ქმედითი გამოძიების ფაქტი ევროპულ სასამართლოს ეხმარება მე-3 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ნაწილის დარღვევა-არდარღვევის შეფასებაში და ცალკე აღარ განიხილავს სახელმწიფოს მიერ საპროცესოსამართლებრივი ნაწილში ვალდებულებების შესრულების საკითხს. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში,[7] განმცხადებლები დავობდნენ პატიმრობის პირობებზე. მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების უმეტესობა ეფუძნებოდა ეროვნულ დონეზე წარმოებული გამოძიების შედეგებს იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის საჩივრები ციხის პირობების შესახებ არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. თუმცა, სასამართლო ვერ დაარწმუნა ამ დასკვნამ. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიება ვერ ჩაითვლებოდა ქმედითად იმის გამო, რომ გამოძიების პროცესი დაიწყო განმცხადებლის მიერ უწყებაში საჩივრის წარდგენიდან მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ, რითაც ციხის ადმინისტრაციას მიეცა საკმარისი დრო, საკნის გასარემონტებლად. ევროპულმა სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გამოძიება არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად, როდესაც იგი ტარდება განმცხადებლის ადვოკატის მონაწილეობის გარეშე და გამოძიების შედეგები ძირითადად ეყრდნობა ციხის ადმინისტრაციის ჩვენებებს.[8]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, წაკითხული კონვენციის პირველი მუხლით განმტკიცებულ სახელმწიფოს ზოგად ვალ-

6 პიეხოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (*Piechowicz v. Poland*), განაცხადი no. 20071/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 159.

7 რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*), განაცხადი no. 1704/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება.

8 გადაწყვეტილების პუნქტი 80.

დებულებასთან ერთად – უზრუნველყოს ყველასათვის თავისი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები – გულისხმობს ქმედითი გამოძიების ჩატარებას ყოველთვის, როდესაც პირი დავობს, რომ იგი დაექვემდებარა მძიმე არასათანადო მოპყრობას ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან. ეს ვალდებულება წარმოიშვება მაშინაც, როცა არასათანადო მოპყრობას ახორციელებს არა სახელმწიფოს წარმომადგენელი, არამედ კერძო პირი.[9]

ქმედითი გამოძიების სტანდარტები სიცოცხლის უფლების, წამების აკრძალვის კონტექსტში

გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს მე-2 და მე-3 მუხლების საწინააღმდეგო მოპყრობისგან და უზრუნველყოს ამ მუხლებით გარანტირებული უფლებები, ქმედითი გამოძიების ვალდებულება „დამოუკიდებელი და ავტონომიური ვალდებულებაა."[10]

საკითხი, არის თუ არა გამოძიება საკმარისად ქმედითი, უნდა შეფასდეს ყველა რელევანტურ ფაქტზე დაყრდნობით და საგამოძიებო საქმიანობის პრაქტიკული რეალობის გათვალისწინებით.

„ქმედითი გამოძიება" ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ავტონომიური მნიშვნელობის მქონე ტერმინია. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლსა და მე-3 მუხლში ინკორპორირებული ვალდებულება ქმედითი გამოძიების ჩატარებაზე ცდება გამოძიების სტადიას და მოიცავს სასამართლო განხილვის სტადიასაც. მთლიანად სამართალწარმოების შედეგად უნდა შესრულდეს სიცოცხლის უფლების დაცვის და წამების აკრძალვის პოზიტიური ვალდებულება.

ქმედითი გამოძიების ვალდებულება არის საშუალების და არა შედეგის ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ აუცილებელი არ არის, ყველა საქმის გამოძიების შედეგად მიღწეული დასკვნა განმცხადებლის მიერ აღწერილ მოვლენათა განვითარებას ემთხვეოდეს. მთავარია, რომ განხორციელებული სამართალწარმოების შედეგად, შესაძლებელი იყოს საქმის გარემოებების დადგენა და თუ პრეტენზიები დასაბუთებულია, პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიკაცია და დასჯა.[11] კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით არ არის გარანტირებული პირის უფლება, მოითხოვოს სხვა პირის

9 პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ (*Premininy v. Russia)*, განაცხადი no. 44973/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 72.

10 შილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ *(Šilih v. Slovenia)*, განაცხადი no. 71463/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 159.

11 პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ (*Premininy v. Russia)*, განაცხადი no. 44973/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 74.

წინააღმდეგ, იქნება ეს ხელისუფლების წარმომადგენელი, თუ კერძო პირი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება თუ მათი დასჯა. ეს მუხლები არ გულისხმობს აბსოლუტურ ვალდებულებას, რომ ყველა სისხლისსამართლებრივი დევნა დასრულდეს მსჯავრდებით ან რაიმე კონკრეტული სასჯელის დანიშვნით. ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ მიიღოს გონივრული ზომები ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. უფლებამოსილი უწყებები უნდა მოქმედებდნენ საკუთარი ინიციატივით მას შემდეგ, რაც შეიტყობენ ინციდენტის შესახებ.

ეროვნულმა ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რომ სიცოცხლის ხელყოფა თუ წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა დაუსჯელი დარჩეს. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება არ არის შესრულებული ხარვეზიანი გამოძიების ჩატარებით, რომლის განმავლობაშიც დანაშაულის ჩადენაზე პასუხისმგებელი პირი ვერ დადგინდა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საპროცესოსამართლებრივი ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სამართალდამცველმა სისტემამ უნდა არვენოს მატერიალური სისხლის სამართლის აღსრულების უნარი მათ წინააღმდეგ, ვინც არამართლზომიერად ხელყო სხვათა სიცოცხლე ან დაუქვემდებარა ისინი წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას თუ დასჯას.

იმისთვის, რათა გამოძიება „ქმედითად“ ჩაითვალოს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მნიშვნელობით, გამოძიება, პირველ რიგში, უნდა იყოს ადეკვატური. გამოძიებიდან გამომდინარე, შესაძლო უნდა იყოს ფაქტების დადგენა და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელ პირთა დასჯა. ის, რომ ქმედითი გამოძიების წარმართვის ვალდებულება არის არა შედეგის, არამედ საშუალების ვალდებულება, იმას გულისხმობს, რომ უფლებამოსილმა უწყებებმა უნდა განახორციელონ მათთვის ხელმისაწვდომი ყველა გონივრული ღონისძიება, რათა მოპოვებული იქნეს მტკიცებულებები ინციდენტთან დაკავშირებით. ეს მტკიცებულებები შეიძლება იყოს, *inter alia*, მოწმეთა ჩვენებები და ექსპერტიზის დასკვნები. სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს გაკვეთა, რომელიც უნდა იძლეოდეს კლინიკური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, მათ შორის, გარდაცვალების მიზეზის ობიექტურ ანალიზს. გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც გამორიცხავს, *inter alia,* სიკვდილის მიზეზის დადგენის, სიცოცხლის ხელყოფასა თუ არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენის შესაძლებლობას, ვერ აკმაყოფილების ქმედითობის სტანდარტს. გამოძიება უნდა ჩატარდეს, კომპეტენტური, კვალიფიციური და მიუკერძოებელი ექსპერტების მიერ.

გამოძიების დასკვნები უნდა ემყარებოდეს ყველა რელევანტური ელემენტის ყოველმხრივ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. როცა უფლებამოსილი ორგანოები არ მისდევენ გამოძიების აშკარა ხაზს, საქმის გარე-

შოებების დადგენისა და პასუხისმგებელ პირთა გამოვლენის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ზიანდება.

გამოძიების ქმედითობა დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებზე. შეუძლებელია, რომ სხვადასხვა სიტუაციების შეფასება დაყვანილი იყოს იმაზე, რომ შემოწმდეს საგამოძიებო მოქმედებების წინასწარ დადგენილი ჩამონათვალი განხორციელდა.

გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი არც ერთ იმ პირზე, რომლებიც გარეულები არიან, ან შეიძლება გარეულები იყვნენ გამოსაძიებელ ინციდენტში. ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რომ უნდა გამოირიცხოს იერარქიული თუ ინსტიტუციური კავშირი, გარანტირებული უნდა იყოს გამოძიების პრაქტიკული დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

გამოძიება გონივრულად დაჩქარებულ ტემპში უნდა ჩატარდეს.

გამოძიება ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაზარალებული მხარისთვის იმ ხარისხით, რათა მხარის ლეგიტიმური ინტერესები დაკმაყოფილდეს. გამოძიება საკმარისად უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოების მხრიდან კონტროლს, რომლის ხარისხიც შეიძლება ყოველ კონკრეტულ საქმეზე განსხვავდებოდეს.

გამოძიებაზე საზოგადოების თუ დაზარალებულის ნათესავების ხელმისაწვდომობის გარანტირება შეიძლება საჭირო იყოს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე. ამას გარდა, კონვენციის მე-2 მუხლი და მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებას, დააკმაყოფილონ დაზარალებული მხარის ყოველი მოთხოვნა კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით.

დაბოლოს, როცა საქმე ეხება ფაქტების დადგენას, ევროპული სასამართლო ფრთხილად ეკიდება თავის სუბსიდიურ როლს და ცდილობს არ იმოქმედოს, როგორც ფაქტების დამდგენმა პირველი ინსტანციის სასამართლომ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გარდაუვალია კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამო. როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოება ჩატარებულია, ევროპული სასამართლო თავის ფუნქციად არ მიიჩნევს, ფაქტების თავისეული შეფასებით ჩაანაცვლოს ეროვნული სასამართლოების დასკვნები. ფაქტები ამ უკანასკნელმა უნდა დაადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. მართალია, ევროპული სასამართლო არ არის შეზღუდული ეროვნული სასამართლოების დასკვნებით და შეუძლია მის წინაშე არსებული მასალის საფუძველზე, თავად შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ საამისოდ,

როგორც წესი, მას სჭირდება დამაჯერებელი საფუძველი, რათა ეროვნული სასამართლოების დასკვნებს გადაუხვიოს.

როცა სიცოცხლე, სავარაუდოდ ხელყოფილია არა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, არამედ კერძო პირის მიერ, ან არასათანადო მოპყრობა სავარაუდოდ განახორციელა არა სახელმწიფოს წარმომადგენელმა, არამედ კერძო პირმა, მაგალითად, პატიმარმა სხვა პატიმრის მიმართ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ბოლო შემთხვევებში, გამოძიების ქმედითობის სტანდარტის შეფასება შეიძლება ნაკლებად მკაცრი იყოს. თუმცა, იმ შემთხვევაშიც, როცა პირი ამტკიცებს კერძო პირის მხრიდან და არა ხელისუფლების ნარმომადგენლის მხრიდან არასათანადო მოპყრობას, მას უფლება აქვს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გამოძიებაზე, რომელიც ქმედითობის გარკვეულ სტანდარტებს აკმაყოფილებს.[12]

ძალადობრივი ქცევის დისკრიმინაციული მოტივის ქმედითი გამოძიება

ა) სიცოცხლის უფლების კონტექსტი

სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციის, განსაკუთრებით, რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა, ასახავს იმ დემოკრატიული საზოგადოებების ფუძემდებლურ ფასეულობებს, რომლებიც ქმნიან ევროპის საბჭოს. ეთნიკური სიძულვილით მოტივირებული ქმედება, რომელიც იწვევს სიცოცხლის ხელყოფას, ძირს უთხრის ამ ფასეულობებს და საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებასა და ქმედით რეაგირებას. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს აკისრია ზოგადი ვალდებულება, რომ ჩაატაროს ქმედითი გამოძიება სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევებში,[13] ასეთი ვალდებულება უნდა შესრულდეს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ეს მოითხოვება კონვენციის მე-14 მუხლით. როდესაც არსებობს ეჭვი, რომ რასისტულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ძალადობრივი აქტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება ჩატარდეს ენერგიულად და მიუკერძოებლად და სათანადოდ უნდა იყოს ნაჩვენები, რომ საზოგადოება გმობს რასიზმსა და ეთნიკურ სიძულვილს, უმცირესობებს უნდა განუმტკიცდეთ რწმენა, რომ ხელისუფლებას შეუძლია მათი დაცვა რასობრივი ძალადობის საფრთხისგან.

კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალ-

12 იასინსკის ლატვიის წინააღმდეგ *(Jasinskis v. Latvia)*, განაცხადი no. 45744/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 73.

13 ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Nachova and Others v. Bulgaria*), განაცხადები nos. 43577/98 და 43579/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 156 *et seq.* დიდმა პალატამ დაადასტურა პალატის აღნიშნული მსჯელობა 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, იხ. პუნქტი 160.

დებულების შესრულება გულისხმობს იმას, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სამართლის სისტემამ უნდა აჩვენოს მატერიალური სისხლის სამართლის აღსრულების უნარი იმ პირების მიმართ, რომლებმაც არამართლზომიერად ხელყვეს სიცოცხლე. მნიშვნელობა არა აქვს, რა რასის თუ ეთნიკური წარმოშობის არის დაზარალებული.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ძალადობრივი ინციდენტების გამოძიებისას, განსაკუთრებით, როცა სიცოცხლე ხელყოფილია ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, შესაბამის უწყებებს აკისრიათ დამატებითი ვალდებულება, გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი შესაძლო რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივის გამოსავლენად და იმის დასადგენად, ხომ არ ითამაშა ეთნიკურმა სიძულვილმა თუ მიკერძოებამ როლი მოცემულ შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც რასობრივად მოტივირებული ძალადობა და სისასტიკე იგივენაირად განიხილება, როგორც საქმეები რასისტული მოტივის გარეშე, ეს ნიშნავს იმ სპეციფიკური ხასიათის ქმედებებზე თვალის დახუჭვას, რომლებიც განსაკუთრებულად აზიანებს ფუძემდებლურ უფლებებს. როდესაც ამ კონტექსტში, სახელმწიფო არ განასხვავებს თავის მიდგომას არსებითად განსხვავებული შემთხვევების მიმართ, ეს შეიძლება, გულისხმობდეს, სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელ მოპყრობას, რომელიც კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელია. იმისთვის, რათა შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა სამართალდაცვითი სისტემის მიმართ, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ძალის გამოყენების ინციდენტების გამოძიებისას, განსხვავებულია ძალის გამოყენება და რასისტული მოტივით ჩადენილი მკვლელობა როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში.

სასამართლო ეთანხმება, რომ რასობრივი მოტივის დამტკიცება პრაქტიკაში, ხშირად, შეიძლება, უკიდურესად რთული იყოს. მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიძიოს ძალადობრივი ქმედების შესაძლო რასობრივი მოტივი, გულისხმობს ყველა შესაძლებლობის მოსინჯვას და არ არის აბსოლუტური ვალდებულება. ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ის, რაც მოცემულ ვითარებაში არის გონივრული, რათა მოიპოვოს მტკიცებულებები, განიხილოს ჭეშმარიტების დადგენის ყველა შესაძლო პრაქტიკული საშუალება და გამოიტანოს სრულად დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები ისე, რომ არ გამორჩეს მხედველობიდან საეჭვო ფაქტები, რომლებიც შეიძლება რასობრივად მოტივირებულ ძალადობაზე მიუთითებდეს.

ხელისუფლების ვალდებულება, გამოიძიოს შესაძლო კავშირი რასისტულ დამოკიდებულებასა და ძალადობის აქტს შორის, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე საპროცესოსამართლებრივი ვალდებულების ნაწილია, მაგრამ აგრეთვე შეიძლება მოიაზრებოდეს სახელმწიფოს ვალდებულე-

ბებში, რომლებიც ერთობლივად გამომდინარეობს კონვენციის მე-14 მუხლიდან და მე-2 მუხლიდან, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლის უფლება დისკრიმინაციის გარეშე. ამ ორი დებულების ურთიერთავშირიდან გამომდინარე, მსგავსი საქმეები შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ ერთი მუხლის ჭრილში ისე, რომ არ ნარმოიშვას მეორე მუხლის მოქმედების გავრცელების საჭიროება, ან შეიძლება საჭირო იქნეს საქმის განხილვა ორივე მუხლის ჭრილში. აღნიშნული გადაწყდება თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და განაცხადის სპეციფიკის მიხედვით.[14]

ბ) წამების აკრძალვის კონტექსტი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი აქტების გამოძიებისას რასობრივი შეუწყნარებლობის გათვალისწინების ვალდებულება ასევე გაავრცელა ნამების აკრძალვის კონტექსტზეც. როდესაც შესაბამისი უწყებები იძიებენ ძალადობრივ ინციდენტებს, მაგალითად, კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო არასათანადო მოპყრობას, მათ აკისრიათ ვალდებულება, რომ მიიღონ ყველა გონივრული ზომა რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივის გამოსავლენად და დაადგინონ, ჰქონდა თუ არა შესაბამის ქმედებებს საფუძვლად ეთნიკური სიძულვილი თუ მიკერძოება. წამების აკრძალვის კონტექსტშიც, ევროპული სასამართლო რასისტული მოტივების დამტკიცების პრაქტიკულ სირთულეს აღიარებს. ამ დროს, ევროპული სასამართლო ამოწმებს, ყველანაირად ეცადა თუ არა მოპასუხე სახელმწიფო შესაძლო რასისტული ქვენაგრძნობების გამოძიებას. ეს არ არის სახელმწიფოს აბსოლუტური ვალდებულება. ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა მოცემულ შემთხვევაში ყველა გონივრული ღონისძიება უნდა განახორციელონ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ჭეშმარიტების დასადგენად უნდა გამოიყენონ ყველა პრაქტიკული საშუალება და გამოიტანონ სრულად დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები ისე, რომ არ გამორჩეთ საეჭვო ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს რასობრივად მოტივირებულ ძალადობაზე.[15]

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ხელისუფლების ორგანოების ვალდებულება, გამოიძიონ შესაძლო კავშირი რასისტულ დამოკიდებულებასა და ძალადობის აქტებს შორის, არის კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე მათი საპროცესოსამართლებრივი ვალდებულების ასპექტი, მაგრამ აღნიშნული, აგრეთვე, შეიძლება, მოიაზრებოდეს კონვენციის მე-14 მუხ-

14 ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Nachova and Others v. Bulgaria*), განაცხადები nos. 43577/98 43579/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 161.

15 მახაშევები რუსეთის წინააღმდეგ (*Makhashevy v. Russia*), განაცხადი no. 20546/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 138.

ლიდან გამომდინარე ვალდებულებად, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს მე-3 მუხლით გარანტირებული ფუძემდებლური ფასეულობები. იქიდან გამომდინარე, თუ როგორ არის ეს ორი დებულება ურთიერთდაკავშირებული, საქმეები შეიძლება ხვდებოდეს ორიდან ერთ-ერთი მუხლის განხილვის სფეროში ისე, რომ მეორე მუხლი შემხებლობაში არ იყოს, ან შეიძლება ორივე მუხლით ერთობლივად განხილვას მოითხოვდეს. აღნიშნული გადაწყდება კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და განმცხადებლის მიერ გამოთქმული პრეტენზიების მიხედვით.[16]

შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა

ვიდრე განმცხადებელი მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მან ეროვნულ დონეზე უნდა ამოწუროს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებები. თუ მოპასუხე სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა, რომ განმცხადებლის პრეტენზია ეროვნულ დონეზევე განიხილოს, ევროპული სასამართლო განაცხადს არსებითად განსახილველად არ დაუშვებს.

ევროპული სასამართლო მოითხოვს მხოლოდ იმ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვას, რომლებიც ქმედითია. შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებების ამოწურვის წესი აბსოლუტური არ არის და არც ავტომატურად გამოიყენება. ამ დროს ევროპული სასამართლო ითვალისწინებს მოპასუხე სახელმწიფოს სამართლის სისტემაში ფორმალურსამართლებრივი საშუალებების არსებობას, ზოგად სამართლებრივ და პოლიტიკურ კონტექსტს, რომელშიც ეს საშუალებები ფუნქციონირებს და მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებებს და იმას, თუ გააკეთა განმცხადებელმა ყველაფერი, რაც მას გონივრულად მოეთხოვებოდა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოსანურად.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა არაასათანადო მოპყრობის კონტექსტში

არასათანადო მოპყრობის კონტექსტში შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის საკითხის შეფასებისას, ანუ არსებული შიდასამართლებრივი საშუალების ქმედითობის და იმის შეფასებისას, თუ რამდენად იყო აუცილებელი ამ საშუალების ამოწურვა, გადამწყვეტი საკითხია, შეეძლო თუ არა განმცხადებელს, ეჩივლა ეროვნულ სასამართლოში აღნიშნულ მოპყრობაზე და მიეღო პირდაპირი და დროული სამართლიანი დაკმაყოფილება. შიდასამართლებრივი საშუალება უნდა იძლეოდეს სავალდებულო ძალის მქონე შედეგს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პრევენციული, ისე საკომპენსაციო ხასიათის, როცა განმცხადე-

16 *Idem.* პუნქტი 139.

ბელი დავობს თავისუფლების აღკვეთის ადგილას არასათანადო მოპყრობაზე, ან პატიმრობის არასათანადო პირობებზე (მათ შორის, არასათანადო სამედიცინო დახმარებაზე). თუ შიდასამართლებრივი საშუალება არ იძლევა აღნიშნული სახით სავარაუდოდ დარღვეული უფლების თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენის შესაძლებლობას, მისი ამოწურვა განმცხადებელს არ მოეთხოვება და მას შეუძლია პირდაპირ მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.[17] აგრეთვე, განმცხადებელს არ ევალება დაელოდოს გამოძიებას, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობს, რამდნჯერმე შეჩერებული და განახლებულია.

რელევანტური საქმეები

პატიმრის პრეტენზია, რომ სხვა პატიმრების მიერ მისი ცემა ქმედითად არ ყოფილა გამოძიებული: განაცხადი დაუშვებელია

ფაქტები:[18] პატიმარი დავობს, რომ გამოძიების ორგანოებმა უარი თქვეს სისხლის სამართალწარმოების დაწყებაზე სხვა პატიმრების მიერ მისი ცემის ფაქტზე. პატიმრები, რომლებმაც იგი სცემეს, არც კი დაკითხულან.

სახელმწიფოს ინფორმაციით, პატიმრის საჩივრის საფუძველზე, დროული და სრული გამოძიება ჩატარდა. გამოძიებამ აჩვენა, რომ პრეტენზია სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგანაც არ იყო შესაბამისი მტკიცებულებით გამყარებული. სახელმწიფოს მტკიცებით, პატიმრის დაძაბული ურთიერთობა სხვა პატიმრებთან მისი საკუთარი ქმედებით იყო გამოწვეული. საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპყრობამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს მიაღწია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლომ დაადასტურა თავისი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ არსებული მტკიცებულების შეფასებისას, ევროპული სასამართლო იყენებს „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“, რაც გულისხმობს „მტკიცებას, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს საკმაოდ მყარ, ზუსტ და თანმხვედრ ფაქტებზე დამყარებული ვარაუდიდან ან მსგავსი უტყუარი ფაქტების პრეზუმფციიდან“.

მოცემულ საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არასათანადო მოპყრობის მტკიცებულება იყო თავად პატიმრის ზოგადი განცხადე-

17 მელნიკი უკრაინის წინააღმდეგ (*Melnik v. Ukraine*), განაცხადი no. 72286/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება.
18 კოვალკოვსი ლატვიის წინააღმდეგ (*Kovaļkovs v. Latvia*), განაცხადი no. 35021/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის განჩინება.

ბა და ამონარიდი სამედიცინო ბარათის ჩანაწერიდან. განმცხადებლის თქმით, ის ორმა პატიმარმა სცემა, თუმცა არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ რამდენჯერ დაარტყეს, სად დაარტყეს და რა სიძლიერით. რაც შეეხება სამედიცინო ბარათში გაკეთებულ ჩანაწერს, ევროპულ სასამართლოს რომც ევარაუდა, რომ იგი სრულად და სათანადოდ არ ასახავდა პატიმრის მდგომარეობას სავარაუდო ცემის შემდეგ, ერთადერთი წინააღმდეგობა, რაც შეიმჩნეოდა პატიმრის განცხადებასა და ხელისუფლების პოზიციას შორის, ის იყო, რომ ექთანმა უთხრა პატიმარს, რომ „თავზე სიწითლე ჰქონდა“, ხოლო პატიმარმა თავად აჩვენა მას კანზე განაკაწრი, რომელიც არ იქნა დოკუმენტირებული. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილას არასათანადო მოპყრობა გონივრულ ეჭვს მიღმა არ მტკიცდებოდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმრის განცხადებებს აკლდა დეტალები და დამაჯერებლობა. ეროვნულ დონეზე, პატიმარს არ გაუკეთებია დამაჯერებელი განცხადება, რომელიც ვალდებულს გახდიდა ეროვნული ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, გამოეძიებინათ მისი პრეტენზიები. შესაბამისად, პატიმრის განცხადება იმის თაობაზე, რომ არასათანადო მოპყრობა ქმედითად არ ყოფილა გამოძიებული, აშკარად დაუსაბუთებელი იყო. განაცხადი არსებითი განხილვისთვის არ იქნა დაშვებული.

სხვა პატიმრების მიერ ნაცემი პატიმრის გარდაცვალების გამოძიება, რომელმაც არ დაასახელა თავდამსხმელები და მოწმეებმა უარი თქვეს სასამართლოში ჩვენების მიცემაზე: დარღვევა

ფაქტები:[19] განმცხადებლის ვაჟი, სასჯელის მოხდის პერიოდში, სცემეს სხვა პატიმრებმა. ნაცემმა პატიმარმა უარი თქვა, პენიტენციური დანესებულების ადმინისტრაციის სახელზე დაეწერა განცხადება და აღეწერა ცემის დეტალები. მან სამედიცინო შემოწმებაზეც უარი განაცხადა. შემდგომი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, ადმინისტრაციის განკარგულებით, პატიმარი მეორე დღის დილამდე მოთავსდა იზოლატორში. დილით, ციხის დირექტორმა პატიმარს მოსთხოვა, ინციდენტის დეტალები მოეყოლა. პატიმარმა განაცხადა, რომ მას მტრები არ ჰყავდა, არავინ არაფერს ედავებოდა და შეიძლება ვიღაც უცნობმა პატიმრებმა შეცდომით სცემეს. ადმინისტრაციამ, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შესთავაზა პატიმარს სამარტოო საკანში დარჩენა ან სამედიცინო განყოფილებაში გადაყვანა, მაგრამ მან უარი განაცხადა. პატიმრის თქმით, ის ჯანმრთელად იყო და არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა.

19 ჩესნულევიჩიუსი ლიეტუვას წინააღმდეგ (*Česnulevičius v. Lithuania*), განაცხადი no. 13462/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება.

ციხის დირექტორმა განკარგულება გასცა პატიმრის საცხოვრებელ ფლიგელში დაბრუნებაზე. მეორე დღეს პატიმარი ისევ სცემეს. პატიმრის თქმით, მან ფეხი დაიზიანა ფეხბურთის თამაშის დროს. მესამე დღეს პატიმარი ისევ სცემეს. ციხის დირექტორის სახელზე შედგენილ განცხადებაში, პატიმარმა დაწერა, რომ თავდამსხმელებს ნიღბები ეკეთათ. მას გაეწია სამედიცინო დახმარება და იმავე დღეს, საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის მიღებული დაზიანებებისგან გარდაიცვალა.

ციხის ადმინისტრაციამ ჩაატარა მოკვლევა და მოკვლევის შედეგები ნარუდგინა პროკურატურას. პროკურატურამ დაიწყო გამოძიება. ვინაიდან მკვლელობაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, გამოძიება რამდენჯერმე შეჩერდა და განახლდა. საქმეზე არსებობდა 11 ეჭვმიტანილი. გამოიკითხა 4 ანონიმური მოწმე და მათ დაასახელეს პირები, რომლებიც, სავარაუდოდ, გარეულები იყვნენ დანაშაულში. ანონიმურმა მოწმეებმა უარი განაცხადეს მოწმეებად სასამართლოში დაკითხვაზე. ამის შემდეგ, პროკურორმა შეწყვიტა გამოძიება იმ საფუძვლით, რომ მკვლელობაზე პასუხისმგებელი პირების დადგენა ვერ მოხერხდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებულ პირობებში, ვინაიდან დანაშაული ჩადენილი იქნა კონტროლირებულ გარემოში, სახელმწიფოს უკეთესად შეეძლო პატიმრის გარდაცვალების გამოძიება.

ევრპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიება ოპერატიულად დაიწყო, პატიმრის გარდაცვალებიდან მეორე დღესვე. მართალია, განმცხადებელმა დაზარალებულის სტატუსი ერთი წლის შემდეგ მიიღო, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ განმცხადებლის მეუღლეს მანამდეც ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი და თავად განმცხადებელმა კი ამ ხნის განმავლობაში, რამდენჯერმე შეიტანა საჩივარი პროკურატურაში, რომლებიც განხილული იქნა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, გამოძიება მე-2 მუხლის სტანდარტებთან შეუსაბამო ხარვეზებით იყო სავსე. სასამართლომ გააკრიტიკა ეროვნულ დონეზე ჩატარებული სამართალწარმოება, ვინაიდან გამოძიება 5-ჯერ შეჩერდა და შეწყდა იმ საფუძვლით, რომ პროკურორმა არ მიიღო გადაწყვეტილება ექსპერტიზის ჩატარებაზე და 11 ეჭვმიტანილიდან არც ერთის მიმართ საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაატარა. ორი ეჭვმიტანილის სისხლის ნიმუში სასამართლო ექსპერტიზისთვის გამოუსადეგარი იყო და ამიტომ საჭირო იყო ახალი ნიმუშების აღება, რამაც გამოძიება შეაყოვნა. ამ კონტექსტში, სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს კომპეტენტური, კვალიფიციური და მიუკერძოებელი ექსპერტების მიერ.

სასამართლოში მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ დაუშვებელი იყო ექვმიტანილებისთვის ბრალის წაყენება და მათი სასამართლოს წინაშე წარდგენა მხოლოდ ანონიმურ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე. სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონვენცია არ გამორიცხავს გამოძიების ეტაპზე ანონიმური მოწმეების ინფორმაციის გამოყენებას; კონვენციის თვალსაზრისით, პრობლემა შეიძლება წარმოშვას შემდეგში სასამართლოს მიერ ამ ინფორმაციის გამოყენებამ პირის მსჯავრდების დასასაბუთებლად.

კონვენციის მე-6 მუხლი პირდაპირ არ მოითხოვს, რომ მოწმეთა ინტერესები მხედველობაში იყოს მიღებული. თუმცა მათი სიცოცხლე, თავისუფლება თუ უსაფრთხოება შეიძლება საფრთხეს დაექვემდებაროს. მოწმეთა ასეთი ინტერესები დაცულია კონვენციის სხვა მატერიალური დებულებებით, რომლებიც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა მოაწყოს სისხლისსამართალწარმოება იმდაგვარად, რომ ეს ინტერესები გაუმართლებლად არ დადგეს საფრთხის ქვეშ. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ციხეში, სულ ცოტა, ორი პატიმარი იქნა მოკლული, ევროპული სასამართლოსთვის გასაგები იყო, რომ ანონიმურ მოწმეებს არ სურდათ სხვა პატიმრების წინააღმდეგ ჩვენების მიცემა. მაგრამ აღნიშნულის გათვალისწინებითაც, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ არსებობს სხვა საშუალებები, მათ შორის ტექნიკური, რომელიც იძლეოდა მოწმეების დაკითხვის შესაძლებლობას, მათი ვინაობის გამუღავნების გარეშე.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ანონიმური მოწმეები მტკიცებულების ერთადერთი წყარო არ იყვნენ. მართალია, ევროპული სასამართლოს ფუნქცია არ არის, შეაფასოს თითოეული მტკიცებულების მტკიცებითი ძალა, მაგრამ მას არ შეუძლია, ყურადღება არ მიაქციოს იმ გარემოებას, რომ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იყო რკინის ძელი და ნიღბები და განმცხადებლის ინფორმაციით, დაცვამ ამ ადგილის მახლობლად სამი პატიმარი დააკავა. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ერთ-ერთი პროკურორის აზრი, რომ ანონიმური მოწმეები შეიძლება დაკითხულიყვნენ მათ მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის ვაჟის გარდაცვალებიდან 11 წელზე მეტი გავიდა, არაგონივრული არ იყო იმის მიჩნევა, რომ სულ ცოტა, რამდენიმე მოწმე ამ დროისთვის სასჯელს მოიხდიდა. მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია არანაირი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომელიმე მოწმე განმეორებით დაიკითხა თუ არა, მათ მიერ ჩვენების მიცემის უზრუნველყოფის მიზნით.

დაბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ არანაირი სისხლის, ადმინისტრაციული თუ დისციპლინური სამართალწარმოება არ დაწყებულა ციხის თანამშრომლების წინააღმდეგ.

აღნიშნული გარემოებები საკმარისი იყო ევროპული სასამართლოსთვის, რათა დაესკვნა, რომ ჩატარებული გამოძიება ქმედითი არ ყოფილა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საპროცესოსამართლებრივი ნაწილი.

სხვა პატიმრების მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიება: დარღვევა

ფაქტები:[20] განმცხადებელმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იჩივლა იმის თაობაზე, რომ ორჯერ დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას სხვა პატიმრების მხრიდან და ეროვნულ ხელისუფლებას ამ ინციდენტებზე ქმედითი გამოძიება არ ჩაუტარებია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ არასათანადო მოპყრობას სხვა პატიმრების მხრიდან ჰქონდა ადგილი პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც განმცხადებელი ადმინისტრაციის დაცვისა და კონტროლს ქვეშ იმყოფებოდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლში მოცემული აბსოლუტური აკრძალვის ძალით, სახელმწიფოს ვალდებულება აქვს ქმედითი გამოძიება (არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და სათანადოდ დასჯა) ჩაატაროს იმის მიუხედავად, თუ ვინ არის დაზარალებული. სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ მყოფ პირებთან მიმართებით, როდესაც ეს უკანასკნელნი ამტკიცებენ სახელმწიფოს მოხელეთა მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარებას, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოვლინდეს და დაისაჯოს დამნაშავე, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მსგავსი ქმედება მომავალშიც დაიშვება.

მოცემულ შემთხვევევაში, სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს, კონვენციის მე-3 მუხლში გათვალისწინებული აბსოლუტური აკრძალვიდან გამომდინარე, დაზარალებულის სტატუსის მიუხედავად, ეკისრებოდათ ქმედითი გამოძიების ჩატარების ვალდებულება.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პენიტენციური სისტემის შესაბამისმა სამსახურმა პატიმარზე თავდასხმის დღესვე დაინყო მოკვლევა. შესაბამისად, გამოძიება „დროულობის" მოთხოვნას ამ ნაწილში აკმაყოფილებდა. ევროპული სასამართლოს შესაფასებელი, ამის შემდეგ, იყო ის, თუ რამდენად „ქმედითი" იყო გამოძიება.

---

20 გიორგი ანტოკი რუმინეთის წინააღმდეგ (*Ghiorghi Antochi c. Roumanie*), განაცხადი no. 36632/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება.

ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც ადამიანი ციხეში დაზიანებას იღებს, შეძლებისდაგვარად, მალე უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება, რათა მიყენებული ზიანის ნიშნები არ გაქრეს.

მოცემულ შემთხვევაში, თავდასხმის დღეს, განმცხადებელმა ციხის სამედიცინო განყოფილებაში გაიარა ზოგადი სამედიცინო და რენტგენული შემოწმება. სამედიცინო ბარათში დადასტურდა თავდასხმის ფაქტი, მაგრამ სამედიცინო ჩანაწერები ლაკონიური იყო. არ აღინიშნა, თუ როგორ იყო დაზიანება მიყენებული და რამდენი ხნით იმყოფებოდა პატიმარი სამედიცინო განყოფილებაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სამედიცინო ჩანაწერები არასრულყოფილი იყო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ის, თუ რამდენი დღე სჭირდება სამედიცინო დახმარება დაზარალებულს ექსპერტიზის შემდეგ, არის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ფაქტორი. სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა მხოლოდ ორი წლის შემდეგ, როცა დაზიანების ყველა კვალი გამქრალი იყო. შესაბამისად, სამედიცინო ექსპერტს არ შეეძლო, შეეფასებინა დაზიანებები და პირდაპირი დასკვნა გაეკეთებინა. ის იძულებული იყო, თავისი დასკვნა ციხის ექიმის მიერ გაკეთებულ ზედაპირულ სამედიცინო ჩანაწერებზე დაემყარებინა. შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოსაც არ შეეძლო თავისი გადაწყვეტილება სპეციალიზირებულ სამედიცინო დასკვნაზე დაემყარებინა. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე არასათანადო მოპყრობას კონკრეტული კვალიფიკაცია (წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა) არ მისცა, ვინაიდან არ უმსჯელია მე-3 მუხლის დარღვევაზე მატერიალურსამართლებრივ ნაწილში, გამომდინარე იქიდან, რომ პატიმრები მოქმედებდნენ ინდივიდუალური პასუხისმგებლობით და სახელმწიფოს მონაწილეობა მათ ქმედებაში არ იკვეთებოდა. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწმეთა ჩვენებების თანახმად, დასტურდებოდა, რომ პატიმარი ნაცემი იყო მუშტებითა და ფეხებით თავსა და მუცლის არეში. ამასთან, სამედიცინო დასკვნით, დასტურდებოდა მკერდის არეში მიყენებული ტრავმა. ევროპული სასამართლოს აზრით, ცალსახად დასტურდებოდა იმ გარემოებების არსებობა, რომლებიც საკმარისად მძიმე იყო იმისთვის, რომ დანაშაულებრივ ქმედებებს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის კვალიფიკაცია მისცემოდა.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ წარედგინა დეტალური სამედიცინო დასკვნა, ის ვერ დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების დასკვნას პატიმრისთვის მიყენებული დაზიანებების სიმძიმეზე. სახელმწიფომ დაკისრებული მტკიცების ტვირთი ვერ განახორციელა. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულ დონეზე

წარმოებული გამოძიება არასრულყოფილი იყო და შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვა საპროცესოსამართლებრივ ნაწილში.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა განმცხადებლებისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის კომპენსაციის გადახდა თითოეულისთვის 4 000 ევროს ოდენობით.

გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო სხვა პატიმრების მხრიდან პატიმარზე ძალადობა ქმედითად არ ყოფილა გამოძიებული, ექიმმა არ აღრიცხა დაზიანებები, ადმინისტრაციამ არ შეატყობინა უფლებამოსილ უწყებებს: დარღვევა

ფაქტები:[21] განმცხადებელი არის მსჯავრდებული, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ამტკიცებდა, რომ დაექვემდებარა ძალადობას სხვა პატიმრების მხრიდან. მას შემდეგ, რაც მან გამოძიებას მისცა ჩვენება სხვა პატიმრის წინააღმდეგ, ის ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას დაექვემდებარა პატიმრების მხრიდან. მისი მტკიცებით, ცენტრალური ციხის ექიმმა, რომელმაც მას სამედიცინო დახმარება გაუწია, უარი თქვა დაზიანებების აღრიცხვაზე და ადმინისტრაციამ არ შეატყობინა უფლებამოსილ უწყებებს. მსჯავრდებული გადაყვანილი იქნა სხვა საკანში და ორი თვის შემდეგ – ცენტრალური ციხიდან სხვა ციხეში. საბოლოოდ, მსჯავრდებულმა სახალხო დამცველთან იჩივლა, რასაც მოჰყვა მოკვლევის დაწყება. ციხის ადმინისტრაციამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ მსჯავრდებულს არ უჩივლია არასათანადო მოპყრობის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: დადგენილი იყო, რომ განმცხადებელმა ითანამშრომლა გამოძიებასთან, როდესაც მის წინააღმდეგ წარმოებდა სისხლის სამართლის საქმე. როდესაც განმცხადებელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, ხელისუფლებას უნდა მიეღო შესაბამისი ზომები მის დასაცავად. კერძოდ, ინფორმაცია უნდა მიწოდებოდა ციხის ადმინისტრაციას მსჯავრდებულის მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ, ვიდრე მას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოათავსებდნენ. სამართალდამცავ ორგანოებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის კოორდინაციის ნაკლებობამ მსჯავრდებული განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში ჩააყენა. რაც შეეხება ჩატარებულ გამოძიებას, სამედიცინო შემოწმება არ ჩატარებულა, არ დაკითხულან არც მსჯავრდებული და არც ციხის ექიმი. შესაბამისად, გამოძიება ქმედითი არ ყოფილა.

---

21 ჯ.ლ. ლატვიის წინააღმდეგ (*J.L. v. Latvia*), განაცხადი no. 23893/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სავარაუდოდ ხელისუფლების წაქეზებით სხვა პატიმრების მიერ არასათანადო მოპყრობის გამოძიება: დარღვევა

ფაქტები.[22] განმცხადებლის მტკიცებით, მისი პატიმრობის პირველი ოთხი კვირის განმავლობაში, მას გონების დაკარგვამდე სცემდნენ ნიღბიანი პოლიციელები და პოლიციის ბრძანებით – სხვა პატიმრები, რასაც ზედამხედველები უწყობდნენ ხელს. ერთ-ერთმა პატიმარმა, სახელად ნელუმ, გამომძიებლების წაქეზებით და სხვა პატიმრების ხელშეწყობით, გააუპატიურა განმცხადებელი. პატიმრები აშარდავდნენ მის საკვებს და აიძულებდნენ, ეჭამა იგი. მას არ აძლევდნენ საპირფარეშოთი სარგებლობის უფლებას და სცემდნენ, როდესაც საკანში შარდავდა. მოპასუხე სახელმწიფოს მტკიცებით, განმცხადებელი არასათანადო მოპყრობას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ დაქვემდებარებია. ხელისუფლებამ ევროპულ სასამართლოში წარადგინა დეტალური სამედიცინო ჩანაწერები და ამტკიცებდა, რომ პატიმარი, სახელად ნელუ, ვერ იქნა იდენტიფიცირებული. განმცხადებელმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იჩივლა იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არასათანადო მოპყრობა ქმედითად არ ყოფილა გამოძიებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის შესახებ გაკეთებული სამედიცინო ჩანაწერები იძლეოდა ინფორმაციას მიყენებული დაზიანებების სიმძიმის შესახებ და შესაბამისად, საქმეზე ვრცელდებოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედება. რაც შეეხება გამოძიების ქმედითობას, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელთან ერთად საკანში დაახლოებით 7 სხვა პატიმარი იმყოფებოდა, საგამოძიებო ორგანოებმა დაკითხეს მხოლოდ 2. აქედან ერთი პატიმარი განმცხადებელთან ერთად საკანში საერთოდ არ ყოფილა განთავსებული. პოლიციის თუ დაწესებულების თანამშრომლები არ დაკითხულან. გამოძიების ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო პოლიციის თანამშრომლების გამართლებისკენ და არა განმცხადებლის მიერ მიღებული დაზიანების წყაროს დადგენისკენ.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ როგორც პროკურორისთვის, ისე ციხის ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო განმცხადებლის ფსიქიკური პრობლემების შესახებ. პროკურორმა დაასკვნა, რომ განმცხადებლის დაზიანებები მიყენებული იყო სხვა პატიმრების მიერ, მისი ქცევის და ფსიქიკური პრობლემების გამო, მაგრამ ციხის ადმინისტრაციიდან არავინ მიცემულა პასუხისგებაში იმის გამო, რომ პა-

22 გეორგესკუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Georgescu v. Romania*), განაცხადი no. 25230/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.

ტიმარი მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესაფერისი პირობებით არ ყოფილა უზრუნველყოფილი. ევრპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას სათანადოდ არ გამოუძიებია პატიმრის განაცხადი მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ. შესაბამისად, დადგინდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მის საპროცესოსამართლებრივ ნაწილში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა პატიმრისთვის მორალური ზიანისთვის კომპენსაციის გადახდა 8 000 ევროს ოდენობით.

საკანში ხანძრის გაჩენის შედეგად პატიმრის გარდაცვალების გამოძიება: დარღვევა

ფაქტები:[23] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადი შეიტანა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის მამამ. განმცხადებლის ვაჟი გარდაიცვალა ციხეში გაჩენილი ხანძრის გამო, პირველი და მეორე ხარისხის დამწვრობის მიღების შედეგად.

2006 წლის 6 დეკემბერს, განმცხადებელმა შეიტყო, რომ მისი ვაჟი სამი დღით ადრე გარდაიცვალა. ხანძრის გაჩენის ზუსტი დრო არ დადგინდა. განმცხადებლის ვაჟი საკნიდან ზედამხედველებმა გამოიყვანეს, დაახლოებით, დილის შვიდ საათზე; მას პირველადი დახმარება ჩაუტარა სანიტარმა; დაახლოებით, დილის 11 საათსა და 45 წუთზე, წაიყვანეს საავადმყოფოში; 2 საათსა და 45 წუთზე, მიყვანილი იქნა საავადმყოფოში და მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

პროკურატურამ დაიწყო მოკვლევა გარდაცვალების მეორე დღეს. 2008 წლის მაისში რაიონულმა პროკურატურამ უარი თქვა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე დაასკვნა რა, რომ მსჯავრდებული ბუნებრივად გაჩენილი ხანძრის შედეგად გარდაიცვალა. ეროვნულმა სასამართლომ, საბოლოოდ, ძალაში დატოვა პროკურორის გადაწყვეტილება.

განმცხადებელმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იდავა, რომ გამოძიება ქმედითი არ ყოფილა. გამოძიება ეცადა იმ პირების ქმედებების მიჩქმალვას, რომლებმაც მისი ვაჟი აწამეს, ამის დასაფარად ხანძარი გააჩინეს საკანში და მისი ვაჟის გარდაცვალებაზე იყვნენ პასუხისმგებლები; გამოძიებით არ დადგინდა გარდაცვალების ზუსტი დეტალები; გამოძიება ზედაპირული იყო და გადაწყვეტილებები სისხლისსამართლებ-

23 მუსტაფაიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Mustafayev v. Azerbaijan*), განაცხადი no. 47095/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

რივი დევნის არდაწყებაზე – იდენტური. დაბოლოს, მას სათანადოდ არ აცნობებდნენ გამოძიების პროგრესის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სამართალწარმოების განმავლობაში, ზემდგომმა პროკურორებმა და ეროვნულმა სასამართლოებმა ოთხჯერ აღნიშნეს თავიანთ გადაწყვეტილებებში, რომ ჩატარებული მოკვლევა სრულყოფილი არ ყოფილა და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებაზე გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი იყო. ევროპული სასამართლო ამ შეფასებას დაეთანხმა და მიიჩნია, რომ საქმის გამოძიებაში რამდენჯერმე დაბრუნება იმაზე მიანიშნებდა, რომ საგამოძიებო ორგანოებმა საქმის გარემოებების დადგენის ვალდებულება სათანადოდ არ შეასრულეს.

ამასთან, ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე ხარვეზი გამოყო, რაც შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს არ აღუნიშნავთ. კერძოდ, განმცხადებელს სამი დღის დაგვიანებით ეცნობა მისი ვაჟის გარდაცვალების შესახებ. ხოლო მოკვლევის დაწყებიდან მხოლოდ სამი დღე იყო გასული, როცა გამომძიებელმა მიიღო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებაზე. შესაბამისად, განმცხადებელს არა მარტო არ შეეძლო, მონაწილეობა მიეღო პირველ მოკვლევაში, არამედ არც კი ეცნობა იმ საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რაც გამომძიებელმა განახორციელა.

ამასთან, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საგამოძიებო უწყებებმა არ მოიპოვეს ყველა მტკიცებულება. მათ არ განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებები პატიმრის გარდაცვალების მიზეზების დასადგენად. ვინაიდან შემთხვევის ადგილი არ ყოფილა დაცული, ვერ მოხერხდა მისი შემოწმება. ევროპულ სასამართლოს არ წარედგინა არანაირი განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ იქნა დაცული შემთხვევის ადგილი – სასჯელაღსრულების დაწესებულების საკანი, სადაც გაჩნდა ხანძარი.

საქმის მასალებში იყო განმცხადებლის ვაჟის მიერ ხელმოწერილი ჩვენება, რომელშიც აღწერილი იყო მოვლენათა განვითარება და დათარიღებული იყო 2006 წლის 3 დეკემბრით. საქმის მასალებში ასევე იყო სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, ინციდენტის შემდგომ, პატიმარს არ შეეძლო არც საუბარი, არც წერა და საერთოდ არანაირი მოძრაობის შესრულება, რადგანაც მიღებული დამწვრობის შედეგად შოკში იმყოფებოდა. გამოძიებამ არ მიაქცია ყურადღება ამ წინააღმდეგობრივ გარემოებებს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებამ დაადგინა, რომ პატიმარი დაუყოვნებლივ არ გადაუყვანიათ საავადმყოფოში, არ დამდგარა სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი, გადაყვანის დაგვიანების გამო.

დაბოლოს, საგამოძიებო უწყებებს დროულად არ უცნობებიათ გამოძიების მიმდინარეობის მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ გარდაცვლილის მამისთვის. სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ, 2008 წლის 26 დეკემბერს, გარდაცვლილის მამას პროკურორის 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების ასლი გადაეცა.

აღნიშნული გარემოებები საკმარისი იყო ევროპული სასამართლოსთვის, დაესკვნა, რომ ეროვნულ დონეზე ქმედითი გამოძიება არ ჩატარებულა. შესაბამისად, დადგინდა მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა მსჯავრდებულისთვის მორალური ზიანის კომპენსაციისთვის 20 000 ევროს გადახდა.

სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრის თვითმკვლელობის გამოძიება: დარღვევა

ფაქტები:[24] განმცხადებლის ვაჟმა, სასჯელის მოხდის პერიოდში, თავი მოიკლა სამართლო საკანში ყოფნისას. სასჯელის მოხდის პერიოდში, ის, ალკოჰოლის მოხმარების გამო, სამართლო საკანში რამდენჯერმე იქნა მოთავსებული. პირველი დისციპლინური სახდელის მოხდის დროს, მსჯავრდებულმა თვითდაზიანება მიიყენა, ხოლო მეორეჯერ თავის მოკვლა სცადა. ამის შემდეგ, ის ფსიქიატრიული მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს. სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, მას რაიმე მკაფიოდ გამოხატული ფსიქიატრიული სიმპტომები არ ჰქონდა. ფსიქიატრს არასოდეს დაუდგენია, რომ განმცხადებლის ვაჟი მიდრეკილი იყო სუიციდისკენ.

მსჯავრდებულს მესამეჯერაც შეუფარდეს სამართლო საკანში ყოფნა, ისევ ალკოჰოლის მოხმარების გამო. საკანში მოთავსებიდან ერთ საათში, ის გარდაცვლილი იპოვეს. პატიმარმა ქურთუკის სახელოზე ჩამოიხრჩო თავი.

იმავე დღეს, ციხის დირექტორმა დაიწყო მოკვლევა, შეისწავლა რიგი დოკუმენტები და პატაკები, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო და დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიების დაწყების საფუძველი არ არსებობდა. განმცხადებლის მცდელობის მიუხედავად, მისი ვაჟის გარდაცვალებაზე სისხლის სამართლის გამოძიება არ დაწყებულა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს მიმართა, გამოძიება დაიწყო და დამთავრდა დასკვნით, რომ მსჯავრდებულმა თავი ჩამოიხრჩო.

---

24 ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Trubnikov v. Russia*), განაცხადი no. 49790/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: თავდაპირველი მოკვლევა, რომელიც ჩატარდა ციხის დირექტორის მიერ, არ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობის მინიმალურ მოთხოვნას, ვინაიდან ის ინციდენტის მონაწილე უწყებას წარმოადგენდა. უფრო მეტიც, მოკვლევას არ დაუკმაყოფილებია საჯაროობის მოთხოვნა. ოჯახი არც კი იყო ინფორმირებული სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე. რაც შეეხება პროკურატურის მიერ ჩატარებულ გამოძიებას, რომელიც დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის განაცხადი მოპასუხე სახელმწიფოს გადაუგზავნა, ამ დროს უკვე ინციდენტიდან სამ წელზე მეტი იყო გასული. ასეთი მნიშვნელოვანი დაგვიანების გამო, ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, რომ გულმოდგინედ და ოპერატიულად ჩაეტარებინა გამოძიება. ამასთან განმცხადებელი და დანარჩენი ოჯახი სრულად გამორიცხეს სამართალწარმოებიდან, მათ არ მინიჭებიათ დაზარალებულის სტატუსი და არასოდეს მიუღიათ ინფორმაცია გამოძიების პროგრესის შესახებ. შესაბამისად, გამოძიებას აკლდა საზოგადოების მხრიდან საკმარისი კონტროლი და არ დაუცავს გარდაცვლილის ახლო ნათესავების ინტერესები. მართალია, ხელისუფლებამ გადადგა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა დაედგინა სიკვდილთან დაკავშირებული გარემოებები, გამოძიებამ ვერ დააკმაყოფილა ოპერატიულობის, სანიმუშო გულმოდგინების და საჯაროობის მოთხოვნები. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესოსამართლებრივი ნაწილი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა მსჯავრდებულისთვის მორალური ზიანის კომპენსაციისთვის 8 000 ევროს გადახდა.

ფსიქიკურად დაავადებული პატიმრის გარდაცვალების გამოძიება: დარღვევა

ფაქტები:[25] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადი შეიტანა არასამთავრობო ორგანიზაციამ, პატიმრის სახელით, რომელიც გარდაიცვალა 2007 წელს.

შვიდწლიანი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოხდის პერიოდში, პატიმარს დაუსვეს ფსიქიკური ავადმყოფობის დიაგნოზი და ის ციხის სამედიცინო სამსახურის რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

25 რუმინეთში ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია – ჰელსინკის კომიტეტი იონელ გარჩეას სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (*Association for the Defence of Human Rights in Romania – Helsinki Committee on behalf of Ionel Garcea v. Romania*), განაცხადი no. 2959/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

მსჯავრდებული განმცხადებელ არასამთავრობო ორგანიზაციასთან სასჯელის მოხდის დასაწყისიდანვე ურთიერთობდა.

2004 წელს, მსჯავრდებულმა შუბლში ლურსმანი ჩაირჭო და 2005 წელს, კვლავ სცადა თვითმკვლელობა. მისი მტკიცებით, ის რამდენჯერმე სცემეს, ხელბორკილები დაადეს და სანოლზე დააბეს. მისი მონახულების შემდეგ, განმცხადებელმა ასოციაციამ რამდენჯერმე მიმართა ხელისუფლების ორგანოებს და იჩივლა პატიმრის მიმართ ძალის გამოყენების შესახებ და რომ მისთვის სამედიცინო დახმარების გაუწევლობა წამების ტოლფასი იყო. 2007 წლის ივნისში, მსჯავრდებულმა კიდევ ჩაირჭო ლურსმანი შუბლში, რის შემდეგადაც ოპერაცია ჩაუტარდა სამოქალაქო საავადმყოფოში. ციხის საავადმყოფოში დაბრუნების შემდეგ, ის მომდევნო თვეში გარდაიცვალა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ ციხის ადმინისტრაციას უჩივლა და მსჯავრდებულის სამედიცინო მკურნალობის გამოძიების დაწყება მოითხოვა. პროკურატურამ უარი თქვა ციხის ექიმების წინააღმდეგ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე. 2011 წლის თებერვალში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდებულის სიკვდილის გარემოებები დამატებით გამოძიებას საჭიროებდა და ბრძანება გასცა გამოძიების განახლებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მიმდინარე გამოძიება 7 წელზე მეტხანს გრძელდებოდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიება არ ყოფილა სრული, ვინაიდან პროკურატურას არსებით კითხვებზე არ ჰქონდა პასუხი გაცემული. დროში გაწელილი არასრული გამოძიების გამო, სახელმწიფოს არ შეუსრულებია კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესოსამართლებრივი ნაწილი.

მოშიმშილე პატიმრის გარდაცვალების გამოძიება: არდარღვევა

ფაქტები:[26] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი არის გამბიიდან. მისი ძმა გარდაიცვალა ავსტრიის პენიტენციურ დაწესებულებაში. მას შიმშილობა ჰქონდა გამოცხადებული. მსჯავრდებული გარდაცვალებამდე გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც დადასტურდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის გაგრძელების საშუალებას იძლეოდა. როდესაც დანესებულებაში დააბრუნეს, იმავე დღის დაახლოებით დილის 11 საათზე, ის მარტო მოათავსეს უსაფრთხოების საკანში, რომელშიც წყალი არ იყო გაყვანილი. პერსონალი მას ამონ-

26 სისეი ავსტრიის წინააღმდეგ *(Ceesay v. Aystria)*, განაცხადი no. 72126/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება.

მებდა ყოველ 15-30 წუთში ერთხელ. 13 საათსა და 20 წუთზე, ის გარდაცვლილად გამოცხადდა. გაკვეთის შედეგად დადგინდა, რომ მსჯავრდებული დეჰიდრატაციის შედეგად გარდაიცვალა. ამასთან, ის ნამგლისებრუჯრედოვანი ანემიით იყო დაავადებული, რაც თავად მსჯავრდებულისთვის ცნობილი არ ყოფილა.

განმცხადებლის მტკიცებით, მისი ძმის სიკვდილი არ ყოფილა ქმედითად გამოძიებული. ამასთან, ის ამტკიცებდა, რომ ექიმმა არასწორად შეაფასა მისი ძმის წონის კრიტიკული ზღვარი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: მოცემულ საქმეზე განმცხადებელი არ ამტკიცებდა, რომ მისი ძმა ხელისუფლების მიერ ძალის გამოყენების შედეგად გარდაიცვალა. ის ჩიოდა იმის თაობაზე, რომ მისი ძმის სიკვდილი სათანადოდ არ ყოფილა გამოძიებული. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე. ევროპულ სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, რამდენად იყო დაცული მე-2 მუხლის საპროცესოსამართლებრივი ნაწილი. პრეტენზია მსჯავრდებულის წონის კრიტიკული ზღვრის არასწორი გამოთვლისთვის და ზოგადად, სამედიცინო მკურნალობა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურსამართლებრივ ნაწილში იქნა განხილული.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო მსჯავრდებულის გარდაცვალების დღესვე. პროკურორის მიერ განხორციელებული ღონისძიებები დროული იყო. დაიკითხნენ შესაბამისი მოწმეები, მტკიცებულებები დაუყოვნებლივ იქნა მოპოვებული, გაიცა ბრძანება, სიკვდილის მიზეზის დასადგენად, სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

აღნიშნულ საქმეზე, განმცხადებელს არ გამოუთქვამს პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ექსპერტი დამოუკიდებელი არ ყოფილა. განმცხადებელს, როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრს, ჰქონდა შესაძლებელობა, ჩართულიყო სამართალწარმოებაში, როგორც კერძო მხარეს. სისხლისსამართალწარმოება შეწყდა მტკიცებულებების არარსებობის გამო. პროკურორი დაეყრდნო მრავალმხრივი გაკვეთის და სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებს, რომელთა თანახმადაც, გამორიცხული იყო სიკვდილის დადგომა ძალის გამოყენების შედეგად. გარდაცვალების მიზეზი იყო დეჰიდრატაცია და ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული ნამგლისებრუჯრედოვანი ანემიით იყო დაავადებული.

ეროვნულ დონეზე წარმოებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგად, დადგინდა, რომ რადგანაც მსჯავრდებული ისეთი ქვეყნიდან იყო, სადაც ნამგლისებრუჯრედოვანი ანემიით დაავადება ფართოდ იყო

გავრცელებული, მისთვის უნდა ეცნობებინათ პოტენციური რისკის თაობაზე მას შემდეგ, რაც მან შიმშილობა დაიწყო. მიუხედავად ამისა, იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ მსჯავრდებული ასეთი ქვეყნიდან იყო, პენიტენციურ დაწესებულებას არ ეკისრებოდა ვალდებულება აღნიშნული რეგიონიდან წარმოშობით მყოფი ყველა პატიმარი დაავადების მიმართ გენეტიკურ მიდრეკილებაზე შეემოწმებინა. ასევე, დადგინდა, რომ მართალია, შეცდომა დაშვებული იქნა წონის სწორი კრიტიკული ზღვრის დადგენაში, აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენდა მსჯავრდებულის გარდაცვალებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ის, თუ როგორ ჩატარდა სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე განმცხადებლის ძმის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, არ არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესოსამართლებრივ ნაწილს.

მშვიდობიანი მოშიმშილე პატიმრების წინააღმდეგ ძალის გამოყენების გამოძიება: დარღვევა

ფაქტები:[27] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა 18-მა მსჯავრდებულმა. 2007 წლის იანვარში მათ, სხვა პატიმრებთან ერთად, პატიმრობის პირობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, დაიწყეს შიმშილობა. ერთი კვირის შემდეგ, ციხის ადმინისტრაციამ ჩაატარა ოპერაცია, რის შედეგადაც პატიმრების ჯგუფი (მათ შორის, 18 განმცხადებელი), რომელიც ციხის ადმინისტრაციამ მიიჩნია გაფიცვის ორგანიზატორებად, საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანა. ოპერაციასთან დაკავშირებით შედგენილ პატაკში აღნიშნულია, რომ ორი განმცხადებლის მიმართ გამოყენებული იყო ფიზიკური ძალა, თუმცა ყველა მსჯავრდებული ამტკიცებდა, რომ ოპერაციის განმავლობაში, თუ მის შემდეგ, დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას. ოპერაციის შემდეგ განმცხადებლების ნათესავებმა ირივლეს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში პატიმრების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასა და საგამოძიებო იზოლატორში თვითნებურ გადაყვანასთან დაკავშირებით. თუმცა, პროკურორმა უარი განაცხადა ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დაწყებაზე. რამდენიმე შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო და შემდგომში შეწყდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: გამოთქმული პრეტენზიების სიმძიმისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოვლენები განვითარდა პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლს ქვეშ, სახელმწიფო ვალდებული იყო, ჩაეტარებინა

27 კარაბეტი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (*Karabet and Others v. Ukraine*), განაცხადები nos. 38906/07 და 52025/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება.

ქმედითი გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით. ვინაიდან რამდენიმე პატიმარმა მიიღო დაზიანება ციხეში ჩატარებული ოპერაციის შედეგად, ხელისუფლების ორგანოებს, მე–3 მუხლის თანახმად, ჰქონდათ პოზიტიური ვალდებულება, მათთვის დაუყოვნებლივი და ყოველმხრივი სამედიცინო გამოკვლევა აღმოეჩინათ.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიებას ატარებდა პროკურორი, რომელიც ზედამხედველობდა მოცემულ რეგიონში არსებული პენიტენციური დაწესებულებების მიერ კანონის დაცვას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში პროკურორის ასეთი სტატუსის გამო, კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციასთან მისი სიახლოვის, ყოველდღიური კავშირისა და ციხის სისტემაში მისი ინტეგრაციის გამო, სათანადოდ ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე პატიმრების განცხადებების საპასუხოდ ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო შემოწმებები რამდენიმე დღეში ჩატარდა, დაიკითხნენ არასათანადო მოპყრობაზე სავარაუდოდ პასუხისმგებელი პირები და დაზარალებულები; შემოწმებები ჩატარდა არასრულად და ზედაპირულად, ადგილი ჰქონდა დაზარალებულების დაშინებას და არასათანადო მოპყრობაზე სავარაუდოდ პასუხისმგებელი პირების მიერ კანონის დარღვევის უარყოფა ავტომატურად იქნა გაზიარებული. იმის ნაცვლად, რომ ეცადა, გარკვეულიყო მომხდარში, ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები გამოძიების შეწყვეტისკენ უფრო იყო მიმართული. 5 წლის შემდეგ, რაც გამოძიება რამდენჯერმე განახლდა, ხელისუფლებამ აღიარა, რომ გამოძიება ხარვეზიანი იყო. შესაბამისად, არ შესრულდა არც დროულობის მოთხოვნა. ამასთან, ვინაიდან განმცხადებლებს საერთოდ არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია გამოძიების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სათანადოდ არ ყოფილა უზრუნველყოფილი დაზარალებულების უფლება, ჩართულნი ყოფილიყვნენ გამოძიებაში. შესაბამისად, გამოძიება არ ყოფილა საჯარო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესოსამართლებრივი ასპექტის დარღვევა.
ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა განმცხადებლებისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის კომპენსაციის გადახდა თითოეულისთვის 25 000 ევროს ოდენობით.

პატიმრის მიმართ ძალის გამოყენების გამოძიება, რომელიც უარს ამბობს შემოწმებაზე: არდარღვევა

ფაქტები.[28] პატიმარი იყო შვიდი პირიდან ერთადერთი, რომელიც დაექვემდებარა შიშველ შემოწმებას სასამართლო განხილვიდან დაბრუნების შემდეგ დაწესებულებაში შესვლისას. პატიმარს მიეცა მითითება, რომ გაეხადა ტანისამოსი, ჩაებუქნა და გადახრილიყო. ამ დროს დაწესებულების თანამშრომელი ხელზე ხელთათმანს იცვამდა და რექტალური შემოწმებისთვის ემზადებოდა. პატიმარი განერვიულდა და უარი თქვა მითითებების შესრულებაზე. დაწესებულების თანამშრომელმა, რომელიც თავიდან თავად აპირებდა შემოწმების ჩატარებას, გადაიფიქრა, შეასრულა პატიმრის თხოვნა და წაიყვანა ექიმთან. პატიმარმა პროკურატურაში იჩივლა, რომ ციხის თანამშრომლებმა მის წინააღმდეგ გამოიყენეს არათანაბარზომიერი ძალა, დააბეს დამაწყნარებელ საწოლზე და გამოიყენეს ხელბორკილები. პროკურატურამ სისხლის სამართლისწარმოების დაწყებაზე უარი განაცხადა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურატურამ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა პატიმრის წერილობით განცხადებებზე და მის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების მასალებზე. ამ უკანასკნელ საქმის მასალებში იყო ციხის ადმინისტრაციის მოხსენებითი ბარათები და ინციდენტში მონაწილე თანამშრომლების პატაკები. პროკურატურამ აგრეთვე გაითვალისწინა სამედიცინო დასკვნა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ მოხსენებითი ბარათი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამედიცინო დასკვნა ძალიან მოკლე იყო და განმცხადებლის დაზიანებების მხოლოდ ზედაპირულ აღწერას შეიცავდა. არ იყო მითითებული მათი მიყენების შესაძლო მიზეზები. თუმცა სასამართლომ შენიშნა, რომ განმცხადებელს არც არასოდეს ჰქონდა დაყენებული დასკვნის სისწორე ეჭვქვეშ და არ უმტკიცებია სასამართლოს წინაშე, რომ რაიმე დაზიანება, რაც მას ჰქონდა მიღებული, დასკვნაში არ ყოფილა დოკუმენტირებული. აგრეთვე სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ სამედიცინო ბარათში მითითებული დაზიანებები განმცხადებელმა მიიღო ძალის გამოყენების დროს. რაიონულმა პროკურორმა ასევე აღნიშნა, რომ განცმხადებელს ეს დაზიანებები შეიძლებოდა მიეღო, როდესაც მან წინააღმდეგობა გაუწია ციხის პერსონალის კანონიერ მოთხოვნებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასურველია, გამომძიებელმა თუ პროკურორმა დაკითხოს პირები, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდათ ინციდენტთან. სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირების არდაკითხვის შედეგი იყო ნაჩქარევი დასკვნე-

28 იულინი ესტონეთის წინააღმდეგ *(Julin v. Estonia)*, განაცხადი nos. 16563/08, 40841/08, 8192 /10 და 18656/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება. იხ. იგივე საქმის მიმოხილვა თავში „სპეციალური საშუალებები".

ბის გაკეთება სისხლისსამართალწარმოების არაღძვრის თაობაზე. საგამოძიებო მოქმედებები უნდა შეფასდეს თითოეული კონკრეტული საქმის გარემოებების ჭრილში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, განმცხადებლის და ციხის პერსონალის მიერ გარემოებების აღწერაში რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება არ ყოფილა. ძირითადი განსხვავება შეიმჩნეოდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღიწერა ენა, რომლითაც განმცხადებელმა თავისი უკმაყოფილება გამოხატა. განმცხადებელს არ უარყვია ის, რომ უარი თქვა ხელბორკილებზე. ის ძალა, რომელიც შედეგად იქნა გამოყენებული, თუნდაც განმცხადებლის მონაყოლის მიხედვით, არაპროპორციული არ ჩანდა. თუმცა განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი დამაწყნარებელ საწოლზე დაბმა და ხელბორკილების გაკეთება თავისთავად არაკანონიერი იყო. პროკურატურამ ეს აზრი არ გაიზიარა და მიიჩნია, რომ პერსონალი კანონის ფარგლებში მოქმედებდა.

ამას გარდა, ეროვნულ დონეზე, განმცხადებელმა იჩივლა, რომ რაიონულმა პროკურორმა მხოლოდ ციხის პერსონალის ჩვენებები გაითვალისწინა. ის თავად არ დაუკითხავთ და იურიდიული დახმარება არ გაწევია. ამის პასუხად, ზემდგომმა პროკურორმა აღნიშნა, რომ განმცხადებლის აზრი გამოთქმული იყო საქმის მასალებში არსებულ დოკუმენტაციაში და გათვალისწინებული იყო. თუმცა, პროკურორის ხელთ არსებული მასალების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა არ იყო საჭირო.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, არ არსებობდა მტკიცებულება, რომ პროკურატურამ მის წინაშე არსებული მასალა თვითნებურად შეაფასა. ამასთან, პროკურატურა სათანადო ოპერატიულობით მოქმედებდა.

ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის გამოძიება ერთადერთი ხელმისაწვდომი შიდასამართლებრივი საშუალება არ ყოფილა. განმცხადებელმა აგრეთვე მიმართა ადმინისტრაციულ სასამართლოს დამაწყნარებელ საწოლზე დაბმისა და ხელბორკილების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა მოგვიანებით, გაიტანა სარჩელები. ადმინისტრაციული სასამართლოსთვის წინასწარ დადგენილი ძალა არ ექნებოდა სისხლისსამართალწარმოების ფარგლებში გაკეთებულ დასკვნებს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ დონეზე განხორციელებული სამართალწარმოებით, სახელმწიფომ შეასრულა კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესოსამართლებრივი ნაწილით ნაკისრი ვალდებულებები.

შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას საპროცესსამართლებრივ ნაწილში.

საგარაუდოდ ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე განხორციელებული არასათანადო მოპყრობის გამოძიება: დარღვევა

ფაქტები:[29] განმცხადებლები არიან ძმები. ისინი არიან რუსეთის მოქალაქეები, ეთნიკურად ჩეჩნები და ევროპულ სასამართლოში განაცხადეს, რომ თავიანთი ეთნიკური წარმომავლობის გამო პოლიციის განყოფილებაში დაექვემდებარნენ არასათნადო მოპყრობას და ხელისუფლებამ სათანადოდ არ გამოიძია მათი საჩივარი რასობრივად მოტივირებული არასათანადო მოპყრობის თაობაზე. კერძოდ, ისინი დააკავეს საკონცერტო დარბაზში მომხდარი ჩხუბის შემდეგ და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც პოლიციელებმა ისინი სასტიკად სცემეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ქვემოთ განხილულია ეროვნულ დონეზე განხორციელებული სამართალწარმოების ის დეტალები, რომლებზედაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის განყოფილებიდან განთავისუფლების შემდეგ, განმცხადებლებმა ქალაქის პროკურატურაში შეიტანეს საჩივარი, რომლის თანახმადაც, ისინი პოლიციის განყოფილებაში სასტიკად სცემეს. იმავე დღეს, პროკურატურის დადგენილების საფუძველზე, მათ გაირეს სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დროსაც სამივემ განაცხადა, რომ დაზიანებები მიიღეს პოლიციელების მიერ ცემის შედეგად. მოპასუხე სახელმწიფოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების ავთენტურობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

გამოძიება დაიწყო განმცხადებლების საჩივრის მიღებიდან 10 დღის შემდეგ. გამოძიების დაწყებიდან თითქმის სამი თვის განმავლობაში გამომძიებელს არ დაუკითხავს თვითმხილველები, არ ჰქონია არანაირი მცდელობა პირთა ამოსაცნობად წარსადგენად თუ განმცხადებლებისა და პოლიციელების დასაპირისპირებლად. მხოლოდ მას შემდეგ, რაც განმცხადებლებმა იჩივლეს გენერალურ პროკურორთან, გამომძიებელმა დაკითხა განმცხადებლების ნათესავები, რის შედეგადაც გამოძიებამ მიიღო დამატებითი ინფორმაცია სხვა შესაძლო მოწმეთა შესახებ. განმცხადებლებმა ასევე აცნობეს გამოძიებას დამატებითი დეტალები, მაგალითად, პოლიციის განყოფილებაში სასწრაფო დახმარების მანქანის მისვლის თაობაზე. თუმცა, გამოძიებას ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ არაფერი გაუკეთებია და არც კი უცდია გაერკვია განმცხადებლებისა და მათ მიერ დასახელებულ პოლიციელთა ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობები.

29 მახაშევები რუსეთის წინააღმდეგ *(Makhashevy v. Russia)*, განაცხადი no. 20546/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება.

მაგალითად, გამოძიებას არ დაუთვალიერებია შემთხვევის ადგილი პოლიციის განყოფილებაში. არ დაკითხულან სასწრაფო დახმარების ექიმი და საკონცერტო დარბაზში მომხდარი ჩხუბის შემსწრე სხვა პირები. 6 თვის შემდეგ, გამოძიება შეწყდა ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გარეშე. ზედამხედველმა პროკურორმა აღნიშნა ეს ხარვეზები და გამოძიების განახლებაზე მიიღო დადგენილება. ამის მიუხედავად, გამოძიება მალევე შეწყდა და მიღებული იქნა დადგენილება პოლიციელების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის არაღძვრის თაობაზე. ეს გადაწყვეტილება ემყარებოდა მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებს, სადაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი ქმედებები განმცხადებლების მიმართ კანონის ფარგლებს არ გაცდენია.

რაც შეეხება განმცხადებლების დაზიანებებს, მოპასუხე სახელმწიფო ევროპულ სასამართლოში ამტკიცებდა, რომ ეს დაზიანებები საკონცერტო დარბაზში მომხდარი ჩხუბის დროს, უცნობი პირების მიერ იყო მიყენებული. ევროპული სასამართლოს შეფასებით, თუნდაც დაეშვა, რომ განმცხადებლებმა ზოგიერთი დაზიანება საკონცერტო დარბაზში მომხდარი ჩხუბის დროს მიიღეს, ხელისუფლებამ არანაირი ზომა არ მიიღო არც იმის გამოსარიცხად, რომ განმცხადებლები შეიძლებოდა პოლიციის მხრიდან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი ყოფილიყვნენ, არც ძალადობაზე პასუხისმგებელ პირთა გამოსავლენად.

გამომძიებლებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს განმცხადებლების თანმიმდევრულ მტკიცებას, რომ ისინი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ და მტკიცებულებებს, რომლებიც აღნიშნულზე მიუთითებდა. შესაბამისად, გამომძიებლებმა არ გამოიჩინეს ობიექტური და მიუკერძოებელი დამოკიდებულება მტკიცებულებების შეფასებისას. პირიქით, ევროპულ სასამართლოს დარჩა შთაბეჭდილება, რომ გამომძიებლები შერჩევითად აფასებდნენ მტკიცებულებებს, როცა ყურადღება არ მიაქციეს განმცხადებლების ჩვენებებს და თავიანთი დასკვნები მთლიანად დაამყარეს ინციდენტში გარეული პოლიციელების ჩვენებებს. ამის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოძიება ვერ ჩაითვლებოდა გულმოდგინედ, მრავალმხრივად და ქმედითად.

ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოძიების ორგანოებს მიეწოდათ ოფიციალური განცხადებები და მრავალრიცხოვანი საჩივრები, რომ განმცხადებლები, გარდა იმისა, რომ პოლიციელების მხრიდან მძიმე ფიზიკურ შეურაცხყოფას დაექვემდებარნენ, იმავე პოლიციელებმა მათ რასობრივი სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ სამართალდამცავმა პირმა ეთნიკური თუ სხვა უმცირესობის წარმომადგენელ თავისუფლებააღკვეთილ პირს რასისტული სიტყვიერი შეურაცხყოფა

მიაყენა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის კონტექსტში, ფაქტები სრულად უნდა იქნეს გამოკვლეული, შესაძლო რასისტული მოტივების გამოსავლენად.

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად განმცხადებლების თანმიმდევრული მტკიცებისა, რომ ადგილი ჰქონდა რასობრივად მოტივირებულ არასათანადო მოპყრობას, ხელისუფლების უფლებამოსილმა ორგანოებმა არ შეაფასეს ინციდენტის შესაძლო რასისტული საფუძველი და ფაქტობრივად უგულებელყვეს იგი.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დამაჯერებელი ინფორმაცია, რომელიც საკმარისი იყო გამოძიების ორგანოებისთვის ეჩვენებინა საჭიროება, რომ შეემოწმებინათ მომხდარი ინციდენტის შესაძლო რასისტული სარჩული, არც გამომძიებლებმა და არც პროკურორებმა საერთოდ არ მიაქციეს ყურადღება განმცხადებლების საჩივრებს და საბოლოოდ გაუშვეს შესაძლებლობა, გამოეძიათ ინციდენტის სავარაუდო რასისტული მოტივი.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ არ შეასრულა მასზე კონვენციის მე-14 და მე-3 მუხლებით დაკისრებული ვალდებულება, გადაედგა ყველა შესაძლო ნაბიჯი იმის გამოსაძიებლად, შეასრულა თუ არა დისკრიმინაციამ რაიმე როლი მოვლენათა განვითარებაში. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესოსამართლებრივი ნაწილი, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

მსჯავრდებულების საზოგადოებაში რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია

გაერთიანებული ერები 431
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი 431
ნელსონ მანდელას წესები 431
ევროპის საბჭო 432
მინისტრთა კომიტეტი 432
ევროპული ციხის წესები 432
წამების პრევენციის კომიტეტი 433
უნივერსალური და ევროპული სტანდარტები და ეროვნული პროგრამები 435
ზოგადი პრინციპები 435
ქცევისა და დამოკიდებულების შეცვლაზე მიმართული პროგრამები 441
- შემეცნებით-ქცევითი პროგრამები 441
ბრაზის მართვა და ემოციური კონტროლი 442
ჩავარდნის პროფილაქტიკა 443
ცხოვრებისეული და პიროვნებათაშორისი უნარები 443
მოტივაცია 444
აქტიურ მოქალაქედ გახდომის შესაძლებლობები 446
ციხის პოპულაციის ფარგლებში მხარდაჭერა 446
ცხოველებზე ზრუნვის პროგრამები 447
პროგრამები ძალადობრივი დანაშაულებისთვის მსჯავრდებულებისთვის
პროგრამები სექსუალური ხასიათის დანაშაულებისთვის
მსჯავრდებულებისთვის 449
ევროპის საბჭო 451
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 451
რელევანტური საქმეები 451
i. მსჯავრდებული პატიმრის ვალდებულება, იმუშაოს საპენსიო ასაკის მიღნევის შემდეგ: არდარღვევა 451
ii. პენსიის გამოანგარიშებისას, პატიმრობის პერიოდში შრომა არ იქნა გათვალისწინებული: არდარღვევა 452

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

მუხლი 10.
3. პენიტენციურ სისტემაში პატიმართა მიმართ მოპყრობის მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური რეაბილიტაცია.

ნელსონ მანდელას წესები

წესი 4.
თავისუფლების აღკვეთის სასჯელის თუ თავისუფლების შემზღუდველი სხვა მსგავსი ღონისძიებების უპირატესი მიზნებია საზოგადოების დანაშაულისგან დაცვა და რეციდივის შემცირება. ეს მიზნები შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლების აღკვეთის პერიოდი მოხმარდება ამ პირთა საზოგადოებაში შეძლებისდაგვარად რეინტეგრაციის უზრუნველყოფას, რათა მათ განთავისუფლების შემდეგ კანონმორჩილად და დამოუკიდებლად ცხოვრება შეძლონ.

წესი 91
იმ პირების მიმართ მოპყრობა, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ან სხვა მსგავსი ღონისძიება, მიზნად უნდა ისახავდეს, რამდენადაც ამის საშუალებას სასჯელის ზომა იძლევა, რათა მათ გათავისუფლების შემდეგ კანონმორჩილად და დამოუკიდებლად ცხოვრება სურდეთ და შეძლონ. მოპყრობა მათ უნდა უნერგავდეს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას და უვითარებდეს პასუხისმგებლობის გრძნობას.

წესი 92
ამ მიზნების განსახორციელებლად ყველა სათანადო საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული, მათ შორის, რელიგიური მხარდაჭერა იმ ქვეყნებში, სადაც ეს შესაძლებელია, განათლება, პროფესიული აღზრდა და მომზადება, სოციალური მხარდაჭერა, დასაქმებაზე კონსულტაცია, ფიზიკური განვითარება და მორალური თვისებების განმტკიცება, თითოეული პატიმრის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, მისი სოციალური და დანაშაულებრივი ნარსულის, ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობების და უნარების, პირადი ტემპერამენტის, სასჯელის ზომისა და განთავისუფლების შემდეგ პერსპექტივების გათვალისწინებით.

მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაცია Rec (2006) 2 ევროპული ციხის წესების შესახებ[1]

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15-ე.ბ მუხლის დებულებების შესაბამისად,

***

ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საპატიმრო სასჯელების აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა საჭიროებს უსაფრთხოების, უშიშროების და დისციპლინის მოთხოვნების გათვალისწინებას და იმავდროულად, ციხის ისეთი პირობების უზრუნველყოფას, რომლებიც არ ხელყოფს ადამიანის ღირსებას და სთავაზობს პატიმრებს გააზრებულ ღონისძიებებში დასაქმებას და მკურნალობის პროგრამებს, რითაც მათ ამზადებს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის;

6. პატიმრობის მართვა ხელს უნდა უწყობდეს თავისუფლებააღკვეთილ პირთა რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში.

72.3 პერსონალს იმაზე მეტი მოეთხოვება, ვიდრე უბრალოდ ზედამხედველობაა და მხედველობაში უნდა იღებდეს პატიმრებისთვის დახმარების გაწევის საჭიროებას, პოზიტიური მხარდაჭერისა და დახმარების პროგრამების მეშვეობით, მათ მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში რეინტეგრაციის გასაადვილებლად.

102.1 იმ წესების გარდა, რომლებიც ვრცელდება ყველა პატიმარზე, მისჯილი პატიმრებისათვის რეჟიმი ისე უნდა შემუშავდეს, რომ მათ შესაძლებელობა მისცეს, იცხოვრონ პასუხისმგებლობის გრძნობით და დანაშაულის გარეშე.

102.2 თავისუფლების აღკვეთა თავად არის სასჯელი და აქედან გამომდინარე, მისჯილი პატიმრებისათვის რეჟიმი არ უნდა იყოს იმაზე მძიმე, რაც ორგანულად არის დამახასიათებელი პატიმრობისთვის.

1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ზოგადი სტანდარტები

თავისუფლებააღკვეთილ პირთა კეთილდღეობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაწესებულებაში სხვადასხვა საქმიანობის დამაკმაყოფილებელი პროგრამის არსებობას (დასაქმება, განათლება, სპორტი და ა.შ.). ეს ეხება ყველა ტიპის დაწესებულებას, სადაც იმყოფებიან როგორც ბრალდებულები, ისე მსჯავრდებულები. წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ წინასწარი პატიმრობის რიგ დაწესებულებებში საქმიანობის სახეობები ძალიან შეზღუდულია. ისეთ დაწესებულებებში, სადაც ბრალდებულები დიდ დროს არ დაჰყოფენ, პატიმართა საქმიანობის უზრუნველყოფა არცთუ ისე იოლია. ცხადია, რომ აქ საუბარი არ შეიძლება იყოს ისეთ ინდივიდუალურ პროგრამებზე, რომელთა შემუშავებაც შესაძლებელია მსჯავრდებულთათვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კარგ საყოფაცხოვრებო პირობებში იმყოფებიან პატიმრები, არ შეიძლება მათი უბრალოდ საკნებში გამოკეტვა და მიტოვება კვირეებისა და, ზოგჯერ, თვეების განმავლობაში. წამების პრევენციის კომიტეტს მიაჩნია, რომ აუცილებელია, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იყოს, რომ პატიმრებმა შეძლონ დღის არსებითი ნაწილის (8 საათი ან მეტი) საკნებს გარეთ გატარება და ამ დროის დათმობა სხვადასხვა სახის სასარგებლო საქმიანობისთვის. რა თქმა უნდა, მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში რეჟიმი კიდევ უფრო მეტად კეთილგანწყობილი უნდა იყოს.[2]

განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის უფლება. თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის, სულ მცირე, ერთი საათით სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის აუცილებლობა ფართოდ აღიარებულია, როგორც ძირითადი უფლება (სასურველია, რომ მოცემული მოთხოვნა იყოს აქტივობათა უფრო ფართო პროგრამის შემადგენელი ნაწილი). წამების პრევენციის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა პატიმარს, გამონაკლისის გარეშე (მათ შორის დასჯის მიზნით სასაკნე რეჟიმში მყოფთაც), უნდა მიეცეთ ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე გასეირნების და ფიზიკური ვარჯიშის შესაძლებლობა. ასევე, თავისთავად იგულისხმება, რომ სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშისთვის არსებული ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს საკმარისი სივრცე და უამინდობის დროს, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილი იყოს თავშესაფარი.[3]

2 წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-2 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(92)3, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 1992, პუნქტი 47.
3 *Ibid.* პუნქტი 48.

ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ დადგენილი სტანდარტები

ნამების პრევენციის კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ მიღებული იქნეს ზომები, რათა ყველა პატიმარს, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ამის საშუალებას იძლევა, მიეცეს ღია ცის ქვეშ ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობა დღეში ერთი საათით მაინც.

ამასთან კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიება იქნეს შეთავაზებული იმ პაციენტებისთვის, რომლებიც ხანგრძლივად იმყოფებიან ციხის საავადმყოფოში; სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი ვადით თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს.

ფსიქიატრიული მკურნალობა არ უნდა იყოს შემოფარგლული ფარმაკოთერაპიით. უნდა არსებობდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მკურნალობის გეგმა ან ინდივიდუალური ფსიქოთერაპია, ოკუპაციური თერაპია ან ჯგუფური თერაპია.

ფსიქიატრიული მკურნალობა უნდა ემყარებოდეს ინდივიდუალურ მიდგომას, რაც გულისხმობს მკურნალობის გეგმის შედგენას თითოეული პაციენტისთვის, მკურნალობის გეგმების დასახვას, თერაპიული საშუალებების მითითებას, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული და პასუხისმგებელი პერსონალის განსაზღვრას.

მკურნალობის გეგმა ასევე უნდა ასახავდეს პაციენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რეგულარული შემოწმების შედეგებსაც. უნდა გადაისინჯოს, შესაბამისად, დანიშნული მკურნალობაც. მკურნალობა უნდა მოიცავდეს სარეაბილიტაციო და თერაპიული დანიშნულების ღონისძიებებსაც, ოკუპაციურ თერაპიაზე, ჯგუფურ თერაპიასა და ინდივიდუალურ ფსიქოთერაპიაზე, აგრეთვე სპორტზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით. პაციენტებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სათანადოდ აღჭურვილ დასვენების ოთახებზე, უნდა შესთავაზონ განათლების მიღება და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი სამუშაოს შესრულება.

ზოგადი პრინციპები

ზემოაღნიშნული სტანდარტებიდან ცხადია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას არ ნიშნავს. ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ მიიღონ ცოდნა და შეიძინონ უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ განთავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში რეინტეგრაციაში დაეხმარება და შეაძლებინებს, თავი აარიდონ ახალი დანაშაულის ჩადენას. მრავალ ქვეყანაში ბრალდებულები ციხის პოპულაციის დიდ ნაწილს შეადგენენ, მაგრამ რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის აქტივობები მათზე არ ვრცელდება. მსგავსი პროგრამები ყველა მსჯავრდებული პირის მიმართ უნდა იყოს უზრუნველყოფილი, თუმცა პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებსაც თანაბრად უნდა შეეთავაზოთ მსგავს მიზანმიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.[4]

გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის სახელმძღვანელოს მიხედვით, რეაბილიტაცია გულისხმობს მრავალმხრივ ჩარევებს, რომლებიც მიმართულია, წაახალისოს მსჯავრდებული, რომ არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და ხელახლა ჩამოაყალიბოს კანონმორჩილ ადამიანად.[5]

იმავე სახელმძღვანელოს მიხედვით, სოციალური რეინტეგრაცია გულისხმობს სოციალურ გარემოში პირის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ჩართვას. დანაშაულის პრევენციის კონტექსტში, აღნიშნული გულისხმობს სხვადასხვა ფორმის ჩარევებსა და პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს, აღკვეთოს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, ან შეამციროს რეციდივის შესაძლებლობა იმ პირების მხრიდან, რომლებიც უკვე კონფლიქტში არიან სამართალთან.[6]

---

4 გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, ციხეში სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების გზამკვლევი, ვენა, გაერთიანებული ერები, 2017, გვ. 1 (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/17-05452_ebook.pdf).

5 გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, რეციდივიზმის პრევენციის და დამნაშავეთა სოციალური ინტეგრაციის შესავალი სახელმძღვანელო, ვენა, გაერთიანებული ერები, 2012, გვ. 149 (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://www.unodc.org/documents/juslice-and-prison-reform/crimeprevention/Introductory_Handbook_on_the_Prevention_of_Recidivism_and_the_Social_Reintegration_of_Offenders.pdf).

6 გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, შესავალი სახელმძღვანელო 96.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია თანაფარდოვანი ტერმინებია და სასამართლო მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავს.[7] მსჯავრდებულის რეაბილიტაცია, ანუ საზოგადოებაში რეინტეგრაცია ყველა იმ საზოგადოებაში მოითხოვება, რომელშიც ადამიანის ღირსება ამოსავალი პრინციპია.[8] მართალია, რეაბილიტაციის, ანუ საზოგადოებაში რეინტეგრაციის უფლება, როგორც ასეთი, არ არის გარანტირებული ევროპული კონვენციით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ მსჯავრდებულებს რეაბილიტაციის უფლება აქვთ.[9] ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია არის სავალდებულო ფაქტორი, რომელიც ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა სასჯელაღსრულების პოლიტიკის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინონ.[10]

საერთაშორისო სამართალში ასახული მსჯავრდებულის რეაბილიტაციის, ანუ საზოგადოებაში რეინტეგრაციის პრინციპი აღიარებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში და ამ პრინციპს კონვენციის სხვადასხვა დებულების ძალით სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება.[11] მაგალითად, კონვენციის მე-3 მუხლის კონტექსტში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს უნდა მისცეს რეაბილიტაციის რეალისტური შესაძლებლობა.[12] კონვენციის მე-8 მუხლი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარონ პატიმრებს ციხის გარეთ კავშირების შესაქმნელად და განსამტკიცებლად, რათა ამან ხელი შეუწყოს მათ სოციალურ რეაბილიტაციას. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, მნიშვნელობა აქვს ოჯახის წევრებთან კონტაქტის შენარჩუნებას[13] და ა.შ.

---

7 მარე ნიდერლანდების წინააღმდეგ *(Murray v. the Netherlands)*, განაცხადი no. 10511/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 102.

8 პოლიაკოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ *(Polyakova and Others v. Russia)*, განაცხადები nos. 35090/09, 35845/11, 45694/13, 45694/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 88.

9 მარე ნიდერლანდების წინააღმდეგ *(Murray v. the Netherlands)*, განაცხადი no. 10511/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 103.

10 ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Harakchiev and Tolumov v. Bulgaria)*, განაცხადები nos. 15018/11 და 61199/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, პუნქტები 243-246.

11 მარე ნიდერლანდების წინააღმდეგ *(Murray v. the Netherlands)*, განაცხადი no. 10511/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 102.

12 ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Vinter and Others v. the United Kingdom)*, განაცხადებები nos. 66069/09, 130/10 და 3896/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 122; ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ *(Harakchiev and Tolumov v. Bulgaria)*, განაცხადები nos. 15018/11 და 61199/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 264.

13 ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ *(Khoroshenko v. Russia)*, განაცხადი no. 41418/04,

ევროპული ციხის წესები ძირითადად იყენებს ტერმინს „რეინტეგრაცია“ და მხოლოდ ერთგან ახსენებს ტერმინს „რეაბილიტაცია“. კერძოდ, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პატიმარი, შეძლებისდაგვარად, უნდა განთავსდეს მის სახლთან თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ახლოს მდებარე ციხეში. ევროპული ციხის წესების 102-ე წესი პატიმრებისთვის შემოღებული რეჟიმის მიზნის განსაზღვრისას აქცენტს აკეთებს იმ ღონისძიებებსა და პროგრამებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულ პირებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას იმის ნაცვლად, რომ ვიწროდ ფოკუსირდებოდეს რეციდივის პრევენციაზე. ეს წესი შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს, მაგრამ პაქტისგან განსხვავებით, 102-ე წესში გამიზნულად არის გამოტოვებული ტერმინი „რეაბილიტაცია“, რომელიც სისხლისსამართლებრივი პრობლემების ევროპული კომიტეტის (CDPC), აზრით, ევროპული ციხის წესების ავტორებისთვის იძულებით ჩარევასთან ასოცირდება. ამის ნაცვლად, ევროპული ციხის წესების 102-ე წესი ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულებისთვის (რომლებიც ხშირად სოციალურად მოწყვლადი ფენიდან არიან) განვითარების შესაძლებელობების მიცემას, რათა მათ კანონმორჩილი ცხოვრების არჩევა შეძლონ.[14]

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მსჯავრდებულების ყოველმხრივი რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია მოიცავს მრავალ კომპონენტს. მათ შორის, მოიაზრება შემდეგი: ფიზიკური და ფსიქიკური ჯანდაცვა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, წამალდამოკიდებულების მკურნალობა, განათლება და პროფესიული მომზადება, სამუშაო გამოცდილება, პერსონალს და პატიმრებს შორის კონსტრუქციული ურთიერთობები, ქცევის და დამოკიდებულების პრობლემებზე რეაგირება, პატიმართა ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება, რაშიც იგულისხმება მათი ძირითადი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სათანადო საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია განთავისუფლების შემდგომი მხარდაჭერა და ზედამხედველობა.[15]

მსჯავრდებულები დგანან მთელი რიგი სოციალური, ეკონომიკური და პირადი ხასიათის გამოწვევების წინაშე, რომლებიც, როგორც წესი, მნიშვნელოვნად ართულებს მათ სოციალურ რეინტეგრაციას. ზოგიერთი ეს გამოწვევა მათი საკუთარი გარემოებებისა და წარსული გამოცდილების შედეგია. სხვა გამოწვევები მათი თავისუფლების აღკვეთისა და ყოფილი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტები 144-148.

14 ევროპული ციხის წესების კომენტარები, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2006, გვ. 99 (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae).

15 გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, გზამკვლევი, გვ.გვ. 3-5.

მსჯავრდებულების მიმართ საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულების პირდაპირი შედეგია.[16]

ციხეში გათვალისწინებულ ღონისძიებების წარმატებულად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეძლებისდაგვარად, თითოეული პატიმარი ინდივიდად განიხილებოდეს. ყველა პატიმარმა რომ მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღოს, ეს ვერც ქმედითი იქნება და ვერც შედეგს გამოიღებს. ზოგიერთმა შეიძლება წერა-კითხვა არ იცოდეს, ზოგიერთი კი შეიძლება ციხეში მოხვედრამდე სხვებს ასწავლიდა; ზოგიერთი ციხეში ქუჩიდან ხვდება, ზოგს კი გარეთ ოჯახი და სამსახური ელოდება. შესაბამისად, სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაგეგმვისას, პატიმრების წარმომავლობა და ინდივიდუალური გარემოებები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.[17]

მსჯავრდებულები შეიძლება წარსულში ექვემდებარებოდნენ სოციალურ იზოლაციასა და მარგინალიზაციას, ფიზიკურ თუ ემოციურ ძალადობას, იყვნენ არასათანადოდ დასაქმებულები ან დაუსაქმებლები, შეიძლება დანაშაულებრივ ცხოვრებას ძალზე ადრეული ასაკიდან ეწეოდნენ. მათი გამოწვევები ხშირად ფიზიკურ და ფსიქიკურ შეზღუდულ შესაძლებლობასა და ჯანმრთელობის პრობლემებს უკავშირდება, რაც შეიძლება წამალდამოკიდებულების შედეგიც იყოს. მსჯავრდებულების გამოწვევები ხშირად განპირობებულია უნარების დეფიციტით, რის გამოც მათთვის რთულია, იყვნენ საზოგადოებაში კონკურენტუნარიანნი და წარმატებულები; მათ არ აქვთ პიროვნებათაშორისი უნარები, არ აქვთ სათანადო განათლება, ფინანსური მენეჯმენტის უნარები, ახასიათებთ არასათანადო შემეცნებითი თუ ემოციური ფუნქციონირება.[18]

თავად თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება, ჰქონდეს სერიოზული გვერდითი ეფექტები მსჯავრდებულებისთვის: მათ შეიძლება, დაკარგონ შემოსავალი, შესაძლებლობა, შეინარჩუნონ საცხოვრებელი თავისთვის თუ თავიანთი ოჯახისთვის, შეიძლება გადაედოთ მძიმე დაავადება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, დაკარგონ მნიშვნელოვანი პირადი კონტაქტები, მათ შეიძლება, გაუჩნდეთ ფსიქიკური პრობლემები და შეიძინონ დესტრუქციული ჩვევები და გახდნენ წამალდამოკიდებულნი.[19]

---

16 გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, შესავალი სახელმძღვანელო, გვ. 11.

17 ე. კოილი, ციხის მართვა ადამიანის უფლებების მიდგომით: სახელმძღვანელო ციხის პერსონალისთვის, მე-2 გამოცემა, ლონდონი, პენიტენციურ სწავლებათა საერთაშორისო ცენტრი, 2009, გვ. 89.

18 გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, შესავალი სახელმძღვანელო, გვ. 11 *et seq.*

19 *Ibid.* გვ. 31.

ცნობილია, რომ თავისუფლების აღკვეთის პირობები და ციხის რეჟიმი ხელს უწყობს მსჯავრდებულების ინსტიტუციონალიზაციას, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის განთავისუფლების შემდგომ მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას. ქმედითი პროგრამების არსებობის გარეშე, მსჯავრდებულები, რომლებიც ჩამოთვლილი და სხვა მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარმატებულად შეძლებენ საზოგადოებაში რეინტეგრაციას და რეაბილიტაციას.[20]

პენიტენციურ სისტემაში უნდა არსებობდეს სპეციალური ინსტიტუციური პროგრამები, რომლებიც მსჯავრდებულებს მოამზადებს საზოგადოებაში დასაბრუნებლად. ეს პროგრამები უნდა მოიცავდეს სხვადასხვა შემეცნებით-ქცევით და უნარ-ჩვევების განმავითარებელ პროგრამას, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას, წამალდამოკიდებულების მკურნალობას, განათლებას, პროფესიულ მომზადებას, კონსულტაციასა და მენტორობას.[21] მნიშვნელოვანია, რომ მსგავს პროგრამებში მონაწილეობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს და შემდგომი დასჯის არაპირდაპირ ფორმას არ უნდა წარმოადგენდეს.[22]

ეს პროგრამები ყველაზე ეფექტურად მოქმედებს, როდესაც ემყარება მსჯავრდებულების და მათი მდგომარეობის ყოველმხრივ შეფასებას. ასეთი შეფასება უნდა ჩატარდეს მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებიდან, შეძლებისდაგვარად, მალე და უნდა იყოს მსჯავრდებულის მიმართ შემუშავებული ყოველმხრივი და ინდივიდზე მორგებული ჩარევის გეგმის საფუძველი. ქმედითი ჩარევა ემყარება პროგრამის განხორციელების მეთოდებს და სათანადოდ მომზადებულ პერსონალს, რომელსაც აქვს საჭირო უნარები და ცოდნა ჩარევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.[23] ამ დროს, მაქსიმალურად მრავალმხრივი ინფორმაცია უნდა იყოს მოპოვებული სხვადასხვა სანდო წყაროდან.[24]

ქმედითი ინსტიტუციური პროგრამები, როგორც წესი, ითვალისწინებს დინამიკური რისკის ფაქტორებს და სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პატიმრების ნაწილს თავისუფლების აღკვეთა მცირე ხნით აქვს შეფარდებული, რის გამოც შეუძლებელია მათთვის აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა. როგორც წესი, ამ პროგრამების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია და მონაწილეობა – ნებაყოფლობითი. ამის გამო, მსჯავრდებულების დიდი ნაწილი ვერ ან არ მონაწილეობს აღნიშნულ პროგრამებში. შესაბამისად, საჭიროა, რომ პროგრამებში მონა-

20 *Ibid.* გვ.გვ. 31-32.
21 *Ibid.* გვ. 32.
22 ევროპული ციხის წესების კომენტარები, გვ. 97.
23 გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, შესავალი სახელმძღვანელო, გვ. 32.
24 ევროპული ციხის წესების კომენტარები, გვ. 96.

წილეობა მსჯავრდებულებს განთავისუფლების შემდეგაც შეეთავაზოთ.[25]

ზოგიერთი სპეციალიზებული პროგრამა ასევე შეიძლება, რომ მსჯავრდებულის განთავისუფლების ვადის მოახლოებისას იყოს შეთვაზებული. როგორც წესი, ამ დროს პროგრამაში ჩართულები არიან საზოგადოებაში მოქმედი ის შესაბამისი უწყებები, რომლებიც მსჯავრდებულებს მათი გათავისუფლებისას სათანადო სერვისებს სთავაზობენ.[26]

ის მოპყრობა და მხარდაჭერა, რომელსაც მსჯავრდებულები თავისუფლების აღკვეთის პერიოდში იღებენ, ხშირად, საჭიროა, რომ გაგრძელდეს მათი განთავისუფლების შემდეგაც, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მსჯავრდებულების საზოგადოებაში სათანადო რეინტეგრაცია. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულების განთავისუფლება იმდაგვარად იგეგმებოდეს, რომ საზოგადოებაში დაბრუნებისთანავე, მათ შეეძლოთ უწყვეტი სერვისების და მხარდაჭერის მიღება. ეს შეიძლება განხორციელდეს იმდაგვარად, რომ პენიტენციურმა დაწესებულებამ თავიდანვე ითანამშრომლოს ჯანმრთელობის დაცვის უწყებებთან და საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებელთან.[27]

ყველა პროგრამა უნდა შეიქმნას გენდერულად სენსიტიური გზით და მორგებული იყოს ქალი მსჯავრდებულების სპეციალურ საჭიროებებსა და გარემოებებზე. პროგრამები კულტურულად სენსიტიური იყოს და მათი განმახორციელებელი პერსონალი სათანადოდ უნდა ერკვეოდეს ამა თუ იმ კულტურის დეტალებში. ამა თუ იმ კულტურის შესახებ ცოდნა უნდა იყოს ინსტიტუციური და პროგრამების განხორციელება უნდა ასახავდეს და პატივს სცემდეს კულტურულ მრავალფეროვნებას. ეს აგრეთვე გულისხმობს პროგრამების განხორციელებას იმ ენაზე, რომელიც ამა თუ იმ მსჯავრდებულისთვის ყველაზე კომფორტულია.[28]

წინამდებარე სახელმძღვანელოში უკვე განხილული იქნა მთელი რიგი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილას უნდა იქნეს დაცული და იმავდროულად პატიმრების რეაბილიტაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაწილია. ქვემოთ მოცემულ ქვეთავში განხილულია ქცევის და დამოკიდებულების შეცვლაზე მიმართული პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს პატიმრების საზოგადოებაში დასაბრუნებლად მომზადებას და წარმატებულ რეაბილიტაციას. ქვეთავი მომზადებულია გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ფარგლებში შემუშავებული რეციდივიზ-

25 გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, შესავალი სახელმძღვანელო, გვ. 32.
26 *Idem.*
27 *Idem.*
28 *Idem.*

მის პრევენციისა და დამნაშავეთა სოციალური ინტეგრაციის შესავალი სახელმძღვანელოს მიხედვით.[29]

ქცევის და დამოკიდებულების შეცვლაზე მიმართული პროგრამები

წლების განმავლობაში განვითარდა რიგი პროგრამები, რომლებიც მიმართულია ბენეფიციარების ქცევისა და დამოკიდებულების შეცვლაზე. ეს პროგრამები წაახლისებენ ბენეფიციარებს, რათა შეიცვალონ, შეცვალონ თავიანთი აზროვნება; პროგრამები მიმართულია ბენეფიციარების ემოციებზე და წარმართავენ მათ პოზიტიური მიმართულებით, აძლევენ ბენეფიციარებს მისაბაძ მაგალითებს. მისაბაძ მაგალითში შეიძლება, მოიაზრებოდეს როგორც რეალური ადამიანი, ვისი ქცევის განხილვაც ხდება (ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პიროვნება, რომელიც სინამდვილეში არსებობს), ასევე, ფილმის, ნაწარმოების გმირები და სხვ. ეს სიმბოლური მოდელები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რეალური. ბენეფიციარებისთვის, ხშირად, მისაბაძი სწორედ სიმბოლური მოდელები შეიძლება იყვნენ. პროგრამები მიზნად ისახავს, რომ მოახდინონ ბენეფიციარების დისტანცირება დანაშაულისგან და მათი სოციალური პრეადაპტაცია. ბიჰევიორისტული შეხედულების მიხედვით, ადამიანი სწავლობს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, საკუთარი ქცევის შედეგებით; სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორიის მიხედვით კი ადამიანს შეუძლია ისწავლოს არა მხოლოდ საკუთარი ქცევის შედეგებიდან გამომდინარე, არამედ სხვებზე დაკვირვებითაც. განასხვავებენ გაუაზრებელ მიბაძვას და შეგნებულ მიბაძვას. გაუაზრებელი მიბაძვის დროს, მიმბაძველს არ ესმის იმ ქცევის მნიშვნელობა, რომელსაც ბაძავს. ასეთი ქცევები ახასიათებთ ცხოველებს, პატარა ბავშვებს და მასაც თავისი დადებითი ღირებულება აქვს განვითარებისთვის. სწავლისთვის კი ისაა დამახასიათებელი, რომ სუბიექტი ხვდება მისაბაძი ქცევის მნიშვნელობას და შეგნებულად ბაძავს მას.

ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო გამოცდილებიდან აღებული რამდენიმე მაგალითი პენიტენციურ სისტემაში შემეცნებით-ქცევითი პროგრამების განხორციელების შესახებ.

ა) შემეცნებით-ქცევითი პროგრამები

ბენეფიციარების ხშირი მახასიათებელი არის დამახინჯებული ცნობიერება (თავის გამართლებაზე მიმართული აზროვნება, გადაბრალება, სოციალურ კონცეფციებზე არასწორი წარმოდგენა, მორალური გამართლების ნაკლოვანება, დომინანტური ცნობიერება და ქცევა, თავის თავის მნიშვნელობაზე და პრივილეგიებზე გადაჭარბებული წარმოდგენა და ა.შ.). შემეცნებით-ქცევითმა თერაპიამ შეიძლება გამოასწოროს არასწორი ცნობიერება და ცნობიერების დეფიციტი იმით, რომ ასწავლოს ბენეფიციარებს, გა-

29 იხ. გვ. 43 *et seq.*

იგონ აზროვნების პროცესი და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რაც პირდაპირ კავშირშია მათ დანაშაულებრივ ქცევასთან. ბენეფიციარებს შეუძლიათ, ისწავლონ თავიანთი აზროვნების სწორი მიმართულებით წარმართვა და მიკერძოებული, სარისკო და დეფიციტური აზროვნების უკვე ჩამოყალიბებული ტიპის გამოსწორება და შეცვლა. ამ დროს, ჩარევა მოიცავს შემეცნებითი უნარების განვითარებას, ბრაზის მართვას (მიემართება იმპულსურ აზროვნებას, რომელიც იწვევს ძალადობრივ რეაქციებს) და სხვა მეთოდებს, რომლებიც სოციალური უნარების და ურთიერთობების განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამ სახის ჩარევას მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია იქონიოს რეციდივიზმის შემცირებაზე.

მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ბენეფიციარების პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა, მაგალითად, პიროვნებათაშორისი სენსიტიურობა, პიროვნებათაშორისი შფოთვა და ვერბალური ინტელექტი. შემეცნებით-ქცევითი თერაპია მიმართულია „დანაშაულებრივ აზროვნებაზე“, რომელიც ნორმიდან გადახრილი ქცევის ხელშემწყობი ფაქტორია. ეს თერაპია შეიძლება მოერგოს სხვადასხვა ბენეფიციარს და აგრეთვე წარმატებით შეიძლება განხორციელდეს განთავისუფლების შემდგომაც, როგორც მრავალმხრივი ჩარევის კომპლექტის ერთი კონკრეტული კომპონენტი.

ბ) ბრაზის მართვა და ემოციური კონტროლი

ბრაზის მართვა განსაკუთრებით ეხმარება ძალადობისკენ მიდრეკილ ბენეფიციარებს, რათა გააკონტროლონ ბრაზზე დაფუძნებული რეაგირება. პირებს, რომლებიც დანაშაულს სჩადიან უკონტროლო ბრაზის შედეგად, სთავაზობენ მსგავს პროგრამებში ჩართვას. ეს პროგრამები შედგება კონკრეტული ჩარევებისგან და კლასებისგან, რომლებიც მიზნად ისახავს, ასწავლოს ადამიანებს საკუთარ თავში სიბრაზის სიმპტომების ამოცნობა; გაიგონ, თუ რამ გამოიწვია მათში სიბრაზე და როგორ აკონტროლონ იგი; როგორ შეძლონ ემოციების გაკონტროლება და პოზიტიური ურთიერთობების განვითარება; პროგრამების ფარგლებში, ბენეფიციარები სწავლობენ, თუ როგორ გამოხატონ თავიანთი ემოციები მტკიცედ და არა გაბრაზებით და როგორ გაართვან თავი რთულ ადამიანებთან და სიტუაციებთან ურთიერთობას, აგრესიის გარეშე.

აღნიშნული პროგრამების განხორციელება შეიძლება როგორც ციხეში, ისე საზოგადოებაში.

სიბრაზის კონტროლი და მისი მართვის სწავლება (*CALM*) არის ჯგუფური პროგრამა, რომელსაც გაერთიანებული სამეფოს ეროვნული პრობაციის სამსახური იყენებს თავისი ბენეფიციარებისთვის, რათა შესძინოს მათ ახალი უნარები ბრაზის და სხვა ემოციების სამართავად. ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს სასჯელის ნაწილად აღნიშნული პროგრამის გავლა.

CALM მონაწილეებს ასწავლის, თუ როგორ ესაუბრონ სხვებს, გამოხატონ გრძნობები და გადაწყვიტონ პრობლემები აგრესიის გარეშე. მონაწილეები უნდა ესწრებოდნენ ყველა სესიას, დროულად ცხადდებოდნენ და ბოლომდე რჩებოდნენ; მათ უნდა შეასრულონ სესიებს შორის დავალებები, უნდა ეპყრობოდნენ ტრენერებსა და ჯგუფის წევრებს პატივისცემით. ცხადია, ყოვლად დაუშვებელია, რომ მონაწილეები იმყოფებოდნენ ნარკოტიკების, ალკოჰოლის და გამხსნელების ზემოქმედების ქვეშ. პროგრამაში ჩართვამდე მონაწილეები მზად უნდა იყვნენ და მოტივაცია ჰქონდეთ. ჩარევები უნდა მოერგოს მათ ინვიდუალურ საჭიროებებს ან მინიმუმ ბენეფიციარების გარკვეული კატეგორიის საჭიროებებს. მონაწილეებს აგრეთვე უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ ნასწავლი პრაქტიკაში გამოიყენონ.

გ) ჩავარდნის პროფილაქტიკა

ჩავარდნის პროფილაქტიკის პრევენციის თერაპია ხშირად გამოიყენება წამალდამოკიდებულების პრობლემის მქონე ბენეფიციარებთან და ასწავლის შეგუების სტრატეგიას, რათა შენარჩუნებული იქნეს შეცვლილი ქცევა. ზოგჯერ ასეთი სტრატეგიები ითვალისწინებს დამოკიდებულების, სოციალური, ფიზიკური გარემოს შეცვლას და წამალდამოკიდებული ქცევის გამომწვევი ფაქტორებისთვის თავის არიდებას. ჩავარდნის პროფილაქტიკა ზოგადად გულისხმობს თვითკონტროლის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ბენეფიციარს შესძინოს უნარები, რომლებიც მას დაეხმარება, სიმპტომების გაუარესების გამაფრთხილებელი ნიშნები ამოიცნოს და მიხვდეს, რომ ის არასასურველ მავნე ქცევას თუ ჩვევას შეიძლება უბრუნდებოდეს. ჩავარდნის პროფილაქტიკა არ კურნავს ადამიანს და არ უკლავს გარკვეული ქცევის სურვილს. თუმცა, ხშირად, საჭიროა ინტენსიური განათლება და ცნობიერების ამაღლება, რათა ბენეფიციარებმა შეძლონ საკუთარი ქცევის ტიპების გაგება. პროგრამა ეხმარება ბენეფიციარებს, მოახდინონ იმ ფიქრების, შეგრძნებების და ქცევების იდენტიფიცირება, რომლებიც წინ უძღვის დანაშაულის ჩადენას ისე, რომ მიხვდნენ, მათი ქცევა გარკვეული წინასწარგანჭვრეტადი ფიქრების, შეგრძნებებისა და ქცევების პროდუქტია. ამ დროს, ბენეფიციარები აცნობიერებენ, რომ არსებობს უფრო პოზიტიური და ჯანმრთელი გზები სურვილების გასამკლავებლად, იქნება ეს სექსუალური თუ ნარკოტიკებთან და ძალადობასთან დაკავშირებული მისწრაფებები. მას შემდეგ, რაც ეს ფაქტორები გაცნობიერებულგაანალიზებულია, შეიძლება თითოეული ბენეფიციარისთვის ჩავარდნის პროფილაქტიკის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება.

დ) ცხოვრებისეული და პიროვნებათაშორისი უნარები

თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში, ბენეფიციარებს არ ძალუძთ, გააკონტროლონ თავიანთი ცხოვრების ყოველდღიური ასპექტები და ვალდებულები არიან, დაემორჩილონ ციხის შეზღუდულ გარემოს. შესაბამისად, ბენეფიციარებს, განსაკუთრებით, მათ, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდათ თავისუფლება აღკვეთილი, როგორც წესი, უმცირდებათ

დამოუკიდებლობის, თვითკმარობის, თვითშეფასებისა და ინიციატივის შეგრძნება. განთავისუფლებისას, მათ მოულოდნელად უწევთ თავიანთი ცხოვრების დამოუკიდებლად ორგანიზება და ეს ყველაფერი ხდება დახურული სისტემის გარეთ, რომელიც წლების განმავლობაში, მათი ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს განსაზღვრავდა. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ბენეფიციარი, მოკლებულია შესაძლებლობას, რომ საბაზისო უნარ-ჩვევები შეიძინოს ყოველდღიური ცხოვრების რუტინასთან გასამკლავებლად. სხვებს აშკარა დეფიციტი აქვთ პიროვნებათაშორისი უნარ-ჩვევების თვალსაზრისით და შეიძლება სჭირდებოდეთ რეაგირების, კონფლიქტის მართვის და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება და შეძენა სოციალურ ურთიერთობებში უფრო წარმატებულად ჩასართავად. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარებმა უნდა დაივიწყონ სოციალური ურთიერთობის ზოგიერთი ტიპი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში შეიძინეს. საბაზისო საყოფაცხოვრებო და ურთიერთობის უნარ-ჩვევების პროგრამებს შეუძლია, დაეხმაროს ბენეფიციარებს, შეიძინონ პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციისა და კონფლიქტის მოგვარების უნარები, ისწავლონ თავის მართვა, მოთმინება, იმპულსების კონტროლი, ბრაზის მართვა და კონსტრუქციული დარწმუნება. ამ ყველაფერს შეუძლია, ბენეფიციარს გაუიოლოს საზოგადოებაში ცხოვრებასთან ადაპტაცია.

ე) მოტივაცია

ყოველთვის პრობლემურია ციხის პროგრამაში პატიმრების შერჩევა, მათ მიერ დასწრებისა და პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, როცა ეს ეხება იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ნაკლებად მოტივირებულნი არიან, შეცვალონ თავიანთი ქცევა თუ ცხოვრების წესი. თავად სასჯელი ყოველთვის საკმარისი არ არის, რომ მოახდინოს ბენეფიციარის მოტივირება, შეიცვალოს. პირიქით, აშკარაა, რომ ადამიანები კარგად არ რეაგირებენ შერცხვენაზე, იძულებაზე, გაკიცხვასა თუ არჩევანის წართმევაზე. ცხადია, ბენეფიციარებს უჩნდებათ უკმაყოფილების, წინააღმდეგობის შეგრძნება და კონფლიქტურად რეაგირებენ. ჩნდება კითხვა, თუ როგორ შეიძლება ბენეფიციარების მოტივაცია, შეიცვალონ და გააზრებულად მიიღონ მონაწილეობა მათთვის შეთავაზებულ პროგრამებში.

აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარების უმეტესობა, როგორც ნებისმიერი ადამიანი, არსებითად მოტივირებულია ერთი და იმავე შინაგანი ფაქტორით (ადამიანისთვის შინაგანად თანდაყოლილი თვისება, რომ მიაღწიოს ფასეულ მიზანს, სოციალურ აღიარებას, თავიდან აიცილოს ტკივილი და გაექცეს უარყოფით ემოციებს) და პიროვნებათაშორისი ფაქტორებით (წახალისება, სოციალური თვითდამკვიდრება, ჯგუფის მხრიდან პოზიტიური ქცევის მონონება და ა.შ.). დინამიკა არსებითად იგივეა ბენეფიციარებთან მიმართებით, როგორც ადამიანების უმეტესობის შემთხვევაში.

დაისმის შეკითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ შეფასდეს ბენეფიციარების მოტივაცია, ან რამდენად შეიძლება, რომ შესაცვლელად მათი მოტივაცია გაიზარდოს. „შესაცვლელად მზადყოფნა“ თუ „სასარგებლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მზადყოფნის“ შემთხვევები იშვიათია. სოციალური მუშაკები, როგორც წესი, იყენებენ თავიანთ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რათა შეაფასონ ბენეფიციარის სურვილი პროგრამებში მონაწილეობის მიღებაზე და ეყრდნობიან თავიანთ პიროვნებათაშორის უნარებს, რომ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები ჩამოაყალიბონ ბენეფიციარებთან. დაისმის შეკითხვა, თუ რამდენად არის ბენეფიციარების მოტივაცია წარმატებული ჩარევის წინაპირობა და თუ შეიძლება, რომ ჩარევა ქმედითი იყოს საწყის ეტაპზე ასეთი მოტივაციის არარსებობისას.

ჩარევამ შეიძლება ბენეფიციარს ცვლილების სურვილი გაუჩინოს და ამიტომ საჭიროა მათი მხარდაჭერა ცვლილების სრული პროცესის განმავლობაში. ჩარევამ შეიძლება შეამციროს ბენეფიციარის ჭოჭმანი ცვლილებასთან დაკავშირებით და გააძლიეროს მისი თვითშეფასება, თავდაჯერება. დაბალი თვითშეფასება ხელს უშლის იმედს. დაბალი თვითშეფასების ადამიანი ფიქრობს, რომ არაფერი გამოუვა და ორჭოფობს, რაც ამარცხებს ბენეფიციარის ყოველგვარ მცდელობას, შეიცვალოს. ისინი, ვინც მოტივირებულნი არიან შესაცვლელად, მაინც ეწინააღმდეგებიან ცვლილებას, როდესაც არ სჯერათ, რომ შეუძლიათ, შეიცვალონ. ჩარევა ზოგჯერ აუცილებელია, რომ გაიზარდოს ბენეფიციარის იმედი საკუთარ შესაძლებლობებში. დაბოლოს, ჩარევას შეუძლია, ბენეფიციარს მისცეს საკუთარ თავთან შებრძოლების და ცვლილებასთან დაკავშირებულ გრძნობებთან (ნერვიულობა, პიროვნებათაშორისი მოწყვლადობა, სიახლის შიში, მარცხის შიში და ა.შ.) გამკლავების უნარი.

აღნიშნულ კონტექსტში, მნიშვნელოვანია თვითეფექტიანობის კონცეფცია. თვითეფექტიანობა გაგებულია, როგორც ცნობიერი ნარმოდგენა ან მსჯელობა საკუთარ შესაძლებლობებზე. მოტივაციაც კოგნიტური პროცესების წყალობით ნარმოიქმნება. კერძოდ, ადამიანის მოტივაციაში მთავარი ისაა, რომ მოქმედება უშუალო განმტკიცების გარეშეც ხორციელდება – ადამიანს შეუძლია მომავალი წარმატების ან წარუმატებლობის წინასწარმეტყველება და სათანადო ქცევის განხორციელება. ამ უნარის მეშვეობით, ადამიანებს შეუძლიათ, განჭვრიტონ ქცევის შესაძლო შედეგები (სხვის მაგალითზე) და თავიდან აიცილონ არასასურველი შეცდომები.

ერთი მხრივ, პიროვნების ქცევა მის ინტელექტზე, ემოციებზე, განწყობებსა და მოთხოვნილებებზე არის დამოკიდებული, მეორე მხრივ, გარემოც უზარმაზარ ზეგავლენას ახდენს ქცევაზე. გარემოს ზეგავლენის დაღი ატყვია პიროვნების ცოდნის მარაგს, ქცევის რეპერტუარს; და პირიქით, დიდია ადამიანის გავლენა გარემოზეც.

ადამიანის ფუნქციონირებას არ განსაზღვრავს მხოლოდ გარეგანი ფაქტორები და არც მხოლოდ შინაგანი. ადამიანის ფუნქციონირებას განსაზღვრავს პიროვნული ფაქტორები, გარემო და ქცევები, მათი ურთიერთდამოკიდებულება. თუ პიროვნული ფაქტორები, ქცევა და გარემო ერთმანეთთან მუდმივ ინტერაქციაში არიან, მოვლენათა ციკლი პროგრესული და უწყვეტია.

ვ) აქტიურ მოქალაქედ გახდომის შესაძლებლობები

პოზიტიური ფსიქიკური ჯანმრთელობა გულისხმობს თავდაჯერებისა და თვითშეფასების გრძნობებს. იგი გულისხმობს, რომ ადამიანი არის და გრძნობს თავს პასუხისმგებლად თავის თავსა და სხვებზე. ზოგი პროგრამა ბენეფიციარებს სთავაზობს მუშაობის შესაძლებლობას, ზოგი აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს პროექტებში, რომლებიც სხვებს ეხმარებიან. იქნება ეს ბოსტნეულის მოყვანა, ქალთა თავშესაფრისთვის პროდუქტების ჩუქება, თუ გაჭირვებულებისთვის საბავშვო ტანისამოსის შეკერვა, – კვლევები აჩვენებს, რომ მსგავსი ღონისძიებები ბენეფიციარებს აქტიურ მოქალაქეობად ამკვიდრებს. ბენეფიციარები ხდებიან პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე აქტიური მოქალაქეები, როცა პოზიტიური ქმედებებით თავიანთი წვლილი შეაქვთ ციხის თუ ფართო საზოგადოების ცხოვრებაში.

არსებობს აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბების რამდენიმე სახის პროგრამა: ა) ბენეფიციარები ეხმარებიან და მხარს უჭერენ სხვა ბენეფიციარებს ბ) ციხის გარეთ მყოფ ადამიანებთან ერთობლივად, ან მათთვის ხდება გარკვეული სამუშაოს შესრულება; გ) აღდგენითი სამართლიანობის პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც ბენეფიციარებს წაახალისებენ, რომ აღიარონ თავიანთი დანაშაულით გამოწვეული ზიანი და გამოასწორონ იგი; დ) ციხის ცხოვრებაში დემოკრატიული მონაწილეობა, მაგალითად ბენეფიციარების საბჭოებში ან სხვა ფორუმებში გაწევრიანება; ე) ხელოვნებისა და მედია პროექტები, მაგალითად, ციხეში რადიო სადგურების მუშაობა, გაზეთების გამოცემა ან სახელოვნებო წრეებში მონაწილეობა.

ზ) ციხის პოპულაციის ფარგლებში მხარდაჭერა

ბევრი პროგრამა, რომელიც ეფუძნება ციხის პოპულაციის ფარგლებში მხარდაჭერას, მენტორინგსა თუ მოხალისეთა მხრიდან დახმარებას, ყურადღებას ამახვილებს დამოკიდებულებაზე, სულიერებასა და სხვა ფაქტორებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებიც ბენეფიციარებმა უნდა გადადგან წარმატებული სოციალური ინტეგრაციისთვის მოსამზადებლად. მრავალი სახელოვნებო, კულტურული პროგრამა, მედიტაციის, სამოტივაციო პროგრამა იგივე კატეგორიაში ხვდება.

თ) ცხოველებზე ზრუნვის პროგრამები

ბენეფიციარები, რომლებსაც ციხეში ყოფნის დროს ცხოველებთან აქვთ ურთიერთობა, როგორც წესი, უკეთ არიან მომზადებულები საზოგადოებაში დასაბრუნებლად. ცხოველებზე ზრუნვის პროგრმები მათ პასუხისმგებლებს ხდიან და ისინი სწავლობენ სიცოცხლის სხვა ფორმების სიყვარულსა და პატივისცემას. იმავდროულად, ეს პროგრამები აძლევს ბენეფიციარებს განათლების მიღების და ახალი უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობას. ამით ისინი განიმტკიცებენ თვითდაჯერებულობისა და თვითეფექტიანობის გრძნობებს.

ზოგიერთი ციხე ითვალისწინებს თერაპიულ პროგრამებს ცხოველების დახმარებით. ბენეფიციარები, რომლებსაც აქვთ ფიზიკური და ემოციური საჭიროებები, ურთიერთობენ ცხოველებთან – წვრთნიან, უვლიან, ეფერებიან მათ. ამით ბენეფიციარები სწავლობენ მათზე დამოკიდებულ ცოცხალ არსებებზე პასუხისმგებლობის აღებას.

ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულები

გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (*UNODC*) სახელმძღვანელოს თანახმად, ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები მსჯავრდებულ პირთა პოპულაციის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენენ. თუმცა, სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით, ისინი უფრო ძნელად ერთვებიან მხარდაჭერის პროგრამებში და მათი სოციალური რეინტეგრაცია განსაკუთრებით რთული გამოწვევაა. რეციდივისტებს ყველაზე მეტად შეგუების და პრობლემის გადაჭრის უნარების ნაკლებობა ახასიათებთ, რის გამოც მათ განსაკუთრებით უჭირთ სოციალური ურთიერთობები და სოციალური ინტეგრაცია.[30]

შეიძლება თუ არა ძალადობრივ დანაშაულებში მსჯავრდებულებთან ჩარევა იყოს წარმატებული? ამ კითხვაზე პასუხს სცემს ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებთან ჩარევის ქმედითობის ეროვნული და საერთაშორისო მაჩვენებელების სისტემატური მიმოხილვა. აღნიშნული მიმოხილვის ფარგლებში მოპოვებული, გაანალიზებული და სინთეზირებული იქნა სხვადასხვა ქვეყნაში ჩატარებული მრავალმხრივი ჩარევების და პროგრამების შეფასებები.[31]

30 გვ. 138

31 იხ. დ. ჯოლიფი, და დ.პ. ფარინგტონი, ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებთან ჩარევის ქმედითობის ეროვნული და საერთაშორისო მაჩვენებელების სისტემატური მიმოხილვა, იუსტიციის სამინისტროს კვლევათა სერია, გაერთიანებული სამეფო, იუსტიციის სამინისტრო, 2007, (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://www.crim.cam.ac.uk/people/academic_research/david_farrington/violmoj.pdf).

აღნიშნული სისტემატური მიმოხილვის თანახმად, კვლევების კომბინირებული შედეგები აჩვენებს, რომ მთლიანობაში, ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებთან ინტერვენციები შეიძლება წარმატებული იყოს, მათ მიერ დანაშაულის და კონკრეტულად, ძალადობრივი დანაშაულის განმეორებით ჩადენის სტატისტიკის შემცირების თვალსაზრისით. მოპოვებული კვლევების შედეგების შეჯერების შედეგად, მიმოხილვის ავტორებმა გამოკვეთეს ძალადობრივ დანაშაულებში მსჯავრდებულებთან ინტერვენციების და პროგრამების ის ელემენტები, რომლებიც დანაშაულის რეციდივის შემცირებასთან არის დაკავშირებული. ინტერვენციების წარმატება დამოკიდებულია მათ ინტენსიურობასა და შინაარსზე, კერძოდ, უფრო მეტად ინტენსიური მულტიმოდალური ჩარევები უფრო შედეგიანია. ცხადია, მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე პროგრამის განხორციელების მეთოდს.[32]

მაგალითად, სისტემატური მიმოხილვის ფარგლებში, შესწავლილი იქნა ძალადობრივ დანაშაულებში მსჯავრდებული პირებისთვის ახალ ზელანდიაში განხორციელებული პროგრამა. პროგრამის კომპონენტები მოიცავდა ბრაზის კონტროლს, კოგნიტივ უნარებს, საბაზისო განათლებას, როლურ თამაშებს, ემპათიის ტრენინგს, ჩავარდნის პროფილაქტიკას. პროგრამის მონაწილეებს ეძლეოდათ საშინაო დავალება. პროგრამა განხორციელდა რეაბილიტაციაში სპეციალიზირებული სოციალური მუშაკების მიერ მომეტებული რისკის პატიმრებისთვის, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ ძალადობრივი დანაშაულებისთვის.[33]

პროგრამის შინაარსი და განხორციელების მეთოდი ეფუძნებოდა კოგნიტივ-ბიჰევიორულ მიმართულებას. პროგრამის კომპონენტებში შედიოდა დანაშაულებრივი ჯაჭვის იდენტიფიცირება და წარმოდგენა, დამნაშავის აზროვნების გადაწყობა, განწყობის მართვა, ემპათია დაზარალებულის მიმართ, ზნეობრივი დასაბუთება, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაციის უნარები და ჩავარდნის პროფილაქტიკის დაგეგმვა. პროგრამა ხორციელდებოდა პროფესიონალის მიერ ათკაციან ჯგუფში. ჯგუფური მუშაობა გრძელდებოდა დაახლოებით 3-4 საათს კვირაში. პროგრამა გაგრძელდა 28 კვირის განმავლობაში და მთლიანობაში შეადგენდა დაახლოებით 330 საათს.

პირველი 22 მსჯავრდებული, რომელმაც დაასრულა პროგრამა, შეადარეს

32 გვ. 28.

33 დ. ლ. ლ. პოლაშეკი *et al.*, მაღალი რისკის მსჯავრდებულების კოგნიტივ-ბიჰევიორული რეაბილიტაცია: ძალადობის პრევენციის განყოფილების შეფასების შედეგები, ინტერპერსონალური ძალადობის ჟურნალი, no. 20, 2005, გვ.გვ. 1611–1627 (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.researchgate.net/publication/7519616_Cognitive-Behavioral_Rehabilitation_for_High-Risk_Violent_Offenders_An_Outcome_Evaluation_of_the_Violence_Prevention_Unit).

60 მსჯავრდებულისგან შემდგარ შესადარებელ ჯგუფს. საწყისი და შესადარებელი ჯგუფები მსგავსი იყო ეთნიკურობის, ასაკის, დანაშაულის ისტორიის მაჩვენებლების და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის მიხედვით. განთავისუფლებიდან ორი წლის შემდეგ, შედეგებმა აჩვენა, რომ საწყისი ჯგუფის მონაწილეებმა სტატისტიკურად გაცილებით ნაკლებ შემთხვევაში ჩაიდინეს ახალი დანაშაული (32%), ვიდრე შესადარებელი ჯგუფის წევრებმა (63%).[34]

სისტემატური მიმოხილვის თანახმად, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია, ჩარევა იყოს ხანგრძლივი და ინტენსიური, შეიძლება შინაარსობრივად გარკვეული კომპონენტები უფრო ეფექტიანი იყოს. ასე, მაგალითად, ჩარევა, რომელიც მიმართულია ბრაზის კონტროლზე, კოგნიტივ უნარებზე, როლურ თამაშებზე, ჩავარდნის პროფილაქტიკაზე და საშინაო დავალებაზე, ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ჩარევა ამ კომპონენტების გარეშე.[35]

UNODC-ის სახელმძღვანელოს თანახმადაც, ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულებისთვის შემუშავებული კოგნიტურ-ბიჰევიორული პროგრამებში, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში, ისე განთავისუფლების შემდეგ, მკურნალობის ინტენსივობა არის ის ფაქტორი, რომელიც ამ პროგრამების წარმატებას განაპირობებს. ჩარევებს, რომლებიც მიმართულია შემეცნებით უნარებზე, ბრაზის (ემოციების) კონტროლზე და ყურადღებას უთმობს ჩავარდნის პროფილაქტიკას, უფრო მეტი გავლენა აქვს ძალადობრივი დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პირების მიერ ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის პრევენციისთვის.[36]

სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის მსჯავრდებულები

სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩამდენი პირები განსხვავდებიან ერთმანეთისგან წარსულით, დემოგრაფიული მონაცემებით, დანაშაულის ტიპით და ხელწერით, მოტივაციითა და რეციდივის საფრთხეებით. მათ შეიძლება, ჩადენილი ჰქონდეთ დანაშაული ზრდასრული პირების ან ბავშვების მიმართ, ქალების, ან მამაკაცების მიმართ, ზოგიერთი ან ყველა ამ ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, გამოკვეთილია რამდენიმე პრინციპი, რომლებიც რეკომენდებულია, რომ საფუძვლად უნდა ედოს სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის მსჯავრდებულების მართვას:

ჩარევა უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური საფრთხის შეფასებას და გადაფასებას;

34 გვ. 667.
35 ჯოლიფი, და ფარინგტონი, სისტემატური მიმოხილვა, გვ. 25.
36 გვ. 138.

ჩარევა მიმართული უნდა იყოს იმ კონკრეტულ ფაქტორებზე, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული დანაშაულებრივ ქცევასთან;
ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს უფლებამოსილ უწყებებს, სოციალურ მუშაკებს და ზედამხედველ პერსონალს შორის.[37]

კვლევა აჩვენებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალური ხასიათის დანაშაულის რეციდივიზმთან, არის ნორმიდან გადახრილი სექსუალური ინტერესები (დინამიკური ფაქტორი) და ანტისოციალური ორიენტაცია (სტატიკური ფაქტორი).[38] დანაშაულებრივი ცხოვრების წესი ასევე მნიშვნელოვანი მახასიათებელია და მჭიდროდაა დაკავშრებული სექსუალური ხასიათის ქმედებაში მსჯავრდებულების, ზოგადად, დამნაშავეების და ფსიქიკური პრობლემების მქონე დამნაშავეების ძალადობრივ ქცევასთან და რეციდივთან.[39] შესაბამისად, ჩარევა მიმართული უნდა იყოს აღნიშნულ პრედიკატორებზე.

ინდივიდუალური რისკების შეფასების კონტექსტში, გასათვალისწინებელია, თუ როგორ წარმოაჩენს ბენეფიციარი თავს, იჩენს თუ არა ემპათიას მსხვერპლის მიმართ, აქვს თუ არა მოტივაცია, ჩართული იყოს თერაპიის პროგრამებში – შეიძლება, სექსუალური ხასიათის დანაშაულის რეციდივთან ნაკლები, ან საერთოდ არანაირი შემხებლობა არ ჰქონდეს. აგრეთვე შესაძლებელია, რომ შემფასებლებმა, რომლებიც რისკ ფაქტორებს ეძებენ, ნაკლებად ღირებული ინფორმაცია მიიღონ დამნაშავისგან, როცა ეს უკანასკნელი თავისი ქმედებების გამართლებას ცდილობს. ძალზე იშვიათია, როცა ბენეფიციარი სრულად აღიარებს თავის ბრალს.[40] აგრეთვე, კვლევის თანახმად, სრულ აღიარებას შეიძლება არასასურველი სოციალური შედეგიც კი მოჰყვეს, მათ შორის, ფსიქოთერაპიის პროგრესის შეყოვნება.[41] შესაბამისად, როცა ბენეფიციარი ეწინააღმდეგება სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩამდენი პირის იარლიყს, არ არის აუცილებელი, რომ ეს რეციდივის მომეტებულ საფრთხეზე მეტყველებდეს, თუმცა, ამ დროს, გართულებულია მკურნალობაში ჩართვა.[42]

---

37 გვ. 140.

38 რ. კ. ჰანსონი და კ. მორტონ-ბურგონი, სექსუალური რეციდივიზმის პრედიკატორები: განახლებული მეტა ანალიზი 2004-02, კანადის სოციალური და სახელმწიფო სერვისები, 2004, გვ. 18 (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.publicsafety.gc.ca/cnt/rsrcs/pblctns/2004-02-prdctrs-sxl-rcdvsm-pdtd/2004-02-prdctrs-sxl-rcdvsm-pdtd-eng.pdf).

39 გვ. 141.

40 ჰანსონი და კ. მორტონ-ბურგონი, სექსუალური რეციდივიზმის პრედიკატორები, გვ. 18.

41 ა. ი. კელი, ფსიქოთერაპია თვითნარმოჩენის პერსპექტივით, ფსიქოლოგიური ბიულეტინი, ტომი 126, no. 4, 2000, გვ. 506 (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://psychcentral.com/blog/u/anitakelly2000.pdf).

42 ჰანსონი და კ. მორტონ-ბურგონი, სექსუალური რეციდივიზმის პრედიკატორები, გვ. 18

რელევანტური საქმეები

მსჯავრდებული პატიმრის ვალდებულება, იმუშაოს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ: არდარღვევა

ფაქტები:[43] განმცხადებელი დაბადებულია 1946 წელს და სასჯელს იხდის პენიტენციურ დაწესებულებაში. მან დაწესებულებაში სავალდებულო შრომისგან განთავისუფლება მოითხოვა. მას ევალებოდა მანდალების გაფერადება, საკნის დალაგება და სკულპტურების გამოქანდაკება). მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. განმცხადებელმა სტრასბურგის სასამართლოში იჩივლა, რომ მას მუშაობა ევალებოდა, მიუხედავად საპენსიო ასაკის მიღწევისა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: სასამართლოს განსახილველი იყო, პატიმრის მიერ შესასრულებელი სამუშაო იყო თუ არა იმდაგვარი სამუშაო, რომელიც შესაძლებელია, სავალდებულოდ მოეთხოვოს პატიმარს, კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.[44] ეს საკითხი განხილული უნდა იქნეს მოთხოვნილი სამუშაოს მიზნის, ხასიათის და მოცულობის, აგრეთვე სამუშაოს შესრულების მეთოდისა და საშუალებების ჭრილში.

მსჯავრდებულის ვალდებულება, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც გაანაგრძოს მუშაობა, შეიძლება, შეესაბამებოდეს თავისუფლების აღკვეთის მავნე შედეგების შემცირების მიზანს. ადეკვატური და გონივრული დატვირთვით, შეიძლება ყოველდღიური ცხოვრების დაგეგმვა და სასარგებლო საქმიანობით დაკავება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ხანგრძლივი ვადით თავისუფლებააღკვეთილი პატიმრის კეთილდღეობისთვის. რაც შეეხება იმ სამუშაოს ხასიათს, რაც შეიძლება მოეთხოვებოდეთ საპენსიო ასაკს მიღწეულ პატიმრებს, მოცემულ შემთხვევაში, მუშაობის ვალდებულება ყველა პატიმარზე ერთი და იგივე მოცულობით არ ვრცელდებოდა; სამუშაოს ხასიათი მორგებული იყო პატიმრების ჯანმრთელობაზე, მათ შესაძ-

43 მაიერი შვეიცარიის წინააღმდეგ *(Meier v. Switzerland)*, განაცხადი no. 10109/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება.
44 „მუხლი 4 – მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა.
1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში.
2. არავის შეიძლება დაეკისროს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.
3. ამ მუხლის გაგებით, „იძულებით ან სავალდებულო შრომად" არ განიხილება:
ა. ნებისმიერი სამუშაო, რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რაც შეფარდებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად, ან ასეთი პატიმრობიდან პირობით გათავისუფლების დროს;"

ლებლობებსა და გამოსადეგობაზე, ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად. უფრო მეტიც, ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებს მხოლოდ მსუბუქი სამუშაოს შესრულება ევალებოდათ და ნაკლები ინტენსივობით. თუ ექიმის მიერ დასტურდებოდა, რომ პატიმარს სამუშაოს შესრულება არ შეეძლო, იგი სავალდებულო შრომისგან თავისუფლდებოდა. განმცხადებელზე დაკისრებული სამუშაო ამ გაიდლაინების საფუძველზე იყო დაკისრებული და სრულად შეესაბამებოდა მის ასაკსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს. ამასთან, ის მხოლოდ დღეში სამ საათს მუშაობდა, პენსიაზე გასულ პირთა ფლიგელში იყო განთავსებული და იღებდა თავისი შრომის ანაზღაურებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს საკმრისი კონსესუსი იმასთან დაკავშირებით, უნდა მოეთხოვოს თუ არა მსჯავრდებულს მუშაობა საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, სახელმწიფოს მოცემულ სფეროში მიხედულების ფართო ფარგლები აქვს. მართალია, ევროპული ციხის წესების 105-ე წესის მე-2 პუნქტი ითვლისწინებს, რომ მსჯავრდებულ პატიმრებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ საპენსიო ასაკისთვის, შეიძლება მოეთხოვებოდეთ სამუშაოს შესრულება მათი ფიზიკური და ფსიქიკური გამოსადეგობის მიხედვით, როგორც ეს განსაზღვრულია სამედიცინო მუშაკის მიერ; მაგრამ ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ არ არის აუცილებელი წესები ისე განიმარტოს, რომ სრულად აეკრძალოთ სახელმწიფოებს საპენსიო ასაკის პატიმრებისთვის სამუშაოს შესრულების მოთხოვნა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში კონვენციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა არ დაადგინა.

პენსიის გამოანგარიშებისას, პატიმრობის პერიოდში შრომა არ იქნა გათვალისწინებული: არდარღვევა

ფაქტები:[45] განმცხადებელმა ოცდარვა წელი ციხეში გაატარა. პატიმრობის პერიოდში ის დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა, მაგრამ ვერ მოხვდა ზოგადი სოციალური დახმარების შესახებ კანონით განსაზღვრული ასაკით პენსიის სისტემაში. თუმცა, პატიმრობაში მუშაობის პერიოდზე უმუშევრობის დაზღვევის სქემა გავრცელდა. მას უარი ეთქვა ვადაზე ადრე პენსიაზე, იმ საფუძვლით, რომ მას არ ჰქონდა ამ სახის პენსიისთვის საჭირო მინიმუმ 240 დაზღვეული თვის ნამსახურობა. შედეგად, მან დავა წამოიწყო დაზღვევის სამსახურის წინააღმდეგ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ციხეში შრომის ნამსახურობა უნდა ჩათვლოდა, როგორც დაზღვეული თვეები. ეროვნულმა სასამართლომ მისი საჩივარი არ დააკმაყოფილა. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების შემდეგ, გან-

45 მტუმერი ავსტრიის წინააღმდეგ *(Stummer v. Austria)*, განაცხადი no. 37452/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება.

მცხადებელი, რამდენიმე თვის განმავლობაში, იღებდა უმუშევრობის დახმარებას და შემდეგ – გადაუდებელი დახმარების შემწეობას უმუშევრობის დაზღვევის კანონის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება: ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომა პატიმრობისას განსხვავდება ჩვეულებრივ დასაქმებულ პირთა შრომისგან მრავალი ნიშნით. კერძოდ, ის ემსახურება რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის მიზანს. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის კანონის თანახმად, შრომა პატიმრობისას სავალდებულო იყო, სასამართლომ არ მიიჩნია ეს გადამწყვეტ ფაქტორად. მნიშვნელოვანი იყო მოხუცებულისთვის დახმარების მიცემის საკითხი, რასთან მიმართებითაც, განმცხადებელი ჩვეულებრივი დაქირავებულის მსგავს მდგომარეობაში იყო. თუმცა, რაც შეეხება ზოგადი სოციალური უზრუნველყოფის კანონით გათვალისწინებულ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევისგან დაზღვევის სქემას, განმცხადებლის, როგორც მომუშავე პატიმრის, მდგომარეობა განსხვავდება ჩვეულებრივი დაქირავებული პირის მდგომარეობისგან, რადგანაც პატიმრის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევისგან დაზღვევას სასჯელაღსრულების კანონის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფდა.

მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მომუშავე პატიმარს ხშირად არ აქვს სოციალური დაზღვევის შენატანის გადახდის საშუალება და შესაბამისად, ეს საფრთხის ქვეშ აყენებს ასაკის გამო საპენსიო სისტემის ეკონომიკურ მდგრადობას, თუკი იმ პერიოდისთვის, რომელიც უნდა ჩათვლილიყო პენსიის უზრუნველმყოფ დაზღვეულ პერიოდად, მნიშვნელოვანი რაოდენობის შენატანები არ განხორციელებულა. ასაკით პენსიის სისტემის საერთო თანმიმდევრულობა უნდა იყოს დაცული. შესაბამისად, ციხეში შრომის პერიოდი ვერ ჩაითვლება იმ პერიოდად ან პერიოდის ჩამნაცვლებლად, რომლის დროსაც, არანაირი შენატანი არ განხორციელებულა. ავსტრიის სოციალური დაზღვევის კანონი ამგვარ შესაძლებლობას ითვალისწინებდა მხოლოდ სოციალურად მისაღებ რამდენიმე საგამონაკლისო შემთხვევაში, როგორიცაა ბავშვის აღზრდა, უმუშევრობა ან სამხედრო სამსახური. სასამართლომ ეს მიზნები ლეგიტიმურად მიიჩნია.

საკითხი, იყო თუ არა მომუშავე პატიმრების მიმართ განსხვავებული მოპყრობა დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული, მჭიდრო კავშირში იყო ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან მიმართებით სახელმწიფოს ზოგად არჩევანთან. ამ სფეროში სახელმწიფოები მიხედულების ფარგლებით სარგებლობენ, შესაბამისად, ევროპული სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერევა, თუ პოლიტიკის არჩევანი გონივრულ დასაბუთებას მოკლებულია. უფრო მეტიც, ეს საკითხი განიხილება, როგორც სასჯელაღსრულების მთლიანი სისტემის მუშაობის და პატიმართა

სოციალური უზრუნველყოფის ერთი მახასიათებელი. თუმცა პატიმართა სოციალური დაცვის შესახებ არ არსებობდა ევროპული კონსესუსი. მაშინ როცა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა რაღაც ფორმით უზრუნველყოფდა პატიმართა სოციალურ დაცვას, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში იყო ხელმისაწვდომი პატიმართათვის ასაკით საპენსიო სქემაში ჩართვა და ქვეყნების ნაწილში, როგორც ავსტრიაში, ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ ნებაყოფლობითი შენატანების განხორციელების შემდეგად.

2006 წელს, ევროპული ციხის წესებით, რეკომენდებული გახდა, შესაძლებლობის ფარგლებში, მომუშავე პატიმართა ჩართვა ეროვნული სოციალური დაცვის სისტემებში, ასაკის გამო პენსიის სისტემაზე რაიმე პირდაპირი მითითების გარეშე. ავსტრიულმა კანონმდებლობამ ასახა ეს ტენდენცია, იმით, რომ უზრუნველყო ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევისგან დაცვა და მომუშავე პატიმრები ჩაერთვნენ უმუშევართა დაზღვევის სქემაში. მეტად მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მიუხედავად ასაკით პენსიის სქემის ხელმიუნვდომლობისა, განმცხადებელი არ დარჩენილა სოციალური დაცვის გარეშე. ციხიდან განთავისუფლებისთანავე, მან მიიღო უმუშევრობის დახმარება და შემდეგ გადაუდებელი დახმარების შემწეობა, რაზეც ის უფლებამოსილი იყო, როგორც მომუშავე პატიმარი, უმუშევრობის დაზღვევის კანონის თანახმად. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, განმცხადებელი კვლავ იღებდა გადაუდებელი დახმარების შემწეობას, ჯამში, დაახლოებით, 720 ევროს, რაც თავის მხრივ, საპენსიო მინიმუმადე (დაახლოებით, 780 ევრო) აღწევდა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ვერ გააკრიტიკებდა იმის გამო, რომ პრიორიტეტი მიანიჭა დაზღვევის იმ სქემას, რომელიც განთავისუფლების მომენტისთვის ყველაზე რელევანტურად იქნა მიჩნეული პატიმართა რეინტეგრაციისთვის. მომუშავე პატიმრების ასაკით პენსიის სისტემაში არჩართვით მას არ გადაუმეტებია ამ საკითხთან დაკავშირებით მისთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლებსთვის. შესაბამისად, დარღვევას არ ჰქონია ადგილი.